

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი

GORI STATE UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

ურომათა კრებული
COLLECTION OF THE WORKS
№22

ჩ(უაკ) 902(479.22)(066)
ა-846

რედაქტორი: ელდარ მამისტვალიშვილი

რედაქციები:

მეუფე ანდრია (გვაზავა)

ზაზა ალექსიძე

ბუბა კუდავა

პაველ ლიბერა

ელდარ ნადირაძე

მურმან პაპაშვილი

ჯაბა სამუშია

გიორგი სოსიაშვილი

როინ ყავრელიშვილი

დავით ყოლბაია

ნოდარ შენგელია

ტექნიკური რედაქტორი: თამილა კოშორიძე

Editor: Eldar Mamistvalishvili

Editorial Board:

Metropolitan Andrea (Gvazava)

Zaza Aleksidze

Buba Kudava

Pawel Libera

Eldar Nadiradze

Murman Papashvili

Jaba Samushia

Giorgi Sosiashvili

Roin Kavrelishvili

David Kolbaia

Nodar Shengelia

Technical Editor: Tamila Koshoridze

ISSN 1512-4657

შინაარსი სტატიები
CONTENTS Articles

საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორია
Ancient and Medieval History of Georgia

- ვანტანგ ინაური – ივანე ათაბაგი და გარნისის ბრძოლა 6
Vakhtang Inauri – IVANE ATABAGI AND BATLEE OF GARNI
- ელდარ მამისტვალიშვილი – პიეტრო დელა ვალე და ქეთევან დედოფლის წმინდანად
გამოცხადების საკითხი 12
**Eldar Mamistvalishvili – PIETRO DELLA VALLE AND THE ISSUE OF CANONIZATION OF MARTYR
KETEVA**
- მანანა მიჩიტაშვილი – მდივანბევი ციციშვილები სამეფო კარის სამოხელეო იერარქიაში 18
**Manana Michitashvili – THE TSITSISHVILI CHIEF JUDGES IN THE HIERARCHY OF THE ROYAL
COURT**
- ვაჟა ოთარაშვილი – მარტყოფიდან მარაბდაძე 33
Vazha Otarashvili – FROM MARTKOPI TO MARABDA
- მურმან პაპაშვილი – კრისტოფორო კასტელისა და კათოლიკოს-პატრიარქ მაქსიმე I-ის ერთი
სალეთისმეტყველო დიალოგის ანალიზი 41
**Murman Papashvili – ANALYSIS OF ONE THEOLOGICAL DIALOGUE BETWEEN CHRISTOPHER
CASTEL AND CATHOLICOS-PATRIARCH MAXIM I**
- ნესტან სულავა – არჩილი და ანტონ პირველი დავით აღმაშენებლის შესახებ 48
Nestan Sulava – THE KING ARCHIL AND KATHOLIKOS ANTON I FOR DAVID AGHMASHENEBELI
- კახაბერ ფიფია – ანტონინუს პიუსის აღმოსავლური პოლიტიკა და ლაზეთის სამეფო 56
Kakhaber Pipia – THE EASTERN POLICY OF ANTONINUS PIUS AND KINGDOM OF LAZES
- დავით ჩიქოვანი – „ამასია“ თუ „აბაზგია“ - დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ისტორიის
ერთი საკითხის დაზუსტებისთვის 64
**Davit Chikovani – "AMASYA" OR "ABAZGIA" - FOR SPECIFYING ONE ISSUE OF THE
ECCLESIASTICAL HISTORY OF WESTERN GEORGIA**

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია
New and Modern History of Georgia

- თამარ ანთაძე – ვარლამ ჩერკეზიშვილი ინგლისელ პოლიტიკოს ასკვიტზე 70
Tamar Antadze – VARLAM CHERKEZISHVILI ON THE ENGLISH POLITICIAN ASQUITH
- მერაბ კალანდაძე – დიმიტრი უზნაძე პერიკლეზე 80
Merab Kalandadze – DIMITRI UZNADZE ON PERICLES
- კახა კვაშილავა – ოკუპირებულ აფხაზეთში პოლიტიკური პროცესების განვითარების
საკითხისათვის (1994-2007 წწ.) 100
**Kakha Kvashilava – FOR ISSUE OF THE DEVELOPMENT OF POLITICAL PROCESSES IN
OCCUPIED ABKHAZIA (1994-2007)**

- ლევან სამსონია – საქართველოს კ.პ.(ბ) ხულოს რაიკომის მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების მოკლე მიმოხილვა 1930-იანი წლების პირველ ნახევარში, საარქივო მონაცემების საფუძველზე 114
Levan Samsonia – *BRIEF OVERVIEW OF THE CURRENT SOCIO-POLITICAL ISSUES OF THE KHULO DISTRICT COMMITTEE OF THE KP (B) OF GEORGIA IN THE FIRST HALF OF THE 1930S, BASED ON ARCHIVAL DATA*
- გიორგი სოსიაშვილი – დურმიშხან ჟურულის ოჯახი ბათუმის თეატრის სათავეებთან 118
Giorgi Sosiashvili – *DURMISHKHAN JURULI'S FAMILY AT THE FRONTIERS OF BATUMI THEATRE*
- მუსა ქასიმლი – აზერბაიჯანულ-ქართული ურთიერთობები: ისტორია და თანამედროვეობა (1918-2003 წწ.) 126
Musa Qasimli – *AZERBAIJAN-GEORGIA RELATIONS: HISTORY AND PRESENT (1918-2003)*
- კახაბერ ქებულაძე – „უკლონიზმი“ საქართველოს კომპარტიაში 145
Kakhaber Kebuladze – *„UKLONISM“ IN THE GEORGIAN COMMUNIST PARTY*
- ოთარ ჯანელიძე – 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულების დადებისა და რატიფიკაციის ისტორიიდან 150
Otar Janelidze – *FROM THE HISTORY OF THE CONCLUSION AND RATIFICATION OF THE TREATY OF KARS ON OCTOBER 13, 1921*

წყაროთმცოდნეობა Source Study

- იოსებ ალიმბარაშვილი – შიდა ქართლში ტერმინ - „გაღმამხარის“ განმარტებისა და მდებარეობისათვის 158
Ioseb Alimbarashvili – *FOR THE DEFINITION AND LOCATION OF THE TERM "GAGHMAMKHARI" (THE OTHER SIDE) IN SHIDA KARTLI*
- სალომე ზვიადაძე – სამოხელეო ტერმინები ტიპიკონებში 164
Salome Zviadadze – *THE TERMS IN THE TYPICONS*
- ვაჟა კიკნაძე – ყანჩაეთის (კაბენის) მონასტრის ერთი ხელნაწერის თავგადასავალი 174
Vazha Kiknadze – *THE "ADVENTURE" OF ONE MANUSCRIPT FROM KABENI MONASTERY (VILLAGE KANCHAETI)*
- იგორ კეკელია – ევროპელი ავტორები სამეგრელოს შესახებ (ბარონი დე ბაი) – III 179
Igor Kekelia – *EUROPEAN AUTHORS ABOUT MEGRELIA (BARON DE BAYE) - III*
- თამარ მესხი – განმარტებისათვის ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრის დაწერილის [1071-1081] ფრაზისა: „სტავრაჲ ლომოანი ბერძ[ული]. დაუკიდავს“ 183
Tamar Meskhi – *TUWARD THE INTERPRETACION OF ONE OBSCURE OF THE DOCUMENT ("DATSERILI" [1071-1080]) FROM NIKORTSMINDA MONASTERY*
- ირაკლი ფაღავა – სირმა აბაზის შემცველი ორი შერეული განძი კოჯორიდან და ყარაბაგიდან 191
Irakli Paghava – *TWO MIXED HOARDS COMPRISING SIRMA ABAZIS FROM KOJORI AND QARABAGH*

ეთნოგრაფია
Ethnography

- დავით ახლოური – სოფელ ალევის ისტორიიდან 199
Davit Akhlouri – FROM THE HISTORY OF VILLAGE ALEVI
- ელდარ თავბერიძე – გეგუთის ციხე-დარბაზის ისტორიიდან 211
Eldar Tavberidze – FROM THE HISTORY OF GEGUTI CASTLE HALL
- თამილა კოშორიძე – დარ-ავდრის გამგებელი ძალებისადმი მიძღვნილი რიტუალები შიდა
ქართლში 218
**Tamila Koshoridze – RITUALS DEDICATED TO THE GOVERNING FORCES BAD WEATHER IN
SHIDA KARTLI**
- ნიკოლოზ ოთინაშვილი – სიძველეები ქსნის ხეობიდან - სოფელი დადიანეთი 225
Nikoloz Otinashvili – ANTIQUITIES FROM KSANI GORGE - VILLAGE DADIANETI
- ნიკო ჯავახიშვილი – გამყრელიძეთა საგვარეულოს წარმომავლობა და მისი განსახლება რაჭაში 230
**Niko Javakhishvili – THE ORIGIN OF THE GAMKRELIDZE FAMILY AND THEIR SETTLEMENT IN
RACHA**
- ვლადიმერ წვერავა – ქუთაისის ბულვარი 239
Vladimer Tsverava – KUTAISI BOULEVARD
- ზურაბ ჭყონია – ჯელაძეთა საგვარეულოს გენეალოგია 244
Zurab Chkonia – EXTENDED FAMILY OF DJELADZE GENEALOGY

ივანე ათაბაგი და გარნისის ბრძოლა

ივანე ათაბაგი, თამარ მეფის სამეფო კარის ყველაზე მაღლა მდგომი პოლიტიკური ფიგურაა, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მის სახელს უკავშირდება საქართველოს სახელმწიფოს ძლიერების დაცემა. ცნობილია ისტორიაში ფაქტები, რომლებიც გვამცნობენ, თუ როგორ დააქცია ერთმა პიროვნებამ თავისი ქვეყანა. მაგალითად, აცტეკების სამეფო მონტესემას უნდილობამ დალუპა, ბაბილონი ... ლალატმა, საქართველო კი ივანე ათაბაგის ვერაგობამ.

XII-XIII საუკუნის უძლიერესი ქართული სახელმწიფო, მისი უძლეველი ჯარი, იოლად არ დაიშლებოდა თუ არა ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი ძალების ხანგრძლივი კონსპირატიული მუშაობა სამეფო კარზე. არ არის აუცილებელი რთული ისტორიული პროცესების მატერიალისტური პოზიციებიდან გაშუქება. სახელმწიფო, როგორც ცოცხალი არსება, იშვება, იზრდება, ჩერდება და კვდება. მაგრამ ჩვენი სახელმწიფო არც დაბერებულია და არც მომკვდარა იგი გაზრდილი, ძლიერების საფეხურზე ლალატით და ვერაგობით დასცეს, მაგრამ ვერ მოკლეს.

თუ კი თვალს გადავაკლებთ ამ პერიოდის ისტორიას, ნათლად დავინახავთ, რომ პრობლემები სამეფო კარზე ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის შვილის დემეტრე I დროს იჩენს თავს, შემდეგ დემეტრეს ვაჟის დავითის დროს, რასაც მისი სიკვდილი მოჰყვა. მემატინანე მრავალმნიშვნელოვნად ახსენებს „კაენის ცოდვას...“

გიორგი მესამეს მეფობის პერიოდში უფროდაუფრო ძლიერდება ანტიქართული ძალა. ამ დროს ნათლად ჩანს, რომ ჯარის სარდლობა ძირითადად არაეროვნული, არაპატრიოტული სულისკვეთებისაა, რომლისთვისაც სულ ერთია თავის მშობილურ ხალხს გაძარცვავს თუ მტერს, ასევე ბუნდოვანი და დაუჯერებელია მეფე გიორგი III-ის ბრძანება ქართული ქალაქებისა და რეგიონების დარბევა-გაძარცვის შესახებ. როგორც ჩანს დიდებულების უმეტესობა არაქართული წარმოშობის არიან, რომელთაც მიწათმოქმედებით ცხოვრება და მამულის მოვლა არ მიაჩნიათ თავის საქმედ და ცდილობენ ლაშქრობით იცხოვრონ. ე.ი. მათ არა აქვთ ათვისებული ქართული ტრადიციული ცხოვრების ეკონომიკური წესები და მეფეს სთხოვენ, ჰკადრებენ „არა არის ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობასა და რბევისა¹, ე.ი. ბრძოლის გარეშე თავს ვერ ირჩენენ. ქართველი მეფე კი გაუგონარ ბრძანებას იძლევა და ლაშქარს უნაწილებს სარბევად და საძარცვად ქართულ ქალაქებს. ტაოელებს, კლარჯებსა და შავშებს ბანასა და ოლთისის აძლევს, მესხებსა და თორელებს – კარსა და შაორნის, ამირსპარსალარს – ზაქარია მხარგრძელს – მტკვარს იქით განძამდე, ლინთ-იმერთა და ქართველთა – განძის დაყოლიებით მტკვრის პირებს იმიერ ხუთამდის, ჰერელთა და კახთა - ალაზნის სათავემდე².

ეს არის არა მეფური არამედ ყაჩაღური გადაწყვეტილება და დაუჯერებელია, რომ ეს ქართველ მეფეს ებრძანებინა. მემატინანე გაოცებულია გიორგი III ასეთი მოქმედებით: „რა ენამან, ანუ რა გონებამან ხელყო მოთხრობად, საწყენ საქმე იქმნას აღწერილი“³.

შეუძლებელია მეფეს ნორმალურ ვითარებაში თავის საწინააღმდეგო ბრძანება გაეცა, მას, რა თქმა უნდა, კრავად ეცოდინებოდა საკუთარ ხალხთან დაპირისპირება საბედისწერო შედეგს გამოიღებდა მისთვის და ბუმერანგივით დაუბრუნდებოდა უკან. ამდენად მიგვაჩნია რომ თუ ასეთი

¹ ჟამთააღმწერელი. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბ. 1959, გვ. 15.

² იქვე, გვ. 15.

³ იქვე, გვ. 15.

ბრძანება მართლაც გასცა მეფემ, ის აიძულეს ქვეყნისა და სამეფო კარისადმი, რბილად რომ ეთქვათ, არაკეთილგანწყობილმა სამხედრო მაღალჩინოსნებმა, რომელთა შორის დიდი ნაწილი ყივჩაღები და სომხები არიან. ამ დროს ამირსპარსალარია ზაქარია მხარგრძელი ძე ამირსპარსალარ სარგის მხარგრძელისა, რომლის სიკვდილის შემდეგ ზაქარია იკავებს მამის ადგილს. ვფიქრობ, მხარგრძელების ნაფიქრალი და ნაკარნახევია მეფის ასეთი სავალალო გადაწყვეტილება. ამაზე მიგვანიშნებს მემატინის სიტყვები: „ამას ესვითარისა სისრულესა და სოფლისა მონაგებთა და დადებულთასა აჰა, მოიწია ჟამი ევას წყევლისა და ადამის ცთომათაგან დანასაჯი ზაქარიასა და ძმისა მისისა იოანესადმის“¹.

ზაქარიასა და იოანეს „აზმანისა და შარავანდედინის“ ავტორის აღარებს კაენს, როგორც ძმათა მკვლელებს.

უდაოა, რომ სამეფო ჯარის მიერ ჩვენი მოსახლეობის დარბევა-გაძარცვა ერს მეფის საპირისპიროდ განაწყობდა და კანონიერი მეფის დავითის ძეს დემეტრეს ჩააგონებდნენ გიორგი III წინააღმდეგ გამოსვლას, რაც უკვე შიდა ომია. ამ ბრძოლაში სპასალარი ყუბასარი (ყივჩაღი) და ზაქარია მხარგრძელი (სომეხი) დაუნდობლად იბრძვიან ქართველი უფლისწულისა და მისი მომხრე ქართველი ღიდეზულების წინააღმდეგ. ამავე დროს, ნიშანდობლივია მეფე გიორგის სიკვდილი, რომელიც დემეტრეს ამბოხის შემდეგ არის აღწერილი.

გამოვლინდა, რომ მხარგრძელთა და სხვათა თხოვნა მეფისადმი შიდა ლაშქრობის შესახებ და ამაზე მეფის დასტური განდა შიდა აშლილობის, ამბოხის მიზეზი, რაც მტრის მიერ შორს გათვლილ ფარულ მიზანზე მიგვანიშნებს, რაც უფრო აშკარავდება მხარგრძელთა სამხედრო ხელისუფლებაში მოსვლისა და სამეფო კარზე აღზევების შემდეგ.

გამრეკელის სიკვდილის შემდეგ სარგის მხარგრძელის ამირსპარსალარად დანიშვნა იმის დასტურია, რომ პატრიოტი მესხი სარდლის გამრეკელის ნაცვლად ჯარის სათავეში მოვიდა არაეროვნული და არამართლმადიდებლური აღმსარებლობის პიროვნება, რაც ნიშნავს ანტიქართული ძალების გაძლიერებას საქართველოს მეფის კარზე. მხარგრძელს დაწინაურებაში ეხმარება სამხედრო ნიჭი და საბრძოლო გამოცდილება. „და განაჩინა ამირსპარსალარი სარგის მხარგრძელი, კაცი გუარიანი და აღზრდილი ლაშქრობათა შინა და კაშკაშობათა, და უბოძა ლორე სათავადო და სამთავრო სომხეთსა შინა წყალობა ძესაცა ზაქარიას, დალოცვითა, და ითაყვანა დარბაზის ყმად უმცროსი შვილი მისი ივანე“². რა თქმა უნდა, გიორგი მესამე ისე მოკვდა, აზრდაც არ მოსვლია მხარგრძელთა ასეთ აღზევებას რა შედეგი მოჰყვა საქართველოს ისტორიაში, ამასთან მთელი ოჯახი მამა და მისი ორივე შვილი სამეფო კარზე უპირველესი და მეფესთან ყველაზე დაახლოებული პირები გახდნენ მიუხედავად იმისა, რომ ამ ოჯახის წევრები არც ეროვნებით და არც რელიგიით ქართველები არ არიან.

„ესე ზაქარია და ივანე მხარგრძელის ძენი დაღაცა თუ მეფეთათვის ერთგულნი იყვნეს და დიდად გამოცდილნი ლაშქრობათა შინა, კაცნი სახელოვანნი, არამედ სჯულითა სომეხნი იყვნეს“³.

სომხური რწმენის ზაქარია და ივანე წარმომავლობით სომხებში უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მათი ზეობის პერიოდში ისინი აღარც ქართული მენტალიტეტის მატარებლები არიან და აღარც სომხურის, არც საქართველოს პატრიოტები არიან და არც სომხეთის, მათ ეროვნული ცნობიერება აღარ გააჩნიათ, ისინი ერთნაირად ძარცავენ, როგორც ქართულ, ისე სომხურ რეგიონებს, აწიოკებენ და არბევენ, როგორც ქართველ, ისე სომეხ მოსახლეობას, ამ საკითხზე მემატინე კომენტარებისა და გაცემების გარეშე საუბრობს: „და კუალად ლორით დაღმა წარვიდეს ორნი ძმანი, სარგისის ძენი, ზაქარია ამირსპარსალარი და მსახურთუხუცესი ივანე, მორშეგად რასისა პირისა, და მუნით წამოსულ იყვნეს ლაშქარნი დვინელნი, ბაჯნელნი და ამბერდელნი. მეკობრობად და მზერად ქარავნისა“⁴.

¹ ჟამთააღმწერელი. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 23.

² იქვე, გვ. 33.

³ იქვე, გვ. 33.

⁴ ჟამთააღმწერელი. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 60.

ამ სტრიქონების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამირსპარსალარი ზაქარია და მსახურთაუხუცესი ივანე არ გვანან ცივილიზებული ქვეყნის ხელისუფალთ, ისინი ყაჩაღური მენტალიტეტით მოქმედებენ, როდესაც სომხებსა და ქარავენებს მარცვავენ. მათ როგორც სამეფო კარის მაღალი თანამდებობის პირებს, გააზრებული უნდა ჰქონდეთ, რომ მეკობრეობა კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა და ამისთვის სახელმწიფო აგებს პასუხს. გარდა ამისა ისინი მიდიან არაქსის პირის მოსახლეობის დასარბევად. ასე ცივისსხლიანები აოხრებენ ძირძველი სომხური მიწების დასახლებულ პუნქტებს. ეს ფაქტი კიდევ ერთი არგუმენტია, იმის დასადგენად თუ ვინ მოსთხოვა გიორგი III საქართველოს რეგიონების რბევა და გაძარცვა. არაქსზე ლაშქრობის შემდეგ ძნელია ვიფიქროთ, რომ მხარგრძელებს სომხების მიმართ მშობლიური გრძნობა გააჩნიათ. მათში, აღზევებამ და გადიდკაცებამ ბოროტება, ეგოიზმი და სიზარბე გააღვივა და დაკარგეს ეროვნული და საერთო ადამიანური სახე.

განსაკუთრებით აგრესიულია ქართული რელიგიისადმი ზაქარია მხარგრძელი, ქვეყნის ამირსპარსალი. „და დარბაზს მასერებელი ზაქარია ამირსპარსალარი რასმე სიტყუასა ჰყოფდა ურწმუნოსა, რამეთუ სიტყვით გმობდა სარწმუნოებასა ჩვენსა“¹. თავისი რწმენის გამო, დარბაზის დალოცვის შემდეგ ზაქარიას არ მისცეს მღვდელელება ნაკურთხი თაფლაკვერა.

ეს ფაქტი მოწმობს, რომ სამეფო კარი პიროვნების რელიგიურ მრწამს გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს და პატრიარქი საკადრო საკითხებში ვერ ერევა აქტიურად და მხოლოდ საეკლესიო რიტუალების დროს იცავს სიმკაცრეს სხვა რწმენის ადამიანებისადმი და არ ერიდება ამირსპარსალსაც კი. რა თქმა უნდა პატრიარქი სამართლიანია და მართლმადიდებლური პრინციპებით მოქმედებს. ზაქარია არა მარტო ანტიმართლმადიდებელია, იგი ანტიქართული განწყობის კაცია – „მე არა შევერთვი ქართველთა“². – აცხადებს იგი ღიად და გაშლილად. რაც იმის მანიშნებელია, რომ ქვეგამხედველობა და ანტიპათია ქართველებისადმი მხარგრძელთა სახლს არ უნელდება- მიუხედავად მათი ქართველთა სამეფო კარზე ასეთი აღზევებისა, ეს კი გვაფიქრებინებს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ისინი გაიმეტებენ საქართველოს და თავიანთ კეთილდღეობას და სიცოცხლეს არ შესწირავენ ჩვენ ქვეყანას.

ზაქარიაზე უფრო ჭკვიანი და ვერაგი აღმოჩნდა ივანე მხარგრძელი, მან კარგად განჭვრეტა, რომ სომხური სარწმუნოებით ველარ შეინარჩუნებდა პატივსა და დადებას და ამიტომაც ეუბნება ზაქარიას შეიცვალონ რწმენა, მაგრამ ზაქარია უარზეა, ივანე კი მონათლა მართლმადიდებლად და არა მარტო შეინარჩუნა სამეფო კარზე მაღალი თანამდებობა, არამედ თამარის დროს ათაბაგი გახდა, ათაბაგობა ბევრად აღემატებოდა ვაზირის, უხუცესის და სპასალარის თანამდებობებს. სულთანის კარზე მიღებული ეს ტიტული მეფის მამასა და გამზრდელს შეესატყვისებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ათაბაგს მეფეზე დიდი ზეგავლენა ექნება და მეფემ უნდა გაითვალისწინოს მისი შეხედულებები და შეასრულოს მისი რჩევა.

ამ პატივის მიღებისას ივანე მხარგრძელი კვლავ გონივრულად და თავმდაბლობით, მაგრამ შორს მჭვრეტელურად იქცევა. თამარი ზაქარია მხარგრძელის სიკვდილის შემდეგ ამირსპასალარად ივანეს, მის ძმას ნიშნავს ეს ლოგიკურია, იგი მემკვიდრეობით პრინციპს იცავს უმაღლესი მთავარსარდლის შერჩევისას. ივანეს კი უფრო მეტი პატივი უნდა და ვერაგული მოკრძალებით ეუბნება მეფეს. „პატივი ესე, რომელთა პატივ-გიცემეს ჩემდა, დიდად დიდი არს და მე უღირს ვარ. ესრეთ შემეწიე, რათა ძმისა ჩემისა სახელსა ზედა არა ახსენებდნენ, რათა არა მრცხუენეს ნაცვლად იმისა დგომად, არამედ ათაბაგობითა პატივმეც, საქართველოსა არა არს წესად და ამით განადიდე წყალობა შენი ჩემზედა. რომელი მამად და გამზრდელად მეფეთა და სულტანთა იწოდების“³.

ბრწყინვალე მლიქვნელური სვლაა ათაბაგის ეს თხოვნა. ერთმხრივ, უხერხულობს ძმის თანამდებობა დაიკავოს და მეორე მხრივ, მეფესთან პირმოთნეობს მის მამად იწოდებოდეს. ამ

¹ იქვე, გვ. 82.

² იქვე, გვ. 90.

³ ჟამთააღმწერელი. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 110.

გზით იგი ერთდროულად თამარს ერთგულებას უმტკიცებს და მეორე მხრივ, უმაღლესი ხელი-სუფლების მოპოვებას ცდილობს. მეფის გულის მოწყალების მეშვეობით ივანე გახდა ათაბაგი. რაც საქართველოსთვის საბედისწერო აღმოჩნდა. მეფის „მამად“ მიიღეს კაცი რომელსაც ქართველების წინააღმდეგ უფრო მეტად უჭრიდა ხმალი, ვიდრე მტერთან ბრძოლაში.

ივანე მხარგრძელმა ათაბაგად დადგენის შემდეგ პირველი „გმირობა“ ფხოველთა აოხრებისა და ხოცვა-ჟლეტის დროს გამოიჩინა. ძნელია იმის გარკვევა როგორ მოხდა, რომ ჭართლელნი, ხადოელნი ერწოთიანელნი არ განუდგნენ მეფეს და უფრო ქვემოთ ბარისკენ მოსახლე ფხოველები გაუორგულდნენ. ან როგორ შეიძლება დიდო, ძურძუკი და ფშაველი ერთნაირად მივიჩნიოთ ქვეყნის მტრად. ფაქტია, რომ ივანე ათაბაგმა მთელი თავისი სამხედრო სტრატეგია გამოიყენა საქართველოს ამ ლამაზი მხარის ასაოხრებლად. „ივანე გონიერად ყო: ავიდა მთასა ხადოსასა და წარვლო წვერი მთისა და წარდგა მთისა ფხოველთასა და დიდოთასა... და იწყეს ზევიდალმან ბრძოლად და რბევად, და კვლად, და ტყუეობად და დაწუად: მოაწყვიდეს ურიცხვი კაცი დიდოი და ფხოვი. და დაყვნეს სამნი თვენი,¹

ქრისტიანი ფხოველები თუკი მართლა ვინმეს არბევდნენ დიდოელებსა და ძურძუკებს დაარბევდნენ, ცნობილი ფაქტია ხევსურთა და ქისტთა ურთიერთობის ისტორიიდან, რომ ისინი ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ. მესაქონლეობით განთქმულ ხევსურებს საქონელს ჰპარავდნენ ქისტები და დიდოელები. რაც აიძულებდა მათ საპასუხო ლაშქრობა მოეწყოთ მძარცველების წინააღმდეგ და დაელაშქრათ დიდოეთი და ქისტები, დაებრუნებინათ წართმეული საქონელი და ქონება, საზღაურით. შეუძლებელია ივანე ათაბაგს ეს არ სცოდნოდა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. მისთვის დიდო და ფხოველი სულ ერთია ის არბევს და ხოცავს ორივე ერის მოსახლეობას, არ ითვალისწინებს ეროვნებას და სარწმუნოებს, არ ანსხვავებს ვინ საქართველოს მაცხოვრებელია და ვინ გარეშე მტერი. ეს ფაქტიც მის ანტიქართულ განწყობილებაზე მეტყველებს. ფხოველთა აოხრებით იგი ზურგს უსუსტებს ქართულ სახელმწიფოს ჩრდილოეთიდან და გზას უხსნის იმიერკავკასიის ქართველთადმი მტრულად განწყობილ ურჯულო მთიელებს. საგულსინძოა, რომ ამ ბრძოლაში ქართველთა წინააღმდეგ ათაბაგი ძურძუკებს იყენებს, რომლებიც დამორჩილდნენ და გვერდში დაუდგნენ მას. თუ ძურძუკეთი დანებდა, რჩება ქართული მხარე-ფხოვი და დიდოეთი, რომელიც რამდენიმე აუღით შემოიფარგლება, მათ აოხრებას ერთი დღე არ დასჭირდებოდა. ე.ი. მთელი სამი თვე ათაბაგი ფხოვს აოხრებდა. ეს ფაქტი შემოინახა ფშავ-ხევსურეთის ზეპირსიტყვიერებამ. რაც მხატვრულად ასახა მწერალმა გრიგოლ აბაშიძემ თავის რომანში „ლაშარელა“. რა გმირობაა თამარ მეფის ლაშქრის სარდლისათვის ფხოვის ან დიდოეთის დალაშქრა! დარწმუნებული ვარ, ფხოველნი თავიანთი მეფის ჯარს არ შებმოდნენ, მით უმეტეს, ივანემ მთაზე აიყვანა ჯარი და იქიდან იბრძოდნენ, ცხადია, უშენდნენ ლოდებსა და ქვებს. ესეც ივანეს აგრესიულობაზე მიგვანიშნებს. ის გამარჯვებაში დარწმუნებული მიდის მთაში საომრად იმ ლაშქრით, რომელსაც წინ ვერც სპარსეთის და ვერც ოსმალეთის ჯარი ვერ უდგება, რა სალაპარაკოა მასთან ორი მთის დიდოეთისა და ფხოვის მოსახლეობის დაპირისპირება. ბუნებრივია, ისინი ძალიან უთანასწორო ბრძოლაში არ ჩაებმოდნენ. ივანე კი მაინც არბევს და ხოცავს მათ.

კიდევ ერთი „გმირობა“ ათაბაგმა უბედური რუსის მომხრე ქართველთა მიმართ გამოიჩინა, მაგრამ მონღოლთა წინააღმდეგ მას არც სამხედრო სტრატეგია აღმოაჩნდა, არც მთავარსარდლის უნარი და არც სიმამაცე. არც ბრძოლის ადგილი შეარჩია ქართველთათვის სასურველი და არც მტრის საბრძოლო ტაქტიკა და აღჭურვილობა გაითვალისწინა. ლაშა-გიორგის ამ ბრძოლის შედეგს ნუ გადავაბრალებთ. თითქმის ბავშვივით ეპყრობა მას მეფის „მამა“. ასე იყო განძაზე ლაშქრობისას, მიუხედავად იმისა, რომ ლაშამ მოიგო ომი განძასთან, ივანე მაინც მედიდურად თითქმის „ყურს უწევს“ მეფეს. მონღოლებთან ომში კი პირველი გარბის ბრძოლის ველიდან და

¹ იქვე, გვ. 111.

ტოვებს დაჭრილ მეფეს „სადა იგი დიდიცა ივანე ათაბაგი, სამეფოს სპასალარი ძლით ცოცხალი განერა“¹.

ივანე ათაბაგმა თავისი მოღალატური მოღვაწეობა, დაასრულა გარნიისის ომში, სადაც სამუდამოდ დაასამარა საქართველოს სამხედრო ძღვევამოსილება. მემატინე ჩვენსავით მკვეთრად არ წერს ლაღატსა და გამოძევებობაზე, მას ალბათ, ვერ გაუაზრებია ივანეს შორსგამიზნული ვერაგული მოქმედება და ახალციხელებისადმი შურით ხსნის მის უმოქმედობას მაგრამ შური აქ არ არის მთავარი, ერთ-ერთი ფაქტორი შეიძლება შურიც იყოს, მაგრამ ეს არ არის პიროვნებისადმი შური და მტრობა, ეს არის იმ სამხედრო ხელმძღვანელისადმი ქიშპი, რომელზეც ემყარებოდა ქართველი ჯარის სიძლიერე. ომში წინამბრძოლნი წყვეტდნენ გამარჯვების ბედს, პირველი შეტევა მესხებისა ახალციხელთა მეთაურობით ყოველთვის წარმატებული იყო და ძირითადი ჯარის ჩაბმა ომში ამთავრებდა ომს, მაგრამ გარნიისის ომში, როდესაც შალვა და ივანე ახალციხელები 4000 მესხით იწყებენ ომს ორასი ათასზე მეტ ჯალალედინის ურდოს წინააღმდეგ, ივანე ადგილიდან არ იძვრის. „აქა დაიპყრა ფერხი ივანე ათაბაგმან. იტყვიან, ვითარმედ შურით აყო ახალციხელთა შალვა და ივანესითა“². სპარსელი მემატინე ჯუვეინი წერს, რომ ქართული ლაშქარი მთვრალი იყო და სახეში ქარი და წვიმა სცემდაო, ამ ფაქტს გრ. აბაშიძეც აღწერს, რომანში “დიდი ღამე”, მაგრამ ჟამთააღმწერელი არაფერს ამბობს არც ჯარის სიმთვრალეზე, არც ქარსა და წვიმაზე. თუმცა ჯარი ნასვამი იყო თუ ფხიზელი, ათაბაგის მხრიდან ორივე შემთხვევაში ლაღატია.

ორგზის და სამგზის ახალციხელთა მიერ გაგზავნილი მაცნე სთხოვს ივანე ათაბაგს, ჩაებას ომში მეფის ჯარით. ის კი არც უკან დახევას უბრძანებს, არც ეხმარება. მთავარი ჯარის ომში ჩაბმით საბრძოლო სურათი მთლიანად შეიცვლებოდა, ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ოთხი ათასმა მესხმა იმდენი ზარალი მიაყენა მტერს, რომ მან ახალციხელთა დაცემის შემდეგ ბრძოლა აღარ გააგრძელა, ცხადია მთლიანი ჯარის ბრძოლაში ჩაბმით ჯალალედინის გეგმები ჩაიშლებოდა, უპირატესობას ვერ მიაღწევდა.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, გარნიისში ქართული ჯარის ბრძოლაში ჩაბმა არ შეიძლებოდა. ვფიქრობ, მართებული არ არის ასეთი დასკვნა, რადგან გარნიისის ციხე მაღლობზე დგას. „ჯალალედინი კი – როგორც ივანე ჯავახიშვილი წერს – დაბლობში დაბანაკდა, სიმაღლეები საქართველოს ჯარისაგან დაკავებული დახვდა“³. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართულ ჯარს სტრატეგიული უპირატესობა ჰქონდა და მისი დამარცხება, მხოლოდ ლაღატით თუ შეიძლებოდა. არა რიგითი მებრძოლის, არამედ მთავარსარდალის ლაღატით. რაც ივანე ათაბაგმა მაღალი კონსპირაციულ დონეზე შეასრულა, მოწინავე ჯარისადმი ვერაგობით. წინამბრძოლი სპის ძლიერ დარტყმას ქაოსი და დაბნეულობა შეჰქონდა მტრის რიგებში და დროულად ბრძოლაში ჩართული ძირითადი ლაშქარი იოლად გადათელავდა და ანადგურებდა მას. ათაბაგმა კარგად იცოდა ახალციხელთა ჯარის განწირვისა და დაღუპვის შემდეგ მეფის ჯარი ომს ვეღარ გაბედავდა, წინამბრძოლის გარეშე ლაშქარი დათრგუნულია. ამიტომ ვამტკიცებთ, რომ ათაბაგის ლაღატი ახალციხელებისადმი მხოლოდ შურით არ იყო, შურით რომ ყოფილიყო მისი ინერტულობა გამოწვეული, ახალციხელთა დაცემის შემდეგ იგი შეეცდებოდა ომის მოგებას და სახელის მოხვეჭას, ანუ მას შეეძლო დაეჩრდილა ახალციხელთა სახელი, მაგრამ ეს არ ქნა, „ათაბაგი უკუ იქცა ბიჯნისად, და სულტანი მიიქცია ადარბადაგანს და ნახჯევანს“⁴. თითქოს შეთანხმებული ყოფილიყვნენ, ახალციხელთა ჯარი ამოწყდა და ამით ათაბაგი და ჯალალედინი კმაყოფილებითი გაშორდნენ ერთმანეთს.

¹ ჟამთააღმწერელი. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 165.

² იქვე, გვ. 170.

³ ჯავახიშვილი ი. თხზულებანი, ტ. VII, თბ. 1978, გვ. 19.

⁴ ჟამთააღმწერელი. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბ. 1959, გვ. 171.

სულთანი არბევს და „ტყვეპყოფდეს და სრულიად უწყალოდ ზოცდეს, და არავინ იყო ნუგეშინის მცემელი მათი“¹. განა ეს ღალატი არ არის? მთელი ჯარი 4000 მესხის გამოკლებით თან ახლავს და ხელს არ ანძრევს ქვეყნის დასაცავად.

მნიშვნელოვანია აგრეთვე, ივანე ახალციხელის, შალვას ძმის დაღუპვა, რომელიც „მოიკლა ზემოდან ნასროლი ქვით, ზემოთ კი მხარგრძელის ჯარი იდგა. ეს უკვე ღალატზე მეტია, ეს მტრის მხარეს ბრძოლას უთანაბრდება. ცხადია, ვერც ის გაამართლებს ათაბაგს, რომ ვითომ ფარულად „მონაზონ-ქმნილიყო“. თორნიკეც ბერად იყო აღკვეცილი თორმეტათასიანი ჯარით 100 ათასიან სკლიაროსის არმიას მუსრი რომ გაავლო.

ივანე ათაბაგის ყოველი მოქმედების უკან მეტნაკლებად გამოვლენილი ღალატის ფაქტებია. იგი იმ დიდებულებს მეთაურობს, რომლებიც სამეფო კარზე აღზევებულნი მეფეზე დიდ გავლენას ახდენენ. ლაშა-გიორგის დროს კი მეფეს ულტიმატუმებით ელაპარაკებიან, როგორც განძის, ისე მონღოლთა წინააღმდეგ ომში. რაც ააშკარავებს მათ ოპოზიციურ განწყობას, ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი ძალები მძლავრობენ მეფის სასახლესა და დარბაზში, რომელსაც ივანე ათაბაგი მეთაურობს და შემდეგ მონღოლთა პერიოდში მისი შვილი ავაგ მხარგრძელი აგრძელებს ივანესავით კონსპირაციულად და მზაკვრულად.

Vakhtang Inauri
Samtskhe-Javakheti State University
IVANE ATABAGI AND BATLEE OF GARNI
RESUME

Ivane Atabagi was one of the important military and political figures of the 12th-13th centuries. His name is associated with the defeat of the Georgians in the battle against the Khwarazmians in Garnisi and the fall of the country. Which was caused both by his inert, treacherous actions towards Georgia and by his enmity towards Shalva Akhaltsikheli.

¹ იქვე.

პიეტრო დელა ვალე და ქეთევან დედოფლის წმინდანად გამოცხადების საკითხი

დელა ვალე ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილი შეიტყო ბასრაში, სადაც შეხვდა სამხრეთის მთავარ ვიკარს, ღომინიკანელ ბერს პატრ ფრა გრეგორიო ორსინის. ამის შემდეგ ის თვალს ადევნებდა ავგუსტინელების ინტერესსა და საქმიანობას დედოფლის განვლილი ცხოვრებისა და მისი ნეშტის შესწავლისადმი. ავგუსტინელი ბერების აზრით, არსებობდა წამებული დედოფლის კათოლიკური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხვის საფუძველი.

1624 წლის 12 სექტემბერს შაჰ აბაზის ბრძანებით დედოფალი ქეთევანი წამებით მოკლეს შირაზში. წმინდა დედოფლის წამებით სიკვდილისა და მისი ნეშტის შემდეგი ბედის შესახებ ბევრია ცნობილი და დაწერილი. ამჯერად საყურადღებოა პიეტრო დელა ვალეს ამ ტრაგედიასთან დაკავშირებული ცნობები.

ორსინი სპარსეთში იმყოფებოდა იმ დროს, როცა ქეთევან დედოფალი აწამეს. მან ეს ამბავი აღწერა და ვრცელი მოხსენების სახით წარადგინა რომში.¹

ქეთევან დედოფლის საფლავს, რომელიც ღრმა ორმო იყო, 1625 წლის 4 იანვარს მიაგნეს პორტუგალიელმა ბერებმა. ამბროსიო ღუმ-ანჟუმმა, ნეშტი ფრთხილად და მოწიწებით მიწისაგან გაასუფთავა, პატარა ყუთში ჩააწყო და შირაზში თავიანთ ეკლესიაში საიდუმლოდ გადაიტანა.² ნეშტი რომ უფრო საიმედოდ ყოფილიყო დაცული, იმავე ორდენის ბერებმა იგი ისპაანში გადაასვენეს, სადაც, დატოვეს 1626 წლის მარტამდე. ბერები შაჰის ბრძანებით მოულოდნელად დააპატიმრეს და შირაზში ჩაიყვანეს, სადაც 10 თვის განმავლობაში საპყრობილეში გამოკეტილი ჰყავდათ. ბოლოს ისინი ასევე მოულოდნელად გაათავისუფლეს.³

ავგუსტინელმა ბერებმა ჯერ კიდევ 15 წლის წინათ შეიმუშავეს პროექტი თავიანთი მისიონის საქართველოში დაარსების შესახებ, ამიტომ მათმა წინამძღვარმა მანუელ და მადრე დე დეუსმა ამბროსიო ღუმ ანჟუმში გოაში (ინდოეთი) გაგზავნა, რათა მათი პროვინციის მეთაურს მორჩილ ძმა ჟუაუ და რომას მოლაპარაკებოდა საქართველოში მისიონის დაარსების თაობაზე. მორჩილმა ძმამ გილიერმო ღუმ სანტო აგოსტინომ მეორედ იმოგზაურა საქართველოში.⁴ აგოსტინოს საქართველოში მოგზაურობის შესახებ არაფერია ცნობილი, მაგრამ რადგან გადაწყდა ბერების საქართველოში გაგზავნის და ძვირფასი ნეშტის ნაწილის წაღების შესახებ, უნდა ვიფიქროთ, რომ მათ წარმატებული მოლაპარაკება ჰქონდათ თეიმურაზ მეფესთან. ამიტომ ავგუსტინელ მისიონერთა პრეფექტმა ამბროზიოს ურჩია ნეშტი საქართველოში თეიმურაზ I-თან წაეღო. მისი აზრით, თუ ამ მომენტს მოხერხებულად გამოიყენებდნენ, შეძლებდნენ ავგუსტინელთა მისი-

¹ ღონ პიეტრო ავიტაბილე. ცნობები საქართველოს შესახებ (XVII ს.) / შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან ვიორგადისა, თბ., 1977, გვ. 53.

² Gulbenkian R. *Relation véritable du glorieux Martyre de la reine Kétévan de géorgie'* in Bedi. *Kartlisa-revue de kartvélogie* 40 (1982), (31–97); გულბენკიან რ., ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ / ფრანგულიდან თარგმნეს ი. ტაბაღუამ და ც. ბიბილეიშვილმა, თბ., 1987, გვ. 42. ძნელია იმის დადგენა, რომელ ან ვის ცნობას ეყრდნობოდა ალ. სავანელი, როცა წერდა, რომ ქრისტეს მოწამე ქეთევან დედოფლის სიკვდილის შემდეგ, სპარსეთის ქრისტიანებმა შეკრიბეს მისი წმინდა ნაწილები და დაკრძალეს „ეკლესიასა შინა, ქეთევანის მიერ აღმენებულსა ქალაქსა შირაზს“. ალ. სავანელი შემდეგ ლაპარაკობს ლათინი ხუცეს-მონაზვნების მიერ მოპარული, წმინდანის ერთი ნაწილის თეიმურაზ მეფისთვის ჩამოტანის შესახებ, რომელიც კათალიკოს ზაქარიას მონაწილეობით „დაჰკრძალეს ქვეშე სამღთოისა ტრაპეზისა ალავერდის სობოროსა“. სავანელი ალ. ცხოვრება ქეთევან დედოფლისა, ჟურ. ცისკარი, №12, 1857, გვ. 46-47.

³ მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს მოხსენება საქართველოზედ პაპი ურბანუს მერვესადმი, 1627 წ., გვ. 42.

⁴ იქვე, გვ. 43-44.

ონის დაარსებას საქართველოში. ავგუსტინელ მისიონერთა აღმოსავლეთის ვიკარმა, ქეთევანის ნემტის ერთი ნაწილის საქართველოში წასვენება დაავალა ამბროზიოს და მეორე პორტუგალიელ მისიონერს, სებასტიანს. პატრებმა ორჯერ სცადეს საქართველოში ჩასვლა, მაგრამ სებასტიანის ავადმყოფობის მიზეზით ვერ განახორციელეს. ბოლოს, როგორც ამბროზიოს მიერ 1628 წ. 20 ივნისს გორიდან გაგზავნილი წერილიდან ჩანს, ის და მორჩილი ძმა პედრო დუშ სანტოში 1628 წ. 11 მაისს, ხუთშაბათს, გორში მივიდნენ და ქეთევან დედოფლის ნემტის ერთი ნაწილი მიიტანეს.¹ ამბროზიოს თქმით ეს ერთი ნაწილი წმინდანის თავი იყო.²

თეიმურაზმა დიდი პატივით მიიღო პატრები, ამბროზიო თავის სასახლეში დააყენა. პატრებმა მაშინვე არ მოახსენეს მეფეს თავიანთი ჩამოსვლის მიზეზი. მაგრამ თეიმურაზისათვის ისედაც ცნობილი იყო, რომ მისი დედის ნემტს კათოლიკე მისიონერები ფლობდნენ. ამის თაობაზე პატრებისათვის მას თვითონვე უთქვამს. მან როცა შეიტყო, რომ პატრებმა თან მოიტანეს მისი დედის ნაწილები, დიდად გაიხარა.

მესამე დღეს, სპეციალური წირვის შემდეგ, რომელსაც მეფე და დედოფალი ესწრებოდნენ, ამბროზიომ მეფეს გადასცა ქეთევან დედოფლის ნემტის ნაწილი. ზ. ჭიჭინაძის მიხედვით, პატრებმა ქეთევან დედოფლის ნემტის ნაწილები თეიმურაზს კახეთში მიუტანეს.³ სინამდვილეში, მოთხრობილი ამბავი გორში მოხდა.

თეიმურაზმა პატრებს ჰკითხა, რას ისურვებდნენ? მათ მოითხოვეს გორში ისეთი მიწა, სადაც ეკლესიას და საცხოვრებელ სახლს აიშენებდნენ. მეფემ პატრებს ის ადგილი უბოძა, რომელიც მათ თვითონ აირჩიეს. მათ მიიღეს, აგრეთვე, რამდენიმე სოფელი და ყმა. პატრებმა მონასტერი და სახლი ააგეს გორში, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ნაგებობა იყო მთელ საქართველოში. აღწერილი ამბის მომსწრე და მონაწილე დონ ქრისტოფორო დე კასტელის მიხედვით: მისიონერებმა “თავიანთთვის იმოღეწა სახლი ააშენეს, რომ შიგ მოხერხებულად ცხოვრება შესძლებოდათ. ასევე ააგეს მოციქულთა თავადისადმი⁴ მიძღვნილი ეკლესიაც“.⁵ შემდეგში ავგუსტინელებს ბალიც ჰქონდათ გორში,⁶ მაგრამ არ ვიცით შეიძინეს თუ საჩუქრად მიიღეს.

დონ ქრისტოფორო დე კასტელის ნახატებზე ჩანს როგორი იყო მისიონერთა საცხოვრებელი სახლები ყველგან, სადაც მათ მოუხდათ ყოფნა. მათ საცხოვრებელ ადგილსამყოფელს, როგორც წესი, ღობე აქვს შემოვლებული, რომლის კართან დაბმულია ძაღლი. ეზოში არის სხვადასხვა დანიშნულების ხისგან ნაშენები ნაგებობა: ორსართულიანი აივნისანი სახლი, ეკლესია, ღარიბთა თავშესაფარი, დასასვენებელი სახლი სტუმრებისა და პატრებისათვის და სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა. ასეთი უნდა ყოფილიყო პატრების საცხოვრებელი გორში.

1629 წელს თეიმურაზ I პაპ ურბან VIII-ს აცნობებდა: “ერთი წელიწადია, რაც ისპაჰანიდგან წმინდა ავგუსტინეს წესის ყოვლად პატივცემულმა მამა ამბროზიომ მოგვიტანა მისი (ქეთევან დედოფლის – ე.მ.) გვამის ნაწილები. ამ სიკეთისათვის ჩვენც უხვად დავასაჩუქრეთ მამა იგი: მივეცი მამული, რათა საცხოვრებლად საკმაო შემოსავალი ჰქონდეს, ეგრეთვე ვუბოძეთ ადგილი, რათა შესაფერი ეკლესია აიშენოს და როგორც სასუფევლის სავანეში მუდამ ილოცოს ჩვენთვის“.⁷

თითქმის არაფერი ვიცით ავგუსტინელების გორში საქმიანობაზე. მათ მცირე ხანს იმოღვაწეს. 1632 წ. გორში შავი ჭირის ეპიდემია გავრცელდა. სენი ავგუსტინელთა სახლსაც მოედო

¹ ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, თბ., 1986, გვ. 134

² გულბენკიანი რ. ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ, გვ. 44. სხვადასხვა წერილებში, ლაპარაკია სხვადასხვა ნაწილებზე, იქვე, გვ. 77.

³ ჭიჭინაძე ზ., კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში, თფ., 1903, გვ. 55-56.

⁴ პეტრე მოციქული.

⁵ დონ ქრისტოფორო კასტელი. ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ / ტექსტი ვაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1976, გვ. 60.

⁶ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №1075, გვ. 22.

⁷ თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თფ., 1902, რეპრინტი, 2011, გვ. 108-109.

და ყველა იმსხვერპლა, ვინც იქ იმყოფებოდა: პატრი წინამძღვარი, მღვდელი, ერთი მორჩილი ძმა და ხუთი მსახური.¹ მისიონიდან გადარჩა მხოლოდ ამბროზიო, რომელიც ამ დროს ნახჭევანის ეპისკოპოსთან იმყოფებოდა.²

ამბროზიოს პირადად იცნობდა გერმანელი ადამ ოლიარუსი. მისი გადმოცემით ამბროზიოს სცოდნია რამდენიმე ენა: პორტუგალიური, ლათინური, ქართული, თურქული, სპარსული. ოლეარიუსის ყურადღება განსაკუთრებით იმან მიიპყრო, რომ პატრს შემუშავებული ჰქონდა ენების შესწავლის თავისებური მეთოდი.³

ბევრი დაწერილა და თქმულა ქეთევან დედოფლის რელიგიური მრწამსის, კერძოდ მისი კათოლიკობისადმი დამოკიდებულების შესახებ. დელა ვალეს, რომელიც გამოიჩინა კათოლიკური ეკლესიისადმი ერთგულებით და ბევრიც გააკეთა მისი გავრცობა-გამდიერებისათვის, კაცი რომელიც თავყვანს სცემდა ქეთევან დედოფალს, რაც გამოკვეთილად ჩანს მის ჩანაწერებში, არასოდეს უთქვამს, რომ წამებული დედოფალი კათოლიკედ აღესრულა. ასეთი ნეიტრალური პოზიციის დაკავება XVII საუკუნის პირველ ნახევარში არ იყო იოლი, როდესაც დელა ვალეს, კათოლიკური ეკლესიის მნიშვნელოვან ავტორიტეტს, წმ. ავგუსტინეს ბერები, ავგუსტინიანები, დაჟინებით სთხოვდნენ მხარი დაეჭირა ქეთევან დედოფლის მიერ სიკვდილის წინ კათოლიკობის აღიარებისათვის.

მაგრამ, ერთ ხანს დელა ვალეს, ვიდრე ის დედოფლის ცხოვრების ცალკეულ მომენტებს გაეცნობოდა და შესაბამის დასკვნებს გამოიტანდა, არასწორად მიაჩნდა, რომ დედოფალი შემწყნარებლური იყო კათოლიკობის მიმართ. 1618 წლის 25 ივლისს ერთ-ერთ წერილში ის აღნიშნავდა, რომ “დედოფალი მტკიცედ არის ჩვენს წმინდა რწმენაში“-ო. ამ ნათქვამის გასამყარებლად იმასაც ამბობდა, რომ მისმა ერთმა მეგობარმა რომლის სახელს ის რატომღაც არ ამბობდა, დედოფალს გაუგზავნა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც მას დიდი ხანია უნდოდა და განსაკუთრებით უყვარდა.⁴ როგორც ჩანს ქეთევან დედოფლის რწმენის შესახებ მოსაზრება დელა ვალემ რადიკალურად შეიცვალა მის გარემოცვის სასულიერო პირებისა და მარიუჩას მონათხრობის მიხედვით. ამ საკითხზე საუბარი უფრო ვრცლად ქვემოთ იქნება.

ამგვარად, დელა ვალემ ჭეშმარიტებას არ უღალატა და რომის პაპის ორჭოფული გადაწყვეტილებით, წლების განმავლობაში გაგრძელებული ეს პროცესი უარყოფითი შედეგით დამთავრდა. საბოლოო წერტილი რომის მიერ ქეთევან წამებულის წმინდანად გამოცხადების საკითხს დაუსვა, ყველაზე თავგამოდებული ავგუსტინელის, მამა ამბროზიოს აღიარებამ, რომ ქეთევან დედოფალს ქართული ეკლესია არასოდეს მიუტოვებია.⁵ ამ საკითხს მოგვიანებით კიდევ დავუბრუნდებით.

* * *

¹ დონ პიეტრო ავიტაბილე, *ცნობები საქართველოზე (XVII ს.)*, გვ. 60. ავგუსტინელი ბერების გორში მოსვლაზე, ქეთევან წამებულის ნეშტის ნაწილების ჩამოტანასა და მათი ხსნმოკლე საქმიანობის შესახებ იხ. *მამისთვალისშვილი ე. გორის ისტორია*, I, თბ., 2018, გვ. 404-411.

² დონ პიეტრო ავიტაბილე, *ცნობები საქართველოზე (XVII ს.)*, გვ. 31.

³ *Подробнее описание путешествия голштинского посольства в Московию и Персию составленное секретарем посольства Адамом Оларием // Чтения в Обществе Истории и Древностей Российских при Московском Университете*, №1, Москва, 1869, стр. 549.

⁴ *Viaggi di Pietro della Valle, il pellegrino descritti da lui medesimo in lettere familiari all'erudito suo amico Mario Schipano, divisi in tre parti cioè: La Turchia, La Persia, e l'India, colla vita dell'autore*. – BRIGHTON: G. GANCIA, 1843, VOL. II, p. 746. მადონას – ღვთისმშობლის კულტი განსაკუთრებით პოპულარულია კათოლიციზმში და აქვს უმაღლესი სტატუსი კათოლიკურ დღესასწაულების იერარქიაში.

⁵ *გულბენკიანი რ. ნაძვლიანი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ*, გვ. 22-23.

აღინიშნა, რომ ქეთევან დედოფალმა სიცოცხლის ბოლო წლები სამხრეთ სპარსეთის პროვინცია ფარსის მთავარ ქალაქ შირაზში გაატარა და იქვე წამებით აღესრულა. ვიდრე დედოფალსა და მის შვილიშვილებს შირაზში ჩაიყვანდნენ, მანამდე წლების განმავლობაში, დროის გარკვეულ მონაკვეთებში სხვადასხვა ქალაქებში ამყოფეს. ფარსიდან გორგიჯანიძე მოგვითხრობს: როდესაც შაჰ აბაზი ყარაბაღში მივიდა, თეიმურაზმა თავისი დედა, ქეთევან დედოფალი, და ელენე, და ორი შვილი – ლევანი და ალექსანდრე, “მრავალი ფეშქაშითა, სახვეწარი წიგნები ყაენს წინ მიაგება“. კმაყოფილ შაჰს მძევლების უკან დაბრუნება უნდოდა, არც ყიზილბაშები ყოფილან საქართველოში ლაშქრობის მსურველნი. მაგრამ იმ ქართველებმა, რომლებიც შაჰს ახლდნენ, დაარწმუნეს და გარანტია მისცეს, რომ მისი ჯარი გაიმარჯვებდა, “რადგან აქამდისინ მობრძანებულკართო, საქართველო ინადირეთო. ყაენმა მათი დაიჯერა, ბატონის თეიმურაზის დედა შირაზს გაგზავნა“.¹

ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს, რომ შაჰ აბაზმა დედოფალი და თეიმურაზის ვაჟები განჯიდან ჯერ ქალაქ აშრაფს გაგზავნა, სადაც ტყვეები ექვსი თვე გააჩერეს. იქიდან კი შირაზში გადაიყვანეს. შაჰ აბაზმა: „თუთ მისრულმან აშრაფს წარავლინა დედა და ძენი თეიმურაზისანი შირაზს პატიმრად, რომელნი განჯიდანვე წარავლინა აშრაფს“.² ბერი ეგნატაშვილის ამ ცნობაში შეიძლება კორექტივის შეტანა დელა ვალეს ერთი წერილის მიხედვით, რომელშიც გადმოცემულია მარიუჩას და ქეთევან დედოფლის მღვდლის, გიორგის საუბარი: მღვდელმა მოუთხრო თუ რა გადახდა დედოფალს და მის თანამგზავრებს ისპაანში³, მაგრამ არ ვიცით რამდენ ხანს ამყოფეს იგი სპასეთის სატახტოში. მაშასადამე, დედოფალი და თეიმურაზის ვაჟები განჯიდან ჯერ ქალაქ აშრაფს გაგზავნეს, იქიდან ისპაანში გადაიყვანეს, სადაც, როგორც დელა ვალე გადმოგვცემს დედოფალი თავისიანებს ჩამოაშორეს და შირაზში გაგზავნეს. ქეთევან დედოფალი შირაზში ამყოფეს თითქმის შვიდი წელი.

ესპანეთის ელჩი დონ გარსია დე სილვა ი ფიგეროა წერდა, რომ 1617 წლის 25 ნოემბერს როდესაც შირაზში ჩავიდა, ქეთევან დედოფალი ამ ქალაქში უკვე ერთი თვის წინათ ჩაიყვანეს.⁴ მაშასადამე, დედოფალი შვილიშვილებთან ერთად შირაზში ჩაუყვანიათ იმავე წლის ოქტომბრის დასარულს. დასახელებული ქრონოლოგიური თარიღები ჰქონდა მხედველობაში ზურაბ ავალიშვილს, როცა წერდა, რომ დედოფალი შირაზში იმყოფებოდა 1617-1624 წლებში.⁵

* * *

სამშობლოსკენ მიმავალ პიეტრო დელა ვალეს შირაზში მხოლოდ უნდა გაეგლო, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, რამდენიმე ხანს მოუწია იქ დარჩენა. მან იცოდა, რომ ამ ქალაქში იმყოფებოდნენ ქართველი დედოფალი ქეთევანი და ქართლის მეფე ლუარსაბ II, რომელთა შესახებ, როგორც მისი წერილებიდან ჩანს, კარგა ხანი იყო რაც ინფორმაციას აგროვებდა. მას განსაკუთრებით სურდა შეხვედრა ქეთევან დედოფალთან, მაგრამ, ეს ოცნება ვერ აისრულა, დედოფალმა არ ინება უცხო მამაკაცთან შეხვედრა. სამაგიეროდ ფეხშიშველი კარმელიტი პატრები სიამაყით წერდნენ, რომ ისინი ხშირად ხვდებოდნენ ქეთევან დედოფალს, რაც ფრიად საეჭვოდ

¹ ფარსიდან გორგიჯანიძე. საქართველოს ცხოვრება / ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ვიული ალასანიამ, თბ., 2022, გვ. 291.

² ქართლის ცხოვრება. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 587.

³ *Viaggi di Pietro della Valle, il pellegrino descritti da lui medesimo.*, II, p. 375.

⁴ *L'Ambassade de D. Garcias da Silva Figueros en Perse, contenant la politique de ce Grand Empire, les moeurs du Roi et une Relation exacted tous les lieux de Perse et des Indes ou cet Ambassadeur a este l'espace de huit annees qu'il y a demeure. Traduite de l'espagnol par Monsieur de Wictort.* Paris, 1667, p. 133; გულბენკიან რ. ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ, გვ. 62, შენ. 91.

⁵ ავალიშვილი ზ. თეიმურაზ I და მისი პოემა წამება ქეთევან დედოფლისა. დამატება: სამი ისტორიული საბუთი // „კავკასია“-ს გამოცემა, პარიზი, 1938, გვ. 51.

მიმანია და რატომ ამას ქვემოთ ვიტყვი. მაგრამ პატრმა მიქელ თამარაშვილმა გაიზიარა მათი ნათქვამი და ამიტომ წერდა: „ბოლო დროებში ქეთევან დედოფალს კარმელიტანების წესის პატრები ეწეოდნენ სულიერად და მათი ჩაგონებით გამხსნეველები კათოლიკედ აღესრულაო“.¹

* * *

დელა ვალე იმდენად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ავგუსტინელებში, რომ როდესაც 1627 წლის ოქტომბერს მათმა წინამძღვარმა მამა მანოელ და მადრე დე დეუსმა ქეთევან წამებულის სხეულის ერთი ნაწილი გოაში ჩაიტანა, 14 ოქტომბერს პიეტრო დელა ვალეს რომში მისწერა: „გოაში ჩამოვედი და ჩვენი მონასტრისათვის ჩამოვიტანე მთელი ხელი ხორციითურთ. დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენი ღრმად პატივცემული მოწყალეობა დააფასებდა ამას. ეს წმინდა ნაწილი შემოვინახე იმ პიროვნებისთვის გადასაცემად, ვისაც თქვენი ღრმად პატივცემული მოწყალეობა მიბრძანებს“.² ეს დოკუმენტი, ვატიკანის არქივში ინახება, მასზე არის პიეტრო დელა ვალეს მინაწერი: „წერილი ციტირებულია ჩემ მიერ შენახულ ცნობებში. 1631 წლის 5 ივნისს თეატინელი მამა დონ პიეტრო ავიტაბილესაგან მივიღე ქეთევან დედოფლის ქვედა ყბა. პერგამენტზე დაწერილი მისი წერილი ბიბლიაში მაქვს შენახული“.³ როგორც ჩანს, სპარსეთიდან ინდოეთში სხვადასხვა დროს გაიტანეს ქეთევან დედოფლი სხვადასხვა ნაწილები.

1628 წელს მამა ამბროზიო ღუმ ანჟუმმა გოაში წაიღო დედოფლის თავის ქალის ნაწილი – ქვედა ყბა ხორცისა და კბილების გარეშე. ეს ნაწილები საქართველოდან გოაში ჩასულმა დონ პიეტრო ავიტაბილემ და მამა ანტონიო დე სანტა ვინჩენცემ რომში წაიღეს. როცა ამის შესახებ გაიგო „პიეტრო დელა ვალემ მამა ანტონიოს სთხოვა, მამა ამბროზიოს მიერ დანაპირები, გოაში დარჩენილი მარჯვენა ხელის ნაცვლად მისთვის ეს წმინდა ნაწილი გადაეცა“. მამა პიეტრო ავიტაბილეს შუამდგომლობით, მამა ანტონიომ ესპანეთში გამგზავრების წინ, დელა ვალეს ჩააბარა ის რასაც ითხოვდა 1631 წლის ივნისში.⁴

მამა გრიგორიო ორსინის მიერ რომში 1627 წელს წარდგენილმა მოხსენებამ და პიეტრო დელა ვალეს „მოხსენებამ“, ავგუსტინელებისათვის სრულიად საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო: ამ ორგანიზაციას ხომ უნდოდა, რომ დედოფლის ნაწილის საქარველოში ჩატანით თეიმურაზისაგან მოეპოვებინა სამისიონერო საქმიანობის დაწყების და მისიის დაარსების უფლება. ჯერ კიდევ 1626 წელს პროპაგანდა ფიდეიმ გადაწყვიტა, ავგუსტინელების ნაცვლად თეატინელი მისიონერები გაეგზავნა საქართველოში. პიეტრო დელა ვალეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა თეატინელებთან და შეიძლება ვიფიქროთ, რომ მის მხარდაჭერას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა,⁵ რომ თეატინელებს თავიანთი მისია დაეარსებინათ საქართველოში, კერძოდ, გორში.

დელა ვალეს აზრით, მისიონერებს ისე უნდა ემოქმედათ, რომ შაჰ აბაზი არაფერში დაეჭვებულიყო და ქართველებს რაიმე ვნება არ განეცადათ.

¹ თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 88.

² პიეტრო დელა ვალესადმი გაგზავნილი ეს წერილი პორტუგალურ ენაზე დაცულია ვტიკანის არქივში. იხ. Arch. Vat. Fondo Della Vale _Del Buffalo, Vol. (S. N. I). დოკუმენტი კ. ალონსომ გამოაქვეყნა 1978 წელს. P. Carlos Alonso Misionares Agustinos en Georgia, Valiadolid, 1978, pp. 131-135; გულბენკიანი რ. ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ, გვ. 9-10, 51-52.

³ იქვე, გვ. 10.

⁴ იქვე, გვ. 10-11. ქეთევან წამებულის ნეშტის ნაწილები, როგორც ჩანს, გაიფანტა სხვადასხვა ქვეყნებში. მათი მოძიებისა და შეწავლის პროცესი მიმდინარეობს დღესაც. ვრცელი ბიბლიოგრაფია იხ. თეა ქართველიშვილის ნაშრომში: მეფე თეიმურაზი, წამება ქეთევან დედოფლისა / ახალი გამოცემისათვის ტექსტი მოამზადა, შესავალი და კომენტარები დაურთო თეა ქართველიშვილმა, თბ., 2017, გვ. 77-80.

⁵ Bartolomeo Fero, istoria della Missioni de Chierici Reglari Teatini . Con la descrizione de Rregni Provincie Citta, Luodhi Fefde, Ritti, e costume delle genti andarono e passarono, Roma, Gia FranCesco Buagni, 1704, t. I, pp. 24-35. დამოწმებულია: გულბენკიანი რ. ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ, გვ. 38.

თეიმურაზისადმი გამოთქმულ ვერც იმ ბრალდებას გავიზიარებ, თითქოს მან პოემა მას შემდეგ დაწერა და იმამყული-ხანი შეაქო, როდესაც ძმებს – იმამყული და დაუდ უნდილაძეებს დაუახლოვდა და იმპერიაში რიგით მეორე მბრძანებლისგან – იმამყული-ხანისგან დახმარების იმედი გაუჩნდა. როგორც არაპირდაპირი ცნობებიდან ჩანს, ძმები მანამდეც დაკავშირებული იყვნენ სპარსელების წინააღმდეგ მებრძოლ თეიმურაზ მეფესთან და გიორგი სააკაძესთან მარტყოფის აჯანყების წინ. თეიმურაზ მეფე წამებულ დედაზე გადმოგვცემს 76-ე სტროფში:

„მათ აწამეს წმიდა ესე სეკლენბერსა ათორმეტსა;¹

შვიდსა თვემდე მოგახსენებ სასწაულსა მეტისმეტსა;²

საქართველო აღებულა წელს ნაჭამი ათერთმეტსა,³

მარტში დარჩა მას მეუფეს ქრისტიანი, ნათლის სვეტსა“.⁴

როგორც ჩანს, ციტირებული სტროფი ასახავს რამდენიმე თვის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოში მომხდარ მთელ რიგ განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიულ მოვლენებს. სტროფი გონებამახვილურად და გასაგებად გაშიფრა კ. კეკელიძემ. მეცნიერის მიხედვით, რომლის ყოველ სიტყვას ვიზიარებ, თეიმურაზი ამბობს: “ქეთევანი აწამეს 12 სექტემბერს. მე მოგახსენებ დიდ, მეტისმეტ სასწაულს, - წერს თეიმურაზი,- რომელიც მოხდა ამ წამებიდან შვიდი თვის გასრულებამდე: შვიდი თვის შესრულებამდე, მარტში, ჩემ მიერ აღებულ ან დაკავებულ იქნა საქართველო, რომელიც თერთმეტი წლის განმავლობაში ნაჭამი, ექსპლუატირებული იყო სპარსთაგან. ამით ის, საქართველო დარჩა მეუფეს, სვეტისნათელს, ქრისტიან ქვეყნად“.⁵

Eldar Mamistvalishvili

Gori State University

PIETRO DELLA VALLE AND THE ISSUE OF CANONIZATION OF MARTYR KETEVAN

Much was written about the Queen Ketevan,-the martyred for Christianity, about her holy relics and her religious credo after her death. The resting place of her holy relics is known. As for the confession of the Queen, a lot has also been written about it. Catholic missionaries tried to confirm that the Queen Ketevan had converted to Catholicism before her death. Pietro Della Valle's position was important in establishing the truth of the matter. Della Valle was distinguished by his devotion to the Catholic church and did a lot for its expansion and strengthening. He worshiped the Queen Ketevan, which is clearly visible in his records. He had never said that the martyred Queen passed away as a Catholic. His writings played an important role in preventing the Roman Church from canonizing the Queen Ketevan. She was canonized by the Georgian Church.

¹ ქეთევანის წამება – 1624 წლის 12 სექტემბერი.

² მარტყოფის ბრძოლა მოხდა 1625 წლის 25 მარტს

³ სპარსელები საქართველოს პირველად შემოიჭრნენ 1614 წლის მარტში. 1614 წლის მარტიდან 1625 წლის მარტამდე 11 წელი გავიდა. ანონიმი ესპანელი წერდა, რომ ქეთევან დედოფალმა 11 წელი დაჰყო შირაზში. იხ. ლუის ხილი ფერნანდესი და ზოსე მანუელ ფლორისტანი, ქართველი მეფეების წერილები: სიმონ I-ის ქართლიდან ფილიპე II-ს და თეიმურაზ I-ის კახეთიდან ფილიპე IV-ს // საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, II, თბ., 1995, გვ. 404. შეიძლება, დედოფლის დატყვევებას ესპანელი 1613 წლიდან გულისხმობდა. ეგეც არ იყოს დედოფალი მხოლოდ შირაზში არ ამყოფეს, ის სხვადასხვა დროით სპარსეთის სხვა ქალაქებშიც ჰყავდათ.

⁴ 1625 წლის მარტში თეიმურაზმა დაიბრუნა ქრისტიანული სამეფო.

⁵ კეკელიძე კ. *ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი ლიტერატურა, II, თბ., 1958, გვ. 496.*

მდივანბეგი ციციშვილები სამეფო კარის სამოხელეო იერარქიაში

საციციანოს ისტორიისათვის ერთ-ერთ საინტერესო საკითხს წარმოადგენს საგვარეულო „სახლის“ ადგილის გარკვევა ქართლის სამეფოს სამოხელეო იერარქიაში. ციციშვილთა გავლენისა და ძლიერების, საფუძველი არა მარტო ყმა-მამულის მფლობელობა, არამედ გამორჩეულ წოდებრივ მდგომარეობას პრივილეგიური და შემოსავლიანი „სამოხელეო სახელოც“ განსაზღვრავდა. ჩვენი ნაშრომის მიზანია მეფის სასამართლოს მსაჯულთა შორის მდივანბეგ ციციშვილთა ვინაობის დადგენა, მათი მოღვაწეობის გარკვევა, სამოღვაწეო არიალის განსაზღვრა, მათი სამართალწარმოების სიღრმისეული გაცნობა და შეფასება.

ქართული სამოხელეო ინსტიტუტების მეცნიერული შესწავლა ივ. ჯავახიშვილის სახელს უკავშირდება.¹ სამოხელეო წყობას მეტად საინტერესო მონოგრაფია მიუძღვნა ივ. სურგულაძემ.² საკითხის შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა შ. მესხიამ.

მდივანბეგობის ინსტიტუტის შემოღების თაობაზე აზრთა სხვადასხვაობაა მკვლევართა შორის. ვ. გაბაშვილი მდივანბეგთა ინსტიტუტის წარმოშობას XV საუკუნის მეორე ნახევრის შუა წლებით ათარიღებს.³ მკვლევართა ნაწილი XVI ს. ვარაუდობს, სვიმონ I-ის ირანის ტყვეობიდან დაბრუნების შემდგომ.

ს. კაკაბაძის ცნობით, სვიმონ პირველი (1569-1578წწ.) სპარსეთში ტყვეობისას გაეცნო იქაური მმართველობის სისტემას და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შეეცადა იქ არსებული ზოგიერთი ინსტიტუტის შემოღებას 1578 წელს.⁴ ამ მოსაზრებას იზიარებს ა. ბაქრაძე⁵ თ. ენუქიძე,⁶ და მ. ლეკვეიშვილი თავის სადისერტაციო ნაშრომში.⁷

მეცნიერთა შორის, აზრთა სხვადასხვაობაა XVII-XVIII სს. მდივანბეგთა რაოდენობის თაობაზე. XVIII ს. II ნახევარში, მკვეთრად გაიზარდა მეფის მდივანბეგთა რაოდენობა. ივ. სურგულაძე XVIII ს. რამოდენიმე მდივანბეგის არსებობას ვარაუდობს, ხოლო XVIII ს. პირველ მეოთხედში - ერთდროულად სამ მდივანბეგს. დავით ბატონიშვილი ქართლ-კახეთში 8 მდივანბეგს ასახელებს, შ. მესხიას მოსაზრებით მათი რიცხვი 13 უნდა ყოფილიყო, მ. კეკელია სულ 28-ს ანგარიშობს, XVIII ს. 60-იანი წლებიდან XIX ს. დამდეგამდე.

მდივანბეგობას საპატიო და განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელოდ წარმოგვიდგენს იოანე ბატონიშვილი: „...უნდა იყოს მამულის ერთგული ... დიდი კაცის შვილი, რომ არავისი ეშინოდეს ...სწავლული, რომ უმეცრებით უსამართლო არ ქნას ... მდიდარი, რომ ქრთამმა არ მოატყუოს ... ჭკვიანი ...საზოგადო გულისა, რომ თვის მონათესავეს, მეგობარს არ მიუდგეს და იმის მხარეს არ დაიჭიროს სამართალი და ღვთის მოყვარე“.⁸ მდივანბეგები სათანადო ცოდნით გამოირჩეოდნენ, „ბრძენი“ და „საფილოსოფოსოთა წესითა აღჭურვილი უნდა ყოფილიყვნენ“. მდივანბეგობა ერთ-ერთ შემოსავლიან თანამდებობადაც ითვლებოდა. მისი სარგო, ულუფა და ჯამაგირი

¹ ივ. ჯავახიშვილი ქართული სამართლის ისტორია, თბ., 1930.

² ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ პერიოდში, თბ. 1952

³ ვ. გაბაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით(ენიძის მოამბე, XIII), თბ., 1943, გვ. 180.

⁴ ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, თბ., 1922, გვ. 27.

⁵ ა. ბაქრაძე, მდივან-მწიგნობრის სახელოს საკითხისათვის, მაცნე, თბ., 1966, №6, გვ.269.

⁶ თ. ენუქიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მდივანბეგთა ქრონოლოგიური რიგი, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი I, თბ..1971.

⁷ მ. ლეკვეიშვილი, მდივანბეგობის ინსტიტუტი გვიანფეოდალურ აღმოსავლეთ საქართველოში, 1953, გვ.23.

⁸ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა ტ.1, თბ., 1936, გვ. 203

უშუალოდ მეფის ბრძანებისამებრ ეძლეოდათ. ამის შესახებ ცნობები დაცულია „დასტურლამაში“, XVIII ს. ისტორიულ მასალებსა და ბეჟან არაგვის ერისთავის პავლე ციციანოვისადმი წარდგენილ მოხსენებაში.¹ სახელო მემკვიდრეობითი იყო, მაგრამ დოკუმენტურ წყაროებში ხშირად გვხვდება გამონაკლისი შემთხვევებიც.

მდივანბეგობის სახელო განსაკუთრებული მნიშვნელობის, „დიდი საქმეების“ განხილვით გამოირჩეოდა. მასში იგულისხმება როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო სამართლის და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე. მდივანბეგს ექვემდებარებოდა ის საქმეებიც, რომელთა მონაწილე მხარეები პირადად მას მიმართავდნენ.² ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით „დიდი საქმე“ შეიძლება ყოფილიყო: „მეფეთ ორგულობა“, საგვარეულო სახლის გაყრა, დიდებულთა შორის, სათავადოსა და საერისთავოში ჩამოვარდნილი დავა. დავით ბატონიშვილის ცნობით მათ ენდობოდათ სახელმწიფო საიდუმლოება.³ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XVII-XVIII სს. წყაროებში საკმაოდ მწირი ცნობებია სამეფო კარის მდივანბეგთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რაც მიანიშნებს, რომ მათი მოღვაწეობა მემატიანეების ყურადღების მიღმა აღმოჩნდა.

თ. ენუქიძის გამოკვლევაში, „აღმოსავლეთ საქართველოს მდივანბეგთა ქრონოლოგიური რიგი“. სხვა საგვარეულოს მდივანბეგთა მოღვაწეობასთან შედარებით მდივანბეგ ციციშვილთა მოღვაწეობა წყაროების სიმცირის გამო სათანადო სიზუსტითა და სიღრმით ვერ აისახა. ამის შესახებ თავად ავტორი აღნიშნავდა, „ზოგიერთ მდივანბეგთან მასალების სიმცირის გამო საკვლევი ნაწილი მცირეაა წარმოდგენილი-ო“.⁴ ქრონოლოგიური რიგიდან კი ამოღებულია ის მდივანბეგები, ვინც მხოლოდ ერთხელ მოიხსენიებოდა წყაროებში, ამიტომ ვერ მოხვდა პირველი მდივანბეგი თეიმურაზ ციციშვილი. ეს შესაძლოა იმითაც აიხსნებოდეს, რომ თეიმურაზი არ მოიხსენიება XIX ს. დამდგის დოკუმენტში, „მდივანბეგთა, მდივანთა და ლაშქარნივისთა სიაში.“⁵

XVIII ს. 30-იანი წლების ბოლოს ნადირ-შაჰის დაწყებული რეპრესიებითა და დამპყრობლური ზრახვების გამოაშკარავების შემდეგ ფარსადან ციციშვილი აჯანყებული ქართლის თავადებთან ერთად რუსეთის საიმპერატორო კართან დაახლოების, ერთმორწმუნე ქვეყნისგან დახმარების და ბაქარ ბატონიშვილის სამშობლოში დაბრუნების ინიციატივის მხარდამჭერი ჩანს. იმპერატორ ანასადმი გაგზავნილ, იესე ერისთავის შვილისა და ქართლის წარჩინებულთა 1738წ. წერილში ვკითხულობთ: „...მერმე დიდსა და ამაღლებულს კემწიფეს თავს ვაწყენთ და მოვახსენებთ, ქრისტეს გულისთვინ, ერთის გზით ქრისტიანობას უშველოს რამე. წახდა, დაიქცა ჩვენში ქრისტიანობა. პატრონი აღარ არის ამ ქვეყნისა ... ამ[ა]ს მოვახსენებთ, მეფეს ბაქარს წყალობა უყოთ და გამოისტუმროთ და ცოტა რამ ჯარი უბოძოთ; და ამ ქვეყნის საქმე ჩვენგან ითხოლოს.“⁶ აქტიურობდა სპარსელებისაგან დევნილი კახეთის მეფე თეიმურაზიც, რომელიც 1735წ. ბოლოს აგზავნის ელჩობას თავად როსების მეთაურობით.⁷ მას შემდეგ რაც აქტიური მცდელობა რუსეთისაგან დახმარების მიღებისა ჩაიშალა⁸ თეიმურაზმა ამჯობინა ირანის შაჰთან მორიგება, ციციშვილთა ნაწილმა მძიმე მდგომარეობის გამო ამჯობინა თეიმურაზთან დაახლოება და ყი-

¹ შ. მესხია, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1948, ნაკვ. (26), საბ. 63, გვ. 50.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, თბ., 1972, გვ. 638, დოკ. 497.

³ Царевич Давид, Обзорение Грузии по части прав и законовения, 1813, с. 548.

⁴ თ. ენუქიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მდივანბეგთა ქრონოლოგიური რიგი, მრავალთავი, თბ. 1971, გვ. 302.

⁵ შ. მესხია, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, თბ., 1948, ნაკვ. (26), საბ. 63, გვ. 55.

⁶ დ. ლომიძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის XVIII ს. მეორე მეოთხედში, მაცნე თბ., 1978, №1, გვ. 134.

⁷ Г. Г. Пайчадзе, Русско-Грузинские политические отношения в первой половине XVIII в. Тб., 1970, с. 190-196. შდრ. დ. ლომიძე, მაცნე, თბ., 1978, №1, გვ. 128-130.

⁸ ა. იოსელიანი, დოკუმენტები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან, საისტორიო მოამბე, თბ., 1946, №2, გვ. 388-390.

ზილბაშებთან მორიგება. ნადირშაჰს განჯას ეახლნენ ციციშვილები და მისგან შეწყალებულთ, ყმა-მამულებიც მიუღიათ.¹ სპარსულ² და ქართულ წყაროებში³ საციციანოს სარდლად სწორედ ქაიხოსრო ციციშვილი (1735-1746წწ.) მოიხსენიება,⁴ თეიმურაზ ციციშვილს, მოხერხებულობით თავისი და ცოლად მიუთხოვებია სპასალარისათვის და მდივანბეგობასთან ერთად, ყმა-მამულები სიძისგან წყალობის გზით მიუღია. ქართლში სარდლად მოვლენილი განჯის ხანის, უღული - ხანის მიერ გაცემული (1738წ.) წყალობის წიგნით ფარსადან და ქაიხოსრო ციციშვილებს განუახლა იბრემ ხანისა და სეფი ხანის მიერ ადრე გაცემული წყალობის სიგელები და უბოძა ახალი წყალობა.⁵ ამ საყურადღებო ცნობის ავთენტურობას ადასტურებს გოსტამაბიშვილებისა და ციციშვილების მამულის საქმის 1784 წ. განჩინება, რომელშიც გოსტამაბიშვილები ჩიოდნენ, რომ „ზემო წერაქვი ჩვენი სამკვიდრო მამული არისო; არც გასყიდვით, არც მეპატრონის წყრომით არ გამოგვრთმევიო; ნადირშას დროს მდივანბეგის თეიმურაზის და სპასალარს რომ ქალი მიგვარეს, მაშინ ციციშვილმა ქაიხოსრომ ერთი ბატონის სახასო თეთრი სოფელი, ერთი ეს ჩვენი სოფელი წერაქვი ... მაშინ სპასალარისაგან იშოვნაო; მერე თეთრს სოფელზედაც ხელი აიღოო ... ჩვენც სანატრელს მეფეს თეიმურაზთან ფარსადან მდივანბეგს უჩივლეთო, იმან გვიბოძაო სამართლითაო. მაგრამ წერაქვის გლეხები დაეყიდნაო, სოფელზე კი ხელი აიღოო.“⁶

ნადირ-შაჰმა უღული ხანი მალევე 1738 წ. მარტში სეფი ხანი ყანდაარში გაიწვია. სეხნია ჩხეიძე უღული ხანს განჯის ხანად მოიხსენიებს. მისივე ცნობით⁷ ჭარში ლეკებთან ბრძოლისას 1739წ. დაღუპულა. სავარაუდოდ მასთან ერთად დაიღუპა თეიმურაზიც, რადგან ამ დოკუმენტით წყდება მის შესახებ ცნობები. ამდენად, ზემოაღნიშნული პირველწყაროები საზგასმით ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, რომ ციციშვილთა საგვარეულოდან პირველი მდივანბეგი თეიმურაზ ციციშვილია.

მდივანბეგ ფარსადანის მოღვაწეობას თ. ენუქიძე 1763-1771 წწ. ათარილებს, ჩვენ მოვიძიეთ ადრეული პერიოდის საყურადღებო მასალები, რომელიც აზუსტებს მდივანბეგ ფარსადანის მოღვაწეობის ქრონოლოგიას.

ფარსადანი ქართლის სამეფო კარის გავლენიანი სარდლის ქაიხოსროს შთამომავალია პაპუნა ორბელიანის 1746 წ. ცნობით „გაგზავნეს მცირეს ჯარით ფარსადან ციციშვილი მცველად გზებთა, დახვდა მომავალთა, ლეკთა ნაშოვრითა და გაემარჯვა, დააყრევინეს ტყვე ანუ საქონე-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1977, გვ. 107, დოკ.49.

² სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ, წიგნი I, ნაკვ. 4 თბ., 1977, გვ. 15.

³ სცსსა,ფ.1448, საქმე 5715; ს.კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. V, ტფ., 1913, გვ. 51. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან

I თბ., 1940, გვ. 409, დოკ. №573, გვ. 413, დოკ. №578.

2 მ. მიჩიტაშვილი, საციციანოს ისტორია, წიგნი I, თბ.,2016, გვ.56.

3 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Qd- 848

4 ქართული სამართლის ძეგლები ტ. V, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1974, გვ. 243-246, დოკ.14

5 სეხნია ჩხეიძე საქართველოს ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწ. II. ახალი მოთხრობა 1469 წლიდან, ვიდრე 1800 წლამდე, გამოცემული მ. ჩუბინოვისაგან, სანკტ-პეტერბურგი, 1854, გვ.342.

6 სცსსა, ფ.1448, საქმე 5046.

7 სცსსა, ფ.1448, ს. 2401; ხეც. Qd – 2532; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 337, დოკ. 475.

ლი, ჩამოვიდა ქალაქს. უბოძა ბატონმა ხალათი და უიმედა წყალობა“. ფრაზა, „უიმედა წყალობა“ იძლევა ვარაუდის საფუძველს მისთვის მდივანბეგის სახელოს ბოძების. მართლაც, 1748 წ. განჩინებაში ციციშვილების მამულის საქმეზე, მეფის დაავლებით პირველად მონაწილეობს სამართალწარმოებაში.¹ მეფეს წყალობაც გაუღია, 1748 წ. ოქმით: „ბატონს მამაჩვენს ეს მამული ქვემო ციცი-შვილის ფარსადანისათვის ებოძებინა თავისის მამულის თელეთის სამაგიეროდ და თელეთი აბდულაბეგისათვის ებოძებინა, რადგან აბდულაბეგმა ხაინობა ქნა და ჩვენზე ბევრი სტყუა ფარსადანს ისევ თავის მამულს თელეთს ვუბოძებთ-ო...“² ცნობილია, რომ ერეკლე მეორემ 1748 წ. მოახდინა სასამართლოს რეორგანიზაცია და მდივანბეგების სასამართლო უწყება ჩამოაყალიბა. მდივანბეგთა რაოდენობის ზრდა 1778 წ. მსაჯულთ-შეკრებილებაზე გაცილებით ადრე იწყება.

ამ პერიოდში ზოგჯერ მეფე მასთან დაახლოებულ მსხვილ ფეოდალს მიანდობდა საქმის გარჩევას, შემთხვევითი გამონაკლისი არ უნდა იყოს, რომ XVIII ს. 50-იანი წლების საბუთების მიხედვით მსაჯულთუხუცესობის სახელოს ბოძებამდე სათანადო „წვრთნა“ უნდა გაეკეთებინათ ფარსადან ციციშვილს მეფის მეთვალყურეობის ქვეშ.

რაც შეეხება 1778 წ. მსაჯულთშეკრებულების ჩამოყალიბებას, ფაქტიურად ეს იყო ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისაკენ გატარებული რეფორმა, რომელიც აქამდე „შეუვალობით“ ცნობილი სათავადოების და საერისთავოების ფეოდალური საგვარეულოებისთვის სასამართლო-ადმინისტრაციული იმუნიტეტის საბოლოოდ გაუქმებას ნიშნავდა.

ამიერიდან, სასამართლოს ფუნქცია მხოლოდ მეფეს ეკუთვნოდა, როგორც სახელმწიფოს მეთაურს. XVIII ს. 80-იანი წლებიდან კი მსაჯულთშეკრებულებაში აქტიურობდნენ ბატონიშვილები. მეფე თეიმურაზისა და ერეკლეს ბრძანებით, ფარსადან ციციშვილი ამირინდო ამილახორისა და მისი ბიძაშვილების ყმა-მამულების (1754წ.) სადავო საქმის განსჯასა და გარიგებაში მონაწილეობს: „მღვთივ ცხებულს საქართველოს პატრონს მეფეს თეიმურაზთან და ძესა მისს კახთ მეფეს ერეკლესთან და საქართველოს პატრიარქს მეფის ძის ანტონისთან ჩივოდნენ ... ამათი სამართალი ჩვენ გვიბრძანეს ციციშვილს სარდალს ალექსანდრეს, აბაშიძეს პაატას, სარდლის-შვილს ფარსადანს და ეფისკოპოსს სამთავნელს ბენეტტეს. ჩვენ დავსხედით და ამათი საჩივარი გავშინჯეთ და ასე გავარიგეთ-ო“.³

1756 წლის ამილახვართა სახლიკაცობის საქმეზე, მორიგების წიგნის მიხედვით ფარსადანი საქმის გამრიგეა: „ქ. ჩვენ ამირახორი ამირინდო და ჩვენი სახლისკაცები სახლისკაცობაზე დავლაპარაკდით. და ბატონს არაგვის ერისთავს ჯიმშერს ვიახელით და ციციშვილი ფარსადანც გვერდთს იახლა. საუფლისწულოს საქმეზედ ვილაპარაკეთ და იმათის ბრძანებით და სიტყვით ასე გავრიგდით...“ საარქივო დოკუმენტის verso -ზე ბეჭდიდან იკითხება, „ფარსადან“.⁴

ვახტანგის სამართლის მიხედვით, თუ მეფის დამტკიცებული გადაწყვეტილება არ აღმოჩნდება სამართლიანი, ასეთი გადაწყვეტილების გამომტანს და მეფესთან დასამტკიცებლად მიმტანს მეფემ „უწყინოს და გარდაახდევინოს“. იგივე კანონმდებელი მოსამართლეს ავალებს, რომ სამართლის წიგნი ჰქონოდათ პროცესის დროს და განაჩენში უნდა მიეთითებინათ წიგნიდან ის თავი (მუხლი) რომელიც შეუფარდეს კონკრეტულ შემთხვევას, საჩივრის შემთხვევაში, რომლის უფლება თავისუფლად ეძლეოდათ, შესაძლებელი უნდა ყოფილიყო განაჩენისა თუ გადაწყვეტილების გადამოწმება.

მდივანბეგებისადმი კვლავაც არსებულ მოთხოვნას პასუხობს ფარსადან ციციშვილის მეორე სამოხელეო ბეჭდის ლეგენდა „მდივანბეგად განვისჯები, თუ გავდრიკე დავისჯები.“ მდივანბეგი

³ სცსსა, ფ. 1448, ს. 2401.

⁴ სცსსა, ფ. 1448, ს. 8728.

ფარსადან ციციშვილი ხშირად მოიხსენიება და ამტკიცებს 1761-1762 წწ. საბუთებს სამოხელეო ბეჭდით.¹ იგი მსაჯულია 1770-1771 წწ. სასისხლო საქმეების.²

ფარსადანი აქტიურად მონაწილეობს საგვარეულო ყმა-მამულის სადაო საქმეების განსჯასა და გადაწყვეტაში,³ იხილავს ვალის საქმეებს და ხშირად გვხვდება სახასო, საბატონო და საეკლესიო ყმათა განჩინებებში,⁴ თუმცა, უნდა ითქვას, რომ მდივანბეგთა დაქვემდებარებაში არ შედიოდა მონასტრების ყმა-მამულის მფლობელობის საქმეები. მართალია 1771-1777 წწ. ამოქმედდა

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 480-481, დოკ. 383; გვ. 483-484, დოკ. 386; გვ. 486, დოკ.390.

² **მსაჯულად მოიხსენიება სასისხლო საქმეებზე:** 1765წ. განჩინებაში დავით და ტეტია დიასამიძეთა სასისხლო საქმეზე. სცსსა, ფ. 1448, ს. 1123.

1770 წ. განჩინება ადამ ყარაგოზიშვილისა და ივანე ბურდულის სასისხლო საქმეზე. ხეც. დ-5247.

1770 წ. განჩინებაში დავით და ნიკოლოზ მირზაშვილების სასისხლო საქმეზე. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 600, დოკ 472.

1771 წ. განჩინებას იესე შურვანიშვილისა და როსტომ ხიდირბეგიშვილის სასისხლო საქმეზე, იქვე, გვ. 620, დოკ. 484.

1771 წლის განჩინება რევაზ ამილახორისა და ნიკოლოზ აბაშიძის მამულის საქმეზე, იქვე, გვ. 611, დოკ. 479.

1772 წ. ივანის განჩინება როსტომ თუხარელისა და ბერი ბოჭორიძის სასისხლო საქმეზე. სცსსა, ფ.1448, ს. 866.

1775 წ. ქარუმიძეებსა და მრულისშვილებს შორის სასისხლო დავა, ხეც. Hd -527.

³ **გადაწყვეტა ყმა-მამულის საქმე :** 1763წ. გაბაშვილთა მამულის საქმე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 487 დოკ. 391.

1765 წ. განჩინება ალიხანა არღუთაშვილის მამულის საქმეზე, იქვე, გვ.514, დოკ. 410.

1766 წ. რევაზ ამილახორის მამულის საქმე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. გვ. 525, დოკ. 417.

1766 წ. ზაქარია და ედიშერ ციციშვილის მამულის საქმე, სცსსა, ფ.1448, ს. 1282.

1766 წ. არზა ბეჟანა და ლომი გვარამაძეებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981, გვ. 104, დოკ.100.

1767 წ. ლუარსაბ ონანაშვილის ყმობაზე დავა გიორგი მირაშვილთან, სცსსა, ფ. 1448, ს. 226.

1768 წ. არზა პაპალა სანთლიკუდაშვილის მამულის საქმეზე, სცსსა, ფ.1448, ს. 446.

1769 წ. განჩინება ბერძნიშვილებისა და მირზაშვილის მამულის საქმეზე, სცსსა, ფ. 1448, ს. 5594.

1769 წ. განჩინება დათუა და კაცია კლიძიაშვილების მამულის საქმეზე, სცსსა,ფ.1450, დავთ 38, საბ. 30.

განიხილა და განუწესა: 1762წლის განჩინება გორჯასპი თუმანიშვილის ყმის ისაია გასპარაშვილის საქმე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ.,1972, გვ. 486, დოკ. 390.

1766 წ. არზა ზაქარია ბიჭიკაშვილისა ყმის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით, იქვე, გვ.496, დოკ.400.

1766 წ. განჩინება ბეჟანა დათასშვილის ყმის, აბუაშვილის საქმეზე, იქვე, გვ.518, დოკ.415.

1767 წ. ტეტია ყაფლანისშვილისა ყმის სარქისას საქმე, იქვე, გვ. 546, დოკ. 431.

1768 წ. ნინოწმინდელის ყმის ბერო ჯანაშვილის საქმე, იქვე, გვ. 552, დოკ. 435.

1768 წ. არზა ზურაბ კობალაძისა ყმის თაობაზე. ხეც. Hd - 782.

1768 წ. არზა დავითიშვილებისა ყმის საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 569, დოკ. 447.

1769 წ. განჩინება ზაალ გურამიშვილისა ყმის, ლორელი ავეტიქა ტერნაკაშვილის საქმეზე, იქვე გვ. 582, დოკ. 458.

1770 წ. არზა გოგია ციციშვილისა ყმის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით, იქვე, გვ.606, დოკ. 476.

1771 წ. განჩინება ჯავახიშვილებისა და ნინიაშვილების ყმა-მამულის საქმეზე, იქვე, გვ. 614 დოკ. 481.

1771 წ. ბეჟან სააკაძისა და დავით ორბელიანის ყმის საქმე, იქვე, გვ. 608, დოკ. 478.

1771 წ. ორბელიანთა ყმის ზურაბა ტერერაშვილის საქმე, სცსსა, ფ.1450 დავთ.10, ს. 28.

⁴ **გადაუწყვეტა ვალის საქმე:** 1762წლის არზა მამულა ბერიკაშვილის (სურამელი ურიას) ვალის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 483, დოკ. 386.

1766 წ. არზა თფილელ ქრისტეფორესი ვალის თაობაზე მდივანბეგების განჩინებით, იქვე, გვ. 525, დოკ.418.

1768 წ. განჩინება ასლანას შვილის პაპას ვალის საქმეზე. სცსსა, ფ. 1448, ს. 449.

1768 წ. არზა შიომ საყვარელიძისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1981. გვ.132, დოკ. 130.

დიკასტერია, რომელიც საეკლესიო დავებს არჩევდა, მაგრამ დოკუმენტური წყაროების მიხედვით მდივანბეგები იხილავდნენ, მხოლოდ ისეთ სადავო საქმეებს, რომელთა მომჩივარნი სასულიერო პირები იყვნენ, ან ეხებოდა ეკლესიის ან მონასტრის ინტერესებს, მოპასუხენი კი საერო პირები იყვნენ.¹

ფარსადან ციციშვილის მრავალმხრივ სამართალწარმოებაზე მიუთითებს საბატონო ყმების კუთვნილების დადგენის განჩინებები.²

ძირითადად იხილავს როგორც სახელმწიფო მოხელეთა საქმეებს,³ ისე საგვარეულო დავისა და გაყრის საქმეებს.⁴ უკანასკნელად ფარსადანი მდივანბეგად მოიხსენიება 1771 წლის 3 ივ-

¹ ადგენს საეკლესიო ყმების განჩინებებს: 1767წ. მიქელ მღვდელსა და პაპა ასლანაშვილს შორის ფულზე დავა, სცსსა, ფ. 1448, ს.449.

1768 წ. განჩინება [გორის] მთავარეპისკოპოსის ბესარიონის ყმის გოგილა ალადაშვილის საქმეზე. სცსსა, ფ. 1449, ს. 2144.

1768 წ. არზა სვეტიცხოვლის მოხელეებისა ყმების თაობაზე, სცსსა, ფ.1449, საბ. 2370.

1768 წ. არზა გიორგადის ყმობის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით, სცსსა, 1448, ს. 444;

1768 წ. განჩინებას ნინოწმინდლის ყმის ბერო ჯანაშვილის საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 552, დოკ. 435.

1768 წ. განჩინებას ამირეჯიბთა და ულუმბელთა ბატონყმობის საქმეზე, იქვე, გვ. 561 დოკ. 440.

1771 წ. განჩინებას ნინოწმინდის ყმის კულაშვილების საქმე, იქვე, გვ. 616-620, დოკ.483.

² დაადგინა ყმების კუთვნილება: 1762წ. განაჩენი თუმანიშვილი მდივანი გორჯასპის და ისაია გასპარაშვილის დავის გამო. საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ტ. III, თბ., 1910, გვ. 465, დოკ. 506.

1763 წ.იესე ამილახორიშვილისა და გიორგი ზარიძეს შორის ყმობაზე დავა, სცსსა, ფ. 1448, ს. 1140.

1765 წ.განჩინება პაატა მეთორის შვილის ყმის არუთინას საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 512, დოკ. 408.

1765 წ. არზით გიორგი იორამაშვილის ყმობის თაობაზე, იქვე, გვ. 515, დოკ. 412.

1765 წ. არზა პაპუნა ზაზიაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით, სცსსა, ფ. 1448, ს. 403.

1767 წ. არზა ჰახვერდიბეგისა ყმის თაობაზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ.,1972, გვ. 549-550, დოკ. 433.

1767წ. განჩინება ტეტია ყაფლანისშვილის ყმის სარქისას საქმეზე, იქვე, გვ. 546, დოკ.431.

1768წ. არზა ზურაბ კობლაძისა ყმის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით, იქვე, გვ. 566, დოკ.444.

1769 წ. განჩინება ზაალ გურამიშვილისა ყმის ავეტიქა ტერნაკაშვილის საქმეზე, იქვე, გვ. 582, დოკ. 458.

1770 წ. არზა გოგია ციციშვილისა ყმის თაობაზე, იქვე, გვ. 605, დოკ.476.

³ მდივანბეგებთან ერთად იხილავს და ამტკიცებს იხილავს სახელმწიფო მოხელეთა საქმეებს: 1766წ. მამულის გაცვლის წიგნი, მიცემული მირზა აბითურაბის შვილ ბაბაშისაგან სარდალ რევაზ ორბელიანისადმი. სცსსა, ფ. 1450, დავთ,15, ს. 99.

1766წ. სურამის მამასახლისის გვრიტის საქმეს, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ.534, დოკ. 421.

1768 წ. განჩინებას ერეკლე II-სა ქსნის ერისთავ დავითისა და ყულარაღას გიორგის საქმეზე, იქვე, გვ. 557, დოკ. 438.

1769წ. არზა ელისეთ მოურავის დავითისა, იქვე, გვ. 580, დოკ. 456.

1768 წ. განჩინება ზაქარია ციციშვილისა და დავით მირზაშვილის ყმის ჯობინაშვილების საქმეზე. სცსსა, ფ. 1448, ს. 5047.

1769წ. ნასყიდობის წიგნი მიცემული ქაიხოსრო აბაშიძისაგან, მდივანბეგ იესე(ოსეს შვილი) ბარათაშვილისადმი, დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.) შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძენიშვილმა, თბ., 1962, გვ. 330, დოკ.266.

1771 წ. განჩინება ბეჟან სააკაძისა და დავით ორბელიანის(სარდალ-სახლთუხუცესი) საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 608, დოკ. 478.

⁴ გაარიგა საგვარეულო დავისა და გაყრის საქმეები: 1763წ. ვალის ხელწერილი, მიცემული რევაზ გაბაშვილისაგან ზაზა თარხნიშვილისადმი, დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 289, დოკ.239.

1766წ.განჩინება ზაქარია და ედიშერ ციციშვილების მამულის საქმეზე, სცსსა, ფ.1448, ს. 1282.

ნისის განჩინებაში.¹ მდივანბეგ ფარსადან ციციშვილის გარდაცვალებისთანავე, მისი შვილი ემიკალასბაში თეიმურაზი მემკვიდრეობით იღებს მდივანბეგობის მეორე სამოხელეო სახელოს, ამ ცნობის სანდობას ადასტურებს 1771 წლის 13 დეკემბრის საბუთზე დართული მდივანბეგობის პირველი სამოხელეო ბეჭდის ლეგენდა. „მონა ღვთისა მდივანბეგი თეიმურაზ“.²

საკვლევი თემისთვის განსაკუთრებით საინტერესოა მდივანბეგ ემიკალასბაში, თეიმურაზ ციციშვილის მოღვაწეობა. თ. ენუქიძე მის მოღვაწეობას (1771-1793 წწ.) ათარიღებს, ჩვენ მივაკვლიეთ 1795 წლის 19 მაისით, დათარიღებულ საბუთს რომელშიც უკანასკნელად მოიხსენიება.³ მისი სამართალწარმოება დოკუმენტური წყაროების მიხედვით მრავალფეროვნებით და სიმრავლით გამოირჩევა ადგენს განჩინებას, გამოაქვს გადაწყვეტილება, როგორც ემიკალასბაში, სარგებლობს წინასწარი საგამოძიებო და აღმასრულებელ ფუნქციით იასაულებთან ერთად,⁴ სამწუხაროდ ემიკალასბაშითა სიაში⁵ არ მოიხსენიება თეიმურაზ ციციშვილი, მაშინ როცა, ამ სახელოს უტყუარობას ადასტურებს, თეიმურაზის სამოხელეო მეორე ბეჭდის ლეგენდა: „ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი ემიკალასბაში მყო მდივანბეგი“. შევეცადეთ ჩვენს ხელთ არსებულ პირველწყაროთა საფუძველზე სრულად გაგვერკვია მისი „განბრჭობილი და გარიგებული საქმენი“ და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაგველაგებინა. კვლევამ დაადასტურა მისი სამართალწარმოების სიმრავლე, ხოლო განხილულ საქმეთა არიალი მთელი ქვეყნის მასშტაბს მოიცავდა. საბუთების მიხედვით საკმაოდ მრავლად ყავს ყმები ქვემო საციციანოში ხატის თელეთსა და წაკვისში.⁶ ემიკალასბაშის სახელოს მიღებამდე სამოხელეო სამსახურში პირველად, იასაულად მოიხსენიება 1762-1765 წწ. საბუთებში.⁷

მდივანბეგ თეიმურაზ ციციშვილს ცოლად ჰყავდა კახეთის პირველი სახთუხუცესის⁸ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ასული ანა. ჩვენამდე მოღწეულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში Hd-

1766 წ. არზა რევაზ ამირახორისა მამულის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით, სცსსა, ფ. 1448, ს. 230.

1767 წ. განჩინება ჯავახიშვილების გაყრის საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 541, დოკ. 428.

1767 განჩინება კრწანელთათვის საუპატიოს დადების შესახებ ტყუილი დაფიცების გამო, იქვე, გვ. 545, დოკ. 430.

1768 წ. განჩინება ჯავახიშვილების გაყრის საქმეზე, იქვე, გვ.573, დოკ. 449.

1769 წ. არზა გიორგი საყვარელიძის მოახლის თაობაზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1981, გვ. 150, დოკ. 149.

1771 წ. არზა სოლომონ აბაზაძისა სამართლის მიცემაზე, იქვე, გვ. 172, დოკ.171.

1771 წ. ფიცის წიგნი მიცემული დავით, იესე და სხვა ერისთავების მიერ ბიძაშვილის ყულარალასის გიორგის და მისი შვილებისადმი, სცსსა, ფ. 1448, ს. 2860.

1770 წ. განჩინება (მდივანი) დავით და იოსებ ჯავახიშვილების გაყრის საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ.,1972, გვ.604, დოკ. 475.

1770 წ. არზა თეიმურაზ ჯავახიშვილისა საშუალოს მიცემაზე მდივანბეგთა განჩინებით, იქვე, გვ. 496, დოკ. 401.

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 620, დოკ. 484.

² 1771 წლის 13 დეკემბრის განჩინება ქიზიყის მოურავიანთ გაყრის საქმეზე, სცსსა, ფ. 1448, ს. 278.

³ 1795 წ. 19 მაისი, არზა ანტონ ფურცელაძისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით, სცსსა, ფ. 1448, ს. 417.

⁴ 1786 წ. არზა იასე ფავლენიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით, სცსსა, ფ. 1450, დავთ. 45, ს. 187.

1790წ. არზა გოდერძი ქურხულისა მოფიცვის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით, სცსსა, პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი 1461, რვეული №13, საბ.131.

⁵ ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში. ენციკლოპედიური ლექსიკონი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბ., 2017, გვ. 187.

⁶ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლებში, ტფილისის მიდამოების სოფლების 1781წ. ხალხის აღწერის დავთარი, თბ., 1967, გვ.165; 181-182. ქართული სამართლის ძეგლები ტ. V, თბ., 1974, გვ. 41, დოკ. 24.

⁷ 1762 წ. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის და ქონების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1981, გვ. 62, დოკ. 50. იქვე, 1765წ. არზაში სარიდან მდივანბეგის მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით, გვ. 87, დოკ. 81.

⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1981, გვ.51 საბ. 65.

6377 დაცული 1801 წ. 26 ნომბრის ნასყიდობის წიგნი, მიცემული თეიმურაზის შვილების ფარსადანის და დავითისაგან, გიორგი ვახტანგის ძე ციციშვილისა და მისი შვილებისადმი, სადაც საბუთს ამოწმებს მათი დედა, სახლთუხუცესის ასული ანა.

თეიმურაზ ციციშვილის თანამდებობასა და სარგოს შესახებ საინტერესო ცნობა შემოგვინახა, მდივანბეგ იოანე ჩოლოყაშვილის 1803 წლის არზა-სათხოვარმა, სადაც ვკითხულობთ, „მაქუნდა მე ტფილისსა შინა მდივანბეგობა რწმუნებული ... განწესებულისა თანამდებობისა სარგებლობისაგან კმაყოფილი ვცხოვრობდი საქართველოს შეძლებისამებრ და რაცა აქუნდა ულუფა და ჯამაგირი განსვენებულსა უწინარეს მოადგილესა ჩემსა, თავადს ციციშვილს, მდივანბეგს თეიმურაზს ... მოვიყვანებ საქართველოსა საზოგადოობილად განწესებულსა თუმანზედ ექვს აბაზს და აგრეთვე მამულისა სარჩელსა განსჯასა ზედანცა ღირებულად ფასდებასა თუმანზედ ექვს აბაზს, ჩემდა წილად ხდომილსა თეთრსა ას ორმოცდა ათ თუმნად...“¹ მდივანბეგ ემიკალასბაში თეიმურაზი 1782-1795 წლებში განაგებდა განჯის სახანოსაც.

1786 წ. 18 დეკემბერს ერეკლემ საგარეჯოში დიდებულთა თათბირზე, საგარეო ორიენტაციის გადასინჯვა, კერძოდ ოსმალეთთან ურთიერთობის მოგვარების საკითხი დააყენა. მოლაპარაკება საიდუმლოდ გაცილებით ადრე დაიწყო, სადაც გადაწყდა დესპანად ნიკოლოზ ორბელიანი და მდივანბეგ ემიკალასბაში თეიმურაზ ციციშვილი გაეგზავნათ. ახალციხეში დესპანის გაგზავნის თაობაზე საინტერესო ცნობა დაცულია 1783 წ. 31 იანვარს გენ. პავლე პოტიომკინის პატაკში ფელდმარშალ გრ. პოტიომკინისადმი. ამავე პატაკში ფელდმარშალი საქართველოდან მეორე საიდუმლო ინფორმატორის ცნობას აწვდის, ერეკლე II-ის თურქეთთან ფარული ურთიერთობის შესახებ. ინფორმატორი ხაზგასმით აღწერს ახალციხიდან სულთნის წარმომადგენლის ფარულად შემოსვლას, საზღვარზე მის ქართულ სამოსში გამოწყობას, რათა საიდუმლოდ ჩაეყვანათ თბილისში, ორი დღის შემდეგ კი იმავე გზით საიდუმლოდ გაუყვანიათ.² 1786 წ. 12 სექტემბერს ქართლ-კახეთისა და ახალციხის საფაშოს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებით ერეკლე იღებს ვალდებულებას, რომ ქვეყანაში მყოფი რუსის ჯარის რაოდენობა აღარ გაიზრდებოდა და რუსეთიდან დამატებითი ძალები აღარ შემოვიდოდა. ახალციხის ფაშა კი ქართლ-კახეთის საზღვრებთან ოსმალეთის ჯარებს არ დააყენებდა. 1786 წ. 26 დეკემბრის ერეკლეს გაგზავნილ წერილში პოტიომკინისადმი განუმარტავდა, რომ „ყოველის მკრიდან უძლიერესი მტერნი არიან ხუანთქრისაგან ჩვენს ქვეყანაზე აღძრულნი და მოსულნიო.“ მეფე ერეკლესგან საგარეო ორიენტაციის „გადასინჯვის“ მცდელობა, შემთხვევითი არ იყო და ცდილობდა შეესწავლა „მფარველისთვის“ ქვეყნის წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი. ისტორიული მასალა მიგვანიშნებს მეფის იმედგაცრუებაზე, რომ მოლაპარაკება ტრაქტატის დადებიდან მალევე დაიწყო და არაერთგზის მოუხდათ ქართველ დესპანებს ოსმალეთის კარზე სტუმრობა. ამკარაა რუსეთის დაზვერვა აქტიურად მუშაობდა არა მარტო ირან-ოსმალეთის ურთიერთობის საკითხებზე, არამედ საქართველოს საგარეო ურთიერთობებზე. საქართველოში მყოფი რუსეთის საიდუმლო ინფორმატორისგან ცნობა, საქართველო-ოსმალეთის ფარულ ურთიერთობაზე ასახულია გენერალ პავლე პოტიომკინის 1785 წლის იანვრის პატაკში. პავლე პოტიომკინის ინფორმატორი ერეკლე მეფის მდივან მიხაილ ენაკოლოფოვსაც დაკავშირებია. 1783-1786წწ. პოტიომკინის ფონდის საბუთების მიხედვით გასაიდუმლოებული ჩანს ერეკლე მეფის მოციქულთა ვინაობა და ელჩობის მიზანი.

პოლკოვნიკ სტ. ბურნაშოვის მიერ ერეკლე II-დმი გაგზავნილი წერილის თარგმანში (1787 წ. 10 მაისი), უკვე იდენტიფიცირებული უნდა იყოს ელჩები, სადაც შემფოთებული საუბრობს ელჩობის მიზანზე, თურქეთთან მეგობრული დამოკიდებულების დასამყარებლად მიმდინარე მოლა-

¹ შ. მესხია, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1948, ნაკვ.(26), გვ.51, საბ. 65.

² ი. ცინცაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1782-1791წწ.), საისტორიო მოამბე, თბ., 1970, №23-24, გვ.24-25, დოკ. №9, დოკ. №10.

პარაკებასა და თურქეთის წინადადების შესახებ.¹ ს. ბუტკოვი გენერალ პავლე პოტიომკინის ცნობაზე დაყრდნობით ადასტურებს, რომ ერეკლეს (1787 წ.) კვლავ გაუგზავნია ორი დიდგვაროვანი, რათა აღედგინა სულეიმან ფაშასთან კავშირი და მეგობრობა.² „თბილისის მდივანბეგად“ დაწინაურებულმა თეიმურაზ ციციშვილმა, როგორც ჩანს ღირსეულად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. ასეთივე ერთგული და მეფის ბრძანების სამართლიანი შემსრულებელია მსაჯულთშეკრებულობაში. მდივანბეგ-ემიკალასბაშის განხილულ განჩინებებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დარბაზის კარისა და საქვეყნო მოხელეების საქმეების სიმრავლე, სადაც მდივანბეგებთან ერთად ობიექტურად იხილავს და ამტკიცებს სახელმწიფო მოხელეთა საქმეებს,³ საეკლესიო პირთა სადავო საკითხებს⁴ და სამართლიანად განსჯის ყმების კუთვნილობის საკითხებს.¹

¹ ი. ცინცაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1782-1791წწ.), საისტორიო მოამბე, თბ., 1970,

№23-24, გვ. 97, დოკ. 71,76, გვ.112, დოკ. 90.

² П.Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа II, 1869 с.193.

³ **მდივანბეგებთან ერთად იხილავს და ამტკიცებს სახელმწიფო მოხელეთა საქმეებს:**

1772 წ. განჩინება ქაიხოსრო ჯაშიტაშვილისა და ზაზა ყორიასაულბაშის ვალის საქმეს, სცსსა, ფ. 1448, ს. 866.

1773 წ. განჩინება სულხან მდივნისა და მამუკა ბეგისშვილ იბრეიმის წყლით სარგებლობის საქმეზე, ხეც. Ad -991.

1774 წ. განჩინებას ქსნის ერისთავების მამულის საქმეზე, ხეც. Hd-5339.

1775 წ. განჩინება რევაზ ამილახორისა და გიორგი მინბაშის მამულის საქმეზე. სცსსა, ფ.1450, დავთ.13, ს. 145.

1776 წ. განჩინებას, დავით ორბელიანისა (სარდალ-სახლთუხუცეს) და (მდივანბეგ) იესეს ყმების საქმეზე, სცსსა, ფ. 1448, ს. 452.

1778 წ. ნასყიდობის წიგნი სარდალ მოურავ ციციშვილის დავითისა, საქართველოს სიძველენი, ეთაფაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1910, ტ. III, გვ.18, დოკ 19.

1779 წ. არზა იესე მსაჯულისა სახლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით, სცსსა, ფ.1448, საბ. 4562.

1782 წ. არზა იასე მსაჯულისა სამართლის მიცემაზე[იასეს ცხენების მოპარვის თაობაზე, სცსსა, 1448, ს. 4557.

1783 წ. გიორგი უთნელიშვილისა(სახლთუხუცესი) და იორამ ძრუელისშვილის სასისხლო საქმეზე, სცსსა, ფ.1448, ს. 4650.

1783 წ. განჩინება ქალაქის მოურავის დავითისა და იოანე თაქთაქიშვილის ყმების საქმეზე, ხეც. Hd - 1623.

1788 წ. განჩინება ერეკლე II-ისა ზაქარია მოურავისა და დავით აფხაზის ყმების საქმეზე, სცსსა, ფ. 1448, ს. 674.

1789 წ. მდივანბეგთა ზაალ ყაფლანიშვილისა და გოსტაშაბისშვილების მამულის საქმეზე, სცსსა, ფ.1448, ს. 470.

1790 წ. განჩინება ემიკაშასბაშ რევაზისა და სოლომონის გაყრის საქმეზე, სცსსა, ფ. 1448, ს. 456.

1792 წ. განჩინება ერეკლე II-ისა დავით და ზაზა ამირეჯიბების გაყრის საქმეზე ქართული სამართლის ძეგლები ტ. V, თბ., 1974, გვ.577, დოკ. 333.

1792 წ. არზა(უზბაშ) ზურაბ ფალავანდიშვილისა ყმის თაობაზე მსაჯულთშეკრებილების განჩინებით, იქვე, გვ. 579, დოკ. 334.

1793 წ. განჩინება გიორგი ვეზირიშვილისა(ნასალიბაშის ნაიბის) და დათუა გვერდწითლის მამულის საქმეზე, იქვე, გვ. 606, დოკ.348.

1793 წ. განჩინება ზაზა და დავით ამირეჯიბების გაყრის საქმეზე, იქვე, გვ. 616 დოკ. 353.

⁴ **გადაწყვიტა საეკლესიო პირთა საქმეები:** 1772 წ. განჩინება როსტომ თუხარელისა და ბერი ბოჭორიძის სასისხლო საქმეზე, სცსსა, ფ.1448, საბ.866.

1775 წ. განჩინება ამილბარ (კათალიკოზის) სახლთუხუცესისა და გლახა თარხნიშვილის სასისხლო საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ.681, დოკ. 527.

1780 წ. განჩინება მამულა თარხნიშვილის ყმების (ვესტათის ეკლესიის) ხახანაშვილების საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები ტ. V, თბ., 1974, გვ. 102, დოკ 62.

1781 წ. განჩინება დავით გარეჯის მონასტრისა და ვასილ ნაკულაშვილის მამულის საქმეზე, იქვე, გვ. 164, დოკ. 96.

1782 წ. განჩინება ნათლისმცემლის მონასტრისა და გოგობდაშვილების მამულის საქმეზე, სცსსა, ფ. 1449, ს. 2773.

1784 წ. განჩინება ანტონ I-ისა ელიოზიშვილების ყმის მამულაშვილის საქმეზე. სცსსა, ფ.1450, დავთ. 29. ს. 50.

1786 წ. განჩინება გიორგი XII-ისა ნიქოზელისა და ფავლენიშვილების ყმა-მამულის საქმეზე. სცსსა, ფ. 1449, ს. 2411.

1784 წ. განჩინება ანტონ I-ისა ელიოზიშვილების ყმის მამულაშვილის საქმეზე. სცსსა, ფ. 1450 დავთ. 29. ს. 50.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მეფე ზშირად „უმართებლოთ განწესებულთ“ საქმეების მოსაგვარებლად გამოცდილ და „მისანდობელ“ თეიმურაზს, ადგილზე მდივნის თანხლებით აგ-ზაენის და ავალებს სასამართლოს განაჩენის სისრულეში მოყვანას, მის სახელოს დაქვემდებარებაში მყოფი იასაულის ხელით. 1775წ. განჩინება რევაზ ამილახორისა და გიორგი მინბაშის მამულის საქმე ადრე მოსამართლეებს განუხილავთ. ამილახორის შვილი, მინბაში გიორგი ახალი არხით მიმართავს „მათის უმაღლესობას,“ რადგან ადრე „განწესებულთ უმართებლოთ მოსვლოდათ,“ კვლავ ამის გასინჯვა და განაჩენის აღსრულება ებრძანებინა მეფეს, ციციშვილის მდივანბეგის თეიმურაზისა და თუმანიშვილის სულხან მდივნისათვის.²

თეიმურაზი მონაწილეობს სასისხლო საქმეების განხილვაში,³ სადაც დაცულია მოხელეთა იერარქიული პრინციპი, განსაზღვრულია ვერგელდის (სისხლის ფასის ოდენობა). „მათის უწმინდესობის კათალიკოზის სახლთუხუცესი ამილბარ სამართალში ჩიოდა ... მსაჯულები მხოლოდ ახალი განწესებით კი არ ხელმძღვანელობენ „მათის სიმაღლის მეფისაგან ახალი განწესება არის: რომელიც კაცი ფათერაკად კაცს მოჰკლავს, მთელი სისხლი უნდა დაუურვოს-ო“. ვახტანგის სამართლის წიგნით, სისხლის ფასის შესახებ, „ამილბარსა სალთხუცესს მესამე თავადის სისხლი სდის ... ერთის ქერის მარცვლის სისხლი ვ ძ (ექვსი თუმანი და სამი მინალთუნი...)“

1790 წ. ნათლისმცემლის მონასტრის საბუთი, საჩივარი წმინდის ნათლისმცემლის ყმის თანდილასი. ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგნი V, თბ., 1913, გვ.109-110.

1790 წ. არზა გოდერძი ქურხულისა მოფიცრის თაობაზე, სცსსა, პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი 1461, რვეული №13, საბ.131.

1792 წ. განჩინება დავით და რევაზ თაყაშვილების ყმა-მამულის საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები ტ. V, თბ., 1974, გვ. 569, დოკ. 328.

¹ **განსჯის ყმების კუთვნილების საკითხებს:** 1774წ. განჩინება ავთანდილ და ქაიხოსრო ფანველიშვილის ყმის საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 664, დოკ. 514.

1777 წ. განჩინება მზეჭაბუკ ორბელიანის (მდივანბეგი) ყმის ავაქას საქმეზე, სცსსა, ფ. 1448, ს. 2394.

1782 წ. განჩინება შანშიაშვილების ყმების საქმეზე, ყმები შანშიაშვილს მოლარეს მოაბაროს. სცსსა, ფ.1449, ს. 580.

1786 წ. განჩინებაში გედევანიშვილების ყმის ჯავახი ზურაბის საქმეზე, ხეც. Hd -2851.

1791 წ. განჩინება სოლომონ ბებურიშვილის ყმების საქმე, სცსსა, ფ. 1448, ს. 1210.

1791 წ. განჩინება ზაზა მაღალაშვილის ყმის, თევდორე ბიძინაშვილის საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები ტ. V, თბ., 1974, გვ. 531, დოკ. 305.

1792 წ. განჩინება დავით და რევაზ თაყაშვილების ყმა-მამულის საქმეზე, იქვე, გვ. 568, დოკ. 328.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 672, დოკ. 520.

³ **მონაწილეობს სასისხლო საქმეების განხილვაში:** 1775წ. განჩინება სულხან ხიმშიაშვილისა და შალუა პირმისაშვილის სასისხლო საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 667, დოკ. 516.

1775 წ. განჩინება ქარუმიძეებისა და მრულისშვილების სასისხლო საქმეზე, იქვე, გვ. 683, დოკ. 528.

1775 წ. განჩინება სულხან ხიმშიაშვილისა და შალუა პირმისაშვილის სასისხლო საქმეზე, იქვე, გვ. 667, დოკ. 516.

1782 წ. განჩინება შერმაზან აფხაზიშვილის მკვლელობის საქმეზე, სცსსა, ფ. 1448, ს. 5524.

1783 წ. გიორგი უთნელიშვილისა(სახლთუხუცესი) და იორამ მრუკლისშვილის სასისხლო საქმეზე. სცსსა, ფ. 1448, ს. 4650.

1791 წ. განჩინება ზაზა და დავით მაღალაშვილებს შორის სასისხლო საქმეზე, ხეც. Hd -14187.

1793 წ. განჩინება ბერი ფრიდონაშვილისა და გიორგი ქართველის სასისხლო საქმეზე, იქვე, სცსსა, ფ.1448. ს. 303.

1793 წ. განჩინება გიორგი მორდლისა და ბარამ ნაზირის სასისხლო საქმეზე, სცსსა, ფ. 1448 საბ. 9663.

1775 წ. განჩინება ამილბარ სახლთუხუცესისა და გლაზა თარხნისშვილის სასისხლო საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 681, დოკ. 527; იქვე, 1775წ. განჩინება ქარუმიძეებისა და მრულისშვილების სასისხლო საქმეზე, გვ. 683, დოკ. 528

1789 წ. განჩინება ზაალ ყაფლანიშვილისა და ერასტი გოსტაშვილის სასისხლო საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები ტ. V, თბ., 1974, გვ. 447, დოკ. 261.

1793 წლის განჩინება ფრიდონაშვილისა და გიორგი ქართველის სასისხლო საქმეზე, იქვე, გვ. 599, დოკ. 345.

1793 წლის განჩინება გიორგი მორდლისა და ბარამ ნაზირის სასისხლო საქმეზე, იქვე, გვ. 590, დოკ. 341.

1793 წ. განჩინება გიორგი ვეზირიშვილისა და დათუა გვერდწითელს შორის საზღვარზე ცილება, ხეც. Hd - 8516.

ჭრილობის ზომის განსაზღვრისთვის გამოყენებულია ქერის მარცვლები.¹ თუ დამნაშავე „ნაბჭობი სისხლის“ გადახდას თავს აარიდებდა, მას კანონი ჯარიმას დააკისრებდა, მაგრამ ხელმოკლეობის გამო თუ ვერ გადაიხდიდა, მაშინ ის მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით მიეცემოდა და ზარალებულ მხარეს და ამ უკანასკნელის საკუთრებაში ან მის ვასალობაში გადადიოდა. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცილისწამებისას გამოყენებული სასჯელებიდან გვხვდება ქონებრივი სანქცია და კერძო სახის სასჯელები.²

საბუთებში ხშირია განჩინებანი, რომლითაც მეფე და მსაჯულები ყველანაირად ცდილობენ შეეჩერებინათ ფეოდალური სახლის რღვევა ერთიანობის შენარჩუნებით.³ ჩვენამდე მოღწეულია 1780 წლის განჩინება მდივანბეგისა და გივი ფარეშთხუცესის მამულის საქმეზე „მისის სიმაღლისათვის არზა მიერთმია თეიმურაზ მდივანბეგს და გივი ფარეშთხუცისათვის ეჩივლა.“ მეფე ერეკლეს ოქმით, წავკისში მამულის თაობაზე წამოწეული დავა მორიგებით დასრულებულა.⁴

ემიკადასბაშ მდივანბეგის სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმედ ყმა-მამულის სადავო საქმეები წარმოადგენდა, განსაკუთრებით საყურადღებოა ყმათა აზატობისა და ტყვეობიდან დაბრუნებული ყმათა საკითხი, ასევე ჯავახეთიდან და მეზობელი ქვეყნებიდან გამოყვანილ გლეხთა ადგილზე მშვიდობიანად დამკვიდრების საკითხი.

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 681, ლოკ. 527.

² **ქონებრივი სანქცია და კერძო სახის სასჯელებზე სამართლის მიცემა:** 1773წ. არზა იოსებ გლურჯიძის სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1981, გვ. 229, ლოკ. 231.

1774 წ. არზა ბერძენა ჭოჭყიაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ისა და მდივანბეგების, იქვე, გვ. 269, ლოკ. 275.

1776 წ. არზა გივი ყანდუაშვილისა წისქვილის თაობაზე მდივანბეგთა წერილითა და ერეკლე II-ის ოქმით, იქვე, გვ. 355, ლოკ. 370.

1779 წ. არზა რევაზ გედევანიშვილის ქვრივის თინათინისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით. სცსსა, ფ. 1448, ს. 212.

1779 წ. განჩინება გლახა როჭიკაშვილისა და პაატა მეითრის შვილის სასახლის საქმეზე, ხეც. Hd-13159.

1780 წ. არზა გლახა თარხნიშვილის ხარის თაობაზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1981, გვ. 463, ლოკ. 490.

1781 წ. არზა ადამ ყარაგოზისშვილისა განაჩენის აღსრულების თაობაზე მდივანბეგთა ოქმით, იქვე, გვ. 496, ლოკ. 525.

1783 წ. არზა ზაალ დავითაშვილისა ყმის თაობაზე მდივანბეგთა ოქმით, იქვე, გვ. 590, ლოკ. 623.

1785 წ. ზაქარია და ლუარსაბ ონანაშვილის გაყრის საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები ტ. V, თბ., 1974, გვ. 306, ლოკ. 187.

1788 წლის განჩინება კიკოლა ციციშვილისათვის საუპატოს გადახდის თაობაზე, გვ. 416-417, ლოკ. 243; 1788წ. განჩინება აბაზაძეთა ვალის საქმეზე, იქვე, გვ. 428, ლოკ. 249.

1789 წ. განჩინება იოანე დოღენჯიშვილის ობლის ვალის საქმეზე, სცსსა, ფ. 1448, ს. 317.

³ **გადაწყვეტა საგვარეულოს სადაო და გაყრის საკითხები:** 1771წ. განჩინება ქიზიყის მოურავიანთ გაყრის საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 623, ლოკ. 487.

1776 წლის განჩინება ზაქარია მოურავიშვილისა და მისი სახლისკაცების საერთო ქონების საქმეზე, იქვე, გვ. 689, ლოკ. 534.

1776 წ. განჩინება ზაქარია მოურავიშვილისა და მისი სახლისკაცების საერთო ქონების საქმეზე, იქვე, გვ. 689, ლოკ. 534.

1777 წ. განჩინება ზაქარია და დიმიტრი ციციშვილების მამულის საქმეზე, ხეც. Hd-866; რამაზ და იოსებ გლურჯიძეებს შორის ვენახზე დავა, ხეც. Hd-7262.

1780 წ. ციციშვილების სახლისკაცობის რიგი, გაჩენილი მოსამართლეთა მიერ, სცსსა, ფ. 1448, ს. 874.

1788 წ. განჩინება ხიმშიაშვილების მამულის საქმეზე, სცსსა, ფ.1448, ს. 5598.

1788 წ. განჩინება ბეცია გედევანიშვილისა და ბესარიონ თარხნიშვილის ყმის საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები ტ. V, თბ., 1974, გვ. 196 ლოკ.118; იქვე, 1790წ. განჩინება ემიკადასბაშ რევაზისა და სოლომონის გაყრის საქმეზე, გვ. 488, ლოკ. 281.

1792 წ. განჩინება ერეკლე II-ისა დავით და ზაზა ამირჯიბების გაყრის საქმეზე, იქვე, გვ. 579, ლოკ. 333.

⁴ 1780 წ. განჩინება თეიმურაზ მდივანბეგისა და გივი ფარეშთხუცესის მამულის საქმეზე, სცსსა, ფ.1450, დავთ. 51, ს. 110.

1782 წ. თავდახსნილობის წიგნში,¹ სუფრაჯი ზურაბისშვილი ზურაბ ხაზგასმით ასაბუთებს, თავისი ყმის აზატობის საფუძველს: „შენი თავი ტყვეობიდან შენვე დაიხსენ ... არც არა ჩვენ ... არა დაგვიხარჯავს რა“, „მოხველ და მე შემეხვეწე და განთავისუფლების წიგნი მოხოვე. რადგან კვლმწიფის ბრძანებაც ასე არის, რომ ტყვეობიდან მოსული კაცი თავისუფალი შეიქნება, ამის მიზეზით მეც ეს წიგნი მოგეც.“ მდივანბეგი თეიმურაზი ხშირად მონაწილეობს საოჯახო სადავო საქმეების განჩინებაში,² იხილავს და გამოაქვს გადაწყვეტილებანი თავდახსნაურთათვის ყველაზე მნიშვნელოვან ყმა-მამულის საქმეზე.³ ქვეყანაში მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური

¹ გადაწყვიტა ყმათა აზატობის და ტყვეობიდან თავდახსნილ ყმათა სამართლის საქმეები: 1774წ. განჩინება ავთანდილ და ქაიხოსრო ფანველიშვილების ყმის საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 664, დოკ. 514.

1775 წ. განჩინება გიორგი და როსტომ ერისთვიშვილების ყმა-მამულის საქმეზე. სცსსა, ფ. 1448. საბ. 5751.

1776 წ. განჩინება დავით ორბელიანისა და იესე ამილახორის ყმების საქმეზე, სცსსა, ფ. 1448. ს. 452.

1779 წ. განჩინება ლუარსაბ აბაშიშვილისა და ედიას ობლის ყმების საქმეზე ერეკლე მეორის ოქმით, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, თბ., 1974, გვ. 90, დოკ. 54. იქვე, 1779წ. განჩინება ზაალ ყაფლანიშვილისა და ბეჟან დორათაშვილის ყმის საქმეზე, გვ. 68, დოკ. 40.

1779 წ. არზა ზაალ გურამიშვილისა ყმის თაობაზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1981, გვ. 430, დოკ. 454.

1780 წ. განჩინება იოანე დოლენჯიშვილისა ყმის ბასილა ზეიგისი საქმეზე, ხეც. Hd-1419.

1780 წ. განჩინება მაჩაბლებისა და ფალავანდიშვილების ყმების საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები ტ. V, თბ., 1974, გვ. 109 დოკ. 66; 1781 არზა გიორგი ციციშვილის ყმის თაობაზე, იქვე, გვ. 149, დოკ. 89.

1782 წ. არზა კაცია ლომიტაშვილისა ყმობის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით, იქვე, გვ. 187, დოკ. 111.

1782 წ. თავდახსნილობის წიგნი მიცემული ზურაბისშვილ სუფრაჯ ზურაბისა, რამაზაშვილ გურგენასა და მის შვილთა, საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1910, ტ. III, გვ. 20, დოკ. 20.

1783 წ. განჩინება გურამიშვილის ყმის მამუკა გოჩიტაშვილის საქმეზე, სცსსა, ფ. 1448, ს. 413;

1785 წ. განჩინება ერეკლე II-ისა დავით ჯულაბაშვილისა და ბირჩაღჩი მოსესას მამულის საქმეზე, ხეც. Hd - 14360.

1786 წ. არზა იასე ფავლენიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით. სცსსა, ფ. 1450, დავთ. 45, ს. 45. 10.

1791 განჩინება სოლომონ ბებურიშვილის ყმების საქმეზე ქართული სამართლის ძეგლები ტ. V, თბ., 1974, გვ. 526-527, დოკ. 303.

1792 წ. განჩინება დავით და რევაზ თაყაიშვილების ყმა-მამულის საქმეზე, იქვე, გვ. 569, დოკ. 328; იქვე, 1792წ. განჩინება ერეკლე

II-ისა ლომი და ბეჟან გვარამაძეების ყმობის საქმეზე, გვ. 569, დოკ. 329;

1792 წ. არზა ზურაბ ფალავანდიშვილისა ყმის თაობაზე მსაჯულთშეკრებილების განჩინებით, იქვე, გვ. 579, დოკ. 334.

² მსაჯულთშეკრებულებაზე განიხილა და გაარიგა დავა: 1773 წ. განჩინების წიგნი ელიზბარ და ზაალ დავითიშვილების დავის შესახებ, საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1910, ტ. III, გვ. 489, დოკ. 458.

1773 წ. განჩინება სულხან მდივნისა და მამუკა ბეგისშვილ იბრეიმის წყლით სარგებლობის საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 647-648, დოკ. 504.

1775 წ. განჩინება იესე მაჩაბლისა და გივი ყანდუაშვილის წისქვილის საქმეზე, იქვე, გვ. 674, დოკ. 521.

1775 წ. არზა მუხრანბატონის მონაზონის ქალისა წისქვილის საქმეზე მდივანბეგთა განჩინებით, იქვე, გვ. 677, დოკ. 524.

1775 წ. განჩინება გიორგი მაღალაშვილისა და გიორგი ფალავანდიშვილის ვალის საქმეზე, იქვე, გვ. 686, დოკ. 530.

1778 წ. ნასყიდობა ციციშვილებსა და ელიოზიშვილებს შორის, საქართველოს სიძველენი, თბ., 1910, ტ. III, გვ. 18-20, დოკ. 19.

1780 წ. გლახა თარხნიშვილის ხარის თაობაზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1981, გვ. 263, დოკ. 490.

³ განსჯის ყმა-მამულის საქმეებს: 1772წ. არზა არამენდელთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1981, გვ. 214, დოკ. 214. 1772წ. განჩინება ელიზბარ ხერხეულიძისა და შოშია დედანაშვილის მამულის საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 638, დოკ. 497.

1775 წ. განჩინება ზაალ დავითიშვილისა და თეიმურაზ ფაენელისშვილის მამულის საქმეზე, იქვე, გვ. 679, დოკ. 525.

მდგომარეობის მიუხედავად, თეიმურაზ ციციშვილი ხანგრძლივი მოღვაწეობით პატიოსნად და თავდადებით ემსახურა სამეფო კარს. მის წინააღმდეგ აღძრულ სამართალწარმოებაში იგი კანონმორჩილი ჩანს,¹ რასაც ვერ ვიტყვით მისგან განსხვავებით მდივანბეგ ნიკოლოზ ციციშვილზე.

თ. ენუქიძე ნიკოლოზ ციციშვილის მდივანბეგობას 1798-1803 წწ. ათარილებს. მკვლევარი ყვრდნობა ნიკოლოზ ციციშვილის 1803 წლის არზა-მოხსენებას პავლე ციციანოვისადმი, სადაც აცნობებდა: „მეფის გიორგისგან გახლდი ქალაქში მდივანბეგად დადგინებული. ჩემი შემოსავალი ეს გახლდათ მდივანბეგობის: წელიწადში 70 თუმანი. ხან მეტი მომეცემოდა ხან ნაკლები. როგორც სხვა მდივანბეგები იმყოფებოდნენ, მეც ისე ვიმყოფებოდი განწესებული-ო.“² ქალაქებში სამდივანბეგოების არსებობაზე ცნობა დაცულია დავით ბატონიშვილის „საქართველოს სამართლის და კანონმცოდნეობის მიმოხილვაში“. სამდივანბეგო სასამართლოები ყოფილა თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, ყაზახში, შამშადილოსა და ბორჩალოში, სადაც დავით ბატონიშვილის შეფასებით, მდივანბეგებს შორის თბილისის მდივანბეგი უპირველესი ყოფილა.³ შ. მესხიას კვლევით, ერეკლეს მეფობისას, სავარაუდოდ, 13 მდივანბეგიდან ორი დედაქალაქში მოსამართლეობდა. მართალია სამეფო ხელისუფლებისგან მდივანბეგებს განესაზღვრათ სამართალმოქმედების არეალიც, „მდივანბეგნი ქართლისა, ქალაქისა, საბარათაშვილოსა, სომხითისა და

1775 წ. განჩინება და როსტომ ერისთვიშვილების ყმა-მამულის საქმეზე, სცსსა, ფ.1448, ს. 5751.

1775 წ. განჩინება შავყულა გემონაშვილისა და ალიხანას მამულის საქმეზე. სცსსა, ფ.1448, ს. 4187.

1776 წ. არზა გოგია ელიოზიშვილისა მამულის თაობაზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ.VII, თბ., 1981, გვ. 328, დოკ. 341.

1776 წ. განჩინება გლახა და ქაიხოსრო ფანველიშვილების მამულის საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ.V, თბ., 1974,

გვ. 13, დოკ. 5.

1777 წ. განჩინება ლუარსაბ ონანაშვილისა და დავით აფხაზის მამულის საქმეზე, იქვე, გვ. 20, დოკ. 10.

1778 წ. არზა იოანე დოლენჯაშვილისა მამულის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით, იქვე, გვ. 61, დოკ. 35.

1780 წ. განჩინება ქაიხოსრო აბაშიძისა, გლახა მახვილაძისა და ზაალ დავითაშვილის მამულის საქმეზე, იქვე, გვ. 101, დოკ. 61.

1780 წ. განჩინება ადამ ყარაგოზაშვილისა და გოგია გრიგოლაშვილის მამულის საქმე, იქვე, გვ.125, დოკ. 75.

1781 წ. განჩინება ბარბიმ მაჩაბლისა და როსტომ ერისთვისშვილის მამულის საქმეზე, იქვე, გვ. 167, დოკ. 97.

1781 წ. არზა იესე ბარათაშვილისა მამულის თაობაზე, სცსსა, ფ.1450 დავთ.26. საბ. 22.

1782 წ. არზა მელვინეთუხუცესიშვილებისა ყმა-მამულის თაობაზე, ერეკლე II-ის ოქმით. ქართული სამართლის ძეგლები, ტ.VII, თბ., 1981, გვ. 568, დოკ. 602.

1784 წ. განჩინება ბერო ხომასურიძისა და ზაბულონის მამულის საქმეზე. დოკუმენტში, ქართული სამართლის ძეგლები ტ. V, თბ., 1974, გვ. 269, დოკ. 160.

1785 წ. არზა შანშე მილახორისა მამულის თაობაზე მდივანბეგთა ოქმით, იქვე, გვ.660, დოკ. 697.

1786 წ. განჩინება გივი უმეკაშვილისა და დვალიშვილის მამულის საქმეზე, სცსსა, ფ. 1448, ს. 4263.

1788 წ. განჩინება რამაზ და იოსებ გლურჯიძეების მამულის საქმეზე, იქვე, გვ. 414, დოკ. 242.

1788 წ.თეიმურაზ მდივანბეგისა და ეშიკალასბაშს შორის საუპატიოზე დავა, ხეც. Ad - 1340.

1789 წ. განჩინება მდივანბეგთა ყაფლანიშვილისა და გოსტაშაბიშვილების მამულის საქმეზე, სცსსა, ფ. 1448, ს. 470.

1792 წ. განჩინება დავით და რევაზ თაყაშვილების ყმა-მამულის საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები ტ.V, თბ., 1974, გვ. 572, დოკ. 328. იქვე, 1794წ. განჩინება დიმიტრი ხიმშიაშვილისა და ბეჟან ამილახვრისშვილის მამულის საქმეზე, გვ. 644, დოკ. 372.

1793 წ. განჩინება გიორგი გოგნიაშვილისა და ვასილ ზაალას შვილის მამულის საქმეზე, სცსსა, ფ.1450, დავთ. 25, ს. 57.

1794 წ. განჩინება დიმიტრი ხიმშიაშვილისა და ბეჟან ამილახვრისშვილის მამულის საქმეზე, ხეც. Hd -1683

¹ 1790 წ. განჩინება ერასტი უზბაშის ყმის სტეფანეს საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები ტ.V, თბ., 1974, გვ. 513, დოკ.295. სცსსა, ფ.1449, საბ. 1942

² შ. მესხია, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1948, ნაკვ. (26), გვ.49.

³ Царевич Давид, Обзорение Грузии по части прав и законовещения, 1813, с. 546.

თათრისა“¹, თუმცა საბუთების მიხედვით სამართალწარმოება ტერიტორიულად მკაცრად შეზღუდული არ ყოფილა. 1766წ. არზაში სვიმონ ამირეჯიბისა ყმის თაობაზე, ერეკლე II ერთდროულად ავალებს ქართლისა და კახეთის მდივანბეგებს, „ეს საქმე თქვენ გასინჯეთ ... და მართებული სამართალი მიეცით-ო“,² როგორც ჩანს, საჭიროების შემთხვევაში, ან მეფის სურვილისამებრ მსაჯულები იხილავენ სხვადასხვა საქმეებს ქართლ-კახეთის სამეფოს მასშტაბით. დავინტერესდით მოხსენებაში რატომ არაფერს ამბობს, XVIII ს. 80-იან წლებში მდივანბეგად თავისი მოღვაწეობის შესახებ, მაშინ როცა, 1784 წ. მდივანბეგად მოიხსენიება განჩინებაში გოსტაშაბისშვილებისა და ციციშვილების მამულის საქმეზე, რომელსაც ამოწმებს სამოხელეო ბეჭდით, „მდივანბეგი ნიკოლოზ ციციშვილი“, ბატონიშვილ გიორგისთან და მზეჭაბუკ ორბელიანთან ერთად.³

ნიკოლოზ მდივანბეგის პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის შეფასებისთვის მეტად საყურადღებოა 1782წ. მეფე ერეკლე II-ის განჩინება, სადაც მეფისა და დედოფლისადმი უპატივისმცემლობა და ურჩობა ჩაიდინეს, „ციციშვილმა დავითმა(მეფის სიძე) და იმისმა სახლისკაცებმა პაატამ და ნიკოლოზ ამისთანა ჩვენი წინააღმდეგი და ურჩობა რომ გაბედეს, ციციშვილი სახლთუხუცესი ზაქარია დაიჭირეს და ერთს კვირას დაბმული ჰყავდათ. ეს ზაქარია...ბატონის ანა-ხანუმ დედოფლის შვილისშვილი იყო...“ როგორც მეფე აღნიშნავდა „სახლთუხუცეს ზაქარიას იმ თავის განაყოფებზე თუნდა დანაშაულიც ჰქონოდა რამე ... ჩვენის სამართლისთვის უნდა მოეცადნათ...ეს საქმე არ უნდა ექნათ ...“ როგორც ჩანს, არც ამ შემთხვევამ შეცვალა მისი ცხოვრების წესი. 1785 წლით დათარიღებულ წერილში ერეკლე მეორისა მდივანბეგი ნიკოლოზისადმი, ვკითხულობთ: „ქ. ბრწყინვალე თავადს ბატონს მდივან-ბეგს ნიკოლოზ ... ათი დღე აქ, გორს ვიყავით ... არ ჩამოხველ და არა გვენახე ეს დიად გაგვიკვირდა შენგან. აქამდინ ამას გვაუბნებოდი: სახელო არა მაქვსო, რომ თქვენს კარზე გავძლოო. ორი და სამი სახელო მოგართვით და მამულები მოგეცით. ჩვენი მოხელე ხარ, ამდენი ხანია წამოხველ და ჩვენს კარზედ აღარ გაიარე. ახლა სურამის მოურავისა გვესმის, რომ სურამის ციხეში აღარ უშვებ და დავითხოვია; შენ მაგ ციხეში სულობით საქმე არა გაქვს რა. მაგ ციხიდან უნდა გამოხვიდე. მამულები გაქვს და თქვენს მამულში, საცა გინდოდეს, მიბრძანდი და დადეგ. მინბაშისა და უზბაშისთვისათვისაც მოგვიწერია, ეს ასე უნდა აღსრულდეს...“⁴ მეფის კატეგორიული ტონი აშკარად მიუთითებს სასამართლოს და მდივანბეგთა „გარიგებულის“ დამორჩილებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მეფის ხელისუფლებისგან მის დასჯაზე. მიუხედავად მეფისადმი უპატივისმცემლობისა, მდივანბეგობას კვლავაც ინარჩუნებს. 1786წ. არზაში შიხიანთ გაბრიელასი და გრიგორას ვალის თაობაზე, მიმბაშ ამილახვრიშვილ ოთარს ერეკლე II ავალებს, „თუ სიტყვა ჰქონეს რამე, ნიკოლოზ მდივანბეგი არის მანდა, შენა ხარ და კიდევ რამდენიმე გორელი მოქალაქე დაისწართ და სამართალი მიეცით, თუ თქვენ ვერ შეიყარენით, როდესაც ამილახორი მანდ მოვიდეს ... ნიკოლოზ მდივანბეგმა უყონ სამართალი.“⁵ მეფის გაფრთხილების მიუხედავად, სავარაუდოდ კვლავაც აგრძელებდა დაუმორჩილებლობას. როგორც ჩანს, ნიკოლოზ ციციშვილის გამოუსწორებელ ქმედებებში მეფემ, აშკარა დაინახა დანაშაულის კვალიფიკაცია, რომლის პატიება შეუძლებელი გახდა. სამწუხაროდ ვერ მივაკვლიეთ XVIII ს. 90-იანი წლების დამდეგის ჩვენთვის საინტერესო პირველწყაროს, რის საფუძველზეც ჩამოართვეს მდივანბეგობის უფლებამოსილება. აქედან გამომდინარე დიად ვტოვებთ საკითხს რა გახდა მისი სახელოს დაკარგვის კონკრეტული მიზეზი. ჩვენამდე მოღწეულ დოკუმენტებში მეფესთან ყმები და აზნაურები მას უსამართლობასა და ვალების გადაუხდელობას უჩივიან, მათ შორის საკუთარი ძმა, იასაული ამილღაბარცი. სავარაუ-

¹ საქართველოს სიძველენი, ეთაყიშვილის რედაქტორობით, თბ., 1909 ტ. II, გვ.137-1676, დოკ. 109. Царевич Давид, 1813, с. 545

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1981, გვ.103, დოკ. 99.

³ ქართული სამართლის ძეგლები ტ. V, თბ., 1974, გვ. 243, დოკ. 145.

⁴ საქართველოს სიძველენი, ეთაყიშვილის რედაქტორობით, ტ. III, თბ., 1910, გვ.171, დოკ. 193.

⁵ სცსსა, ფ. 1448, ს. 1385.

დოდ, მდივანბეგობა მარიამ დედოფლის ახლობლობით(მამის ძმა) 1800წ. მიიღო მეფე გიორგის-გან:,,...წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ ციციშვილს ნოდარის შვილს ნიკოლოზს. ასე რომე მდივანბეგობა გიბოძეთ. როგორც მდივანბეგობის რიგი იყოს და მართებული, ისე უნდა იმდივანბეგო, როგორც სხვანი არიან დივანბეგები შენც ისე უნდა იმდივანბეგო, და სამართალში იმყოფებოდე და ისამართლებდე სიმართლით.“¹ მდივანბეგი ნიკოლოზი 1800-1801წწ. მდივანბეგებთან (ჯავახიშვილი ვახუშტი, მდივანბეგი დავით, ბეჟან არაგვის ერისთავი) ერთად განიხილავს სადავო საქმეებს,² თუმცა მისი მომჩივარნი³ კვლავაც იძულებულნი გამხდარან მეფეს მიმართონ სამართალის საპოვნელად.

ვფიქრობთ, სამეფო კარის სამოხელეო იერარქიაში, მდივანბეგ ციციშვილთა საქმიანობის შესწავლით გამოვლენილი ზემოაღნიშნული ცნობები მნიშვნელოვანია არა მარტო საციციანოს ისტორიისათვის, არამედ ქართლ-კახეთის სამეფოს სოციალურ-ეკონომიკური საკითხების სიღრმისეულად შესწავლისათვის.

Manana Michitashvili

Gori State University

THE TSITSISHVILI CHIEF JUDGES IN THE HIERARCHY OF THE ROYAL COURT RESUME

The personalities and genealogy of the chief judges from the family of Tsitsishvili have been identified and studied in the paper based on the analytical research of the historical material that has been obtained. In addition, the chronology of their lives and work is described on the basis of historical documents.

The paper comprehensively presents information about and content of the variety of legal cases. It also details their working spectrum, areal and functions.

It is highly important to study the work of the chief judges from the Tsitsishvili family in the hierarchy of the royal court not only for the history of Satsitsiano but also to deeply study social-economic issues of the Kartl-Kakheti Kingdom.

¹ სცსსა, ფ. 1448, ს. 5084

² განიხილა და გადაწყვიტა სადავო საქმეები: 1800წ. სოლომონ და ლუარსაბ თარხნიშვილების მამულზე დავა, ხეც. Hd -2505.

1800წ. სვიმონ თაზიშვილისა და გიორგი XII-ის ოქმით, იქვე, გვ. 676, დოკ. 698.

1800 წ. არზა ნიკოლოზ ციციშვილისა ვალის საქმეზე გიორგი XII-ის ოქმით, იქვე, გვ. 690, დოკ. 717.

1801 წ. არზა ნიკოლოზ ციციშვილისა ყმა-მამულის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით, იქვე, გვ. 674, დოკ. 696.

1801 წ. 13 იანვარი არზა რუისელებისა გამოსადების თაობაზე, იქვე, გვ. 707, დოკ. 737. სცსსა, ფ. 1448, ს. 2451.

1801 წ. დავით ვოსტაშაბისშვილის განჩინების წიგნი, საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. 1, თბ., 1899, გვ. 110, დოკ. 107.

³ მდივანბეგ ნიკოლოზ ციციშვილის საჩივრის დოკუმენტები მეფესთან ვალების თაობაზე: 1800 წლის 25 სექტემბერი, არზა ნიკოლოზ ციციშვილისა ყმა-მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, თბ., 1985, გვ. 674, დოკ. 696.

1800 წ. 8 ოქტომბერი, არზა ნიკოლოზ ციციშვილისა ყმა-მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით, გვ. 676, დოკ. 698.

1801 წ. არზა ნიკოლოზ ციციშვილისა ყმა-მამულის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით, გვ.674, დოკ. 696.

მარტყოფიდან მარაბლამდე

მარტყოფის ბრძოლიდან მარაბდის ბრძოლამდე პერიოდი სამ თვესაც არ მოიცავს: 1625 წლის 7 აპრილიდან (25 მარტი ძვ.სტ.) 1625 წლის 1 ივლისამდე, მაგრამ ეს დრო უმნიშვნელოვანესია ქართველი ერის ისტორიისათვის...

კიდევ ერთხელ მოკლედ გავიხსენოთ გიორგი სააკაძის ხელმძღვანელობით მარტყოფის მისტერიულ აჯანყებამდე შექმნილი ვითარება საქართველოს გარშემო, მცირედ მიმოვიხილოთ ის მტრული გარემო, რომელშიც უხდებოდა ყოფნა XVII საუკუნეში სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაქუცმაცებულ ივერიას.

1614 წლიდან დაწყებული, ყიზილბაშთა ათწლიანმა აგრესიამ, თავისი უარყოფითი და დამანგრეველი შედეგები გამოიღო აღმოსავლეთ საქართველოსთვის დემოგრაფიული, ეკონომიკური თუ სოციალური კუთხით. სისხლისმსმელმა შაჰ აბასმა, რომლის იმპერია უკვე ზენიტში იყო, გადაწყვიტა საბოლოოდ მოესპო კახეთის და მასთან ერთად ქართლის სამეფოს პრობლემატ. აღმოსავლეთ საქართველოს განადგურებით შაჰ აბასს მტკიცე საფუძველი ექმნებოდა მომავალში დასავლეთ საქართველოს დაპყრობისა (რომელიც ოსმალეთის (თურქეთის) სავასალოდ ითვლებოდა 1555 წლის ამისიის ზავის შემდეგ) და შავ ზღვაზე გასვლისა, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაში შეღწევისა და მთლიანად ამიერკავკასიის დაპყრობისა. ამ გეოპოლიტიკურად უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრაში სპარსეთს თურქეთი და რუსეთი ექიშებოდა. აღნიშნულ პერიოდში ოსმალებსა და ირანელებს შორის ყოველი დადებული ზავის შემდეგ ხან ერთი მხარე არღვევდა საზავო ხელშეკრულებას, ხანაც მეორე... მათ შორის ომი და დიდი თუ მცირე შეჯახება, ფაქტობრივად განუწყვეტელი მიმდინარეობდა... რაც შეეხება რუსეთს, იგი აქტიურ, პირდაპირ საომარ დაპირისპირებას ერიდებოდა ირანთან. თუმცა არ უშვებდა ხელსაყრელ შემთხვევას შეეხსენებინა სპარსეთისთვის, რომ ქართველებმა (კახეთის სამეფომ) ივანე მრისხანეს დროიდან რუსეთის ქვეშევრდომად აღიარეს თავისი თავი. მზაკვარ შაჰ აბასს კარგად ესმოდა, რომ თუ დღეს რუსეთის ამბიციები მხოლოდ დიპლომატიური დემარშებით იფარგლებოდა (ვინაიდან იმ პერიოდში რუსეთს არ გააჩნდა შესაძლებლობა სამხედრო ძალის გამოყენებით შეეღწია სამხრეთ კავკასიაში), შეიძლება დამდგარიყო დრო, როდესაც მართლმადიდებელი რუსეთი ძალას მოიკრებდა და ღია აგრესიის გამოყენებას არ მოერიდებოდა სამხრეთ კავკასიაში გასაბატონებლად... შაჰ-აბასის ირანის ამიერკავკასიაში გაბატონების გრანდიოზული გეგმები ჩაფუშა გიორგი სააკაძემ მარტყოფის უღევარის (უღვევლას) ველზე... და არა მარტო ამიერკავკასიაში გაბატონებისა... შაჰ-აბასის შორეული მიზანი იყო ევროპაში შეჭრა...ამ საქმეში იგი თურქეთს ფარულად ექიშებოდა...

ისევ მარტყოფის 1625 წლის 7 აპრილის აჯანყებას მივუბრუნდეთ. კიდევ ერთხელ ვახსენოთ, რომ ხარება დღე – 7 აპრილი (25 მარტი ძვ. სტ.) შემთხვევით სულაც არ იყო შერჩეული. არამედ, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის და აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსის – ზაქარია ჯორჯაძის (1623-1632 წწ.) კურთხევით, გიორგი სააკაძის ხელმძღვანელობა-ორგანიზებით, მარტყოფის ველის გარშემო მდებარე სოფლების სალოცავ-მონასტრებიდან ხარების წირვა-ლოცვიდან წამოსული შეიარაღებული აჯანყებულები – მორწმუნე მრევლი, პირდაპირ უღვევარის ველისაკენ ფარულად და უჩუმრად რიბირაბოზე გამოემართნენ. მარტყოფის აჯანყების სცენარი კახეთში ალავერდის აჯანყებას ჰგავს ერთი მტრინით. კერძოდ, ორივე შემთხვევაში ქრისტიანული ეკლესიის მრევლი მტრის ფარულად, იარაღით შეჭურვილი შედის ეკლესიაში, გარეგნულად თვალის ასახვევად, რომ სალოცავად მიდის, მაგრამ შემდგომ, ქრისტეს

წმინდა სისხლს და პატიოსან ხორცს ნაზიარები, მშობლიური მიწა-წყლის და მაცხოვრის რჯულის დასაცავად მიემართება...

მარტყოფის აჯანყების წარმატებით დაგვირგვინების უდიდეს მნიშვნელობაზე, სამწუხაროდ „ქართლის ცხოვრების“ ორივე რედაქცია (ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი) ძალზე მწირ ცნობებს გვაწვდის. ამით თითქოს შეგნებულად ჩქმალავენ დიდი მოურავის გრანდიოზულ დამსახურებას 1625 წლის 7 აპრილის თუ შემდეგი პერიოდის განმავლობაში. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ რას გვეუბნებიან ქართველი მემატიანენი მარტყოფის აჯანყების თაობაზე და შემდგომ საბრძოლო პერიოდებზე, რომელსაც თავგანწირვით ახორციელებს მამულისთვის შვილშეწირული მამა – გიორგი სააკაძე: „... და მაშინ შეიყარნენ ქართველნი და ზურაბ ერისთავი, აცნობეს დიდს მოურავსა და მოვიდნენ გათენების ხანსა, დაესხნენ ყიზილბაშთა. ხოლო მოურავი დიდად სახელოვნად იყო მას ღამესა: მივიდა მოურავი და მოკლა თვით შუბითა ყორჩიხა-ხან, და შვილმან მისმან ავთანდილ მოკლა ყორჩიხაშის შვილი. და დაუშინეს, ამოწყვიტეს ქართველთა სრულიად ყიზილბაშნი. ესრეთ მისცა ძლევა ღმერთმან ქართველთა და გაემარჯუათ: ამოსწყვიტეს, გააქცივეს და იქმნა გამარჯვება დიდი. და რა გაიქცნენ ისინი, მაშინ გამარჯვებულნი ქართველნი წარვიდნენ ფეიქარ-ხანზედ, რომელი იჯდა კახეთს, რამეთუ ამას ფეიქარ-ხანს ჰყვანდა ცოლად ბატონიშვილი ლელა. და უნდოდათ დასხმოდნენ თავსა ფეიქარ-ხანს და ის მოეკლათ, და ბატონიშვილი ლელა გამოერთმიათ და ზურაბ ერისთავისთვის მიეცათ და რა წარვიდნენ, მაშინ იგრძნა ფეიქარ-ხან და წარვიდა გაქცეული. გამოუდგნენ და მისდივეს ბარდამდი და ვერლარა მოეწივნენ. მაშინ მოარბიეს ქართველთა ბარდა და განძა, და იავარ-ყვეს და იშოვეს მრავალი, და წარმოვიდნენ და წარმოიღეს“.¹

ზოგიერთი სააკაძის მოძულე ვაიკრიტიკოსების („აჩლატუნოვის“) გასაგონად ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ გიორგი სააკაძეს XIX ან XX საუკუნეში კი არ უწოდეს „დიდი მოურავი“, არამედ „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ ჩვენი მემატიანის და ვახტანგ VI-ის ბრძანებით შექმნილი „სწავლულ კაცთა კომისიის“ თავკაცის–ბერი ეგნატაშვილის მიერ უკვე იწოდებოდა დიდ მოურავად სააკაძე, რასაც ადასტურებს სიტყვები: „...შეიყარნენ ქართველნი და... აცნობეს დიდს მოურავსა“.² ამასთან, „ახალი ქართლის ცხოვრება“ მე-17-ე საუკუნის ბოლო წლებშია შედგენილი. სამწუხაროდ, სულ რამდენიმე წინადადებით არის გადმოცემული „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ მარტყოფის დაუვიწყარი და გრანდიოზული მისტერია, ქართველი ერის უმნიშვნელოვანესი გამარჯვება ყიზილბაშებზე გიორგი სააკაძის მეთაურობით. როცა ბაგრატიონ მეფეთა გარეშე დარჩენილმა საქართველომ ძალა მოიკრიბა, გაერთიანდა და მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის ლოცვა-კურთხევით, დიდი მოურავის გმირული სარდლობით შესძლო ჩვენს მიწა-წყალზე შემოჭრილი აურაცხელი ურჯულო მტრის დამარცხება, რითაც გადარჩა აღმოსავლეთ (და არა მარტო) საქართველო ფიზიკურ მოსპობას...

ვახუშტი ბატონიშვილიც ძალზე სუბიექტურად, საერთოდ ერთი წინადადებით აღწერს მარტყოფის სახალხო-განმათავისუფლებელ აჯანყებას გიორგი სააკაძის მეთაურობით, რითაც შეგნებულად თუ შეუგნებლად ამცრობს დიდი მოურავის საოცარ თავგანწირვის და შვილთა შეწირვის მისტერიას: „...მერმე მოკლეს ყორჩიხან მოურავმან და ზურაბ, მოუვლინეს თეიმურაზს (თურქეთში თავშეფარებულს), რათა მოვიდეს და დაიპყრას კახეთი“.³ ასევე, სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ვერ ნახავთ მარტყოფის აჯანყებაში მონაწილე ვერც ერთი ქართველი სახალხო გმირის თუ მამაცი მებრძოლის სახელს, ვერც ელემენტარულ თუ ზოგად აღწერას ამ უმნიშვნელოვანესი და ისტორიული ბრძოლის პერიოდებისა, რომელშიც სააკაძის დიდი მეცადინეობით ერთ მუშტად შეკრული სრულიად ქართველობა, მათ შორის დასავლეთ საქართველოდანაც (იმერეთის სამეფოს და გურია-სამეგრელოს სამთავროთა ლაშქარი დაახლოებით 1000-1500 კაცი, ასევე სამცხე-საათაბაგოდან 300 მებრძოლი) ამარცხებს ურჯულო

¹ ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბ., 1959 წ., გვ. 407.

² „ახალი ქართლის ცხოვრება“, გვ. 407.

³ ვახუშტი ბატონიშვილი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973 წ. გვ. 591.

ყიზილბაშთა, საუკეთესოდ, ინგლისური თოფებით შეიარაღებულ 30-ათასიან არმიას და კუდიტ ქვას ასროლინებს. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს მხოლოდ, უპირველესად იოსებ ტფილელის (სააკაძის) ბრწყინვალე პოეტურმა და ეროვნულ-ქრისტიანული პათოსით გამსჭვალულმა პოემამ „დიდმოურავიანმა“ შემოგვინახა და დაგვიხატა ობიექტური სურათი 1625 წლის ხარება დღეს ბოროტზე კეთილის გამარჯვებისა, ივერიელთა ერის ხსნისა დიდი მოურავის სარდლობით.¹

ამრიგად, „ქართლის ცხოვრების“ ორივე რედაქციაში ძალზე მწიარად არის გადმოცემული მარტყოფის აჯანყება (შედარებით ვახუშტისთან, ბერი ეგნატაშვილი და „სწავლულ კაცთა კომისია“ უფრო დეტალურად გადმოგვცემს ამ უმნიშვნელოვანესი ბრძოლის პერიპეტიებს). დიდი მოურავის მიერ კახეთის ყიზილბაშთაგან გათავისუფლების და ხორნაბუჯის ციხიდან ფეიქარ-ხანის განდევნა—გაქცევის ამბავსაც მშრალად გადმოგვცემს ვახუშტი, თანაც ცოტა განსხვავებულ კონტექსტში ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრებისაგან“: „...ხოლო ქართველთა რა ვერღარა შეიპყრეს ფეიქარხან წაგურად ლელა ბატონიშვილისად (მეფე ლუარსაბ II-ის და), ამისთვის სთხოვეს მოურავმან და ზურაბ თეიმურაზს ასული თვისი დარეჯან ცოლად ზურაბისათვის. ამით განიგულა თეიმურაზ დაპყრობა ქართლისა და მისცა ასული თვისი ზურაბს. მერმე მოიყვანეს თეიმურაზ მეფედ ქართლს და ეპყრა კახეთიცა.² მემატიანის ამ სიტყვებიდან ისე გამოდის, თითქოს რადგანაც კახეთის მმართველად დანიშნული ფეიქარ-ხანი (რომელსაც ცოლად ესვა შაჰ-აბასის ნაცოლარი ლელა ბაგრატიონი) ვერ შეიპყრო სააკაძემ, რომელიც ლუარსაბ მეფის დას - ლელა ბატონიშვილს ჰპირდებოდა ცოლად მარტყოფის აჯანყებამდე ირანში ცოლდატოვებულ ზურაბ არაგვის ერისთავს, სანაცვლოდ ამის გამო სთხოვეს თეიმურაზ I-ს თავისი ასული ზურაბისთვის ცოლად მიეთხოვებინა. მაშასადამე, „ქართლის ცხოვრების“ მეისტორიის გადმოცემით, მარტყოფის ველზე შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ, გიორგი სააკაძე მხოლოდ იმიტომ შეიჭრება კახეთში, რომ ხორნაბუჯის ციხეში მყოფ ფეიქარ-ხანს წაართვას ცოლი ლუარსაბ II-ის და — შაჰ აბასის ცოლადყოფილი ლელა-ხათუნი (იგივე თინათინ ბაგრატიონი) და შერთოს ცოლად ზურაბ არაგვის ერისთავს, ორი ირანელ ქმარგამოცვლილი ლელა ბაგრატიონი. ჩვენ ვიცით, რომ მარტყოფის აჯანყების წინ შაჰ აბასმა ირანში მძევლად დაიტოვა დიდი მოურავის უსაყვარლესი შვილი 21 წლის შვილი პაატა და ზურაბ არაგვის ერისთავის ახლადმოყვანილი ცოლი. ასევე ცნობილია, რომ თავის დროზე ზურაბ არაგვის ერისთავის ძმა — ბაადური დანიშნული იყო ლუარსაბ II-ის დაზე — ხორეშანზე, რომელიც „დიდი სჯულის კანონის“ ქრისტიანული წესის საწინააღმდეგოდ და შაჰის ძალდატანებით შერთეს თეიმურაზ I-ს ცოლად. ეს იყო ალალი პაპიდაშვილების უკანონო ქორწინება, რაც უდიდეს ცოდვად ითვლება მართლმადიდებლური ქრისტიანული დოგმატის მიხედვით: „ახლო ნათესავების ქორწინება“³, თუმცა ეს ამბავი, შემდეგ შაჰ აბასმა ქართლ-კახეთში შემოსევის ერთ-ერთ განმაურებულ მიზეზად გამოიყენა. აღნიშნული საკითხი დეტალურად განხილულია ვაჟა ოთარაშვილის წიგნში „გიორგი სააკაძის ფენომენი და თარხან-მოურავები“⁴. მაშასადამე, „ქართლის ცხოვრების“ ორივე რედაქცია, ვფიქრობთ, ტენდენციურია ამ მომენტში და უკან სწევს სააკაძის იდეას ქართლ-კახეთის სამეფოს გაერთიანების და ზოგადად მთლიანი საქართველოს აღდგენისა. მემატიანეთა თქმით კი ისე გამოდის თითქოს, რადგანაც კახეთიც გაათავისუფლა გიორგი სააკაძე-ზურაბ არაგვის ერისთავის ტანდემმა, სანაცვლოდ თეიმურაზ I-მა თავისი ქალიშვილი უბოძა არაგვის ერისთავს, რომ მერე, იგი გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს მეფედ დაესვა დიდმოურავს ანუ „... მოურავმან და ზურაბ, მოუვლინეს თეიმურაზს, რათა მოვიდეს და დაიპყრას კახეთი“.⁵ ხოლო გიორგი სააკაძის მოწოდების შემდეგ 1625 წლის გაზაფხულზე გახარებულმა „...ისმინა,

¹ ვაჟა ოთარაშვილი, „მიტროპოლიტ იოსებ ტფილელის (სააკაძის) ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ., 2019 წ. გვ. 140–182; რიმა ფირცხალაიშვილი „იოსებ ტფილელი და მისი „დიდმოურავიანი“, თბ., 1978 წ., გვ. 96–115.

² ვახუშტი ბატონიშვილი „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 591.

³ „დიდი სჯულისკანონი“, თბილისი, 1975 წ. გვ. 494.

⁴ ვ. ოთარაშვილი, „გიორგი სააკაძის ფენომენი და თარხან-მოურავები“, ტომი II, თბილისი, 2021 წ. გვ. 38.

⁵ „ახალი ქართლის ცხოვრება“, გვ. 407.

წარმოვიდა და დაიპყრა კახეთი“. ე. ი. კახეთის მეფედ თეიმურაზ I სწორედ გიორგი სააკაძეს აღუდგენია ყიზილბაშთა განდევნის შემდეგ...

შეიძლება ითქვას, რომ ვახუშტისეული „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მემატიანე ერთ მონაკვეთში ისე აღწერს ყიზილბაშთაგან კახეთის გათავისუფლების ბრძოლას გიორგი სააკაძის მეთაურობით, თითქოს დიდი მოურავი მხოლოდ ფეიქარ-ხანის შესაპყრობად და „წაგურად ლელა ბატონიშვილისად (ლუარსაბ II-ის)“ შეიჭრა და არა კახეთის ყიზილბაში მომხვედურებისაგან გასაწმენდად. თითქოს ქართველ მემატიანეს შეგნებულად თუ შეუგნებლად ავიწყდება მისივე დახასიათება ფეიქარ-ხანისა და ირანელი მმართველის ანტიქართული და სასტიკი ქმედებისა კახეთში. „...ხოლო კახეთი იყო ხიზნით და ფეიქარ-ხან აშენებდა მოსაბრუნს (ანუ დასაყრდენს) და ასახლებდა ელთა და მცდელობდა დამორჩილებასა და მონდობასა კახთასა. გარნა რომელნიმე იყვნენ მის თანა“.¹ „ქართლის ცხოვრების“ ამონარიდიდან ჩანს, რომ შაჰ-აბას I-ის მიერ კახეთის მმართველად დანიშნული ფეიქარ-ხანი უმკაცრეს ზომებს ატარებს საქართველოს ამ მაღლიან კუთხეში. კერძოდ, შაჰ-აბასის 1614–1618 წლების სისხლიანი შემოსევების დროს კახელები გახიზნულები არიან თავისი მამა-პაპეული ადგილებიდან (ვინც ირანში აყრა-გადასახლებას გადაურჩა), ხოლო „ფეიქარ ხან სპითა“ ირანელთა დახმარებით სპარსთა დასაყრდენს აკეთებს და გატიალებულ დაცარიელებულ კახურ დაბა-სოფლებში ასახლებს ირანულ მომთაბარე ველურ თათარ-ელთა ოჯახებს მრავლად, რათა დარჩენილი მოსახლეობაც მთლიანად დაიმორჩილოს. საბოლოოდ ასე რომ გაგრძელებულიყო, დემოგრაფიული ვითარებაც შეიცვლებოდა ქართველთა საწინააღმდეგოდ. სწორედ, გიორგი სააკაძის თავგანწირულმა სიმამაცემ და უბადლო მხედართმთავრულმა ნიჭმა გადაარჩინა კახეთი შაჰ-აბასის ყიზილბაშური აგრესიისაგან განადგურებას და დემოგრაფიული ვითარების სავალალოდ შეცვლას. ამას კი გამოკვეთილად არ გვაძლევს „ქართლის ცხოვრება“. თუმცა ირანული დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ დიდი მოურავის დაუცხრომელ ბრძოლას არ მალავენ თვითონ ირანელი და ოსმალთა (თურქი) მეისტორიენი: ისქანდერ მუნში, შაჰ ჰუსაინ მელიქ სისტანი, მუსტაფა ნაიმა, მუსტაფა ჩელები და სხვ., რომ არაფერი ვთქვათ ევროპელ მისიონერებსა თუ დიპლომატებზე, რომლებიც პირუთვნელ და საოცრად ობიექტურ ინფორმაციას გვაწვდიან გიორგი სააკაძის ანტიირანული (ზოგადად ანტიმაჰმადიანური) აქტიური მოღვაწეობის შესახებ 1620–1629 წლების განმავლობაში. ევროპული ისტორიოგრაფიული ჩანაწერები პიეტრო დელა ვალესი, კლოდ მალენგრის, ბართოლომეოს ფეროს, მამა ვინცენტი ჰორმუხელის, მამა ამბროზიო დუშ ანჟუმის, პიეტრო ავიატაბალეს, არქანჯელო ლამბერტის, ქრისტეფორო კასტელის და სხვათა, არის უნიკალური პირველწყარო არა მარტო გიორგი სააკაძის გმირული და ტრაგიზმით სავსე ცხოვრების აღწერისა, არამედ იმდროინდელი საქართველოს სოციალ-ეკონომიკური თუ სამხედრო-პოლიტიკური ყოფის შესასწავლად და სწორი აქცენტების გასაკეთებლად. აღნიშნული ევროპული ისტორიული წყაროები გვაძლევს ძალიან კარგ და შესანიშნავ შესაძლებლობას მე-17-ე საუკუნის საქართველოს პირველი მესამედის ობიექტური შესწავლისა, ანალიზისა, სწორი დასკვნების გამოტანისა და ქართველი ხალხის ეროვნული გმირის - დიდი მოურავის ცხოვრების ზუსტი და პირუთვნელი შეფასებისა... მაგრამ, ბოლომდე ვერც ვახუშტი ბატონიშვილი მალავს გიორგი სააკაძის საარაკო და გმირულ საქმეებს, თუმცა ზოგადად, ისტორიულ ქრონოლოგიას ურევს (მაგალითად, ხოსრო მირზას, იგივე როსტომ ხანის და სააკაძის ურთიერთობის ფამთაღწერისას და სხვ.) ვახუშტი „ქართლის ცხოვრებაში“. თუმცა შაჰის შიკრიკის წერილის პოვნას აბრალებს ქართლის და ზოგადად აღმოსავლეთ საქართველოს გადარჩენას, მაგრამ მაინც ორიოდ დადებით შეფასებას იმეტებს გიორგი სააკაძის მიმართ. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მარტყოფის ველის მისტერიები და პერიპეტიები. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით „...დილას დაესხნენ ყორჩიხანს ქართველნი ზურაბით. ხოლო ყიზილბაშთა შინა მყოფი მოურავი შეუხდა ყორჩიხანს და მოკლა, და შვილმან მისმან ზურაბ (აქ შეცდომაა დედანში, უნდა იყოს ავთანდილი) შვილი ყარჩიხანისა და მოსწყვიდეს ყიზილბაშ-

¹ ვახუშტი „ქართლის ცხოვრება“, გვ. 590.

ნი ვითარ მცირედნილა გარდაიხუეწეს...“ ქართველნი „...აღივსნენ იავართა და ალაფითა მათითა...“¹ ამის მერე, მემიატიანე მოკლედ მოგვითხრობს გიორგი სააკაძის ხელმძღვანელობით მარტყოფის ბრძოლის შემდეგ განხრციელებულ უმნიშვნელოვანეს ქმედებებს აღმოსავლეთ საქართველოს ირანელ ურჯულოთაგან გათავისუფლების მიზნით: „...დღესა მასვე სიტყვითა მოურავისათა წარვიდნენ სპანი ქართლისანი ერთი ახალციხეს (აქ „ქართლის ცხოვრების“ არშიაზე დავით რექტორის (ალექსიდის) მინაწერია კომენტარის სახით: „ეს ახალციხე, რომელი მცხეთას ზემოთ არს, იგი არს. მუნცა იდგნენ ჯარი ყიზილბაშთა“. ამ კომენტარში ლაპარაკია გიორგი სააკაძის სოფ. ნოსტეს მახლობლად ორიოდ კილომეტრში მდებარე სოფ. ახალციხეზე (კასპის რაიონი) . თუმცა დიდმა მოურავმა სამცხე-საათაბაგოდანაც განდევნა ყიზილბაშები), მეორე ზურაბით (არავის ერისთავი—გიორგი სააკაძის ცოლისძმა) კახეთს და მოურავი მიუხდა ტფილისს, აღილო ქალაქი, ხოლო ციხესა (ნარიყალას) ვერ ავნო (ფარსადან გორგიჯანიძის იგივე გორგიჯანაშვილის მოღალატე მამის გიორგი გორგიჯანაშვილის და ვინმე ჭანოასშვილის „დახმარებით“) ეგრეთვე ყვეს ახალციხესაცა. არამედ კახეთს ივლტოდა ფეიქარხან, რომლისაცა ენებათ წავგრა ლელა ბატონისშვილისა, და მივიდა მუნ ზურაბის თანა მოურავიცა და მიჰყვნენ ფეიქარხანს ბარდამდე, და მას ვერღარა ეწვივნენ, შემოიქცნენ მოარბიეს განჯა, ყარაბაღი და მოვიდნენ ალაფითა სავსენი ქართლს“². ი. მემიატიანის თქმით გიორგი სააკაძის ბრძანებით ანუ „სიტყვითა მოურავისათა“ მოქმედებს ქართველთა ჯარი და მტრისგან ათავისუფლებს ქართლის, კახეთის და სამცხე-საათაბაგოს დაბა-სოფლებს, თბილის-ქალაქს, კახეთიდან გაქცეულ შაჰის დანიშნულ გამგებელს ფეიქარხანს მიჰყვება ბარდამდე, თუმცა ვერ დაეწვიან და ლელა ბაგრატიონის წართმევას ვერ მოახერხებენ. მოარბევენ განჯა—ყარაბაღს და დიდი ალაფით ბრუნდებიან ქართლში. ამ ალაფს სწირავს და სჩუქნის მომავალში გიორგი სააკაძე მისგანვე მოწვეულ ქართლ-კახეთის მეფეს თეიმურაზ I-ს სახელმწიფო ხაზინისათვის, რაც იოსებ ტფილელსაც აქვს ხაზგასმით აღნიშნული: „ქონებას ძვირფასს იღებენ...“ ანდა „საშოვარი და ქონება მრავალი“.³

ხოლო ამის მერე მემიატიანეთა მიერ საოცარი ისტორიული ფაქტი ფიქსირდება. მარტყოფის ველზე გამარჯვების შემდეგ, ფაქტობრივად აღმოსავლეთ საქართველოს „უგვირგვინო მეფეა“ გიორგი სააკაძე, მაგრამ იგი მეფის ტიტულისკენ კი არ ილტვის, არამედ ქვეყნის გაერთიანებისკენ — ბაგრატიონთა კვერთხის ქვეშ. იმ დროს დიდი მოურავის ერთ-ერთი ასული გათხოვილია ქართლში, სამუხრანბატონში და რძალია ბაგრატიონ-მუხრან ბატონებისა — მეუღლეა თეიმურაზ მუხრან-ბატონი ბაგრატიონისა...⁴

ბერი ეგნატაშვილი გვაუწყებს: „...ხოლო მაშინ განმგედ ქართლისა დაადგინეს დავით მეფის ძის შვილიშვილი ქაიხოსრო მუხრანის ბატონი და არც გამგეობითა ემორჩილებოდნენ მათ, არამედ თვის-თვისად უფლობდნენ ქართლის თავადნი“. ამის შემდეგ გიორგი სააკაძესთან დაკავშირებით მარტყოფის ომის შემდგომ პერიოდზე ძალზე მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის მისტორიე: „... და იყო მაშინ თავი და უფროსი კაცი მოურავი და ყოველნივე ქართველნი მას მორჩილობდნენ...“ ამის შემდეგ კიდევ ერთხელ აკონკრეტებს მემიატიანე და კიდევ ერთ ახალ ინფორმაციას გვაძლევს დიდ მოურავთან დაკავშირებით: „...რამეთუ თვით ზურაბ ერისთავი და განცავინ დიდი კაცნი იყვნენ ქართლისანი, დიდს მოურავს ქეშიკში უწვებოდნენ და ყმურად მონებდნენ მას(!)“⁵. მაშასადამე, „ახალი ქართლის ცხოვრების“ ამ ამონარიდიდან ჩანს, რომ გიორგი სააკაძის ინიციატივით ქართლის გამგებლად ისევ ბაგრატიონი „დაადგინეს“, მუხრან-ბატონ ბაგრატი-

¹ ვახუშტი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV თბ, 1973 წ. გვ. 430.

² ვახუშტი, იქვე, გვ.430-431.

³ იოსებ ტფილელი „დიდმოურავიანი“, სტრ. 288, 289.

⁴ Hd-62-59, ხელნაწ. ეროვ. ცენტრი; ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, თბ., 1925 წ. გვ. 236; იოსებ ტფილელი „დიდმოურავიანი“, გიორგი ლეონიძის წინასტყვაობა, გვ. XXV, თბ., 1939 წ. ; რიმა ფირცხალაიშვილი დასახ. ნაშრომი, გვ. 120 (სქემა); 132; ვაჟა ოთარაშვილი „გიორგი სააკაძის ფენომენი და თარხან-მოურავები“, ტ. I, გვ.98-99

⁵ ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 407.

ონთა შტოდან – ბატონი ქაიხოსრო, — ძმა თეიმურაზ მუხრან-ბატონისა (ანუ გიორგი სააკაძის სიძის ძმა, რომელიც ბოლომდე ერთგული იყო დიდი მოურავისა და მასთან ერთად თურქეთში აღესრულა კიდეც). თუმცა მის გამგებლობას არ ეპუებიან ქართლის დიდგვაროვანი თავადები და თავისას მიერეკებოდნენ („თვის-თვისად უფლობდნენ“) და ერთადერთი პიროვნება, რომელიც ქვეყანას და ხალხს პატრონობდა და დიდი თუ პატარა ემორჩილებოდა გიორგი სააკაძე იყო. თვით დიდგვაროვანი თავადებიც კი, და მათ შორის მარტყოფის ომის შემდეგ კიდეც უფრო გაძლიერებული ზურაბ არაგვის ერისთავი — მოყვარე სააკაძისა, „ყმურად მონებდნენ“ დიდ მოურავს. ვფიქრობ, ქართველი მემკვიდრის ეს ცნობა მრავლისმეტყველია და მიუთითებს გიორგი სააკაძის დიდ ავტორიტეტზე და „უგვირგვინო“ ტიტულატურაზე. ამასთან, დავაკვირდეთ „ახალი ქართლის ცხოვრების“ მემკვიდრე უკვე მეორედ ახსენებს გიორგი სააკაძესთან მიმართებაში აღმატებით წოდებას „დიდს მოურავს“. ე. ი. რაც ნიშნავს, რომ გიორგი სააკაძის სამოხელეო ზედწოდება ქართველი მემკვიდრის — ბერი ეგნატაშვილის და მისი თავკაცობით მოქმედი, ვახტანგ VI-ის ბრძანებით შექმნილი „სწავლულ კაცთა კომისიის“ მოგონილი არ არის. როგორც „ახალი ქართლის ცხოვრების“ აღნიშნული მონაკვეთიდან ჩანს¹, გიორგი სააკაძეს სწორედ მარტყოფის უღვეველას ველზე მოპოვებული ყიზილბაშებზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ 1625 წლის აპრილშივე უწოდა (თუ უძღვნა) გახარებულმა ქართველმა ერმა ეპითეტი „დიდი“ მის სამოხელეო წოდებას. ზოგიერთ რეგვენ „აჩლატუნოვს“ კი ჰგონია, რომ სააკაძეს „დიდი მოურავი“ საბჭოთა კავშირის დროს დაერქვა... იგივე ცნობას იმეორებს ვახუშტიც: „...მაშინ დაადგინეს განმგებლად ქართლისად ქაიხოსრო ძე მუხრანის ბატონისა ვახტანგისა. არამედ უწოდეს სახელით ოდენ, გარნა იყო მოურავი მოქმედი ყოვლისა და მორჩილებდეს მას ყოველნი ყმურად“.²

ამრიგად, მარტყოფის უღვეველას ველზე გრანდიოზული გამარჯვების მოპოვების შემდეგ გიორგი სააკაძე ფაქტობრივად ქართლის სამეფოს (და არა მარტო!) უგვირგვინო მეფე და პატრონ-გამგებელია. მისი ავტორიტეტი და ძალა რომ ზენიტშია ამ პერიოდში (იგულისხმება 1625 წელი) ამას ერთხმად აღნიშნავენ ქართველი თუ უცხოელი ავტორები (მიქაელ მოსკო, ისქანდერ მუნში, მუსტაფა ნაიმა და სხვ.).

მოდით, გავიხსენოთ ჯერ ცნობილი იტალიელი სწავლული ბერის დონ მიქაელე მოსკოს მიერ რომში, მარტყოფის ომის შემდეგ 1628 წელს გაგზავნილი მოხსენება სათაურით: „ცნობები თეიმურაზზე და საქართველოზე“ „... მაგრამ იგი (გიორგი სააკაძე) შეზღუდული იყო მცირერიცხოვანი მომხრეებით... და მას მოუხდა დიდი საშიშროების ქვეშ მტრის მხარეზე გადასვლა... დიდი ბატონი (შაჰ-აბასი) მას ორი პროვინციის მიცემას დაჰპირდა, თუ იგი მაჰმადიანობას მიიღებდა: მაგრამ მან (გიორგი სააკაძემ) უარი თქვა (მაჰმადიანობის მიღებაზე)... მას მისცეს 60 000 ჯარისკაცი და ერთი გენერალი (ყარჩილა-ხანი), რომელიც ყველაფერში იმ ქართველზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული... მან (გიორგი სააკაძემ) გადაწყვიტა შეერთებოდა თავის ხალხს (რაც კიდეც გააკეთა) და ყველა სპარსელი დახოცა... ხალხს უნდოდა მისი მეფედ დასმა, მაგრამ ეს მან არ ისურვა. ამბობდა, რომ სამეფოში ყოველთვის იქნებოდა მღელვარება, იმის თაობაზე, რომ ჰყოლოდათ თავიანთი კანონიერი მეფე. საქმის კარგად დასაწყებად გიორგი სააკაძემ სიამოვნებით დაასახელა ტახტის კანონიერ მემკვიდრედ თეოფილე (თეიმურაზ I)... მაგრამ თეოფილე (ამ დროს ერთ ადგილას არ იჯდა), ქვეყნის ერთი მხრიდან მეორეში გადადიოდა. მაშინვე გაგზავნეს წარმომადგენლები, რათა თეოფილე მოეწვიათ. თუმცა ზოგიერთი ამბობდა, რომ მის (იგულისხმება გიორგი სააკაძე) მიერ ჩაფიქრებული გეგმა მახეა, რათა თეოფილე სიცოცხლეს გამოასალმოს და სამეფო ხელში ჩაიგდოსო, მაგრამ თეიმურაზ მეფემ თქვა, რომ თუ ღმერთს ასე სურს, მაშინ დე აღსრულდეს ნება მისი, ოღონდაც უფალმა მას (ე. ი. თეიმურაზ I-ს) დაუხუჭოს თვალები იქ, სადაც მან ეს თვალები გაახილაო. თეიმურაზ I როდესაც სამშობ-

¹ „ახ. ქართლის ცხოვრება“, გვ. 407.

² ვახუშტი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV. გვ. 431.

ლოში დაბრუნდა დიდი პატივითა და სიხარულით მიიღეს, სამეფო ტახტზე აიყვანეს და თავზე გვირგვინი დაადგეს¹.

იტალიელი მიქაელო მოსკოს ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია გიორგი სააკაძის დიდსულოვნების და თეიმურაზ I-ის მეფედ მოყვანის და დასმის შესახებ იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანის“, როგორც ისტორიული პირველწყაროს შესაბამისი სტრიქონებითაც დასტურდება [სტრ. 192, სტრ. 193]: ანდა „ვით მოგიყვანე, ხემწიფევე, ან გკადრე რამ მოხსენება“ და ა.შ. ასევე იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანში“ ჩანს გიორგი სააკაძის მოქიშპე-მტრების ავგულა სახე, რომლებიც „მას აბეზღებდენ ცუდმუდი კაცი შმაგი და რეტია“ ანდა „თქვენს გარდაისად ავად ქნეს სხვათ ჩემი გარდაკიდება“ [სტრ. 191, სტრ. 182], რაც გამოსჭვივის მიქაელე მოსკოს ცნობაშიც („თუმცა ზოგიერთი ამბობდა, რომ ჩაფიქრებული გეგმა მახეა“).

ე. ი. მიქაელე მოსკოს რელაციაშიც ცალსახად იკვეთება, რომ გიორგი სააკაძეს მოუწვევია კახეთის სამეფოდან გაქცეულ-გადახვეწილი მეფე თეიმურაზ I, „სამეფო ტახტზე აუყვანია“ კიდევ და „სამეფო გვირგვინიც დაუდგამს“... იტალიელი სწავლული ბერის მოყვანილი რელაცია 1628 წლის 20 აგვისტოთი თარიღდება და თუმცა ზოგიერთ უზუსტობას შეიცავს (თარიღების და გეოგრაფიული ადგილების), მაგრამ იგი მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ პერიოდისთვის, რადგან ამ უცხოური წყაროთი კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ დიდი მოურავი პიროვნული განდიდებისთვის კი არ იღვწის, არამედ ქვეყნის გაერთიანებისთვის, რომლის სამეფო ტახტზე ისევ ბაგრატიონი მეფე მოჰყავს — მამა-პაპით ბაგრატიონთა დინასტიის ერთგულ ძლევაშობილ მხედართმთავარს...

მიქაელე მოსკოს ამ ცნობას და აღწერილ ამბებს ეხმაურება ბატონი პლატონ იოსელიანიც, მაგრამ ტრადიციულად სიმართლეს ხშირად მოკლებული თავისებური, ტენდენციურ-აბსურდული თხრობით. თუმცა ბოლომდე ვერც ის მალავს რეალობას და გიორგი სააკაძის დიდბუნებოვნებას, თანაც უსაფუძვლო და უაზრო გაკილვის თანხლებით, ასევე ისტორიულ მოვლენათა ჟამთააღწერის არევე-დარევიტ. მომყავს ამონარიდები ბატონი პლატონ იოსელიანის შრომიდან: „... გიორგი სააკაძემ ქართლის გამგებლად ვახტანგ მუხრან-ბატონის შვილი ქაიხოსრო გამოაცხადა (თუმცა იქვე შენიშნავს პლ. იოსელიანი, რომ „ისტორიკოს გორგიჯანიძის მოთხრობის (ისტორიის) მიხედვით იესე ქსნის ერისთავი და თეიმურაზ მუხრან-ბატონი სიძეები იყვნენ მოურავის თავად გიორგი სააკაძისა“.² ქართლის გამგებლის წოდებით აღჭურვილ ჭაბუკ ქაიხოსროს მოურავი (გიორგი სააკაძე) ხელმძღვანელობდა, რომელსაც მთელ სამეფოში მეფის სრული ძალაუფლება ეჭირა და მართვა გამგებლობის ყველა სადავე ხელთ ეპყრა. სახელი გმირისა დიდებით დაავგირგვინეს (ანუ შეამკეს ეპითეტით „დიდი მოურავი“) მადლიერმა სამშობლომ გიორგის (საკაძეს) ხალხის მხსნელი, სამშობლოს მამა და ეკლესიის შვილი უწოდა (ფვიქრობ ძალზე მნიშვნელოვანი სიტყვებია!). ეპისკოპოსნი საკურთხევლის წინ ლოცულობდნენ გიორგი სააკაძის დღევრძელობისათვის“.³

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ პიეტრო დელა ვალეს უნიკალური ცნობის თანახმად, გიორგი სააკაძე ჯერ კიდევ 1620 წლიდან ემზადებოდა შურის საძიებლად და ამისთვის ეძებს ხელსაყრელ მომენტს, რომელიც დგება 1625 წლის 7 აპრილს კიდევ, პაატა სააკაძის მამულისთვის ზვარაკად შეწირვის საკუთარი და სხვა ვაჟების სიცოცხლის რისკის ფასად. იგი ამარცხებს გაერთიანებული ქართული ჯარით ყიზილბაშთა 30 000-იან არმიას. ათავისუფლებს აღმოსავლეთ საქართველოს ორივე სამეფოს ირანელი დამპყრობლებისაგან და გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს მეფედ მოჰყავს გონიოში რუსეთისაკენ გასაქცევად გამზადებული თეიმურაზ I. როგორ გადაუხდის ამ სიკეთეს დიდ მოურავს ბაგრატიონი მეფე შაჰ-აბასის დავალებით ეს უკვე ბაზალეთთან გამონდობა 1626 წლის გვიან შემოდგომით.

¹ ილია ტაბაღუა „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში“, ტომი II, თბ. 1986, გვ. 248–249.

² პლ. იოსელიანი „დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება“, თბილისი, 1973, გვ. 64.

³ პლ. იოსელიანი, იქვე, გვ. 40.

Vazha Otarashvili
Giorgi Saakadze Phenomenon Research Center
FROM MARTKOPI TO MARABDA
RESUME

The article presents historically important events and realities that occurred on April 7, 1625 in the period after the Martkop battle in Eastern Georgia. The great merits and state thinking of Georgy Saakadze in the issue of liberation and unification of the Kartli-Kakheti kingdom from Kizilbash are presented in a new way. The lapses and subjective attitudes shown by Georgian historians in assessing the personality of the great Mouravi are shown. The article also explains that the date of the Martkopi uprising is not accidental, and talks about its significance in the history of the Georgian people.

**კრისტოფორო კასტელისა და კათოლიკოს-პატრიარქ
მაქსიმე I-ის ერთი საღვთისმეტყველო დიალოგის ანალიზი**

წინამდებარე სტატიის მიზანია საქართველოში, კერძოდ, ოდიშის სამთავროში მოღვაწე თეატინელი მისიონერის დონ კრისტოფორო დე კასტელის¹ მიერ დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მაქსიმე I მაჭუტაძესთან² შემდგარი ერთი საღვთისმეტყველო დიალოგის ანალიზი; უფრო კონკრეტულად, იმ კონტექსტის წარმოდგენა, თუ ორ სუბიექტს შორის გამართულმა კერძო ხასიათის დიალოგმა ურთიერთგაგების რა სურათი დახატა და რამდენად ეფუძნებოდა იგი ქართული მართლმადიდებელი და რომაულ-კათოლიკური ეკლესიების ურთიერთპატივისცემას; ასევე ორ კონფესიას შორის დაახლოებისა და განსხვავების რა ასპექტები გამოავლინა ამ დიალოგმა. აქვე ერთი სიცხადისათვის: სათაურში გამოტანილ სიტყვას- “საღვთისმეტყველო დიალოგი”- ჩვენ არ ვიყენებთ კლასიკური მნიშვნელობით, როცა “დიალოგი” გამოიყენება ოფიციალურად ორ ეკლესიას, ან საეკლესიო სტრუქტურებს შორის საღვთისმეტყველო დავების გასარკვევად. რადგან მხედველობაში გვაქვს 20 წლის მანძილზე ერთმანეთთან თანაცხოვრების გამოცდილების მქონე ორ სუბიექტს შორის საღვთისმეტყველო საკითხებზე არაოფიციალურად გამართული საუბარი, უმჯობესად მივიჩნევთ, მისთვის ვიწრო მნიშვნელობა მიგვეცა და კერძო ხასიათის საუბრის ნაცვლად, დიალოგი გვეწოდებინა. ზოგადად თუ ვიტყვი, 66 წლის მანძილზე³ ოდიშის სამთავროში თეატინელი მამების ყოველდღიური მისიონერული საქმიანობა სიახლოვესა, სიყვარულსა და საკუთრივ დიალოგში ცხოვრებასაც ნიშნავდა. ასეა თუ ისე, ჩვენთვის საინტერესო საკითხს დიალოგის კონტექსტში წარმოვადგენთ.

ახლა იმ პირველწყაროს შესახებ, რომელსაც ეფუძნება ჩვენი ნაშრომი. ეს გახლავთ ხსენებული დონ კრისტოფორო დე კასტელის ერთი ვრცელი რელაციონე, რომელიც ასეა დასათარგმნებული-“1653 წელს საქართველოს პატრიარქის უკანასკნელი ქადაგება”.⁴ ამ წყაროში მოტანილი ფაქტების საკონტროლო მასალა ჯერჯერობით უცნობია. ამდენად, ჩვენი მსჯელობისათვის მას ერთადერთი უტყუარი წყაროს მნიშვნელობა აქვს. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ იგი გადაჭარბებებისაგან დაზღვევულად არ მიგვაჩნია, მაგრამ ჰიპერკრიტიკულად განწყობის საფუძველსაც არ გვაძლევს, რადგან, როგორც იტალიურენოვანი წყაროებიდან ცნობილია, ორივე მხარე (კასტელი და პატრიარქი) ერთმანეთს ნდობითა და პატივისცემით ეკიდე-

¹ თეატინელი მისიონერი დონ კრისტოფორო დე კასტელი საქართველოში 1632-1654 წლებში მოღვაწეობდა. აქედან მან ოდიშის სამთავროში, ლევან II დადიანის კარზე, 14 წელი გაატარა (1640-1654). (დაწვრ. იხ: დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი, 1976; Patrizia Anna Licini, Cristoforo Castelli e la sua missione in Georgia, “Regnum Dei”. Anno XVI-Jan.-Dec. 1985, №111; Bernadette Maiorana, La gloria impresa. Sellerio editore Palermo, 1990; პატრიცია ანა ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში. თარგმანი, შესავალი და შენიშვნები დაურთო მურმან პაპაშვილმა, თბილისი, 2009).

² დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მაქსიმე I მაჭუტაძემ (1639-1657) 1634 წელს, როცა ის ჯერ კიდევ შემოქმედის ეპისკოპოსი იყო, გორიდან ჩაიყვანა გურიის სამთავროში დონ კრისტოფორო დე კასტელი, დონ ანტონიო ჯარდინა და ფრანგი ძმა კლაუდიო სამისიონერო საქმიანობისათვის (თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 105; Ilia M. Tabagua, I rapporti tra la Georgia cristiana e la Santa Sede, vol. I, Tbilisi, 1995, p. 287).

³ პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა, თბილისი, 1995, გვ. 175-198.

⁴ პატრიცია ანა ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია..., გვ. 91-97.

ბოდენენ.¹ უფრო მეტიც, კროსტოფორო კასტელი კათოლიკოს-პატრიარქს მაქსიმე I-ს “...დიდი გონების...” პიროვნებად² მიიჩნევდა, ეს უკანასკნელი კი კრისტოფორო კასტელის მოწიწებით ეპყრობოდა და “...თავის მამას...”³ უწოდებდა. და კიდევ; კასტელი ერთგან ძალზე ლაკონურად აღნიშნავს: პატრიარქი მაქსიმე “...კეთილშობილი ადამიანი იყო მრავალი წლის განმავლობაში ბევრი კარგი საქმე გამიკეთა”.⁴ საკუთრივ ქართველთა პატრიარქმა ერთ კონკრეტულ შემთხვევაში კასტელის ასე მიმართა: “მე ვიცი ...ჩემდამი სიყვარული გამოძრავებთ. წლების განმავლობაში მეც ვიჩენდი სიყვარულს თქვენდამი”.⁵ ამგვარი სახის ურთიერთობები⁶ ჩამოყალიბდა ოცი წლის მანძილზე თანაცხოვრებით თეატინელ მამა დონ კრისტოფორო დე კასტელსა და დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მაქსიმე I-ს შორის.

ამ ზოგადი შესავლის შემდეგ, ახლა უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. როგორც დონ კრისტოფორო დე კასტელი გვაუწყებს 1653 წელს, როცა ის გურიიდან⁷ უკან ოდიშის სამთავროში ბრუნდებოდა, ბაღდათში, შემთხვევის წყალობით, იქ მყოფ დასავლეთ საქართველოს პატრიარქს შეხვდა. კასტელი წერს: “დავბრუნდი რა უკან, ვუახლოვდებოდი ქალაქს, რომელსაც ბაღდათი ეწოდება. გზაზე მიმავალმა უცებ შევნიშნე, რომ ჩემს შესახვედრად კაცი მორბოდა და არ ვიცოდი რა მეფიქრა. წმ. გიორგის ეკლესიასთან ახლოს ის გაჩერდა და მითხრა, რომ პატრიარქს (მაქსიმე I მაჭუტაძეს-მ.პ.) ჩემი ნახვა უნდოდა. ამ პიროვნებასთან ერთად წარვდექი პატრიარქის წინაშე, რომელიც ფანჩატურის ქვეშ ლოგინში იწვა და ქება-დიდებას უგალობდნენ”.⁸

როგორც ირკვევა, პატრიარქმა იცოდა, რომ კასტელი გურიაში იმყოფებოდა და წინასწარ დაიჭირა თადარიგი უკან ბაღდათის გზაზე მომავალი თავისთან მიეწვია, რათა გაეგო, რა ბედი ელოდა გურიაში ცნობილ ერთ-ერთ პიროვნებას ვახტანგ ჭიჭინაძეს. “პატრიარქმა მითხრა: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება და დასძინა: იცის საიდან მოვდიოდი და იმედოვნებს, რომ ის ბატონი (ვახტანგ ჭიჭინაძე-მ. პ.) განიკურნება”⁹- წერს კასტელი. სწორედ ასეთი შემთხვევის წყალობით მოხდა სამშობლოში გამგზავრების წინ კასტელისა და პატრიარქ მაქსიმე I-ის შეხვედრა ბაღდათში და დიალოგის გამართვა, რომელსაც შემდეგი თანმიმდევრობით გადმოგვცემს რელაციონეს ავტორი.

პირველმა კითხვა დასვა საქართველოს პატრიარქმა. ამ უკანასკნელს აინტერესებდა როდის მიემგზავრებოდა იტალიაში¹⁰ მამა კასტელი და ფეხზე აკოცებდა თუ არა პაპს.¹ “მე ვუპა-

¹ იქვე, გვ. 71.

² იქვე, გვ. 75.

³ იქვე, გვ. 78.

⁴ იქვე, გვ. 79.

⁵ იქვე, გვ. 96.

⁶ ამ ურთიერთობის ანალიზი (დაწვრ. იხ: პაპაშვილი მ., საქართველოში კრისტოფორო კასტელის ყოველდღიურობის ერთი ეპიზოდის ანალიზი. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №20, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021, გვ. 69-78).

⁷ კასტელის თანახმად, სამშობლოში (იტალიაში) გამგზავრების მზადებაში მყოფს, ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის (1611-1657) თხოვნით, სასწრაფოდ მოუწია გურიის სამთავროში წასვლა, რათა ემკურნალა ვახტანგ ჭიჭინაძისათვის, რომელსაც სამთავროში “პირველ პიროვნებად” მიიჩნევდნენ (პატრიცია ანა ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია..., გვ. 91-92).

⁸ პატრიცია ანა ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია... გვ. 92.

⁹ იქვე.

¹⁰ ამასთან დაკავშირებით მამა კასტელის ერთ ვრცელ რელაციონეში ვკითხულობთ: “პატრიარქი (იგულისხმება მაქსიმე I-მ.პ.) იტალიაში ჩემი დაბრუნების წინააღმდეგი იყო. ამიტომ სამეგრელოს მთავარს (იგულისხმება ლევან II დადიანი-მ.პ.) ეუბნებოდა, რომ ამისი ნებართვა ჩემთვის არ მოეცა. პატრიარქი მთავარს არწმუნებდა, რომ ჩემი წასვლა მათთვის დიდი დანაკლისი იქნებოდა, ხოლო მისიონი იმ გავლენას დაკარგავდა, რომელიც მას ამ ქვეყანასა და ხალხში მოუხვეჭე. ამ კათალიკოსის თხოვნით, კოლხთა მეფემ (ლევან II დადიანი-მ.პ.) ერთი წელი დამაყოვნა” (პატრიცია ანა ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია... გვ.79). თუ სინამდვილეში რატომ სურდა ეს კათალიკოს-პატრიარქს, ანუ რა მიზნით აყოვნებინებდა ოდიშის მთავარს მამა კასტელის სამშობლოში

სუხე,-წერს ავტორი,-რომ ღმერთის შემწობით ეს ნამდვილად ასე მოხდებოდა, რადგან პაპის დესპანი ვიყავი. მისი განკარგულებით გამოგზავნეს ამ ქვეყანაში და დაბრუნებისთანავე მას წარუდგენდი ანგარიშს იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში არიან საწყალი ქრისტიანები აღმოსავლეთში”.² ასე მარტივად დაიწყო ეს დიალოგი და კასტელიმაც ძალზე მშვიდად უპასუხა პატრიარქს. ჩვენი აზრით, ამ საკითხზე კითხვის ასეთი მანერით დასმა იმის ირიბი დადასტურებაა, რომ მის შესახებ ადრეც უნდა ყოფილიყო, ალბათ, საუბარი პატრიარქსა და მამა კასტელს შორის. ბუნებრივია, დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი პაპის ფეხზე კოცნას მართლმადიდებლური პოზიციებიდან უყურებდა, თუმცა აქ არ იკითხება მისი ნეგატიური დამოკიდებულება ამ ტრადიციისადმი. ამაში ურთიერთგაგება რომ არ არსებობდა, ეს იგრძნობა კასტელის კატეგორიული ტონიდან- “ეს ნამდვილად ასე მოხდებოდა”, თუმცა ამის მტკიცებას ის არ ცდილობს. კასტელი პირდაპირ მიანიშნებდა პატრიარქს, რომ, როგორც პაპის დესპანი, ასრულებდა მასზე დაკისრებულ დავალებასა და ფეხზე კოცნის ფორმულას დაიცავდა. უფრო სწორად, კასტელიმ პატრიარქს ძალზე ლაკონურად მიანიშნა, რომ პაპის ფეხზე კოცნა ეს იყო მორჩილებისა და პატივისცემის ნიშანი.

ამ მოკლე კითხვა-პასუხის შემდეგ, რომლის გარშემო მსჯელობა არ გამართულა, რელაციონეს მიხედვით, ინიციატივა კასტელიმ აიღო ხელში. ის წერს: “გადავწყვიტე პატრიარქთან თავისუფლად ძელაპარაკა და მას თავიდანვე ვუთხარი, თუ უფლებას მომცემდა, მინდოდა მეთქვა იმის თაობაზე, რაც აზრად მომივიდა იმათი სულების შესახებ, რომელთა მწყემსადაც ითვლებოდა ამ მხარეში”.³ ამასთანავე ვთხოვე, ჩემი სიტყვები მიეღო, როგორც მისი ერთგული მონის ნათქვამი და არავითარი სხვა სურვილი არ მქონდა, გარდა მისი ჯანმრთელობისა...თან დავამატე; ამ საწყალი ხალხისა და მისი სულის ჯანმრთელობის გარდა, სხვა არავითარი სურვილი არ მქონდა. მე ამას ჩემი მოვალეობიდან გამომდინარე ვაკეთებდი. თუ ამას არ ვიტყვოდი, უნდა ჩამეთვალა, რომ მოვალეობასა და ვალდებულებებს ვუღალატე”.⁴

მოტანილი წყარო არ საჭიროებს დამატებით ახსნა-განმარტებებს. როგორც ვხედავთ, კასტელი წინასწარ, პოზიტიურად განგვაწყობს მის მიერ გამოჩენილი სითამამის, ტექსტის ენით “თავისუფლად ლაპარაკის”, უნარისა და პრინციპული ხასიათის წარმოდგენით და სურს აჩვენოს, რომ საღვთისმეტყველო საკითხებზე მისი კათოლიკური თვალსაზრისით მსჯელობა ქართველ მართლმადიდებელ სასულიერო პირებს შორის არასოდეს ყოფილა შეზღუდული. ამას ადასტურებს მამა კასტელის შემდეგი სიტყვები. ის წერს: “პატრიარქი მოსასმენად მოემზადა, მაგრამ მოიღუპა, რადგან იცოდა, რომ მე საუბარში თავისუფალი ვარ, არა მაქვს შიშის გრძნობა და სათქმელს მაშინვე ვამბობ. ისიც იცოდა, რომ მასთან მყოფ ხალხსაც მივმართავდი”.⁵ ამით კასტელი კიდევ ერთხელ გვაგრძნობინებს, რომ საქართველოში მართლმადიდებელ სასულიერო პირებს შორის მისი ავტორიტეტი, ვითარცა კათოლიკე მამისა, რომელიც თავისი განსწავლულობით⁶ დიდად იყო ქართველი სასულიერო პირების მიერ დაფასებული, სარგებლობდა საკუთარი თვალსაზრისების თავისუფლად გამოთქმის უფლებით. მოტანილი ფაქტი გვაძლევს საშუალებას თამამად დავასკვნათ: ქართული საზოგადოება არ წარმოადგენდა ისეთ ჩაკეტილ სა-

გამგზავრებას, ამავე კასტელისთან გარკვევით იკითხება. ის წერს: “მას (კათოლიკოს-პატრიარქ მაქსიმე I-ს-მ.პ.) უნდოდა იერუსალიმში თან წავეყვანე, რათა მათი აღდგომის დღეს ზეციდან დაშვებული ცეცხლის სიყალბე არ დაედასტურებინა” (პატრიცია ანა ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია...გვ.91).

¹ პატრიცია ანა ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია...გვ. 92.

² იქვე, გვ. 92-93.

³ იგულისხმება დასავლეთ საქართველო.

⁴ პატრიცია ანა ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია..., გვ. 93.

⁵ პატრიცია ანა ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია..., გვ. 93.

⁶ ამასთან დაკავშირებით კასტელი სხვა ადგილას წერს: “გურიის მთავარ-პატრიარქთან ყოფნის დროს ხშირად მესმოდა, რომ ლათინები, ვფლობთ რა გამჭრიახ გონებას, უფრო სწავლულები ვართ, ვიდრე ისინი...” (პატრიცია ანა ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია..., გვ. 70).

ზოგადობას, რომ განსხვავებული კონფესიის მატარებელ ქრისტიან სასულიერო პირს შიშის გამო ხმა ვერ ამოელო.

ერთი სიტყვით, როგორც ვხედავთ, დიალოგი განსაკუთრებული სიახლოვისა და ერთმანეთის მიმართ დიდი პატივისცემით გამსჭვალულ თეატრულ კათოლიკე მამა კასტელსა და დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მაქსიმე I-ს შორის ერთი-ერთზე გაიმართა. მოსაუბრეებს შორის დიალოგის საკითხი განსაზღვრული არ ყოფილა, მაგრამ ირკვევა, რომ კასტელიმ იმ საკითხებზე დააპირა მსჯელობა, რაზეც შეიძლება ადრევე უნდოდა საუბარი, მაგრამ ახლა, იტალიაში გამგზავრების წინ, საბოლოოდ გამოთხოვების ჟამს, საჭიროდ ჩათვალა, მაქსიმე I-სათვის გულახდილად გაეზიარებინა. ნათელია, ამას გრძნობდა პატრიარქი და კასტელის თხოვნით მიმართა: “მამაო, ყველაფერი მითხარი, მაგრამ ჩუმად, ისე, რომ ჩვენს შორის დარჩეს და ჩვენმა ხალხმა არ გაიგოს”.¹ დაისმის კითხვა: რატომ სურდა კათოლიკოს-პატრიარქ მაქსიმე I-ს მათ შორის გამართული საუბარი გარშემო მყოფთათვის არ გახმაურებულიყო? ამაზე ზუსტი პასუხის გაცემა ჭირს, რადგან კასტელი ამის შესახებ არაფერს ამბობს. ჩვენი ვარაუდით, საჯარო პაექრობა შეიძლება ან იმიტომ არ ისურვა კათოლიკოს-პატრიარქმა, რადგან არ ეწადა კათოლიკე მამასთან დიალოგში დამარცხებულიყო, ანდა სურდა, კასტელისაგან გულახდილად მოსმენილზე დათანხმება მის გვერდით მყოფ საეკლესიო პირებს პატრიარქის საწინააღმდეგოდ არ გამოეყენებინათ. უფრო კონკრეტულად, ამ დიალოგით კათოლიკური თვალსაზრისის გამარჯვება არ გაცხადებულიყო. სხვა შემთხვევაში გაუგებარი ხდება, თუ რატომ არ სურდა კათოლიკოსს მათი საუბარი მის გვერდით მყოფ სასულიერო პირებს არ მოესმინა. ბუნებრივია, მამა კასტელიმ პატრიარქის თხოვნა შეიწყნარა² და ტექსტიდან ჩანს, რომ საუბარს უშუალოდ არ ესწრებოდნენ პატრიარქის გარშემო მყოფნი, თუმცა იქვე ახლოს იყვნენ და მათთვის დაფარული არ ყოფილა საუბრის შინაარსი, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

ამის შემდეგ, რელაციონეს მიხედვით, დიალოგი მონოლოგში გადაიზარდა და იგი თეატრული მამის ქადაგების სახით არის წარმოდგენილი. მასში გამოიყოფა პატრიარქის სამწყსო მოვალეობისადმი მეტი ყურადღების გამოჩენის, სამღვდლო ღირსებისა და საეკლესიო წესების განუხრელად დაცვის, ადგილობრივი საეკლესიო კრების მოწვევის საჭიროების, სასულიერო პირთა განათლების ღონის ამალღების, ეპისკოპოსების მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის გაწვევის აუცილებლობის, სამთავროებს შორის ომის აკრძალვაში სასულიერო პირების უპირველესი მოვალეობის შესახებ რელიგიური განმარტებები და დარიგებები. მოკლედ, ეს ქადაგება სარწმუნოების იმ მხარეებს შეეხო, რომელიც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის პერსპექტივებად უნდა მიეღო კათოლიკოს-პატრიარქს. ახლა ჩამოყალიბებული თანმიმდევრობით განვიხილოთ დასახელებული ქადაგების განმარტებები და დარიგებანი.

მამა კასტელი ქადაგებას კათოლიკოს-პატრიარქისადმი დარიგებით იწყებს და მას ასე გადმოგვცემს: კათოლიკოს-პატრიარქს “...უთხარი, ღმერთის სიყვარულისათვის, თავის სამწყსო მოვალეობისადმი უფრო მეტი ყურადღება მიექცია, რადგან მეელმა ჯოჯოხეთიდან თითქმის ყველა მისი ცხვარი შეჭამა, სანამ მას ეძინა. შევუქე მას ხანგრძლივი ლოცვები, მაგრამ ეს მისი გადარჩენისათვის საკმარისი არ იყო”.³ ის პატრიარქს თავისი უზენაესი მოვალეობის შესრულების მაგალითად პაპის ტახტს, ანუ კათოლიკური ეკლესიის რელიგიურ ავტორიტეტს უსახავდა. “სარწმუნოების საკითხში, -არიგებდა კასტელი პატრიარქს, -მას ფრთხილად უნდა ედევნებინა თვალი მწყემსის მოვალეობისათვის ისე, როგორც ამას თავისი ხალხისათვის კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსები და რომის პაპები აკეთებდნენ”.⁴ ამის შემდეგ ვიგებთ, თუ რას გულისხმობდა კასტელი, როცა პატრიარქს თავისი “სამწყსო მოვალეობისადმი უფრო მეტი ყურადღების” მიქცევას არიგებდა. კერძოდ, კასტელის მიხედვით, მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავარი

¹ პატრიცია ანა ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია..., გვ. 93.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 93-94.

შემდეგი გამოწვევის წინაშე იდგა: პირველი, მას უნდა “აეკრძალა თურქებზე ქრისტიანი სულე-ბის გაყიდვა, რომელიც ქრისტემ გამოისყიდა”; მეორე, “ეზრუნა იმაზე, რომ ქალებს თავიანთი ახლადდაბადებული ბავშვებისათვის სიცოცხლე არ წაერთმიათ, რასაც გარეული ცხოველებიც კი არ აკეთებენ”; მესამე, ერთ ცოლზე მეტი არავის ჰყოლოდა; მეოთხე, სასულიერო პირები (მაგალითად, მღვდლები) არ დაეშვათ სამღვდლო ღირსებაზე, თუ ისეთი ცოდნა არ ექნებოდათ, რომ შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა.”¹ ამ უკანასკნელი ნაკლის აღმოსაფხვრელად პატრიარქს ურჩევდა პრობლემა მღვდელთა მიერ გამოცდების ჩატარებით გადაეჭრა. “წმინდა სარწმუნოების საკითხებსა და და ეკლესიის წესების შესრულებაში,-გკითხულობთ რელაციონეში,- ასევე სხვა საკითხებში საჭიროა მღვდელთა სპეციალური გამოცდა. მათ (მღვდლებს-მ.პ.) სრულყოფილი ცოდნა უნდა ჰქონდეთ, რათა თავიანთი მოვალეობა ისე შეასრულონ, რომ ნათლობის საეკლესიო წესების შესრულების დროს სულს ზიანი² არ მიადგინონ. ეს კი საეკლესიო წესების საფუძველს წარმოადგენს.”³ ერთი სიტყვით, დონ კრისტოფორო დე კასტელი დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მაქსიმე I-ს თავისი მართლმადიდებლური იდენტობის ფარგლებში მოუწოდებდა მწყემსებრივი მოვალეობის განუხრელად შესრულებისათვის აღნიშნული გამოწვევების გადასაჭრელად თავდადებულ ბრძოლას.

ქადაგებაში ეპისკოპოსთა მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნის შესახებ ნათქვამია: “ეპისკოპოსებს სოფელში მსახურების მეშვეობით უნდა ესწავლებინათ ლიტურგია, აუცილებელი წერა-კითხვა და ადამიანებისათვის ეჩვენებინათ გზა ზეცისაკენ”.⁴ როგორც ვხედავთ, აქ ცალსახად აქცენტი განათლების მნიშვნელობაზეა გადატანილი და, ჩვენი აზრით, კასტელისათვის იგი საყრდენია იმისა, რომ განათლებული მართლმადიდებელი არ იქნებოდა ფუნდამენტალისტი და ფანატიკოსი. და კიდევ; ის, როგორც რენესანსის ეპოქის შვილი, განათლებას მომავლის შენაძენად მიიჩნევდა და მასში სამღვდლოების როლს ძირითად მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ ამოცანის გადასაჭრელად, კასტელის დარიგებით, “ხანდახან მოეწვიათ მღვდლები, ეპისკოპოსები, ვიკარები, რათა ემსჯელათ, თუ როგორ შეიძლება ეკლესიის გაჯანსაღება და ა.შ. უნდა აღმოეფხვრათ ბოროტება, გამოვასწოროთ შეცდომები, დავაჯილდოვოთ სიკეთე და დავამყაროთ წესრიგი იმ სულებისათვის, რომლებიც ამ სამეფოში უნდა განიკურნონ”.⁵

ქადაგებაში სულ ოროიდე წინადადებითაა მოცემული, თუ რა ფუნქცია აკისრიათ პატრიარქსა და სასულიერო პირებს, რათა არ დაუშვან ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის ომი. “საჭიროა, ეპისკოპოსებმა წინ ატარონ წმინდა ჯვარი და ჯარისკაცებთან ერთად არ იარონ.”⁶ “ქრისტიანების წინააღმდეგ არ უნდა იომონ არც მათ (ხელმწიფეებმა-მ.პ.) და არც პატრიარქებმა. ეს მათ არ შეეშენით. უნდა აინტერესებდეთ ადამიანის ბედი, რაზეც არ ფიქრობენ”⁷-ქადაგებდა კასტელი. ამით მამა-მისიონერი ხაზს უსვამდა, რომ ქრისტიანობა მშვიდობის სარწმუნოებაა და არა ერთმანეთთან ომის. პირდაპირ მიანიშნებდა, რომ ქრისტიან ძმებს შორის ომის შეწყვეტა ქართველ სასულიერო მესვეურებს უნდა დაესახათ ქრისტიანული ეკლესიისა და

¹ პატრიცია ანა ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია..., გვ. 94.

² ამაში მამა კასტელი უდავოდ გულისხმობს ნათლობისას დაშვებულ შეცდომებს. მაგალითად, ნათლობის ცერემონიალი მიმდინარეობდა მარანში, ჭურების გვერდით, სადაც მღვდელი ღვინოს იღებდა და დროდადრო სვამდა კიდევ. ორი საათის განმავლობაში კითხულობდა წიგნს, სადაც წერია ლოცვები და მოთხრობები ქრისტეს ნათლობის შესახებ, მაგრამ არ იყო ნათქვამი აუცილებელი სიტყვები, სანამ იგი წყალს ასხურებდა ბავშვს” (პატრიცია ანა ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია..., გვ. 94, შენიშვნა, 98). ამას ემორწმუნება თეატინელი მისიონერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. “მართალია, ისინი ინათლებიან, მაგრამ მხოლოდ ლოცვებს კითხულობენ, ხოლო მონათვლის ნამდვილ ფორმულას არ წარმოთქვამენ”-წერს ის (დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე), იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს *მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა*, თბილისი, 2014, გვ. 37).

³ პატრიცია ანა ლიჩინი. კრისტოფორო კასტელი და მისი მისია..., გვ. 94.

⁴ იქვე, გვ. 95.

⁵ პატრიცია ანა ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია..., გვ. 95.

⁶ იქვე.

⁷ იქვე, გვ. 95-96.

ქრისტიანული მორალის უპირველეს ამოცანად. აქედან გამომდინარე, კასტელიმ, თუ მას დაეუ-
ჯერებთ, სრულიად თავისუფლად, უცერემონიოდ, პირადი ინტერესების გარეშე პატრიარქს ურ-
ჩია: “მას (პატრიარქს-მ.პ.) ღირსება დიდ წონას აძლევს და სავალდებულოა, ისე მართოს, რო-
გორც საჭიროა და თუ არ შეუძლია, უარი უნდა თქვას, რადგან უმჯობესია სული პირვანდელი
სახით გადაარჩინო, ვიდრე პატრიარქობისას დაკარგო”.¹

ჩვენ თითქმის სრულად, სათანადო განმარტებებით, გადმოვეცით თეატინელი მამის დონ
კრისტოფორო კასტელის დიალოგი-ქადაგების შინაარსი. როგორც ავტორი გვაუწყებს “მთელი
ამ დროის განმავლობაში კეთილი პატრიარქი გაუნძრევლად...” უყურებდა და უსმენდა მამა კას-
ტელის.² “მისი წითური სახე,-წერს ის,-გაფითრდა. ვიგრძენი, რომ ამისაკენ უფალმა მიბიძგა.

პატრიარქს ვუთხარი: ასე ენერგიულად ლაპარაკი ჩემი ჩვეულებრივი თვისებაა; პატრიარქის კა-
რის მსახურები ყურადღებით მისმენდნენ, რადგან იქვე ახლოს იყვნენ და გამბედაობით გამოირ-
ჩეოდნენ. ჩემი საუბრითა და პატრიარქის მოთმინებით ისინი გაოცებულნი იყვნენ. საკუთრივ მეც
გაოცებული ვიყავი, რომ პატრიარქმა მომითმინა და არც ერთხელ სიტყვა არ გამაწყვეტინა.”³
ჩვენი ღრმა რწმენით, კათოლიკოს-პატრიარქი მაქსიმე I მაღალი კულტურით, შემწყნარებლობი-
თა და მშვიდობისმყოფლური თვისებებით გამოირჩეოდა. თუ არა ეს, სხვა შემთხვევაში ამ დია-
ლოგს აუცილებლად კონფლიქტი მოჰყვებოდა. ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ
მამა-კასტელის ევროპული განსწავლულობა და დასავლეთ საქართველოში მოხვეჭილი ავტორი-
ტეტი ქმნიდა ამ დიალოგისას იმ ატმოსფეროს, რომ პატრიარქი რაციონალურ კმაყოფილებას
ედლეოდა. ეს უკანასკნელი, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სრულყოფილი, პატრიარქისა და მი-
სი მრევლისადმი პატივისცემით, სიყვარულით გამსჭვალული მასწავლებლისაგან დიდ კმაყოფი-
ლებას იღებდა საკუთარი უზენაესი მოვალეობის შესახებ ჯანსაღი აზრის მოსმენით. ირკვევა,
რომ პატრიარქისათვის, რომელიც დამოკიდებული იყო ოდიშის მთავრის ძალაუფლებაზე,⁴ ეკლე-
სიისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების შესახებ კათოლიკური თვალსაზრისი მისაღები აღ-
მოჩნდა, რადგან მასში, ალბათ, პატრიარქის ძალაუფლების ზრდის წყაროს ხედავდა. ჩვენ ამ
აზრს ვკითხულობთ კასტელის შემდეგ სიტყვებში. ის წერს: “ამ ქვეყნის მთავრები მმართველო-
ბენ, როგორც სამოქალაქო, ისე სასულიერო სფეროში და ეპისკოპოსებსა და პატრიარქებს მარ-
თვის უფლებას არ აძლევენ, თუ ეს მათ არ მოსწონთ და, თუ მთავარს რამეს ეტყვი, ის მიპა-
სუხებს: ამის შესახებ მე ვიფიქრებ. ასეთია ამ ქვეყნის წეს-ჩვეულება. აქვე პატრიარქმა თქვა:
როგორც თქვენ შენიშნავდით, მივევბოდით წინაპართა გზას და ამისაგან ვერ განვიკურნეთ,
რადგან ამ ქვეყანაში შემწყნარებლობის უნარი არ გვაქვს. ვიტოვებ მოვალეობასა და არ ვკარგავ
იმედს, რომ იერუსალიმში მოვკვდე.”⁵

საინტერესოა ქადაგების ფინალი და მასზე პატრიარქის რეაგირება. მას კასტელი
ვრცლად გადმოგვცემს და საჭიროდ მივიჩნევთ მის სრულად მოტანას, რადგან იგი ერთგვარ
დასკვნასაც წარმოადგენს. “როცა ქადაგება დავამთავრე,-წერს მამა კასტელი,-პატრიარქმა ამოი-
სუნთქა და თქვა: “ვაი, ვაი, ჩემო თავო. დღეს რამდენი რამე მოვისმინე. ჩემო თავო... ვფიცავ მა-
მაჩემის სულს, რომ არასოდეს გამიგონია ამდენი, რამდენიც ამ კაცმა მითხრა. მართლაც, საიდან
მოვიდა ეს ზეციდან ჩამოსული ანგელოზი”. პატრიარქი შემდეგ მიუბრუნდა თავის მსახურებს
და მნიშვნელოვნად თქვა: “იცით, ამ წუთში რა მითხრა ამ წმინდა მამამ? მოკლედ გაიმეორა
ჩემი ქადაგება, შემდეგ ჩემსკენ მობრუნდა და მითხრა: “მე ვიცი, რომ რაც მითხარით, ერთგუ-
ლებით იყო ნათქვამი, რადგან ჩემდამი სიყვარული გამოძრავებთ. წლების განმავლობაში მეც ვი-

¹ იქვე, გვ. 95.

² პატრიცია ანა ლიჩინი. კრისტოფორო კასტელი და მისი მისია..., გვ. 96.

³ იქვე.

⁴ “მე ამ ქვეყნის (დასავლეთ საქართველოს-მ.პ.) პატრიარქი ვარ და არცა ვარ, რადგან მთავარი (ლევან II დადიანი-მ.პ.) არ მაძლევს უფლებას, მის გარეშე რამე გავაკეთო”-უბნებოდა კათოლიკოს-პატრიარქი კასტელის (პატრიცია ანა ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია..., გვ. 96).

⁵ იქვე, გვ. 96-97.

ჩენდი ამ სიყვარულს თქვენდამი. ჩვენს ქვეყანაში თქვენ გიცნობენ, როგორც წმინდა ადამიანს, რომელიც ყველაფერს თავისუფლად ამბობს. თქვენი სიტყვები ღმერთის მიერ არის გამოგზავნილი და მუდამ იცოცხლებენ.”¹ ეს ინფორმაცია ხსნის იმ კვანძს, რომ მისიონერული სიყვარული, რომელსაც კრისტოფორო კასტელი ნიადაგ ავლენდა საქართველოში, ქმნიდა სიახლოვის, საერთო კეთილდღეობის მიღწევის, ურთიერთპატივისცემის განცდას, რაც თავის მხრივ მისიას წინსვლის საშუალებას აძლევდა. საკუთრივ, კასტელმა თავის დიალოგსა თუ ქადაგებაში, სრულიად გამიზნულად, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურების, სამღვდლო ღირსების, ეკლესიის საგანმანათლებლო როლის, საეკლესიო წესების იმ ფუნქციებზე ისაუბრა, რომლებიც დაკნინებულად მოსჩანდა. ამ მხრივ მისი დარიგებანი მიზნად ისახავდა არა კათოლიკური თვალსაზრისის უპირატესობის დასაბუთებას, არამედ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის განმტკიცებას. ამით ის პატრიარქს აგრძნობინებდა, რომ მისი რჩევები მათ დაახლოებას ემსახურებოდა. სწორედ ამიტომ არ მოჰყოლია ამ დიალოგს კათოლიკოს-პატრიარქის პროტესტი. პირიქით, შეიძლება ამის მოთხოვნილება თვით მას ჰქონდა.

ჩვენი ეს ბოლო დასკვნა ემყარება შემდეგ ფაქტს. პატრიარქმა მამა-კასტელი თავისთან ორი დღე დატოვა და გამომშვიდობებისას სთხოვა: “ვიდრე გაემგზავრებოდეთ [იტალიაში] ჩემი მოვალეობის შესახებ მთავარს უთხარით”-ო.² ამაში, ბუნებრივია, იკითხება ის აზრი, რომ კასტელის, ვიდრე იტალიაში გაემგზავრებოდა, ოდიშის მთავარ ლევან II დადიანთან უნდა ესაუბრა პატრიარქისათვის უზენაესი ძალაუფლების დაბრუნების შესახებ. თუ ვერწმუნებით მამა-კასტელის, მან ეს თხოვნა შეასრულა და პრაქტიკულ შედეგსაც მიაღწია. ის წერს: “სხვათაშორის, ისე მოხდა, რომ ზოგიერთმა საკითხმა, რომლის შესახებაც მე პატრიარქს ვესაუბრე, გაჭრა, რადგან ოდიშის მთავარი მას თავისუფლების საშუალებას აძლევდა, თუმცა სამეგრელოს მეფეს (ლევან II დადიანს-მ.პ.) არ უნდოდა ეპისკოპოსებსა და პატრიარქებს ძალაუფლებით ესარგებლათ. მთავარს წარმოდგენილი ჰქონდა, რომ მას თვითონ უნდა ემართა ყველა და ყველაფერი მის სურვილზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული”.³ სამწუხაროდ, ამის საკონტროლო მასალა არ გაგვარჩნია და ძნელია ითქვას, რამდენად გასჭრა კასტელის მცდელობამ, რომ ოდიშის მთავარმა მისი თხოვნა შეიწყინარა.

Murman Papashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ANALYSIS OF ONE THEOLOGICAL DIALOGUE BETWEEN CHRISTOPHER CASTEL AND CATHOLICOS-PATRIARCH MAXIM I RESUME

Based on the report of the Theatine missionary Christopher Castel, the article analyzes one of the theological dialogues that took place in 1653 between the named persons. In it, the parties touched upon the issues of the full fulfillment of the supreme duty of the patriarch, the dignity of the Orthodox clergy and strict observance of church rules, the need to convene a local church assembly, raising the level of education of the clergy and the educational activities of bishops. In a word, the dialogue touched upon those aspects of faith that the Catholicos-Patriarch must accept as a perspective of the Georgian Orthodox Church. The latter accepted all the instructions of the Catholic father with benevolence and reasonable satisfaction, since he did not aim to establish the primacy of the Catholic point of view, but to strengthen the Georgian Orthodox Church. That is why this dialogue was not followed by the protest of the Catholicos-Patriarch. On the contrary, he himself needed it.

¹ იქვე, გვ. 96.

² პატრიცია ანა ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია..., გვ. 97.

³ იქვე.

არჩილი და ანტონ პირველი დავით აღმაშენებლის შესახებ

შესავალი. მე-17-18 საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში დავით აღმაშენებლის ისტორიული და მხატვრული სახე სულ რამდენიმე მწერლის შემოქმედებაშია ასახული, რომელთაგან ვრცლად და სიღრმისეულად არჩილისა და ანტონ კათალიკოსის თხზულებებშია წარმოდგენილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანტონ პირველის შეფასებები, რომლებიც აჩვენებენ დავით აღმაშენებლის სახეს, როგორც მეფისა, ჰიმნოგრაფისა და წმინდანისა. არჩილის „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“ და ანტონის „წყობილსიტყვაობა“ ჰიპოდიმურ-პარადიგმული ხატმეტყველების საფუძველზე წარმოაჩენს დავით აღმაშენებლის მხატვრულ სახეს.

კვლევის მეთოდი. საკითხის შესწავლისას ვეყრდნობით კვლევის ტრადიციულ და ახალ მეთოდებს, კერძოდ: ისტორიულ-შედარებითს, ანალიტიკურს, ჰერმენევტიკულს, მულტიდისციპლინურს, რომელთა საფუძველზე გამოიკვეთა არჩილისა და ანტონ კათალიკოსის თხზულებებში დავით აღმაშენებლის ხატ-სახის წარმოსახვის პრინციპები, როგორც მეფისა, წმინდანისა, ჰიმნოგრაფისა. დავითის სახე ორივე ავტორს ინტერკულტურულ კონტექსტში აქვს გააზრებული.

მიზანი. სამეცნიერო შრომის მიზანია არჩილისა და ანტონ კათალიკოსის შეხედულებების გადმოცემა დავით აღმაშენებლის, როგორც მეფისა და წმინდანის, შესახებ, მათი თხზულებების („მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“, „წყობილსიტყვაობა“) მიზანდასახულობისა და ლიტერატურულ-ისტორიული ღირებულების დადგენა ქართული მწერლობის ისტორიაში.

მსჯელობა. მე-17-18 საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში დავით აღმაშენებლის ისტორიული და მხატვრული სახე სულ რამდენიმე მწერლის შემოქმედებაშია ასახული, რომელთაგან საკმაოდ ვრცლად და სიღრმისეულად არჩილისა და ანტონ კათალიკოსის თხზულებებშია წარმოდგენილი. ასევე საინტერესოა ფეშანგის პოემა „შაჰნავაზიანი“, რომელშიც, მართალია, მხოლოდ ერთი სტროფი ეძღვნება დავით აღმაშენებელს, მაგრამ უწყურადღებოდ მაინც ვერ დავტოვებთ.

ყოველთა იცით სიდიდით, თუ რა ქნა იმან და ვითა,
სხვა დიდნი მოსრნა მეფენი, ურიდლათ იმან დავითა,
სარწმუნოებით სავსემან, არ გასცა იმან დავითა,
მრავლად აშენა საყდარი, არა ქნა იმან დავითა ¹.

ავტორი საკმაოდ მოზრდილ ისტორიულ პოემაში მოკლედ, კონდენსირებულად აჩვენებს დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ მოღვაწეობასა და ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ, სარწმუნოებრივ-საეკლესიო აღმშენებლობას, რითაც დაიმკვიდრა დიდი სახელი, როგორც ქრისტიანი მეფისა.

1. არჩილმა თავისი პოემა „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“ ეროვნული საკითხისა და გარდასული დროის გმირთა სახეების მხატვრულ წარმოსახვას მიუძღვნა. თხზულება სახოტბო-ქებითი სტილისაა, მასში გამოყენებულია ჩაზრუნული სალექსო საზომი და თექვსმეტმარცვლიანი (სტრ. 8, 34, 54, 70, 102, 109, 113, 114) შაირი. არცთუ ისე დიდ პოემაში ასახულია ბიბლიური პერსონაჟების, ცნობილი მეფეებისა და მწერლების მხატვრული სახეები, კერ-

¹ ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გიორგი ლეონიძის გამოკვლევიტა და საძიებლებით, თბილისი, 1935. სტრ. 31.

ძოდ: დავით წინასწარმეტყველის, სოლომონის, იერობოამის, იოსიას, ალექსანდრე მაკედონელის, კონსტანტინე დიდის, დავით აღამაშენებლის, თამარ მეფისა და სხვათა.

არჩილის პოემის დაწყებას ჩახრუხადის ხსენებით, რომელსაც ექვსი სტროფი ეთმობა, თავისი მხატვრული საფუძველი აქვს. ჩახრუხადე ქართული სახოტბო პოეზიის სათავეებთან დგას. იგი პირველია, ვინც შექმნა სახოტბო ხასიათის თხზულება, რომელიც მეფე თამარს მიუძღვნა. პოეტმა არჩილმა პოეტს, შემოქმედს, ჩახრუხადეს, მაღალი შეფასება მისცა და თავის სახოტბო თხზულებაში მის მიერ გამოყენებული სალექსო საზომიც გამოიყენა, განაახლა. არჩილი საკუთარ თავს ჩახრუხადის მიმბაძველად წარმოგვიდგენს და მასთან დაკავშირებით ორ საკითხზე ამხვილებს ყურადღებას: 1. თვით ჩახრუხადის პოეზიის რაობასა და არსზე, 2. ჩახრუხადის გავლენის თაობაზე არჩილის პოეზიაზე. ჩახრუხადის შესახებ საუბარი პოეტს ორი მიზეზით დასჭირდა: ჩახრუხადე თავის შთამაგონებლად უნდა წარმოეჩინა და ჩახრუხადე იყო თამარ მეფის მეხოტბე, ხოლო არჩილს მიზნად ჰქონდა დასახული მეფეთა ქება და მხილება.

პოემის სახელწოდების მიხედვით, ესაა მეფეთა ქება და მხილება, ე.ი. ერთი მხრივ, კეთილ, მისაბამ და, მეორე მხრივ, ბოროტ, უკეთურ მეფეთა სახეების წარმოჩენა. არჩილი ჩახრუხადის ქების შემდეგ საგანგებოდ ეხება მეფის მისიას, როგორი უნდა იყოს მეფე, რათა ღირსეული პატრონობა შეძლოს თავისი ქვეყნისა და ერისა:

ბრძენი - ენა-გრძლად, შესმენა უხამს მეფეთ მაქებართა,

ვინ პატრონობს ვრცელს ქვეყანას, მის შორისთა - მთა და ბართა.

ვითარ იპყრობს ერთ სიმრავლეს მოურავი ვით მღებართა?

მივაჩემოთ შემოქმედსა ჩვენი საქმე მის მიერთა¹.

არჩილი განარჩევს კეთილ და უკეთურ მეფეებს, რაზეც საუბარია სხვა ავტორებთანაც, რომელთაგან აქ საგანგებოდ უნდა დავასახელოთ შოთა რუსთველი, სულხან-საბა ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი... საყურადღებოა ის გარემოება, რომ პოეტმა ქების საფუძველად მეფეთა მიერ გამოჩენილი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მართვისა და ორგანიზებულობის პრინციპი მიიჩნია, რასაც უთუოდ თან უნდა ახლდეს მეფის ზნეობრივი და სრულყოფილი სახე; იგი ითვალისწინებს მეფეთა მოღვაწეობის ეპოქას, რომელ მეფეს რა დროს, რომელ პოლიტიკურ-რელიგიურ ეპოქაში უწევდა მოღვაწეობა, რადგან იყვნენ წინაქრისტიანული ეპოქის მეფეები, რომლებიც ორი რიგისად წარმოადგინა: 1. კერპთაყვანისმეცემელი მეფეები, რომლებმაც, „ეშმაკის მიერ დარიგებულთა“, ვერ შეიცნეს ყოველთა ღმერთი; 2. წარმართული ეპოქის მეფეები, რომლებმაც „საქმით კეთილით“ კეთილზნიან და მართლმორწმუნე მეფეთა სახელი დაიმკვიდრეს, მდაბალი გულით, სრული საქმით ძნელად სავალი გზა განვლეს. ამიტომ არჩილის ყურადღებას იმსახურებენ, ერთი მხრივ, ალექსანდრე მაკედონელი, ღვთისმსახური მეფეები - ბიბლიური დავითი, სოლომონი, იერობოამი, - ამ უკანასკნელს მამხილებელი სიტყვით იხსენიებს, - ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების ინიციატორი და განმხორციელებელი კონსტანტინე დიდი; მწერლისთვის ამოსავალი პრინციპია ჩვენება მათი სახისა, როგორც სახელმწიფო მოღვაწისა, რა გააკეთა თითოეულმა მათგანმა თავისი ქვეყნისა და ერისათვის, როგორი მომავალი დაუსახა მას. მეორე მხრივ, სახისმეტყველებითად საინტერესოდ აჩვენა ქრისტიანობის მღვანელი იმპერატორის იულიანე განდგომილის სახე, რომელმაც უდიდესი განსაცდელი მოუვლინა ქრისტიანებს, რადგან მის დროს ბევრი წამებული წმინდანი შეემატა ქრისტიანულ ეკლესიას. ყოველივე ამის გამო მისი გარდაცვალება „ბნელში ჩავარდნად“ აღიქვა. პოემის სათაურსაც, „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“, ეს მოტივაცია უდევს საფუძველად და ამ მეტაფორით აიხსნება.

¹ არჩილის პოემის „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“ მითითებულია წიგნიდან: არჩილი, თხზულებანი, გამოსაცემად მოამზადეს ლიანა კეკელიძემ, ივანე ლოლაშვილმა და ლალი ძოწენიძემ, რევაზ ბარამიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი, 1999.

ქართველ მეფეთა დასახასიათებლად არჩილი ბიბლიური მეფის მოდელს ეყარება, რომელიც ძირითადად ბიბლიის მეფეთა წიგნებშია ჩამოყალიბებული და ბიბლიისგან მომდინარე თხზულებებში განსახოვნებული. მასში ებრაელთა პირველი მეფიდან, საულიდან, და მეორე მეფიდან, დავით წინასწარმეტყველიდან, მოყოლებული, მეფის ორი ტიპია წარმოდგენილი: 1. კეთილი, ქველმოქმედი მეფისა, რომლის პროტოტიპად ბიბლიური დავით წინასწარმეტყველი მოიაზრება, და 2. უკეთური მეფისა, რომელმაც საღვთო გზას გადაუხვია (II რჯ. 17, 19). ბიბლიური სწავლებით, მეფე სახელმწიფოს მთლიანობის, ერთიანობის სახე-სიმბოლოა, საფუძველია, ეროვნული ცნობიერების გარანტი და სათავეა. მეფის ბიბლიური მოდელი, უწინარეს ყოვლისა, დავით წინასწარმეტყველის პიროვნებაშია ჰიპოთეზურად განსახოვნებული და ყოველმხრივ შეძკულ, ჰარმონიულად განვითარებულ პიროვნებას გულისხმობს. დავით წინასწარმეტყველი ქართველ ქრისტიან მეფეთა წინასახედ მოიაზრება და მისი ჰიპოთეზური სახე, როგორც ნიმუშისა, ბაგრატიონთა მთელ დინასტიას გასდევს. მეფის მსოფლმხედველობა, ზნეობრივი სახე სახელმწიფოს ხატ-სახეა, ყოველი მოქალაქისათვის მისაბაძია, იგი ერის რაობასა და სულიერ-ზნეობრივ ხატ-სახეს განსაზღვრავს. მეფემ ადამიანურ სისუსტეებს უნდა სძლიოს, მასზე მალა უნდა დადგეს, რათა ერის წინაშე პირმართლად წარდგეს და ცოდვითაგან თავისუფალმა ღვთისაგან რწმუნებული ქვეყანა ღირსეულად მართოს. მეფე ღვთის რჩეულია, რომელმაც ღვთისაგან მინდობილი ქვეყნისა და ერისათვის თვისისა უნდა დადგას თავი თვისი. მეფე როგორც მმართველი ქვეყნისა, აღიარებული იყო არა „ქვემოდან“, ანუ ხალხის მიერ, არამედ მოვლენილია „ზემოდან“, ე.ი. უფლის მიერ. მორწმუნე მეფის, ღვთის რჩეული ერის წინამძღოლის ეტალონად სწორედ დავით წინასწარმეტყველია წარმოდგენილი. როდესაც დავითის ძე სოლომონი გამეფდა, ღმერთმა მას განუცხადა: „და შენ ხვდობი თუ წინაშე ჩემსა, ვითარცა ვიდოდა დავით, მამა შენი. სიწმიდითა გულისათა და სიწრფობითა ყოფად ყოველივე, რადაცა ვამცენ მას ბრძანებანი ჩემნი და მცნებანი ჩემნი დაიმარხენ. და თუ აღუმართო საყდარი სუფევისა შენისა ზედა იერუსალჴმსა უკუნისამდი, ვითარცა ვეტყოდე დავითს, მამასა შენსა. და ვთქუა: არ მოაკლდეს შენი კაცი წინამძღურად ისრაჴლსა“ (3 მეფ. 9: 4,5). სწორედ იმის გამო, რომ სოლომონი დავითის შთამომავალი იყო, ღმერთმა მას სამეფო ტახტი შეუნარჩუნა.

მეფის იდეალზე მსჯელობისა და უცხო ქვეყნების მეფეთა ხსენების შემდეგ პოეტმა ახსნა მიზეზი, თუ რატომ გამოარჩია ქართველ მეფეთაგან ისინი, ვის შესახებაც თხზულებაში საუბრობს. მან თავისივე მრავალსაუკუნოვანი სამეფო საგვარეულოს რამდენიმე სახელოვან მეფეზე შეაჩერა ყურადღება („მეფენი ვთქვაცა ჩვენ გვარეულნი“), როგორც ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელზე, კერძოდ მათზე, რომელნიც ავ საქმეებში არ გარეულან. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ არჩილმა ქართველ მეფეთაგან პირველი მოიხსენია საქართველოს ღვაწლმოსილი მეფე დავით აღმაშენებელი, როგორც მეფე, ისტორიული პირი, და როგორც პერსონაჟი თავისი თხზულებისა, რომელსაც განსაკუთრებული სიყვარული და პატივი მიაგო, ხოტბა შეასხა, ბიბლიური სახისმეტყველებისა და მესიანური იდეოლოგიის კვალობაზე წარმოსახა, კერძოდ, დავით წინასწარმეტყველის ძედ და სოლომონის ძმად მოიხსენია, დავით წინასწარმეტყველისა და სოლომონის ტომის წარმომადგენლად, მათ ჩამომავლად მიიჩნია:

აღმშენებელო, დამშვენებელო, სულ საქართველოს ოხრის შენადა.

გმირებ რებითა, შენს საზღვრებითა ხელი განგებყრა მტერთა შენადა.

დავით, დავითის ძედ წოდებულო, სოლომონ გიძმოს თვის ტომ შენა და.

მეფედ ხმობილო, ბრძენთ შესმობილო, ღიდის ქებისა მოსაშენადა.

საგულისხმოდ მიმანჩია ის ფაქტი, რომ ქართულ წყაროებში დავით აღმაშენებელი არ არის პირველი, ვისაც ეს ზედწოდება, „აღმაშენებელი“, მიანიჭა ქართველმა ერმა. გავისხენოთ გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომლის სახელდებაში წმ. გრიგოლ ხანცთელი მოხსენიებულია, როგორც აღმაშენებელი ორთა მათ მონასტერთა, ხანცთისა და შატბერდისა: „შრომად და მოლუაწებად ღირსად ცხორებისად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისად, ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებლისად, და მის თანა ჳსენებად

მრავალთა მამათა ნეტართად¹. თუმცა, განსხვავებულია აღმაშენებლის, როგორც სემანტიკური ერთეულის, დატვირთვა გრიგოლ ხანცთელიისა და დავით აღმაშენებლის ღვაწლის წარმოსახენად. გრიგოლ ხანცთელი ხანცთისა და შატბერდის აღმაშენებლად დასახელებული, ხოლო დავითის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის, როგორც პოლიტიკური სტატუსის მქონე სახელმწიფოს აღმაშენებლობა გლობალურია, მთელ სახელმწიფოს სწვდება.

დავითის სახის ჩვენებას ხუთი სტროფი ეძღვნება და მეფე დახასიათებულია, როგორც ხორციით უმანკო, სულით სპეტაკი, ქცევით - ზნესრული, რომელიც ერთგან დავით წინასწარმეტყველის მემკვიდრის, სოლომონის, ხოლო მეორეგან თვით დავით წინასწარმეტყველის სიმბოლური სახითაა წარმოჩენილი. არჩილი სიამაყით აღნიშნავს დავითისაგან მტერთა ძლევასა და სახელმწიფოს განმტკიცებას, საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის შემოღებას:

შენა მა რტოსა, შენ ამარტოსა, გამსგავსებ დავითს, თვით დავით, მშვიდსა,

სულის წმინდისა, ვით მოგინდისა, ადასრულებდი საქმესა შვიდსა.

ა რეულისა, არ ეულისა, მაძულთა შენთა ყვინ დასამშვიდსა.

მტერთ განაძებდი, მკვიდრთ მოიძებდი, თურქთა, წარმართთა, სპარსთა და მიდსა.

„შენა მა რტოსა“ - დავით წინასწარმეტყველის რტოდ წარმოსახავს მეფეს აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და ა.შ. დავით აღმაშენებლის უდიდეს დამსახურებად პოეტი მიიჩნევს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საქმიანობას, კერძოდ, პოემის სტროფებში ნაჩვენებია დავითის დროინდელი საქართველოს ხელისუფლების სტრუქტურების ფორმირება და სასამართლო სისტემა, მართვის პრინციპები, საზოგადოების არსებობისა და განვითარების ძირითადი მიმართულებები, მეფობის არსი და განათლებული მეფის სახე. პოემაში ქრისტიანი მეფის ბიბლიურ პარადიგმად დავით წინასწარმეტყველის მოაზრებამ განაპირობა არჩილის მიერ დავით აღმაშენებლის მოხსენიება დავით წინასწარმეტყველის სულიერ შთამომავლად და მის ხელდასმულად აღიარებაც ამით აიხსნება. ყოველივე ამასთან ერთად, ყურადღება გამახვილებულია მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარებაზე, მთარგმნელობითი საქმიანობის აღორძინებაზე. გელათის აკადემიაში ფილოსოფიური სფეროს განვითარება აღნიშნულია ტერმინით „ატიკებრი“, რომელიც გავრცელებულია მე-12 საუკუნის ქართულ მწერლობაში და რომელმაც მთელი მიმართულება შექმნა საქართველოში.

„მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“ ეპოქის მოთხოვნილებებსა და მესიანური იდეოლოგიის ტრადიციას ასახავს. ლ. ჭუმბურიძემ შენიშნა: „არჩილი მესიანისტური ტრადიციის განსენებით მარტო აწმყოთი გამოწვეული ტკივილების დაამებას კი არ ცდილობდა, არამედ მიზნად ისახავდა, თანამედროვეებში განემტკიცებინა რწმენა შინაგანი ძალებისა, რომ ღვთისმშობლის წილხედომილ ქვეყანას დაღუპვა არ ეწერა და ბაგრატიონთა დინასტია ძალებს კვლავ აღიდგენდა“².

დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, კულტურულ-საგანმანათლებლო დამსახურების არჩილისეულ შეფასებას ეხმიანება და სრულად წარმოგვიდგენს ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვები, რომლის მიხედვით ახსნილია დავითისათვის ზედწოდების „აღმაშენებელი“ მინიჭება; იმ დროს როდესაც დავითი მეფე გახდა, ქვეყანა მოოხრებული იყო, ხოლო დავითმა „განაესნა და აღაშენნა“; იგი იყო მოშიში და მოყვარე ღვთისა, გლახაკთა, ქვრივთა და ობოლთა მოწყალე, სნეულთა თვითმსახური, ეკლესიათა, ქსენონთა მაშენებელი“. დავით აღმაშენებელზე საუბრის დასასრულს არჩილმა საგანგებოდ ახსენა მეფის სამარე, რომელიც სანატრელადაა აღქმული.

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქავთაძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963/1964: 248.

² ჭუმბურიძე ლ. არჩილ ბაგრატიონი და ქართული მესიანისტური ტრადიცია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, თბილისი, 1990. გვ. 68.

უნდა აღინიშნოს დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი სტროფების საზომის შესახებ, იგი ჩახრუხაულითაა შექმნილი, რომელშიც გარეგან რითმებთან ერთად შინაგანი რითმებიცაა გამოყენებული.

ამრიგად, არჩილის პოემა გვევლინება საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ საინტერესო წყაროდ, რომელშიც პოეტური ფორმით, ბიბლიური სახისმეტყველებით, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით წარმოჩენილი დავით აღმაშენებლის ისტორიული სახე, რომელიც ამავე დროს პოემის პერსონაჟია და, შესაბამისად, მხატვრულ სახედ აღიქმება.

2. ანტონ კათოლიკოსი ძველი ქართული მწერლობის პირველი სისტემატიზატორია, ხოლო მისი „წყობილსიტყვაობა“¹ ქართული მწერლობის ისტორიის შექმნის პირველი სერიოზული და წარმატებული ცდა, რომელშიც მრავალი არსებითად მნიშვნელოვანი ინფორმაციაა შემონახული. ცნობილ მოღვაწეთა შესახებ ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობები ანტონს ამოუკრებია საისტორიო, სასულიერო და საერო-მხატვრული თხზულებებიდან, ხელნაწერებს დართული ანდერძ-მინაწერებიდან, სიგელ-გუჯრებიდან. უმეტესად იგი თავად უთითებს იმ წყაროებს, რომლითაც სარგებლობდა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მასზე მინიშნება არ გვხვდება, რის გამოც ვერ ხერხდება მის მიერ მოწვდილი ინფორმაციის წყაროთა დადგენა.

ანტონ კათალიკოსი „წყობილსიტყვაობას“ მთლიანად იამბიკური ფორმით წერს, რომელთაგან ნაწილი კლასიკური იამბიკოს ნიმუშია, ნაწილიც კლასიკური იამბიკოს წესების დარღვევითაა შექმნილი, რაც იმას გულისხმობს, რომ ცეზურა ჩვეულებრივ არა ხუთი მარცვლის შემდეგ, არამედ ექვსი ან შვიდი მუხლის შემდეგ მოდის.

რაც შეეხება „წყობილსიტყვაობის“ კომპოზიციას, ამ თვალსაზრისით იგი ძალზე მნიშვნელოვანი თხზულებაა, რადგან მასში რამდენიმე ნაწილი გამოიყოფა, რომელთაგან ამჯერად მხოლოდ დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი იამბიკოები გვანტერესებს. ისინი ორ ნაწილშია განთავსებული: 1. მეხუთე ნაწილში, რომელშიც ქართველ წმინდანთა შესახებ შექმნილი იამბიკოებია მოთავსებული, ე.ი. ქართველ წმინდანთა მოსახსენებლებში, დავითის ხსენების დღეს, 26 იანვარს (სტრ.475-483); ეს მონაკვეთი 9 იამბიკოსაგან შედგება; 2. მეექვსე ნაწილში, რომელშიც გამოჩენილ ქართველ მეფეთა შესახებ შექმნილი იამბიკოებია მოთავსებული და რომელიც 12 სტროფისაგან შედგება (სტრ. 569-580). შესაბამისად, „წყობილსიტყვაობაში“ დავით აღმაშენებელი შექტებულია როგორც წმინდანი და როგორც მეფე, პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე.

დავით აღმაშენებელში მხოლოდ მეფეს არ ხედავს, დავითი იყო ქრისტიანული სარწმუნოების დამცველი და გამავრცელებელი, მფარველი მთელი საქრისტიანო სამყაროსი. დავით აღმაშენებლისათვის არსებითია ეროვნული ცნობიერებისა და ქრისტიანული აღმსარებლობის ერთ მთლიანობაში გააზრება. შესაბამისად, ანტონ პირველი დავითის წინაშე დასმულ პრობლემას, ქრისტიანულ აღმსარებლობასა და ეროვნულ პრობლემას, ერთიანობაში წარმოაჩენს. რომაელთა მიმართ პავლეს ეპისტოლეს მიხედვით, სამეფო ხელისუფლების საკრალურობის იდეა სახარებისეულ მოძღვრებაზეა დაფუძნებული, რომლის მიხედვით, ყოველი მეფე ღვთის მიერ რჩეულია და სწორედ მის მიერაა დადგენილი სახელმწიფო სამსახურში: „...რომელნი იგი არიან ხელმწიფებანი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან“ (რომ. 13, 1).

მიუხედავად იმისა, რომ დავითისადმი, როგორც მეფისადმი, მიძღვნილი იამბიკოები იწყება ღუმილის ესთეტიკის განსაზღვრით და ანტონი სიტყვას უძღურად მიიჩნევს დავითის შესამკობად - „ღუმილი ჰქმს, რამეთუ ძლეულ - სიტყუა, გარნა ცხად-ყოფა ღმრთივ იღუმალთა ჯერ არს“, - ავტორი მის შესაქებად არ იშურებს ეპითეტებსა და მეტაფორებს, რიტორული ენამზებობითა და ამაღლებული განწყობილებით წარმოაჩენს დავითის პოლიტიკურ-სახელმწიფო-

¹ ანტონ ბაგრატიონის „წყობილსიტყვაობა“ მითითებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, გამოკლევა, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1980. ტექსტში ვუთითებთ სტროფთა ნომრებს.

ებრივ მოღვაწეობასა და სამწერლო-განმანათლებლურ და კულტურულ საქმიანობას, სახავს ქრისტიანი მეფის იმ იდეალურ პარადიგმულ სახეს, რომელიც ყოველი მონარქისათვის მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს. სწორედ ასეთ მეფედ მიიჩნევენ დავითს, რომლის შესამკობადაც ბიბლიურ-ეპანგელურ სახე-სიმბოლოებსა და ბიბლიურ პერსონალებს ემყარება, კერძოდ, ჰიპოტიკებად მოხმობილია მოსე წინასწარმეტყველის, ისუ ნავეს ძის, დავით წინასწარმეტყველის, გედეონის სახეები. იგი დახასიათებულია, როგორც ქვეყნის გამაერთიანებელი, ძლევაშობილი და ბრძენი მეფე, გასაოცარი სიმშვიდით, სიკეთითა და გონიერებით აღსავსე პიროვნება; დახატულია მისი გარემომცველი წრე, რომელთაგან გამოარჩევენ არსენ იყალთოელს, დავითის სულიერ მოძღვარს. ეს ანტონ კათალიკოსის სტილია, რომლითაც დაწერილია მთლიანად „წყობილსიტყვაობა“. დავით აღმაშენებლის მხატვრული სახე ძვირფას და ნახევრადმეფიერფას ქვათა სიმბოლიკითაცაა ასახული: „აქა ჩანან ერთად იასპ-სადაფ-მინანი, მჭვრვალ-სპეტაკნი, სხუა ფერნი სალხინანი“... (572).

უნდა აღინიშნოს, რომ ანტონმა ორსავე მონაკვეთში აღნიშნა დავითის მიერ საგალობლის შექმნის ფაქტი. დავიმოწმებ ორივეს; ერთ-ერთს, რომელსაც წმინდანთა შესაქებ ნაწილში ვხვდებით, ახლავს დასდებლები „დიდება“ და „აწდა ღმრთისმშობლისა“, რითაც დავითისადმი მიძღვნილი ეს შესხმა საგალობლის ფორმას იძენს; მის ბოლო იამბიკოს კი გასდევს აკროსტიქი, კიდურწერილობა, რომელიც აღმაველ-დაღმაველი წაკითხვით შემდეგ წინადადებას გვთავაზობს: „მეფესა დავითს მიერთმოდედ ქებანი ესე“ და რომელიც მოწმობს დავითის მიერ საგალობლის შექმნას:

საწინმეტყუ მტილსა ემორჩიერ ბრძენ წმიდა,
 ესგუარ ნამდვილად იმ ძირით ელენ შენ,
 ფსალმუნთ მექმისა, მაგრამ ქრისტებრმცა მძნობი,
 ეკლესიებრივ, საღმრთო დავით, მთან-ჯმაე
 მშუსი თვთ ტკბილად ერთ სახელ მშვიდი ესე (483).

დავით აღმაშენებელი თავისი დიდი ერთმოსახელის, ფსალმუნთა ავტორის მსგავს ტკბილხმოვან პოეტადაა მიჩნეული. ამავე დროს იგი არის „ქრისტებრმცა მძნობი“. ანტონი მეორე მონაკვეთშიც „ღმრთისმეტყუელ მგალობად“, ანუ საგალობლის ავტორად წარმოაჩენს დავით აღმაშენებელს:

დავით მესამე - ფილოსოფოსი მეფე,
 ვინ ჰქმნა გონება უზადოჲსა მზის სეფე,
 სიტყვერს წალკოტს სულისა ყუავილთ მკრეფე,
 მტერთა ჯუართა მადენ, მდიდრად სისხლთ-მჩქეფე,
 ღმრთის-მეტყუელ მგალობ, იაღონ მსტვნავ-მეფე (571).
 ღმრთისმეტყუელებრნი მისნი წერილ-ქმნილნი,
 გარნა დავითის ქმნილნი არს ყოვლ საზენი (579).

აქ შეფასებულია დავით აღმაშენებლის ღვაწლი ჰიმნოგრაფიაში, მის მიერ საგალობლის შექმნა. უნდა ითქვას, რომ 571-ე სტროფი იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ იგი რითმიანია, რაც იამბიკოებში იშვიათობაა. სარიტმო ერთეული კი ორმარცვლიანია და ლექსიკური ერთეული „მეფე“ დომინირებს, რითაც დავით აღმაშენებლის მეფობის განსაკუთრებულობაზე აკეთებს აქცენტს.

დავით აღმაშენებლის სახე, როგორც წმინდანისა, იმ სიმბოლური ხატ-სახეებითაა შემკული, როგორითაც ჩვეულებრივ ჰიმნოგრაფიულ თხზულებებში სტატიკური ფორმით წარმოდგენილი წმინდანთა ხატები. იამბიკოებში არაერთგზისაა ნახვასმული დავითის სიბრძნე, ღმრთის-მეტყველებითი განათლება, რასაც ანტონი საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებს. დავითის ღმრთის-მეტყველებითი ცოდნით აღჭურვილად ხსენება შემთხვევითი არაა, რადგან მან დააარსა გელათის მონასტერი და აკადემია, როგორც „წმიდათ ვანი, აქა სხუა ცაჲ, ზესთ სამეფოდ აღმყვანი“, მან

დაიცვა ქრისტეს მცნებები; დავითს წარმოადგენს საისტორიო თხზულების ცნობებისაგან განსხვავებული მხატვრული სახით, რადგან დავითმა შეძლო „წვალებათ რღვევა, კეთილ-მსახურ დაცვანი, მიზგიოთ ოკრება-ქცევა, ყურანთ დაწვანი ჰქმნა დავით, ვინ გუყავს ქრისტეს მიმართ წარმძღუანი“ (578).

ანტონ კათალიკოსი შედარებების, ეპითეტების, მეტაფორების, ანაფორული სტილისა და სხვა მხატვრული ხერხებისა თუ საშუალებების გამოყენებით ამკობს და აქებს დავით აღმაშენებელს, იშვიათად იყენებს ზმნებს, ძირითადად სახელდებით წინადადებებს მიმართავს, მისთვის ჩვეული ენაწყლიანობით წარმოაჩენს დავითის პიროვნულ სიდიადეს და, ცხადია, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე. სავსებით ნათელია, რა წყაროებით უნდა ესარგებლა ანტონს. ესენია უპირველესად „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ და დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“.

დავით აღმაშენებელმა საქართველოს სახელმწიფოს სიძლიერის პოლიტიკური, ზნეობრივი და სამართლებრივი საფუძველი მოამზადა, რაც ანტონ კათალიკოსის იამბიკოებში ავტორის სტილის შესაბამისად აისახება. ყურადღებას იქცევს დავითის ისტორიკოსის სიტყვები: „და იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობამან“, რომლის რემინისცენციაა გამოყენებული დავითის სახის წარმოსაჩენად არჩილისა და ანტონ პირველის თხზულებებში. ეს სიტყვები გასდევს არჩილის პოემასა და ანტონ კათალიკოსის იამბიკოებს, დავითის მეფობა საქართველოსთვის „აღმოცისკრებადაა“ გააზრებული, რაც მეტაფორულად ამკობს დავითის მხატვრულ სახეს. ეს მეტაფორა თავისთავად მიუთითებს ხსენებულ თხზულებათა წყაროზე. არჩილი: „ი ცის კარების, იცისკარების ცათა ანაქესთა მომრგვალობანი, ის ამოთ ხისა ვთქვა, სამ-ოთხისა უწყის ედემის ნერგთ მრგველობანი“ (50); ანტონ კათალიკოსი: „დავით ელვათა სულისა მადლისადათა უმეცრებისა ღამეთა აცისკროვნებს“ (475); „მზისა სრბისათა ღროთა სცვალედი, დავით, ღამისა მიმართ მზისა აღიცისკრებდი მწუხრით უმწუხროდ, ჟამით გარეგან ჟამის ტრფიალი სიბრძნით ნამდვილ სატრფიალოდას“ (478). ანტონმა დავით აღმაშენებლის გარემოც დახატა, მისი მოძღვარი არსენ იყალთოელი, „ღირსად საკსენი, რომლის ფრასი არს შუენიერ სასმენი“, შეამკო და მასაც ქება შეასხა, მისი ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებები ღმრთისმეტყველების ნიმუშებად მიიჩნია. ღმრთისმეტყველია თვით დავითიც, რაც მის მემკვიდრეებზეც ვრცელდება. ანტონი დავითის მემკვიდრეს, დემეტრესაც ღმრთისმეტყველად მოიხსენიებს.

დავითისადმი მიძღვნილი იამბიკოები შინაარსობრივი, იდეოლოგიური და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით სიახლოვეს ამჟღავნებენ არსენ იყალთოელის მიერ შექმნილ დავით აღმაშენებლის საფლავისათვის განკუთვნილ ეპიტაფიასთან. თუმცა, დავით აღმაშენებლის საფლავის ქვაზე დავით წინასწარმეტყველის 131-ე ფსალმუნის სიტყვებია წარწერილი: „ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე. ამას დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე“ (ფს. 131, 14). ცხადია, ამასაც თავისი ღრმა სიმბოლიკა და პოეტიკა აქვს: დიდბუნებოვანმა ადამიანმა აჩვენა თავმდაბლობის იშვიათი მაგალითი. საფლავის ქვაზე წარწერილი ფსალმუნის სიტყვებით მომავალ თაობებთან შეხმიანება პოეტური ფორმაა სულიერი წონასწორობისა და სიმშვიდის მოპოვებისა, სულიერი ცხოვრების მოწესრიგებულობისა, თვითგამოხატვისა, რაც ასე თავმდაბლად, ქედმოღრეკით გამოთქვა წმინდანმა მეფემ – დავით აღმაშენებელმა საგალობელში.

დასკვნები და შედეგები. არჩილისა და ანტონ კათალიკოსის თხზულებებში დავით აღმაშენებლის პოლიტიკური და წმინდანური სახეა მხატვრულად ხორცშესხმული და ნაჩვენები, ასახულია საზოგადოების არსებობისა და განვითარების ძირითადი პრინციპები, ხელისუფლების სტრუქტურების ფორმირება და სასამართლო სისტემა, მართვის პრინციპები, მეფობის არსი და განათლებული მეფის სახე. მათ მიერ მკითხველისათვის წარდგენილი მეფე დავით აღმაშენებელი, ბრძენი და განათლებული მმართველი, შორსმჭვრეტელი და დაკვირვებული მეფე-პოლიტიკოსი, ყოველმხრივ შემკულ პიროვნებადაა დასახული, რომელმაც დაუძღურებული, დანაწევრებული საქართველო ჩაიბარა და უძლიერეს მონარქიულ სახელმწიფოდ გარდაქმნა. დავითმა დაასრულა საქართველოს ერთიანი, ძლიერი მონარქიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ხანგრძლივი და

ურთულესი პროცესი, გააერთიანა და გაზარდა ქვეყნის ტერიტორია, გააფართოვა და განამტკიცა საზღვრები, მოსახლეობისათვის ცხოვრება უშიშარი და სამართლიანი გახადა, განავითარა კულტურა, მოაწესრიგა საეკლესიო საქმეები, ხელი შეუწყო ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას, გამოასწორა ქვეყნის ეკონომიური ვითარება, რითაც აღასრულა თავისი სულიერი მისია. ბიბლიაში დავით წინასწარმეტყველი გახლავთ ერთადერთი ადამიანი, რომელზეც ღმერთი ამბობს, რომ ის გულით ნანატრი კაცი იყო. ასეთივე გულით ნანატრი კაცი იყო ქართველთათვის მეფე საქართველოსი - დავით აღმაშენებელი.

ილია ჭავჭავაძემ დავით აღმაშენებლის, როგორც საქართველოს გამაერთიანებლისა და ახალი საქართველოს ჩამომყალიბებლის, როგორც წმინდანის, მოღვაწეობას სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური შეფასება მისცა: „ამ დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, – ეს იქნება იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს... კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, ამბობს ჩვენი ერი, ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდბუნებოვანმა კაცმა – წაიყოლია სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი“.

Nestan Sulava

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Samtskhe-Javakheti State University

THE KING ARCHIL AND KATHOLIKOSANTON I FOR DAVID AGHMASHENEBELI RESUME

In the Georgian literature of the 17th-18th centuries, the historical and artistic face of David the Builder is reflected in the works of only a few writers, some of which are presented in great detail in the works of Archil and Anton the Catholicos.

The political and sacred face of David the Builder is artistically embodied and displayed in the writings of Archil and Anton the Catholicos, reflecting the basic principles of society's existence and development, the formation of government structures and the judiciary, governing principles, the essence of kingship and the face of an educated king. King David Aghmashenebeli, a wise and educated ruler, a far-sighted and observant king-politician, presented to them by the readers, is a well-decorated figure who took over a weakened, divided Georgia and transformed it into a strong monarchical state. David completed the long and difficult process of establishing a united, strong monarchical state of Georgia, united and expanded the territory of the country, expanded and strengthened borders, made life safe and fair for the population, developed culture, regulated ecclesiastical affairs, promoted the development of literature and art. Thus fulfilling his spiritual mission. In the Bible, the prophet David is the only person God says is the man he longs for. The King of Georgia - David the Builder - was a man longed for with such a heart.

ანტონინუს პიუსის აღმოსავლური პოლიტიკა და ლაზეთის სამეფო

ახ.წ. II ს. დასაწყისში, ტრაიანეს (98-117 წწ.) პრინციპატის პერიოდში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე ახალი პოლიტიკური კონიუნქტურა შეიქმნა. გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური მოსაზრებით, იმპერატორმა ტრაიანემ დიდი აღმოსავლური ლაშქრობისათვის მზადების პერიოდში, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იმპერიის პოზიციების გამყარების მიზნით, ფორმალური დამოუკიდებლობა მისცა ადგილობრივ ტერიტორიულ-ტომობრივ გაერთიანებათა მეთაურებს. ტრაიანეს მიერ კოლხეთის ცალკეულ ტომობრივ გაერთიანებათა მიმართ შემოღებული პრაქტიკა გაგრძელდა იმპერატორ ადრიანეს (117-138 წწ.) მმართველობის პერიოდშიც.¹ კოლხური ტომების მმართველთათვის ფორმალურად „სამეფო ხელისუფლების“ გადაცემამ საფუძველი ჩაუყარა ცალკეულ „სამეფო“-სამთავროებს და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომზე დამოკიდებულების ახალ პოლიტიკურ ფორმას – ვასალურ-სამოკავშირეო ურთიერთობას.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ცალკეული პოლიტიკური გაერთიანებები – მაკრონ-ჰენიოხების, ლაზების, აფსილების, აბაზგებისა და სანიგების „სამეფოები“ ოფიციალურად რომის „მეგობარ და მოკავშირე“ ქვეყნებს წარმოადგენდნენ. თუმცა, ამ „მეფეთა“ რეალური ძალაუფლება ძალზე შეზღუდული იყო, ისინი მთლიანად რომის კონტროლქვეშ იმყოფებოდნენ და მათი რეალური „მეგობრობა-მოკავშირეობა“ ფორმალური სტატუსის ფარგლებს არ სცილდებოდა.² სამხედრო თვალსაზრისით, კოლხეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ყველა ეს „სამეფო“ ჩართული იყო რომის აღმოსავლეთის საზღვრების ერთიან თავდაცვით სისტემაში და ემორჩილებოდა კაპადოკიის მთავარსარდლობას.³

ამ პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ უმნიშვნელოვანეს ცნობებს გვაწვდის კაპადოკიის პროვინციის პროკონსული ფლავიუს არიანე (დაახლ. 95-175 წწ.) 131 წ. იმპერატორ ადრიანესადმი გაგზავნილ ოფიციალურ მოხსენებაში.⁴ არიანეს მიხედვით, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის პოლიტიკური ერთეულებიდან ყველაზე სამხრეთით მაკრონ-ჰენიოხების „სამეფო“ მდებარეობდა. იგი უშუალოდ ესაზღვრებოდა კაპადოკიის პონტოს პროვინციას.⁵ მაკრონ-ჰენიოხებს ეჭირათ თანამედროვე ჭანეთის ნაწილი ცენტრით დაახლოებით ქ. ათინასთან.⁶ ჩრდილოეთით მაკრონ-ჰენიოხთა „სამეფოს“ საზღვრები ვრცელდებოდა მდ. ჭოროხის შესართავამდე, ყოველ შემთხვევაში, აფსაროსის ციხე (თანამედროვე გონიო) ამ „სამეფოს“ საზღვრებში შედიოდა.⁷ ამ მხრიდან იგი

¹ კოლხეთის ტერიტორიაზე ცალკეულ გაერთიანებათა წარმოქმნის საკითხის შესახებ დაწვრი. იხ.: **კ. ფიფია**. რომის მიერ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნო-პოლიტიკურ გაერთიანებათა მმართველთათვის „სამეფო ხელისუფლების“ გადაცემის დროის საკითხისათვის. – საისტორიო ძიებანი, III, თბ., 2000, გვ. 60-75; **კ. ფიფია**. ტრაიანეს აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო. თბ., 2005, გვ. 28-42; **კ. ფიფია**. რომის აღმოსავლური პოლიტიკა და ცალკეული „სამეფოების“ წარმოქმნა კოლხეთში (ახ. წ. II ს.). თბ., 2012, გვ. 29-65.

² ამ გაერთიანებათა რეალური პოლიტიკური სტატუსის შესახებ დაწვრი. იხ.: **ნ. ლომოური**. დასავლეთ საქართველო რომის პოლიტიკურ სისტემაში ახ.წ. II-III საუკუნეებში. – *ქართული დიპლომატია. წელიწდეული*. VI, თბ., 1999, გვ. 74-83; **კ. ფიფია**. „აფხაზური სახელმწიფოებრიობა“ – მითი თუ ისტორიული რეალობა?, თბ., 2012, გვ. 25-42.

³ **T. Mommsen**. *История Рима*. V. М., 1949, გვ. 365.

⁴ **Arrian.**, PPE, 11.

⁵ **ნ. ლომოური**. ეგრისის სამეფოს ისტორია. თბ., 1968, გვ. 7.

⁶ **ს. ჯანაშია**. თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. – *შრომები*. III, თბ., 1959, გვ. 22.

⁷ **ნ. ლომოური**, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 8-10; **Н. Ю. Ломоури**. Грузино-римские взаимоотношения. Тб., 1981, გვ. 220-221. მდრ. **გ. მელიქიშვილი**. საქართველო ახ.წ. I-III საუკუნეებში. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*. ტ. I, თბ., 1970, გვ. 544-545; **Г. А. Меликишвили**. К истории древней Грузии. Тб., 1959. გვ. 370,

უშუალოდ ესაზღვრებოდა იბერიის სამეფოს, რომელსაც მიტაცებული ქონდა კოლხეთის სანაპირო ზოლის ერთი ნაწილი - ზიდრიტთა ოლქი.¹ აღმოსავლეთიდან კი, მაკრონ-ჰენიოხების „სამეფოს“ ემეზობლებოდა ასევე ძლიერი არმენიის სამეფო.²

დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებებიდან ტერიტორიულად ყველაზე დიდი იყო ლაზთა სამეფო. არიანეს მიხედვით, ლაზები ზიდრიტებს ესაზღვრებოდნენ და ეკავათ ტერიტორია აფსილთა მიწა-წყლამდე.³ მაშასადამე, ლაზებს ეჭირათ კოლხეთის ცენტრალური ნაწილი მდ. რიონის ორივე მხარეს. ლაზეთის საზღვარი აფსილებთან მდინარე ეგრისწყალზე,⁴ ე.ი. თანამედროვე ლალიძგაზე⁵ გადიოდა. ლაზების ჩრდილოეთით არიანე ჯერ აფსილების, ხოლო შემდეგ აბაზგთა პოლიტიკურ გაერთიანებებს ასახელებს. აფსილებისა და აბაზგების განსახლების არეალი წარმოადგენდა საკმაოდ ვიწრო სექტორს ზღვის სანაპირო ზოლში, მდ. ლალიძგასა და სებასტოპოლისს შორის. ეს უკანასკნელი, არიანეს მიხედვით, სანიგების მიწა-წყალზე მდებარეობდა, რომლის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარიც მდ. აქეუნტზე, ანუ დღევანდელ მდ. შახეზე გადიოდა.⁶

არიანეს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოგზაურობის დროისათვის (131 წ.) ლაზების „მეფე“ იყო ძალასა, რომელსაც ძალაუფლება იმპერატორ ადრიანესაგან (117-138) ჰქონდა მიღებული.⁷ ოფიციალურად ლაზების „სამეფო“ წარმოადგენდა რომის ვასალურ, „მეგობარ და მოკავშირე“ ქვეყანას, მის „მეფეებს“ რომის იმპერატორი ნიშნავდა, ხოლო სანაპირო ქალაქ ფაზისში იღვას ძლიერი რომაული გარნიზონი.⁸ ფაზისში რომაული სამხედრო შენაერთების ყოფნას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას შემდეგ, რაც მეზობელმა იბერიის სამეფომ მიიტაცა კოლხეთის სანაპირო ზოლის ერთი ნაწილი, უშუალოდ ლაზეთის მოსაზღვრე ზიდრიტთა ოლქი. ამ აქციას ადგილი უნდა ჰქონოდა 117-129 წწ. შორის.⁹ ადრიანესთვის, რომლის საგარეო პოლიტიკის ოფიციალურ კურსს წარმოადგენდა „რომაული მშვიდობის“ დაცვა, მიუღებელი იყო კავკასიაში მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავება. მას ძალაც არ შესწევდა ჩრდილოელი ნომადებით ზურგამაგრებული ურჩი ვასალის დასასჯელად,¹⁰ ამიტომ ცდილობს თავდაცვის მაღალორგანიზებული სისტემის მეშვეობით რამდენადმე დაარეგულიროს სიტუაცია რეგიონში. ადრიანეს ბრძანებით 129-131 წწ. მოდერნიზებულ იქნა კოლხეთის რომაული საფორტიფიკაციო ხაზი.¹¹ მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა აფსაროსში, ფასისსა და სებასტოპოლისში, რომელთა თავდაცვისუნარიანობა სპეციალურად შეამოწმა და რომაული ფორპოსტების გაძლიერებისათვის დამატებითი ღონისძიებებიც გაატარა

353-354.

¹ Arr., PPE, 11.

² მაკრონ-ჰენიოხების შესახებ იხ.: **კ. ფიფია**. მაკრონ-ჰენიოხების „სამეფო“ – რომის მოკავშირე აღმოსავლეთში. – საისტორიო ძიებანი, IV, თბ., 2001, გვ. 48-70.

³ Arr., PPE, 11.

⁴ **ნ. ლომოური**. ძველი აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიიდან. თბ., 1998, გვ. 8; **Н. Ю. Ломоури**. Абхазия в античную и раннесредневековую эпохи. Тб., 1997, გვ. 18; **Н. Ю. Ломоури**. Грузино-римские взаимоотношения, გვ. 221.

⁵ **დ. მუსხელიშვილი**. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I. თბ., 1977, გვ. 106-113; **დ. მუსხელიშვილი**. საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბ., 2003, გვ. 108.

⁶ Arrian., PPE, 18; აქეუნტისა და შახეს იგივეობის შესახებ იხ.: **ფლავიუს არიანე**. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. *თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭალაძისა*. თბ., 1961, გვ. 79, 81-82, შენ. 62.

⁷ Arr., PPE, 11.

⁸ Arr., PPE, 9.

⁹ **კ. ფიფია**. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს. თბ., 2005, გვ. 113-115.

¹⁰ ადრიანეს დროს იბერია-რომის ურთიერთობების შესახებ იხ.: **კ. ფიფია**. ზიდრიტთა ოლქის პრობლემა იბერია-რომის დიპლომატიურ ურთიერთობებში (ახ.წ. II ს. 20-30-იანი წწ.). – ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, X, თბ., 2008, გვ. 333-345; **კ. ფიფია**. იბერია-რომის ურთიერთობა II ს. 20-30-იან წლებში. *იმპერატორი ადრიანე და ფარსმანი*. – სოხუმის უნივერსიტეტის შრომები. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. V. თბ., 2008, გვ. 411-426.

¹¹ **კ. ფიფია**. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს. გვ. 115-116.

კაპადოკიის პროვინციის პროკონსულმა ფლავიუს არიანემ.¹

ასეთ ვითარებაში ლაზეთის სამეფოსა და რომის ინტერესები კიდევ უფრო დაუახლოვდა ერთმანეთს და მათ შორის ჩამოყალიბდა ორივე მხარისათვის მისაღები, ურთიერთხელსაყრელი დამოკიდებულება. ლაზეთის მმართველი წრეებისათვის მეზობელი იბერიის გაძლიერება-გააგრესიულების პირობებში აუცილებელი იყო რომის მხარდაჭერა და თავის მხრივ იმპერიისთვისაც ხელსაყრელი იყო მის ხელდებულ ტერიტორიაზე, ზიდრიტთა ოლქში შეჭრილი და შემდგომი ტერიტორიული გაფართოებისაკენ კონცენტრირებული იბერიის შეკავება თავდაცვის-უნარიანი ლაზეთის „სამეფოს“ მეშვეობით, რომლის „მეფესაც“ ფაზისში დისლოცირებულ რომაულ გარნიზონებთან კავშირში შექმნილი წინ აღდგომოდა იბერიის აგრესიულ პოლიტიკას შავიზღვისპირეთში. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ფარსმანის მიერ ზიდრიტთა ოლქის მიტაცება მიუღებელი იყო როგორც რომისათვის, ასევე ლაზთა გაერთიანებისათვის და ორივე დაინტერესებული იყო მაქსიმალურად შეეზღუდათ იბერიის შემდგომი ტერიტორიული გაფართოება კოლხეთის სანაპირო სექტორში. სწორედ იბერიის მხრიდან მომდინარე საფრთხით უნდა აიხსნას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფსაროსისა და ფასისის ციხეების მოდერნიზაცია, რომლის შესახებაც არიანე დაწვრილებით უყვება იმპერატორს.²

არიანე საგანგებოდ აგვიწერს ფასისის ციხეს, რომელშიც ოთხასი რჩეული მეომარი იდგა,³ თანაც რომაელებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სათანადოდ უზრუნიათ მისი გაძლიერებისათვის. საინტერესოა ფასისის გარნიზონის შემადგენლობაც. როგორც აღვნიშნეთ, არიანეს ცნობით, ფასისის გარნიზონი აღჭურვილი ყოფილა ლოდსატყორცნი, საომარი მანქანა-მოწყობილობებით.⁴ დამხმარე სამხედრო შენაერთებს, სასაზღვრო ნუმერებს კი II ს-ში, როგორც წესი, სატყორცნი მოწყობილობები (ონაგრები, კატაპულტები, ბალისტები) არ ჰქონდათ და ეს იარაღები უფრო გამოცდილი, მაღალკვალიფიცირებული ლეგიონური ჯარის ნაწილების ტექნიკურ აღჭურვილობაში შედიოდა.⁵ აქედან გამომდინარე, ფასისის გარნიზონი ლეგიონურ კოჰორტად უნდა მივიჩნიოთ.

ფასისის ციხეს იბერიის მხრიდან რეალურად რომ ემუქრებოდა აგრესიის საფრთხე, დაადასტურა უკანასკნელ ხანებში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმაც. ფასისის მიდამოებში ახ.წ. II ს. იქმნება გამაგრებათა მთელი სისტემა, რომელიც ფასისის რომაულ კასტელუმს ზურგიდან იცავდა „ბარბაროსების“ მოსალოდნელი თავდასხმებისაგან.⁶

მიუხედავად იმისა, რომ ფასისის ციხე რომაელების მიერ ახალი გამაგრებული ყოფილა, არიანემ საჭიროდ ჩათვალა დამატებითი ღონისძიებების გატარება ნავსადგურისა და ციხის გარშემო მდებარე „სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირებით და ვაჭრებით“ დასახლებული ადგილების გასამაგრებლად.⁷

ამრიგად, ფასისის ციხე საკმაოდ მძლავრ ფორპოსტს წარმოადგენდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. იგი ბუნებრივადაც მიუდგომელ, „უშიშროების თვალსაზრისით მეტად მოხერხებულ ადგილზე“ იყო აგებული⁸ და კარგად შეიარაღებული გარნიზონი იცავდა. გარდა ამისა, საფრთხის შემთხვევაში, ფასისის გარნიზონს დამხმარე ძალის სახით უნდა შეერთებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ბრძოლისუნარიანი ნაწილი და ციხის გარშემო მცხოვრები რომაელი ვეტერანები.

¹ Arr., PPE, 6, 9, 10.

² Arr., PPE, 11.

³ Arr., PPE, 9.

⁴ Arr., PPE, 9.

⁵ G. Webster. The Roman imperial army. London, 1985, გვ. 98.

⁶ თ. თოდუა. ბ. მურვანიძე. რომაული ლეგიონის ტვიფრიანი აგური სოფ. მოედნიდან. – გურია, მხარის კვლევები, II, თბ., 1997, გვ. 108-111; კ. ფიფია. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 144-146.

⁷ Arr., PPE, 9.

⁸ Arr., PPE, 9.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ განსაკუთრებული დაძაბულობა საზღვრის სწორედ ამ მონაკვეთზე შეინიშნებოდა და იბერიის მხრიდან რეალურად არსებობდა თავდასხმის საფრთხე. ასე რომ, ლაზიკა ორგანულად იყო დაინტერესებული იბერიის სამეფოს შეჩერებით, ამიტომ ის ამ საკითხში რომის ბუნებრივი მოკავშირე ხდებოდა.

138 წ. ადრიანეს გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა ანტონინუს პიუსი (138-161 წწ.). მისი მმართველობის პერიოდში რომის საგარეო პოლიტიკა შედარებით გააქტიურდა. რომის საზღვრებზე გახშირდა საომარი მოქმედებები. რომაელებმა ბრიტანეთში გადალახეს „ადრიანეს კედელი“ და რომის საზღვარი ჩრდილოეთით გადასწიეს. ბალკანეთში ჩაახშვეს დაკების აჯანყება, ორგანიზებულ იქნა დიდი ექსპედიცია მავრიტანიაში, რეინის საზღვარზე უკუაგდეს გერმანელთა თავდასხმები. რაც შეეხება ანტონინუს პიუსის აღმოსავლურ პოლიტიკას, ის ამ მიმართულებით ცდილობდა ადრიანეს საგარეო კურსის შენარჩუნებას და აზიის საზღვრებზე მშვიდობის დაცვას. თუმცა, საკმაოდ პრინციპული იყო პართიის მიმართ და მათ უარი განუცხადა ტრაიანეს მიერ წართმეული სამეფო ტახტის დაბრუნებაზე; ამასთან, ხისტი პოლიტიკით აიძულა პართელები უარი ეთქვათ სომხეთზე დაგეგმილ თავდასხმაზე; რომაელები გააქტიურდნენ შავიზღვისპირეთშიც და საკმაოდ აქტიურ პოლიტიკას ატარებდნენ რეგიონში.¹ ანტონინუს პიუსის მმართველობის პერიოდში ურთიერთობები გაუმჯობესდა იბერიასთანაც, რასაც მოწმობს ფარსმანის ვიზიტი რომში.²

ანტონინუს პიუსის აღმოსავლური პოლიტიკის ძირითადი შედეგები ერთგვარად შეჯამებული აქვს მის ბიოგრაფს იულიუს კაპიტოლინუსს. იულიუს კაპიტოლინუსის ცნობით: „მეფე ფარსმანი ანტონინუსს ეწვია რომში და მის მიმართ მეტი პატივისცემა გამოავლინა, ვიდრე ადრიანეს მიმართ. ლაზებს მისცა მეფედ პაკორი. მხოლოდ თავისი წერილით შეაკავა პართიის მეფე სომხეთზე თავდასხმისაგან. მოქმედებდა რა მხოლოდ თავისი ავტორიტეტით, მან აიძულა მეფე აბგარი გასცლოდა იმპერიის აღმოსავლეთ რაიონებს, შეეწყვიტა მეფეებს შორის დავა. პართიის მეფეს, რომელიც ითხოვდა ტრაიანეს მიერ წართმეული ტახტის დაბრუნებას, გადაჭრით უთხრა უარი. მოავგარა რა საკამათო საქმე რემეტალკსა და ევპატორს შორის, პირველი მათგანი გაგზავნა ბოსფორში მეფედ. ოლბიელებს გაუგზავნა დასახმარებლად ჯარები ტავროსკვითების წინააღმდეგ და დაამარცხეს რა ეს უკანასკნელები, აიძულა ოლბიელებისათვის მძევლები მიეცათ“.³

ამდენად, კაპიტოლინუსის ცნობით, იმპერატორმა ანტონინუს პიუსმა „ლაზებს მისცა მეფედ პაკორი“ (Pacorum),⁴ ანუ რალაც მიზეზების გამო საჭირო გახდა ადრიანეს დროინდელი მეფის – მალასას შეცვლა. გამორიცხული არ არის, რომ ეს ყოფილიყო იმპერატორის მიერ ლაზთა „მეფის“ მალასას მემკვიდრის „მეფედ“ დამტკიცების ჩვეულებრივი აქტი⁵, თუმცა, უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომ პაკორის ლაზეთის ტახტზე აყვანა ანტონინუს პიუსის შორსმიმავალი გეგმის ნაწილი იყო. ყოველ შემთხვევაში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მოვლენათა განვითარების შემდგომი დინამიკა გვიჩვენებს, რომ ლაზეთის მმართველად დანიშნული პაკორი არ არის რიგითი მმართველი, იგი უშუალოდ ანტონინუს პიუსის კრეატურა და მისი აღმოსავლური პოლიტიკის ნაწილია, რომელსაც უფრო დიდი როლი ენიჭებოდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ვიდრე მხოლოდ ლაზთა გაერთიანების მართვა.

მეფე პაკორის მოღვაწეობა მრავალმხრივია საყურადღებო. ეს უკანასკნელი ფიგურირებს

¹ *История древнего Рима, под редакцией В.И. Кузищина*, М., 1981, გვ. 225.

² *Dio Cass.*, LXIX, 15, 3.

³ *Jull. Capit.*, Anton. Pius, IX, 6-9.

⁴ ჩვენ გვქონდა საშუალება საგანგებოდ შეგვესწავლა ეს ცნობა და გამოვთქვით მოსაზრება, რომ ანტონინუს პიუსის მიერ პაკორისათვის ძალაუფლების გადაცემა უნდა მომხდარიყო 141-144 წლებს შორის. იხ.: კ. ფიფია. ანტონინუს პიუსის მიერ ლაზებისათვის „მეფის“ დანიშვნის დროის საკითხისათვის. – საისტორიო ძიებანი, V, თბ., 2002, გვ. 17-24.

⁵ *Н. Ю. Ломоури. Грузино-римские взаимоотношения*, გვ. 238.

კიდევ ერთ წარწერაში, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით და სრულიად სხვა კუთხით წარმოაჩენს როგორც პაკორის, ასევე ანტონინუს პიუსის როლს კოლხეთის ისტორიულ განვითარებაში.

2005 წელს გაგრის რაიონის სოფ. აჩმარდის ტერიტორიაზე გათხრილი ანტიკური სამარხის ინვენტარში აღმოჩნდა ვერცხლის თასი ბერძნული წარწერით: Ἐγὼ Πάκουδις ὁ βασιλεὺς τοῖς ἄμυνοῖς ἔδωκα - „მე, მეფე პაკორმა, ვუბოძე [ჩემს] ცხვრებს“. არტეფაქტის პუბლიკატორია რუსი მეცნიერი ა. ვინოგრადოვი.¹ პალეოგრაფიულად წარწერა მხოლოდ ზოგადად – ახ.წ. II - IV ს. დასაწყისით თარიღდება.² წარწერას ასეთი ფორმულირებით პირდაპირი ანალოგიები არ გააჩნია ბერძნულ ეპიგრაფიკაში. როგორც ჩანს, ის აღმოსავლური წარმოშობისაა და ასახავს მეფის ქვეშევრდომებთან დამოკიდებულების მოდელს: მეფე მწყემსია, ქვეშევრდომები კი ცხვრები.³

ამდენად, ანტონინუს პიუსის თანამედროვე ლაზთა მეფე პაკორი, რომლის ძალაუფლებაც ტახტზე ასვლისას მხოლოდ ლალიძგამდე ვრცელდებოდა, დროის მოკლე მონაკვეთში უკვე მდ. ბზიფის დასავლეთით მცხოვრებ ტომებს თავის „ცხვრებად“ ანუ ქვეშევრდომებად მიიჩნევს. ა. ვინოგრადოვი მიიჩნევს, რომ ჩვენთვის საინტერესო ვერცხლის თასი ლაზთა მეფემ თავის ქვეშევრდომ აფსილ-აბაზგებს გაუგზავნა.⁴ თუმცა, როგორც ვნახეთ, ფლავიუს არიანეს ცნობით, აფსილები და აბაზგები განსახლებული იყვნენ მდ. ლალიძგიდან სებასტოპოლისამდე, სებასტოპოლისიდან მდ. შახემდე ტერიტორია კი სანიგთა „სამეფოს“ კონტროლქვეშ იყო. ასე რომ, ამ პერიოდისათვის აჩმარდის სამაროვნის ტერიტორია სანიგთა განსახლების არეალში შედიოდა. ამდენად, შექმნილი სურათი ნათელია: მეფე პაკორმა თავის ძალაუფლებას დაუქვემდებარა აფსილები, აბაზგები, სანიგები და საფუძველი ჩაუყარა ძლიერ დასავლურ-ქართულ გაერთიანებას, რომლის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი გადაჭიმული იყო მდ. აქუნტამდე.

II ს. შუახანებში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მიმდინარე მოვლენების ანალიზისას გვერდს ვერ ავუვლით კიდევ ერთ საკითხს. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: მთელ ამ პროცესებში რა როლს თამაშობდა რომი და დასავლეთ საქართველოს მიწების დიდი ნაწილის კონსოლიდაცია ლაზთა სამეფოს გარშემო მოხდა თუ არა ანტონინუს პიუსის ნებართვით? ცალსახად უნდა ითქვას, რომ ლაზების მიერ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთზე ჰეგემონიის გავრცელება მოხდა არა მხოლოდ ანტონინუს პიუსის სანქციით, არამედ რომაელებმა გადამწყვეტი როლიც შეასრულეს ამ საქმეში. ამას პირდაპირ მოწმობს შემდეგი ფაქტები: ჯერ ერთი, ამ პერიოდისათვის სებასტოპოლისში იდგა საკმაოდ ძლიერი რომაული გარნიზონი 200-300 მეომრის შემადგენლობით და ის წარმოადგენდა რომაელთა უმნიშვნელოვანეს ფორპოსტს ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში. ბუნებრივია, რომ რომაელების ნებართვის გარეშე, პაკორი ვერ შეძლებდა სებასტოპოლისის კონტროლქვეშ მოქცეულ სანიგთა გაერთიანებაზე თავისი ძალაუფლების გავრცელებას. უფრო მეტიც, ლაზთა სამეფოს ჰეგემონიის გავრცელება ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში იყო რომაული გეგმის ნაწილი და მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში პაკორი მოქმედებდა რომაელებთან შეთანხმებით. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი გარემოება: თუ არიანეს მოგზაურობის დროისათვის რომაელთა ბატონობის უკიდურესი პუნქტი იყო სებასტოპოლისი და აქ მთავრდებოდა „რომაელთა სამფლობელოები პონტოს მარჯვენა მხარეს მცურავთათვის“⁵, ანტონინუს პიუსის მმართველობისას რომაულმა საზღვარმა გადაიწია ჩრდილო-დასავლეთისკენ და ლეგიონური სამხედრო ნაწილები შეყვანილ იქნა პიტიუნტშიც. როგორც

¹ **А. Ю. Виноградов.** Кувшин царя Бакура – новый источник по ранней истории Кавказа. - *ინტერდისციპლინარული არქეოლოგია*. II. თბ., 2013, გვ. 55-56.

² **А. Ю. Виноградов.** Кувшин царя Бакура..., გვ. 56.

³ **А. Ю. Виноградов.** Кувшин царя Бакура..., გვ. 56; **თ. დუნდუა.** საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის ნარკვევები. თბ., 2017, გვ. 119-124.

⁴ **А. Ю. Виноградов.** Кувшин царя Бакура..., გვ. 58.

⁵ **Arr.**, PPE, 17.

პიტიუნტში აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლიდან ირკვევა, 152 წელს აქ უკვე იდგა რომაული გარნიზონი.¹ ანტონინუს პიუსის მმართველობისას რომაელთა გააქტიურება კოლხეთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აშკარად ჩანს არქეოლოგიურ მასალებითაც. II ს. შუახანებისათვის პიტიუნტში რომაული გარნიზონის ყოფნას დამატებით ადასტურებს ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ანტონინუს პიუსის (138-161 წწ.) და ლუცილას სახელით მოჭრილი მედალიონები,² რომლებიც რომაელ ლეგიონერთა კუთვნილებას წარმოადგენდა³ და ის ფაქტიც, რომ სწორედ ამ დროიდან იწყება პიტიუნტის ტერიტორიაზე იმპორტული ნაწარმისა და რომაული მონეტების მასობრივად გავრცელება.⁴ ახ.წ. II ს. შუახანებში უნდა დაწყებულიყო პიტიუნტში ციხესიმაგრის მშენებლობაც. მართალია, ციტადელის შიგნით ძირითადი ნაგებობანი აშენებულია ახ.წ. II ს. ბოლოს, მაგრამ საქალაქო ცხოვრების აღმავლობა და სამშენებლო სამუშაოები აქ II ს. შუახანებიდან იწყება.⁵ ასე რომ, ახ.წ. II ს. შუახანებიდან პიტიუნტი მნიშვნელოვანი რომაული ციხესიმაგრეა და იქ იმპერიის გარნიზონი დგას.

ამდენად, როგორც ვნახეთ, ანტონინუს პიუსის პრინციპსობისას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოხდა ორი მნიშვნელოვანი მოვლენა: რომაული სამხედრო ნაწილების შეყვანა პიტიუნტში და პაკორის მიერ გაგრა-ბიჭვინთის სექტორის დამორჩილება. ანუ ფაქტია, რომ რომაელთა გამოჩენას პიტიუნტში მოყვა ლაზთა მეფის ძალაუფლების გავრცელება აფსილების, აბაზგებისა და სანიგების გაერთიანებებზე. აშკარაა, რომ რომაული ჯარების გადაადგილება და ლაზთა ჰეგემონიის გავრცელება ჩრდილო-დასავლეთით იყო საერთო პროცესის ორი მდგენელი და ვფიქრობთ, უდავოა, რომ ლაზები მოქმედებდნენ რომაელებთან ტანდემში.

ამდენად, დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილის გაერთიანება მოხდა რომაელთა ნებასურვილით ლაზეთის სამეფოს გარშემო. აქ ჩნდება კიდევ ერთი კითხვა: რას ეფუძნებოდა რომაელთა არჩევანი და მაინცდამაინც ლაზების მეფეს რატომ დაეკისრა ეს მისია, მაშინ როცა თუნდაც მაკრონ-ჰენიოხთა „სამეფო“ რომის ყველაზე აქტიური მხარდამჭერი და ერთგული მოკავშირე იყო რეგიონში?

ვფიქრობთ, ეს განპირობებული იყო შემდეგი გარემოებებით: დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული გაერთიანებების გამოჩენის შემდეგ ბუნებრივია იწყება მათ შორის ბრძოლა პირველობისათვის. მათგან ორი – მაკრონ-ჰენიოხების და ლაზების გაერთიანება – შინაგანი პოტენციალით აღემატებოდა დანარჩენებს. ორივე ეს გაერთიანება პოპულარულია ანტიკურ მწერლობაში და ორივეს კარგად იცნობენ რომაელები. უფრო მეტიც, მაკრონ-ჰენიოხები გამოირჩეოდნენ რომისადმი ერთგულებით და ლაზებზე მეტადაც კი ჩანან რომის აღმოსავლურ ბატალიებში. მაგ., ტრაიანეს აღმოსავლურ ლაშქრობაში აქტიურად მონაწილეობდნენ მაკრონ-ჰენიოხების სამხედრო შენაერთები და 114 წ. მათი „მეფე“ ანქიალე პირადადაც კი შეხვდა იმპერატორ ტრაიანეს ქალაქ სატალაში.⁶ მოგვიანებით II ს. 60-იან წწ. მაკრონ-ჰენიოხები ასევე ერთგულად ასრულებენ თავიანთ სამოკავშირეო ვალდებულებას, ლუციუს ვერუსის კამპანიის

¹ M.P. Speidel. T.T. Todua. Three inscriptions from Pityus on the Caucasus frontier. – Saalburg Jahrbuch, 44, 1988, გვ. 56-58.

² გ. ღუნდუა. სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ.წ. II – ახ.წ. IV სს. – დიდი პიტიუნტი, I, გვ. 285-286; М.П. Инадзе. Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968, გვ. 248.

³ თ. თოდუა. საკიდი-მედალიონი და ოქროს ვარდულიანი საყურე ბიჭვინთის სამაროვნიდან (ახ.წ. II-VI სს). – საისტორიო ძიებანი, 2001, IV, გვ. 215.

⁴ გ. ლორთქიფანიძე. ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბ., 1991, გვ. 100-101.

⁵ М.П. Инадзе. Причерноморские города древней Колхиды, გვ. 248; О. Д. Лордкипანიძე. Наследие древней Грузии. Тб., 1989, გვ. 340.

⁶ Dio Cass., LXVIII, 19, 2; კ. ფიფია, მაკრონ-ჰენიოხების „სამეფო“ – რომის მოკავშირე აღმოსავლეთში, გვ. 54-55; კ. ფიფია. ტრაიანეს აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო, გვ. 18, 47-48.

ფარგლებში მონაწილეობდნენ სომხეთის ოკუპაციაში და აქ მომხდარ ანტირომაულ გამოსვლას შეეწირა კიდევ მათი „მეფე“.¹

ამდენად, ორივეს, მაკრონ-ჰენიოხებს და ლაზებს, ჰქონდათ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში პირველობის პრეტენზია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით მაკრონ-ჰენიოხთა გაერთიანება ლაზებზე ძლიერიც კი ჩანს, გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო დაწინაურდა ლაზეთი. მაკრონ-ჰენიოხთა „სამეფოს,” როგორც აღვნიშნეთ, ერთ მხარეს ესაზღვრებოდა რომი, მეორე მხარეს არმენია, ჩრდილოეთიდან კი, ზიდრიტთა ოლქში დამკვიდრებული ასევე ძლიერი იბერია. ამდენად, მას ფაქტობრივად არ ჰქონდა შემდგომი ტერიტორიული გაფართოების შანსი. ყოველ შემთხვევაში, რომაულ ხანაში სამხრეთის მიმართულებით ეს გამორიცხული იყო. მისი ბუნებრივი გაფართოება უნდა მომხდარიყო ჩრდილოეთისკენ, თუმცა მას აქ ძლიერი იბერია გაუძეობდა. შესაბამისად, კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში მას არ ჰქონდა იბერიის ზღვისპირეთიდან გაძევების საშუალება. იბერიის წინააღმდეგ მაკრონ-ჰენიოხებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ გამოსვლა თუ ექნებოდათ რომის თანხმობა და რეალურ სამხედრო დახმარებასაც მიიღებდნენ იმპერიისაგან. თუმცა, როგორც ვნახეთ, ანტონინუს პიუსის პოლიტიკა არ ითვალისწინებდა კავკასიაში მოვლენათა ესკალაციას. პირიქით, ის იბერიის მეფესთან მეგობრობს და ცნობილი ეპიზოდი ფარსმანის რომში სტუმრობისა ამას ადასტურებს კიდევ. ამდენად მაკრონ-ჰენიოხთა ექსპანსია ჩრდილოეთის მიმართულებით იბერიის ფაქტორის გამო იმ პერიოდში გამოირიცხა.

ასე რომ, მაკრონ-ჰენიოხებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი II ს. დასაწყისში ყველაზე მეტად აქტიურობენ რეგიონში, შემდგომი გაძლიერება-განვითარების პერსპექტივა არ ჰქონდათ. მაკრონ-ჰენიოხებს არ „გაუმართლათ” გეოგრაფიული თვალსაზრისით და მათი ამბიცია დასავლეთ საქართველოში ჰეგემონობაზე რეალურად ჩანასახშივე განწირული აღმოჩნდა.

რაც შეეხება ლაზებს, მათ მაკრონ-ჰენიოხებისაგან განსხვავებით ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ ეჭირათ კოლხეთის ცენტრალური ნაწილი, უშუალოდ არ ესაზღვრებოდნენ რომს და ამ უკანასკნელისგან გამიჯნული იყვნენ იბერიისა და მაკრონ-ჰენიოხთა სამფლობელოებით. შესაბამისად, მას ჩრდილო-დასავლეთისაკენ ჰქონდა გაფართოების პერსპექტივა. ჩრდილო-დასავლეთით მისი ექსპანსია რომის გაღიზიანებას არ გამოიწვევდა, უფრო მეტიც, რომის ინტერესებშიც შედიოდა ორი მიზეზის გამო: 1. რომისთვის უფრო ხელსაყრელი იყო ხობოსის გადაღმა ტერიტორიების ერთი მმართველის ხელით გაკონტროლება; 2. ბუნებრივია, კოლხეთის ზღვისპირეთში ფეხმოკიდებულ იბერიას ექნებოდა სურვილი დასავლეთ ქართული ტერიტორიების შემოერთებისა, რაც არ ჯდებოდა რომის ინტერესებში. ამიტომ, ანტონინუს პიუსს, მიუხედავად იბერიასთან მეგობრული ურთიერთობებისა, აუცილებლად სჭირდებოდა პერსპექტივაში იბერიის ჩრდილო-დასავლეთისაკენ გაფართოების პრევენცია. ამის გამორიცხვა კი შესაძლებელი იყო ძლიერი ლაზეთის სამეფოს შექმნით, რომლისთვისაც შექმნილ სიტუაციაში რომი იყო ბუნებრივი მოკავშირე.

ასეთი იყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შექმნილი პოლიტიკური კონიუნქტურა, როცა ასპარეზზე გამოვიდა მეფე პაკორი. იგი მოხერხებულად იყენებს რომის ინტერესებს რეგიონში, ითვალისწინებს ანტონინუს პიუსის აღმოსავლური პოლიტიკის პრიორიტეტებს, მისივე სანქციით იწყებს დასავლურ-ქართული ოლქების შემოკრებას ლაზეთის გარშემო, იმორჩილებს ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ცალკეულ ტერიტორიულ-ტომობრივ გაერთიანებებს და საფუძველს უყრის ერთიან სახელმწიფოს, რომლის საზღვრებშიც შედიოდა ისტორიული კოლხეთის მიწა-წყლის დიდი ნაწილი ზიდრიტთა ოლქიდან გაგრა-ბიჭვინთის სექტორის ჩათვლით.

¹ Dio Cass., LXXI, 14, 2; კ. ფიფია. მაკრონ-ჰენიოხების „სამეფო“ – რომის მოკავშირე აღმოსავლეთში, გვ. 64-67.

Kakhaber Pipia

Sokhumi State University

**THE EASTERN POLICY OF ANTONINUS PIUS AND KINGDOM OF LAZES
RESUME**

From the beginning of 2nd Century A.D. Laz Kingdom presented as “friend and ally” of Rome. During the reign of Antonius Pius (138-161) the interests of Laz and Rome became even closer. Pacorum, King of Lazica, was contemporary person of Antonius Pius. He, had been using benevolence of the Romans, expanded the borders of the Laz kingdom to Northwestern, including the contemporary Gagra-Pitsunda sector which was evidenced by a Greek inscription on a silver cup found in the village Achmarda in the Gagra district. The territorial expansion of the Laz kingdom in this direction was supported by Romans and therefore a Roman garrison was introduced to Pitsunda during the reign of Antonius Pius. Thus, by the appearance of the Romans in the extreme Northwestern part of Colchis had led the spread of hegemony of the Laz kingdom in this area.

„ამასია“ თუ „აბაზგია“ - დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ისტორიის ერთი საკითხის დაზუსტებისთვის

აღრეულ შუა საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლას ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი პუბლიკაცია მიეძღვნა. ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსო კათედრები გარკვეულ პერიოდამდე კონსტანტინოპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა.¹ მაგრამ ამ ბოლო ხანებში ეს გაბატონებული მოსაზრება ეჭვქვეშ დააყენა მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ. რაც ეფუძნება კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ კათედრათა ნუსხების ახლებურ წაკითხვა-გააზრებას.

მიტრ. ანანია ჯაფარიძის თვალსაზრისი მთლიანად ცვლის ჩვენს ისტორიოგრაფიაში აქამდე მიღებულ აზრს, ამდენად მისი განხილვა აუცილებლად მიგვაჩნია. ამასთან, მართალია, მიტრ. ანანია ჯაფარიძე თავის კვლევაში მთლიანად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ეკლესიას ეხება, მაგრამ ჩვენ წინამდებარე სტატიაში მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხს, „აბაზგიის ეპარქიას“ შევეხებით.

მიტრ. ანანია ჯაფარიძე საკითხის განხილვას იწყებს იმის აღნიშვნით, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის საკათალიკოსო ჩამოყალიბდა არა ქართული ეკლესიის წიაღში, არამედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს - აბაზგიისა და ლაზიკის ეპარქიების გაერთიანების შედეგად, ეწინააღმდეგება ძველ-ქართულ საეკლესიო წყაროებს. რის მაგალითადაც მას მოჰყავს „მატიანე ქართლისას“-ს ჩანართი: „ამან ბაგრატ (ქართველთა მეფემ) განაჩინა კათალიკოსი აფხაზეთს“.² ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ ესახება მეცნიერს ამ წყაროს წინააღმდეგობა მის მიერ გაკრიტიკებულ მოსაზრებასთან, რადგანაც ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, რომ თავის აღრინდელი გამოკვლევაში ემტკიცებინა დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსო კათედრების ყოფნა ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთი (კონსტანტინოპოლის ანდაც ანტიოქიის) საპატრიარქოს იურისდიქციაში.³

ამის შემდეგ მიტრ. ანანია ჯაფარიძე განიხილავს მთავარ წყაროს „აბაზგიის ეპარქიის“ შესახებ - კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხებს. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ყველა ნოტიციაში „აბაზგიის ეპარქიის“ საკითხი დაკავშირებულია სებასტოპოლისთან, რომელიც სულ 4 ნოტიციაში არის ნახსენები. ორ მათგანში (VI და VIII ნოტიციები)

¹ ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თხზულებანი 12 ტომად, II, თბილისი, 1983: 237, 122; კორნელი კეკელიძე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, წიგნში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. IV, თბილისი, 1957, 354-357; პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, თბილისი, 1954, 147; ნიკო ბერძენიშვილი, სავაზრო ფეოდალურ საქართველოში. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. წიგნში, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბილისი 1974, 45; სიმონ ყაუხჩიშვილი, გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. IV, ნაკვ, II, 1952, 198; მარიამ ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. ეგრის-აფხაზეთი. წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, საქართველო IV-X საუკუნეებში, თბილისი, 1973, 424-427; ვახტანგ გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბილისი, 1991, 78; В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), 1959, 146.

² მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ქალდეა (საეპისკოპოსოები ლაზიკაში), თბილისი, 2013. 659.

³ მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბილისი, 2009, 501-507.

იგი შედის „ამასიის ეპარქიაში“, ხოლო დარჩენილ ორში (I და VII ნოტიცია) „აბაზგიის ეპარქიაში“.¹

საკითხის გამოსარკვევად მეცნიერი განიხილავს სებასტოპოლისის ადგილმდებარეობას, და ნ. აღონცის კვლევაზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ ერთი სებასტოპოლისი პონტოსპირეთში, მეორე კი ქალაქ ამასიასთან ახლოს მდებარეობდა.²

მიტრ. ანანია ჯაფარიძის თქმით, შემდეგში ს. ყაუხჩიშვილმა სებასტოპოლისის საკითხი დაუკავშირა ამასიას. მან მიიჩნია, რომ ნოტიციებში ამასიის დასახელება არის შეცდომა და მის ნაცვლად უნდა ეწეროს „აბაზგია“. და ამასიის ეპარქიაში სებასტოპოლისის დასახელებას დაურთო შენიშვნა: „ამკარა შეცდომაა, უნდა იყოს აბაზგია“.³ მიტრ. ანანია ფიქრობს, რომ თავდაპირველად ნოტიციებში უნდა წერებულყო „ამასიის ეპარქია“, ისევე როგორც ეს არის VI და VIII ნოტიციებში და აღნიშნავს, რომ „ეს სისწორით შედგენილი VI და VIII ნოტიციები ... XX ს-ში თავისი მოსაზრების შესაბამისად შეასწორა ს. ყაუხჩიშვილმა“.⁴

საკითხი, რომლითაც მიტრ. ანანია ჯაფარიძის მოსაზრებათა განხილვა უნდა დავიწყოთ, არის ბრალდება სიმონ ყაუხჩიშვილისადმი, წყაროს ჩვენებათა საკუთარი მოსაზრებით შეცვლის თაობაზე. ამასიის შეცდომად მიჩნევა რომ პირველად XX საუკუნეში ს. ყაუხჩიშვილის ახირებით არ მომხდარა, ამაში ნოტიციების ერთ-ერთი ადრეული, 1866 წლის გამოცემაც დაგვარწმუნებს, რომელშიც მე-6 და მე-8 ნოტიციებში მოცემულ „ამასიის ეპარქიას“ გამომცემელი გუსტავ პართეი (Gustav Parthey) ურთავს შენიშვნას, რომ აქ არა ამასია, არამედ აბაზგია უნდა ეწეროს.⁵ აქვე, უნდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნული გამოცემა ს. ყაუხჩიშვილისთვის ერთ-ერთი წყარო იყო ნოტიციების გამოცემისას.⁶ შესაბამისად, ს. ყაუხჩიშვილმა, იხელმძღვანელა რა ადრინდელი გამოცემით, მიიღო გამომცემლის შენიშვნა და ეს შენიშვნა საკუთარ გამოცემაშიც შეიტანა. ხოლო ჟან დარუზესი (Jean Darrouzes) ყველგან ფორმა „აბაზგიას“ აღადგენს.⁷

ნიშნავს თუ არა თუნდაც ადრეულ გამოცემაში სწორ ფორმად „აბაზგიის“ მიჩნევა მის მართებულობას? რა თქმა უნდა, არა! ამიტომაც უნდა განვიხილოთ, რამდენად შესაძლებელია ამასიის ეპარქიის არსებობა - სებასტოპოლისის არქივისკოპოსით სათავეში.

მიტრ. ანანია ჯაფარიძე, მართალია, აღნიშნავს, რომ ქალაქ ამასიის სიახლოვეს არსებობდა ქალაქი სებასტოპოლისი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს „ამასიის ეპარქიის“ სებასტოპოლისის ეპისკოპოსის მეთაურობით არსებობას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც თავად მეცნიერს არანაირი არგუმენტი არ მოაქვს ასეთი ეპარქიის არსებობის. იგი მხოლოდ აღნიშნავს, რომ ნოტიციათა გადაწერისას, XVII-XVIII საუკუნეებში, ამასიის ეპარქია დიდი ხნის გაუქმებული იყო.⁷ თუმცა, ისევე როგორც ამასიის ეპარქიის არსებობის, არც მისი გაუქმების შესახებ მოუტანია რაიმე მოწმობა პატივცემულ მკვლევარს.

მაშასადამე, უნდა განვიხილოთ აღნიშნული საკითხი: მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მიერ ამასიის ახლოს მდებარე სებასტოპოლისი, არის თანამედროვე სულუსარაი, რომელიც ამასიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 115 კმ-ში მდებარეობს. მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს სებასტოპოლისის მიტროპოლიტობით „ამასიის ეპარქიის“ არსებობა VII-X სს.-ში ესახება.⁸

¹ მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ქალდეა (საეპისკოპოსოები ლაზიკაში), თბილისი, 2013, 659.

² იქვე, გვ. 659-660.

³ იქვე, გვ. 660, შდრ. სიმონ ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. IV, ნაწ. II, 1952, 139, შენ.2.

⁴ მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 663.

⁵ Gustav Parthey, Hieroclis Synecdemus et notitiae Graecae episcopatum: accedunt Nili Doxapatrui notitia patriarchatum et locorum nomina immutata. 1866, 149, 165.

⁶ სიმონ ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

⁷ მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 663.

⁸ იქვე, გვ. 725-738.

ეს სებასტოპოლისი იხსენიება ჰიეროკლესთან, როგორც პროვინცია პირველ არმენიაში შემავალი ქალაქი.¹ რაკილა რომის იმპერიაში საეკლესიო-ტერიტორიული მოწყობა სამოქალაქო დაყოფას ეყრდნობოდა, შესაბამისად სებასტოპოლისი უკვე მე-4 საუკუნიდან შედიოდა არმენია I-ის ეპარქიაში², რომლის მიტროპოლიტი გახლათ პროვინციის მთავარი ქალაქის, სებასტიის, ეპისკოპოსი.³ სწორედ ეს მოცემულობა არის ასახული ნოტიციებშიც - I ნოტიციაში, სებასტოპოლისი იხსენიება, როგორც არმენიის ეპარქიაში შემავალი საეპისკოპოსო და იგი დასახელებულია სებასტიის შემდეგ.⁴ ნოტიციებში კი პირველ ადგილზე მიტროპოლიტია დასახელებული. ასევეა III,⁵ VIII,⁶ IX,⁷ X⁸ და XIII ნოტიციებში.⁹

451 წლის ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებებს თავისი მიტროპოლიტის, იოანე სებასტიელის ხელმოწერის შემდეგ აწერს ხელს „პირველი არმენიის ეპარქიის“ წარმომადგენელი კეკროფიუს სებასტოპოლისელი.¹⁰

„პირველი არმენიის ეპარქიის“ ეპისკოპოსთა წერილში იმპერატორ ლეონისადმი (457-474) ამავე ეპარქიის მიტროპოლიტი ეპისკოპოსის იოანესა და ნიკოპოლის ეპისკოპოს იოანეს შემდეგ აწერს ხელს სებასტოპოლისის ეპისკოპოსი გრიგორი (გრეგორიუსი).¹¹

ამ ყოველივეს საპირწონედ მიტრ. ანანია ჯაფარიძეს მოჰყავს შემდეგი მოსაზრება, რომ თითქოსდა სებასტოპოლისი იყო სადავო კათედრა ამასიის სამიტროპოლიტოსა და I არმენიის სებასტიის სამიტროპოლიტოს შორის, რის მიზეზადაც იგი სებასტოპოლისის მდებარეობას და ამასიისა და სებასტიისგან თანაბარი მანძილით მის დაშორებას ასახელებს, რის გამოც იგი ხან ამასიის, ხანაც სებასტიის სამიტროპოლიტოში შედიოდა.¹² პირველი, რაც ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, არის ის, რომ მიტროპოლიტებისგან რომელიმე ქალაქის დაშორების მანძილის შედარებით არ განისაზღვრებოდა ამა თუ იმ ქალაქის/საეპისკოპოსოს კუთვნილება ამა თუ იმ პროვინცია/ეპარქია/სამიტროპოლიტოსადმი. მეორეც, სებასტოპოლისის სადავოობას ორ პროვინცია/ეპარქიას შორის არ ადასტურებს არანაირი წყარო. მხოლოდ სადაო ნოტიციებში იხსენიება იგი ამასიის ეპარქიაში, სადაო ნოტიციებით კი საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ ამ სადაო ნოტიციებში სებასტოპოლისი არის არა ამასიის სამიტროპოლიტოს კუთვნილი რიგითი ეპარქია, არამედ მისი მიტროპოლია.

თუკი სებასტოპოლისი ორ სამიტროპოლიტოს შორის იყო სადავო ტერიტორია, როდის და როგორღა მოახერხა მან სამიტროპოლიტოდ ქცევა? თუკი იგი სამიტროპოლიტოდ ჩამოყალიბდა, რომელი საეპისკოპოსოები დაიქვემდებარა მან? ამ შემთხვევაში მას მოუწევდა მეზობელი, ამასიისა და სებასტიის მიტროპოლიტებისთვის, მიტრ. ანანიას ლოგიკით, საკუთარი ყოფილი მიტროპოლიტებისთვის, საეპისკოპოსოების წართმევა, ვერაფერ მსგავსს კი ჩვენ ვერც ნოტიციებში და ვერც სხვა რომელიმე წყაროში ვერ ვხედავთ.

¹ Augustus Burckhardt, Hieroclis Synecdemus: accedunt fragmenta apud Constantinum Porphyrogenetum servata et nomina urbium mutat, 1893, 34. N703 (5).

² სებასტოპოლისი ჯერ გალატიის პონტოს, იმპერატორ ტრაიანეს დროიდან კაპადოკიის, ხოლო დიოკლეტიანეს დროიდან მცირე არმენიის პროვინციაში შედიოდა.

³ Joseph Bingham, The Aniquities of the Christian Church, 1845, 343. 419-420.

⁴ Gustav Parthey, Hieroclis Synecdemus et notitiae Graecae episcopatum: accedunt Nili Doxapatrui notitia patriarchatum et locorum nomina immutata. 1866, 64, N229.

⁵ იქვე, 108, N166.

⁶ იქვე, 172, N281, ნოტიციაში ეპარქია შეცდომით „მეორე არმენიად“ იწოდება.

⁷ იქვე, 187, N190

⁸ იქვე, 207, N287

⁹ იქვე, 248, N146.

¹⁰ Giovan Domenico Mansi, Sacrorum conciliorum nova et amplissima collectio, Vol. 7, Florentiae: Expensis H. Welter, 1762, 404.

¹¹ იქვე, 587-589.

¹² მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 740.

ამავე დროს, აუცილებლად უნდა შევეხეთ „ამასიის ეპარქიის“ საკითხს და ვნახოთ თუ რას წარმოადგენდა იგი.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელწოდების ეპარქიას არ იცნობს ჩვენამდე მოღწეული არც ერთი წყარო, სწორედ ამიტომაც ვერ მოჰყავს მიტრ. ანანია ჯაფარიძეს მისი არსებობის დამადასტურებელი ვერც ერთი არგუმენტი. შესაძლოა ამ ეპარქიის არსებობის დამადასტურებლად ზოგიერთმა ჩათვალოს 381 წლის კონსტანტინოპოლის მსოფლიო კრების დადგენილებებზე ხელისმომწერთა სიაში დაფიქსირებული ეპარქიის აღმნიშვნელი „როვინცია ონტი მასია“ – „ამასიის პონტოს ეპარქია (ლათ. პროვინცია)“.¹ ამიტომაც, ზემოთმოყვანილი მონაცემის გასაგებად, უნდა განვიხილოთ ქალაქ ამასიის როლი აღნიშნულ პროვინციაში.

ქალაქი ამასია იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305) მიერ პროვინციული სისტემის რეორგანიზაციისას (დაახლ. 295 წ) შექმნილი დიოსპონტის დედაქალაქად იქცა. მოგვიანებით, კონსტანტინე დიდმა (306-337) მას სახელი გადაარქვა და საკუთარი დედის, ელენეს, პატივსაცემად ჰელენოპონტო უწოდა,² თუმცა მისი მოწყობა არ შეუცვლია. ამასიის ეკლესიას, როგორც პროვინციის მთავარი ქალაქისას, მიტროპოლიტი მართავდა, რომელსაც ექვემდებარებოდნენ ჰელენოპონტოს პროვინციის ეპისკოპოსები.

431 წლის ეფესოს კრების დადგენილებებზე მიტროპოლიტებს შორის აწერს ხელს ამასიის ეპისკოპოსი პალადიუსი.³

451 წლის ქალკედონის კრების დადგენილებებს ჰელესპონტის (უნდა იყოს ჰელენოპონტის - დ.ჩ.) პროვინციის წარმომადგენლებიდან პირველი აწერს ხელს სელევკიუს ამასიელი,⁴ რაც მის მიტროპოლიტობას უსვამს ხაზს. იმპერატორ ლეონის წერილში მიტროპოლიტებს შორის იხსენიება ამასიის ეპისკოპოსი სელევკოსი.⁵

ჰელენოპონტოს ეპარქიის ეპისკოპოსთა წერილს იმპერატორ ლეონისადმი (457-474) ხელს აწერს ჰელენოპონტოს ეპარქიის მიტროპოლიტი, ამასიის ეპისკოპოსი სელევკუსი.⁶

553 წლის მე-5 საეკლესიო კრების დადგენილებებს ხელს აწერს „სტეფანე, ღვთის ნებით ამასიელთა, ცნობილი მიტროპოლიის, ეპისკოპოსი“.⁷

ტრულის კრების დადგენილებას ხელს აწერს „იოანე, ჰელენოპონტის ეპარქიის (პროვინციის) მეტროპოლიის ამასიის ეპისკოპოსი“.⁸

ჰელენოპონტოს ეპარქიის მიტროპოლიად ამასია დასახელებულია I ნოტიციაში.⁹ ამასია სამიტროპოლიტო საყდრად იხსენიება II ნოტიციაში.¹⁰ ამასია ჰელენოპონტოს მიტროპოლიად არის დასახელებული III ნოტიციაში,¹¹ ამასია ევქსინის პონტოს მეტროპოლიად არის დასახელებული IV ნოტიციაში,¹² VI ნოტიციაში ჰელენოპონტოს ეპარქიის მეთაურად არის დასახელებული

¹ Giovan Domenico Mansi, *sacrorum consilium nova et amplissimo collection*, Vol.3, 1759, 572.

² John George Clark Anderson, "Pontus". In Chisholm, Hugh (ed.). *Encyclopædia Britannica*. 22 (11th ed.). Cambridge University Press. 1911. 71.

³ Marii Mercatoris S. Augustino aequalis opera omnia, sive, Monumenta ad Pelagianam Nestorianamque haeresim pertinentia., *Patrologiae*, T 48, Parisiis, 1846, 892.

⁴ Mansi, Giovan Domenico Mansi, *Sacrorum conciliorum nova et amplissima collectio*, Vol. 7, Florentiae: Expensis H. Welter, 1762, 404.

⁵ იქვე, 523.

⁶ Mansi, *sacrorum consilium*, 7, 1762, 605-607.

⁷ *CONCILIORVM.: Ab anno DXXIII. ad annum DL. TOMVS DVODECIMVS*, Volume 12, E Typographia Regia, 1644, 244.

⁸ Giovan Domenic Mansi, *sacrorum consilium nova et amplissimo collection*, Vol. 11, Florentiae, 1765, 671; დიდი სჯულისკანონი, თბილისი, 1975, 407.

⁹ Gustav Parthey, *Hieroclis Synecdemus...* 56, N19; 64, N235.

¹⁰ იქვე, 96, N14.

¹¹ იქვე 108, N172.

¹² იქვე, 132, N12.

ბული ამასიის არქივისკოპოსი.¹ ჰელენოპონტოს ეპარქიის მეთაურად არის ამასიის მიტროპოლიტი დასახელებული VII² და VIII ნოტიციაში,³ IX ნოტიციაში ჰელენოპონტოს ეპარქიის საეპისკოპოსოთა ჩამონათვალის სათავეში დგას ამასია, როგორც ეპარქიის სამიტროპოლიტო, შემდეგ კი ჩამოთვლილია მისადმი დაქვემდებარებული საეპისკოპოსოები.⁴ X ნოტიციაში სამიტროპოლიტოთა და საარქივისკოპოსოთა შორის იხსენიება ამასია.⁵ XI⁶ და XII⁷ ნოტიციაში კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ მიტროპოლიტთა შორის იხსენიება ამასიის მიტროპოლიტიც.

როგორც ვხედავთ, ჰელენოპონტოს ეპარქიის მთავარი ქალაქი (მიტროპოლია) იყო ამასია, რამაც განაპირობა 381 წლის კონსტანტინოპოლის კრების მასალებში ეპარქიის მითითებისას მისი დასახელება, რათა მომხდარიყო ამ ეპარქიის გამიჯვნა პონტოს მეორე პროვინციისგან (პოლემონის პონტო). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუკი ოდესმე იარსებებდა „ამასიის ეპარქია“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მთავარი ქალაქი იქნებოდა ამასია, როგორც ეს გვაქვს თანამედროვე თურქეთის სახელწიფოს ადმინისტრაციული დაყოფისას, სადაც ამასია არის ამავე სახელწოდების პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი. სხვა შემთხვევაში, ამასიის ეპარქიის არსებობა ნებისმიერი სხვა ქალაქის, მათ შორის სებასტოპოლისის მიტროპოლიტობით, გამორიცხულია. რადგანაც ასეთ შემთხვევაში გვექნებოდა არა ამასიის, არამედ მისი მეტროპოლიის სახელწოდების ეპარქია. თუკი თეორიულად მაინც დავუშვებთ მსგავს შემთხვევას, აქაც ერთადერთი შესაძლო ვარიანტი უნდა იყოს შემდეგი: დროთა განმავლობაში ქალაქ ამასიის დამცრობა, ეპარქიის დედაქალაქად სებასტოპოლისის ქცევა, ხოლო ეპარქიის აღსანიშნავად ტრადიციის გავლენით ძველი სახელწოდების დარჩენა. ამგვარ რამესაც რომ ადგილი არ ჰქონია, ეს ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი წყაროებიდანაც ნათლად ჩანს, რადგანაც აბსოლუტურად ყველა წყაროში ქალაქი ამასია იხსენიება ეპარქიის ცენტრად. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ამასიის მეტროპოლიად მოხსენიება VI და VIII ნოტიციებში, იმ ნოტიციებში, რომლებშიც იხსენიება „ამასიის ეპარქია“. რაც გამორიცხავს სებასტოპოლისის დედაქალაქობით (მიტროპოლია) ამასიის ეპარქიის არსებობის ზემოთ ნავარაუდევ შესაძლებლობას. ამავე დროს, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს VIII ნოტიციაში სებასტოპოლისის დასახელებას სებასტიის მიტროპოლიტის სამწყსოში.⁸ რადგანაც, შეუძლებელია სებასტოპოლისი ერთდროულად ყოფილიყო „ამასიის ეპარქიის“ სამიტროპოლიტოც და სებასტიის მიტროპოლიტის დაქვემდებარებაში მყოფი საეპისკოპოსოც.

ამდენად, VIII ნოტიციაში „ამასიის ეპარქიის“ დასახელება შეცდომაა, და მის მიტროპოლია სებასტოპოლისში თანამედროვე სულუსარაი არ უნდა იგულისხმებოდეს. რაც შეეხება VI ნოტიციას, რაკილა მასში მხოლოდ ეპარქიები და მათი სამიტროპოლიტოებია დასახელებული, მათდამი დაქვემდებარებული საეპისკოპოსოების გარეშე, ზემორე ლოგიკას მასზეც ვერ გავავრცელებთ, მაგრამ, რაკილა მასში იხსენიება „I არმენიის ეპარქია“ სებასტიის მიტროპოლით სათავეში,⁹ მის საეპისკოპოსოებს შორის უნდა ვივარაუდოთ სებასტოპოლისიც, ისევე, როგორც ეს სხვა ნოტიციებშია. შესაბამისად, მასში დასახელებული „ამასიის ეპარქიის“ მიტროპოლია სებასტოპოლისი არ გახლავთ მიტრ. ანანია ჯაფარიძის მიერ ნავარაუდევი ქალაქი, ხოლო ორივე ნოტიციის „ამასიის ეპარქია“ უნდა შესწორდეს I და VII ნოტიციების მიხედვით ანუ

¹ იქვე, 146, N18.

² იქვე, 151, N19.

³ იქვე 163, N19.

⁴ იქვე, 187-188, N19 5-201.

⁵ იქვე, 198. N14.

⁶ იქვე, 226, N16.

⁷ იქვე, 237, N16.

⁸ Gustav Parthey, Hieroclis Synecdemus et notitiae Graecae episcopatum... 172. N281.

⁹ იქვე, გვ. 146, N17.

აბაზგიად. ისევე, როგორც ეს აქამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში იყო მიღებული და როგორც დასავლურ ისტორიოგრაფიაში სამართლიანად არის დამკვიდრებული.

Davit Chikovani

Sukhumi State University

**"AMASYA" OR "ABAZGIA" - FOR SPECIFYING ONE ISSUE OF THE
ECCLESIASTICAL HISTORY OF WESTERN GEORGIA
RESUME**

The article discusses the opinion recently expressed in Georgian historiography, according to which the bishoprics of western Georgia were not subject to the Patriarchate of Constantinople. And based on proper sources it has been shown that this opinion is not correct.

ვარლამ ჩერქეზიშვილი ინგლისელ პოლიტიკოს ასკვიტზე

ვარლამ ჩერქეზიშვილი გახლდათ თავისი დროის ერთ-ერთი გამორჩეული და თვალსაჩინო პოლიტიკური ფიგურა, არა მარტო იმ პერიოდის ქართულ რეალობაში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. იგი იყო საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და აღიარებული ლიდერი, ანარქიზმის პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი.¹ ამავე დროს, ვარლამ ჩერქეზიშვილი, გარდა იმისა, რომ კოლორიტული პოლიტიკური ფიგურაა, ის გახლდათ თავისი დროის ერთ-ერთი განათლებული, უაღრესად ერუდირებული პიროვნება, ცნობილი პუბლიცისტი, ჟურნალისტი, რომლის საინტერესო სტატიები რეგულარულად იბეჭდებოდა ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე, გაზეთებში „ივერია“ და „ცნობის ფურცელი“. ვ. ჩერქეზიშვილი თავის პუბლიცისტურ წერილებში ამჟღავნებს პოლიტიკურ აზროვნებას და ისტორიული მოვლენების სიღრმისეულ ცოდნას, მათი სწორი შეფასების უნარს და ღრმა ერუდიციას. ვარლამ ჩერქეზიშვილი საკმაოდ კარგად ერკვეოდა არა მარტო დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებში, არამედ ისტორიოგრაფიაში, კულტურაში, ლიტერატურაში, სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში. ის არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ პოლიტიკური ისტორიით. ამ კუთხით ვარლამ ჩერქეზიშვილის საქმიანობა ფართო საზოგადოებისთვის შედარებით ნაკლებად იყო ცნობილი. ვარლამ ჩერქეზიშვილის თხზულებების პირველი ტომის გამოცემა გვევლინება არსებული ხარვეზის გამოსწორების ერთ-ერთ პირველ მცდელობად რომელიც გვეხმარება, კიდევ უფრო სრულყოფილი და ამომწურავი წარმოდგენა² შევიქმნათ ამ სფეროში ვარლამ ჩერქეზიშვილის წვლილზე.³ სასურველი იქნებოდა, თუ ეს მნიშვნელოვანი საქმე ბოლომდე იქნება მიყვანილი, რაც საშუალებას მოგვცემდა ამ საკითხზე კიდევ უფრო ადეკვატური წარმოდგენა ჩამოგვეყალიბებოდა. ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას ვარლამ ჩერქეზიშვილმა თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა ახალი ისტორიის, კონკრეტულად კი ინგლისის ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. მიგვაჩნია, რომ ამ კუთხით მისი საქმიანობის გაშუქება საინტერესო და აქტუალურია.

* * *

აღბათ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი განსაკუთრებით კარგად ერკვეოდა XX საუკუნის დასაწყისის ინგლისის ისტორიაში. ამ პერიოდში ის ემიგრაციაში იმყოფებოდა ინგლისში და უშუალო თვითმხილველი იყო იმ მოვლენების, რომელსაც იგი აღწერდა თავის პუბლიცისტურ ნაწერებში. ამ წერილებს ორმაგი დატვირთვა გააჩნია. პირველი, წყაროთმცოდნეობითი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ზუსტად დავადგინოთ ისტორიული ფაქტი და მეორე ისტორიოგრაფიული, რომელიც შეიცავს მოსაზრებას, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო მისი დამოკიდებულება XX საუკუნის დასაწყისის ინგლისის თვალსაჩინო პოლიტიკური

¹ დ. შველიძე, ვარლამ ჩერქეზიშვილის ღვაწლი - წიგნში ვარლამ ჩერქეზიშვილი, თხზულებები, ტ. 1, თბ., 2011; დ. შველიძე, მარქსიზმის კრიტიკა ვარლამ ჩერქეზიშვილის შრომებში, თბ., 1998; დ. შველიძე, „ვინ იყო ქართველი ვარლამ ჩერქეზიშვილი“, თბ., 2001; გ. ფერაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი დიდი ბრიტანეთის წიგნსაცავებში და არქივებში, თბ., 2001; ქართველები უცხოეთის ცის ქვეშ. წიგნი 1. რ. დაუშვილი, გრ. კალანდაძე, რ. კობახიძე, გ. ჯაფარიძე, გვ. 136-167, თბ., 2019; П. Рябов, Мыслитель Анархист Варлам Черкезов, «Наука человечности против «Науки партий», №2. გვ. 27-38, М., 2009.

² ვ. ჩერქეზიშვილი, თხზულებები, ტ. 1, თბ., 2011.

³ მ. კალანდაძე, ემიგრანტის ნააზრევი, ვარლამ ჩერქეზიშვილის თხზულებების პირველი ტომი, საქართველოს რესპუბლიკა, 2 მაისი, 2012;

მოღვაწეებისადმი. არსებულ ინფორმაციას შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნია, ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ისეთი პატარა ქვეყნისთვის როგორც საქართველოა, ამ მასალის შეუფასებლობა გაუმართლებელია.

ვარლამ ჩერქეზიშვილის პუბლიცისტურ წერილებში ვხვდებით XX საუკუნის დასაწყისის ინგლისის არა ერთ ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს. ერთ-ერთი მათგანია ჰერბერტ ჰენრი ასკვითი (1852-1928). წინამდებარე ნაშრომი პირველი მცდელობაა, ამომწურავი წარმოდგენა შეგვექმნა, ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში, ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ შეტანილ წვლილზე და ამით შეგვევსო ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული კიდევ ერთი სუფთა ფურცელი.

ჩვენს წინაშე დგას სავსებით კონკრეტული ამოცანა გამოვარკვიოთ, რამდენად იყო ინფორმირებული ვარლამ ჩერქეზიშვილი ლორდი ასკვითის საქმიანობაზე და როგორ აფასებდა იგი მის საქმიანობას. თუ პირველს წყაროთმცოდნეობითი დატვირთვა გააჩნია, მეორე საკითხის მიმართ ჩერქეზიშვილის მოსაზრება ისტორიოგრაფიული ხასიათისაა.

ინგლისელი პოლიტიკოსის ასკვითის ფიგურა ქართული საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებადაა ცნობილი და მის სახელს მხოლოდ სასწავლო საცნობარო ლიტერატურაში თუ შევხვდებით. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, ძალიან მოკლედ გადაგვევლო თვალი ასკვითის საქმიანობისათვის.¹

რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილს ასკვითზე დაეწერა ისტორიული ნარკვევი ან თუნდაც გაეკეთებინა ჟურნალისტური ჩანახატი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, უფრო ფართოდ გვემსჯელა აღნიშნულ საკითხზე, მისი მოსაზრების აკარგავინაობაზე. როგორც აღვნიშნეთ ინგლისელი პოლიტიკოსის ასკვითის სახელს მხოლოდ ვარლამ ჩერქეზიშვილის პუბლიცისტურ წერილებში ვხვდებით. აქედან გამომდინარე, სწორედ ეს წერილები წარმოადგენს ჩვენს მთავარ წყაროს. სხვა უფრო ხელჩასაჭიდი მასალა უბრალოდ არ გავაჩნია. თუ მოხერხდება ვარლამ ჩერქეზიშვილის თხზულებების მეორე ან მესამე ტომის გამოცემა, მაშინ შეიძლება ჩვენს ხელთ გაცილებით უფრო მდიდარი მასალა აღმოჩნდეს.

გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ვარლამ ჩერქეზიშვილის წერილებში ჰენრი ასკვითის სახელი ექვსჯერ გვხვდება, ხოლო „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ სტატიებში კი სულ სამჯერ. პუბლიცისტს სურს ქართულ საზოგადოებას ზოგადი წარმოდგენა შეუქმნას იმ მწვავე პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე, რომელიც აწუხებდა ინგლისის საზოგადოებას XX საუკუნის დასაწყისში.

პირველი წერილი რომელშიც ასკვითის სახელი გვხვდება დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“. ფაქტობრივად, ეს გახლავთ XX საუკუნის დასაწყისის ინგლისის საშინაო პოლიტიკა. ის ქართველ მკითხველს ჩაახედებს იმ მწვავე დაპირისპირებაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ინგლისში გასული საუკუნის პირველ წლებში. ვარლამ ჩერქეზიშვილი ამ მოვლენებზე გაგონილის ან ყურმოკრულის მიხედვით კი არ მსჯელობს, არამედ ამ მოვლენების ეპიცენტრში ტრიალებს და უშუალო თვითმხილველია. ფაქტობრივად, ეს გახლავთ თანამედროვის აზრი მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე. ამ პირველ წერილში ჰენრი ასკვითის სახელი რამდენჯერმეა ნახსენები. მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს ვარლამ ჩერქეზიშვილის მსჯელობიდან. ეს ამ თემის გაშუქებას კიდევ უფრო მეტ გამჭვირვალეობას შესძენს.

„საშინაო პოლიტიკაში უნიონისტებს მართლაც გულით სურთ ტორების თავიდან მოშორება, მაგრამ ამისთვის ჯერ საკმაო ძალა არ შესწევთ, ასე რომ არ იყოს სალსბიურს (ე.ი. სოლსბერის - თ. ა.) აქამდე ათჯერ გადააბრძანებდნენ და იმის მაგივრად დევონშირის ჰერცოგს დასვა მდინე, ხოლო ბალფურის ადგილას ჩემბერლენს. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ უნიონისტები ამ მხრივ დიდი ხანია რაც მეცადინეობენ. მკითხველის გასაოცებლად მეტსაც ვიტყვი. საქმის ვითა-

¹ ახალი ისტორია, ნაწილი მეორე, თბ., 1975; ახალი ისტორია, მეორე პერიოდი, თბ., 1990; რ.გაჩეჩილაძე, ინგლისის გეოგრაფია, ისტორია, კულტურა, თბ., 1994; ივ. მენთეშაშვილი, ინგლისის ისტორია, თბ., 2004.

რება ამკარასა ჰყოფს, რომ ინგლისის პოლიტიკის ბატონებად შეიქმნებიან, სწორედ, ეს უნიონისტიები. მაშასადამე, იმათთან ერთად ჩემბერლენიც, საჭიროა მხოლოდ რომ უნიონისტი გრეისა და ასვიტისა, გოლდენისა და როზბერის ფრაქციები ლიბერალ იმპერიალისტებს შეუერთდნენ. ამ მხრივ საქმე კეთდება კიდევ. რაც დრო და ხანი გადის, უნიონ-იმპერიალისტები უფრო და უფრო ახლოვდებიან.

დასახელებული ვაჟბატონები, განსაკუთრებით ასვიტი და გრეი, უპირველეს ყოვლისა, დიდი ძალისა და პოლიტიკური გავლენის მქონე ხალხი, ნიჭი და ფართო პოლიტიკური შეხედულება მათ არ მოეპოვებათ, მაგრამ ორივენი, როგორც ამბობენ ხოლმე საქმის კაცები არიან. საინტერესოა განსაკუთრებით წარსული ასვიტისა. ამ თავმოყვარე და თვითკერძა საქმის კაცისა. ოდესღაც რადიკალური მიმართულების ვექილი, უილიამ მორისის მეგობარი, რამოდენადმე მარქსისტი. ასვიტი როგორც ახალგაზრდა საპოლიტიკო მოღვაწე, რომელსაც სალიბერალო სამინისტროში შეუძლია განდგომილი ჩემბერლენისა ან ჩარლზ დილკის ადგილის დაჭერაო და მართლაც, გამოცდილი საქმის კაცი და ვექილი მშვენიერი თანაშემწე გამოდგა, მაგრამ აი გლადსტონი სამოქმედო ასპარეზს განშორდა, მალე გარდაიცვალა კიდევ, ასვიტი რომელმაც მეტად მდიდარი ქალი შეერთო და არისტოკრატიაში გზა გაიკვლია მზად იყო სალიბერალო დასის მეთაურად ლორდ როზბერი ეცნო, მაგრამ უკანასკნელის წასვლის საქმე აწეწილ-დაწეწილა, მალე ხრიკებმაც წამოყვეს თავი.

არავინ უწყობდა ვინ იყო ამ ხრიკების დამწყები და ავან-ჩავანი. საქმე საქმეს მოყვა და ბოლოს ამ ხრიკებმა სალიბერალო დასში ისეთი განხეთქილება გამოიწვია, რომლის შემდეგაც, ოპოზიციის ბევრი წევრი ჩემბერლენის ძარცვა-გლეჯისა და მტაცებლობის პოლიტიკას მიემხრო.

მაშინ ჯონ მორლეი, ყოველთვის პირდაპირი და პატიოსანი ჯონი, გამოვიდა ინტრიგანების წინააღმდეგ და შეუდგა მათ მხილებას. მოულოდნელად, ყველას განსაცვიფრებლად, პასუხის გაცემა ასვიტმა იტვირთა. იმ ასვიტმა, რომლის მონაწილეობასაც ხრიკებში ორი-სამი კარგად ჩახედული კაცის გარდა, არცკი ვინმე ჰფიქრობდა.¹

ვარლამ ჩერქეზიშვილის ამ წერილში ასქვითი მეოთხედაც არის ნახსენები. აი რას ვკითხულობთ ამ სტატიის დასასრულს. „ამ ბოლო დროს გაინდამნამაც სცნო მგონი ეს მარტივი ჭეშმარიტება, თავის მიერვე დაარსებული ფედერაციის მიმართ დაბეჭდილს ღია წერილში, რომელიც განმარტავს იმ მიზეზებს, რა მიზეზითაც თავს ანებებს ფედერაციას. გაინდამანი აცხადებს, რომ მსურს განვთავისუფლდე დასობრივი განმარტოვებისაგან და დამოუკიდებლად, ჩემისავე პასუხისმგებლობით შეუდგე ბრძოლასო. თუ ლიბერალები და რადიკალები მოახერხებენ იმის პარლამენტში შეყვანას, ჩემბერლენი და ასვიტი, ახალ ძლიერ მტერს გაიჩენენ, რომელთან ბრძოლა ეგრე ადვილი არ იქნება, მაგრამ რადიკალები დაუახლოვდებიან კი უკიდურეს დემოკრატებს და სოციალისტებს? ხოლო ეს უკანასკნელნი შეუერთდებიან რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად? ყველაფერ ამაზე პასუხს მახლობელი, ძალიან მახლობელი მომავალი გაგვცემს“.²

იმისათვის რომ წარმოდგენა შეგვექმნას ჩერქეზიშვილის ინფორმირებულობაზე და პროგნოზების გაკეთების უნარზე, უნდა დავიწყოთ იმით, რომ ეს წერილი გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა 1901 წელს. იგი სიღრმისეულად ერკვევა XX საუკუნის დასაწყისის ინგლისის საშინაო პოლიტიკაში, რაც განპირობებულია ფაქტობრივი მასალის, კარგი ცოდნით. ეს არცაა გასაკვირი. ის უშუალო თვითმხილველი იყო იმ ამბების, რომელზეც საუბრობს. ეს ინფორმაცია წარმოადგენს ქართული საზოგადოებისათვის საინტერესო წყაროს, რომელიც მას წარმოადგენს უქმნის ინგლისის შიგნით მიმდინარე პროცესებზე. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მისი მსჯელობა არ ატარებს წმინდა აღწერით, თხრობით ხასიათს. მას გააჩნია შეფასებითი დატვირთვა, თუ კარგად დაუვკვირდებით დავინახავთ, როგორი შეიძლება ყოფილიყო ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება ჰერბერტ ჰენრი ასქვითის საქმიანობისადმი. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ის ას-

¹ ვ.ჩერქეზიშვილი, თხზულებები, ტ. 1, თბ.2011, გვ. 236, თბ.

² იქვე, გვ. 238.

ქვითზე როგორც პოლიტიკოსზე მაღალი აზრის არ არის. ნიშანდობლივია, რომ ასქვითის სახელი მის ამ მსჯელობაში, უმთავრესად, მაინც უარყოფით კონტექსტში ფიგურირებს. „დასახელებული ვაჟბატონები, განსაკუთრებით კი ასვიტი და გრეი, უპირველეს ყოვლისა, დიდი ძალისა და პოლიტიკური გავლენის მქონე ხალხია, ნიჭი და ფართო პოლიტიკური შეხედულებები მათ არ მოეპოვებათ, მაგრამ ორივენი, როგორც ამბობენ ხოლმე, საქმის კაცები არიან“.¹ შეიძლება ითქვას, რომ მას კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული XX საუკუნის დასაწყისის ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში ასქვითის როლი, მაგრამ იგი მასზე როგორც პოლიტიკოსზე მაღალი აზრის არ უნდა ჩანდეს. ასქვითის როგორც პოლიტიკოსისადმი ასეთი სკეპტიკური დამოკიდებულება, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და ამ თემაზე ვარლამ ჩერქეზიშვილის მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება. ემპირული, ფაქტობრივი, მასალის ცოდნის და მოვლენების სწორი შეფასების შეხამების, შერწყმის მცდელობა ამ თემაზე ვარლამ ჩერქეზიშვილის მსჯელობის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია, ამიტომ ამ მასალის შეუფასებლობა მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

ისტორიული მოვლენების საინტერესო ანალიზი საშუალებას აძლევს ვარლამ ჩერქეზიშვილს პოლიტიკური სიტუაციის განვითარების სწორი პროგნოზირება გააკეთოს. გამართლდა მისი ვარაუდი, რომ „საქმის ვითარება აშკარასა ყოფს, რომ ინგლისის პოლიტიკის ბატონებად შეიქმნებიან, სწორედ, ეს უნიონისტები“.² მართლაც, ეს ასეც მოხდა. 1905 წლის საპარლამენტო არჩევნებში წარმატებას სწორედ ლიბერალ-უნიონისტების პარტიამ მიაღწია. ისინი ათი წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ ხელისუფლების სათავეში. ისტორიკოსებმა ამ წლებს „ლიბერალების ხანა“ უწოდეს. მამასადაძე ვარლამ ჩერქეზიშვილმა სწორედ იწინასწარმეტყველა ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში ლიბერალ-უნიონისტების აღზევება“.³

ინგლისელი პოლიტიკოსის ასქვითის სახელი გვხვდება ვარლამ ჩერქეზიშვილის სტატიაში „წერილები ინგლისიდან“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“ 1901 წელს. აქ ასქვითისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება, კიდევ უფრო რელიეფურად მოჩანს. აი რას ვკითხულობთ ვარლამ ჩერქეზიშვილის წერილში: „ოპოზიციის ლიდერთა შორის მხოლოდ ორია მოხუცი გარკორტი და ავადმყოფი ჯონ მორლეი - დიდად განათლებული და ნიჭიერი კაცი, რაც შეეხება კემპბელ-ბანნერმანსა, ეს დეპუტატი გამოცდილი კაცია, კეთლსინდისიერი წევრი სალიბერალო სამინისტროში, მაგრამ მოწინავე ინგლისის იმედთა მისწრაფებად დამცველად და გამომხატველად ის მაინც არ ვარგა. ამისათვის ბანნერმანს არც ნიჭი და არც გამბედაობა არ შესწევს. უფრო ნაკლებად შეუძლიან ინგლისის ლიბერალიზმის წარმომადგენლობა გასწიოს, უფერულსა და მეტად ვიწრო შეხედულებების ასკვიტს. ბევრს უკვირს კიდევ ეს საქმიანი ვეჭილი როგორ რჩება სალიბერალო დასში. იგი ხომ ჩემბერლენს უნდა უმშვენებდეს მხარს და არა ლიბერალებს. სამხრეთ აფრიკაში სამარცხვინო ომის გამო კამათის, ნამდვილ ლიბერალთა გასაოცებლად, ტყუილად ხომ არ ლაპარაკობდა ასკვიტი ოპოზიციის ორატორთა - ლოიდ ჯორჯის და სერ რეიდის წინააღმდეგ და მხურვალედ იცავდა პატარა რესპუბლიკის (საუბარია ბურების რესპუბლიკაზე - თ. ა.) შემოერთების პოლიტიკას“.⁴

ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას. აქ ასქვითისადმი როგორც პოლიტიკოსისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის სკეპტიკური დამოკიდებულება კიდევ უფრო რელიეფურად იჩენს თავს, მაგრამ ეს არაა ახალი. აქ არის ერთი საინტერესო სიახლე, რომლის გვერდის ავლა, ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს. კი გასაგებია, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი ასქვითზე მაღალი აზრის არ უნდა ჩანდეს, მაგრამ ბუნებრივია, წამოიჭრება ერთი საკითხი, რით იყო გამოწვეული მისი ასეთი დამოკიდებულება. ერთია ფაქტის კონსტატაცია, ხოლო მეორე გახლავთ მისი ახსნა.

¹ ვ.ჩერქეზიშვილი, თხზულებები, ტ. 1, გვ. 236.

² იქვე

³ Новая История, часть II, (1870-1918), под/ред Э.Тарле, М., 1939; Н.Ерофеев, Очерки по истории Англии, 1815-1917 гг. М., 1959; А. Мортон, История Англии.

⁴ ვ.ჩერქეზიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 255.

ეს ნიუანსი, სწორედ, ამ თვალსაზრისით იპყრობს ყურადღებას. ასქვეითისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულების ერთ მიზეზზე მითითება, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს და საგარეო პოლიტიკის სფეროში ძვეს. ვარლამ ჩერქეზიშვილს სავსებით სამართლიანად არ მოსწონს ინგლის-ბურების ომის (1899-1902) დროს ასქვეითის მიერ დაკავებული პოზიცია, ის მხარს უჭერდა ინგლისის აგრესიას ბურების რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ეს მოტივი, ვფიქრობთ, კიდევ უფრო მკაფიოდ იკვეთება ვარლამ ჩერქეზიშვილის კიდევ ერთ სტატიაში, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“. აქ ის პირდაპირ ეხება ინგლისელი პოლიტიკოსების დამოკიდებულებას ინგლის-ბურების ომისადმი. აი რას წერდა ვარლამ ჩერქეზიშვილი: „ზოგიერთნი როგორც კონსერვატორთა, ისე ლიბერალთაგან ტყუილად ცდილობდნენ ეხლა სამინისტროს გაშვებას, ეხლა - მოდაშია ავადხსენება ომისა, რომელსაც თვით ბალფურმაკი, მისერაბლე (საზიზლარი) უწოდა, მაგრამ განა ლორდი გრეი და ასვიტი - ლიბერალთა ეს ორი წინამძღოლი - არ არწმუნებდა ინგლისს, რომ პატრიოტიზმი თხოულობს, რა ფასადაც არ უნდა დაუჯდეს ჩემბერლენის მიერ დაწყებული ომი ბოლომდე უნდა მივიყვანოთო. ასე იძახდნენ მაშინ“.¹ აქ, კიდევ ერთხელ საკმაოდ კარგად იკვეთება ასქვეითისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის გულგრილი დამოკიდებულების ერთი მიზეზი. ეს გახლდა ასქვეითის მიერ ინგლის-ბურების ომის მხარდაჭერა. აქ ვარლამ ჩერქეზიშვილის გამტყუნება ძალზე გაძნელებოდა. ამ საკითხში მისი პოზიცია სავსებით მისაღები იყო და გაცილებით უფრო პროგრესულია, ვიდრე ინგლისის მმართველი წრეების, მათ შორის, ცხადია, ასქვეითის.

ვარლამ ჩერქეზიშვილს, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული ინგლისისათვის ამ ომის ეკონომიკური შედეგები. რა ფასად დაუჯდა ინგლისს ეს ომი. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი პლიუსია.

ვარლამ ჩერქეზიშვილი სასტიკად გმობს იმ სისასტიკეს, რომლებიც ინგლისელებმა ჩაიდინეს ინგლის-ბურების ომის დროს. ამ შემთხვევაში მისი პოზიცია გაცილებით უფრო ჰუმანურია, ვიდრე ინგლისის მმართველი წრეების ზოგიერთი წარმომადგენლის, მათ შორის, ცხადია, ასქვეითი მოიაზრება. ვარლამ ჩერქეზიშვილი, როგორც პუბლიცისტი და ჟურნალისტი სასტიკად ამხელს ინგლისელი კოლონიზატორების საქციელს ბურების რესპუბლიკაში და ხაზს უსვამს ამით გამოწვეულ ფართო საზოგადოების უკმაყოფილებას. მოუსმინოთ ვარლამ ჩერქეზიშვილს: „სამინისტრო სამარცხვინოდ სცრუობდა და ატყუებდა ყველას. მხოლოდ ძალიან დიდის მეცადინეობის შემდეგ, ახერხებდნენ ყოველი ამბის შეტყობას და ამ ამბავთა შემწეობით პრესასა და პარლამენტში სიცრუის გზაზე დამდგარ სამინისტროს და გამხეცებულ რეაქციის გამტყუნებას. სამაგიეროდ, როდესაც გამოქვეყნებულ იქნა გულშემზარავი ფაქტები, დასასრული აღარ ჰქონდა ხალხის აღელვებას და უკმაყოფილებას. საქმე იქამდე მივიდა, რომ პარლამენტის ამ კრებაზედ, რომელზედაც ლაპარაკი დედაკაცთა და ბავშვთა შესახებ იყო, სამინისტრო დაცემას გადარჩა. მხოლოდ ასქვეითისა და გრეის მეთაურობით შემდგარ ლიბერალ-იმპერიალისტთა ღალატის წყალობით, იმ ლიბერალ-იმპერიალისტთა, რომლის შესახებაც წინედაც ვწერდით, ამ ვაჟბატონებმა, 22 კაცმა, მონაწილეობა არ მიიღო ხმის მოკრების დროს და ამის მეორებით სამინისტრო განსაცდელს გადარჩა“.² მიაქციეთ ყურადღება ასქვეითის მოღვაწეობა კვლავ უარყოფით კონტექსტშია მოაზრებული. ქართველი პუბლიცისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი საერთოდ გმობს კოლონიურ პოლიტიკას და პატარა ერების დამცველის როლში გვეკვლინება. ამგვარი მიდგომა, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მასში, უწინარესად, ქართული რეალობის გამოძახილს ვხედავთ. მისთვის, როგორც პატარა ერის წარმომადგენლისათვის ეს საკითხი განსაკუთრებით მტკივნეული და აქტუალური იყო. იქნებ ძალზე შორეული ასოციაციაა, მაგრამ ავტორს ამ თემაზე წერის დროს თავისი სამშობლო საქართველო ედგა თვალწინ, რომელიც რუსეთის მთავ-

¹ ვ.ჩერქეზიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 261,

² იქვე, გვ. 272.

რობამ მრავალგზის მოატყუა და ძალით ჩაიგდო ხელში. ვარლამ ჩერქეზიშვილის ინფორმირებულობასთან ერთად საგულისხმო უნდა ჩანდეს სწორი ანალიზის უნარი.

გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე ასქვითის სახელი გვხვდება ერთ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. ეს საინტერესოა და ვფიქრობთ კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ვარლამ ჩერქეზიშვილის ჩახედულებას XX საუკუნის დასაწყისის დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ ცხოვრების პერიპეტიებში. საქმე შეეხება ინგლისის მთავრობის პოლიტიკას შოტლანდიაში. „ჯერ ერთი საყურადღებოა ის, რომ ლიბერალ-იმპერიალისტები (ასქვითის, გრეის და სხვათა ფრაქცია) ჩემბერლენის მხარის დაჭერისათვის ხელმოცარული დარჩა შოტლანდიაში. ასვიტს ცივად მიეგებენ ედინბურგში, ხოლო ლიბერალ-იმპერიალისტების კანდიდატი პარლამენტში „აილყ აილ“-ის გამომცემელი სამარცხვინოდ დამარცხდა არჩევნებში“.¹

ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას. პირველი აღწერითი ხასიათისაა, წმინდა შეშველებითი მნიშვნელობა გააჩნია და ვარლამ ჩერქეზიშვილის ინფორმირებულობის კიდევ ერთ ნათელ ილუსტრაციად გვევლინება. მეორეს უფრო ანალიტიკური მუხტი აქვს და ამ ფაქტის მიზეზის ახსნას ითვალისწინებს. ის სავსებით სამართლიანად მიაკუთვნებს ასქვითს და გრეის ლიბერალ-იმპერიალისტების ჯგუფს, ხოლო შოტლანდიის არჩევნებში განცდილ წარუმატებლობას ჯოზეფ ჩემბერლენთან ურთიერთობას უკავშირებს. ამჯერადაც ასქვითის ფიგურა ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერებში უარყოფით კონტექსტშია ნახსენები.

გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერებში ასქვითის ფიგურა კიდევ ერთხელ გვხვდება მის ვრცელ წერილში „წერილები ინგლისიდან“, რომელიც დაიბეჭდა 1901 წლის 6 ნოემბერს, გაზეთის 242 ნომერში. აი რას წერდა ვარლამ ჩერქეზიშვილი: „იმ ხანად თავგასულ ჩემბერლენს ბევრი მოპასუხე და მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა. მხნე და ჭკვიანი იყო ორს თავის საპასუხო სიტყვაში ჩვენი ნაცნობი ჯონ მორლეი. ეს „პატიოსანი ჯონი“ პირდაპირი გამგძობი აღმოჩნდა გლადსტონის ტრადიციებისა. მორლეიმ პასუხი უგო ყველას თავგასულ და სიბოროტით სავსე ჩემბერლენს, იმპერიალიზმის მაქებარ-მადიდებელთა და ასკიტისა და იმათ მეგობართა. მშვიდობიანად და თავდაჭერილად ილაპარაკა მორლეიმ და საოცარ ქარცეცხლის კრიტიკაში გაატარა უკანასკნელი მოვლენანიო, სამინისტროს მოქმედების ნაყოფი“.² როგორც ხედავთ, კვლავ უარყოფით კონტექსტშია ნახსენები ასქვითის საქმიანობა, რაც ლაიტ-მოტივად გასდევს გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ მის სტატიებს. ის ამკარად არ თანაუგრძნობს ასქვითის საქმიანობას, მის პოლიტიკას. სამაგიეროდ მკაფიოდ იკვეთება მისი სიმპათია ჯონ მორლეისადმი, რაც შემთხვევითი არ იყო და მნიშვნელოვანწილად გლადსტონისადმი მისი კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით აიხსნება.

ფაქტობრივად, ამით მთავრდება გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ ინგლისელი პოლიტიკოსის ჰერბერტ ჰენრი ასქვითის სახელის მოხსენიება. ეს გასაგებიცაა, მომდევნო 1902 წელს გაზეთი „ივერია“ დაიხურა. ამის შემდეგ მისი ჟურნალისტური საქმიანობა, გაზეთ „ცნობის ფურცელს“ უკავშირდება. სწორედ ამ გაზეთში გამოქვეყნებულ ვარლამ ჩერქეზიშვილის პუბლიცისტურ წერილებში გვხვდება კვლავ ლორდ ასქვითის სახელი.

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ასქვითის სახელი იხსენიება ვარლამ ჩერქეზიშვილის სტატიაში „წერილი ლონდონიდან“, რომელიც დაიბეჭდა 1902 წლის 14 სექტემბერს, გაზეთის ნომერი 1924. აქ კვითხულობთ: „საელემენტარო სწავლა განათლების შესახებ კონგრესმა ერთხმად უკმაყოფილება გამოუცხადა ბალფურის კანონ-პროექტს და დაადგინა საპარლამენტო არჩევნების დროს იმოქმედოს იმ კანდიდატთა წინააღმდეგ, რომელნიც მხარს დაუჭერენ პროექტს. ამით კონგრესი გადასწავდა ასქვითის, ჰალდენისა და გრეის ფრაქციის ფრთათა ქვეშ ამოფარებულ ლიბერალ-იმპერიალისტებსაც. იმ ვაჟბატონებს, რომელთაც ასე დაუნანებლად გაჰყიდეს გლადსტონის ტრადიცია“.³

¹ ვ.ჩერქეზიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 287.

² იქვე, გვ. 295.

³ იქვე, გვ. 328.

ასქვითის სახელის აუგად მოხსენიება, ცხადია, არახალია და როგორც ხედავთ, ახალი გაზეთის ფურცლებზე გრძელდება, მაგრამ აქ არის ერთი სიახლე, რომლის გვერდის ავლა, აღნიშნულ საკითხზე ვარლამ ჩერქეზიშვილის მსჯელობაზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას როდი შეგვიქმნის. აქ იკითხება მინიშნება ასქვითისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის გულგრილი დამოკიდებულების მეორე მიზეზზე. თუ პირველი საგარეო პოლიტიკის სფეროში უნდა ვეძებოთ და ინგლის-ბურების ომთან ასოცირდება, მეორე პირიქით, საშინაო პოლიტიკის სფეროში ძვეს და მნიშვნელოვანწილად გლადსტონისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის კეთილგანწყობილი დამოკიდებულებითაა განპირობებული. იგი ლიბერალ-იმპერიალისტებს და პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ასქვითს და გრეის, სწორედ გლადსტონის ღალატში დებს ბრალს. „ამ ვაჟბატონებმა, რომელთაც ასე დაუნანებლად გაჰყიდეს გლადსტონის ტრადიცია“, საკმაოდ მძიმეა, მაგრამ სამართლიანია ბრალი რადგან მიაჩნია, რომ მან ზურგი აქცია გლადსტონის საქმეს.

ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერებში ასქვითის სახელი კიდევ ორჯერ მოიხსენიება და ის, უპირატესად, ეკონომიკურ საკითხებთან ასოცირდება. საქმე ის გახლავთ, რომ ასქვითი იყო თავისუფალი ვაჭრობის მომხრე და დაუპირისპირდა ჩემბერლენის პროტექციონისტურ კურსს. ყველაფერი ეს, ვფიქრობთ ვარლამ ჩერქეზიშვილს კარგად უნდა ჰქონოდა გათავისებული, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის პლიუსია.

„ახლა მთელი ინგლისი ნამდვილად ორ ბანაკად გაიყო: ერთ ბანაკში მფარველობით ბაჟების მომხრენი არიან, მეორეში თავისუფალ ვაჭრობის დამცველნი. პოლიტიკური პარტიების ჩვეულებრივი დას-დასად განაწილება დროებით მიივიწყეს. კონსერვატორებისა, უნიონისტებისა, ლიბერალებისა და რადიკალების პარტიები სულ აირ-დაირია. ყველა პარტიის გონიერი, განათლებული და გავლენიანი კაცები მომეტებულ ნაწილად თავისუფალ ვაჭრობის დასაცავად ერთმანეთს უერთდებიან და ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ხალხის საჭმელს ბაჟი არ დაედოს, ბალფურის და ჩემბერლენის მხარეს ერთი გავლენიანი კონსერვატორი, ერთი ნიჭიერი მინისტრიც კი არ დარჩა. დეკონშირის ჰერცოგმა, ლორდ გომენმა, ჩერჩილმა სოლსბერის შვილმა – ჰიუგ სესილმა - სულ წმინდა კონსერვატორებმა, გამოჩენილმა მინისტრებმა და ორატორებმა სამინისტროს თავი დაანებეს და ბალფურის წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა.

მეორეს მხრივ ყველა პროგრესული და თავისუფლად ვაჭრობის ბაირადის ქვეშ ერთიანდებიან, პილისა და კობდენის, ბრაიტისა და გლადსტონის ბაირად ქვეშ იკრიბებიან. ლიბერალური პარტია აქამდე ორად იყო გაყოფილი: ერთ დასში იმპერიალისტები იყვნენ, როზბერის, ასკიტისა და სხვების მეთაურობით, მეორე დასში ნამდვილი ლიბერალები და რადიკალები. ეხლა ორივე დასი შეერთდა და ერთპირად და ერთსულოვნად იცავს საშინელი ბრძოლით ნაშოვნ უფლებას. ყველა ალაპარაკდა, ყველა შეინძრა. თუ რეაქციონერებმა ორი დიდი კრება გამართეს, ერთი ჩემბერლენისათვის, ლიბერალებმა კიდევ 24-ზე მეტი კრება-მანიფესტაცია მოახდინეს. ასკიტმა სამი დიდი სიტყვა წარმოთქვა საფინანსო რეფორმაზე და ჩვეულებრივ ჭკვიანურად და გესლიანად ილაპარაკა. როზბერიმ ძლიერის გრძნობით სავსე მშვენიერი გრძელი სიტყვა წარმოთქვა: კემპბელ-ბანერმანმაც დიდი საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა... ეს კრება და სიტყვები გუშინ დიდებულის მანიფესტაციით დაგვირგვინდა მანჩესტერში...“¹

ასქვითზე მსჯელობას, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, ის ასრულებს საინტერესო და აქტუალური ეკონომიკური საკითხით, რომელსაც ცენტრალური ადგილი უჭირავს XX საუკუნის დასაწყისის ინგლისის ისტორიაში. ამ რთულ ეკონომიკურ პრობლემაზე ყურადღების შეჩერება მრავლისმეტყველი უნდა იყოს და იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი, როგორც პუბლიცისტი, ჟურნალისტი არასოდეს არ გაურბის სირთულეებს და ადვილი გზით სიარულის მომხრე არ ყოფილა. ჩვენი აზრით ამ რთულ ეკონომიკურ პრობლემატი-

¹ ვ.ჩერქეზიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 439.

კაში გარკვევის მცდელობა ამ თემაზე ვარლამ ჩერქეზიშვილის მსჯელობის კიდევ ერთ ღირსებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ის ცდილობს კარგად გაერკვეს შექმნილ რთულ სიტუაციაში, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი პლიუსია. მან კარგად დაინახა, რომ საბაჟო სისტემის რეფორმის საკითხმა მწვავე დებატები გამოიწვია. ინგლისის საზოგადოება ორ დაპირისპირებულ ნაწილად გაყო. ერთნი აკრიტიკებდნენ „თავისუფალი ვაჭრობის“ პრინციპს და სახელმწიფოსგან მოითხოვდნენ უცხოეთის პროდუქციაზე ტარიფების შემოღებას. მათ ასეთი ტარიფების შემოღება სასურველად არ ესახებოდათ. ამ ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო ჰერბერტ ჰენრი ასქვითი.

ვარლამ ჩერქეზიშვილი საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებდა იმ აზრთა სხვადასხვაობაში, რომელიც არსებობდა ტარიფების საქმესთან დაკავშირებით. მისი ასეთი ინფორმირებულობა ადვილი გასაგებია და ემპირული, ფაქტობრივი, მასალის კარგი ცოდნის შედეგია. ის ხომ ამ დებატების უშუალო თვითმხილველია, ამიტომ ეს ინფორმაცია საინტერესოა და იმ პერიოდის ქართული საზოგადოებისათვის სანდო წყაროდ გვევლინება. ეს არის მედლის ერთი მხარე. მას გააჩნია მეორე მხარე. მხედველობაში გვაქვს სწორი ანალიზი. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება თითქოს ამ დავაში ვარლამ ჩერქეზიშვილის სიმპათია „თავისუფალი ვაჭრობის“ მომხრეებისკენ უფრო იხრება და პროტექციონისტული კურსის მომხრეთა ოპონენტის როლში გვევლინება. ვარლამ ჩერქეზიშვილის მიდგომაში არის ჭეშმარიტების რაციონალური მარცვალი. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. საქმე ის განსაკუთრებით, რომ ინგლისის ეკონომიკური განვითარების თავისებურებიდან გამომდინარე პროტექციონიზმზე გადასვლა სულაც არ იქნებოდა ისეთი ადვილი საქმე, როგორც ეს მოხდა სხვა ქვეყნებში. მათგან განსხვავებით ინგლისი უფრო მეტად იყო დამოკიდებული იმპორტულ პროდუქციაზე. იყო კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც განაპირობებდა ვარლამ ჩერქეზიშვილის კეთილგანწყობილებას „თავისუფალი ვაჭრობის“ მომხრეებისადმი, ეს გლადსტონისადმი სიმპათიებში უნდა ვეძიოთ. გლადსტონი იყო ამ პოლიტიკის მომხრე. მიუხედავად ამისა ასქვითისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულებაში არაფერი არ შეცვლილა. ის მასზე როგორც პოლიტიკოსზე მაღალი აზრის არაა.

ამ სტატიაში აღძრული ეკონომიკური თემატიკის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს მისი შემდგომი წერილი, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1903 წლის 11 ნოემბერს. აქ ასქვითის სახელი კვლავ სატარიფო პოლიტიკასთან მიმართებაში ასოცირდება. ვარლამ ჩერქეზიშვილი წერდა: „ისეთი მოხუცებული კაცები, როგორიცაა გოშენი (73 წლისა), ჰარკორტი (72 წლისა), ჰოქს-ბიჩი (ყველა ესენი ფინანსთა მინისტრად არიან ნამყოფნი), ამათზე უფრო ახალგაზრდები როზბერი, მორლეი, ასვიტი, კორტნი, და სრულიად ახალგაზრდა ჩერჩილი, სესილი და სხვა - ყველამ თავისუფალი ვაჭრობისა და იაფ საჭმელის დასაცავად გამოიღვეს თავი“.¹ აქ იკვეთება საბაჟო ტარიფებისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის სკეპტიკური დამოკიდებულების კიდევ ერთი მიზეზი, ამას შეიძლება მოყვეს მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესება, ფასების ზრდა. როგორც ირკვევა, ვარლამ ჩერქეზიშვილი არ ემხრობა საბაჟო სისტემის რეფორმას. ეს არცაა გასაკვირი და ორი მიზეზით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული გლადსტონისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის სიმპათიით, რომელიც მხარს უჭერდა „თავისუფალი ვაჭრობის“ კურსს და მას აფიქრებდა, რომ ეს ცვლილებები გამოიწვევდა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას.

როგორც ხედავთ, ვარლამ ჩერქეზიშვილის ეს მოსაზრებები შეეხება ასქვითის საქმიანობას 1901-1903 წლებში, როდესაც ის ჯერ კიდევ არ იმყოფებოდა ხელისუფლებაში. ეს მოხდა გაცილებით უფრო გვიან, როდესაც ის ხდება ლიბერალური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. მისი პოლიტიკური კარიერის მწვერვალია 1905-1916 წლები, როდესაც ხელისუფლების სათავეში ათწლიანი შესვენების შემდეგ ბრუნდებიან ლიბერალები. ეს მონაკვეთი ინგლისის ისტორიაში შევიდა, როგორც ლიბერალების ხანა. 1905-1908 წლებში მას ლიბერალების კაბინეტში ფინან-

¹ ვ.ჩერქეზიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 446.

სთა მინისტრის პოსტი ეკავა, ხოლო 1908 წელს პრემიერმინისტრის პოსტზე ჩაანაცვლა კემპბელ-ბალერმანი და ინგლისის მთავრობას ხელმძღვანელობდა 1916 წლამდე. 1916 წლის დეკემბერში ის იძულებული იყო გადამდგარიყო. ასქვითის მოღვაწეობის ამ მონაკვეთს, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, ვარლამ ჩერქეზიშვილი არ ეხება. როგორც ჩვენ გვგონია, ასქვითთან მიმართებაში არც არაფერი არ შეიცვლებოდა. ის ასქვითზე მაღალი აზრის არ იყო. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის პირობებში ეს საკითხი, სწორედ, აი ასე გვესახება.

* * *

ამრიგად, ქართველი პუბლიცისტი, ჟურნალისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი XX საუკუნის დასაწყისის ინგლისელ პოლიტიკოსზე ჰერბერტ ჰენრი ასქვითზე მაღალი აზრის არ უნდა ჩანდეს. ასქვითისადმი მისი დამოკიდებულება, ალბათ, ყველაზე უფრო უპირიანი იქნებოდა, ინდიფერენტულად მივიჩნით. ასქვითისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის უარყოფით დამოკიდებულებაზე საუბარი, ჩვენი აზრით, მეტად ხისტი იქნებოდა. ასქვითისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება რამდენიმე ფაქტორით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული. ჯერ ერთი, მისთვის სრულიად მიუღებელი იყო 1899-1902 წლებში ინგლის-ბურების ომის დროს ასქვითის მიერ დაკავებული მკაცრი პოზიცია. მეორე, ეს შეიძლება ყოფილიყო გლადსტონისადმი სიმპათია. ის, პირველ ყოვლისა, ასქვითს და სხვებს საყვედურობდა, რომ „ზურგი აქციეს გლადსტონს“. საბაჟო რეფორმის საკითხში ასქვითის მიერ დაკავებული პოზიცია არაფერს არ ცვლის. ასქვითისადმი მისი გულგრილი დამოკიდებულება უცვლელი რჩება. ვარლამ ჩერქეზიშვილი ასქვითზე მაღალი აზრის არ უნდა ჩანდეს. ამგვარი მიდგომა, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და ვარლამ ჩერქეზიშვილის მსჯელობის დადებით მხარეს წარმოადგენს. როგორც თანამედროვეები, ისე მოგვიანებით, როგორც ისტორიკოსები ასქვითზე საკმაოდ დაბალი აზრის იყვნენ და მას, უპირატესად, აღიქვამდნენ, როგორც უფერულ პიროვნებას. არ შეიძლება არ დაეთანხმო ვარლამ ჩერქეზიშვილს, რომ ის იყო ერთი რიგითი ჩვეულებრივი ფიგურა.

ვარლამ ჩერქეზიშვილი საკმაოდ კარგად ერკვეოდა XX საუკუნის დასაწყისის ინგლისის ისტორიაში. მისი სახით საქმე გვაქვს საკმაოდ ინფორმირებულ პუბლიცისტთან, ჟურნალისტთან, რომელიც ამჟღავნებს ემპირული, ფაქტობრივი მასალის კარგად ცოდნას. ეს არცაა გასაკვირი, ის ხომ ამ მოვლენების უშუალო თვითმხილველი იყო, იქ ადგილზე იმყოფებოდა. მისი ნაწერები ქართული საზოგადოებისათვის საინტერესო წყაროს წარმოადგენდა. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი პლიუსია.

ზოგიერთი საკითხი დაზუსტებას, მცირე კორექტივების შეტანას საჭიროებს. მარქსიზმთან ინგლისელი პოლიტიკოსის ასქვითის რაიმე კავშირზე აპელირება, როგორც ამას ხაზს უსვამდა ვარლამ ჩერქეზიშვილი, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ასქვითის საქმიანობისადმი მისი დამოკიდებულების სუსტი წერტილია.

Tamar Antadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

VARLAM CHERKEZISHVILI ON THE ENGLISH POLITICIAN ASQUITH RESUME

Varlam Cherkezishvili was an outstanding political figure not only for Georgia but on the international scale as well. He was one of the leaders of international anarchist movement, the practitioner and theoretician of anarchism. Besides, he was a famous journalist whose articles were printed in the Georgian press. He was well aware not only of the key issues of recent history of

Western Europe, but he was also knowledgeable in historiography, culture, literature, fine arts and music.

Research has proved that Varlam Cherkezishvili also contributed to the popularization of numerous issues of recent history, namely, the recent history of England. Varlam Cherkezishvili's activities in this field are not well known to the society at large. In order to fill this gap, it is necessary to publish the first volume of Varlam Cherkezishvili's works.

In his journalistic articles, Varlam Cherkezishvili mentions numerous English political figures of the beginning of the 20th century. One of such figures is Herbert Henry Asquith (1852-1928). Varlam Cherkezishvili's attitude to this public figure is quite indifferent. This fact can be explained by several factors. Above all, Asquith's strict position regarding the English-Boer war of 1899-1902 was unacceptable for Varlam Cherkezishvili. Another reason could be Varlam Cherkezishvili's sympathy to Gladstone. He criticized Asquith and other politicians "who turned their back on Gladstone" regarding the issue of customs reform. Both Asquith's contemporaries and later historians assessed him quite unfavourably and considered him a bland person. It is impossible to disagree with Varlam Cherkezishvili that Asquith was a very plain, ordinary figure.

The greatest merits of Varlam Cherkezishvili's articles are his correct attitude to Asquith's activities and thorough knowledge of the empirical, factual material.

However, there are certain issues that need to be made precise. Varlam Cherkezishvili mentioned Asquith's connection to Marxism. This issue has to be treated more carefully and it represents one of the weak aspects of Cherkezishvili's attitude to Asquith.

დიმიტრი უზნაძე პერიკლეზე

ნებისმიერ საუკუნეს განასახიერებენ ადამიანები, განსაკუთრებით გამოჩენილი ადამიანები, ინგლისელი ისტორიკოსის, არნოლდ ტოინბის თქმით „ეს შემოქმედებითი უმცირესობა“.

წინამდებარე ნაშრომი, როგორც სათაურიდანაც კარგად ჩანს, ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს გამოარკვიოს თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ცნობილი ქართველი მეცნიერის, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის პატრიარქის და ამავე დროს კარგი ისტორიკოსის, აკად. დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება პერიკლეს (ქრისტე შობამდე 495-429) მოღვაწეობისადმი. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია, ეს სიახლეა, ქართული კონტექსტი გააჩნია და აღნიშნული საკითხის შესწავლის პირველ მცდელობად გვევლინება. ფართო საზოგადოებისათვის დიმიტრი უზნაძის მოღვაწეობის ეს მხარე შედარებით ნაკლებად ცნობილი. დიმიტრი უზნაძის სახელთან ასოცირდება ისტორიულ მეცნიერებაში ორი კარგი წამოწყება. შეგახსენებთ, რომ ის საქართველოს გასაბჭოებამდე სკოლაში ასწავლიდა ისტორიას. აქტიური მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სკოლის სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში. ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი მთავარი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.¹

დიმიტრი უზნაძემ თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწია საქართველოში ანტიკური, ძველი საბერძნეთის და რომის ისტორიის, სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. ეს თემა ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არ ყოფილა შესწავლილი. პერიკლეს მოღვაწეობის გაშუქების მცდელობა ამ დიდი თემის ერთ-ერთი საინტერესო კომპონენტია. ფაქტობრივად, ეს გახლავთ ქართულ ისტორიოგრაფიაში პერიკლეს მოღვაწეობის გაშუქების ერთ-ერთი პირველი მცდელობა მათ უშუალო წინამორბედად 1903 წელს ვ. ლორთქიფანიძის მიერ თარგმნილი ფრანგი ისტორიკოსის შარლ ნორმანის წიგნი „საბერძნეთის ძველი ისტორია“² გვევლინება. ეს ცალკეული სპირადული ცნობები, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, საკმარისი არ უნდა იყოს და ამ თემატიკით დაინტერესების ათვლის წერტილად მის აღებაზე საუბარი ნაადრევად მიგვაჩნია. ამ საკითხის პოპულარიზაციის ინდივიდუალური ხასიათი აქვს.

პირველ ყოვლისა, საჭიროა სწორი კრიტერიუმი შევიმუშაოთ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და საშუალებას მოგვცემს ამ საკითხზე დიმიტრი უზნაძის წვლილი ადეკვატურად შევაფასოთ. აქ მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი საზომად არ გამოდგება. ასეთ მაღალ ამოცანას სახელმძღვანელოს ავტორი, ცხადია, არ ისახავდა მიზნად. მის წინაშე გაცილებით უფრო მოკრძალებული ამოცანა იდგა. მას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. ამ კულტურტრეგერულ მისიას მან შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი. მან თავისი წვლილი შეიტანა პერიკლეს მოღვაწეობის პოპულარიზაციის საქმეში. დღევანდელი გადასახედიდან მისი მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა იყოს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. ის ამართლებს თავის თავს, ეს პრიმიტიული, მიაშიტური, მსჯელობა ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში, კი მოსწავლე ახალგაზრდობას კარგად დააკვალიანებს და პერიკლეს მოღვაწეობაზე ზოგადი წარმოდგენის ჩამოყალიბებაში დაეხმარება. აი ეს იყო, სწორედ, მთავარი. ამ მსჯელობის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

¹ კალანდაძე მ. დიმიტრი უზნაძე, როგორც ისტორიკოსი, N9. 2013, კალანდაძე მ. დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციასზე და ნაპოლეონზე, თბ., 2016.

² ნორმანი შ.ძველი საბერძნეთის ისტორია, თარგმნა ვ. ლორთქიფანიძის, თბ., 1903

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში პერიკლეს მოღვაწეობის გაშუქებამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და ძირითადად ასახვა ჰპოვა ძველი მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამის უგულებელყოფა, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა წლებში, აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს.

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით შეძლებისდაგვარად განვიხილოთ ორი პრობლემა. რა ევოლუცია განიცადა პერიკლეს ცხოვრების მოღვაწეობის შესწავლამ XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში? როგორი შეიძლება ყოფილიყო დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება პერიკლეს კოლორიტური ფიგურისადმი? როგორ უყურებდა ის პერიკლეს მოღვაწეობას?

დავიწყოთ პირველით, ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლემისტური მუხტი გააჩნია და მიზნად ისახავს მეცნიერულად, არგუმენტირებულად, გააბათილოს, მთელი რიგი საბჭოთა ლეგენდები და მითები, რომელმაც, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის-ძალისხმევით, ფართოდ მოიკიდა ფეხი ქართული საზოგადოების ცნობიერებაში. ასეთი იყო პოლიტიკური ნება, საბჭოთა მიდგომა ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო, არავითარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია და რაც კიდევ უფრო მთავარია ანტიეროვნულია, არაპატრიოტულია. წინამორბედების წვლილისადმი მკვეთრად გამოკვეთილი ნეგატიური დამოკიდებულება ამ თემისადმი მათი მიდგომის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. ამ კამათში ჩვენ მთავარ წყაროდ, სწორედ, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში გამოსული ძველი მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები გვევლინება. დღეს ეს სახელმძღვანელოები, ცხადია, მოძველდა, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს, მაგრამ არის ერთი საკითხი, როდესაც ეს სახელმძღვანელოები თავის მნიშვნელობას დღესაც ინარჩუნებს. ის წარმოადგენს საქართველოში ამ დარგის განვითარების საინტერესო წყაროს, რომელიც საშუალებას გვაძლევს საქართველოში ამ საკითხის განვითარების გაცილებით უფრო რეალისტური სურათი დავდოთ, ვიდრე ეს აქამდე იყო. ჩვენ, სწორედ, ამ კუთხით შევხედეთ ამ სახელმძღვანელოებს. ეს ერთი პატარა და ახალი წახნავია ამ სახელმძღვანელოების.

პირველი საბჭოთა მითია თითქოს 1921 წლამდე ამ სფეროში ახალი არაფერი მომხდარა. წინამორბედების წვლილისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების ფონზე ხდებოდა საბჭოთა რეალობის განდიდება, გაიდიდება. სინამდვილე სულ სხვაგვარად იყო, რაც დიდი ხნის მანძილზე, საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით, ქართული საზოგადოების თვალთახედვის არეალში, ვერ ხვდებოდა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება, მითებს რეალობა ამსხვრევს, სინამდვილე ცოტა სხვაგვარად იყო.

როგორც ირკვევა, საქართველოში ძველი საბერძნეთის და რომის ისტორიის პოპულარიზაციის მცდელობას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებამდე, XX საუკუნის დასაწყისში და, უმთავრესად, ასახვა ჰპოვა თარგმნილ ლიტერატურაში და 1918-1921 წლებში დამოუკიდებელ საქართველოში გამოსულ ძველი მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში, რომელიც საბჭოთა წლებში, მივიწყების სქელმა ნისლმა დაფარა. გაქრა, გაუჩინარდა, თითქოს არც კი არსებობდა. მთელი ეს მონაკვეთი. ელიმინირებული, ამოღებული, აღმოჩნდა ამ დარგის ისტორიიდან, ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღგვედგინა რეალობა. განსხვავებული მიდგომის მთავარი თეზაა 1918-1921 წლებში დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკაში გამოსული ძველი მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული

სასკოლო სახელმძღვანელოების რეანიმაცია.¹ საბჭოთა მიდგომამ სერიოზული კორექცია განიცადა. შეიძლება რაოდენობრივად ეს ძალიან ცოტა იყო, მაგრამ, ალბათ, დამეთანხმებით, რომ არსობრივად, შინაარსობრივად, ეს ასე არ გახლავთ, მთავარი, სწორედ, ეს უნდა იყოს.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ, ძირითადად, ტოტალიტარულ ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით საქართველოში პერიკლეს მოღვაწეობის გაშუქების საერთო სურათი და პერიოდიზაცია გამრუდებული იქნა. ეს იმით გამოიხატა, რომ საქართველოს გასაბჭოებამდე პერიკლეს მოღვაწეობის პოპულარიზაციის პირველი მოკრძალებული მცდელობა მივიწყების სქელმა ნისლმა დაფარა, გაქრა, გაუჩინარდა, თითქოსდა არც კი არსებობდა, რაც აღნიშნული საკითხის შესახებ სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის.

საქართველოში პერიკლეს მოღვაწეობის პოპულარიზაციის პირველ მცდელობამ თავი იჩინა, არა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიმტკიცებდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე ჯერ კიდევ საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში. ამ ხანებში გამოსული ძველი მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. როგორც ირკვევა, პირველი სპორადული ცნობები საქართველოში, პერიკლეს მოღვაწეობაზე ჩნდება საქართველოს გასაბჭოებამდე, რასაც ტოტალიტარული რეჟიმი საგულდაგულოდ უკლიდა გვერდს და ყოველნაირად ცდილობდა დაემალა ფართო საზოგადოებისათვის, მაგრამ ამოდ დაშვრა.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ პერიკლეს მოღვაწეობის შეფასებისას საქართველოს გასაბჭოებამდე ქართული ისტორიოგრაფია სწორი გზით მიდიოდა, სწორ აქცენტებს სვამდა. სწორი ვექტორი ჰქონდა დასახული. აქცენტი კეთდებოდა თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ ლიბერალურ ღირებულებებზე. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

და ბოლოს უნდა დავძინოთ, რომ პერიკლეს მოღვაწეობისადმი ქართული ისტორიოგრაფიის დამოკიდებულება, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ისეთ ერთფეროვან, ერთგვაროვან ხასიათს, როგორც ეს საბჭოთა წლებში წარმოედგინათ. ამგვარი სწორხაზოვანი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ იყო, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და წინამორბედების წვლილისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებით იყო გამოწვეული. ის საქართველოში პერიკლეს მოღვაწეობის გაშუქების ევოლუციაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის. სინამდვილეში მან საკმაოდ საინტერესო და რთული ფერისცვალება განიცადა, რომელიც სპირალისებურად, ზიგზაგისებურად წარმოგვიდგენია. ძალიან მოკლედ, სულ ორიოდ სიტყვით ის ასე გამოიყურება: თავისუფალი აზროვნებიდან, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომიდან, პლურალიზმიდან, პროგრესულ-ლიბერალური ღირებულებებიდან, საკითხისადმი მეცნიერული მიდგომიდან, მარქსიზმ-ლენინიზმისაკენ, მონისტური პრინციპისაკენ ფორმაციული მიდგომისაკენ, კლასთა ბრძოლის მნიშვნელობის გაფეტიშებისაკენ, ისტორიული მოვლენების კლასობრივი მიდგომისაკენ. დღეს თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს სწორ გზაზე დაბრუნდეს, სწორი არჩევანი გააკეთოს, სწორი აქცენტები დასვას.

ახლა კი მოდით ძალიან მოკლედ ვცადოთ გადავაგლოთ თვალი საქართველოში პერიკლეს მოღვაწეობის პოპულარიზაციის ძირითად მომენტებს. ფაქტობრივად, ეს გახლავთ საკითხის პერიოდიზაცია. ამას აქვს მნიშვნელობა და დაგვეხმარება ადეკვატური წარმოდგენა ჩამოვიყალიბოთ

¹ ნორმან შ. დასახ, ნაშრ., გირო, ლაკურ გეიე, რომის ძველი ისტორია, თბ., 1906, უზნაძე დ. ძველი ისტორია, ნაწ. 1. ძველი აღმოსავლეთი და საბერძნეთი, თბ., 1919, უზნაძე დ., ძველი ისტორია, ნაწ. 2. რომის ისტორია, თბ., 1920, წერეთელი ალ. მსოფლიო ისტორია, ნაწილი პირველი ძველი საუკუნეთა ისტორია, თბ., 1920.

იმ საკვანძო პერიოდებზე, რომელიც საქართველოში აღნიშნული საკითხის გაშუქებამ განვლო. ეს უფრო სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ჩამოგვიყალიბებს იმ ევოლუციაზე, რომელიც საქართველოში აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციამ განვლო. საკითხის პერიოდიზაცია აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ფარგლებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. მისი მთავარი თავისებურება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

პირველ ყოვლისა, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი საიდან შეიძლება დავიწყოთ საქართველოში პერიკლეს მოღვაწეობის ათვლა. ტრადიციულად 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების დღიდან მისი დაწყება დაგვიანებული უნდა ჩანდეს. პირველ სპორადულ ცნობებს ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისის ქართულ რეალობაში გადავაწყდებით. ფრანგი ისტორიკოსის შარლ ნორმანის წიგნის „ძველი საბერძნეთის ისტორიის“ თარგმნამ საქართველოში ამ საკითხის გაშუქების უვერტურად, შესავალად, გაიჟღერა, მაგრამ 1903 წლიდან აღნიშნული თემით დაინტერესების ათვლის დაწყება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ნაადრევად მიგვაჩნია. მას მკვეთრად გამოკვეთილი ინდივიდუალური ელფერი დაკრავს.

საქართველოში პერიკლეს მოღვაწეობით დაინტერესება პირობით სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს.

საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის და კონკრეტულად კი პერიკლეს მოღვაწეობით დაინტერესების პირველმა სიმპტომებმა, ნიშნებმა, თავი იჩინა არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ დიდი ხნის განმავლობაში „არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს იმ წლებში განხორციელებული პირველი ღონისძიებები, დაიწყო მუშაობა ძველი მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე.¹ ამიტომ ეს მონაკვეთი საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის, სახელდობრ პერიკლეს მოღვაწეობის, პოპულარიზაციის პირველ პერიოდად მიგვაჩნია.

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში პერიკლეს მოღვაწეობის გაშუქებამ სამეცნიერო პოპულარული ხასიათი შეიძინა და უმთავრესად, ასახვა ჰპოვა, ამ წლებში გამოსულ ძველი მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც ამ თემაზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერი იწერებოდა, უდავოდ, წინგადადგმული იყო და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, მიზანშეწონილი არ იქნებოდა და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის. ამიტომ ამ მონაკვეთის ელიმინირება, ამოღება, საერთოდ ამ დარგის და სახელდობრ ამ საკითხის პოპულარიზაციის წარსულიდან გამართლებული არ უნდა იყოს, ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღგვედგინა რეალური ვითარება.

იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად, ცაიტნოტში, მათ უბრალოდ მეტის გაკეთება ვერ მოასწრეს. რისი გაკეთებაც მოასწრეს გააკეთეს, რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტა იყო, მაგრამ ეს არ იყო პატარა საქმე. მათ მხოლოდ პირველი ნაბიჯების გადადგმა მოასწრეს. დასაწყისი ნამდვილად არ იყო ურიგო. პირველი ნაბიჯები სწორედ გათვალეს, კარგად გადადგეს. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ამ სფეროში თავისი საქმიანობა საძირკველიდან დაიწყეს. ეს არცაა გასაკვირი, სკოლაში ძველი მსოფლიო ისტორიის სწავლება ყოველად წარმოუდგენელი იქნებოდა, ძველი მსოფლიო ისტორიის ნორმალური სასკოლო სახელმძღვანელოების გარეშე. სასკოლო სახელმძღვანელოების ის ბუმი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1918-1921 წლებში, სწორედ, სახელმძღვანელოების პრაქტიკული, პრაგმატული, მნიშვნელობით იყო გამოწვეული. მათი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ დაიწყეს მუშაობა მსოფლიო ისტორიის, მათ შორის ძველი მსოფლიო ისტორიის, პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე და შეეცადნენ თავიდან აეცილებინათ კოლაფსი, რომლის დიდი ალბათობა

¹ უზნაძე დ., ძველი აღმოსავლეთი და საბერძნეთი, უზნაძე დ. რომის ისტორია, წერეთელი აღ. ძველ საუკუნეთა ისტორია, ნაკვეთი პირველი.

არსებობდა. ქართული სკოლა არ დარჩა მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ძველი მსოფლიო ისტორიის, ნორმალური, კვალიფიცირებული, პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს გარეშე, რისი საშიშროებაც იყო. მთავარი, სწორედ აი ეს განსლდათ. ამ მონაკვეთის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. ამიტომ ამ მონაკვეთის ელიმინირება, ამოღება, ამ დარგის განვითარებიდან და ამ სახელმძღვანელოების სრული მივიწყება, რაც ფართოდ ინერგებოდა საბჭოთა წლებში, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, ძალზე ტენდენციურია და არანაირი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია. ჩვენი აზრით, ეს გახლავთ ამ დარგის განვითარების ერთი საინტერესო მონაკვეთი, როდესაც თავი იჩინა მრავალმა კარგმა წამოწყებამ, რომელიც უმთავრესად პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მაინც მოასწრო იმ პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში თავისი სუსტი, მკრთალი, კვალი დაეფიქსირებინა. მნიშვნელოვანწილად, ვფიქრობთ, სწორედ, ამით აიხსნება, რომ საქმე გვაქვს ამ სიახლეების და ნოვაციების, მხოლოდ წანამძღვრებთან, კონტურებთან, სიმპტომებთან, პირველ ნიშნებთან, რომელიც გზას იკაფავს იმ პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში და ფიქსირდება მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ძველი მსოფლიო ისტორიის, პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ვფიქრობთ, ეს საკმაოდ გამჭვირვალეა და არავითარ ეჭვს არ ბადებს. უფრო მეტის გაკეთება, დროის იმ მცირე მონაკვეთში მათ უბრალოდ ვერ მოასწრეს. რისი გაკეთებაც მოასწრეს, გააკეთეს.

არსებობს დიდი ალბათობა, რომ ეს მხოლოდ მათი ჩანაფიქრის, ერთი ნაწილი იყო, რომელზეც მუშაობის დაწყება მათ მოასწრეს. დასაწყისი ნამდვილად არ იყო ურიგო. ეს მათ წარმატებად მიგვაჩნია, თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, საქართველოს გასაბჭოება. ისინი ბოლომდე მიიყვანდნენ დაწყებულ საქმეს და დაიწერებოდა ძველი მსოფლიო ისტორიის კარგი სასკოლო სახელმძღვანელო. ლოგიკური იქნება ვიფიქროთ, რომ ამას მოყვებოდა მეორე საფეხური. ეს იქნებოდა უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოები, რომელიც იმ კარგი ტრადიციის გაგრძელება იქნებოდა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ძველი მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. მესამე საფეხური, ცხადია, ითვალისწინებდა ამ საკითხის მეცნიერულ შესწავლას და პოპულარიზაციას. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ამ კარგი წამოწყების ბოლომდე მიყვანა ვეღარ მოასწრეს. საფიქრელი იყო, რომ ეს ხაზი გაგრძელდებოდა, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვაგვარად მოხდა. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ამ თემატიკით დაინტერესებამ სულ სხვა ხასიათი შეიძინა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ. ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო მართლზომიერი იქნებოდა ამ პერიოდზე ვიმსჯელოთ არა იმის მიხედვით, რისი გაკეთებაც მოასწრეს, არამედ, იმის მიხედვით, რაც მათ ჩაფიქრებული ჰქონდათ და, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო მისი ბოლომდე მიყვანა ვეღარ მოასწრეს. ვფიქრობთ, ეს გაცილებით უფრო ადეკვატური იქნებოდა.

როგორც უკვე ითქვა, აღნიშნული საკითხის შეფასების დროს საქართველოში გამოსული ძველი მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორები უმთავრესად, აქცენტს აკეთებდნენ თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ამიტომ ამ მონაკვეთის აპოლოგეტური შეფასება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტი. სასურველი იქნებოდა, ვცადოთ გამოვძებნოთ საშუალოდ ხაზი, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვკვეთოთ როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შევეცადოთ ავხსნათ მისი გამოძვევე მიზეზები. ამგვარი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და უპირატესად, ორ გარემოებასთან ასოცირდებოდა. ის საქართველოში არსებული დემოკრატიული ატმოსფეროს ლოგიკური შედეგია და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გავლენის გამოძახილია. ეს სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა იმ პე-

რიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და XX საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენად მიგვაჩნია.

პერიკლეს მოღვაწეობისადმი დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და, უმთავრესად, ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. მას, როგორც ლიბერალს, მოსწონდა პერიკლეს საქმიანობა და ის მისთვის სასურველ პოლიტიკურ ფიგურად ესახებოდა, რომელიც სავსებით შეესატყვისებოდა მის პოლიტიკურ იდეალს. პერიკლეს მოღვაწეობისადმი დამოკიდებულება ისტორიაში პიროვნების როლის გაცნობიერების გამოძახილია.

აღნიშნულ თემაზე სრულყოფილი წარმოდგენა, რომ ჩამოგვიყალიბდეს მიზანშეწონილი იქნებოდა მოკლედ შევეხოთ ერთ საკითხს, რომლის გამორკვევას პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია. როგორ შეიძლება შევაფასოთ ეს მწირი ინფორმაცია? ამ მასალისადმი მეტი სიმეტად ხისტი დამოკიდებულება, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, დღეს, ცხადია, უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. ჩვენ ვცადეთ სულ სხვაგვარად დაგვეჩინა ეს საკითხი და ამ სახელმძღვანელოებისათვის უფრო ოპტიმისტურად შეგვეჩინა. მასში პოზიტივი ამოგვეკითხა. როგორც ჩვენ გვკონია, მას ღირსებები გაცილებით უფრო მეტი გააჩნდა, ვიდრე ნაკლი. ვფიქრობთ, ეს უფრო რეალისტური შეიძლება იყოს. ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ამრიგად, სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, პერიკლეს მოღვაწეობის პოპულარიზაცია, პირველ მოკრძალებულ ნაბიჯებს დგამს 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რაც, უმთავრესად, ორ გარემოებასთან გახლდათ დაკავშირებული. დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. მითებს რეალობა ამსხვრევს. ყველა სიკეთე საბჭოთა ხელისუფლებასთან როდი ასოცირდება. ეს ფაქტი ეკალივით ესობოდა თვალში და მოსვენებას უკარგავდა ბოლშევიკებს. ისინი ძალისხმევას არ იშურებდნენ, რომ როგორმე წაეშალათ ის ქართველი ხალხის ცნობიერებიდან, მაგრამ ამაოდ დაშვრენ, სრული კრახი განიცადეს. „სამართალმა პური ჭამა“, „ღრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია“.

უწინარესად, ბუნებრივია, წამოიჭრება ერთი საინტერესო და აქტუალური თემა, რომელიც ქართული საზოგადოების ცნობიერებაში, დიდი ხნის განმავლობაში მრუდე სარკეში აირეკლებოდა. ეს იყო კიდევ ერთი საბჭოთა მითი. ჩვენ არგუმენტებით ხელში ვცადეთ მეცნიერულად გაგვებათილებინა ეს მოსაზრება. ეს უკვე სრულიად განსხვავებული მიდგომა იყო, რომლის მთავარ დებულებად გვევლინება ამ სფეროში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილი მოკრძალებული წვლილი. როდის მიიღო საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, პერიკლეს, ცხოვრების და მოღვაწეობის სწავლებამ, შესწავლამ, პოპულარიზაციამ შეუქცევადი ხასიათი? ის ასეთ ხასიათს იძენს არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ეს მიღებული იყო, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში, როდესაც იკვეთება ძველი მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, რა თქმა უნდა, პერიკლეს მოღვაწეობის, გაშუქების წანამძღვრები, კონტურები, სიმპტომები, პირველი ნიშნები. ეს, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალეა და ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ეს პროცესი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი არ დაიწყო, არამედ გაგრძელდა. ეს, ვფიქრობთ, გაცილებით უფრო სწორი იქნება.

მეორე პერიოდის განსაზღვრა არ განხლავთ ძნელი საქმე, ის აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ეს განხლავთ პერიკლეს მოღვაწეობის გაშუქება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. (1921-1991), მაგრამ მისი შეფასება არ იქნება ადვილი საქმე. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის აბოლოგეტური შეფასება, რომელიც დომინირებდა საბჭოთა წლებში, დღეს, ცხადია, უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს.

ეს ერთი უკიდურესობა იყო. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. საბჭოთა ისტორიოგრაფიისადმი მეტი სმენითად ხისტი დამოკიდებულება აშუქებს საქმის რეალურ ვითარებას და აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიჩვენებს. ეს კი უკვე სულ სხვა უკიდურესობაა. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში უნდა ვეძიოთ. ეს საშუალებას მოგვცემს მკაფიოდ გამოვკვეთოთ როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შევეცადოთ ავხსნათ მისი გამომწვევი მიზეზები, კიდევ უფრო მეტად მიუახლოვდეთ ჭეშმარიტებას.

ემპირიის, ფაქტოლოგიის დონეზე, პროგრესი აშკარაა და ამის დაუნახობა, ცხადია, არ ივარგებს. ეს საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის პლუსია. საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა ისევ ძალაში რჩება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი ვიწროდგომით გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საბჭოთა კავშირში მოხდა ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია, უნიფიცირება. ამიერიდან ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა. საბჭოთა კავშირში დამყარდა ერთი ვიწროდგომით გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატი, მონოპოლია. წარსულისადმი ვიწროდგომით გაგებული მარქსისტულ-ლენინური მიდგომა გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო, უმაღლეს მეცნიერულად ცხადდებოდა და იდევენებოდა. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ამ გზას ჩიხში მივყავართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები, სწორედ აქ ძევს. ბოლოს და ბოლოს კრიზისმა ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი შეიძინა. საქმე გვაქვს საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური, თვალსაზრისით, გაუფერულებასთან. ეს იყო სწორი გზიდან გადახვევა.¹ თავისუფალი აზროვნება ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა, პლურალიზმი, პროგრესულ ლიბერალური ღირებულებები, რომელიც ლაიტმოტივად გასდევდა 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში გამოსულ ძველი მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებს, ჩაანაცვლა მონისტურმა პრინციპმა, ფორმაციულმა მიდგომამ, ისტორიაში კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობის გადაჭარბებამ, წარსულის კლასობრივმა ხედვამ. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამით აისახება, რომ პერიკლეს საქმიანობის დადებითი შეფასება, რაც ისტორიაში პიროვნების როლის მნიშვნელობის გაცნობიერების ლოგიკური შედეგი იყო, ჩაანაცვლა პერიკლეს პიროვნებისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ, რაც ისტორიაში პიროვნების როლის შეუფასებლობის გამოდახილია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს წინგადადგმულ ნაბიჯად, თავდაპირველი გზის გაგრძელებად, ძნელია მივიჩნიოთ.

ვიდრე მესამე პერიოდზე ვისაუბრებთ მანამდე უნდა შევეხოთ ერთ პრინციპულ საკითხს, რომლის გამორკვევას აქვს მნიშვნელობა და ამ თემაზე ადეკვატური წარმოდგენის შექმნაში დაგვეხმარება პოლიტიკური კატაკლიზმებისადმი, სწორხაზოვნად, დადებითი ან უარყოფითი, დამოკიდებულება ცალმხრივია და მასზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის. მას უნდა მიუდგეთ კონკრეტულ ისტორიული გარემოს გათვალისწინებით. ერთ შემთხვევაში, მას დადებითი დატვირთვა შეიძლება გააჩნდეს, ასეთია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, საბჭოთა კავშირის დაშლა. ხოლო მეორე შემთხვევაში კი პირიქით, ნეგატიური. საბჭოთა კავშირის შექმნა ამის ნიმუშია.

საქართველოში პერიკლეს მოღვაწეობის მესამე პერიოდი კვლავ პოლიტიკურ კატაკლიზმებთან ასოცირდება და მჭიდროდაა დაკავშირებული 90-იანი წლების დასაწყისთან, კონკრეტულად კი საბჭოთა კავშირის დაშლასთან, რომელსაც აშკარად პროგრესული ელფერი დაკრავს. ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში და დღესაც გრძელდება. ესაა პერიკლეს მოღვაწეობის

¹ კალანდაძე მ., საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასებისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტი, მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა. VIII ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია, თბ., 2015.

სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ფაქტობრივად, ეს გახლავთ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია. საკითხი გახლავთ საინტერესო და აქტუალური. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ წყალი შეუდგა ვიწროდოგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ხანგრძლივ მონოპოლიას. გაჩნდა თავისუფალი არჩევანის საშუალება. მან განაპირობა თავისუფალი აზროვნების რეანიმაცია. ეს საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შემდეგ წინგადადგმული ნაბიჯი იყო. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს სწორ გზაზე დაბრუნებას, სწორი არჩევანის გაკეთებას, სწორი აქცენტები დასვას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ადვილი საქმე, დიდი ღრო და ძალისხმევა დაჭირდება და მტკივნეული პროცესი იქნება. პირველყოვლისა მიზანშეწონილი იქნებოდა პერიკლეს მოღვაწეობის ვიწრო დოგმატურად გაგებულ მარქსისტული შეფასებისგან გათავისუფლება, რომელიც ისტორიაში პიროვნების როლის შეფასებლობის გამოძახილი იყო. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამით აიხსნება, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიაში პრიორიტეტული ხდება პერიკლეს მოღვაწეობის დადებითი მხარეები, აქცენტი კეთდება მისი მოღვაწეობის პოზიტიურ შეფასებაზე, რაც ისტორიაში პიროვნების როლის გაცნობიერების ლოგიკური შედეგია.

პერიკლეს მოღვაწეობამ ღრმა კვალი დატოვა არა მარტო ძველი საბერძნეთის, არამედ მსოფლიო ისტორიაში. მისმა მოღვაწეობამ უმაღლესი მიიყვრო როგორც თანამედროვეების ისე ისტორიკოსების ყურადღება და განსჯის საგანი გახდა. როგორ აფასებდნენ თანამედროვეები და შემდეგში ისტორიკოსები პერიკლეს მოღვაწეობას? ფაქტობრივად, ეს გახლავთ საკითხის ისტორიოგრაფია. ამ რთულ თემაზე სიტყვის თქმას, ძირითადად ის გარემოება გვაბეზინებს, რომ მასზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერია დაწერილი.

პერიკლეს(ქრ. შ-მდე 450-430)მოღვაწეობის შეფასების დროს ისტორიკოსთა შორის ერთსულელობა არასდროს ყოფილა და სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. გამოთქმულია დიამეტრალურად საპირისპირო მოსაზრებები. ერთნი ხოტბას ასხამენ და განადიდებენ მას, ხოლო მეორენი კი,პირიქით-მისი მოღვაწეობისადმი მკვეთრად გამოკვეთილ ნეგატიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ და მის სახელს აუგად იხსენიებდნენ. ორივე უკიდურესობა,ცხადია, მიუღებელია,როგორც წესი ჭეშმარიტება სადღაც შუაში ძევს, მაგრამ საშუალოდ გზის მოძიება სულაც არ იქნებოდა ისეთი ადვილი საქმე,როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანს.ვინაიდან მსაჯულები პერიკლეს მოღვაწეობის შეფასებისას სუბიექტური არიან.ერთნი,თავიანთი პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე,პერიკლეს დიდ პატივს მიაგებენ და ხოტბას ასხამენ.მეორენი კი პირიქით,მის მოღვაწეობას უარყოფითად ეკიდებიან და მის სახელს აუგად იხსენიებენ, მათ შორის კონსესუსის მიღწევა ნამდვილად არ იქნება ადვილი საქმე. ყოველთვის აღმოჩნდებიან პერიკლეს მომხრე და მოწინააღმდეგე ისტორიკოსები. მათ შორის დავა კიდევ დიდხანს გასტანს და, ალბათ არ დასრულდება. XX საუკუნის ცნობილი ჰოლანდიელი ისტორიკოსის, ლეიდენის უნივერსიტეტის პროფესორის, პიტერ ჰეილის თქმით „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“.

პერიკლეს მოღვაწეობის შეფასება უკვე ანტიკურმა ისტორიოგრაფიამ სცადა. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს თუკიდიდეს და პლუტარქეს თხზულებები. თუკიდიდეს აზრით, „პერიკლეს მმართველობა იყო სახელწოდებით დემოკრატია, სინამდვილეში კი ერთი კაცის ბატონობა“¹. ეს შეხედულება გაიმეორა პლუტარქემ, პერიკლეს მმართველობა „სახელწოდებით არის დემოკრატია, სინამდვილეში ერთი კაცის მმართველობა“². აქცენტების ამგვარი დასმა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და მისი მიზეზი, უწინარესად, თუკიდიდეს მსოფლმხედველობაში

¹ გოზალიშვილი გ., ძველი ისტორიის ქრესტომათია, თბ., 1951. გვ. 38

² პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, ტ. 2. თბ., 1987.

უნდა ვეძიოთ. ის ზომიერი ოლიგარქის მომხრეა და პერიკლეს საქმიანობას, შესაძლოა, მკაცრად ეკიდებოდა. სუბიექტურობა ძლევს.

პერიკლეს მომხრეთა რიგებს უნდა მივაკუთვნოთ ალორძინების ეპოქის გამოჩენილი ინგლისელი დრამატურგი უილიამ შექსპირი¹. მან პერიკლეს მოღვაწეობას საგანგებო ნაწარმოები მიუძღვნა და ასე გამოხატა მისადმი კეთილგანწყობილება.

ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება გავისხენოთ პერიკლესადმი გამოჩენილი გერმანელი დრამატურგის და ისტორიკოსის ფრიდრიხ შილერის დამოკიდებულება, რომელიც სამი წლის განმავლობაში (1789-1791) იენის უნივერსიტეტში, რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს, კითხულობდა ლექციებს მსოფლიო ისტორიაში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს მისი მცირე მოცულობის ისტორიული ნაშრომი „ლიკურგოსის და სოლონის კანონმდებლობა“. ის განიხილავს შემდგომ პერიოდს და მოკლედ ეხება პერიკლეს მოღვაწეობას. პერიკლესადმი მისი დამოკიდებულება საკმაოდ გამჭვირვალეა. ის ვერ მალავს მისი მოღვაწეობით გამოწვეულ აღტაცებას და საუბრობს „პერიკლეს ოქროს საუკუნეზე“.²

პერიკლეს მოღვაწეობას სრულიად განსხვავებულად აფასებდა XVIII საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსი უილიამ მიტფორდი. მისი სახით საქმე გვაქვს ტიპიურ კონსერვატორთან, რომლის პოლიტიკურ იდეალს კარგად შეესატყვისებოდა არისტოკრატიული სპარტა. ათენის დემოკრატია მისთვის როგორც კონსერვატორისათვის მიუღებელია. ის მას, ბუნებრივია, უარყოფითად აფასებდა, პირდაპირ ლანძღავს და „უპრინციპო დემაგოგების“ სახელით იხსენიებს. ინგლისელი ისტორიკოსის რისხვას, ცხადია, ვერც პერიკლე გადაურჩა. მისი მოღვაწეობისადმი უილიამ მიტფორდის დამოკიდებულება მკვეთრად გამოკვეთილად ნეგატიურია. პერიკლესადმი უილიამ მიტფორდის უარყოფითი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არაა და მისი მიზეზი ინგლისელი ისტორიკოსის მსოფლმხედველობაში ძევს. აქ, ცხადია, იმის თქმას ვაპირებთ, რომ ყველაფერი ეს საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი უილიამ მიტფორდის როგორც კონსერვატორის, უარყოფითი დამოკიდებულების ექოდ გაისმა.³

ეს ორი ტენდენცია პერიკლეს მოღვაწეობის ხოტბა და აუგად მოხსენიება ლაიტმოტივად გაყვება XIX-XX საუკუნეების ისტორიოგრაფიას. პერიკლეს განდიდების მთავარი ტონისმიმცემია ფრანგი მეცნიერი ვიქტორ დიურიე. ხოლო გერმანელი ისტორიკოსი კარლ ბელოხი კი სულ სხვაგვარად ფიქრობს და პირიქით პერიკლეს მოღვაწეობას მუქ ფერებში წარმოაჩენს.

პერიკლეს მოღვაწეობის შესწავლას ორი მხარე გააჩნია. პირველს პირობით პროგრამა მაქსიმუმში შეიძლება ეწოდოს და, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს პერიკლეს მოღვაწეობის მეცნიერულ შესწავლას, კვლევა-ძიებას. მეორე კი მიზნად ისახავს მისი მოღვაწეობის პოპულარიზაციას. მას პირობით პროგრამა მინიმუმში შეიძლება უნდათ. პერიკლეს მოღვაწეობაზე მეცნიერული გამოკვლევების შექმნა, დიდ და შრომატევად საქმეს წარმოადგენს. ადვილი საქმე არაა და რბილად, რომ ვთქვათ, ამ მიმართულებით ქართული ისტორიოგრაფიის საქმიანობა მეტად მოკრძალებულად გამოიყურება, თუმცა ისეთი პატარა ქვეყნისთვის როგორც საქართველოა, ეს ტრაგედია არ ვახლავთ და მისი დრამატიზირება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია, არაფერი ვაი-უშველებელი არ გვჭირს.

¹ Шекспир У.

² Шиллер Фр., „Законодательство Ликурга и Солона - Шиллер Фр., Собр., соч. т. пятый, М., 1957. გვ. 448 მკალანდაძე, შილერი პერიკლეზე, დროშა 11-12. 1998

³ Шифшан А., Сидорова Т. „Уильям Митфорд и его время - в кн. Методология исторического познания и буржуазная наука, Казань, 1977

историография античной истории, год., ред., В. Кузишина, М. 1982, П. Георгиев, Афинская демократия в отечественной историографии середины XIX века - первой половине XX вв. - диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук, Казань, 2009 г. ქავთარია, ძველი საბერძნეთი, თბ., 2005.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ პერიკლეს მოღვაწეობის გაშუქებისადმი წმინდა პრაქტიკული, პრაგმატული, დამოკიდებულება ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი პლუსია. ეს იმით გამოიხატება, რომ უმთავრესად, აქცენტი კეთდება პერიკლეს მოღვაწეობის პოპულარიზაციაზე და, ძირითადად ასახვა ჰპოვა სასწავლო ლიტერატურაში, სკოლის და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებში. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ქართულ ენაზე პერიკლეს არ დაწერილა საინტერესო სამეცნიერო პოპულარული ნარკვევი, წიგნი ან ცალკე სტატია. ეს საქართველოში პერიკლეს მოღვაწეობის პოპულარიზაციის აქტიურობის ქუსლად გვევლინება. სასურველი იქნებოდა თუ ეს ვაკუუმი მომავალში შეივსებოდა.

უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი წყაროთმცოდნეობითი ბაზა მეტად მწირია და ერთ სკოლის სახელმძღვანელოს წარმოადგენს. დიმიტრი უზნაძე თავის წიგნში „ძველი საბერძნეთი“, პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, შეეხება პერიკლეს მოღვაწეობას. ეს მწირი ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა და საკმარისი არ უნდა იყოს, მაგრამ სხვა უფრო ხელშესახები მასალა არ გავაჩნია და იმას უნდა დავჯერდეთ რაც გვაქვს. ამიტომ ამ საკითხზე ფართო მსჯელობის გაშლა ძნელია კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ და უპირველესად, აქცენტს ვაკეთებთ ფრთხილ ვარაუდებზე. ეს არანაირ ჩრდილს არ აყენებს ამ მსჯელობის მნიშვნელობას, ვინაიდან სხვა გამოსავალი უბრალოდ არ გავაჩნია.

ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას, რომელიც დაგვეხმარება ჩვენთვის საინტერესო საკითხს კიდევ უფრო მეტი ნათელი მოვფინოთ: ჯერ ერთი რამდენად ინფორმირებული იყო ის აღნიშნულ საკითხზე და მეორე როგორ აფასებდა ის პერიკლეს მოღვაწეობას? ეს ორივე საკითხი საინტერესოა და აქტუალურია. ამ ორივე კითხვაზე პასუხი, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალეა და მხოლოდ დადებითი შეიძლება იყოს. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

დღევანდელი გადასახედიდან ამ მიაბიჭური, გულუბრყვილო, მსჯელობის მკაცრად განსჯა, მიზანშეწონილი არ იქნებოდა და ამ თემაზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის მნიშვნელობაზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებდა. მას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია, კულტურტრეგერული ფუნქცია აქვს და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას კარგად დააკვალიანებდა და პერიკლეს მოღვაწეობაზე ზოგად წარმოდგენას ჩამოუყალიბებდა. ის ამართლებს თავის დანიშნულებას და იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებად მიგვაჩნია, რაც იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და პერიკლეს მოღვაწეობის გაცნობიერების პირველ თუ არა, ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება.

აუცილებლად უნდა წამოვჭრათ კიდევ ერთი საკითხი, რომელიც საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. აი რა გვაქვს მხედველობაში: არსებობს დიდი ალბათობა, რომ პერიკლეს მოღვაწეობაზე დიმიტრი უზნაძემ გაცილებით იმაზე მეტი იცოდა, ვიდრე ეს სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთიდან უნდა ჩანდეს. ჩვენი აზრით, ეს ამ თემაზე მისი ცოდნის მხოლოდ ფრაგმენტებად შეიძლება მივიჩნიოთ. აი ასე გვესმის ჩვენ ეს რთული საკითხი.

დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება პერიკლესადმი მჭიდრო გენეტიკურ კავშირშია ერთ ფრიად აქტუალურ თეორიულ საკითხთან, რომელიც მაშინ მეტად სადისკუსიო იყო და სერიოზულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. საქმე ეხება ისტორიაში პიროვნების და ხალხთა მასების როლის გააზრებას. ამ რაკურსით საკითხის განხილვისათვის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და ამ თემაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნიდა. როგორ ესახებოდა დიმიტრი უზნაძეს ისტორიაში პიროვნების და ხალხის როლი? საკითხი არის საინტერესო და აქტუალური.

პერიკლესადმი დიმიტრი უზნაძის დადებითი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და, პირველ ყოვლისა, ისტორიაში პიროვნების როლის გაცნობიერების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს. ამ პრობლემისადმი დიმიტრი უზნა-

მის დამოკიდებულება საინტერესოა და, ჩვენი აზრით, საშუალოდ გზის მოძიების მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს იმით გამოიხატება, რომ პერიკლეს მოღვაწეობით გამოწვეულ სიმპათიას ის არ მიჰყავს პერიკლეს განდიდებად. ეს არ განსვავთ პერიკლეს პანეგერიკი, იდეალიზაცია, რაც ხშირად მოსდიოდათ პერიკლეს თავყანისმცემელ ისტორიკოსებს. ის არ განიხილავს სოციალ-ეკონომიკურ გარემოს როგორც დიდი პიროვნების მოღვაწეობის უბრალო ფონს. ის ცდილობს თავიდან აირიდოს ისტორიაში პიროვნების როლის გაზვიადება, პიროვნების კულტი, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი იმ პერიოდის ისტორიოგრაფიაში და რომლის მთავარ ტონისმიმცემად ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი ტომას კარლაილი გვევლინება.¹ ეს მედლის ერთი მხარე იყო. მედალს აქვს მეორე მხარე. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ დიმიტრი უზნაძე ცდილობს თავიდან აიცილოს ისტორიაში პიროვნების როლისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. შეიძლება ითქვას, რომ ის აქ, ფაქტობრივად, უპირისპირდება ისტორიულ მატერიალიზმს. პიროვნებას სჭირდება ხალხის მხარდაჭერა, ხალხს ესაჭიროება წინამძღოლი. ისინი ურთიერთზემოქმედებენ. მათ შორის მჭიდრო გენეტიკური კავშირი არსებობს და მათ ვერ მოვწყვეტთ ერთმანეთს. პიროვნების აღზევება შეუძლებელი იქნებოდა ხელსაყრელი გარემოს გარეშე. ეს დიმიტრი უზნაძეს, ვფიქრობთ, ძალიან კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული.

აქ წამოიჭრება მეორე აქტუალური საკითხი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ისტორიაში პიროვნების როლთან. ეს განსვავთ ისტორიაში ხალხთა მასების როლის შეფასება. საინტერესოა რა პოზიცია ეკავა ამ საკითხში დიმიტრი უზნაძეს. ალბათ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ამ საკითხში ის ცდილობს გამოძებნოს საშუალოდ გზა, რომელიც საშუალებას მისცემს მას სცადოს მიუახლოვდეს რეალობას. ეს იმით გამოიხატება, რომ ის ცდილობს თავიდან აიცილოს ორივე უკიდურესობა. მასების როლისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული პიროვნების კულტთან და ისტორიაში მასების როლის უსაშველოდ გადაჭარბება, რომელიც ძალუძად იგრძნობოდა საბჭოთა, მარქსისტულ, ისტორიოგრაფიაში. არსებობს დიდი ალბათობა, რომ ის მასებს განიხილავს არა როგორც ისტორიის შემოქმედს, როგორც ამას აკეთებდა მარქსისტული ისტორიოგრაფია, არამედ როგორც მოქმედ პირს. ეს გაცვილებით უფრო სწორი მიდგომა უნდა ჩანდეს. ამ საკითხის მარქსისტულ-ლენინური მიდგომისადმი დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება უარყოფითი უნდა ჩანდეს. ის არ ეთანხმება ისტორიული მატერიალიზმის ერთ-ერთ მთავარ დებულებას ისტორიაში ხალხის როლის შესახებ. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და საქმე გვქავს მისი ფილოსოფიური და ისტორიული შეხედულებების კვეთასთან. ხომ არ ვიჭრებით ამ შემთხვევაში ისტორიის ფილოსოფიის კომპეტენციაში?² ვაჯამებთ, რა ყოველივე ზემოთქმულს, ასეთი საინტერესო სურათს ვიღებთ. დიმიტრი უზნაძეს კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული ისტორიაში პიროვნების და ხალხის როლი. ეს მისი ისტორიული შეხედულების დადებით მხარეს წარმოადგენს. ამის გამორკვევას აქვს მნიშვნელობა და ხელში ჩაგვიდებს დიმიტრი უზნაძის პერიკლესადმი დამოკიდებულების გასაღებს.

ამას შეიძლება დავუმატოთ კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ვფიქრობთ, საინტერესო შეიძლება იყოს. რა თქმა უნდა, კატეგორიულად არაფერს არ ვამტკიცებთ, ეს მხოლოდ ჩვენი ფრთხილი ვარაუდია. აქ, ცხადია, პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ პერიკლესადმი დიმიტრი უზნაძის სიმპათია ქართულ რეალობის გამოძახილი შეიძლება იყოს. გამოორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ დიმიტრი უზნაძეს პერიკლეს პერსონა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის სავსებით მისაღებ პოლიტიკურ ფიგურად ესახებოდა, რომელიც დაენმარებოდა ქვეყანას თავი დაეღწია პოლიტიკური ქარტეხილებისათვის.

¹ Карлтиль Т. Герой, и почтение героев в истории., М., 1898

² კალანდაძე, მ. დიმიტრი უზნაძე ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტი, აკად. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 95 წლის იუბილისადმი მიძღვნილი XI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 2017.

ეფიალტეს მიერ ქრ. შ-მდე 462 წელს დაწვებული რეფორმების გაგრძელება წილად ხვდა პერიკლეს (ქრ. შ-მდე 450-430). ათენის დემოკრატიის გაფართოება, სწორედ, მის სახელთან ასოცირდება. მისი მოღვაწეობის მნიშვნელობა ამაში უნდა მდგომარეობდეს. ამ პერიოდს მისმა მომხრე ისტორიკოსებმა მის საპატივცემულოდ „პერიკლეს ხანა“ უწოდეს და ამით გამოხატეს მისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება.

სახელმძღვანელოს ეს მონაკვეთი ოთხ ნაწილადაა დაყოფილი: პერიკლე და მისი მოღვაწეობა, საბერძნეთის ყრილობის მოწვევა, სამხედრო ძალების გაძლიერება, ათენის კულტურული გაძლიერება. ფაქტობრივად, ეს განსაკუთრებული გეგმა, რა შეიძლება ითქვას მასზე? ამ გეგმის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას, რომელიც ძნელი დასანახი სულაც არ გახლავთ და პირდაპირ ზედაპირზე ძვეს. დავიწყით იმით, რომ ეს გეგმა, ჩვენი აზრით, ძალიან ზოგადია კონკრეტულობა აკლია. ეს ერთი. ახლა მეორე, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული პირველთან და მის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება. მნიშვნელოვანწილად, ვფიქრობთ, სწორედ ამით აიხსნება, რომ პერიკლეს რეფორმები ამ სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის გეგმაში სათანადოდ არ არის ასახული. ეს ამ გეგმის აქტიურობის ქუსლად მიგვაჩნია. სასურველი იქნებოდა ეს საკითხი გეგმაში სათანადოდ ყოფილიყო ასახული. ეს რაც შეეხება გეგმას. ახლა გადავიდეთ მეორე საკითხზე, რომელიც პირველის გამოძახილია.

როგორ იყო გაშუქებული დიმიტრი უზნადის სახელმძღვანელოში მთავარი თემა პერიკლეს რეფორმები? ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის ცენტრალური საკითხი უნდა ყოფილიყო. ამ საკითხის განხილვა სახელმძღვანელოში თავისებური ხასიათს იძენს და უცნაურად გვეჩვენება. ეს იმით გამოიხატება, რომ ამ თემაზე მსჯელობა ძალზე ზოგადია და კონკრეტულობა აკლია. გამჭვირვალე არაა ეს პერიკლეს რეფორმებზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას ვერ გვიყალიბებს, რაც ამ თემაზე დიმიტრი უზნადის მსჯელობის მთავარ ნაკლად მიგვაჩნია. სასურველი იქნებოდა პერიკლეს რეფორმების ცალკე გამოყოფა და მასზე საუბარი. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური იყო. პერიკლეს მოღვაწეობის პოზიტიური შეფასების არაპირდაპირ გამოძახილად პერიკლეს რეფორმებისადმი დიმიტრი უზნადის დადებითი დამოკიდებულება მიგვაჩნია მიზანშეწონილი იქნებოდა რომ ამ საკითხისადმი დიმიტრი უზნადის დამოკიდებულება კიდევ უფრო გამჭვირვალე ყოფილიყო. ერთი სიტყვით, დიმიტრი უზნადის სახელმძღვანელოში პერიკლეს რეფორმების გაშუქებამ გარკვეული უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიტყვების სურვილი გაგვიჩინა.

დიმიტრი უზნადის სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის შედარებით ყველაზე უფრო წინადა ნაწილად პირველი საკითხი მიგვაჩნია, რაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანწილად, იმით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული, რომ მას მეტნაკლებად ანალიტიკური ელფერი დაკრავს და პერიკლეს მოღვაწეობის შეფასების მცდელობასთან ასოცირდება. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ პერიკლეს მოღვაწეობის შეფასება, პირველ ყოვლისა, მის მიერ განხორციელებულ რეფორმებთანაა დაკავშირებული. ეს სწორი ნაბიჯი იყო, პერიკლეს რეფორმებზე მსჯელობამ ცოტათი უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა. ეს იმით გამოიხატება, რომ როგორც უკვე ითქვა, მეტად ზოგად ხასიათს ატარებს, კონკრეტულობა აკლია და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას, აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოუყალიბებს. საქმე ის გახლავთ, რომ რა რეფორმებზეა კონკრეტულად საუბარი გამჭვირვალე არაა.

პირველ ყოვლისა, წამოიჭრება საკითხი, რამდენად კარგად იცნობდა დიმიტრი უზნადე პერიკლეს ეპოქას და მის მოღვაწეობას. ამას აქვს მნიშვნელობა. ის აღნიშნულ საკითხზე საკმაოდ ინფორმირებული უნდა ჩანდეს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ემპირული, ფაქტობრივი, მასალის ცოდნის გამოძახილია. ეს ამ თემაზე დიმიტრი უზნადის მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიმიტრი უზნადე პერიკლეს ეპოქას და მის მოღვაწეობას იმაზე გა-

ცილებით უფრო უკეთესად უნდა იცნობდეს, ვიდრე სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთიდან შეიძლება ჩანდეს. ჩვენი აზრით, ეს აღნიშნულ საკითხზე მისი ცოდნის ფრაგმენტებად შეიძლება მივიჩნიოთ. ის ცდილობს, რომ ეს ცოდნა სკოლის სახელმძღვანელოს ჩარჩოებში მოაქციოს. ამან შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, როგორ ესმოდა დიმიტრი უზნაძეს პერიკლეს მოღვაწეობის წინამძღვრები და მნიშვნელობა. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური. ამ თემაზე ყურადღების გამახვილება პერიკლეს მოღვაწეობისადმი დიმიტრი უზნაძის შეხედულებების განხილვის უვერტურად, შესავალად, გაისმა. დიმიტრი უზნაძე სავსებით სამართლიანად უსვამს ხაზს, რომ პერიკლეს რეფორმები შემთხვევითი არ ყოფილა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, სპონტანურ ხასიათს არ ატარებდა და ათენის პოლიტიკური და სოციალური განვითარების ლოგიკურ დაგვირგვინებად გვევლინება. ის ძალიან მოკლედ საუბრობს პერიკლეს რეფორმების წინაისტორიაზე და ამ საკითხში საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებს. პერიკლეს უშუალო წინამორბედად მას, სწორედ, ეფიალტე ესახებოდა. მან მიზნად დაისახა არისტოკრატების მთავარი დასაყრდენის არეოპაგის მნიშვნელობისათვის ფრთები შეეკვეცა. პერიკლემ გააგრძელა ათენის პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაცია. ამ პროცესს ის ცალკეულ პიროვნებებს უკავშირებდა. ის წერდა: „ამგვარად დემოკრატიული ათენის ცხოვრება ისე მოეწყო, რომ სახელმწიფო ცხოვრების მიმართულების მიმცემი არსებითად ხალხი კი არა, ესა თუ ის გამოჩენილი პირი შეიქმნა. ასეთები იყვნენ თემისტოკლე, არისტიდე, კიმონი, ეფიალტე, პერიკლე¹. სწორი არ იქნება ვიფიქროთ, თითქოს დიმიტრი უზნაძე უარყოფს ამ პროცესში ხალხის მონაწილეობას. სინამდვილეში ეს ასე არ ყოფილა. დიმიტრი უზნაძე ხალხს აღიქვამს არა როგორც ისტორიის შემოქმედს, არამედ მოქმედ პირს. აი ეს უფრო სწორი იქნებოდა, ამიტომ ამის გამო მისი მკაცრად განსაჯა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და მკვეთრად გამოკვეთილი მარქსისტული ელფერი დაკრავს. ეს კი მიუღებელი უნდა იყოს.

სხვა ადგილას ის ხაზს უსვამს, რომ „ეფიალტეს სიკვდილის შემდეგ დემოკრატიის ლიდერობა პერიკლეს ხელში გადავიდა, არც ერთ დემაგოგს არ მიუღწევია გავლენის იმ დონემდე როგორც პერიკლემ. „სახელით ათენი დემოკრატიული იყო, ამბობს საბერძნეთის ისტორიკოსი ამ დროის შესახებ, - ნამდვილად კი იგი პირველი კაცის ბატონობას ემორჩილებოდა“. მართლაც პერიკლე ნამდვილი მეფე იყო, რომელიც მთელს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას თავისი სურვილების მიხედვით მიმართავდა, მაგრამ ეს გარემოება იმდენად არ იყო საკვირველი, რამდენადაც ის, რომ პერიკლემ ათენის ცხოვრების უცვლელი მეთაურობა მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში შეინარჩუნა“.²

ეს მსჯელობა ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს. იმაში, რომ ეფიალტეს საქმე პერიკლემ გააგრძელა დიმიტრი უზნაძე ცამდის მართალი იყო. ჩვენი აზრით, გაცილებით საყურადღებო შეიძლება იყოს ამ მსჯელობის მეორე ნაწილი და მას შეფასებითი მუხტი გააჩნია. დიმიტრი უზნაძე ცდილობს შეაფასოს პერიკლეს მოღვაწეობა. ეტყობა, ის, პლუტარქეს მსგავსად, იზიარებდა ძველი ბერძენი ისტორიკოსის თუკიდიდეს მოსაზრებას, რომ პერიკლეს მმართველობა იყო „სახელწოდებით დემოკრატია. სინამდვილეში, ერთი კაცის ბატონობა“. ბერძენი ისტორიკოსის თუკიდიდეს ეს მოსაზრება კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს. დიმიტრი უზნაძის მიერ პერიკლეს ერთპიროვნულ მმართველობაზე აპელირება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და სუბიექტივიზმისაგან დაზღვეული არ უნდა იყოს. გასათვალისწინებელია, რომ პერიკლეს მმართველობის სახით საქმე გვაქვს ერთგვარ გამონაკლისთან დემოკრატიის განვითარებაში.

დიმიტრი უზნაძეს, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული პერიკლეს მოღვაწეობის ისტორიული მნიშვნელობა და მასზე საკმაოდ მაღალი აზრის უნდა ჩანდეს. მოუსმინოთ მას, აი რას წერდა ის „ამგვარად, მეხუთე საუკუნის განმავლობაში დემაგოგობა და სტრატეგო-

¹ უზნაძე, დ. ძველი საბერძნეთი, გვ. 146

² უზნაძე, დ. დას 6., ნაშრ., გვ. 146

ბა ერთი პირის ხელში ერთიანდება და ეს საშუალებას აძლევდა გამოჩენილ პირებს, შესაფერი გაველენა მარტო კანონმდებლობაზე კი არა, მთელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარებაზეც მოეხდინა“.¹ აქ დიმიტრი უზნაძის პერიკლესადმი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს. ის დადებითია, ის პერიკლეს სავსებით სამართლიანად მიაკუთვნებდა „გამოჩენილი პირების“ რიცხვს.

ჩვენი აზრით, პერიკლეს მოღვაწეობის შეფასების დროს დიმიტრი უზნაძე პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე იდგა, მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული პერიკლეს საქმიანობის დადებითი შეფასება. როგორც ჩანს, ის სავსებით შეესატყვისებოდა მის პოლიტიკურ იდეალს. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. ამავე დროს უნდა დავძინოთ, რომ პერიკლესადმი ასეთი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ისტორიაში პიროვნების როლის გაცნობიერების მცდელობაა. აი ასე გვესახება პერიკლესადმი დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულების მიზეზები.

ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი, რით იყო განპირობებული პერიკლეს ასეთი პოპულარობა. ცხადია, ეს შემთხვევით არ მომხდარა და გააჩნდა თავისი გამომწვევი მიზეზები. ამ საკითხს დიმიტრი უზნაძე, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა, როგორც ჩანს, ის ამას ორ გარემოებას უკავშირებდა. პერიკლეს პიროვნულ ხიბლს და ხალხის მხარდაჭერას. დიმიტრი უზნაძე, ვფიქრობთ, კარგად იცნობიერებდა, რომ პერიკლეს წარმატებები ხალხის აქტიური მხარდაჭერის გარეშე წარმოდგენილი იქნებოდა. ეს მეცნიერული მიდგომა იყო და ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია. „რითი დაიმსახურა მან ასეთი ნდობა და სიყვარული ცვალებადი ბუნების დემოსისა? ეჭვი არ არის, რომ ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი თვით პერიკლეს პიროვნება იყო. ბერძნებს თავისებური იდეალი ჰქონდათ ადამიანის შესახებ. სულის სიმშვენიერე და შესაფერისი გარეგანი გამოხატულება მშვენიერი სულია. აი რა მიაჩნდათ მათ ადამიანის პიროვნების სრულყოფად და პერიკლეს მართლაც მშვენიერი სული ჰქონდა. იგი გულწრფელი მომხრე იყო დემოსის გაძლიერებისა და მთელი ძალ-ღონით ამ თავის წრფელ რწმენას ემსახურებოდა. შეუძლებელი იყო, პერიკლეს რაიმე მოსაზრებით თავისი რწმენისათვის ელაღატა. მისი პატიოსნება არისტიდეს არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ თავის რწმენას იგი არა მარტო უმწიკვლო საქმით ემსახურებოდა. იგი ემსახურებოდა მას თავისი ლამაზი სიტყვითაც. პერიკლე შესანიშნავი მჭერმეტყველი (ორატორი) იყო და ლამაზ სიტყვას ათენში ყოველთვის დიდი გასავალი ჰქონდა, განსაკუთრებით, თუ იგი გულწრფელი რწმენის გამოხატულებას ემსახურებოდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ათენელთა თვალში აგრეთვე პერიკლეს დამშვიდებულ ხასიათსა და მის გარეგან სილამაზეს.

ეს მთავარი მიზეზი იყო. პერიკლეს არაჩვეულებრივი ამაღლებისა, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ მის დროს არ ყოფილა არც ერთი პიროვნება, რომელიც დემოსის ინტერესების მესვეურად გამოსულიყო და რითიმე პერიკლეზე მაღლა მდგარიყო. თემისტოკლე, არისტიდე და კიმონი თითქმის ერთსა და იმავე დროს ცხოვრობდნენ და რადგანაც ერთი მათგანი მეორეზე, რომელიმე მხრით მაინც მაღლა იდგა. ამიტომ ხან ერთს ჰყავდა მეტი თაყვანისმცემელი, ხან მეორესა და ხან კიდევ მესამეს. ეს იყო მიზეზი, რომ პერიკლესავით ხანგრძლივი და უცვლელი გაველენა არცერთს მათგანს არ შერჩენია“.²

დიმიტრი უზნაძეს მხედველობიდან არ გამოპარვია პერიკლეს როგორც პოლიტიკოსის კიდევ ერთი დადებითი თვისება. ჯერ კიდევ ანტიკური ავტორები აღნიშნავდნენ, რომ ის დაჯილდოვებული იყო ბუნებრივი ნიჭით და ბრწყინვალე ორატორული მონაცემები ჰქონდა. აი რას წერდა პლუტარქე „თავის სიტყვას პერიკლე, ვით საკრავ იარაღს, ისე უხმატკბილებდა საკუთარი ცხოვრების ნირს და მაღალგონიერებას. ძალზე ხშირად მიმართავდა ანაქსაგორას ჰანგებს და

¹ უზნაძე, დ. დას., ნაშრ., გვ. 146

² უზნაძე, დ. დასა 6., ნაშრ., გვ. 146-147

მჭერმეტყველებას ბუნებისმცოდნეობის საღებავით აფერადებდა...ეს მაღალგონიერება და ყველაფერში დასახული მიზნის საუკეთესოდ აღსრულების უნარი, როგორც ღვთაებრივი პლატონი ბრძანებს, - ბუნებისმცოდნეობისგან შეიძინა, აილო-აქედან ის, რაც სასარგებლო იყო. სიტყვის წარმოთქმის ხელოვნებისათვის“. ამის წყალობით ყველასგან გამოირჩეოდა კიდევ... სინამდვილეში პერიკლე იმდენად ფრთხილი იყო სიტყვაში, რომ მუდამ, როცა ტრიბუნისაკენ მიემართებოდა, ღმერთებს ევედრებოდა, ჩემდა უნებურად წინამდებარე საქმისთვის შეუფერებელი არაფერი წამომცდესო. არავითარი ჩანაწერები პერიკლეს არ დაუტოვებია, გარდა დადგენილებებისა. მოიხსენიება მისი სულ რამდენიმე გამონათქვამი... ერთხელ როცა ტრიბუნიდან სამოსზე დაცემულ მეომართა მოსაგონარ ხოტბას ამბობდა, უთქვამს - „ესენი ღმერთებივით უკვდავნი არიან. ჩვენ ღმერთებს ვერ ვხედავთ, მაგრამ იმ პატივთა მიხედვით, მათ რომ აქვთ და იმ სიკეთეთა მიხედვით ჩვენ რომ გვანიჭებენ მათ უკვდავებად ვაღიარებთ. სწორედ ასეთი თვისებები აქვთ მამული-სათვის თავდადებულებსაც“.¹

ფაქტობრივად, აქ სრულდება სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის პირველი ნაწილი და იწყება მეორე. აქ ის წამოჭრის ერთ თემას საბერძნეთის ყრილობის მოწვევას. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური.

„პერიკლეს მოღვაწეობა უმთავრესად 450 წლიდან იწყება. ეს ის ხანა იყო, როდესაც ათენის ბრწყინვალე მდგომარეობა საგრძნობლად შეირყა, როდესაც მან ბალკანების საბერძნეთის ჰეგემონიაზე ხელი აიღო და რამოდენიმე მოკავშირე ეგეოსის ზღვის კუნძულებზეც დაკარგა, როდესაც ეგვიპტეს მარცხის გამო მისი ქონებრივი და საომარი ძლიერება შესამჩნევად დასუსტდა.

ეს გარემოება პერიკლეს მოღვაწეობაზე შესაფერ გავლენას ახდენდა. ის ნათლად ხვდებოდა, რომ თემისტოკლეს და კიმონის გზაზე სიარული ათენისათვის უკვე შეუფერებელი იყო, რომ ახალი ომის საშუალებით მთელი საბერძნეთის ჰეგემონიის ხელში ჩაგდება ათენელთა ნამდვილ ძალ-ღონეს არ შეეფერებოდა და ამიტომ მან სხვა გზას მიმართა. მან მოწოდება გაუგზავნა საბერძნეთის სახელმწიფოებს, რომლითაც იგი ყველას ათენში იპატიჟებდა, რათა საერთო თათბირზე გადაეწყვიტათ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ამიერიდან. რაკი სპარსეთთან ომი დასრულებულად ითვლებოდა. ამ გზით პერიკლეს ათენის გავლენის განმტკიცება და საბერძნეთის სახელმწიფოთა მხრივ მისი პირველობის დადასტურება ეწადა, მაგრამ სპარსელებს კარგად ესმოდათ ათენის ეს განზრახვა და ამიტომ პელოპონესიდან ყრილობაზე არც ერთი წარმომადგენელი არ გამოცხადებულა. ასე ჩაიშალა პერიკლეს პირველი დიდი საქმე.“² სავსებით ვეთანხმებით დიმიტრი უზნაძეს პერიკლეს ამ წამოწყების შეფასებაში. მან ათენისათვის სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. ეს ამ თემაზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს.

ეს მსჯელობა, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ძალზე ზოგადია და, ჩვენი აზრით, კონკრეტულობა აკლია. სასურველი იქნებოდა მეტი კონკრეტიკა. ფაქტობრივი მასალისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება ამის გამოძახილი შეიძლება იყოს. სკოლის სახელმძღვანელო არ უნდა გადავტვირთოთ ფაქტობრივი მასალით, მაგრამ არც სულ მთლად განვტვირთოთ. ეს სხვა უკიდურესობა იქნებოდა. საუბარია ათენის ურთიერთობაზე სპარსელებთან. მან ხაზი გაუსვა, რომ ათენმა, როგორც იქნა დააღაგა სპარსეთთან ურთიერთობა და ეს სავსებით სამართლიანად ესახებოდა ათენის პოლიტიკის წარმატებად, მაგრამ მხოლოდ მინიშნების გაკეთება ამაზე, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა. საკმარისი არ უნდა იყოს და აღნიშნული საკითხის იგნორირების ტოლფასად მიგვაჩნია. ის კრინტს არ ძრავს ქრ-შ-მდე 449-წელს სპარსეთთან დადებულ კალიასის ზავზე. ახსენებს ეგვიპტეში განცდილ მარცხს, მაგრამ თარიღს არ მიუთითებს. ეს მოხდა ქრ-შ-მდე 459-454 წლებში. სკოლის სახელმძღვანელოში თარიღების მითითება სასურველი იქნებოდა.

¹ პლლუტარქე, დასახ. ნაშრ. გვ. 97-98

² უზნაძე, დ., დასახ., ნაშრ., 147-149

აქ, ბუნებრივია, წამოიჭრება ორი საკითხი: პირველი, დიმიტრი უზნაძე, რომელიც სიმპათიებით ეკიდებოდა პერიკლეს მმართველობას ხომ არ ამუქებდა ხელისუფლებაში პერიკლეს მოსვლამდე ათენში არსებულ სიტუაციას? ამ შემთხვევაში მას კონკრეტული ამოცანა ჰქონდა. კიდევ უფრო რელიეფურად წარმოეჩინა ათენის წინაშე პერიკლეს დამსახურება. ეს პერიკლესადმი მისი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების გამოხატვის კიდევ ერთი ხერხია. მეორე „ათენის მდგომარეობის საგრძნობლად შერყევაზე“ აპელირება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყოს.¹

რა თქმა უნდა, დიმიტრი უზნაძე ჩერდება ათენს და სპარტას შორის არსებულ უმწვავეს დაპირისპირებაზე. ეს სწორიცაა და მისი გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ეს პერიკლეს მმართველობაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. ეს სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის მესამე ნაწილია. ის მეორე მონაკვეთის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება. სპარტასთან დამაბული ურთიერთობა ლაიტმოტივად გასდევს პერიკლეს საგარეო პოლიტიკას და მისი ერთ-ერთი საინტერესო სიუჟეტია. ის ხაზს უსვამს, რომ მათ შორის დაპირისპირება პირველობისათვის ბრძოლის გამოძახილი იყო. პერიკლე გულხელდაკრეფილი არ ყოფილა და ემზადებოდა ამ დაპირისპირებისათვის. „პერიკლე ცხადად ხედავდა, რომ ადრე თუ გვიან ათენს პელოპონესის კავშირთან შეტაკება მოუხდებოდა. ამიტომ ის განუწყვეტლივ თავისი სამშობლო ქალაქის სამხედრო ძალების გამაგრების შესახებ ზრუნავდა. მისი ზეგავლენით ათენელებმა თავისი ქალაქიდან ორი დიდი გალავანი გაიყვანეს: ერთი ახალი ნავთსადგურის პირეოსისკენ. ხოლო მეორე ძველი ნავთსადგურისაკენ. ამის გარდა შესამჩნევლად გააძლიერეს თავისი ფლოტი და ქვეითი ჯარის რიცხვიც გაამრავლეს“.² ამ თემას ორი ასპექტი გააჩნია. ფაქტობრივად, სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის მეორე და მესამე საკითხი პერიკლეს საგარეო პოლიტიკას შეეხება. მათ შორის მჭიდრო გენეტიკური კავშირი არსებობს. ამიტომ მათი გაერთიანება გამორიცხვულად არ მიგვაჩნია. ეს ერთი. მეორე. ის შეეხება სპარტასთან ურთიერთობის გაშუქებას. შეიძლება ითქვას, რომ მან გარკვეული უკმარობის გრძნობა გაგვაჩნია. ეს იმით გამოიხატა, რომ მას ძალიან პატარა ადგილი აქვს დათმობილი. ეს არის ერთი აბზაცი, სულ რვა სტრიქონი. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა, საკმარისი არ უნდა იყოს და აღნიშნული საკითხის იგნორირების ტოლფასად მიგვაჩნია. სასურველი იქნებოდა ამ თემას ცოტა უფრო მეტი ადგილი დათმობოდა.

დიმიტრი უზნაძე თავის სახელმძღვანელოში ხაზს უსვამს ათენის კულტურული განვითარების საქმეში პერიკლეს მიერ შეტანილ წვლილს, რაც პერიკლეს მოღვაწეობის გაშუქების დასკვნით აკორდად გვევლინება და ჩვენი აზრით, პერიკლესადმი დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულების თავისებურ რეზიუმედ შეიძლება მივიჩნიოთ. ეს არის მეოთხე საკითხი, რომელსაც ის შეეხება თავისი სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთში. ეს თემატიკა ისტორიის სახელმძღვანელოებში ხშირად ჩრდილში რჩება და ამ საკითხის წინ წამოწევა ძალიან კარგია და ამ თემაზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის კიდევ ერთ პლუსად გვევლინება. „რაკი ათენმა სამხედრო ძლიერების მხრივ საბერძნეთში პირველობის ჩაგდება ვერ შეძლო, მას კულტურული ჰეგემონია მაინც უნდა მოეპოვებინა. ამას მრავალი გარემოება უწყობდა ხელს და პერიკლემ ყველა ამ გარემოებით მოხერხებულად ისარგებლა“.³ მხოლოდ კულტურის საკითხებზე აპელირება საკმარისი არ უნდა იყოს და პერიკლეს საშინაო პოლიტიკაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის.

დიმიტრი უზნაძის სახელმძღვანელოში პერიკლეს საშინაო პოლიტიკის გაშუქების განპირობებული უკმარობის გრძნობა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არაა და მასში, პირველყოვლისა, პერიკლეს რეფორმებისადმი უცნაური დამოკიდებულების გამოძახილს ვხედავთ. დიმიტრი უზნაძის

¹ ქავთარია, ვ. დასახ., ნაშრ., გვ. 161-168, წერეთელი, აღ. საბერძნეთის ისტორია ქ. თბილისი

² უზნაძე დასახ., ნაშრ., გვ. 149.

³ იქვე;

სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის წამყვანი თემა, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო. აქ უფრო მეტი გამჭვირვალობა იყო საჭირო, სასურველი იყო უფრო კონკრეტული მსჯელობა და არა ზოგადი.

რა თქმა უნდა, ეს იმას როდი ნიშნავს თითქოს პერიკლეს რეფორმებისადმი დიმიტრი უზნადის დამოკიდებულება უარყოფითი იყო. ეს სწორი არ იქნებოდა. ასეთი ნეგატიური დამოკიდებულება არ შეესატყვისებოდა დიმიტრი უზნადის მსოფლმხედველობას. მიგვაჩნია, რომ ის პერიკლეს რეფორმებს დადებითად ეკიდება და, ჩვენი აზრით, ამაზე თავისებური მინიშნება, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალეა. საქმე ის გახლავთ, რომ დიმიტრი უზნადის მიერ პერიკლეს მოღვაწეობის დადებით შეფასებაში, ჩვენი აზრით, პერიკლეს რეფორმებისადმი, მისი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ანარეკლი იკითხება. სასურველი იქნებოდა მას კონკრეტულად ესაუბრა ამ რეფორმებზე, რომელიც პერიკლემ განახორციელა. ჩამოეთვალა ისინი. ვფიქრობთ, ეს უფრო გამჭვირვალე იქნებოდა. ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გამჭვირვალე იქნებოდა. ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთს. რაც საინტერესო იქნებოდა და მხოლოდ მომგებიან ქულებს შეძენდა მას. პერიკლეს რეფორმებისადმი ასეთი არაპირდაპირი დამოკიდებულება უცნაურად გვეჩვენება და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ საკითხზე დიმიტრი უზნადის მსჯელობის მთავარ ნაკლად მიგვაჩნია. პერიკლეს რეფორმებისადმი დიმიტრი უზნადის მეთოდი საკამათოდ მიგვაჩნია.

ახლა მოდით ერთი წამით ამ მეცნიერულ პაექრობას ცოტა სხვა კუთხით შევხედოთ. ვფიქრობთ, ეს საინტერესო იქნებოდა. აქ გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენს მხოლოდ შენიშვნას. მას სულ სხვა დატვირთვა შეიძლება გააჩნდეს. ეს გახლავთ ჩვენი ფრთხილი იმ ცვლილებებზე, რომელიც შეიძლებოდა შეეტანა დიმიტრი უზნადეს სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის სრულყოფა, დახვეწა, ბოლომდე, რომ მოესწრო. ჩვენი ეს მოსაზრება შეეხება, როგორც ამ ნაშრომს, ისე ამ თემაზე ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ სხვა შრომებს. ამაზე მინიშნება ჩვენს ერთ-ერთ ნაშრომში საკმაოდ მკაფიოა. რომელიც¹ სახელმძღვანელოში პერიკლეს საგარეო და საშინაო პოლიტიკის გაშუქების მიმართების შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ შეიძლება იქნას. მან გარკვეული უკმარობის გრძნობა გაგვიჩინა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ავტორი ამ საკითხის გაშუქების ოპტიმალური ვარიანტის მოძიების პროცესში იმყოფება. სახელმძღვანელოზე მუშაობა ჯერ კიდევ არაა დასრულებული².

სახელმძღვანელოს დართული აქვს ილუსტრაციები. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მთლიანად სახელმძღვანელოს, კონკრეტულად კი ამ მონაკვეთის, კიდევ ერთი პლიუსია.

ეს მოსაზრება ეხება სახელმძღვანელოს მეთოდურ აპარატს. მას არ გააჩნია შეკითხვები. ამას აქვს მნიშვნელობა. ეს საშუალებას მისცემდა მასწავლებელს გამოარკვიოს თუ როგორ დაისწავლეს მოსწავლეებმა გაკვეთილი და აითვისეს ახალი მასალა. ამგვარი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ ყოფილა და საქართველოში ისტორიის მეთოდის გარიჟრაჟზე არსებული ვითარების ექოდ გაისმა.

არსებობს დიდი ალბათობა, რომ დიმიტრი უზნადე აქ შეჩერებას არ აპირებდა და ჩაფიქრებული ჰქონდა დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა, რაც ითვალისწინებდა სახელმძღვანელოს შემდგომ სრულყოფას, დახვეწას. ალბათ, ის გარკვეულ კორექტივებს შეიტანდა სახელმძღვანელოში, მათ შორის, შესაძლოა, ამ მონაკვეთშიც კონკრეტულად რას, ეს ძნელი სათქმელია. ეს საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ კიდევ ერთი საინტერესო დასკვნა. ამით სახელმძღვანელოზე მუშაობა კი არ დამთავრებულა, იწყებოდა. ვფიქრობთ, ეს უფრო სწორი იქნებოდა. განსაკუთრე-

¹ მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნადე, როგორც ისტორიკოსი, ანალები, N9, გვ. 112

этиуд, М. 1889. Суриков И., Перикл: человек давший имя эпохе, в кн: античная греция;политики в контексте эпохи, Время расцвета демократии, М., 2008 Туманс Х., Перикл во все времена, в кн: Вестник Российского государственного гуманитарного университета, Т. 10. М., 2010. წერიული, დასახ., ნაშრ., გ. ქავთარია, დასახ., ნაშრ.,

² პერიკლეს მოღვაწეობაზე უფრო ვრცლად იხ. Бузескул, В. Перикл, историко-критический этиуд, М., 1889

ბით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ უმთავრესად პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, მას ამის საშუალება არ მისცემია. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა. აი ასეთი იყო სამწუხარო რეალობა.

ამრიგად, დიმიტრი უზნაძემ თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწია საქართველოში პერიკლეს მოღვაწეობის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. ეს არ იყო პატარა საქმე და მისდამი ნიჰილისტური დამოკიდებულება სრულიად უადგილოა. ეს საბჭოთა მიდგომის რეანიმაციის მცდელობა იქნებოდა, რაც მიუღებლად მიგვაჩნია. მას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. ამ კულტურტრეგერულ მისიას მან შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი. ეს მის წარმატებად მიგვაჩნია, ეს იყო, სწორედ მთავარი. იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც, ფაქტობრივად, პერიკლეს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მშობლიურ ენაზე თითქმის არაფერი არ იყო დაწერილი, ეს წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და ამაზე თვალის დახუჭვა, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში უმართებულო უნდა იყოს. ის შეძლებისდაგვარად ცდილობს შეავსოს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ეს ვაკუუმი. სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება პერიკლეს მოღვაწეობისადმი სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და ევროპული პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გავლენის ექოდ გაისმის. ეს სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის კიდევ ერთი ღირსება იყო.

საქმე გვაქვს მცირე მოცულობის საისტორიო ნარკვევის შექმნის მცდელობასთან, რომელიც, ჩვენი აზრით, წარმატებულად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელსაც ღირსებები უფრო მეტი გააჩნდა, ვიდრე ნაკლი.

პერიკლეს მოღვაწეობისადმი დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება დადებითად მიგვაჩნია. ეს, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და მნიშვნელოვანწილად, ვფიქრობთ, იმით აიხსნება, რომ პერიკლეს საქმიანობის შეფასების დროს დიმიტრი უზნაძე პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე იდგა. მისი მიზეზები დიმიტრი უზნაძის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძებოთ და, უმთავრესად ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. 1. როგორც ჩანს, პერიკლეს მოღვაწეობა სავსებით შეესატყვისებოდა დიმიტრი უზნაძის პოლიტიკურ იდეალს და პერიკლე მისთვის სასურველ პოლიტიკურ ფიგურად ესახებოდა. გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ პერიკლე მას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის სავსებით მისაღებ პოლიტიკურ პერსონად ესახებოდა. 2. პერიკლეს მოღვაწეობისადმი დამოკიდებულება ისტორიაში პიროვნების როლის გაცნობიერებასთან ასოცირდებოდა, მის ლოგიკურ შედეგად მიგვაჩნია. ადვილი შესაძლებელია, რომ დიმიტრი უზნაძის სიმპათია პერიკლესადმი ქართული რეალობის გამოძახილიც ყოფილიყო. საქმე ის გახლავთ, რომ დიმიტრი უზნაძეს პერიკლე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის სავსებით მისაღებ პოლიტიკურ ფიგურად ესახებოდა. ცხადია, კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ. ეს მხოლოდ ჩვენი ფრთხილი ვარაუდია. ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი ხომ არ აიღიალებდა, უსაშველოდ განადიდებდა, დიმიტრი უზნაძე პერიკლეს მოღვაწეობის მნიშვნელობას? ხომ არ აჭარბებს ის ისტორიაში პიროვნების როლს? ამ კითხვაზე პასუხი, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს და ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია. რა თქმა უნდა, არა. პერიკლესადმი დიმიტრი უზნაძის სიმპათია არ გადაიზრდება პერიკლეს აპოლოგიაში, მის უსაშველო განდიდებაში. ის არ წარმოადგენს პერიკლეს პანეგერიკს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და უზნაძის სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს. ეს გახლავთ, პერიკლეს მოღვაწეობისადმი მეცნიერული დამოკიდებულება. აქცენტები კეთდება პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები.

დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება პერიკლეს რეფორმებისადმი უცნაურად გვეჩვენება. ეს იმით გამოიხატება, რომ მას არ გააჩნია გამჭვირვალობა, მეტად ზოგადია და კონკრეტულობა აკლია. ის ამ თემაზე ზოგად მსჯელობას ანიჭებს პრიორიტეტს. ჩვენი აზრით, ეს საკმარისი არ უნდა იყოს და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა საკამათოდ მიგვაჩნია. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ დიმიტრი უზნაძე პერიკლეს რეფორმების მიმართ ინდიფერენტულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს? ჩვენი ღრმარწმენით, პასუხი შეიძლება ერთი იყოს. არავითარ შემთხვევაში არა, ჩვენ ვცადეთ, რომ პერიკლესადმი დიმიტრი უზნაძის სიმპათიაში მის მიერ განხორციელებული რეფორმებისადმი კეთილგანწყობილების არაპირდაპირი გამოძახილი დაგვეჩვენა. ვფიქრობთ, ეს უფრო სწორი შეიძლება იყოს. სასურველი იქნებოდა სახელმძღვანელოში პერიკლეს რეფორმების ცალკე საკითხად გამოყოფა და მოკლედ ჩამოთვლა.

აი ასე გვესახება პერიკლეს მმართველობისადმი დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულების შექმნრილილები.

Merab Kalandadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

DIMITRI UZNADZE ON PERICLES

RESUME

The present work is historiographical in nature and aims to find out what the attitude of the famous Georgian scientist, the Patriarch of the Georgian School of Psychology and at the same time the historian Dimitri Uznadze towards the work of Pericles (444-429 BC) might have been. Coverage of the issue in this regard is interesting and we consider it topical. This is a novelty, it has a Georgian context and it seems to be the first attempt to study this issue.

Dimitri Uznadze, in his first national school textbook on the history of "Ancient Greece", naturally refers to Pericles's work and tries to express his attitude towards this issue. Here this guide is our main source. This scarce information, of course, is very little, it should not be enough, but we do not have other more tangible material and we have to believe what we find.

First of all, the awareness of Dimitri Uznadze in this issue attracts attention. This, of course, is not accidental, and is, first of all, the logical result of empirical, factual, material knowledge, which we consider to be the main dignity of his reasoning on this subject.

These are not facts dry narration, accumulation of facts. Such reasoning would not be interesting. It has an evaluative load, which makes his reasoning on this topic historiographical. This is already interesting.

First of all, it is necessary to select the right criterion. This is of great importance. Strict scientific criteria are not measurable here. Dimitri Uznadze obviously did not set such high goals. He faced a much more modest task and sought to popularize the issue. It can be said that he did not cope with this cultural task. We consider this to be his success. This reasoning would make the Georgian society, first of all, of course, the student youth, well-educated and would form a general idea of Pericles's work. That was the point of this debate, we think. From today's point of view, it should not be advisable to judge him harshly, it would be an easy way to go and we consider it hypercritical.

We consider Dimitri Uznadze's attitude towards Perikle's work positive. Such an approach, of course, was not accidental and its reasons should be sought, first of all, in the worldview of Dimitri Uznadze. It can be explained by two circumstances: 1. Dimitri Uznadze tried to evaluate Pericles's work from progressive-liberal positions. Pericles's work was in line with his political ideal.2.

Dimitri Uznadze should have been well aware of the importance of the role of a person in history. In this sense, the attitude towards Pericles's work is noteworthy. We are dealing with a scientific approach to the issue, which naturally has its strengths and weaknesses.

Further refinement of some issues, in our opinion, should not be ruled out. First of all, we consider Dimitri Uznadze's strange attitude towards Pericles reforms. This topic should have been much more transparent.

ოკუპირებულ აფხაზეთში პოლიტიკური პროცესების განვითარების საკითხისათვის
(1994-2007 წწ.)

რუსეთ-საქართველოს აფხაზეთის ფრონტზე ძალთა დაპირისპირება ოფიციალური თბილისის წინააღმდეგ იყო და შესაბამისი შედეგიც დადგა. კრემლმა შეძლო მრავალწლიანი მიზნის წარმატებით დასრულება და აფხაზეთზე სრული კონტროლი მოიპოვა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნახევარ მილიონიანი მოსახლეობიდან, 300 ათასზე მეტი სხვადასხვა ეროვნების (ქართველები, აფხაზები, რუსები, სომხები, ესტონელები, ბერძნები) ადამიანი იძულებული გახდა საკუთარი სახლ-კარი დაეტოვებინა - მათ დიდ ნაწილს ენგურს გამოლმა საქართველოსათვის შეეფარებინა თავი, ნაწილი კი უცხოეთში (რუსეთის ფედერაცია, ევროპის რიგი ქვეყნები, აშშ) გადახვეწილიყო.

„დამოუკიდებელ“ აფხაზეთში 1993 წლის 27-30 სექტემბრის მოვლენებს „ისტორიულ გამარჯვებად“ აფასებენ, რომელიც ე.წ. „აფხაზეთის ხალხის სამამულო ომში“ მოიპოვეს. პროფესორ ზურაბ პაპასქირის სავსებით სამართლიანი შენიშვნით, აღნიშნული თეზა ელემენტარულ კრიტიკასაც ვერ უძლებს, რადგან „ამ „აფხაზეთის ხალხის“ თითქმის 2/3 აიყარა მშობლიური კუთხიდან და საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა. ამ ლოგიკით გამოდის, რომ ეს 2/3 არ იყო „აფხაზეთის ხალხის“ ნაწილი, რაც სრული აბსურდია და ვერავითარ სამართლებრივ ნორმებში ვერ ვხვდებით.“¹

ამდენად, რუსეთის პირდაპირი მხარდაჭერით განხორციელდა საქართველოს ისტორიული ნაწილიდან – აფხაზეთიდან – ქართული მოსახლეობის, ფაქტობრივად, სრული გამოდევნა, გენოციდი და ეთნოწმენდა. საინტერესოა, რომ ეს ფაქტი საქართველომ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების წინაშე ვერ კიდევ საომარი მოქმედებების მსვლელობისას – 1993 წლის 1 აპრილს დააყენა, როცა უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო დადგენილება, რომელშიც რუსეთის ფედერაცია აფხაზეთში ქართველთა ეთნიკური წმენდისა და გენოციდის პოლიტიკის ხელშეწყობის წახალისებაში იქნა დადანაშაულებული.²

აი, ამ ფონზე დაიწყო „ფუნქციონირება“ „დამოუკიდებელმა“ აფხაზეთმა „სახელმწიფოებრიობამ“, რომელშიც იმთავითვე აფხაზური ეთნოკრატია დამკვიდრდა, რაც, უნდა აღინიშნოს, მათივე პატრონში – რუსეთის ფედერაციის – აღშფოთებას იწვევს. როგორც ცნობილი პოლიტოლოგი და პუბლიცისტი ანდრეი ეპიფანცევი შენიშნავს, „აფხაზეთში ტოტალური ეთნიკური დომინირების რეჟიმი დამყარდა, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი უკვე „აპართეიდის რბილ ფორმას“ უწოდებს.“³ სხვაგან ის უფრო მკვეთრ განცხადებებს აკეთებს ამ მიმართულებით: „თანამედროვე აფხაზეთი – ეს არის შუა საუკუნეების ბანდიტურ-ეთნიკური პროექტი, რომელსაც დღევანდელი საზოგადოების პირობებში დიდხანს სიცოცხლე არ უწერია... ეს არის „ეთნიკურ-ბანდიტური ნაკრძალი“, რომლის არსებობის გადაფარვა რიტუალებით, დამოუკიდებლობის თაო-

¹ **ზ. პაპასქირი.** აფხაზეთის კონფლიქტი 20 წლის გადასახედიდან. *ზოგადი ხედვა*, – წგნ. საქართველო. ისტორიული წარსული და თანამედროვეობა. თბ., 2016, გვ. 435

² **ლ. სარალიძე.** ომი აფხაზეთში (1992-1993 წწ.), – წგნ.: **დ. კუმბურიძე, ვ. კიკნაძე, ხ. ქოქრაშვილი, ლ. სარალიძე.** საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (*სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით*). წ. 2. თბ., 2016, გვ. 445.

³ **А. Епифанцев.** Опять к вопросу об этнократии в Абхазии, – «*Эхо Кавказа*». 5 ноября, 2012 (<https://www.ekhokavkaza.com/a/24761473.html>).

ბაზე და რაღაც „განსაკუთრებულ პროექტზე“, შეუძლებელია... ეს ჩიხია“.¹ თუმცა, ამგვარ მკვეთრ შეფასებებში ა. ეპიფანცევი მარტო არ იყო. ჯერ კიდევ 1993 წლის ნოემბერში ევროპის პარლამენტმა აფხაზ სეპარატისტთა ხელისუფლებას „ბანდიტურ-ტერორისტული მოძრაობა“ უწოდა.²

როგორც პროფესორი დ. ჯოჯუა აღნიშნავს, აფხაზეთის საქართველოსაგან სეცესიას საფუძვლად ედო არა თვითგამორკვევის საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმების ან დევიოლუციის პლებისციტარული შიდაკონსტიტუციური პროცესი, არამედ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ სეპარატისტთა ანტიკონსტიტუციური ამბოხი და სამხედრო დაუმორჩილებლობა, „კონკრეტულად – რუსეთ-საქართველოს ომში უშუალო მონაწილეობის გზით.“³

აფხაზი მკვლევარი, ფ. ავიბა შეისწავლის რა სეპარატისტთა „სახელმწიფოს“ განვითარებას 1993-2008 წლებში, 3 ეტაპს გამოჰყოფს: 1) 1993-1999 წლები, „როდესაც აფხაზეთი ძლიერი ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური, საინფორმაციო ბლოკადის და აქედან გამომავალი ყველა შედეგების პირობებში იმყოფებოდა“; 2) 1999-2008 წწ. – „ეკონომიკური ბლოკადისა და პოლიტიკური იზოლაციის თანდათანობითი შერბილების დრო, რაც შესაძლებელი გახდა, პირველ ყოვლისა, იმით, რომ აფხაზეთმა გაუძლო დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირველ პერიოდს“; 3) „2008 წლის 26 აგვისტოდან – აფხაზეთის რესპუბლიკა – აღიარებული სახელმწიფო“.⁴

მკვლევარის მიერ აღნიშნული ქრონოლოგიისათვის წარმოდგენილი კრიტერიუმები ელემენტარულ კრიტიკასაც ვერ უძლებს, ვინაიდან “პირველ პერიოდში“ რეალურად არანაირ განსაკუთრებულად „მკაცრ“ ეკონომიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ და საინფორმაციო ბლოკადას ჰქონია ადგილი. ეს უფრო ფორმალური, „საქადაღდე“ იყო. ეს რომ ასეა, ნათლად ჩანს პროფესორ ბ. კვარაცხელიას კვლევიდან: რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის ვ. ჩერნომირდინის №1144 დადგენილების (25.11.1995) თანახმად, აფხაზ სეპარატისტთა რეჟიმს მიეცა შესაძლებლობა რუსეთის რეგიონებთან სავაჭრო-ეკონომიკური და სხვა სახის ურთიერთობათა დამყარებისა. ამის გარდა, სოხუმის დე-ფაქტო რეჟიმი აქტიურად იყო ჩართული ჩრდილოკავკასიისა და რუსეთის ფედერაციის სხვა წევრებთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტაქტებში.⁵ თუმცა, ეკონომიკის მკვლევრები თანხმდებიან, რომ ამ სანქციებმა და ბლოკადამ გარკვეულ წილად უარყოფითად იმოქმედა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაზე.⁶ მაგრამ ამას მაინც არ ჰქონდა მიზნად კონფლიქტის მოგვარება. პირიქით, ამ სანქციების შედეგებს აფხაზეთის კიდევ უფრო მტკიცედ უნდა დაეკავშირებინა რუსეთის ეკონომიკურ სივრცესთან.

რაც შეეხება „მეორე პერიოდში“ ავტორის მიერ შემჩნეულ „შერბილებას“, რეალურად ეს დრო დაემთხვა რუსეთის ხელისუფლებაში ვლადიმირ პუტინის მოსვლას და თანდათანობით ამ სახელმწიფოს მხრიდან დასავლეთის მიმართ ხელახალი „ცივი ომის“ დაწყებას; “შესაძებ პერიოდის“ დამახასიათებელ „კრიტერიუმზე“ საერთოდ საუბარიც კი ზედმეტია.

1993 წლის 8 ოქტომბერს საქართველო იძულებული გახდა დსთ-ში გაწევრიანებულიყო. როგორც აფხაზი მკვლევარი ა. ავიბა მიიჩნევს, აფხაზეთში მარცხმა თბილისი აიძულა პრორუ-

¹ **ზ. პაპასქირი.** აფხაზეთის კონფლიქტი 20 წლის გადასახედიდან, გვ. 436-437.

² **В. А. Чирикба.** Грузино-абхазский конфликт: в поисках путей выхода, – https://poli.vub.ac.be/publi/Georgians/russian/pdf/03_Chirikba.pdf, 1998, გვ. 2-3.

³ **დ. ჯოჯუა.** აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები. თბ., 2007, გვ. 205.

⁴ **А. Ф. Авидзба.** Становление независимого Абхазского государства и Российская Федерация (1993–2008 гг.), – Ученые записки Центра изучения Центральной Азии, Кавказа и Урало-Поволжья ИВ РАН. Том I: Абхазия. Ответственный редактор А. Ю. Скаков. Москва, 2013, гв. 209.

⁵ **ბ. კვარაცხელია.** რუსულ-ქართული კონფლიქტი აფხაზეთში და საერთაშორისო თანამეგობრობა. თბილისი, 2012, გვ. 68-69.

⁶ **თ. შენგელია, ბ. გასვიანი, ხ. ბერიშვილი, ლ. ხიზაძე.** აფხაზეთის ეკონომიკა. თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. თბ., 2020, გვ. 28.

სული საგარეოპოლიტიკური ვექტორი აერჩია.¹ თუკი აქ ჩვენი ენგურსგალმელი კოლეგის პოპულარულ მოვამორებთ, თვალნათლივ გამოჩნდება, რომ 1992-1993 წლების ომი არ იყო აფხაზურ-ქართული ეთნიკური კონფლიქტი. ეს იყო რუსეთ-საქართველოს ომი, რომლის მიზანიც სწორედ თბილისის საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის კრემლის სასარგებლოდ კორექტირება იყო. მეორე აფხაზი მკვლევარი ს. ლაკობა შენიშნავს, რომ, მიუხედავად ამ ორგანიზაციაში შესვლისა, „აფხაზურ პრობლემასთან დაკავშირებით თბილისმა ვერ მიიღო ნათელი გარანტიები“.² ჩანს, სოხუმში კარგად იცოდნენ, რომ მოსკოვი 1993 წლის სექტემბრის მიწურულს დამდგარი რეალობის ცვლილებას არ აპირებდა. და მართლაც: იამვე ნაშრომის სხვა გვერდზე ს. ლაკობა ნათლად წერს: „რუსეთმა მიაღწია იმას, რაც სურდა (იგულისხმება ქართველთა გაძევება აფხაზეთიდან და საქართველოს დსთ-ში გაწევრიანება – კ.კ.)“.³

საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, 1993 წლის ნოემბერში, გაერო-ს ეგიდით, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის საბჭოსა⁴ და რუსეთის ხელშეწყობით, ჟენევაში ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესი დაიწყო. პირველ რაუნდზე (30.11-01.12) ორივე მხარემ ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერა ხელი. ხოლო მეორე რაუნდზე (11-13.01.1994) კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების შეყვანაზე მსჯელობდნენ.⁵

საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, სეპარატისტული რეჟიმის „უმაღლესმა საბჭომ“ პირველივე სესიაზე 1993 წლის 10 დეკემბერს რამდენიმე საკანონმდებლო აქტი მიიღო: „კონსტიტუციის პროექტის შესახებ“, „აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“, „აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გადარქმევის შესახებ“, „აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობის“ შესახებ“ და სხვ.⁷

1994წ. 4 აპრილს მოსკოვში გაფორმდა ოთხმხრივი (გაერო, ეუთო, რუსეთი, საქართველო) ხელშეკრულება ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ. დოკუმენტი ფაქტობრივად კაპიტულანტურია მისი არსით, რადგან მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი მშობლიურ კუთხეში დაბრუნებისაკენ გზას უკეტავდა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე პირებს. დ. პიპინაშვილის შეფასებით, „ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების მხრიდან ამ დათმობაზე წასვლა წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული ინტერესების უგულვებელყოფას, რაც ღალატის ტოლფასად მიგვაჩნია.“⁸

სეპარატისტული ხელისუფლება, რომელსაც კოდორ-ენგურის შუამდინარეთი სავსებით შემთხვევით ჩაუვარდა ხელთ 1993 წლის სექტემბრის მიწურულს, სასტიკად აწიოკებდა გალის რაიონში დარჩენილ ქართულ მოსახლეობას. 1994 წელს მოხერხდა უსაფრთხოების 24 კილომეტრიანი ზონის (12-12 კილომეტრი მდინარე ენგურის ორივე სანაპიროზე), რომელშიც დსთ-ს

¹ **А. Ф. Авидзба.** Военно-политическая история Абхазии в 1989-1999 гг., – *Абхазоведение: археология, этнология, история.* Выпуск 11. Сухум, 2018, გვ. 130.

² **С. З. Лакоба.** Абхазия – де-факто или Грузия де-юре? (*О политике России в Абхазии в постсоветский период. 1991-2000 гг.*). Саппоро, 2001, გვ. 84.

³ **С. З. Лакоба.** Абхазия – де-факто или Грузия де-юре?, გვ. 86.

⁴ 1995 წლიდან მას ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია ეწოდება.

⁵ **А. Ф. Авидзба.** Военно-политическая история Абхазии в 1989-1999 гг., გვ. 210.

⁶ აფხაზეთის „მთავრობის თავმჯდომარეები“ (1993-2007წწ.): *სოკრატ ჯინჯოლია* (1993-1994), *ვენადი ვაგულოა* (აპრ., 1995 – 29.04.1997), *სერგეი ბაგაფში* (29.04.1997 – 20.12.1999), *ვიარესლაჟ ცუგბა* (20.12.1999 – 30.05.2001), *ანრი ჯერგენია* (7.06.2001 – 29.11.2002), *ვენადი ვაგულოა* (მეორედ: 29.12.2002 – 22.04.2003), *რაულ ხაჯიძე* (22.04.2003 – 6.10.2004), *ნოდარ ხაშა* (6.10.2004 – 14.02.2005), *ალექსანდრ ანჭეაბი* (14.02.2005 – 13.02.2010).

⁷ **Э. Р. Агумава.** Становление независимого абхазского государства в послевоенный период (1993-1999 гг.). *Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук.* Сухум, 2017, გვ. 24-25.

⁸ **დ. პიპინაშვილი.** სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონალური სტაბილურობის პრობლემები. *პოლიტიკურ მეცნიერებებში ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია.* თბილისი, 2008, გვ. 126.

“ცისფერჩაფხუტიანები“ (არსებითად – რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ნაწილები) ჩადგნენ.¹

1994 წლის 9 ივნისს რუსეთის პრეზიდენტმა ბ. ელცინმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რუსეთის შეიარაღებული ძალების დსთ-ის სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ. 21 ივნისს დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების კონტიგენტი, რომელიც მთლიანად დაკომპლექტებული იყო რუსი სამხედროებით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგდა.²

რეალურად ამით შეიქმნა სეპარატისტული რეჟიმის „სასაზღვრო დაცვა“. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ „სამშვიდობოები“ მშვიდობის უზრუნველყოფას ნამდვილად არ ემსახურებოდნენ და ქართული საზოგადოება არაერთხელ აყენებდა კონფლიქტის ზონიდან მათი გაყვანის საკითხს. როგორც პროფესორი ბ. კვარაცხელია სავსებით სამართლიანად აფასებს, რუსეთის „სამშვიდობოების“ ჩაყენება ქართველებსა და აფხაზებს შორის, „ეს იყო მიუტევებელი შეცდომა. რუსეთის ფედერაციას არ ჰქონდა მორალური უფლება კონფლიქტის ზონაში შუამავლის მისია დაკისრებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ის 1992-1993 წლებში აქტიურად იყო ჩაბმული სამხედრო ოპერაციებში. ფაქტობრივად რუსეთი იყო კონფლიქტის მხარე“.³

თუმცა, იყო შემთხვევა, როცა სეპარატისტებსა და „ცისფერჩაფხუტიანებს“ შორის დაძაბულობაც აღინიშნა. კერძოდ კი, რუს სამხედროებსა და აფხაზ მოსახლეობას შორის 1994 წლის 25 აგვისტოს კონფლიქტი მოხდა.⁴ 13 სექტემბერს კი გალში აფხაზებმა ორი რუსი „სამშვიდობო“ მოკლეს.⁵ ამან იმდენად აღაშფოთა რუსები, რომ მათ, 13 სექტემბერს, ღამით, ენგურზე არსებული ბლოკ-პოსტები მოხსნეს.⁶ 1994 წლის 14 სექტემბრის დღით რუსმა „სამშვიდობოებმა“ დაიკავეს გალის მილიციის, კავშირგაბმულობისა და სხვა მნიშვნელოვანი შენობები. პროცესებს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალი გეორგ კონდრატიევი. როგორც „სამშვიდობოების“ მეთაური აცხადებდა, მას ჰქონდა ბრძანება პრეზიდენტ ბორის ელცინისაგან, რათა გალში დევნილები შეეყვანა.⁷ ამის შესახებ, საკუთრივ კონდრატიევი დევნილებს ესაუბრა.⁸

როგორც ჩანს, კრემლში ერთმანეთთან დაპირისპირებული ძალების კონფლიქტის შედეგი უნდა იყოს. ერთის მხრივ, პრეზიდენტი ელცინი, რომლის გუნდის წევრიც ჩანს გ. კონდრატიევი, ხოლო მეორეს მხრივ, თავდაცვის მინისტრი გენერალი პავლე გრაჩევი, რომელიც, როგორც ცნობილია, უკიდურესად უარყოფითად იყო განწყობილი საქართველოს მიმართ და აფხაზ სეპარატისტებს მფარველობდა. ცნობილია, რომ თავდაცვის მინისტრსა და მის მოადგილეს შორის დაპირისპირება არსებობდა, რომელიც მალე – „ჩეჩნეთის I ომთან“ დაკავშირებით – გამოჩნდა, როდესაც გ. კონდრატიევმა არ გაიზიარა პ. გრაჩევის „ქორისებური“ პოზიცია და თანამდებობა დატოვა.⁹ აქედან ჩანს, რომ ამ მოვლენებში პ. გრაჩევი არ იღვწოდა საქართველოს სასიკეთოდ, როგორც ამის წარმოჩენას აფხაზი ვინმე ვ. ჩამაგუა ცდილობს.¹⁰

ელცინის გუნდმა მიიჩნია, რომ საქართველო აწ უკვე სრულად იყო რუსეთზე დამოკიდებული, მთავრობაში აშკარა პროკრემლისეულ პერსონებს საკვანძო თანამდებობები ეჭირათ (მაგ.,

¹ დ. მუსხელიშვილი, მ. სამსონაძე, ალ. დაუშვილი. საქართველოს ისტორია. უძველესი დროიდან 2009 წლამდე. თბ., 2012, გვ. 533.

² დ. პაპინაშვილი. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონალური სტაბილურობის პრობლემები, გვ. 127.

³ ბ. კვარაცხელია. რუსულ-ქართული კონფლიქტი აფხაზეთში., გვ. 67.

⁴ А. Ф. Авидзба. Военно-политическая история Абхазии в 1989-1999 гг., გვ. 130.

⁵ გ. ჩარკვიანი. ნაცნობ ქიმერათა ფერხული. თბ., 2016, გვ. 174.

⁶ А. Ф. Авидзба. Военно-политическая история Абхазии в 1989-1999 гг., გვ. 131.

⁷ А. Ф. Авидзба. Военно-политическая история Абхазии в 1989-1999 гг., გვ. 131.

⁸ გ. ჩარკვიანი, დას. ნაშრ. გვ. 174.

⁹ Умер известный брянский военачальник Георгий Кондратьев, – «Брянск Today», 13.07.2020 – <https://bryansktoday.ru/article/133069>.

¹⁰ В. З. Чамагуа. Информационная политика В. Г. Ардзинба и борьба абхазского народа за независимость и становление абхазской государственности (1989-2005 гг.). Сухум, 2017, გვ. 285-286.

თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თავმჯდომარე გენერალ-მაიორი ივორ გიორგაძე¹). ამიტომ დასაშვებად მიჩნდა, თბილისისათვის გარკვეული სატყუარას მიგდება – გალის რაიონში დევნილთა დაბრუნებით. როგორც ჩანს, ამაზე უნდა მიუთითებდეს გენერალ კონდრატიევის სიტყვები, რომელიც, ვლ. არძინბას თქმით, რუს სამხედროს მისთვის უთქვამს, რომ მას ხელმძღვანელობისგან გარკვეული დავალებები ჰქონდა ამ მიმართულებით.²

დევნილთა დაბრუნების პერსპექტივამ, აფხაზეთში მიტინგები გამოიწვია. მდგომარეობა იმდენად რთული იყო, რომ სეპარატისტთა „უმაღლესმა საბჭომ“ რუს „სამშვიდობოთა“ საწინააღმდეგო განცხადებებიც კი გააკეთა.³ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სასწრაფოდ განცხადება გააკეთა, რომ „სამშვიდობებს“ არ ევალებათ დევნილთა დაბრუნება.⁴

პ. გრაჩევის ჩარევით, 16 სექტემბერს „სამშვიდობოები“ დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდნენ, ხოლო ახალ ათონში ე. შევარდნაძისა და ვლ. არძინბას უშედეგო შეხვედრა შედგა.⁵

1994 წლის სექტემბრის დასაწყისში სეპარატისტულ რეჟიმს საკმაოდ ღრმა პოლიტიკური კრიზისი შეექმნა. მოსახლეობა ძალიან მკაცრად აკრიტიკებდა დე-ფაქტო ხელისუფლებას. ყოველივე ამის შედეგად საქმე იქამდე მივიდა, რომ 8 სექტემბერს ვლ. არძინბამ „უმაღლესი საბჭოს“ თავმჯდომარეობიდან გადადგომის განცხადება დაწერა და, ოჯახთან ერთად, აფხაზეთის მთიანეთში, კურორტ ავადჰარაში გაემგზავრა. მის მაგალითს მოადგილეებმაც (გ. ალამია და ს. ლაკობა) მიბაძეს.⁶ თუმცა, გალში შექმნილი ვითარების გამო, „ერის ლიდერს“ დაბრუნება სთხოვეს.⁷

საინტერესოა, რომ ამ ინციდენტს ო. ბლაჟბამ და ს. ლაკობამ მათ მიერ ერთობლივად შექმნილ აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელოში გვერდი აუარეს და არ ახსენეს. პირიქით, ისინი მადლიერებით აფასებენ რუს „სამშვიდობოთა“ მოღვაწეობას აფხაზეთში.⁸

1994 წლის 26 ნოემბერს სეპარატისტულმა ხელისუფლებამ აფხაზეთის „კონსტიტუცია“ მიიღო,⁹ რომლის საფუძველზე, „უმაღლესმა საბჭომ“ ვლ. არძინბამ „პრეზიდენტად“ აირჩია (**Ведомости...**, 2008: 46),¹⁰ რომლის „ინაუგურაცია“ იმავე წლის 6 დეკემბერს გაიმართა.¹¹ ეს იყო „კონსტიტუციის“ უხეში დარღვევა, ვინაიდან მისი IV თავის – „აღმასრულებელი ხელისუფლება“ – 48-ე მუხლის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლება ენიჭება პრეზიდენტს, რომელიც, 49-ე მუხლის თანახმად, არჩეული უნდა იყოს საყოველთაო პირდაპირი და ფარული კენჭისყრით.¹² 1995 წლის 5 იანვარს ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს ვ. არშბა.¹³ „კონსტიტუცია“ აქაც დაირღვა, რადგან 54-ე მუხლის თანახმად, ვიცე-პრეზიდენტი პრეზიდენტთან ერთად უნდა ყოფილიყო არჩეული.¹⁴

¹ 1994 წ. 18 დეკემბერს გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება მიენიჭა. ს. ლაკობა სამართლიანად შენიშნავს, რომ ი. გიორგაძე „რუსეთის გენერალი... არსებითად შევარდნაძეზე იყო მიმავრებული“ (С. З. Лакоба. Абхазия – де-факто или Грузия де-юре?, გვ. 84).

² В. Г. Ардзинба. Моя жизнь. Воспоминания. Сухум, 2018, გვ. 325-326.

³ В. Г. Ардзинба. Моя жизнь. Воспоминания, გვ. 326.

⁴ გ. ჩარკვიანი. ნაცნობ ქიშკრათა ფერხული. თბ., 2016, გვ. 174.

⁵ А. Ф. Авидзба. Военно-политическая история Абхазии в 1989-1999 гг., გვ. 131.

⁶ В. Г. Ардзинба. Моя жизнь. Воспоминания, გვ. 323-324.

⁷ В. Г. Ардзинба. Моя жизнь. Воспоминания, გვ. 324.

⁸ О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии. С древнейших времен до наших дней. Сухум, 2007, გვ. 362.

⁹ Конституция Республики Абхазия 1994 года, – *Документы по политической истории Абхазии*. Выпуск 2: *Конституции Абхазии*. XX век. Составители: С. З. Возба, Т. А. Шанава. Сухум, 2015.

¹⁰

¹¹ А. Ф. Авидзба. Военно-политическая история Абхазии в 1989-1999 гг., გვ. 130.

¹² დ. ჯოჯუა. აფხაზეთი 1938-2006 წლებში, გვ. 215; Конституция Республики Абхазия 1994 года, გვ. 159-160.

¹³ Э. Р. Агумава. Становление независимого абхазского государства в послевоенный период (1993-1999 гг.), გვ. 33.

¹⁴ Конституция Республики Абхазия 1994 года, გვ. 162.

უნდა აღინიშნოს, რომ „კონსტიტუცია“ მიღებული იქნა აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ნების გაუთვალისწინებლად. ამიტომ იგი „არ შეესაბამებოდა დემოკრატიისა და საპარლამენტო უზენაესობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს“.¹ კონსტიტუცია უარყოფითად ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის საბჭოს (ეუთს)² 1994 წელს ბუდაპეშტის სამიტმა.³

დამტკიცებული „კონსტიტუციის“ „საყოველთაო“-სახალხო „რეფერენდუმმა“ მხოლოდ 5 წლის შემდეგ – 1999 წლის 3 ოქტომბერს – მოიწონა.⁴

საინტერესოა, რომ ე.წ. „აფხაზეთის ხალხის სამამულო ომში“ „გამარჯვებამ“ და „დამოუკიდებლობის“ მოპოვებამ, აფხაზებში „პირველი პრეზიდენტის“ – ვლ. არძინბას – პიროვნების კულტი ჩამოაყალიბა.⁵ თუმცა, მოგვიანებით, პოლიტიკური ისტებლიშმენტის არძინბასეული გუნდიდან მის მიმართ გარკვეული უარყოფითი ელფერის შემცველი შეფასება გაკეთდა ჯერ კიდევ „ერის მხსნელის“ სიცოცხლეშივე. ასე, მაგალითად, ს. ლაკობამ ვლ. არძინბა „მოსკოვის კაცად“ (*«Он, конечно же, был московским ставленником»*).⁶ ამან „პირველი პრეზიდენტის“ აღშფოთება გამოიწვია.⁷ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ეს შეფასებაა ალბათ ერთადერთი ობიექტური შენიშვნა ს. ლაკობას სამეცნიერო მოღვაწეობიდან.

ეუთს-ს 1994 წელს ბუდაპეშტის სამიტზე მონაწილე სახელმწიფოებმა გამოთქვეს ღრმა შემფოთება აფხაზეთში „ეთნიკური წმენდის, მოსახლეობის, განსაკუთრებით ქართველთა, თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან მასობრივი განდევნისა და უღანაშაულო მოქალაქეთა დიდი რაოდენობით დაღუპვის გამო“.⁸ როგორც გ. ჩარკვიანი შენიშნავს: „...ქართულმა საგარეო პოლიტიკამ დიდ საინფორმაციო ომში ერთი ბრძოლა მაინც მოიგო“.⁹ ამ მიმართულებით შემდგომი დიპლომატიური წარმატება ისევ ეუთო-ში მიაღწია საქართველომ, რომლის 1996 წლის ლისაბონისა¹⁰ და 1999 წლის სტამბოლის¹¹ სამიტებმა (რუსეთის მონაწილეობით და თანხმობით) კვლავ დაადასტურა აფხაზეთში ქართველთა ეთნოწმენდის ფაქტი.

1994 წლის 19 დეკემბერს რუსეთის მთავრობამ აფხაზეთს ეკონომიკური, ფინანსური და სასაზღვრო ბლოკადა დაუწესა. რა თქმა უნდა, აქ, პირველ რიგში, კრემლის უშუალო კერძო ინტერესები ჩანს, ვინაიდან ერთი კვირით ადრე (11 დეკემბერს) დაიწყო ე.წ. პირველი ჩეჩნური ომი. აფხაზ მოხალისეებში გაჩნდა სურვილი, ჩეჩენ “თანამოძმეებს“ მხარში ამოღებოდნენ. მით

¹ ბ. კვარაცხელია. რუსულ-ქართული კონფლიქტი აფხაზეთში..., გვ. 67.

² 1995 წლიდან მას ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) ეწოდება.

³ CSCE Budapest Document 1994 Towards a Genuine Partnership in a New Era. *Budapest Summit Declaration*, – <https://www.osce.org/files/f/documents/5/1/39554.pdf>; СБСЕ Будапештский документ 1994 года на пути к подлинному партнерству в новую эпоху. *Декларация будапештской встречи на высшем уровне*, – <https://www.osce.org/files/f/documents/b/a/39558.pdf>.

⁴ Конституция Республики Абхазия 1994 года, გვ. 152.

⁵ დ. ვოჯუა. აფხაზეთი 1938-2006 წლებში, გვ. 215.

⁶ С. З. Лакоба. Абхазия – де-факто или Грузия де-юре?, გვ. 18.

⁷ В. Г. Ардзинба. Моя жизнь. *Воспоминания*, გვ. 324.

⁸ ლ. აღექსიძე. აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის საერთაშორისო დაგმობის საქმეში ეუთოს გადამწყვეტი როლის შესახებ, – „საერთაშორისო სამართლის ჟურნალი“. №1, 2008, გვ. 34; CSCE Budapest Document 1994 Towards a Genuine Partnership in a New Era. *Budapest Summit Declaration*, – <https://www.osce.org/files/f/documents/5/1/39554.pdf>; СБСЕ Будапештский документ 1994 года на пути к подлинному партнерству в новую эпоху. *Декларация будапештской встречи на высшем уровне*, – <https://www.osce.org/files/f/documents/b/a/39558.pdf>.

⁹ გ. ჩარკვიანი. ნაცნობ ქიშკრათა ფერხული, გვ. 187.

¹⁰ Lisbon Document 1996. *Lisbon Summit*, – <https://www.osce.org/files/f/documents/1/0/39539.pdf>; Лиссабонский документ 1996 года. *Лиссабонская встреча на высшем уровне*, – <https://www.osce.org/files/f/documents/2/4/39543.pdf>.

¹¹ Istanbul Document 1999. *Istanbul Summit*, – <https://www.osce.org/files/f/documents/1/0/39539.pdf>; Стамбульский документ 1999 года. *Стамбульская встреча на высшем уровне*, – <https://www.osce.org/files/f/documents/7/1/39573.pdf>.

უფრო, რომ ჩეჩნეთის „შეიარაღებული ძალების“ ლიდერს – შამილ ბასაევის მნიშვნელოვანი მხარდამჭერები ჰყავდა აფხაზეთში. როგორც დ. ჯოჯუა შენიშნავს, „სამართლიანობა მოითხოვს, რომ გარკვეულ ეტაპზე და გარკვეული ხარისხით სანქციების რეჟიმი მართლაც მოქმედებდა... მაგრამ ზოგადი ტენდენციის თვალსაზრისით, რუსეთს არასოდეს შეუსრულებია სრულყოფილად სეპარატისტული აფხაზეთის ბლოკადის ფარგლებში აღებული ვალდებულებები. ბლოკადა მის ინტერესებში შედიოდა ჩეჩნეთში საომარი კამპანიის მიმდინარეობის გამო. ბლოკადის რეჟიმი ყოველთვის ლიბერალურ ხასიათს ატარებდა და რუსეთის სასაზღვრო და სხვა უწყების კორუფციის გამო ხელს უწყობდა ჩრდილოვანი ეკონომიკის სფეროს გაფართოებას“.¹

1995 წლის 31 ოქტომბერს თბილისში გაერო-ს გენერალური მდივანი ბ. ბუტროს-გალი ჩამოვიდა. პრეზიდენტ ე. შევარდნაძესთან შეხვედრისას, საქართველოს პირველმა პირმა მას აფხაზეთში გაერო-ს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო პროცესისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება დაუფიქსირა. მან აღნიშნა: „დღეს სურათი ასეთია – რუსეთის სამშვიდობო ძალების განლაგება დასრულდა, მაგრამ ამან მოგვცა ის, რომ უსაფრთხოების ზონა ბუფერულად იქცა და შეიქმნა ხელოვნური საზღვარი. თუ ლტოლვილთა დაბრუნების პროცესი უსასრულოდ გაჭიანურდება, და სწორედ ესაა ეთნიკური წმენდის მომწიფობი რეჟიმის მიზანი, ისინი მიიღებენ მათთვის ხელსაყრელ კონსტიტუციას და ყველაფერი უკიდურესად გაძნელდება“.²

მართლაც, მთელი ორი წლის განმავლობაში გაერო-მ 12 რეზოლუციის მიღება შეძლო, რომელთაც აფხაზეთის კონფლიქტში გადამწყვეტი როლი მაინც ვერ მოახერხეს. როგორც მკვლევარი ლ. სარალიძე სავსებით სამართლიანად შენიშნავს, „საქმე მხოლოდ ეთნოწმენდის ფაქტების დაფიქსირებით, სინანული გამოთქმით, შემოიფარგლა; ასევე, მხარეების მიმართ სურვილის გამოთქმით, რომ კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოაგვარონ. გაერო-ს არ მიუღია რაიმე გადამწყვეტი ზომა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, გუდაუთის სეპარატიზმის, ვ. არძინბას და მისი სეპარატისტული რეჟიმის მიერ ჩადენილი სახელმწიფო დანაშაულის ცალსახად დაგმობისათვის“.³ ეს ბუნებრივიც იყო, სამწუხაროდ, ვინაიდან მსგავს ვითარებაში ხსენებული საერთაშორისო ორგანიზაციის ეფექტურობას მნიშვნელოვნად ბლოკავს მისი უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების ინდივიდუალური პოლიტიკა. ამ შემთხვევაში კი აქ უარყოფით როლს სწორედ რუსეთის ფედერაცია ასრულებდა, რომელმაც, როგორც სსრკ-ს სამართალმემკვიდრემ, 1992 წელს სსრკ-ს კუთვნილი ადგილი დაიჭირა უშიშროების საბჭოში. საინტერესოა, რომ მაინცდამაინც არც რუსეთში ძალაუფლნენ მათ ამგვარ დაინტერესებას. ჯერ კიდევ იმ დროს ოპოზიციური “ნეზავისიმია გაზეთა“ 1996 წლის 11 იანვარს წერდა, რომ “აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებას გარკვეულ წილად წინ ეღობება რუსეთის ინტერესები ამიერკავკასიაში, ამასთან, პირველ რიგში ის გარემოება, რომ საქართველოს დასავლეთისკენ უფრო იყურება, ვიდრე რუსეთისაკენ“ (ციტირებულია ლ. სარალიძის ნაშრომიდან).⁴

1996 წლის 19 იანვარს, დსთ-ს მოსკოვის სამიტზე გადაწყდა, რომ წევრი-სახელმწიფოები არ დაუშვებდნენ დე-ფაქტო აფხაზეთის რეჟიმთან სავაჭრო-ეკონომიკურ, საფინანსო, სატრანსპორტო და სხვა სფეროებში ურთიერთობებს.⁵ გ. ჩარკვიანის თქმით, ე. შევარდნაძეს გაუჩნდა იმედი, რომ დსთ-ს შესწევდა ძალა აგრესორისათვის სანქციების დაწესებისა. თუმცა, ავტორი იქვე იმასაც შენიშნავს, რომ ეს ილუზია აღმოჩნდა.⁶

1996 წლის 7 აგვისტოს სეპარატისტებმა მიიღეს „კონსტიტუციური“ კანონი „აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის“ შესახებ.⁷ პრემიერ-მინისტრს მხოლოდ პრეზიდენტი ამ-

¹ დ. ჯოჯუა. აფხაზეთი 1938-2006 წლებში, გვ. 220.

² გ. ჩარკვიანი. ნაცნობ ქიმერათა ფერხული, გვ. 181.

³ ლ. სარალიძე. ომი აფხაზეთში (1992-1993 წწ.), გვ. 456.

⁴ ლ. სარალიძე. ომი აფხაზეთში (1992-1993 წწ.), გვ. 456.

⁵ გ. ჩარკვიანი. დასახ. ნაშრ. გვ. 252.

⁶ გ. ჩარკვიანი. იქვე, გვ. 253.

⁷ Сборник законодательных актов Республики Абхазия. Вып. №6. Сухум, 1996, გვ. 88.

ტკიცებდა.¹ 1997 წლის 23 ოქტომბერს სოხუმში ადგილობრივი ადმინისტრაციების მარეგულირებელი კანონმდებლობები მიიღეს, რომლითაც შეიქმნა მტკიცე ადმინისტრაციული ვერტიკალი, რომლის სათავეში „პრეზიდენტი“ იდგა.² როგორც დ. ჯოჯუა შენიშნავს, ვლ. არძინბა საკუთარი ძალაუფლების სტაბილურად შენარჩუნებისათვის ოსტატურად ახერხებდა აფხაზური ეთნოკრატიის სხვადასხვა ჯგუფების სამთავრობო სტრუქტურებში პერიოდულ მონაცვლეობით.³ როგორც ვლ. არძინბა იხსენებდა, 2004 წელს ს. ლაკობამ მას უთხრა, რომ მის მიმართ „პარლამენტში“ ოპოზიციის წარმოშობის მიზეზი იყო „პირველი პრეზიდენტის“ მმართველობის ნეგატიური მეთოდები. თუმცა „მემუარების“ ავტორი იქვე შენიშნავს, რომ თავის დროზე მისთვის ამგვარი შენიშვნით არავის (მათ შორის, ს. ლაკობასაც) არ მიუძღვინია.⁴

ამასთან ერთად, ვლ. არძინბა, ცდილობდა რა რუსეთის ხელისუფლებისაგანა დამატებითი პრივილეგიების მიღებას, ის დროდადრო ხან რუსულ, ხან თურქულ (თურქეთში მცხოვრები მრავალრიცხოვანი აფხაზური დიასპორა) „კარტის“ გათამაშებას. ამ გზით, ის, მკვლევარ დ. ჯოჯუას შენიშვნით, ადგილობრივ პრორუსულ და პროთურქულ დაჯგუფებებს შორისაც ახერხებდა ძალთა ბალანსს.⁵

მალე ე. პრიმაკოვმა თბილისს შესთავაზა მის მიერ შემუშავებული „საერთო სახელმწიფოს“ იდეა. აღსანიშნავია, რომ ის უკვე სოხუმთან შეთანხმებული იყო და მას სეპარატისტები იწონებდნენ. ქართული მხარისათვის კატეგორიულად მიუღებელი იყო დათქმა, რომ „საერთო სახელმწიფოში“ მისი წევრები საკუთარი კონსტიტუციებით შემოდიოდნენ. სეპარატისტებს მათ „ძირითად კანონში“ კი უკვე ეწერათ, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.⁶

რუსული გეგმის საპირისპიროდ, დასავლეთმა თბილისს, გაერო-ს ეგიდით, ჟენევის მოლაპარაკებათა პროცესის განახლება შესთავაზა. მასში ჩაერთვებოდა „საქართველოს მეგობართა ჯგუფი“ (აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და რუსეთი). პირველი შეხვედრა 1997 წლის 24 ივლისს გაიმართა.⁷

1997 წლის 14 აგვისტოს თბილისში ე. პრიმაკოვმა ვ. არძინბა ჩამოიყვანა.⁸ „ვიზიტი“ ფაქტობრივად სპონტანურად მომზადდა. სეპარატისტთა დელეგაციაში, ვ. არძინბას გარდა, შედიოდნენ აფხაზეთის „ვიცე-პრემიერი და გენერალური პროკურორი“ ანრი ჯერგენია, „საგარეო საქმეთა მინისტრი“ სერგეი შამბა და ჟურნალისტები. ქართული მხრიდან მოლაპარაკებებში ასევე მონაწილეობდნენ პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი და ლევან ალექსიძე.⁹ შეხვედრამ რეალური შედეგი ვერ მოიტანა. ამის მიზანი მოსკოვს არც ჰქონდა. საჭირო იყო მხოლოდ თბილისის უკმაყოფილების შერბილება. საქმე იმაშია, რომ ე. შევარდნაძის ხელისუფლება თანდათან ანტირუსულ რიტორიკას იყენებდა. ამასთან ერთად, საქართველოს პარლამენტში გაისმა მოწოდება „სამშვიდობოთა“ კონფლიქტის ზონიდან გაწვევის შესახებ. საქართველოს პრეზიდენტიც გაუთამამდა ანტირუსულ გამოსვლებს და სულ უფრო ხშირად აკრიტიკებდა მოსკოვის „სამშვიდობო“ როლს. ჩანს, მოსკოვმა გადაწყვიტა თბილისის გულის მოგება ამ შეხვედრის ორ-

¹ Э. Р. Агуава. Становление независимого абхазского государства в послевоенный период (1993-1999 гг.), გვ. 34.

² Э. Р. Агуава. Становление независимого абхазского государства в послевоенный период (1993-1999 гг.), გვ. 34-35.

³ დ. ჯოჯუა. აფხაზეთი 1938-2006 წლებში, გვ. 216.

⁴ В. Г. Ардзинба. Моя жизнь. Воспоминания, გვ. 324.

⁵ დ. ჯოჯუა. აფხაზეთი 1938-2006 წლებში, გვ. 218.

⁶ გ. ჩარკვიანი. დას. ნაშრ. გვ. 346-347; Конституция Республики Абхазия 1994 года, გვ. 152, თავი 1, მუხლი 1.

⁷ გ. ჩარკვიანი. იქვე, გვ. 347.

⁸ ეს ვლ. არძინბას, როგორც პოლიტიკური ლიდერისა, მეორე ვიზიტი იყო თბილისში. ამ სტატუსით ის პირველად 1990 წლის ნოემბერში იმყოფებოდა თბილისში ზ. გამსახურდიასთან (დ. გამცემლიძე, კვირის მიმოხილვა: ვლადისლავ არძინბას მეორედ მოსვლა, – „დილის გაზეთი“: 18 აგვისტო, 1997).

⁹ დ. გამცემლიძე. კვირის მიმოხილვა..., – „დილის გაზეთი“: 18 აგვისტო, 1997.

განიზებით, რომელსაც, როგორც თავიდანვე მათ კარგად იცოდნენ, რეალური შედეგი არ მოჰყვებოდა, მაგრამ თბილისი ისე უნდა მოეტყუებინათ, რომ მას დასავლეთისაკენ არ გაეხედა.

დე-ფაქტო აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლები „გაოცებული დარჩნენ ქალაქის ცოცხალი ატმოსფეროთი, ლამაზი მაღაზიებითა და ხალხით სავსე რესტორნებით. მათ ეგონათ, რომ აქ ჯერ კიდევ ცარიელ ქუჩებში ავტომატებით შეიარაღებული ბანდები დაძვინდნენ. მიღებულია შთაბეჭდილებებმა და მაკროეკონომიკური წარმატების სტატისტიკამ მათზე გარკვეული ზემოქმედება იქონია“.¹

ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ამ ფაქტმა განსხვავებული მოსაზრებები გამოიწვია. მოსახლეობა კი დადებითად განეწყო და შერიგების პროცესის დასაწყისად მიიჩნია.²

როგორც ს. ლაკობა აღნიშნავს, აფხაზეთის მოსახლეობა უარყოფითად განეწყო ამ ვიზიტისადმი, რადგან ის სწორედ 14 აგვისტოს – აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების დღეს – დაამთხვიეს.³

კრემლის „ტრიუკმა“ დიდხანს ვერ იმოქმედა. უკვე რამდენიმე თვეში, 1997 წლის ოქტომბერში, მოლდოვას დედაქალაქ კიშინოვში გამართულ დსთ-ს სამიტზე ე. შევარდნაძემ რუსეთი ოფიციალურად დაადანაშაულა უმოქმედობასა და, ფაქტობრივად, სეპარატისტების ხელშეწყობაში. ამან ე. პრიმაკოვის რეაქცია გამოიწვია: „ჩვენ ჩამოვიყვანეთ არძინბა თბილისში, ჩვენ ცდილობთ...“. ამაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიუგო: „თქვენ მხოლოდ დროს წელავთ. თქვენ არ შეგიძლიათ ამ პრობლემის გადაჭრა და არც ცდილობთ მის გადაწყვეტას!“⁴

1998 წლის 19-25 მაისს გალის რაიონში საომარი მოქმედებები განახლდა.⁵ ეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ოკუპირებული აფხაზეთის „ბელელს“ წარმოადგენდა, რომლის კონტროლს (ან გარკვეული სეგმენტის) ხელისუფლებიდან დაწყებული რიგითი ტერორისტით დამთავრებული ყველა ცდილობდა. სეპარატისტულ მხარეში კი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შეიქმნა: იზრდებოდა უმუშევრობა, კრიმინალი, მოსახლეობის ფართო ფენების მარგინალიზაცია ხდებოდა.⁶ ყოველივე ეს კი სხვადასხვა გასამხედროებული კრიმინალური დაჯგუფებების ყურადღებას და შესაბამის აგრესიას გალის რაიონისაკენ მიმართავდა.

მშვიდობიან და დაუცველ ქართულ მოსახლეობას 400-მდე შეიარაღებული სეპარატისტი (გენერალ მირაბ ქიშმარიას სარდლობით) შეეჭრა. სეპარატისტული რეჟიმის ზეწოლამ გალის ქართულ მოსახლეობაზე, ტერორმა, ძარცვამ, მალე უკურეაქცია გამოიწვია, რომელშიც ჩართული აღმოჩნდა არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფებები „ტყის ძმები“ „თეთრი ლეგიონი“.⁷ აღნიშნული გასამხედროებული შენაერთები ფაქტობრივად დევნილთა ვოლონტიორულ ფორმირებებს წარმოადგენდნენ, რომლებმაც დაკარგეს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების იმედი და ამგვარი გზით ცდილობდნენ როგორც საკუთარი სახლ-კარის დაცვას, ასევე მშობლიურ კუთხეში დაბრუნების უფლებას.⁸

ქართველთა წინააღმდეგობა იმდენად მედგარი იყო, რომ სოხუმს რეგიონში დამატებით 1000 შეიარაღებული პირისა და მძიმე ტექნიკის შეყვანა მოუწია.⁹ სამწუხაროდ, ძალთა თანა-

¹ გ. ჩარკვიანი. დას. ნაშრ. გვ. 345-346.

² გ. ჩარკვიანი. იქვე, გვ. 355.

³ С. З. Лакоба. Абхазия – де-факто или Грузия де-юре?, გვ. 97-98.

⁴ И. Будаков. Кишиневский саммит: Мы должны пробить стену, – газ.: «Коммерсантъ». №184, 25 октября, 1997.

⁵ სეპარატისტულ ისტორიოგრაფიაში ამ ამბებს „ექსკლუზიანი ომი“ უწოდეს (А. Ф. Авидзба. Военно-политическая история Абхазии в 1989-1999 гг., გვ. 134), რაც უკიდურესად არაზუსტი აღუზიანა ახლოაღმოსავლური კონფლიქტის შემადგენელი ერთ-ერთი ომისა.

⁶ დ. ჯოჯუა. აფხაზეთი 1938-2006 წლებში, გვ. 224.

⁷ დ. ჯოჯუა. აფხაზეთი 1938-2006 წლებში, გვ. 236.

⁸ დ. ჯოჯუა. აფხაზეთი 1938-2006 წლებში, გვ. 230.

⁹ ბ. კვარაცხელია. რუსულ-ქართული კონფლიქტი აფხაზეთში..., გვ. 76.

ფარდობა მოწინააღმდეგის სასარგებლოდ იყო, რის გამოც გალის რაიონის მოსახლეობის ნაწილს მეორედ მოუწია მშობლიური კუთხის დატოვება და ენგურსგამოღმა თავშესაფრის ძიება.

ამ მოვლენებთან დაკავშირებით, ევროპარლამენტმა 1998 წლის 17 ივლისს სპეციალური რეზოლუცია – „საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ“ – მიიღო, რომელშიც დაგმო ქართული მოსახლეობის მიერ ჩადენილი დანაშაული.¹

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 1994-1998 წლებში სეპარატისტულმა რეჟიმმა გალის რაიონში ამოხოცა 1500-ზე მეტი ქართველი და გაანადგურა 1000-ზე მეტი სახლი. ქართველები დევნას და შვევიწროებას განიცდიდნენ აფხაზეთის სხვა რაიონებში და „სამშვიდობებს“ ამაზე რეაგირება არ ჰქონიათ.²

გალის მოვლენების შემდეგ, ე. შევარდნაძე პერიოდულად ხვდებოდა საქართველოს მეგობართა ჯგუფის ქვეყნების ელჩებს და აღნიშნავდა, რომ მას არძინბასთან სატელეფონო კონტაქტი ჰქონდა: „...ლაპარაკი უყვარს, მეუბნება, რომ თანახმაა დააბრუნოს ხალხი. მოითხოვს საზღვარზე შეზღუდვების მოხსნას და ჩემს მიმართვას დღეს-საწყობი სახელზე, თხოვნით, რომ გაუქმდეს გადაწყვეტილება მისი რეჟიმის იზოლირების შესახებ. ამის გაკეთება არ შეუძლია“.³

აღსანიშნავია, რომ სეპარატისტებმა ხელოვნურად შეამცირეს გალის რაიონის ტერიტორია და მისი ნაწილი (ე.წ. „ზედა ზონა“) ტყვარჩელის რაიონს⁴ გადასცეს. მიზეზი მარტივია: ხელოვნურად შეამცირონ გალის რაიონში დამბრუნებულ ქართველთა კონტინგენტი, რომელთაც ისინი თბილისის მხარდამჭერ ძალად აღიქვამენ და ამას არც მალავენ.⁵ ამ გაყოფის არც ეკონომიკური, არც ისტორიული-ეთნოლოგიური მიზეზი (როგორც არის წესი მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებების მიღებისა) არ არსებობდა, გარდა – ზემოთ ხსენებული პოლიტიკურისა.

ჯერ კიდევ 1995 წელს ერთ-ერთი ჟურნალისათვის მიცემულ ინტერვიუში ვლ. არძინბა ომანთან აცხადებდა, რომ აფხაზეთი აყვავებული ქვეყანა გახდებოდა.⁶ „პირველი პრეზიდენტის“ მჭექარე განცხადება მხოლოდ სიტყვებად დარჩა: სეპარატისტული მხარე დღესაც კი ძალიან შორსაა ყოველგვარი ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური კეთილდღეობის ქვეყნის მდგომარეობისაგან.

1999 წლის 12 იანვარს ვლ. არძინბამ პოპულისტური განაცხადება გააკეთა, რომ იამვე წლის 1 მარტიდან აფხაზეთი უღებს კარს ყველა დევნილს, რომელიც აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს, მიიღებს მის მოქალაქეობას და არ მონაწილეობდა 1992-1993 წწ. სამხედრო მოვლენებში. თუმცა, დასახელებული პირობები უკვე იყო მიუღებელი აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის. მიზეზი ამ პოპულიზმისა ორი იყო: 1) საერთაშორისო საზოგადოების წინაშე სეპარატისტული რეჟიმის „დემოკრატიულობისა და გახსნილობის“ იმიჯის შექმნა; 2) მოსალოდნელი ახალი „საპრეზიდენტო არჩევნები“ და გალის მოსახლეობის ხმები.

გალის მოსახლეობის ბუნებრივ, პროთბილისურ განწყობილებებს კი უფრო ხოლმე, მაგრამ მრავალათასიანი ელექტორატის დაკარგვა ნამდვილად არ სურდათ, მით უფრო, რომ 1999 წელს აფხაზეთში პირველი „საყოველთაო და პირდაპირი“ საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარებულიყო.

1999 წლის 4 მარტს სეპარატისტთა „პარლამენტმა“ მიიღო კანონი საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ, ხოლო 19 ივლისს კი შესაბამისი თარიღიც დაინიშნა. 30 ივლისს კი უშიშროების საბჭომ დაგმო და არალეგიტიმურად გამოაცხადა მომავალი „საპრეზიდენტო“ არჩევნები.

¹ ბ. კვარაცხელია. რუსულ-ქართული კონფლიქტი აფხაზეთში..., გვ. 76.

² ბ. კვარაცხელია. იქვე, გვ. 75, 77.

³ გ. ჩარკვიანი. დას. ნაშრ. გვ. 392.

⁴ შექმნილია სეპარატისტთა მიერ. არ არსებობდა საბჭოურ პერიოდში და ის აღიარებული არაა თანამედროვე საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფაში.

⁵ კ. კვაშილაფა. ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნა – 1840 წელი. თბილისი, 2011, გვ. 9-10.

⁶ Мы шли на смерть, чтобы жить. Сборник интервью и выступлений В. Г. Ардзинба (1992-2005). Составитель Л. К. Ардзинба. Сухум, 2011, гв. 169-179.

25 აგვისტოს სეპარატისტთა „ცესკომ“-მ კანდიდატად¹ ვლ. არძინბა დაარეგისტრირა.² 30 აგვისტოს ვლ. არძინბამ „პრეზიდენტის“ არჩევნების დღეს დაამთხვია აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებაც.³

1999 წლის 3 ოქტომბრის „საპრეზიდენტო არჩევნები“⁴ და „რეფერენდუმი“ ეუთომ არალეგიტიმურად აღიარა.⁵ თუმცა, დ. ჯოჯუას ზუსტი დაკვირვებით, „...სეპარატისტულმა რეჟიმმა დაუშვა ელემენტარული პროცესუალური ნონსენსი, როდესაც აფხაზეთის დამოუკიდებლობის აქტი მიიღო ამ დამოუკიდებლობის კონსტიტუციური სისტემის შექმნიდან 5 წლის შემდეგ“.⁶

1999 წლის 3 ოქტომბრის „რეფერენდუმის“ საფუძველზე სეპარატისტთა პარლამენტმა „აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“ მიიღო.

1999 წლის მეორე ნახევრიდან რუსეთის ხელისუფლებაში ძლიერდება მილიტარისტთა გუნდი, რომელსაც სათავეში უდგას იმჟამად რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი ვლადიმირ პუტინი.⁷ ბ. ელცინის მემკვიდრე მიზნად ისახავს პოსტსაბჭოურ სივრცეში რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური დომინაციის აღდგენას. ამ ასპექტში ის ცდილობს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებიდან დაუმორჩილებელი საქართველოზე კონტროლის დაწესებას. იმ დროს, როდესაც საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთში შესვლაზე 2000 წლის 5 დეკემბერს სავიზო რეჟიმი დაწესდა, სეპარატისტული რეგიონების მიმართ ამგვარი პოლიტიკა არ ტარდება, რაც წინაპირობა იყო, კრემლის მიერ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ მომავალი „სახელმწიფოებრივი“ აღიარებისა. უფრო მეტიც, 2002 წლიდან ამ რეგიონების მოსახლეობა გამარტივებული წესით ღებულობს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მოქალაქის სტატუსს. 1999 წლის 9 სექტემბერს რუსეთის მთავრობა აუქმებს ყველა შეზღუდვას, რომელიც აფხაზეთის მიმართ ჰქონდა დაწესებული.⁸ აფხაზი ისტორიკოსები რუსეთის ფედერაციის ახალი სახელისუფლო გუნდის მიერ ამგვარი პოლიტიკის ინიცირებას მკვეთრად დადებით შეფასებას აძლევენ.⁹

სეპარატისტებმა 2001 წლის 10 მარტს ადგილობრივი არჩევნები ჩაატარეს. ჯერ კიდევ 5 მარტს ევროპის საბჭომ ოფიციალურ სოხუმს მოუწოდა ამ ქმედებისაგან თავი შეეკავებინა, რადგან ის იმთავითვე უკანონო იქნებოდა და ხელს შეუშლიდა კონფლიქტის მოგვარების პროცესს.¹⁰

2001 წლის 3 ოქტომბერს აფხაზეთის ცენტრალურ ნაწილში (კოდორის ქვემო წელი) სამხედრო მოქმედებები განახლდა. ქართულ-ჩეჩნურმა (ე.წ. „გილავეის რაზმი“) შენაერთებმა მოკლე ხანში სამხედრო უპირატესობა მოიპოვეს, დაამარცხეს სეპარატისტთა შეიარაღებული ფორმირებები, რომელთაც გენერალი მ. ქიშმარია ხელმძღვანელობდა, და კონტროლი დააწესეს გულრიფშის რაიონის სოფლებზე (გეორგიევკა, წებელდა, მერხეული). ბრძოლები მიმდინარეობდა ქ. სოხუმის მისადგომებთანაც.¹¹

სეპარატისტებს სამხედრო მხარდაჭერა რუსეთის რეგულარულმა სამხედრო ძალებმა აღმოუჩინეს.¹²

¹ აშშ-ში სეპარატისტთა ყოფილ „წარმომადგენელს“ იაკობ კახანსაც სურდა არჩევნებში მონაწილეობა, მაგრამ აფხაზური ენის არცოდნის გამო რეგისტრაციაზე უარი ეთქვა.

² **А. Ф. Авидзба.** Военно-политическая история Абхазии в 1989-1999 гг., გვ. 217.

³ **А. Ф. Авидзба.** Военно-политическая история Абхазии в 1989-1999 гг., გვ. 217.

⁴ „პრეზიდენტად“ კვლავ ვლ. არძინბა იქნა „არჩეული“.

⁵ **ბ. კვარაცხელია.** რუსულ-ქართული კონფლიქტი აფხაზეთში..., გვ. 86.

⁶ **დ. ჯოჯუა.** აფხაზეთი 1938-2006 წლებში, გვ. 229.

⁷ 1999 წ. 16 აგვისტოს ვლ. პუტინი რუსეთის მთავრობის თავმჯდომარედ იქნა დანიშნული.

⁸ **А. Ф. Авидзба.** Военно-политическая история Абхазии в 1989-1999 гг., გვ. 136.

⁹ **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии, გვ. 363.

¹⁰ **ბ. კვარაცხელია.** რუსულ-ქართული კონფლიქტი აფხაზეთში..., გვ. 103.

¹¹ **დ. ჯოჯუა.** დას. ნაშრ. გვ. 232.

¹² იქვე, გვ. 232-233.

საერთაშორისო თანამეგობრობამ უკანონოდ ცნო სეპარატისტთა 2002 წლის 2 მარტის „საპარლამენტო არჩევნები“.¹

2004 წელი სეპარატისტული რეგიონისათვის ერთ-ერთი კრიტიკული გამოდგა. 2003 წლის 23 ნოემბრის „ვარდების რევოლუცია“ თბილისში და ენგურსგამოდმა საქართველოში სახელმწიფოებრივი მშენებლობის რეფორმებმა, დასავლეთის მტკიცე მხარდაჭერამ, ახალი ხელისუფლების ინიციატივებმა სოხუმის მიმართ, გარკვეული დაინტერესება გამოიწვია სეპარატისტულ რეგიონის საზოგადოების ნაწილში.

2004 წელს აფხაზეთში ახალი „საპრეზიდენტო“ არჩევნები იმართებოდა. ვითარებას ამძაფრებდა ისიც, რომ ვლ. არძინბას უკვე აღარ შეეძლო მონაწილეობა. ამასთან ერთად, პროგრესირებადი დაავადების გამო, მან საერთოდ პოლიტიკიდან დისტანცირებაც დააპირა.

ყოველივე ამან კი გაამძაფრა ბრძოლა „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის „მეორე“ პრეზიდენტობისათვის. ვითარება სამოქალაქო ომის ზღვარზე გადიოდა. ერთმანეთს დაუპირისპირდა მოსკოვის რჩეული, სუკ-ის რიგებიდან გამოსული რაულ ხაჯინბა, რომელიც რუსეთის სივრცეში აფხაზეთის მაქსიმალური ინტეგრირების მომხრე იყო, და მეორეს მხრივ, ნაციონალისტური ძალების წარმომადგენელი, ყოფილი კომუნისტური ფუნქციონერი სერგეი ბაგაფში. ამ უკანასკნელს, მისი შერეული ქართულ-აფხაზური ოჯახის გამო, პრო-ქართულ განწყობილებებს აბრალებდნენ. ამასთან ერთად, ხაჯინბას საარჩევნო აგიტაციაში რუსეთი აშკარად ერეოდა (დახურული შეხვედრა ვლ. პუტინთან, სოხუმში რუსი დეპუტატების ჩამოსვლა და ა.შ.), რაც მოსახლეობის ნაწილის მკვეთრ უარყოფით რეაქციას იწვევდა, რაც 3 ოქტომბრის „არჩევნებში“ აისახა, სადაც ამომრჩეველთა დიდი ნაწილის მხარდაჭერა ს. ბაგაფშიმა მიიღო. მოსკოვი ყოველნაირად ცდილობდა მისი კანდიდატურის მხარდაჭერას, თუმცა, მოვლენებზე კონტროლის მოსალოდნელი დაკარგვის შიშით (გამოიკვეთა სერგეი შამბას კანდიდატურა, რომელიც ულტრანაციონალისტურ ძალებს წარმოადგენდა და აფხაზ მუჰაჯირთა მასობრივი რეპატრიაციის იდეით გამოდიოდა), კრემლმა მოახერხა კომპრომისული ვარიანტის გამონახვა და განმეორებით ტურში (2005წ. 12 იანვარი) გაიმარჯვა ს. ბაგაფშიმა, რომელმაც ვიცე-პრეზიდენტად რ. ხაჯინბა „წარადგინა“.

2006 წლის მაისში სოხუმმა თბილისს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების წინადადება – “მომავლის გასაღები” შესთავაზა, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ითვალისწინებდა, რაც მას უპერსპექტივოს ხდიდა.²

ამის სანაცვლოდ თბილისი სოხუმის დე-ფაქტო ხელისუფლებას სთავაზობდა „საგზაო რუკას“, რომელიც გულისხმობდა აფხაზეთის ფართო ავტონომიას ფედერალურ სახელმწიფოში; აფხაზეთის წარმომადგენლობას საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში; აფხაზური ენის, კულტურისა და ისტორიული მემკვიდრეობის განუხრეველ დაცვას; დევნილთა დაბრუნებას საკუთარ სახლებში; აფხაზეთი კონფლიქტის მოგვარებას დიალოგისა და ნდობის ატმოსფეროში; აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში საერთაშორისო ორგანიზაციებისა ჩართულობას; აფხაზეთის ეკონომიკის განსავითარებლად ორმხრივად კოორდინირებული ეკონომიკური პროექტების განხორციელებას.³

2006 წლის გაზაფხულზე უკიდურესად გამწვავდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა. კრემლმა ოფიციალურ თბილისს ეკონომიკური ემბარგო და სატრანსპორტო ბლოკადა დაუწესა. ქვეყნიდან დეპორტირებული იქნა რამდენიმე ასეული ქართველი, რომელთა შორის უმრავლესობა აფხაზეთიდან დევნილი იყო.⁴

„დამოუკიდებელი“ აფხაზეთის ეკონომიკა უკიდურესად მძიმე და სავალალო მდგომარეობაში იმყოფება. შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი საწარმო-სამეურნეო ცხოვრება მკვდარია. ელემენტარული საკვები პროდუქციის, რომლის წარმოება ადგილობრივადაც შეიძლება, სრული

¹ ბ. კვარაცხელია. რუსულ-ქართული კონფლიქტი აფხაზეთში., გვ. 103.

² იქვე, გვ. 106.

³ იქვე, 106-107.

⁴ იქვე, გვ. 118.

იმპორტი ხდება რუსეთიდან.¹ როგორც ვინმე მ. კვიცინია შენიშნავს, „ოჩამჩირის რაიონის მშრომელებმა 1994 წლის მაისში სახელმწიფოს 150 ტონა ჩაის ფოთოლი ჩააბარეს“.² აშკარაა, რომ ეს ყალბი და უსაფუძვლო პროპაგანდისტული წინადადებაა, რომლის მიზანია მკითხველში „გამარჯვებული“ და „წარმატებული“ სახელმწიფოს იმიჯის შექმნა, თუმცა ის რეალობასთან ახლოსაც კი არ იყო. პირიქით, ჩანს, რომ მიმდინარეობდა მოსახლეობის გამაღებელი ტერორი და მისი კუთვნილი პროდუქციის მიტაცება გასამხედროებული კრიმინალური დაჯგუფებების მიერ.

1995 წლის 24 თებერვალს ადგილობრივმა რეჟიმმა დაიწყო მუშაობა აფხაზეთის ეკონომიკის რეფორმირების შესახებ.³

ფინანსური თვალსაზრისით, ოკუპირებული რეგიონი სრულადაა მოსკოვზე მიბმული. მოქმედი ფულადი ერთეული რუსული რუბლია, რომლის გაცვლითი კურსი რუსეთის შესაბამის პირობებს შეესაბამება.⁴ 1994 წელს აფხაზეთის „ცენტრალურმა ბანკმა“ დაარეგისტრირა 13 კერძო ბანკი („გარანტ-ბანკი“, „აპრა-ბანკი“, „ბაშნიხუ-ინვესტი“⁵), რომელთა დიდი ნაწილი რუსულ საფინანსო ინსტიტუტებთანაა ასოცირებული, მცირე კი – თურქულ კაპიტალთან. 1998 წლის 28 დეკემბერს „ცენტრალური ბანკის“ საფუძველზე შეიქმნა აფხაზეთის „ეროვნული ბანკი“.⁶ სპეციალისტთა დაკვირვებით, რეგიონში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ფინანსური სახსრების უკონტროლო მოძრაობის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსებისათვის.⁷

აფხაზეთის საკურორტო პოტენციალი გამოუყენებელი რჩებოდა. დამსვენებელი უფროსოდა უკონტროლო ტერიტორიაზე შესვლას. ასე მაგალითად, 1995 წელს აფხაზეთში მხოლოდ 170 დამსვენებელი ჩავიდა და მხოლოდ 1998 წელს მათმა რაოდენობამ ოდნავ გადააბიჯა 1000-ს.⁸

1994 წლიდან მხარის გარკვეული დეურბანიზაცია ხდება. ქართველთათვის წართმეულ ქონებას აფხაზები იკავებენ. საინტერესოა, რომ ამ პერიოდიდან იწყება ქალაქად მცხოვრებ აფხაზთა რაოდენობის ზრდა 1992 წლის 13 აგვისტოს მდგომარეობასთან შედარებით. თვალშისაცემია სომეხი მოსახლეობის მნიშვნელოვანი მატება, რომელიც, განსაკუთრებით, გაგრასა და გულრიფშშია თვალში საცემი.⁹

2004 წელს რუსეთმა დაიწყო აფხაზეთის სარკინიგზო ინფრასტრუქტურის აღდგენა და ამოქმედდა მოსკოვი-სოხუმის მარშრუტი.¹⁰

2007-2009 წწ. რუსეთმა ინვესტიციები ჩაღო აფხაზეთის საბინაო და ქალაქური ინფრასტრუქტურის მშენებლობაში. ძირითადი აქტიურობა იგრძნობა რუსეთის მოქალაქეთათვის სასურველ საკურორტო ცენტრებში: სოხუმში, გაგრასა და ბიჭვინთაში.¹¹

აფხაზი ეკონომისტები იმედოვნებენ, რომ აფხაზეთი აუცილებლად გახდება ეკონომიკურად მიმზიდველი სახელმწიფო.¹² თუმცა, მათი იმედი ყოველგვარი რაციონალურ საფუძველს მოკლებულია. არცერთი სახელმწიფო და ინვესტორი არ დააბანდებს კაპიტალს და ბიზნესს არ წამოიწყებს ისეთ ამორფულ „სახელმწიფოში“, როგორც რუსეთის მიერ ოკუპირებული და ანექსირებული აფხაზეთია. მით უფრო, რომ მსოფლიო საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა სა-

¹ И. Тумакова. Страна Заброшка, – «Новая газета». №31, 31 март, 2021 (<https://novayagazeta.ru/issues/3101>), გვ. 11.

² М. Б. Квициния. Ключ к истории Абхазии. Учебно-методическое пособие. Сухум, 1999, гв. 127.

³ Э. Р. Агумава. Становление независимого абхазского государства в послевоенный период (1993-1999 гг.), гв. 52.

⁴ თ. შენგელა, ბ. გასვიანი, ხ. ბერიშვილი, ლ. ხიზაძე. აფხაზეთის ეკონომიკა..., გვ. 39.

⁵ М. Б. Квициния. Ключ к истории Абхазии, гв. 128.

⁶ Э. Р. Агумава. Становление независимого абхазского государства в послевоенный период (1993-1999 гг.), гв. 52.

⁷ თ. შენგელა, ბ. გასვიანი, ხ. ბერიშვილი, ლ. ხიზაძე. აფხაზეთის ეკონომიკა..., გვ. 201.

⁸ М. Б. Квициния. Ключ к истории Абхазии, гв. 128.

⁹ თ. შენგელა, ბ. გასვიანი, ხ. ბერიშვილი, ლ. ხიზაძე. აფხაზეთის ეკონომიკა..., გვ. 57.

¹⁰ თ. შენგელა, ბ. გასვიანი, ხ. ბერიშვილი, ლ. ხიზაძე. აფხაზეთის ეკონომიკა..., გვ. 37.

¹¹ თ. შენგელა, ბ. გასვიანი, ხ. ბერიშვილი, ლ. ხიზაძე. აფხაზეთის ეკონომიკა..., გვ. 32.

¹² Я. Р. Фейзба, О. Б. Шамба. Национальная экономика Абхазии. Учебник для вузов. Сухум, 2002, гв. 22-24.

ქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ერთგული მხარდამჭერია და დამოკიდებულების უარყოფითი ცვლილება მოსალოდნელი არაა.

ამდენად, რუსეთი მიზანმიმართულად ამზადებდა ნიადაგს 2008 წლის აგვისტოს აგრესიისა და ქართული სეპარატისტული რეგიონების (ჩვენს შემთხვევაში – აფხაზეთის) სრული ოკუპაციისათვის.

Kakha Kvashilava

Sokhumi State University

**FOR ISSUE OF THE DEVELOPMENT OF POLITICAL PROCESSES
IN OCCUPIED ABKHAZIA (1994-2007)
RESUME**

After 1992-1993 war in Abkhazia, of the half-million population of the Abkhaz Autonomous Republic more than 300 000 people of different nationalities (Georgians, Abkhazians, Russians, Armenians, Estonians, Greeks) were forced to leave their homes. Most of them sought refuge outside Georgia on the Inguri, some of them moved abroad. In fact, in 1993-1994 there was a massive expulsion of the population from Abkhazia, which was assessed as ethnic cleansing, since 2/3 of the population of Abkhazia became refugees and internally displaced persons. The international community has repeatedly recognized the fact of ethnic cleansing in Abkhazia.

The events of September 27-30, 1993 in “independent” Abkhazia are assessed as a “historic victory”. They won in the “Patriotic War of the people of Abkhazia”. This thesis can not withstand even elementary criticism, because “almost 2/3 of these” people of Abkhazia drove out from their homeland and became refugees in their homeland. By this logic it turns out that this 2/3 was not part of the “people of Abkhazia”, which is completely absurd and can not fit into any legal norms.

Against this background, the “independent” Abkhazian “statehood” began to “function” at the head of the ethnocratic regime, which has already been exposed in Russia and “sovereign” Abkhazia, even referred by them to as an “ethnic-bandit reserve”.

საქართველოს კ.პ.(ბ) ხულოს რაიკომის მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების მოკლე მიმოხილვა 1930-იანი წლების პირველ ნახევარში, საარქივო მონაცემების საფუძველზე

1930 წლის 9 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს კ.პ.(ბ) ხულოს რაიონის პარტიული ორგანიზაციის მორიგი მე-5 კონფერენცია. სამდივნოს შემადგენლობაში შედიოდნენ: პეტრე მიქაძე, ელისო ღლონტი, ერქომაიშვილი(სახელი უცნობია). გარკვეული წარმატებების აღნიშვნის შემდეგ, თვითკრიტიკის სტილში აღინიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებები. მაგალითად ზოგიერთ სოფლებში, როგორც იყო სოფლები ინწკირვეთი და ჩანჩხალო საბჭოთა იდეოლოგიის გავრცელება ხარვეზებით მიმდინარეობდა. გდოლიძის აზრით, ის პოლიტიკური გარდატეხა, რომელიც 1929 წელს იყო დაწყებული უნდა გაგრძელებულიყო, მათ არ უნდა დაევიწყებოდათ ის გარემოება, რომ რაიონში ანტისაბჭოთა „პროვოკაცია“ იზრდებოდა „...ჩვენმა სწორმა ხელმძღვანელობამ გამოიწვია ჩვენი მოწინააღმდეგე ელემენტების აქტივობა. პოლიტიკურად დაზიანებულ რაიონში (ჭვანას თემი) უნდა გაგრძელდეს საუკეთესო ძალების გადასროლა...“¹ რამდენიმე თვით ადრე, კერძოდ 1930 წლის 11 მარტს, საქართველოს კ.პ.(ბ) ხულოს რაიკომის პრეზიდიუმის სხდომაზე №1-ლი ოქმით დაადგინეს „...ქარხანა „ფუხარაში,, მოკალათებული არიან მუშების სახით პოლიტიკურად მიუღებელი, თვისობრივად უვარგისი ელემენტები, ამისათვის დაისვას საკითხი „ფუხარას,, გამეობაში პროფ.სამდივნოსთან შეთანხმებით მოხსნილ იქნან სამუშაოებიდან: ისკანდერ კოჩალიძე, იბრძოდა გამოსვლების დროს ხელისუფლების წინააღმდეგ, ისკანდერ ჩახალ-ოლლი იყო აჯანყებულების მომხრე, რიხალ ბოლქვაძე, მელაძე ეუბ ალი სულთანის ძე.“² განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 1930 წლის 21 ივნისის ხულოს რაიონის გაფართოებული პრეზიდიუმის № მე-9 ოქმში მოცემული ინფორმაცია, რომლის ანალიზიც გვეხმარება კიდევ უფრო ნათელი სურათი დაიხატოს რაიონში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. პრეზიდიუმის მოცემულ ოქმში საუბარია მასწავლებელთა კადრების სისუსტეზე, მათ უავტორიტეტობაზე. მასწავლებელთა შორის ყოფილან ისეთები, რომლებმაც ხულოში აჯანყებაში მიიღეს მონაწილეობა. პრეზიდიუმი შემფოთებით შენიშნავდა იმას, რომ ხულოს რაიონი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მხრივ ყველაზე უფრო ჩამორჩენილ რაიონად ითვლებოდა აჭარის სხვა რაიონებთან შედარებით. ხულოს რაიონის მთელი რიგი თავისებურებები როგორც იყო რელიგიური ფანატიზმი, პატრიარქალური ურთიერთობები, კადრების სისუსტე, გეოგრაფიული პირობები და წარსულში „დაშვებული შეცდომები“, ამ საკითხებს აღნიშნავდნენ პარტიული ფუნქციონერები თვითკრიტიკის სტილში.³ „...რაიონში ხულოს მოვლენების შემდეგ პოლიტიკური მდგომარეობა შეიძლება დახასიათდეს შემდეგნაირად, ადგილი ჰქონდა ერთის მხრივ გლეხობის შეკავშირებას ერთმანეთთან სარწმუნოების, მედრესეებისა და ჩადრის ტარების დასაცავად, მეორეს მხრივ, კომუნისტების ათვალწუნებას და ზოგან დევნასაც კი.“⁴ მკვლელობა ჭვანაში, რიყეთში, კომუნისტების დევნა ღორჯომში, ნაღვარევი. ერთი საყურადღებო წინადადებაც მოცემულ დოკუმენტში „...საბჭოთა არჩევნების მენშევიკური „წმინდად დემოკრატიის“ პრინციპებზე ჩატარების შედეგად, ჩვენ გვქონდა საბჭოები და თემადმასკომები კულაკურ და ანტისაბჭოთა ელემენტებით სავსე...კლასიკური ხაზის გატარება მთლიანად და სავსებით, შეუძლებელი იყო შექმნილი მდგომარეობის გამო. შეუძლებელი იყო კულაკების უფრო მეტად შევიწროვება, კულა-

1 ასსცსა ფ.პ-12. საქმ. 28:1-5
 2 ასსცსა ფ.პ-12. საქ. 30:6
 3 ასსცსა ფ.პ-12, აღწ.2,საქმ. 30:30
 4 ასსცსა ფ.პ-12, აღწ.2,საქმ. 30:30-31

კების, ბანდიტურ, სასულიერო პირებისა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ. ღარიბი გლეხობის უმრავლესობა იყვნენ კულაკებისა და ანტისაბჭოთა ელემენტების გავლენის ქვეშ. ხელისუფლება კულაკებისა და ანტისაბჭოთა ელემენტების ხელში იყო...“¹. ძალდატანებითი ადმინისტრაციული ზომების მიღება, მედრესეების დაკეტვა, ჩადრის ახდა და სხვა ძალადობრივი მეთოდები, მოსახლეობის განწყობილებებს ძირფესვიანად ცვლიდა კომუნისტების საწინააღმდეგოდ. ამგვარმა მიდგომებმა გამოიწვია მთლიანი ბლოკის შექმნა მოსახლეობის საგრძნობი ნაწილის მხრიდან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. სწორედ ეს იყო მიზეზი 1929 წლის მარტში მომხდარი გამოსვლების. „...ამას თუ დაეუმატებთ იმ გართულებულ მდგომარეობას რომელსაც ადგილი აქვს საერთაშორისო სფეროში, მივიღებთ ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნის საუკეთესო ნიადაგს...“² მომხსენებელი ბახტაძე მიმოიხილავდა რა რაიონში შექმნილ ვითარებას, არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზისას გამოყოფდა ოთხ ძირითად ფაქტორს, რომელმაც შექმნა რეალური მოცემულობა კომუნისტების საწინააღმდეგოდ. მისი აზრით რაიონში ადგილი ჰქონდა რელიგიურ ფანატიზმს, პატრიარქალურ ურთიერთობებს, რთულ გეოგრაფიულ მდებარეობასა და კულტურული ყოფაცხოვრების ჩამორჩენილობას. მისი აზრით, რაიონში 1930 წლიდან კვლავ იწყებენ გამოცოცხლებას ანტისაბჭოთა ელემენტები, კულაკობა და სასულიერო წრის წარმომადგენლები თავისი აგიტაციით, როგორც იყო მაგალითად შექმნილი რთული საერთაშორისო მდგომარეობა და ამ ფონზე მოსალოდნელი ინტერვენცია უცხო სახელმწიფოების მხრიდან. რაიონის პოლიტიკური მდგომარეობის გაცულება ასევე დაუკავშირეს საშინაო სამეურნეო მდგომარეობის გართულებასაც. პრობლემატური იყო ასევე ქართული ენის სწავლება სკოლებში საქართველოს იმ ზოგიერთ რაიონში სადაც გამოიყენებდნენ თურქულ ენასა და არაბულ შრიფტს. შესაბამისად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1929 წლის 5 ოქტომბერს მიიღო დადგენილება №269, რომლითაც დაევალა საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, როდესაც საჭირო იქნებოდა გამოეყენებინათ გალათინირებული თურქული ალფაბეტი. 1929-1930 სასწავლო წლიდან ყველა თურქულ სკოლაში უნდა შემოღებულიყო სწავლება ახალი თურქული გალათინირებული ალფაბეტით. მაშინ ჯერ კიდევ აჭარისტანის ცაკს დაევალა დაემუშავებინა ვადები აჭარის შესაბამის სკოლებში აღნიშნული შრიფტით სწავლების დაწყების თაობაზე.³

ამკარაა რომ საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენები არ ყოფილიყვნენ საერთო ინტერესების მატარებელნი, მათ არ აწყობდათ სოფლებში გლეხებს შორის შეკავშირება. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება იყო ბოლშევიკების ამოცანა დღიდან მათი ხელისუფლებაში მოსვლისა. არაერთ საარქივო დოკუმენტში აღმოჩნდა ხელისუფლების უარყოფითი დამოკიდებლება გლეხების გაერთიანების წინააღმდეგ. ასევე საინტერესოა კრიზისის გამომწვევი ეკონომიკური მდგენელის არსებობის აღიარება.

1932-1933 წლიდან საბჭოთა კავშირში ერთგვარად იცვლება პოლიტიკა სოფლად კულაკობისა და ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. შეიძლება ითქვას რომ ეს ცვლილება იყო არა იდეური, არამედ ტაქტიკური. შეიცვალა მეთოდები, ინსტრუქციით მითითებული იყო თუ ვის და რა შემთხვევაში შეეძლო გამოეყენებინა რეპრესიული მეთოდები. ჩვენი აზრით საბჭოების მიერ სოფლად ტაქტიკის ცვლილება დაკავშირებული იყო მთელი ქვეყნის მასშტაბით დაგროვილ ანტისაბჭოთა განწყობებში, წინააღმდეგობა ბადებდა უფრო დიდ წინააღმდეგობას. თუ ამას დაეუმატებთ რთულ საგარეო ფაქტორებს მივიღებთ სურათს, როდესაც საბჭოები თავისი ამოცანების გადასაჭრელად ცვლიდა ტაქტიკას, ისინი ბუნებრივია უარს არ ამბობდნენ კოლექტივიზაციასა და მოსახლეობის ფართო ფენების მასში გაწვევრიანებაზე. პირიქით,

¹ ასსცსა ფ.პ-12, აღწ.2,საქმ. 30:31

² ასსცსა ფ.პ-12, აღწ.2,საქმ. 30:61

³ კანონთა და განკარგულებათა კრებული 1929, გვ. 25,

https://elfiles.emis.ge/uploads/27760/Kanonta_Da_Gankargulebata_Krebuli_1929_N22.pdf

მთავარი ამოცანები არ იცვლებოდა, უბრალოდ ანგარიში გაეწია ობიექტურ გარემოებებს, რომლებიც მოქმედებდნენ როგორც ხელისშემსლელი ფაქტორები. ხულოს რაიონის მაგალითზეც კარგად გამოჩნდა ეს ვითარება. შესაბამისად ამოცანა იდგა არა იმაში, რომ შეენარჩუნებინათ კოლმეურნეობები მეურნეობის ფორმად, არამედ იმაში, რომ ხელი შეეწყოთ გლეხობისთვის შესულისყვნენ კოლმეურნეობებში. მიუხედავად ამისა ზოგიერთი ოლქიდან ჯერ კიდევ მოდიოდა მოთხოვნები მასიური გამოსახლებებისა სოფლებიდან და რეპრესიების მწვავე ფორმების გამოყენებისა. ცკ-ში არის ცნობები იმის შესახებ, რომ მასობრივი ქაოსური დაჭერები სოფლად ჯერ კიდევ იყო პრაქტიკაში. იჭერდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, სოფლის საბჭოსა და პარტიული უჯრედების თავმჯდომარეები. ისინი ხელმძღვანელობენ პრინციპით „ჯერ დააპატიმრე მერე გავერკვევით“.¹ 1933 წლის 8 მაისს გამოიცა ს.კ.კ.პ.(ბ) ცკ-ს და სახკომსაბჭოს ერთობლივი დადგენილება №16028, რომლითაც უნდა შეჩერებულიყო სოფლებიდან გლეხობის მასობრივი გამოსახლების პროცესი და ეს რეპრესიული ღონისძიება უნდა გამოყენებულიყო მხოლოდ ინდივიდუალურად. ამავდროულად დაწესდა ე.წ. ერთგვარი ლიმიტი, თუ რა რაოდენობის მოსახლეობა შესაძლოა ყოფილიყო ჯამში გასახლებული, „...ამიერკავკასიისთვისაც 500 ერთეული...“² „...ყველაფერი დაუმორჩილეს კომუნისტური დიქტატურის იდეოლოგიას. რეპრესიებს კომუნისტური რეჟიმის არსებობის პირველივე დღეებიდან ჰქონდა ადგილი, მაგრამ განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღეს 1937-1938 წლებში. მასობრივი რეპრესიები მიმდინარეობდა სოფლადაც, სადაც საყოველთაო კოლექტივიზაციას, რომელიც ამ პერიოდში დასრულდა, ათასობით გლეხის სიცოცხლე შეიწირა.“³

1930 წლის 26 თებერვალს შედგა ხულოს რაიკომის აპარატის სხდომა. მთავარი განსახილველი საკითხი იყო პარტიის რიგებში მოკალათებული ანტისაბჭოთა ელემენტების გამოვლენისა და წმენდის საკითხი. კომისიის წევრები იყვნენ მიშა ბერაია-თავმჯდომარე, იუსუფ ბოლქვაძე, კარგარეთელი ანა, ოსმან შანთაძე, ილიას მეგრელიძე. სხდომა გაიხსნა მბერაიას სიტყვით, რომელმაც აღნიშნა საბჭოთა მოქალაქის ვალდებულების შესახებ აპარატში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენის საქმეში. № მე-8 ოქმით რომელიც მიღებულ იქნა 1930 წლის 4 მარტს დადგინდა: ორგანიზაცია „ეპოს,, თანამშრომლებს: თოქმაჯიშვილ სიმონს გამოეცხადა სასტიკი საყვედური „უკანსაქნელი გაფრთხილებით“, ხურუშალ სახურაძესაც უკანასქნელი გაფრთხილება, ნიკოლოზ გურიელს სასტიკი საყვედური, სულეიმან თავართქილაძეს სასტიკი საყვედური სამსახურებრივი გულგრილობისათვის. ახმედ წულუკიძეს საყვედური პირველი კატეგორიით, როგორც კულაკობის გავლენის ქვეშ მოქცეული და კლასიური ხაზის დამახინჯებელს. პროკოფი ჭანტურიას კი საყვედური მეორე კატეგორიით, საკუთარი წარსულის დამაღვისთვისა და თანამდებობისთვის შეუფერებელს.⁴ მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა ე.წ. წმენდა. მიუხედავად 1933 არაერთხელ ჩატარებული სააღრიცხვო ბარათების შემოწმება-შედარებისა მაინც არადაამაკყოფილებლად შეფასდა საერთო მდგომარეობა. ჯერ კიდევ უჯრედებში სააღრიცხვო ბარათების რაოდენობა არ ემთხვეოდა კომუნისტების ფაქტიურ შემადგენლობას, ხოლო რაიკომში არსებული სააღრიცხვო ბარათები არ ეფარდებოდა უჯრედებში არსებულ სააღრიცხვო ბარათებს. გამომდინარე იქედან, რომ უახლოეს დროში იწყებოდა აჭარის პარტიული ორგანიზაციის წმენდა, ამისათვის საორგანიზაციო საინსტრუქტურო განყოფილებამ საჭიროდ ცნო დაეწყო მასიური შემოწმება.⁵ პარტიულ-რევოლუციური სიფხიზლის კონტექსტში უნდა იქნეს განხილული ერთი რიგითი მოხსენება მოქალაქე ხულოს მიქელაძის მიერ ხულოს რაიკომის მდივნის ბუჯიაშვილის სახელზე, რომელითაც განმცხადებელი ამცნობდა მას სხალთის საბჭოში

¹ ასსცსა ფ.პ-12,აღწ.2,საქმ. 42:1

² ასსცსა ფ.პ-12,აღწ.2,საქმ. 42:2

³ გ. ანჩაბაძე, საქართველოს ისტორია, მოკლე ნარკვევი, თბ., 2005, გვ. 26.

http://eprints.iliauni.edu.ge/1875/1/saqarTvelos_istoria.pdf

⁴ ასსცსა ფ.პ-12,აღწ.2,საქმ. 33:20-21

⁵ ასსცსა ფ.პ-12,აღწ.2,საქმ. 49:5

შემავალ სოფელ ზამლეთში მომხდარ ამბავს, საქმე ეხებოდა ხ. მ. და შ. მ. ბინაში წარმოებულ ქეიფებსა და „ღრეობის“ ფაქტებს ბათუმიდან ჩამოყვანილი ამფსონების მონაწილეობით. აღნიშნული ფაქტის შესწავლისთვის განმცხადებელი ითხოვდა კომისიის გამოყოფას...“¹

ხულოს რაიონში პრობლემური იყო ქალთა მდგომარეობა და როლი. კომუნისტებისთვის ეს საკითხი ასევე მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა. ჩვენ როცა ვსაუბრობდით ხულოს რაიონის სპეციფიკაზე, ერთ-ერთი ფაქტორად სწორედ ქალთა საკითხიც მოიაზრებოდა. ერთგან აღინიშნა რაიონში ძლიერი პატრიარქალური ურთიერთობების არსებობა, რომელიც მთავარი ხელისშემშლელი იყო საბჭოთა იდეოლოგიის განხორციელების საქმეში. არაერთი საარქივო მასალით დასტურდება ხულოში ქალთა განათლების საკითხში მთავარ ხელისშემშლელ გარემოებად პატრიარქალური ურთიერთობის არსებობა, რომელიც ასევე განმტკიცებული იყო მუსლიმანური სარწმუნოების სჯულის გამავრცელებლების სპეციფიკური დამოკიდებულებითაც აღნიშნულისადმი. 1933 წლისათვის ხულოს რაიონში ქალებისთვის არსებობდა 13 ჭრა-კერვის შემსწავლელი სკოლა, „...ნალვარევის ჭრა-კერვის სკოლაში კი მეცადინეობა წარმოებს ზაფხულის პერიოდშიც, ვინაიდან იქ არიან ჩადრ ახდილი ქალები...“² ძალზედ საყურადღებო და ნიშანდობლივია ხულოს რაიკომის ქალთა სექტორის გამგის ქსენია სულაქველიძის განცხადება ხულოს რაიკომის მდივნის ახობაძისადმი. განცხადებაში აღნიშნულია რაიონში ქალთა შორის მუშაობის წარმართვის ობიექტური სირთულეების თაობაზე. განმცხადებელი, ამახვილებს რა ყურადღებას ამ საკითხზე, გულისტკივის გამოთქვამს რაიკომის მდივნის მხრიდან გამოჩენილი გულგრილი დამოკიდებულების გამო.

ამ მცირე მიმოხილვითაც გარკვეული წარმოდგენა გვექმნება თუ რა ვითარება იყო შექმნილი საქართველოში და განსაკუთრებით აჭარაში. როგორ ვრცელდებოდა ჩვენში საბჭოური იდეოლოგია და რა სირთულეები არსებობდა ამ მიმართულებით.

Levan Samsonia

Batumi Shota Rustaveli State University

**BRIEF OVERVIEW OF THE CURRENT SOCIO-POLITICAL ISSUES OF THE KHULO DISTRICT COMMITTEE OF THE KP (B) OF GEORGIA IN THE FIRST HALF OF THE 1930S, BASED ON ARCHIVAL DATA
RESUME**

This article describes the socio-political situation in Khulo district in the first half of the 1930s. The article mainly uses archival documents that first enter the scientific circulation. Based on the critical analysis of the documents, a political picture is created that was created in the given district. Contradictions arising from collectivization are covered. Soviet reasons for using repressive methods. Kalta legal status in the district and the influence of the patriarchal community on the processes.

¹ ასსცსა ფ.პ-12,აღწ.2, საქმ. 54:1

² ასსცსა ფ.პ-12,აღწ.2.საქმ. 46:4

ღურმიშხან ჟურულის ოჯახი ბათუმის თეატრის სათავეებთან

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის, გიორგი ჟურულის მამა, ღურმიშხან ჟურული აქტიურად მონაწილეობდა 1877-1878 წ.წ. რუსეთ-ოსმალეთის ომში. რუსეთის ხელისუფლების დავალებით იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა მუსლიმ ქართველებთან, კერძოდ, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილთან. ამ მოლაპარაკებებმა განაპირობა იმ დროისთვის ოსმალეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ქართველების დამოკიდებულება აღნიშნული ომისადმი, რომელმაც აჭარის ბედი გადაწყვიტა. საქართველოს ამ უძველესი კუთხის სამშობლოსთან შემოერთების შემდეგ ღურმიშხან ჟურული ბათუმის პოლიციის-ტერად დაინიშნა და თავისი კარიერა აჭარაში გააგრძელა. იგი მეუღლესთან და შვილებთან ერთად ბათუმში დამკვიდრდა. ღურმიშხან ჟურულის ოჯახი ქართული კულტურის კერად იქცა. სწორედ მათთან იკრიბებოდნენ მოღვაწენი, რომელთა მთავარ მიზანს ეროვნული ცნობიერების აღორძინება წარმოადგენდა. ღურმიშხან ჟურულის მეუღლის – ქეთევანის სახელს არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება უკავშირდებოდა, მათ შორის ბათუმის თეატრის დაარსება.*

ღურმიშხან ჟურულს ცოლად ჰყავდა იმ დროისთვის ძალზე განათლებული და ქართულ საზოგადოებაში ცნობილი ქალბატონი ქეთევან ლუარსაბის ასული ნამორაძე (დაბ. 1842 წლის 30 ნოემბერს¹).

1879 წლის 20 ივლისს, ქეთევანის ინიციატივით ბათუმის სცენისმოყვარეთა მონაწილეობით პირველი წარმოდგენა გაიმართა: „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“ (ზ. ანტონოვი) და „ცოლი თუ გინდათ, ეს არის“ (ვ. აბაშიძის „ვოდველი“). სწორედ ეს თარიღი ითვლება ბათუმის თეატრის დაარსების დღედ. წარმოდგენაში სხვა მსახიობებთან ერთად მონაწილეობას იღებდა ლევან მჭედლიშვილი (მოგვიანებით მისი ვაჟი – ვახტანგ მჭედლიშვილი მოსკოვის სამხატვრო თეატრში რეჟისორად მოღვაწეობდა. მან დაარსა მოსკოვში ქართული დრამატული სტუდია). პირველი წარმოდგენა ბათუმში ფიცრულ შენობაში გაიმართა, რომელიც ახლად დაარსებული რუსული სამოქალაქო სასწავლებლის ეზოში იყო აგებული. წარმოდგენის შემოსავლი ბათუმის ქართული სკოლას უნდა მოხმარებოდა.² ამ წარმოდგენის შესახებ გაზეთის „დროება“ ფურცლებზე ვკითხულობთ: „ბათუმში შკოლის გახსნის მიზნით, გავლილ კვირას, პატივცემულის ქეთევან ჟურულის თაოსნობით, ქართული სცენის მოყვარეებმა ანტონოვის თხზულებიდან კომედია „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“ წარმოადგინეს. წარმოდგენა იყო გამართული სულ ახლათ აშენებულ საზაფხულო თეატრში, სადაც არის სასტუმრო „არტანი“. ჩვენ არ შეგვხვებოდა პატივცემულს მოთამაშეების როლების სინამდვილით ანუ ნაკლებადანებით აღსრულებას, რადგანაც შესაძლებელია რომელიმეს ნაკლებადანების გამოაშკარება გახდებოდა მომავლისათვის ხალისის მომწამვლელი. ამისათვის მეტათ არ დავთვლით, რომ ყველას ერთათ ერთნაირი გულითადი მადლობა უძღვნათ, ამნაირი კეთილმო-

¹ <http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00002242/>

* ღურმიშხან ჟურულს და ქეთევან ნამორაძეს ბათუმში ორსართულიანი სახლი ჰქონდათ, რომელიც გაურკვეველი მიზეზით 1896 წელს დაიწვა. ამის შესახებ გაზეთში „ცნობის ფურცელი“ ვკითხულობთ: „ბათუმიდან დეპეშით გვატყობინებენ, რომ იქ დამწვარა ღურმიშხან ჟურულის სახლი, სახლი დაზღვეული ყოფილა.“ გაზ. „ცნობის ფურცელი“, №24, 1896, გვ. 2. აღნიშნული სახლის გარდა ჟურულების საკუთრებაში ბათუმში მიწის ნაკვეთიც იყო. საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი № I, საქმე(მითითებული არ არის), ხ. 38496.

² გ. ბუნნიკაშვილი ბათუმის თეატრი, თბ., 1979, გვ. 6-7. ლ. ქუცნიაშვილი, რელიგიური ვითარება აჭარაში (XIX საუკუნის 70-იანი წლები-1904 წელი), თბ., 2019, გვ. 111, <http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/lianaqucniashvili.pdf>

ბილური მიზნის სისრულეში მოყვანისთვის. ამნაირი მადლობის და ქების ბეჭდვით მათთვის გადაცემის დროს ხელმძღვანელობ იმით, რომ საზოგადოთ საზოგადოებისაგან (დამსწრენი იყვნენ მთელი ბათუმის წარჩინებული პირები) ერთ ხმათ ისმოდა დიდი მადლობა და თანაგრძნობა. როგორც სჩანდა მათთვის და მოთამაშეების საზოგადოებისაგან დამსახურებული პატივის და მადლობისაგან, ახალ ქვეყანაში, ახალ ქართველებთან პირველ ქართულ წარმოდგენას, შკოლის გახსნის მიზნით, საკმარისი შთაბეჭდილება მოეხდინა, რადგანაც ბევრისაგან ისმოდა თხოვნა, რომ ამავე მიზნით ხშირათ იყოს წარმოდგენა.” კორესპონდენციის ავტორი იყო „ბათუმელი ქართველი”.¹

ნინო ჟურული-მაქარაშვილისა (დურმიშხან ჟურულისა და ქეთევან ნამორაძის ქალიშვილი) თავის მოგონებაში ერთ საინტერესო ფაქტს იხსენებს. ბათუმში პირველ თეატრალურ წარმოდგენას უამრავი ადამიანი დაესწრო, მათ შორის ქალაქის ინტელიგენცია, სახელისუფლებო წრის წარმომადგენლები და სხვ. დამსწრეთა შორის იყო ბათუმის სახალხო სკოლების ოლქის უფროსი ბოგდანოვი, რომელმაც წარმოდგენა ქეთევან ნამორაძე-ჟურულთან დაპირისპირების გამო დატოვა. ამის შესახებ ნინო ჟურული წერს: „იანოვსკის ეჯავრებოდა ქართველები და სიშურით უცქეროდა, რომ ყველანი ასეთ თანაგრძნობას უწევდნენ ქართულ წარმოდგენას. ბოგდანოვმა სცადა მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ ქეთევანმა გულმოსულმა უპასუხა: ს ტაკიმ სოლდაფონომ, კაკ ვი, ნე ჟელაიუ რაზგოვორივატ.“ გაბრაზებული ბოგდანოვი მაშინვე წასულა. თურმე ბევრმა ურჩია ქეთევანს ბოდიში მოეხადა ბოგდანოვისათვის, მაგრამ მას უპასუხია: „ბოგდანოვმა მთელი ქართველობა შეურაცხყო, მან აქეთ უნდა მოიხადოს ბოდიში!”² ქეთევან ჟურულის მიერ ბათუმში გამართულ თეატრალურ წარმოდგენებზე თავს იყრიდნენ, როგორც ქალაქის მაშინდელი ელიტის წარმომადგენლები, ასევე ბათუმში მყოფი უცხოელები. როგორც მივუთითებდით, ბათუმში დამკვიდრებული დურმიშხან ჟურულის ოჯახი კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრად იქცა. დურმიშხანის მეუღლე ქეთევანი იყო უამრავი ღონისძიების სულის ჩამდგმელი. ბათუმში ჩასული ქართული ინტელიგენციისათვის დურმიშხან ჟურულის სახლი ნამდვილ ოაზისს წარმოადგენდა. დურმიშხან ჟურულის მეუღლეს - ქეთევანს ძალზე თბილად იხსენიებს ცნობილი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი: „სკოლა (მწერალი გულისხმობს ბათუმის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქართულ სკოლას – გ.ს) იყო მოთავსებული პაწაწუნა სახლში, მეტად ღარიბულად და საწყლად, თავის მიზანს დაშორებული, რადგან მუსულმან-ქართველები არ აბარებდნენ შვილებს, ვინაიდან ეშინოდათ, შვილებს გაგვიქრისტიანებნო. თბილისის გამგეობა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა ფულსაც ვერ ახარჯებდა საკმარისად სკოლას და მის შესანახავად ყოველ ღონეს ხმარობდა ბათუმის მცირერიცხოვანი ქართველი საზოგადოება. დიდ დახმარებას უწევდა სკოლას ამ მხრივ ბათუმის პოლიცემისტერის დურმიშხან ჟურულის მეუღლე ქეთევანი.³ ეს უკანასკნელი არათუ ამ სკოლას უწყობდა ხელს, იგი იყო ბათუმის ქართველი საზოგადოების თავმომყრელი და სულისჩამდგმელი. მისი ოჯახი იყო, სადაც

¹ გაზ. “დროება”, 13 ივლისი, №144, 1879 წ. გვ. 3. ამ წარმოდგენის შესახებ გაზ. “დროებაში” წინასწარ იყო დაანონსებული. წარმოდგენის შემოსავლის ნაწილი ქობულეთის გაჭირვებულ მოსახლეობას უნდა მიხმარებოდა. გაზ. “დროება”, №122, 1879 წ. გვ. 1

² საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 3035, ხ. 20803; ც. თველორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

³ რუსეთის იმპერატორის მიერ 1850 წლის 6 დეკემბერს დამტკიცებულ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა ნუსხაში ორი ქეთევან ნამორაძე იხსენიება: ერთი ბეჟან ნამორაძის ქალიშვილი, ხოლო მეორე ლუარსაბის ასული. ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, ფოტოტიპიური გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, თბ., 2005, გვ. 289. დურმიშხანის მეუღლე ჩანაწერში დაფიქსირებული ქეთევან ლუარსაბის ასულია. ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა ნუსხაში მოიხსენიებულია ლუარსაბ იორაძის ძე ნამორაძის მეუღლე-ანა, ასევე, მათი ვაჟიშვილი სოლომონი და ქალიშვილები: სალომე და ქეთევანი. ნუსხის მიხედვით ქეთევანი დედამამიშვილებში სავარაუდოდ ყველაზე უმცროსი იყო. იქვე, გვ. 289. დურმიშხანის და ქეთევანის გარდაცვლილ მცირეწლოვან ვაჟს, რომელიც არბოს წმინდა გიორგის ტაძარშია დაკრძალული ლუკა ერქვა. როგორც ჩანს, დურმიშხანმა თავის ერთ-ერთ ვაჟს სიმამრის სახელი დაარქვა. მისი ვაჟებიდან არცერთი მათგანი არ ატარებდა დურმიშხანის მამის – შალვას სახელს. ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო ბათუმის პოლიცემისტერის სიფრთხილით, რადგან მამამისი, როგორც აღვნიშნეთ, ანტირუსულ გამოსვლებში იყო ჩაბმული.

თავს იყრიდნენ ქართველები; მას დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული ქართველობაშიც და გარეშეთა მხრითაც. ბათუმში ჩამოსული ყოველი ინტელიგენტი ქართველი მოვალედ რაცხდა თავს ამ ოჯახში მისულიყო. ქართველ არისტოკრატებს აქ დიდი ყურადღება ექცეოდათ და დიდად ხელი ეწყობოდათ. ქართული სკოლა, როგორც ვთქვი, ამ ოჯახის მზრუნველობით არსებობდა. რასაკვირველია, მეც, ყმაწვილი ოფიცერი, მიმიყვანეს ჟურულის ოჯახში და გააცნეს ჩემი თავი. ქეთევანმა პირველ გაცნობისთანავე მისაყვედურა, რომ ქართული ძლივს მეხერხებოდა და დედისებური დარიგება მომცა მშობლიური ენა შემესწავლა. რამდენიმე ხნის შემდეგ საქმეში ჩამაბა: იმართებოდა წარმოდგენა სკოლის სასარგებლოდ; იდგებოდა გიორგი ერისთავის “გაყრა”. მე დამაკისრეს გაბრიელის როლი. გულმოდგინედ შევუდექი როლის სწავლას, მაგრამ ჩემი ჩიქორთული ქართული მეტად მიჭირვებდა საქმეს. ამის დასაძლევად, ენისგასატეხად, ცალკე რეპეტიციები მჭირდებოდა ხოლმე; ჩამა-ჯენდა სავარძელში ქეთევანი და მათქმევინებდა როლს. ერთი ათჯერ, თხუთმეტჯერ უნდა გამემეორნა ჩემი მონოლოგი; გაწვალებული ვიყავი ასეთი სწავლით, მაგრამ არანაკლებ გაწვალებული იყო ჩემი მასწავლებელი, რომელიც შემომძახებდა ხანდახან მოთმინება-დაკარგული: “არ შეიძლება ასე, ყმაწვილო, უნდა ისწავლოთ ქართული, ქართველი ხართ!” მეც ძალიან მოწადინებული ვიყავი მესწავლა ჩემი ენა, მეტად მწყდებოდა გული, მაგრამ წარმატებაში ნელის ნაბიჯით შევდიოდი. ამ მზადების დროს ერთ-ერთ რეპეტიციაზე აგვიტყდა ოჯახის პატრონი და, როგორც პოლიციისტერმა, პიესის ცენზორობა მოინდომა. არ მოეწონა მოურავის ლექსი, ანდუყაფარს რომ ეუბნება მოსამართლეზე: ასი თუმნითა სულსა-პალატას ხელით ვაქანებ.

„და სუდიასა, აი იმ კუქნასა,
სულ ვათამაშებ ლეკურ-ბუქნასა”

დაიჯინა – ეს ადგილი ამოშალეთო, ამის თქმის ნებას ვერ მოგცემთ, სამსახურიდან დამითხოვენო. დიდი შეტაკება მოუვიდათ ცოლ-ქმარს ამის თაობაზე; ქეთევანმა ჩააჩუმა შეშინებული პოლიციისტერი. ლექსი არ ამოიშალა.”¹ ზემოთ მოყვანილი ეპიზოდი, რომელიც ბათუმის პირველი თეატრალური წარმოდგენის დროს სკოლების ოლქის ხელმძღვანელის ბოგდანოვის და ქეთევან ჟურულის დაპირისპირებას ასახავს დავით კლდიაშვილს თავის მოგონებებში გამორჩა. მწერალი წლების შემდეგ შეხვედრია ნინო ღურმიშხანის ასულს და ამის შესახებ საუბარში აღუნიშნავს.²

ბათუმში მცხოვრებ ღურმიშხან ჟურულის ოჯახის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის აქვსენტი ცაგარელი. მისი გადმოცემით, ბათუმის პოლიციისტერი საკმაოდ გავლენიანი ადამიანი იყო ქალაქის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის, ჟურულის ოჯახი კი ბათუმში ჩასული ქართული კულტურის მოღვაწეთა მზრუნველი მასპინძელი. ა. ცაგარელის ცნობით, სცენისმოყვარეთა, თუ კულტურული საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა მიმართ განსაკუთრებული სითბოთი გამოირჩეოდა პოლიციისტერის მეუღლე – ქეთევან ჟურული. აღსანიშნავია, რომ ბათუმში პირველი ქართული წარმოდგენის შემდეგ აჭარის შემოერთებას მიეძღვნა თბილისის თეატრალური კომიტეტის დრამატული დასის გასტროლოები. 1878-1879 წ.წ. თბილისში საცდელი სეზონის ჩატარების შემდეგ დასმა საქართველოს არაერთი კუთხე მოიარა. წარმოდგენები გაიმართა: გორში, ქუთაისში, ფოთში, ბოლოს თეატრალური დასი ბათუმში ჩავიდა.³ ამის შესახებ ა. ცაგარელი წერს: “ქართველ ოჯახებში მაშინ ბათუმში მეთაურობდა პატივცემული ღურმიშხან ჟურულის ოჯახი; ბ. ღურმიშხანი ბათუმის პოლიციის უფროსი ბძანდებოდა და, მაშასადამე, ადმინისტრაციის წარმომადგენელთა შორის გავლენიანი პირი იყო, ბათუმში ეს პატიოსანი ოჯახი აღმოგვიჩინდა მუქთა სასტუმროდ: სადილ-ვახშამი ამ ოჯახში ჩვენთვის ყოველთვის მზად იყო, და რაც შეეხებოდა ჩვენი სცენის საჭიროებას, დარბაისელი ქეთევან ჟურულისა არაფერს არ ჰზოგავდა

¹ დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, თხზულებანი ორ ტომად, ტ. II, თბ., 1981, გვ 101-102; ნ. ნოლაიძე, დავით კლდიაშვილი ბათუმში, დავით კლდიაშვილი-150, თბ., 2012, გვ. 379-380.

² იხ. საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 3035, ხ. 20803.

³ გ. ბუხნიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

დასახმარებლად. ჩვენი საქმე გაჩარხული იყო: წარმოდგენისათვის ზალაც მოვაწყეთ, ბილეთებს იტაცებდნენ, ქართველი საზოგადოების გარდა, უცხოელებიც, მეტადრე ქართველი მაჰმადიანებიც ბევრი დადიოდა, მხოლოდ... დახე კიდევ ჩვენ უშნობას და მოუფიქრებლობას: ბათუმში სტამბა არ იყო (ან რისთვის იქნებოდა), და ჩვენ კი დაგვაიწყადა ქუთაისიდან დაბეჭდილი აფიშები წავველო. არავის არ მოაგონდა, ვერავინ ვერ მოვისაზრეთ, რომ ბათუმში, ახლად აღებულ ოსმალოს ქალაქში, ასე მალე ქართულ-რუსული სტამბა არ იქნებოდა! ხელთნაწერი აფიშები რამდენი უნდა დაგვემზადებინა, რომ მთელ ქალაქს გასწვდომოდა და ან რა თვალსაჩინო იქნებოდა ხელთ-ნაწერი აფიშა? შემდეგ ურთი-ერთ შორის თათბირისა, შემდეგი გამოვიგონეთ: ბათუმში დღესაც, ზაფხულობით, ქუჩა-ქუჩა დააქვთ ხოლმე ცივი წყაროს წყალი კოკებით ხის ფოთლებში გახვეული, ამას ეძახიან სოუხ-სუს. წყლის დამტარებელი დადის და ჰყვირის “სოუხ-სუ!” დაგწერეთ რამდენიმე აფიშა სხვილის ხელით და ამ წყლის დამტარებლებს ზურგზე დავაკარით და თანაც დავარიგეთ, რაც უნდა ეყვირათ ქუჩაში. დადიოდნენ ეს ქართველი თათრები და დაზეპირებულ სიტყვებს გაჰკიოდნენ: „დღეს თრიათში ქაართული თრიათრიააა. თამაშობენ: საფაროვი, გაბუუნია, ყიფიაანი” და სხვა ამ გვარად. ხშირად ჩვენი ქალები ჩემზე ადრე რად ამბობსო, ჩამოუცვიოდნენ ამ საბრალოებს სასტუმროდან ქუჩაში, შეაჩერებდნენ და ეუბნებოდნენ: წინად გაბუუნია ან საფაროვი სთქვიო და აი შენი გასამჯელო ერთი აბაზიო... ჩვენ, კაცები, ვსწყდებოდით სიცილით თათრებისაგან ჩვენი არტისტი ქალების დამახინჯებული გვარების ყვირილზე; მით უმეტეს, თეატრში ჭედვა არ იყო. ბათუმში სამი წარმოდგენა გავმართეთ; სამჯერვე თეატრი სამსე იყო ხალხით. საჩუქრები ბევრი მოსდიოდათ ჩვენ არტისტ ქალებს; გაბუნიას ქალს დღესაცა აქვს მაშინდელი რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი”.¹

ბათუმში ამ დროს იმყოფებოდა პრინცი კონსტანტინე ოლდენბურგელი², რომელსაც თბილისელი სტუმრების გასამასპინძლებლად ევროპიდან გამოწერილი სასმელები ქეთევან ჟურულისთვის გადაუცია.^{3*}

ა. ცაგარელის მოგონებებში ერთ საინტერესო ეპიზოდსაც ვხვდებით, რომელიც დურმიშხან ჟურულის ვაჟს, პირველი კლასის კადეტს შემდგომში გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს – გიორგი ჟურულს ეხება. ეპიზოდში აღწერილია, როგორ მიართვა ცნობილ ქართველ მსახიობ ქალს, ნატო გაბუნიას, ყვავილების თაიგული საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მომავალმა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა. ქართველი დრამატურგი იგონებს: ”პროვინციაში ხშირად გვშველოდნენ ხოლმე სცენის მოყვარულნი. რომ დაგვჭირდებოდა, მეტი რა ჩარა გვქონდა, მოვიწვევდით ხოლმე ამა თუ იმ კაცსა ან ქალსა, რომლებიც დიდის სიამოვნებით გვეხმარებოდნენ. ბათუმშიაც დაგვჭირდა პატარა ქალის როლის მოთამაშე. ბევრი არ გვიფიქრია და უცბათ გამოვსძებნეთ... დღევანდელი ჩვენი პატივცემული ცენზორი გიორგი ჟურული, პირველი კლასის კადეტი, რომელიც გამოვიყვანეთ პატარა გოგოს როლში, მოკლე და არშიებით მორთულ ქალის ტანისამოსით. ქალში ვერ გამოარჩევდა კაცი, ისე უხდებოდა ეს დედათა სამოსელი და მშვენივრადაც შეასრულა თავისი როლი. ერთი მოხერხებული ეშმაკობაც ჩაიდინა ამ ყმაწვილმა გიორგი ჟურულმა. იგი დიდი მოტრფიალე იყო (მგონია, დღესაც ისევე მოტრფიალეა) თეატრისა და თაყვანის მცემელი არტისტებისა. ნახა, რომ საზოგადოება საჩუქრებს აძლევს წარჩინებულ არტისტებს, თითონაც მოუნდომია საჩუქარი მიართვას გაბუნიას ქალს. წასულა საქალაქო ბაღში და მებაღისათვის უთქვამს: “მამამ – კარგი თაიგული გამიკეთე და გამომიგზავნეო”. აბა, მებაღეც როგორ

¹ https://elfiles.emis.ge/uploads/11021/Cagareli_Aqvsenti.pdf

www.batumitheatre.ge; <http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=253964&gid=6#.XeVuPZNKjIU>

² <http://www.nplg.gov.ge/winemakers/ka/00001996/>

³ საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 3035, ხ. 20803.

* აღსანიშნავია, რომ გრაფ კონსტანტინე ოლდენბურგელის მეუღლეს აგრაფენა ჯაფარიძეს და მის დას კატოს <http://www.nplg.gov.ge/winemakers/ka/00001996/> მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დურმიშხან ჟურულის და ქეთევან ნამორაძის ქალიშვილის ნინო ჟურულის მეუღლესთან – გენერალ ილია მაქარაშვილთან. ეს დასტურდება ილია მაქარაშვილის მიერ ნინო ჟურულის სახელზე გაგზავნილი ერთ-ერთი წერილით. იხ. საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 135, ხ. 42762.

არ გაუკეთებდა, რა დაინახა პოლიციის უფროსის შვილი! გაუკეთა მშვენიერი თაიგული და მიართვა. გიორგიმ გამოართვა თაიგული და დაფიქრა: “ამას ხომ “ლენტი” უნდაო”. წავიდა მალაზიაში, აარჩია საუკეთესო ლენტი, 20-25 მანეთი დაუფასეს. ვინ მისცა პირველი კლასის შეგირდს ეს ფული! დედამას ვერა სთხოვს ამ ფულს და, მაშ, რა ქნას, ხომ გაუცრუვდა “კავალრობა”! როგორ მიართვას ცარიელი თაიგული ულენტოდ?! იფიქრა, იფიქრა და მოვიდა ჩვენთან სასტუმროში, გაბუნიას ქალთან: “ნატო, დედამა – დღეს ქართულ წარმოდგენაზე უნდა მოვიდე ნამდვილი ქართული ტანისამოსითაო და რომელი საუკეთესო სარტყელიცა გქონდეს, გამომიგზავნეო”. – გულის პირი ხომ არ უნდა? – ჰკითხა გაბუნიას ქალმა. – არა, გულის პირი აქვს, მარტო სარტყელი უნდა, – მიუგო იმან. ადგა და რომელიც საუკეთესო სარტყელი ჰქონდა, გაუგზავნა. დაიწყო წარმოდგენა, საჩუქრები ბევრი მიიღეს არტისტებმა და, სხვათა შორის, გაბუნიას ქალს მიართვეს მშვენიერი თაიგული ძვირფასი “ლენტით” გადახვეული. გათავდა წარმოდგენა, გაბუნიას ქალმა გაფაციცებით დაუწყო შინჯვა ძვირფას საჩუქრებს, განსაკუთრებით თაიგულის სარტყელს და... პირს კატა ეცა: თავისი საკუთარი სარტყელი იყო. ამ გვარად ითვალთმაქცა პატარა გიორგიმ და საზოგადოებას დაანახვა, რომ ძვირფასი საჩუქარი მიართვა არტისტ ქალს. მაშინდელი ჩვენი დროს გატარება ბათუმში სწორედ დაუვიწყარია¹.

ეს მოხდა 1879 წელს, როდესაც ბათუმში თბილისის პროფესიული თეატრის დასი ჩავიდა. დასში შედიოდნენ: ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა-აბაშიძე, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვ. ბათუმელებმა დედაქალაქიდან ჩასულ სტუმრებს განსაკუთრებული დახვედრა მოუწყვეს და შესანიშნავი ვახშამიც გაუმართეს.²

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დურმიშხან ჟურულის ოჯახმა მნიშველოვანი როლი შეასრულა საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ სფეროში. ჟურულების სახელს უკავშირდება მრავალი კულტურული ღონისძიების ჩატარება, ყველაზე მთავარი კი, მაინც, დედასამშობლოს წიდალში დაბრუნებულ ბათუმში ქართული თეატრის დაარსება იყო, რომლის სული ჩამდგმელი დურმიშხანის მეუღლე, ქეთევან ნამორაძე გახლდათ.

დანართი

ნინო ჟურულის მოგონებები (ხელნაწერი, ქართულ ენაზე, სტილი დაცულია).

ჩემი პატარა მოგონებანი

79-80 წელში პირველათ რო ბათუმში ჩავედით მამა ჩემი³ პოლიცემისტერი იყო, მე მაშინ ძალიან ყმაწვილი ვიყავი და ჩემზედ შთაბეჭდილება იქონიეს შემდეგმა შემთხვევებმა: ბათუმი პატარა ქალაქი იყო, სახლები მართლა მომეტებული ნაწილი ორ სართულიანები იყვნენ, მაგრ. ოთახები ზეით იყვნენ-2-3 და წარმოდგენდნენ ერთ ბინათ. საზოგადოება წარჩინებული იყო როგორც ქართველობა, ისე რუსობა, უცხოელები და ბეგები. დედა ჩემი⁴ დიდი პატრიოტი იყო საზოგადო მოღვაწე და თეატრის მოყვარული. ხშირად საქველმოქმედო წარმოდგენებსაც მართავდა, კარგი

¹ https://elfiles.emis.ge/uploads/11021/Cagareli_Aqvsenti.pdf; საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე (მითითებული არ არის - გ. ს.) ნ. 38506.

ხუთ – თურქულ, ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე გაფორმებული და არაერთხელ გამოქვეყნებული ეს ხელშეკრულება არ შეიცავს საიდუმლო მუხლებს. მიუხედავად ამისა, ამ თარიღის ასი წლისთავის მოახლოებამ ქართული საზოგადოების, პოლიტიკური სპექტრისა და მედიის ნაწილში გარკვეული ვნებათაღელვა გამოიწვია. ერთგვარი შეშფოთება ჩვენში ზოგჯერ მანამდეც გამოითქმებოდა, შიშობდნენ რომ 1921 წელს დადებულ ყარსის ხელშეკრულებას 2021 წელს ვადა გასდიოდა, რაც თითქოს სათუთს განხიდა აჭარის საქართველოსთვის კუთვნილების საკითხს; თითქოს, რაკი ამიერიდან რუსეთი აღარ იქნებოდა ხელშეკრულების პირობათა დაცვის გარანტორი, ანკარა ბათუმზე პრეტენზიას განაცხადებდა ან კიდევ, აჭარაში მცხოვრები მუსლიმები რეფერენდუმით თურქეთთან შეერთებას მოითხოვდნენ. თავისი ისტორიული მნიშვნელობისა და ამ გარემოებების გამოც, საკითხმა აქტუალობა შეიძინა. ანკარაში მას საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაც მიეძღვნა, რომელშიც ამ სტრიქონების ავტორიც იღებდა მონაწილეობას. ყარსის ხელშეკრულება საქართველოში სამეცნიერო თავყრილობაზე განხილვის საგანი არ გამხდარა, თუმცა მის შესახებ მკვლევრებმაც არაერთხელ გამოთქვეს თავიანთი აზრი.²

ყარსის ხელშეკრულების მოქმედების ვადა არც დოკუმენტის ტექსტში და არც მისი რატიფიკაციისას განსაზღვრული არ ყოფილა, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ის უვადოა.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ხაზგასმულია, რომ „ამიერკავკასიის რესპუბლიკები 1921 წელს თურქეთთან მოლაპარაკებაში, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილებით, ერთიანი დელეგაციით მონაწილეობდნენ, ამიტომ თურქეთი იძულებული გახდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან დაედო ერთიანი ხელშეკრულება ქ. ყარსში 1921 წლის 13 ოქტომბერს“³ და რომ ამ ხელშეკრულების რატიფიცირება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში თითქოს ერთხმად განხორციელდა.

წინამდებარე სტატიის მიზანია გაშუქდეს ყარსის ხელშეკრულების ხელმოწერისა და საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ-ის) საგანგებო სესიაზე მისი რატიფიკაციის ნაკლებად ცნობილი ასპექტები, წარმოჩინდეს, როგორი იყო ამ დოკუმენტისადმი საქართველოს პოლიტიკური სპექტრისა და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დამოკიდებულება.

¹ იმავე წლის დეკემბერში ანგორამ ხელშეკრულება გააფორმა უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთანაც.

² მ. სვანიძე, დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისათვის 1918-1921

წლებში. „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, ტ. VIII, თბ., 2001, გვ.

ლ. სარალიძე, ყარსის ხელშეკრულება და ქართული ემიგრაცია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია დიდაჭარობა, ხულო-დიდაჭარა, 2010 წლის მაისი, გვ. 126-129; R. KAVRELİŞVİLİ, N. AKHALKATSI, GÜRCÜ TARİHÇİLİĞİNDE KARS ANTLAŞMASI ÜZERİNE KISA BİR DEĞERLENDİRME, KARADENİZ (Black Sea-Черное Море), Yıl 2013, Cilt 1, Sayı 18, pp. 102-108;

³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 1976, გვ. 88.

მოვლენის არსს სისრულთ ვერ ავსახავთ, თუ არ განვიხილეთ მისი თანადროული საერთაშორისო ფონი და ხელშეკრულების კონტრკაგენტ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური სინამდვილე.

რუსეთში ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მოახერხა სამოქალაქო ომში მოწინააღმდეგე ძალების დამარცხება და მოქმედება რომანოვთა ყოფილი იმპერიის აღდგენისათვის დაიწყო. მან ერთი მეორის მიყოლებით, ბოლო მოუღო სამხრეთ კავკასიის სამივე დამოუკიდებელი სახელმწიფოს და მათ ნაცვლად რეგიონში კრემლზე დაქვემდებარებული აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები ჩამოაყალიბა. საბჭოური ხედვით, ეს რესპუბლიკები სუვერენულ ქვეყნებად მიიჩნეოდნენ, თუმცა მათი სახელმწიფოებრიობა ფორმალური იყო და ფაქტობრივი რეალობა ნაკლებად შეესაბამებოდა დეკლარირებულს.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების მიუხედავად, ანტანტის დაპირისპირება ოსმალეთთან არ შეწყვეტილა. მეტიც, – მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარებს ოკუპირებული ჰქონდათ თვით იმპერიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი. ამან ქვეყანაში წინააღმდეგობის მოძრაობა გააძლიერა, რომლის ლიდერმა მუსტაფა ქემალმა ანგორაში (ანკარა) დიდი ეროვნული კრების მთავრობა შეადგინა. საერთაშორისო აღიარებას მოკლებულმა რუსეთის საბჭოთა და ანგორის ქემალის მთავრობებმა საერთო ენა ერთმანეთში გამოიხატეს. მოსკოვმა ანგორას სოლიდური ფინანსური შემწეობა აღმოუჩინა და სამხედრო შეიარაღებითაც დიდად დაეხმარა. ინტერესთა თანხვედრას 1921 წლის 16 მარტს მათ შორის მოსკოვში “მშობისა და მეგობრობის ხელშეკრულების” დადება მოჰყვა. როდესაც ამ ხელშეკრულების პირობები შეიმუშავეს და დოკუმენტიც პარაფირებულ იქნა (1920 წლის აგვისტო), საქართველო და სომხეთი ჯერ კიდევ დამოუკიდებელ რესპუბლიკებად რჩებოდნენ. ამ გარემოებას ლენინისა და ქემალისათვის ხელი არ შეუშლია, თბილისისა და ერევნის დაუკითხავად, საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიების განაწილებასა და რეგიონში გავლენის სფეროების გაყოფაზე შეთანხმებულიყვნენ.¹

ყარსის ხელშეკრულებას მთლიანობაში და განსაკუთრებით საზღვრებთან დაკავშირებით, საფუძვლად მოსკოვის ხელშეკრულების მუხლები დაედო. ყარსის მოლაპარაკებებში სრულუფლებიან მხარედ მონაწილეობდა საბჭოთა რუსეთიც. ასე რომ, მთავარი მოთამაშენი ყარსშიც მოსკოვისა და ანგორის მთავრობები იყვნენ. რაც შეეხება სამხრეთ კავკასიის გასაბჭოებულ და ფორმალურად დამოუკიდებელ ქვეყნებს, ობიექტურობისათვის უნდა ითქვას, რომ დიდ პოლიტიკაში ისინი მთლად თავისუფალი აქტორები არც წინა, 1918-1920 წლებში ყოფილან. სამივენი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულნი იყვნენ საერთაშორისო კონიუნქტურაზე, რომლის შექმნა თუ ცვლილება მათ შესაძლებლობებს აღემატებოდა.²

ასე იყო ყარსშიც, სადაც სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციებს, სურვილის შემთხვევაშიც, არაფრის შეცვლა შეეძლოთ. მათ მხოლოდ ხელშეკრულებაზე ფორმალური ხელისმოწერა და დოკუმენტის პრომულგაცია ევალებოდათ, რაც შეასრულეს კიდევ. მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკება 26 სექტემბერს დაიწყო და თითქმის ორ კვირას გასტანა, მოსკოვის ხელშეკრულებაში ფაქტობრივად ცვლილება არ შეუტანიათ.

გამოთქმული თვალსაზრისის შესამაგრებლად გამოდგება ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის იუსუფ ქემალ ბეის 1921 წლის 30 აგვისტოს ნოტა სომხეთის სსრ საგარეო საქმეთა კომისარ ასკანაზ მრავიანისადმი, რომელშიც აღნიშნულია: კონფერენცია მოწვეულია იმ მიზნით, რომ ხელი მოეწეროს მოსკოვის ხელშეკრულებას ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებთან ცალკე ხელშეკრულებების სახით იმ მუხლების შესახებ, რომელიც მათ ეხებათ.³ თურქი დიპლომატი ეყრდნობოდა მოსკოვის ხელშეკრულების XV-ე

¹ ჟურნ. „თავისუფალი საქართველო“, 1921, სტამბოლი, 31 ოქტომბერი, № 12, გვ. 3-4.

² მაგალითად, 1920 წლის 10 აგვისტოს სევრის ზავი სომხეთს არნახულ პერსპექტივას უქმნიდა, მაგრამ, მისი გაფორმებიდან სულ რაღაც ოთხ თვეში, იძულებული გახდა, მისთვის კატასტროფულ ალექსანდროპოლის ხელშეკრულების პირობებს დასთანხმებოდა.

³ გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ., 10 სექტემბერი.

მუხლს, რომლის თანახმად: „Россия обязуется предпринять в отношении Закавказских Республик шаги, необходимые для обязательного признания этими Республиками в договорах, которые будут заключены ими с Турцией, статей настоящего Договора, непосредственно их касающихся”.¹

არსებობს ოფიციალური საარქივო დოკუმენტებიც, რომლებიც კიდევ უფრო მკაფოდ და ნათლად ადასტურებენ ხსენებულ მოსაზრებას. რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის ბიურომ, რომელიც სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით თბილისში ფუნქციონირებდა და შუამავალი რგოლი იყო კრემლსა და სსამხრეთკავკასიურ გასაბჭოებულ რესპუბლიკებ შორის, 1921 წლის 3 სექტემბერს საგანგებოდ იმსჯელა ანგორის ხელისუფლებასთან დაგეგმილი მოლაპარაკების შესახებ. მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმით ჩაიწერა, რომ “მოლაპარაკების დროს მკაცრად იქნას დაცული მოსკოვის ხელშეკრულების მუხლები. ...არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეშვათ კავკასიის რესპუბლიკების ერთმანეთისაგან იზოლირებული გამოსვლები, ყველა საკითხის გარშემო უნდა იყოს ერთსულოვნება”.²

ყარსში ანგორის მთავრობის დელეგაციას სათავეში გენერალი ქიაზიმ ყარა ბექირ ფაშა ედგა, საქართველოს სსრ-ს წარმომადგენლენ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი შალვა ელიავა და საგარეო საქმეთა და ფინანსთა სახალხო კომისარი ალექსანდრე სვანიძე. სომხეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა ასკანაზ მრავიანი, აზერბაიჯანისას – ბეჰბუდ შახტატინსკი, ხოლო რსფსრ-ს ინტერესებს იცავდა საბჭოთა რუსეთს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი და ლენინის ახლო მეგობარი იაკობ განეცკი.

კონფერენციის წინ ანგორის მთავრობის საგარეო საქმეთა უწყებამ თბილისთან, ბაქოსა და ერევანთან შეათანხმა დელეგაციების შემადგენლობა და მოლაპარაკების თარიღი. თავისი კოლეგის – ალექსანდრე სვანიძისათვის გამოგზავნილ ნოტაში იუსუფ ქემალ ბეი წერდა: “დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი კონფერენცია ყარსში კიდევ უფრო განამტკიცებს არსებულ კავშირებს საბჭოთა საქართველოსა და ოსმალეთს შორის და უფრო საბედნიერო გავლენა ექნება ჩვენი ხალხების და მთელი აღმოსავლეთის მომავალზე”.³

ყარსის მოლაპარაკების დაწყებამ ქართულ საზოგადოებაში ოპტიმისტური მოლოდინი გააღვივა, რასაც ხელს უწყობდა ბოლშევიკური პრესაც. მაგალითად, გაზეთი “კომუნისტი” აცხადებდა, რომ ოსმალეთთან მოლაპარაკება ეკონომიკური ურთიერთობის განახლების გარდა, ორ ქვეყანას შორის “საზღვრების გამოსწორების” მიზანსაც ისახავდა.⁴

ამაოდ ამყარებდნენ იმედს ყარსის ხელშეკრულებაზე საქართველოში ჯერ კიდევ ლეგალურად მოქმედი მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენლებიც, რომ გადაისინჯებოდა მოსკოვის დადგენილება და “ართვინ-არდაგანი დაუბრუნდებოდა თავის პატრონს”.⁵

როგორც მოსალოდნელი იყო, ყარსის ხელშეკრულებამ ოსმალეთსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის სასაზღვრო-ტერიტორიული საკითხები და პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები სწორედ მოსკოვის ხსენებული ხელშეკრულებაზე დაყრდნობით განსაზღვრა და მასში მუხლების ნუმერაციის გარდა არსებითად არაფერი შეუცვლია.

შემონახულია ინფორმაცია, რომლის თანახმად, ყარსიდან უკან დაბრუნებული სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლები გზად ერევანში შეჩერდნენ, სადაც მათ დასახვერდად სახელდახელო ბანკეტი მოეწყო. „15 ოქტომბერს, დღის 12 საათზე ყველა დაწესებულებაში მუშაობა შეწყდა. წითელარმიელებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა წითელი დროშებით და მუსიკით თავი მოიყარეს შაუმიანის სახელობის მუშათა კლუბთან”. წარმოითქვა სიტყვები. გამომსვლელებმა აღ-

¹ <http://genocide.ru/lib/treaties/19.htm>

² ა. დაუშვილი, ყარსის ხელშეკრულება. წიგნში – კავკასიის ისტორია, ტ. II, აკად. როინ მეტრეველის რედაქციით (ხელნაწერი).

³ გაზ. „კომუნისტი”, 1921 წ., 10 სექტემბერი.

⁴ გაზ. „კომუნისტი”, 1921 წ., 30 სექტემბერი.

⁵ გაზ. „ტრიბუნა”, 1921 წ., 11, 20 ოქტომბერი.

ნიშნეს კონფერენციის დადებითი მნიშვნელობა ორივე მხარისათვის. “შეკრებილი მრავალრიცხოვანი მასა გაცხოველებული ტაშით ფარავდა ორატორთა სიტყვებს”.¹

ქართული საბჭოთა პრესა, მით უფრო ოფიციალურ გაზეთ „კომუნისტი“ სახით, იმეორებდა ბოლშევიკი ლიდერების თვალსაზრისს და ყარსის ხელშეკრულების დადებას ამგვარად აფასებდა: „საქართველოს მშრომელებს ამიერიდან აღარ მოელოთ საფრთხე სამხრეთიდან. ხელშეკრულებამ ოფიციალური დასტური მისცა იმ განწყობილებას და ურთიერთობას, რომელიც ბუნებრივია იმ ორი ბანაკისთვის, რომელიც ერთი და იგივე მიზანს ისახავენ დღეს აღმოსავლეთის გამოღვიძებაში. საბჭოთა რესპუბლიკები და ახალი თურქეთი ერთნაირად არიან დაინტერესებული იმპერიალიზმის ფრთის შეკვეცით ახლო და შორეულ აღმოსავლეთში...“.²

ყარსის ხელშეკრულების დადებას ქართული პოლიტიკური ემიგრაციის გულისწყრომა გამოიწვია. სამშობლოდან დევნილი, დამხობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ზოგიერთი წევრი და პოლიტიკური ელიტის არაერთი წარმომადგენელი ხელშეკრულების გაფორმების დღეებში ჯერ კიდევ ოსმალეთში იმყოფებოდა, მაგრამ მოლაპარაკების მსვლელობაზე შეგავლენა მათ შესაძლებლობებს აღემატებოდა. დემარშისათვის არ მიუძღრებოდა, მაგრამ უკმაყოფილება აკაკი ჩხენკელმა კონსტანტინოპოლში დაარსებულ ქართულ ჟურნალ “თავისუფალი საქართველოსათვის” მიცემულ ინტერვიუში გამოხატა. მისი სიტყვებით: ყარსის ხელშეკრულებით მოსკოვმა და ანკორამ “სამაჰმადიანო საქართველო ორათ გასჭრეს, სხეულს თავი წავლიჯეს”.³

ჟურნალის სხვა ნომრის სარედაქციო წერილში აღნიშნულია: „13 ოქტომბერი ერთი იმ სამარცხვინო დღეთაგანია, რომლითაც ასე მდიდარია კომუნისტთა მოღვაწეობა საქართველოში. ამ დღეს კავკასიის რესპუბლიკათა კომუნისტებმა ხელი მოაწერეს თავის სრულ კაპიტულაციას ოსმალეთის ფაშების წინაშე. ამ დღეს მათ უფრო საზიზღარი ფორმით გაიმეორეს ის მოღალატური პოლიტიკა, რომლითაც დაიწყო რუსეთის კომუნიზმმა ბერესტ-ლიტოვსკის ცნობილი ზავი ამ სამი წლის წინეთ; მათ ხელ-ახლა დასჭრეს ამიერ-კავკასიის ერთა სხეული და იგი საჯიჯგნათ მიუგდეს თავის „მოკეთე“ ოსმალთა ფაშებს. ეს ხელშეკრულება საფასური იყო ანკორისათვის მიცემული, საქართველოს დაპყრობაში დახმარების აღნოჩენისათვის. ...ქართველი კომუნისტები მოღალატეობაზე მოღალატეობას უმატებენ, ...აშკარაა, რომ ძალაუფლებით დაბრმავებული კომუნისტები ამით ჩვენი ხალხის თვალში თავის თავს ცოცხლად ასამარებენ”.⁴

ყარსის ხელშეკრულება იმეორებდა მოსკოვის ხელშეკრულების დებულებას აჭარის მოსახლეობისათვის ადმინისტრაციული თვალსაზრისით “ფართო ადგილობრივი ავტონომიის” მინიჭების თაობაზე. ამერიკელი მკვლევრის ჩარლზ კინგის შეფასებით, ხელშეკრულების ეს ნაწილი “იშვიათი შემთხვევაა საერთაშორისო სამართალში, როდესაც ერთი ქვეყნის შიდა ადმინისტრაციული სტრუქტურა დაფიქსირდა მეორესთან შეთანხმებით”.⁵

გაზეთმა „კომუნისტი“ 1921 წლის 21 ოქტომბერს გამოაქვეყნა ყარსის ხელშეკრულების ტექსტი, რომელსაც “მტკიცე ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება” უწოდა.⁶

ყარსის ხელშეკრულების შედეგებით იმედგაცრუებულნი დარჩნენ ქართველი მემარცხენე-ფედერალისტები, რომელთაც განაცხადეს: ტერიტორიის საკითხი ხელშეკრულებამ უსამართლოდ გადაწყვიტა, იგი “სომხეთისა და საქართველოს ხალხის არა სასარგებლოდ არის გადაჭრილი და პირდაპირ საფრთხეში აგდებს მათ სასიცოცხლო ინტერესებს”.⁷

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ., 18 ოქტომბერი.

² გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ., 21 ოქტომბერი.

³ ჟურნ. „თავისუფალი საქართველო“, 1921, სტამბოლი, 15 სექტემბერი, №8, გვ. 8.

⁴ ჟურნ. „თავისუფალი საქართველო“, 1921, 31 ოქტომბერი, № 12, გვ. 3-4.

⁵ Ch. King, *The Ghost of Freedom: A History of the Caucasus*. Oxford, 2008, p. 189.

⁶ გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ., 21 ოქტომბერი; რ. ყავრელიშვილი, თურქეთის თემა გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე (1921-1922) – კრებულში „საერთაშორისო სიმპოზიუმი ქართულ-თურქული ურთიერთობები“, ტრაპიზონი, 2018, გვ. 188.

⁷ გაზ. „ტრიბუნა“, 1921 წ., 25 ოქტომბერი.

ყარსის ხელშეკრულებას რამდენიმე სტატია მიუძღვნა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ცნობილმა მკვლევარმა სიმონ ხუნდაძემ, რომელიც იმ დროს მემარცხენე ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იყო. მან დოკუმენტის მნიშვნელობა საქართველოსათვის ტერიტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით გააანალიზა და მიუთითა, რომ „ხელშეკრულება ჩვენი ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული და პირდაპირ დამლუპველი არის ჩვენი მომავლისათვის”.¹ მისი სიტყვებით, ტერიტორიის საკითხის ამგვარ გადაწყვეტას ქართველი ხალხი კმაყოფილებით ვერ მიიღებს. „ხელშეკრულება მოითხოვს ხელმეორე გადასინჯვასა და სათანადო შეცვლას. ჩვენ არ გვინდა, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა, რომელმაც უნდა გამოხატოს ჩვენი მშრომელი დემოკრატიის სურვილები და მიზნები, საქართველოს დამნაწილებლის როლში გამოვიდეს”.²

სხვათა შორის, საზღვრების გამიჯვნასთან დაკავშირებული ხელშეკრულების მუხლისადმი გარკვეული უკმაყოფილება გაზეთმა „კომუნისტმაც” გამოხატა. “საბჭოთა საქართველომ შესძლო ქ. ბათუმისა და ბათუმის ოლქის დიდი ნაწილის შენარჩუნება ბრძოლით, ხოლო ვერ შეძლო დიპლომატიურის მოლაპარაკებით ართვინ-არტან-არტანუჯის ბედის გადაწყვეტა ისე, როგორც ეს სასურველია მუშურ-გლეხურ მთავრობისათვის”, მაგრამო, დასძენდა გაზეთი დემაგოგიურად: „ტერიტორიის საკითხის ასე თუ ისე გადაჭრას, სახელმწიფო საზღვრების გაწვევ-გამოწვევას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, თუკი მშრომელთა გათავისუფლების საქმე საიმედოდ ეწყობა. ამ მხრით კი ახლო მომავალი საბჭოთა ხელისუფლებას ეკუთვნის”.³

ყარსის ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი მასზე ხელმოწერისთანავე შევიდა ძალაში, მაგრამ დოკუმენტი მთლიანად მაინც საჭიროებდა რატიფიკაციას.⁴ ამ მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესია დანიშნა. სესია 1922 წლის 12 აპრილს უნდა გახსნილიყო, მაგრამ ქვორუმის არარსებობის გამო, დეპუტატები მუშაობას მხოლოდ 14 აპრილს შეუდგნენ. თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში გამართულ სესიას საქართველოში ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის სრულუფლებიანი წარმომადგენელიც ესწრებოდა. სესიაზე პირველ საკითხად საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ფილიპე მახარაძისა და მამია ორახელაშვილის მოხსენებები მოისმინეს, ხოლო შემდეგ ყარსის ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხზე სიტყვით შალვა ელიავა გამოვიდა. მან ხელშეკრულების რატიფიკაციის აუცილებლობა გენუაში დაწყებული კონფერენციის პარალელურად იმით ახსნა, რომ: კონფერენციაზე წამოყენებული იქნებოდა აღმოსავლეთის ქვეყნების მხრიდან საბჭოთა რუსეთის იზოლაციის საკითხი და მის შესახებ გაჩაღდებოდა ბრძოლა. ელიავა დეპუტატებს განუძარტავდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის აღმოსავლეთის ქვეყნებთან კავშირს და დასძენდა: „რევოლუციის გამარჯვების ერთ არსებით მომენტს წარმოადგენს აღმოსავლეთის ქვეყნების ჩათრევა რევოლუციონურ ბრძოლაში და ამისათვის კი ჩვენ ბევრი უნდა დავთმოთ, – ამას მოითხოვს რევოლუციის უმაღლესი კანონი”.⁵

ცაკში კომპარტიისა და უპარტიოების გარდა მემარცხენე ფედერალისტური პარტიის წარმომადგენლებიც შედიოდნენ. ისინი ხელისუფლების ამ ვითომ უმაღლეს ორგანოში მრავალპარტიულობის ერთგვარ ანტურაჟს ქმნიდნენ, თუმცა გააჩნდათ თავიანთი გაზეთი და ჯერ კიდევ შეძლოთ აზრიც თავისუფლად გამოეთქვათ.

სესიაზე მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით სიტყვა წარმოთქვა სიმონ ხუნდაძემ, რომელიც შეეცადა ერთგვარი დისონანსი შეეტანა ხელშეკრულების შესახებ

¹ გაზ. „ტრიბუნა”, 1921 წ., 22, 23, 25 ოქტომბერი.

² გაზ. „ტრიბუნა”, 1921 წ., 25 ოქტომბერი.

³ გაზ. „კომუნისტი”, 1921 წ., 21 ოქტომბერი.

⁴ Договор о дружбе между АССР, ССРА и ССРГ с одной стороны и Турцией с другой, заключенный при участии РСФСР в Карсе. http://hrono.ru/dokum/192_dok/19211013kars.php

⁵ გაზ. „კომუნისტი”, 1922 წ., 19 მაისი.

უკვე შექმნილ ერთგვაროვან დამოკიდებულებაში. მან ხელშეკრულება განიხილა როგორც “საქართველოს ინტერესების საზომით, ისე საერთაშორისო ობიექტური მდგომარეობის მიხედვით” და განსაკუთრებით კრიტიკული პოზიცია გამოხატა დოკუმენტის მეოთხე მუხლის მიმართ, რომელიც საქართველოს სახელმწიფო საზღვარს შეეხებოდა. როგორც ს. ხუნდაძე აღნიშნავდა, ტერიტორიული გადამიჯვნის საკითხი ოსმალეთთან საქართველოსათვის სრულიად მიუღებლად არის გადაწყვეტილი. „ხელშეკრულებით გაღებული ტერიტორიალური დანაკლისი დიდ ზიანს აყენებს საქართველოს პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სტრატეგიულად. ...ხელშეკრულება პირდაპირ საზარალო და დამღუპველი არის ქართველი ხალხისათვის. ...ჩვენ ამ ხელშეკრულებას ხელს ვერ მოვაწერთ, ასეთი ხელშეკრულება ჩვენთვის მიუღებელია”, – განაცხადა სიმონ ხუნდაძემ.¹

ცაკის სესიაზე სიტყვით გამოვიდა საბჭოთა აჭარის წარმომადგენელი თახსიმ ხიმშიაშვილი. მისი განცხადებით, ანგორის დიდ ეროვნულ ყრილობაში ხელშეკრულების რატიფიკაციას ხმა არ მისცეს ყარსის, არდაგანისა და ბათუმის წარმომადგენელმა დეპუტატებმა. ხიმშიაშვილს არ აღუნიშნავს, რა მოტივით წავიდნენ ისინი დოკუმენტის დამტკიცების წინააღმდეგ, – მე ეს არ მაინტერესებსო: „მე და აჭარის ფუხარა ხალხს მხოლოდ ის გვინტერესებს, ვინ იყვნენ ეს დეპუტატები და რა უფლებით იმყოფებოდნენ იქ“.² თ. ხიმშიაშვილის ხსენებულ გამოსვლაში გამოკრთის წუხილიც, რომ „აჭარისტანი ხელოვნურად სახელმწიფოებრივი ხაზით, ორად არის გაყოფილი“; რომ „ართვინი, არტანუჯი, შავშეთი არ შეიძლება უბათუმოთ იყოს. ისინი ეკონომიკურათ დასუსტებული დარჩებიან“. ამიტომ აჭარის მშრომელთა ყურადღება იმაზეა მიპყრობილი, რომ როგორც ეროვნულად, ისე ეკონომიკურად აჭარისტანი შეიქმნეს ერთ ერთეულად“.

დეპუტატებმა აჭარიდან პრეზიდენტში შეიტანა განცხადება, რომელიც სესიის მონაწილეებს სილიბისტრო თოდრიამ გააცნო. მასში აღნიშნული იყო: „აჭარისტანის დღევანდელი სახელმწიფოებრივი მდგომარეობა ...სავსებით ნორმალურად ვერ ჩაითვლება. ჩვენი ღრმა რწმენით, აჭარისტანის თვითგამორკვევის საკითხი არ არის ისე გადაჭრილი, როგორც ამას მოითხოვს მშრომელი ხალხის ინტერესები. ერთიანი მთლიანი ეროვნული და ეკონომიკური სხეული აჭარისტანისა გაჭრილია შუაზე ხელოვნური სახელმწიფოებრივი ხაზით, რაც იწვევს ეკონომიკურად დასუსტებას და ბუნებრივ გულისტკივილს აჭარის ფუხარა ხალხის მასებში“.

განცხადების დასასრულს ხაზგასმული იყო, რომ დეპუტატებმა ხმას აძლევს და ადასტურებს ყარსის ხელშეკრულებას, რადგან „რევოლუციის გამარჯვება უზენაესი კანონია ჩვენთვის, ხოლო კეთილმეზობლური და მტკიცე მშვიდობიანი განწყობილება ჩვენს საერთო საბჭოთა სამშობლოსა და განახლებულ ოსმალეთს შორის – სასურველია მშრომელთა საქმისათვის საზღვრების ორივე მხარეზე“.³

ამ განცხადების კომენტარებისას, შალვა ელიავა შენიშნავდა: “როცა ამხ. თოდრია აქვეყნებდა აჭარისტანის დელეგატების განცხადებას, მემარცხენე სოც(იალისტ)-ფედ(ერალისტთა) სკამებზე მე შევამჩნიე სიხარულის ღიმილი. მათ ალბათ ეგონათ, რომ აჭარისტანის მოტივები სრულიად ეთანხმება ხუნდაძის მოტივებს, მაგრამ ამ შემთხვევაში მე მათ იმედები უნდა გავუცრუო. აჭარისტანის წარმომადგენლები გამოვიდნენ აქ, როგორც წარმომადგენლები პატარა ერების, რომლებიც ბედის წყალობით დაყოფილი არიან ჯგუფებად და გამოდიან რა იმ ერის ინტერესებიდან, რომელსაც სურ ერის აღორძინება, ისინი ფიქრობენ, რომ საკითხის სხვანაირად გადაწყვეტა იქნოდა უკეთესი. მემარცხენე ფედ. წარმომადგენელმა კი თავისი მოტივებით გამოაშკარავა თავისი თავი, როგორც ქართველი იმპერიალისტისა. როდესაც ხუნდაძე ლაპარაკობდა, ის ამბობდა არა აჭარისტანის ინტერესებზე, არამედ საქართველოს ინტერესებზე. ის სტირის იმაზე, რომ შეუძლებელი გახდა აჭარისტანის სიმდიდრის ექსპლუატაცია. რომ საქართველომ დაჰკარ-

¹ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (საგანგებო სესია). სტენოგრაფიული ანგარიში. 1922 წელი. პრილის 12, ტფილისი, 1922, გვ. 38; გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ., 21 მაისი.

² გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ., 24 მაისი.

³ გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ., 24 მაისი.

გა დიდი ეკონომიკური სიმდიდრე, არ უნდა ჰქონდეს ადგილი იმ ორგანოში, რომელშიც წარმოდგენილია მშრომელთა მასები. ჩვენი მემარცხენე ფედერალისტები არ აძლევენ ხმას ხელშეკრულებას იმ საბუთით, რომ ის ეწინააღმდეგება საქართველოს ინტერესებს. ამნაირად ოსმლეთის იმპერიალისტები არაფრით განსხვავდებიან ჩვენი მემარცხ. ფედერალისტებისაგან და ამიტომ ჩვენ კომუნისტები მათთან ამ შემთხვევაში ერთად ვერ წავალთ”.¹

სესიამ ყარსის ხელშეკრულება კომუნისტური ფრაქციის რეზოლუციის შესაბამისად, უცვლელად დაამტკიცა. ხელშეკრულება თურქეთში დიდი ეროვნული კრების მიერ რატიფიცირებულ იქნა 1922 წლის 16 მარტს.

საგანგებო მასალაში, რომელშიც გაშუქებულია ცაკის სესიის მიმდინარეობა, აღნიშნულია, რომ ხელშეკრულების რატიფიცირებისას თითქოს სამმა კაცმა შეიკავა თავი. იგივე წერია ცალკე ბროშურად გამოცემულ ცაკის საგანგებო სესიის სტენოგრაფიულ ანგარიშშიც.² ეს ინფორმაცია შეუძომწებლად გადადის სხვადასხვა პუბლიკაციაში,³ რაც გაუმართლებელია.

სინამდვილეში, თავი არავის შეუკავებია, მაგრამ იყვნენ მოწინააღმდეგენი. მემარცხენე ფედერალისტებს ცაკში სამი წარმომადგენელი ჰყავდათ. კენჭისყრის დროს ერთი მათგანი – თედო ლლონტი დარბაზში არ იმყოფებოდა, ხოლო ორმა – სიმონ ხუნდაძემ და პარმენ ჭანიშვილმა ხმა წინააღმდეგ მისცეს. ეს ფაქტი გაზეთ „კომუნისტს“ სპეციალური წერილით აცნობა ს. ხუნდაძემ და ითხოვა, რომ სტენოგრაფიულ ანგარიშში შეეტანათ სათანადო ცვლილება.⁴

როგორც ჩანს, ეს თხოვნა არ გაითვალისწინეს, რადგან ცაკის ამ საგანგებო სესიის სტენოგრაფიული ანგარიშის ცალკე გამოცემულ ვერსიაშიც⁵ ის ტექსტია დასტამბული, რომელიც თავის დროზე გამოაქვეყნა გაზეთმა „კომუნისტმა“. თვით გაზეთს კი დაბეჭდილ ტექსტში შესწორების შეტანის შესახებ ინფორმაცია არ გამოუქვეყნებია.

ცნობილია, რომ 1945 წლის პოსტდამის კონფერენციის წინ სტალინი შეეცადა გამოესწორებინა მოსკოვის 1921 წლის 16 მარტისა და ყარსის ხელშეკრულების დადებისას საბჭოთა მხრიდან დაშვებული შეცდომები და მათი გამოსწორება დააპირა, მაგრამ მოკავშირე სახელმწიფოებმა ეს მოთხოვნა უარყვეს. სტალინის სიკვდილის შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვმა სსრკ-ს ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის წინააღმდეგ მოხსნილად გამოაცხადა.⁶

მას შემდეგ, რაც საქართველომ ხელახლა აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ხოლო საბჭოთა კავშირი საერთოდ გაქრა მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის 1992 წლის 30 ივლისს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ. ხელშეკრულების პრეამბულაში აღნიშნულია: „მხარეები აცხადებენ, რომ დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებით. მხარეები ხელმძღვანელობენ იმით, რომ ამ შეთანხმებით საბოლოოდ დადგინდა საზღვარი ორ სა-

¹ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (საგანგებო სესია). სტენოგრაფიული ანგარიში. 1922 წელი. პრილის 12, ტფილისი, 1922, გვ. 43; გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ., 24 მაისი.

² სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (საგანგებო სესია). სტენოგრაფიული ანგარიში. 1922 წელი. პრილის 12, ტფილისი, 1922, გვ. 45.

³ ს. კილაძე, ქართული ოპოზიციის დემარში. https://geotimes.com.ge/?m=5&news_id=81412

⁴ გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ., 27 მაისი.

⁵ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (საგანგებო სესია). სტენოგრაფიული ანგარიში, თბ., 1922, გვ. 45.

⁶ ერთი იდეოლოგიური კამპანიის ისტორიიდან (საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთისადმი 1945-1953 წლებში). მასალები გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ჯაბა სამუშიამ, თბ., 2003; ვ. გურული, ლ. ჯიქია, ტაო-კლარჯეთის, ლაზეთისა და აჭარის საკითხი 1812-1953 წლების საერთაშორისო ურთიერთობებში, თბ., 2013; 3. Абашидзе, О. Джanelidze, Вопрос об исторических территориях Грузии во внешней политике СССР в канун Потсдамской конференций, XXVI Ежегодная богославская конференция Православного Свято-Тихвинского гуманитарного университета, Материалы, М., 2016, с. 37-44; <https://www.kavkaz-uzel.eu/blogs/83772/posts/48356>

ხელმწიფოს შორის“.¹ ამჟამად თურქეთსა და საქართველოს ერთმანეთთან კეთილმეზობლური, პარტნიორული და სტრატეგიული ურთიერთობები აკავშირებთ.

Otar Janelidze

Gori State University

**FROM THE HISTORY OF THE CONCLUSION AND RATIFICATION OF THE
TREATY OF KARS ON OCTOBER 13, 1921
RESUME**

On October 13, 2021, in the city of Kars, a treaty was signed between the Armenian, Azerbaijani, and Georgia SSRs, on the one hand, and the Government of the Grand National Assembly of Ankara, on the other, with the participation of the RSFSR.

The article presents little-known aspects of the conclusion of this treaty and its ratification at an extraordinary session of the Central Executive Committee (CEC) of the Georgian SSR, as well as the attitude of the Georgian political spectrum and Georgian political emigration towards this document.

The Treaty of Kars determined border-territorial issues and political and economic relations between the signatory parties on the basis of the Moscow treaty signed by Soviet Russia with the Government of Mustafa Kemal on March 16, 1921, and practically did not change anything, except for the numbering of the articles in it.

It is noted that the Georgian Leftist Federalists, who then still acted on the legal basis, were disappointed with the results of the Kars treaty. Their representatives at the CEC session spoke against the ratification of the treaty; The Deputation of Soviet Adjara in CEC expressed dissatisfaction with the division of Adjara in two, although it supported ratification; The Treaty provoked anger in the Georgian political emigration. Akaki Chkhenkeli and the editors of the Georgian émigré magazine “Tavisupali Sakartvelo” sharply criticized and condemned the document.

¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1207454?publication=0>

შიდა ქართლში ტერმინ - „გალმამხარის“ განმარტებისა და მდებარეობისათვის

ტერმინი: „გალმამხარი“ წმინდა გეოგრაფიული მნიშვნელობისაა და, ადგილმდებარეობის მდინარესთან, ხევთან, მთასთან, ან ბუნების სხვა დაბრკოლებასთან მიმართებაში იხმარება. თავისი „გალმამხარი“ გააჩნდა კახეთს, ქართლსა და იმერეთს.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ შიდა ქართლის გალმამხარს განვიხილავთ.

ნიკო ბერძენიშვილის განმარტებით, „გალმა მხარში“ შედიოდა შიდა ქართლში, მტკვრის მარჯვენა ნაპირის გვიანდელი სათავადოები: სათარხნო, საჯავახო და საციციანო¹. მოგვიანებით, დიდმა მეცნიერმა თვალსაზრისი უფრო დააკონკრეტა და თვლიდა, რომ გალმა-მხარი შემდეგი დროის საციციანოა². დავით გვრიტიშვილის აზრით, გალმამხარი ეწოდებოდა მტკვრის მარჯვენა ნაპირს მცხეთიდან - ტაშისკარამდე³. დავით მუსხელიშვილი მიიჩნევს, რომ შიდა ქართლის გალმამხარი მოიცავდა ატენისა და ძამას ხეობებს⁴. ჯონდო გვასალია „გალმა მხარში“ მდინარეების: ძამას, ტანას, თეძამისა და კავთურას ხეობებს მოიაზრებს⁵. იგი არ გამოორიცხავს, რომ VII საუკუნის ანონიმი ავტორის სომხურ გეოგრაფიაში შიდა ქართლის გალმამხარში მოხსენიებული ტანისხევი რამდენიმე ხევის გამაერთიანებელია, თუმცა, შესაძლებელია, რომ ძამას ხეობა, მიმდებარე გვერდისძირით, შედიოდეს გვერდისძირის ხევში⁶.

ზემოთქმული რომ შევაჯეროთ, შიდა ქართლის „გალმამხარი“, მაინც მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ტერიტორიებს გულისხმობს, სხვადასხვა დროს იქ არსებულ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლებით და დასახლებული პუნქტებით. ამ თვალსაზრისით, ვახუშტი ბატონიშვილის „გეოგრაფიის“ მიხედვით, „გალმა მხარში“ შეიძლება ვიგულისხმოთ „მცხეთისა“, მასში შემავალი 15 სოფლით (შინდისი, მუხად-გვერდი, კარსანი, მცხეთა, კოდმანი, არმაზი, ციხე-დიდი, ძეგვი, ხეკორძი, სასხორი, ნიჩბისი, ოხერა, თელად-გორი, გომიჯვარი, ლავრა), „კავთისხევი“ - 11 სოფლით (ხანდაკი, ილეთი, კავთისხევი, წინარენი, თვალადი, გუდარენი, ბეფანი, ეზატი, ბოტისი, საკურთხისი), „თეძამის-ხევი“ - 35 სოფლით (სასირეთი, ნიაბი, მეტენი, ყარალაჯი, ხანდაკი, ჭვიროსი, გომი, ჩოჩეთი, ახალქალაქი, თეძამი, მღებრის-უბანი, ახალშენი, ნოსტე, ფაგნისი, ერთა-წმინდა, ცუცუბანი, ცხირეთი, ცხვარეთი, სამება, გოსტიბე, კაბერი, ზენა-დრისი, ქვენა-დრისი, მელეთი, კრკონი, ფიცესი, ლული, ზაკვი, სწე, ნადარბაზევი, ბერების სოფელი, ჭვარები, სახორცე, კლიკის ჯვარი), „ხოვლის-ხევი“ - 9 სოფლით (გრაკალი, დოესი, აგარა, აბანო, ზესი, ხოვლე, აკეთი, ისციხე, საყავრე), „ტანის ხეობა“ - 26 სოფლით (ქვახვრელი, ხიდისთავი, გორისა, ჯოხისი, ტანის-პირი, წედისი, ბნავისი, ოლოსი, ღვარები, ცამნათ-უბანი, ბაგრანეთი, ვერე, ატენი, სიონი, დრე, ღვედრეთი, ხანდისი, იკუნევი, სიქალეთი, კეზვი, წეროსი, ბობნავი, ღუის ხევი, თხილნარი, ორმოთი, ბიეთი), „სკრისხევი“ - 4 სოფ-

¹ იხ: ნიკო ბერძენიშვილი. ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ., 1937, გვ. 68, საბ. № 1242, შენიშვნა 3.

² ნიკო ბერძენიშვილი საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1964, გვ. 189.

³ დავით გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955, გვ. 446.

⁴ დავით მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1980, II, გვ. 221-222.

⁵ ჯონდო გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ., 1982, გვ. 8.

⁶ იქვე, გვ. 26

ლით (ნაციხარა, ვანათი, სკრა, რიეთი), „ხვედურეთის ხევი“ – 7 სოფლით (ღვლევი, დრისი, აფნისი, ლეთეთი, ხვედურეთი, თრეხვი), „ძამის ხევი“ – 20 სოფლით (ქარელი, კლდე, გომი, სამწევრისი, აგარა, ყინწვისი, ციხია, ქორაზანი, სამებელი, წივწივა, იმერ-ხევი, ძამის მონასტერი, მძორეთი, გვეძინეთი, ქვა-თეთრისი, სხლები, მუხალეთი, ოსი, კრკონი) და „გვერდისძირი“ – 19 სოფლით (ყელეთი, სოინარი, ცუქეთი, ბოსლევი, წრომი, მიწობი, წვიმოეთი, კრისის ხევი, ხალები, ხცისი, თხილოვანა, მშვლის ყური, თაგოეთი, ბრბონა, ღართა, დამხნერლო)¹. ანუ, XVIII საუკუნის I ნახევრისათვის „გაღმამხარი“ საკმაოდ დასახლებულ რეგიონს წარმოადგენდა 146 სოფლით. მართალია, თავს გადატანილი კატაკლიზმების გამო, რამდენიმე მათგანი დღეისათვის მხოლოდ ტოპონიმის სახითაა შემოგვრჩა, მაგრამ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის მიზნით მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს.

იოანე ბაგრატიონი თავის „კალმასობაში“, გაღმამხარს რამდენიმეჯერ ასახელებს: ზოგადად, მირიან მეფის ნათლისღებასთან („ამ ჯაჭვის საყდარზედ რომ ჯვარი ესვენა და თხოთის მთაზედ, მთლად ქართლი, **გაღმა მხარი** და გამოღმა მხარი, სასომხეთი და მთები, არაგვი და ქსანი და სხვანი, აქ მოვიდოდნენ სალოცავად“)² და, კონკრეტულად - ვახტანგ გორგასალის მიერ მეტეხის ტაძრის აშენებასთან („ვახტანგ გორგასლან მეფემან საქართველოსამან აღაშენა ოთხნი ეკლესიანი: წილკნისა, სამთავისისა, მეტეხისა **გაღმამხარისა** და რუისისა“)³ დაკავშირებით.

„გაღმამხარის“ აბსოლუტურად სხვაგვარ განმარტებას გვთავაზობს ცნობილი გერმანელი მეცნიერი და მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი. იგი აკონკრეტებს, რომ „მხარე ქართლი, ანუ გაღმამხარი არის მდინარის იქითა მხარეს, სახელდობრ თბილისიდან. ის მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირზე იორსა და არაგვს შორის, დასახლებულია ქართველებით, აქა იქ სომხებით“⁴ და ჩამონათვალში უსისტემოდ მითითებული აქვს 25 სოფელი. მართალია, სიაში მართლაც გვხვდება „გაღმამხარის“ სოფლები (4.ახალქალაქი, 5.ხანდაკი, 6. ყარაღაჯი, 7.დოესი, 8. ქვახვრელი, 9.გრაკალი, 10. მეტეხი, 11.სასირეთი, 12.გომი, 13. ნიჩბისი, 14. საციციანო, 14. ჩოჩეთი), მაგრამ, ჯერ ერთი, ამ შემთხვევაშიც აღრეულია გეოგრაფიული თანმიმდევრობა (მაგ. ნიჩბისიდან გადმოდის საციციანოზე და ისევ ბრუნდება თემის ხეობაში მდებარე ჩოჩეთზე) და მეორეც, ჩამონათვალში 17-დან-23-ის ჩათვლით მითითებულია კახეთის (კარდენახი, ბაკურციხე, გურჯაანი, ვეჯინი და სხვ.), ხოლო 23-25-ის ჩათვლით - ქვემო ქართლის სოფლები (სარკინე, წაღისყური, ვეჯინი)⁵, რასაც, ქართლის გაღმა მხართან საერთო არაფერი აქვს.

1800 წლის 26 აპრილის თარიღით დავით ბატონიშვილის მიერ დიმიტრი ჯომარდიძის ყმის თაობაზე გაცემული ოქმის მიხედვით, გაღმამხარი საციციანო-საჯავახიანოს სოფლებს გულისხმობს. დიმიტრი ჯომარდიძე დავით ბატონიშვილს მოახსენებს: „ჩემო ხელმწიფევე, ერთი ჩემი ყმის შვილი პატარა თურმე დაობლდა და წაიყვანა თავისმა ძიძამ და ციციშვილის კაცს თათანაშვილს გააზრდევინა. როდესაც გაიზარდა, ამ თავისმა ძიძამ კიდევ გაასომხა და ცოლიც თავისთან შერთო. მამაჩემმა ილაპარაკა, სამართლით ეს კაცი დარჩა. შემდგომად კიდევ ეს კაცი არ დადგომოდა. მე სანატრელ მეფესთან ვილაპარაკე და პატრიარხისგან ოქმი მებოძა. ნინია ჯავახიშვილი რომ გახლდათ, იმას კიდევ უნდა აეყარა და კიდევ უნდა გაგვექართველებინა. ამ ჟამად იმას განსაცდელი მოადგა, თქვენი ჭირის სანაცვლო შეიქმნა და ეს კაცი იქავ დარჩა. ეს კაცი წმინდა გიორგის მნათეც გახლავსთ, არც ხატი აყენებს და მთელმა **გაღმა მხარმა** იცის,

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941, გვ. 197-198.

² იოანე ბაგრატიონი, ხუმარსწავლა (კალმასობა), წიგნი I. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ც. კახაბრიშვილმა და ც. კიკვიძემ, თბ., 1990, გვ. 103.

³ იოანე ბაგრატიონი, ხუმარსწავლა, წიგნი I. გვ. 89.

⁴ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ვია გელაშვილმა. თბ., 1962, გვ. 273.

⁵ უნდა შევნიშნოთ, რომ ნაშრომის მთარგმნელს ბატონ ვია გელაშვილს შემჩნეული და გასწორებული აქვს ხარვეზი (იხ: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 273. სქოლიო 2).

რომ ჩემი ყმა გახლავსთ“¹. სხვაგანაც, გაღმა მხარი ჯავახიშვილების სამფლობელოა. 1797 წლის 15 სექტემბერს გიორგი ბატონიშვილი თავის მოხელეებს უბრძანებს: „ქ. რომელიც **გაღმა მხარის** აყრის იასაულები ხართ, ჯავახიშვილი ზაქარიაც თქვენთან უნდა ამყოფოთ და როგორც ბრძანება გაქვსთ, ისე ერთად აღასრულოთ და ბევრითად მოიქცეთ“².

ზემოთქმულიდან გამომდინარე, „გაღმამხარი“ იხმარებოდა ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. არ იცვლებოდა გაღმამხარის მხოლოდ ჩრდილო და სამხრეთი საზღვრები. ჩრდილოეთით იგი მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირს მოუყვებოდა, ხოლო სამხრეთით თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთებს გასდევდა.

1804 წლის პირველ კამერალურ აღწერაში, ძეგვიდან - ცხრაშუამდე, მტკვრის გაღმამხარის 20 სოფელია აღწერილი, რომლებიც ციციშვილების, ჯავახიშვილების, ამილახვრების, თარხნიშვილების, მაღალაშვილების, მცხეთის ეკლესიის მფლობელობაში არიან ნაჩვენები: ძეგვი (30 კომლი, 97 მამაკაცი, 74 ქალი), გომი (შესაბამისად, 60, 193, 162), ნიაბი (11, 47, 44), მეტეხი (95, 350, 282), ჩოჩეთი (20, 70, 70), ახალქალაქი (106, 397, 342), ახალციხე (10, 56, 45), ერთაწმინდა (38, 137, 101), ბარნაბიანი (6, 23, 24), ქვემო ხანდაკი (20, 58, 44), გრაკალი (15, 52, 31), ქვახვრელი (26, 90, 97), ყარაღაჯი (25, 101, 67), ზემო ხანდაკი (24, 74, 79), ხოვლე (44, 195, 115), ხიდისთავი (74, 279, 233), ხვედურეთი (22, 69, 75), სკრა (14, 49, 34), სამწვერისი (29, 108, 95), ცხრაშუა (23, 79, 73)³.

ფეოდალური საქართველოს დროს, სამხედრო თვალსაზრისით, გაღმამხარი მეოთხე, ანუ მეუკანავე სადროშოში შედიოდა, სადაც გვიან შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდნენ სათავადოები: საციციანო, საჯავახო და სათარხნო. იგი სამეფო სასარდლოს წარმოადგენდა, მასში იყო გაერთიანებული საპატრიარქოს ლაშქარიც⁴, ხოლო ეკლესიურად გაღმამხარის სოფლების უმეტესობა მცხეთის საკათალიკოსოს ექვემდებარებოდა⁵.

ჯონდო გვასალია ვარაუდობს, რომ გაღმამხარის პოლიტიკური ცენტრი X საუკუნეში დამის ციხე უნდა ყოფილიყო, რომელიც X საუკუნის II ნახევარში ადარნასე დამელის რეზიდენციას წარმოადგენდა⁶. ჩვენ ატენს ვანიჭებთ უპირატესობას. საქმე იმაშია, რომ, როდესაც აფხაზთა მეფეებმა „ქართლსა ზედა ბრძოლა“ წამოიწყეს, კახელ და სომეხ ხელისუფალთაგან უპირატესობის მოსაპოვებლად, გიორგი II-სა (922-957) და მის ძეს - ლეონ III-ს (957-967), სადგომად ატენი გაუხდიათ. როგორც შემატანე გადმოგვცემს, „კუალად დადგა ატენს (გიორგი II - ი. ა.) და ძე მისი ლეონ იყო ერისთავად ქართლისა“⁷. ეს ფაქტი შემთხვევითი არ არის.

„გაღმა მხარის“ პოლიტიკური ცენტრი რომ ძამა ყოფილიყო, აფხაზთა მეფეები სწორედ მას გაიხდიდნენ სადგომად და არა ატენს, მით უფრო, რომ ძამა ატენამდე უნდა გამოეყოლოთ დასავლეთიდან მომავალთ და მისი კონტროლი უფრო იოლი იქნებოდა. ატენს, იმ დროისათვის, ძამასთან შედარებით სხვა უპირატესობაც გააჩნდა. ჯერ ერთი, უფლისციხესთან, სადაც სამეფო რეზიდენცია იყო, შედარებით ახლოს მდებარეობდა და მეორეც - შესაძლებელს ხდიდა ბალვამების კონტროლქვეშ მყოფ ქვემო ქართლსა და სომხეთ-სომხითში გადასასვლელი გზების ხელში ჩაგდებას, რომელიც, მცირე ხნის შემდეგ, განახორციელა კიდევ ბაგრატ III-მ.

¹ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ. თბ., 1985. გვ. 630-631, ლოკ. 642.

² დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. II, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს.). ნიკო ბერძენიშვილის რედ. თბ., 1953, გვ. 191, ლოკ. 309.

³ იოსებ ალიმბარაშვილი. შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გორის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2021, გვ. 100-111.

⁴ იხ: სოსო ალიმბარაშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის II ნახევარში, თბ., 2008, გვ. 136

⁵ ჯონდო გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, გვ. 58

⁶ იქვე, გვ. 153.

⁷ შატანე ქართლისად, ქართლის ცხოვრება, ტ. I, სიმ. ყაუხჩიშვილის კომენტარებით და შენიშვნებით, თბ., 1955, გვ. 268.

მოგვიანებით, აფხაზთა მეფეები შიდა ქართლის გაღმამხარს კარგავენ და იგი ადგილობრივ ფეოდალთა ხელში გადადის, რომელთა შორის ტბელთა ფეოდალური გვარი დაწინაურდა და მათ შორის უფროსი „ქართლის უფლად“ იწოდებოდა.

სწორედ ამ დროს წარმოიშვა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ერთი ისტორიული „ქვეყანა“ ცენტრით უფლისციხეში, ხოლო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ანუ, გაღმამხარში მეორე „ქვეყანა“ - რატი ბაღვაშის საერისთავოს სახით, ცენტრით ატენში¹.

989 წელს ბაგრატ III-მ ბაღვაშები დაამარცხა, ატენი საბოლოოდ წაართვა² და ამის შემდეგ გაღმამხარი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს მეფეთა კონტროლქვეშაა. XV საუკუნის 40-იან წლებში ალექსანდრე დიდის ძემ ვახტანგ IV-მ, გაღმა მხარი „საპატრონოდ“ თავის უმცროს ძმას დემეტრეს გადასცა, მაგრამ ბატონიშვილი მიღწეულით არ დაკმაყოფილდა, საკუთარ ძმასთან ხელისუფლების გამო ბრძოლა წამოიწყო და „მეფის“ სახელით გასცემდა სხვადასხვა წყალობის სიგელებს³.

1470-იან წლებში, გაღმა მხარი კონსტანტინე დიმიტრის ძემ მიიღო საუფლისწულოდ ქართლ-იმერეთის მეფისაგან. თავის მხრივ, კონსტანტინემ, ქართლში გამეფების შემდეგ (1479-1505), გაღმა მხარში ყმა-მამულები გადასცა ფანასკერტელ-ციციშვილებს, რითაც საფუძველი ჩაეყარა ახალი სათავადოს-საციციანოს წარმოშობას⁴.

XV-XVI საუკუნეების განმავლობაში გაღმა მხარის დასაუფლებლად მძაფრი ბრძოლები მიმდინარეობდა ორბოძლეებს, ჩიჯავაძეებს, ჯავახიშვილებს, ციციშვილებს შორის.

1633 წლის გაზაფხულზე ქართლში ჩამოსულ როსტომ ხანს (1632-1658 წწ.) მძლავრი ოპოზიცია დახვდა თეიმურაზ I-ის მომხრეების: იასე ქსნის ერისთავის, იოთამ ამილახორის, ნოდარ ციციშვილის, გიორგი გოჩაშვილისა და თვით კათალიკოს ევდემოზ დიასამიძის სახით.

1635 წელს იასე ქსნის ერისთავმა და იოთამ ამილახვარმა „გორს ზეით ჭალა“ დაიკავეს, ხოლო ნოდარ ციციშვილმა „გორს ქვეით მტკვრის პირი“⁵.

ნოდარ ციციშვილი ფარულად ლაშქარს კრებდა და ხელსაყრელ დროს ელოდებოდა როსტომზე თავდასასხმელად, მაგრამ მეფეს მოსალოდნელი საფრთხე ერთგულმა იორამ სააკაძემ ააცილა, რომელმაც როსტომი გააფრთხილა: „მალე წამობრძანდით, თუ არა და გაღმა მკარის ლაშქარი შემოეყრებისო (ნოდარ ციციშვილს - ი. ა.) და საქმე გაჭირდებისო“⁶. ამ შემთხვევაში „გაღმა მხრის“ ლაშქარში საციციანოს მხედრობა უნდა იგულისხმებოდეს.

ვახტანგ V შაჰნავაზის (1658-1675) დროს გაღმამკარის სპასპეტობა ზაზა ციციშვილს ეკავა, რის გამოც „განდიდნა და იქცეოდა ამყად“. მეფემ თავნებობა გადიდგულებულ ფეოდალს არ აპატია და მოაკვლევინა⁷.

ქართლში „ოსმალობის“ დროს (1727-1735) გაღმამკარს მცხეთიდან-ტაშისკარამდე, ბაგრატ ციციშვილი ფლობდა⁸.

ციციშვილებმა გაღმამხარზე კონტროლი XVIII საუკუნის ბოლომდე შეინარჩუნეს.

გარდა ციციშვილებისა, გაღმამხარში ყმა-მამულებს ფლობდნენ მაღალაშვილები, მაყაშვილები, ჯავახიშვილები, დავითაშვილები და სხვ. მაღალაშვილების არზით ყმის თაობაზე ერეკლე II-ისადმი (1791 წლის 15 მარტს), მცხეთის მოურავი დავითი, ძმებთან, სვიმონსა და იაკობ-

¹ დავით მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, გვ. 222.

² იოსებ ალიმბარაშვილი, ატენის ქუეყანა, საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი. მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის (სამეცნიერო სტატიების კრებული), ტომი 2, თბ., 2020, გვ. 113.

³ იქვე, გვ. 125.

⁴ ჯონდო გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, გვ. 130

⁵ დავით კარიჭაშვილი, როსტომ მეფე, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა ტფ., 1894, გვ. 19.

⁶ სარგის კაკაბაძე. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, „საისტორიო მოამბე“, ტფ., 1925, II, გვ. 247.

⁷ დავით გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955, გვ. 445.

⁸ იქვე, გვ. 446.

თან ერთად, მეფესთან ჩივის: „ასი წელიწადი მეტი არის, რომ ესენი (რიკაძეები - ი. ა.) ჩვენი ნასყიდი ყმები არიან ...მთელს **გალმა მხარში** მოიკითხეთ თავაღსა და აზნაურში და გლეხში, თუ ესენი ჩვენი ყმანი არ იყვნენო“¹. 1793 წლის 25 თებერვლით დათარიღებული არზის მიხედვით, ზაქარია მაყაშვილისა ყმების თაობაზე, ერეკლე II-ის ოქმით, ზაქარია მაყაშვილს თავის ყმა პეტრე ლაჩაჩაშვილი გაქცევია, „გალმა მხარს ახალქალაქს“ დამდგარა და სოფელს აღარ დაუნებებია².

ტერმინი „გალმამხარი“ იხმარებოდა არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური მნიშვნელობითაც. 1810 წელს ეგნატე თუმანიშვილს, სოფ. ხელთუბანში საკუთარი წისქვილისათვის წყაროს წყლის გამოყვანის სამუშაოების წარმოების თვალსაზრისით, უყიდა ოცი თუნგი „გალმამხრული“ ღვინო³. ქართლში „ყიზილბაშობის“ დროს (1735-47) ბროწლეთის მალუჯათის ანგარიშის მიხედვით, პურის გადასახადის გამოღებაში გალმა მხარიც მონაწილეობს⁴ და სხვ.

იესე ბარათაშვილი „ცხოვრება-ანდერძში“ გალმა მხარს სამხედრო თვალსაზრისით იხსენიებს: „სრულად ქართლი და კახეთი ამ რჩევაში იყვნენ: - ეს სასოებაა არისო, ერთი დიდი მდგომარეობა ქალაქს იყოსო, ერთი მუხრანს და ერთი ვაკეში. მთელი ქართლი ამ სამს ადგილას დავდგეთო, ვინც მტერი მოვიდეს, ბევრნი გამოვალთ და პასუხი გავსცეთო, თორემ ასე გაგვაწვრილმანებენო, რომ დამმარხავიც ველარ ვიშოვოთო. **გალმა მკარი**, გამოღმა საერისთოები, ზემო ქართლი და ქვემო ქართლი ამ სამს ადგილას დავდგეთო“⁵.

ზოგიერთი საბუთის მიხედვით, გალმამხარს „გალმა ქართლსაც“ უწოდებდნენ. 1778 წლის 26 თებერვლით დათარიღებული არზით, გიორგი ციციშვილი ერეკლე II-სთან ჩივის: „ეს კომუხტაშვილი ჩუშნი მემკვიდრე ყმა არის, ეს კაცი ფარსადან ციციშვილს ახლდა, მსახური იყო. ფარსადან რომ მოკვდა, მამაჩემს იახლა. ეს კომუხტაშვილი მამა ჩემს უკან მოსდევდა, ციხის კართან რომ მოვიდა, უკანიდამ თოფი ჰკრა და მოკლა მამა ჩემი. მას უკან გავარდა, ხან ოსებში იყო, ხან **გალმა ქართლში** (ხაზგასმა ჩვენია - ი. ა.)“⁶.

იგივე მნიშვნელობით, პაპუნა ორბელიანი „გამოღმა მხარს“ ასახელებს („შეყრილიყვნენ გამოღმა-მხარის კაცნი: ზაზა თარხნისშვილი და ციციშვილი ქაიხოსრო“) ⁷.

„გალმა მხარის“ გეოგრაფიული მდებარეობის თაობაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიება ერეკლე II-ის მიერ 1772 წლის 28 აგვისტოთი დათარიღებული ბრძანება ქართლში ე. წ. „სამღევროების“ შექმნის თაობაზე, რომლის პირველი დეტალური ანალიზი ქართულ ისტორიოგრაფიაში დავით გვრიტიშვილმა შემოგვთავაზა⁸.

დოკუმენტი ქართლში ლეკთა მარბიელი თავდასხმების წინააღმდეგ შიდა ქართლში „სამღევროების“ შექმნას და ურთიერთდახმარების ფორმებს და მეთოდებს ისახავს მიზნად. მისი ანალიზი თავის დროზე ჩვენც შევთავაზეთ მკითხველს⁹. ამავე დოკუმენტის მიხედვით, ერეკლეს მსგავსი სამღევროები ქართლის გალმამხარშიც შეუქმნია და საკმაო წარმატებით მოქმედებდა: „ქ.

¹ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII, გვ. 96, დოკ. 84.

² ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII, გვ. 198, დოკ. 183.

³ მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წიგნი I, (ხელფასი, ქირა, ფასები) ნ. ბერძენიშვილის რედ. თბ. 1938, გვ. 304, საბ. 3556.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი II, თბ., 1974, გვ. 89, დოკ. 15.

⁵ იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი. ტექსტი გამოსცა, შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონით და საძიებლებით ავთანდილ იოსელიანმა, თბ., 1950, ნაკვ. 28, გვ. 43

⁶ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. II, გვ. 104, დოკ. 162.

⁷ პაპუნა ორბელიანი, წიგნში: ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, ახალი მოთხრობა 1469 წლითგან ვიდრე 1800 წლამდე გამოცემული უ. ჩუბინოვისგან, სანკტ-პეტერბურგი 1854, გვ. 369.

⁸ იხ: დ. გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ისტორიიდან, გვ. 296-301,

⁹ იხ: სოსო ალიმბარაშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის II ნახევარში, თბ., 2008, გვ. 44-49.

გალმა მხარისა გარიგებულია, ოქმი გვიბოძებია და კარგადაც მდევრობენ, მადრიელნიც ვართ და წყალობასაც დავმართებთ“, - ბრძანებს ქართლ-კახეთის მეფე¹.

გალმა მხარის სამდევროს საზღვრები კიდევ უფრო კონკრეტდება ერეკლე II-ის მიერ თეიმურაზ ჯავახიშვილისა და ნინია გლურჯიძისადმი 1784 წლის 16 ივნისს მიწერილი წერილიდან: „ქ. ჩვენი ბრძანება არის ჯავახიშვილო თეიმურაზ: მერმე თეზამს გალმა რაც სოფლებია ხიდისთავამდინ (ხაზგასმა ჩვენია - ი. ა.) იმათი მდევრობა შენ და გლურჯიძე ნინიასათვის გვიბოძებია. რომელიც ლეკის ჩამოსასვლელი გზები არის, იმაზე ყარაულები უნდა გყვანდესთ დაყენებულნი; და ყარაულიცა რომ ამბავი მოგიტანოსთ, მაშინვე მდევარს უნდა დაუძახებდეთ, ქულზე გამოიყვანდეთ და ღმრთით მტრის დამარცხებას ეცადნეთ. რომელიც მთის გზები არის, იმ გზებზე ყარაულს ნუ გამოსწყვეტთ მაგ სოფლებიდან .

და რომელიც კაცი მდევარს დაგაკლდესთ, ის უნდა დაარბიოთ და ბეჯითნი უნდა იყვნეთ.

...ქ. როცა თქვენ ჩვენთან წამოხვიდოდეთ ხოლმე, მანდ თქვენს ნაიბებს უნდა დააგდებდეთ“².

ამ შემთხვევაში, „მთის გზებში“ უნდა ვიგულისხმოთ თემისა და ტანას ხეობებში არსებული გადმოსასვლელი ტორიანეთზე.

ანუ, ადგილობრივი ფეოდალებისა და მოხელეების პირდაპირ ვალდებულებას გალმამხარში - ტანასა და თემის ხეობებში „ლეკისაგან ჩამოსასვლელი გზების“ დაცვა, ყარაულის დაყენება და მუდმივი კონტროლი წარმოადგენს. თეიმურაზ ჯავახიშვილს ამ საკითხში დახმარებას ერეკლეს მიერ დანიშნული ადგილობრივი მოხელეები უწევენ (ამ შემთხვევაში ნინია გლურჯიძე, რომელიც ატენის ხეობის მოურავი იყო³). მათივე ფუნქციაში შედის მდევარს უმიზეზოდ დაკლებული პირების „დარბევა“, ხოლო მეფის სხვა დავალების შესრულების, ან ადგილზე არ ყოფნისას უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის სხვა პირებზე (ნაიბებზე) გადაწვლილება.

სეხნია ჩხეიძის ცნობით, ასეთი გამოსავალი ფონი ლეკებს „დიღმის ბოლოდან ატენის წყლამდის“ სულ თორმეტი ჰქონიათ⁴.

ტერმინი „გალმამხარი“ საკმაოდ ძველია. როგორც აღინიშნა, მას ფარსადან გორგიჯანისძეც ხმარობს XVII საუკუნეში.

Ioseb Alimbarashvili

Gori State University

**FOR THE DEFINITION AND LOCATION OF THE TERM "GAGHMAMKHARI"
(THE OTHER SIDE) IN SHIDA KARTLI
RESUME**

The article discusses the term "Gaghmamkhari" (the other side) mentioned in Georgian historical documents of the XVII century. The article gives its definition, studies its location and localization, analyzes the views expressed by Georgian and foreign authors regarding this term.

The toponym "Gaghmamkhari" means the location on the other side of the river and ravine, that's why Kartli, Kakheti and Imereti had their "other side".

"Gaghmamkhari" is used in historical documents for military, political and economic purposes. It contains examples proving this.

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი HD, საბ. 13714.

² ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისილორე დოლიძემ. ტ. II თბ., 1965, გვ. 492, ლოკ. 136.

³ იოსებ ალიმბარაშვილი, ატენის ქუეყანა, გვ. 69.

⁴ სეხნია ჩხეიძე ცხოვრება მეფეთა, წიგნში: ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, ახალი მოთხრობა 1469 წლითგან ვიდრე 1800 წლამდე გამოცემული უ. ჩუბინოვისგან, სანკტ-პეტერბურგი 1854, გვ. 337.

სამოხელეო ტერმინები ტიპიკონებში

სტატიის მიზანია, წარმოვაჩინოთ, როგორი იყო იერარქია ქართულ მონასტრებში, რა მორჩილებებს ასრულებდნენ, როგორ ლოცულობდნენ, შრომობდნენ, ურთიერთობდნენ გარე სამყაროსთან ბერმონაზვნები; რა სამოხელეო ტერმინები გვხვდება ჩვენამდე მოღწეულ ქართულ ტიპიკონებში.

მეთოდი: სტატიაში გამოყენებული გვაქვს ძირითადად ისტორიულ-შედარებითი და ანალიტიკური კვლევის მეთოდები, რომელთა საშუალებითაც გამოვავლენთ ტიპიკონებში შემონახული ცნობების ისტორიულ ღირებულებას, მათ მნიშვნელობას.

მოკლე შინაარსი: ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს ცხოვრებაში-ისინი არა მხოლოდ რელიგიური, არამედ დიდი კულტურული და სამეურნეო ცენტრებიც იყვნენ. ერთ ჭერქვეშ ბევრი ადამიანის ცხოვრება გარკვეულ ორგანიზებას მოითხოვდა, საჭირო იყო ზრუნვა მათ სულიერ და მატერიალურ ყოფა-ცხოვრებაზე; სწორედ ამ მიზნით შეიქმნა გარკვეული ტექსტი, რომელსაც ქართულად წეს-განგება, ბერძნულად კი ტიპიკონი (τυπικόν) ეწოდება - ღვთისმსახურების ყველასთვის სავალდებულო წესი, წესდება. ამასთანავე ეს ტექსტები შეიცავს ბევრ საყურადღებო და მნიშვნელოვან ცნობას იმის შესახებ, როგორ ცხოვრობდნენ ბერმონაზვნები, როგორ ატარებდნენ წირვა-ლოცვისგან თავისუფალ დროს; როგორ შრომობდნენ არსობის პურის მოსაპოვებლად, როგორ იკვებებოდნენ, იმოსებოდნენ, რა ურთიერთობები ჰქონდათ ერთმანეთთან და გარე სამყაროსთან; ხშირად, მშობლიური ქვეყნისგან შორს, როგორ დაულალავად იღვწოდნენ მისთვის და სხვ.

ტიპიკონები შეიცავს ეკონომიკური და სამეურნეო ხასიათის ძალიან საინტერესო ცნობებს, ტერმინოლოგიას, იურისპრუდენციის მასალებს - როგორი იყო იერარქია მონასტრებში, სამოხელეო თანამდებობათა დასახელებას; ჩამოთვლილია საეკლესიო, წირვა-ლოცვის დროს სიწმიდის სამსახურებელი ნივთები („იარაღები“), ძვირფასი თვლები, ზომა-წონის ერთეულები, ფულის დასახელებები, მნიშვნელოვანი ისტორიული პირების ბიოგრაფიული მონაცემები, გადმოცემულია ისტორიული მოვლენები და ა.შ.

ჩვენ მიერ განხილული ტიპიკონები, ნაწილობრივ მოღწეული გრიგოლ ხანცთელისა (IX ს.) და ათონის ივერთა მონასტრისა, ექვთიმე მთაწმინდელისეული (1005-06 წწ.); სრულად შემონახულები, პეტრიწონის (ბულგარეთი), გრიგოლ ბაკურიანის ძისა, ქართულ და ბერძნულ ენებზე (1084); შიომღვიმისა (არაუგვიანეს 1125 წლისა) და ვაჰანის ქვაბთა მონასტრის „ძეგლი“ (1212-1227 წწ.-თ.ჟორდანიას; 1125-30 წწ. ი. ტალახაძე) – მეტად მნიშვნელოვან და საინტერესო ცნობებს შეიცავს.

ნაშრომში წარმოვადგენთ იმ სამოხელეო ტერმინთა განხილვას, რომლებიც ჩვენამდე მოღწეულ ტიპიკონებში გვხვდება.

საკვანძო სიტყვები: ტიპიკონი, ხანცთის მონასტერი, ივირონი, პეტრიწონის მონასტერი, ვაჰანის მონასტერი, წინამძღვარი, ღეკანოზი.

მსჯელობა: მონასტერში ძირითადი საქმიანობა წირვა-ლოცვაა, ამიტომ ტიპიკონებში მთავარი ყურადღება ლოცვითი კანონების ორგანიზაციას ეთმობა.

განხილული ტიპიკონებიდან შიომღვიმის ტიპიკონში განსაკუთრებით ვრცელია საღვთისმსახურო ნაწილი, მცირე-დისციპლინური. დაწვრილებით არის განხილული წლის ყოველი დღის

მსახურება: ჟამნების, ცისკრის, სერობის, მწუხრის, ლიტურგიის საკითხავ-საგალობლები, მსგავსება-განსხვავებანი სხვა ეკლესიების ტიპიკონებთან და სხვ.

დანარჩენი სამი მხოლოდ დისციპლინურ ნაწილს შეიცავს. პეტრიწონისა და ვაჰანის ქვაბთა განგებაში გვაქვს განსხვავება – მათში მონასტრის ძმები დასებად არიან დაყოფილნი.

გრიგოლხანცთელიწერილი ტიპიკონი ამოიკითხება გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებიდან „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, ათონის ქართველთა მონასტრის ექვთიმე მთაწმინდელისეული ტიპიკონის ნაწილი კი, ჩართულია გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „ცხოვრებად იოვანესი და ეფთჳმესი“. ავტორი მეტ ყურადღებას უთმობს ყოფითი საკითხების გადმოცემას, საღმრთო მსახურების შესახებ კი ამბობს (შეიძლება იმიტომ, რომ აქ ტიპიკონური ნაწილი ძირითადი თხრობის ერთ პასაჟს წარმოადგენს):

„და ვითარცა იყო ნეტარი მამად ჩუენი ეფთჳმე სავსე ზეგარდმოთა მადლითა, ეგრეთვე საღმრთონი წესნი და განგებანი დაესხნეს მონასტერსა თჳსსა: პირველად წესნი ეკლესიისანი და განგებანი ყოვლისა წელიწდისანი, ვითარცა წერილ არს დიდსა სჯნაქსარსა სრულებით და დაუკლებელად“¹. დიდი სჯნაქსარის მოხმობით ყველასთვის ცხადი იყო, როგორ უნდა წარმართულიყო ღვთისმსახურება ივირონში.

ჩვენ მიერ განხილულ ტიპიკონებში მონასტრის იერარქიული წყობა ერთნაირია და სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო-მართლმადიდებლურ ეკლესიაში მკაცრად არის დადგენილი მისი თითოეული წევრის უფლება-მოვალეობა დიდიდან პატარამდე, მით უფრო-მონასტრებში.

პეტრიწონის მონასტერში ყოველთვის აუცილებლად ორმოცდაათი წევრი უნდა ყოფილიყო და არასოდეს დაკლებოდა. მონაზონთა პირველ დასს მიეკუთვნებოდნენ ჟამისმწირველი ექვსი ძღველი, ორი დიდი იკონომოსი, დეკანოზი, დოშიარი და სხვა უთავადესი ძმათაგანი, სულ თხუთმეტი სული. ისინი შესამოსლისთვის იღებდნენ ოც დრაჰკანს.

მეორე დასიც არის, აგრეთვე, თხუთმეტი სული „და აიღებდეს თჳთეული ამათგანი დრაჰკანსა ათხუთმეტსა“.

ხოლო მესამე დასი იყავნ რიცხვთ ოცი სული და თჳთეული ამათგანი აიღებდეს დრაჰკანსა ათსა“².

ვაჰანის მონასტერში სულ სამოცდაერთი ბერი მოსაგრებოდა. პირველ დასში მოიაზრებიან დეკანოზი და იკონომოსი, რომელთაც საჩოკედ (ტანსაცმლის შესაძენად) მიეცემოდათ ოთხ-ოთხი დუკატი; მგალობლებსა და მონასტრის პატრონთა თაყვანებულებს-სამ-სამი; მწირველებს, რომელთაც მკითხველ-კანანახობა შეუძლიათ, მეჭურჭლეს, მეტრაპეზეს, კანდელაკსა და იპიტირიტისს - „ესრევე სამ-სამი დუკატი; ხოლო მეორისა დასისათა, რომელთაცა წირვისა მეტი სხუად საკმრობად არაჲ შეეძლოს, ამათ ორ-ორი დუკატი აქუნდეს; და მესამისა დასისათა, ესე იგი არს, მწირთა, ბოტინატი და დოკატი მიეცემოდის; ხოლო მსახურთა სატანისამოსლედ მწირთავე სწორად ჰქონდეს ბოტინატი და დოკატი“³. განსხვავებულად იღებდნენ პურ-ღვინოსაც: იკონომოსისა და დეკანოზისთვის განსაზღვრული იყო პური ექვსი გრივი: სამი წმიდა (ხორბალი), სამი ქრთილი (შემოდგომის ქერი) და ორი საპალნე (30 ჩაფი) ღვინო. უთავადესი ძმებისთვის, რომელთაც სამ-სამი დუკატი ეძლეოდათ, - ორი გრივი წმიდა, ერთი ქრთილი და თითო საპალნე ღვინო; მეორე დასისათვის, რომელთაც წირვის მეტი არაფერი შეუძლიათ, პური ორი გრივი წმიდა, ერთი ქრთილი და ერთიც ღვინო; მწირთა-პური ერთი წმიდა, ერთი ქრთილი და ღვინო – ოთხს ერთი საპალნე⁴.

¹ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II. დასაბეჭდად მოამზადეს ილაბულაძემ, ლ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჭიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1967. გვ. 69, XIX.

² ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია. თბილისი, 1986: გვ. 81, 2.

³თ. ჟორდანი, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და “ძველი” ვაჰანის ქუაბთა, ტფ. 1896: გვ. 34.

⁴იქვე, 34.

მღვდლებთან, დიაკვნებთან და მწირებთან ერთად, რომელთა განსაზღვრული რაოდენობა უნდა ყოფილიყო მონასტერში, აქვე ცალკეა მოხსენიებული მსახურნი (10), „რომელნი ყოველსავე ტრაპეზისა და სამხარეულოდსა და სანაბაზოდს სასამსახურს აადასრულებდნენ¹. ესენი ერისანნი არიან, მორჩილნი თუ საბერონი, არ ჩანს, არც ის, „მსახურება“ მათი მორჩილება იყო, მუდმივად ამ სამსახურს ასრულებდნენ, თუ ჰქონდათ ბერად აღკვეცის, სწავლისა და მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა-უფრო სავარაუდოა, რომ ერისანნი არ იქნებოდნენ. სატანი-სამოსედ მათაც იმდენივე მიეცემოდათ, რამდენიც მწირს: ბოტინატი და ღოკატი, მათთვის განკუთვნილ პურ-ღვინოზე კი არაფერია ნათქვამი.

მონასტრის უპირველესი ხელისუფალია წინამძღვარი, მამასახლისი, მამა, რომელსაც ნიშნავს მონასტრის ქტიტორი – ეს უფრო თავიდან, როდესაც სავანე ახალაშენებულია და პირველი წინამძღვარი უნდა დაინიშნოს – ასე მოხდა პეტრიწონში, ივირონში; ან ასახელებს წინაიღუმენი – ექვთიმე მთაწმინდელისა და პეტრიწონის ტიპიკონი; ან ირჩევს მონასტრის ძმობა – ვაჰანი და პეტრიწონი – თუ წინამძღვარი უეცრად გარდაიცვალა და შემცვლელის დასახელება ვერ მოასწრო. მონასტრის წინამძღვარს ყველა სიტყვის შეუბრუნებლად უნდა ემორჩილებოდეს.

მეორე ადგილზე მონასტერში წინამძღვრის შემდეგ მოიაზრებიან იკონომოსი და ეკლესიარქი-დეკანოზი. იკონომოსი შეიძლება ორი (ან მეტიც) ყოფილიყო. პეტრიწონის ტიპიკონში ჩაწერილიცაა: „და ორნი იყვნენ იკონომოსად ზედა სოფელთა“². სხვაგან რაოდენობა მითითებული არაა. ათონზე იკონომოსს საკმაოდ დიდი მოვალეობები ეკისრებოდა: საპარიკონომოსოდ და საჯორე და სამჭედლოდ და ხურონი და კალაფატნი და მანდრინი და ვენაჰნი და მენავენი – ესე იკონომოსისა გასაგებელნი იყვნეს... ოდეს შინა არნ, რადცა ვის ეკმარებინ, თვთ მამასა მოაკსენის... ოდეს კულა შინა არა არნ, მერმე გააგებნ იკონომოსი“³. წინამძღვრის არყოფნის შემთხვევაში მასშემცოდეთა განკანონებაც ხელეწიფებოდა. იკონომოსს ეთათბირებოდა წინამძღვარი მონასტრის საქმეებზე. მას ებარა სხვა საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთების საწყობიც; „...გინა თუ მოგუნი, გინა თუ ჩაფლანი, გინა თუ ტყავი, გინა თუ საბლები, გინა თუ სელი, -ესევითარი იკონომოსისგან ითხოვიან“⁴. მისთვის დღეში შვიდი კრასოვული ღვინო იყო განწესებული. ეს ტიპიკონი იცნობს პარიკონომოსსაც-იკონომოსის მოადგილეს⁵.

ამ მხრივ განსხვავებული სურათია პეტრიწონის ტიპიკონში. ცალკე, მეთექვსმეტე თავი არის „მოურნეთათ–ს და მოლუაწეთა მონასტრისათა, რომელ არიან იკონომოსნი და ეპიტროპოსნი“⁶. ამ თავში ნათქვამია, რომ მონასტერი, „სამოწესეოდ ჩუენი“, არასოდეს დარჩეს ეპიტროპოსთა და იკონომოსთა გარეშე, “რომელ არიან განმგენი და აბარმადნი”⁷ და შინ და გარეთ გამოცდილნი უნდა დააწესონ ზედამხედველად და განმგებლად. ბერძნულ ტიპიკონში თავის სათაურშივე მხოლოდ ეპიტროპოსია მოხსენიებული. ეპიტროპოსად და იკონომოსად შეიძლება ყოფილიყვნენ სასულიერონი ან საერონიც, სათნონი და ღმრთისმოყვარენი. ისინი არიან „განმგენი და მოურნენი“ მონასტრისა, უპირატესნი პატივითა. მათ ევალეობდათ, რომ მონასტერში მყოფთ არ ჰკლებოდათ არაფერი პირველ საჭიროების საგანთაგან. წელიწადში ორჯერ დიდი იკონომოსი ანგარიშს ითხოვდა სხვა იკონომოსებისა და მსახურებისგან და აპოტიქსს (საბუთს) აიღებ⁸.

¹იქვე, 34.

²ა. შანიძე, თხზულებანი ითორმეტ ტომად, ტ. IX. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია. თბილისი, 1986: გვ. 76, 5.

³ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II. დასაბუჯლად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჭიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1967. გვ. 84, 37.

⁴იქვე, გვ. 85, 40.

⁵იქვე, გვ. 69-70, 1.

⁶ა. შანიძე, თხზულებანი ითორმეტ ტომად, ტ. IX. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია. თბილისი, 1986: გვ. 91.

⁷იქვე, გვ. 81-82, 1.

⁸იქვე, 104, 1.

ბერძნული ტექსტის 26-ე თავი, „შესახებ იმისა, რომ იკონომოსი და სხვა მსახურნი ანგარიშდებულნი უნდა იყვნენ წინამძღვრის მიერ, ხოლო წინამძღვარი ანგარიშს უნდა აბარებდეს ძმათა ერთობლიობას“, იცნობს ქვეიკონომოსებსა და „სხვადასხვა ხელისუფლების მქონე მსახურებს“, რომლებმაც ანგარიში უნდა ჩააბარონ დიდ იკონომოსს¹.

შიომღვიმის ტიპიკონში იკონომოსი ნახსენები არ არის, რადგან იქ ცოტა წერია ბერების ყოფა-ცხოვრებაზე, იკონომოსი, იგივე ეპიტროპოსი კი უფრო „ხორციელ საჭიროებათა შესახებ“ ზრუნავს.

ვაჰანის წმიდა გიორგის სახელობის მონასტერში „დეკანოზი და იკონომოსი“ იერარქიულად წინამძღვრის შემდეგ საფეხურზე იდგნენ და სამოსისთვის ოთხ-ოთხი დუკატი ეძლეოდათ. ამავე ტექსტში ნათქვამია: თუ მონასტრის სოფელსა და მამულში ისეთი საქმე მოხდეს, „რომელ ერისკაცითა არ გაიმართვოდეს და დიდი იკონომოსი უცალო იყოს სხუათა რათმე სამუშაოთა და საურავთაგან“², მხცოვანი და გამოცდილი ბერი წავიდეს. „დიდი იკონომოსი“ ცალკე თანამდებობა იყო, სხვა ადამიანებს ხელმძღვანელობდა, თუ „იკონომოსს“ ნიშნავს, არ ირჩევა, არც მისი მოვალეობებია განსაზღვრული.

მონასტრის ერთ-ერთი ხელისუფალი, წინამძღვრის შემდეგ, იკონომოსთან ერთად, არის ეკლესიარქი, საეკლესიო ღმრთისმსახურების განმგებელი მონასტერში. შიომღვიმის ტიპიკონში, რომელიც მთელი წლის ლიტურგიკულ მასალას წარმოგვიდგენს, მასზე ძალიან ბევრი რამ არის ნათქვამი. კერძოდ: ეკლესიარქი მართავს მარჯვენა ხოროს, უნდა კარგად იცოდეს საგალობლები და საკითხავები, მან უნდა წართქვას ჟამის კანონები და ექვსფსალმუნი; მიუთითოს მგალობელსა და წიგნის მკითხველს, ვინ, როდის, რა უნდა თქვას. ღამისთვის ცისკარზე იწყებს „დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა... ვნების კვირის პარასკევს განუყოფს სანთელს ძმათა. ეკლესიარქი ზრუნავს წესრიგზე მემკრეთა შორის; მან უნდა მიაქციოს ყურადღება იმასაც, რომ სანამ ეკლესია გალობს, არავინ შევიდეს, - ეს უწესობაა – არამედ შტოსა შინაიდგნენ.

ორჯერ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „უკმს ეკლესიარხსაგან კრძალულად მოწონად ჟამისად“ (ტიპიკონი, 2005: 123), რომ ჟამისწირვა ღამის მეორე ჟამზე დასრულდეს. დიდი სერობაც დაღამებამდე, სანამ თვალი ხედავს, უნდა გამოილოცონ („უწინარეს თვალისა მოკიდებისა“ (ტიპიკონი, 2005: 109).

ძველ ქართულ წიგნებში ეკლესიარხის ბაღდად დეკანოზი მოიხსენიება. ასეა “იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში”. იქ ”დეკანოზი აწუენ...გინა წიგნის კითხვასა, გინა წარდგომასა”³.

ერთი დეკანოზი მსახურობდა პეტრიწონის მონასტერში, “მეცნიერ ყოველსა განგებასა ეკლესიისასა, რადთა წესისაებრ სჯნაქსარისა აღასრულებდეს ყოველსავე”⁴. აქ, როგორც ჩანს, იგულისხმება გიორგი მთაწმიდელისეული “დიდი სჯნაქსარიო, რომელიც მან 1042-44 წლებში, პეტრიწონის აშენებამდე ორმოცი წლით ადრე თარგმნა. შეიძლება, ეს ორი დიდი ქართველი, გიორგი მთაწმიდელი და გრიგოლ ბაკურიანის ძე, იცნობდნენ კიდევ ერთმანეთს. ყოველ შემთხვევაში, გრიგოლ ბაკურიანის ძეს კარგად უნდა სცოდნოდა ბერძნების მტაცებლური ბუნება, რომ მათ ათონის ქართველთა მონასტერზე ეჭირათ თვალი, ამიტომ შეიტანა თავის ტიპიკონში სპეციალური თავი: „არა დაწესებისათვის მონასტერსა ჩუენსა ბერძნისა ხუცისა მონაზონისა და თუ რად არს მიზეზია მისი”⁵.

¹გეორგიკა, გრიგოლ ბაკურიანის-ძის ტიპიკონი (პეტრიწონის წესდება). გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963: გვ. 126-127.

²თ. ჟორდანი, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და “მეგლი” ვაჰანის ქუბათა, ტფ. 1896: გვ. 39.

³ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჭიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1967: გვ. 70, 2.

⁴ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია. თბილისი, 1986: გვ. 76, 6.

⁵იქვე, გვ. 103.

დეკანოზს იცნობს ვაჰანის ქუაბთა განგებაც და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დეკანოზი და იკონომოსი პირველ დასში მოიაზრებიან. ქტიტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუ მოძღვარმა, დეკანოზმა ან იკონომოსმა მეგობრობის ან სხვა რამე მიზეზით თვალი დახუჭოს ძმათა მიერ წესდების დარღვევაზე, არ ამხილონ და არ წურთინდნენ, შემჩნეულნი იქნებიან ვერცხლისმოყვარეობაში, ქრთამს აიღებენ ან სენაკში ღვინის მსმელნი უგულუბელჰყოფენ მონასტრის საქმეს, ეკლესიაში ლოცვას დააკლდებიან ან ტრაპეზზე არ შევლენ, “ამათ წარუწყმედიეს თავი თვისი... დაკლებულ იქმნეს თვისისა პატივისაგან... და უკეთუ შემდგომად ამისასაცა ეგე-ვითარადვე იქცეოდენ, განიკადნენ მონასტრითცა”¹. აქვე მოიხსენიება დიდი იკონომოსი, მაგრამ მისი უფლება-- მოვალეობები არ ჩანს, როგორც აღვნიშნეთ.

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი პერსონა/მოხელე ქართულ მონასტრებში არის ეპიტირიტისი, ესე იგი არს დამხედვარი.

მთაწმიდელთა ტიპიკონი გვამცნობს, რომ ორი ეპიტირიტისი ჰყავდათ, „კაცნი საღმრთონი და ღმრთის-მოშიშნი”, ერთი უფროსი და ერთი უმცროსი „მისა ქუეშე”². უმცროსი ეპიტირიტისს ევალებოდა, მოელო ძმათა სენაკები და ღმრთისმსახურების დროს შინ დარჩენილები მოეყვანა ეკლესიაში. ამასთან, ვინც მძიმე საქმეს ასრულებდა, მათ შრომა ლოცვად ეთვლებოდათ. თუ ვინმე დაავიანებდა ცისკრის ლოცვაზე მოსვლას, დასჯიდნენ-ახალგაზრდებს საკურთხეველთან ასჯერ მოადრეკინებდნენ მუხლს, ხანდაზმულებსა და უძღურებს კი ამ დღეს უღვინოდ და უსაჭმლოდ დატოვებდნენ.

ლოცვის დროს უფროსი ეპიტირიტისი ეკლესიის კართან იდგა. თუ ვინმეს რაიმე აუცილებლად საჭირო საქმე არ ჰქონდა, ვერავინ გაბედავდა ტაძრის დატოვებას. გამსვლელი ეტყოდა ეპიტირიტისს მიზეზს, გავიღოდა და ისევ სწრაფად შემობრუნდებოდა. ვინც დაყოვნდებოდა, უსაყვედურებდნენ, განმეორების შემთხვევაში კი მასაც ხმელ პურზე ტოვებდნენ ან მუხლს ასჯერ მოადრეკინებდნენ³.

პეტრიწონის ტიპიკონის მეექვსე თავში- „რიცხ-სათ-ს მონაზონთადასა, რომელნი დავაწესენით, რადთა არა დააკლდენ, და მათგანთა კელისუფლად დაყენებისათვის” (შანიძე, 1967: 75) - მე-17 მუხლით ეპიტირიტისის მოვალეობაა განსაზღვრული. ბერძნული ტექსტის ამავე თავის მე-16 მუხლის ქართული თარგმანი ასეთია: ზედამხედველი „არჩეული უნდა იყოს მისი სიკეთისა და ღვთისმოშიშობის მიხედვით. მისი მოვალეობა იქნება, ჩამოიაროს ძმათა სენაკები და ვინც ჩამორჩენილან წმიდა შეკრებას და არ მისულან ცისკრის დასაწყისში... წაიყვანოს ისინი წინამძღვართან და ძმობის საბჭოში, რათა ჩვეულებისა და კანონისამებრ ყოველ მათგანს დაედვას კუთვნილი საკანონო”⁴. “იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში”, რომელშიც ეფთჳმეს ტიპიკონია ჩართული, ვხედავთ, როგორ ხორციელდებოდა ტიპიკონის წესები სამონასტრო ცხოვრების პრაქტიკაში, აქვე უფრო დაწვრილებითაა განხილული სხვა მუშაკთა მოვალეობებიც.

„ვაჰანის ქუაბთა განგებაში“ ეპიტირიტისი („ეპიტირიტისი“) მოხსენიებულია პირველი დასის ძმათა შორის მეჭურჭლესთან, მეტრაპეზესა და კანდელაკთან ერთად. უფრო დაწვრილებით მისი მოვალეობები განხილული არ არის.

მხოლოდ მთაწმიდელთა ტიპიკონში მოიხსენიება „ეპისტატი, რომელ არს მუშათა უხუცესი”⁵.

¹თ. ჟორდანიას, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და “ძველი” ვაჰანის ქუაბთა, ტფ. 1896: გვ. 39.

²ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჭიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1967. გვ. 70, 3.

³ქვე, გვ. 70-71, 3-4-5.

⁴გეორგიკა, გრიგოლ ბაკურიანის-მის ტიპიკონი (პეტრიწონის წესდება). გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963: გვ. 59, 16.

⁵ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჭიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1967: გვ. 83, 36.

ივირონს დიდი მეურნეობა ჰქონდა, მარტო ბერები მის მოვლას ვერ აუვიდოდნენ, ამიტომ ადგილობრივ ბერძნებსაც ქირაობდნენ. სწორედ მათი „უხუცესი“, უფროსი არის ეპისტატი. მას ევალეობდა მუშების დაქირავება, სამუშაოზე განაწილება, თვალ-ყურის დევნება და კვება. ამასთან, მკაცრად უნდა დაეცვათ მამა ეფთჳმეს განკარგულება-უწვერული მუშები არ აეყვანათ, რომ მონასტრის ძმებს მათი შეხედვით რაიმე ვნება არ შემთხვეოდათ. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რამხელა სამუშაოებს აწარმოებდა მონასტერი: გარდა ამა თუ იმ მორჩილების მქონე ბერებისა, დაქირავებული 30-40 მუშისა, მოსენაეთა „მოწაფენი ყოველსავე სამსახურებელსა გავიდოდიან... მამისაცა მოწაფენი ძმათავე თანა წავიდოდიან მსახურებასა და უფროდს ჯერ მოსენაენიცა ძმათა სათნოებისათვის ძმათავე თანა გავიდოდიან, უფროდს-ლა, ოდეს მამად მუნ იყვის“¹. მამა ეფთჳმე, მიუხედავად მოუცლევლობისა, მონასტრის საერო საქმეებშიც მონაწილეობდა, განსაკუთრებით ვენახში მუშაობა ჰყვარებია: „უფროდსნი დღენი ვენაჳთა შრომასა შინა დაყენიან და ყოლადვე მამად მათთანავე იყვის, თჳნიერ დიდისა მიზეზისა,... გინა თუ ვენაჳთა ასარვასა, გინა თუ აჯოჯვასა, გინა თუ სთულეებასა“².

ყველა მონასტერში არიან ხუცესნი, დიაკონნი, მთავარდიაკონნი, კერძო-დიაკონნი, პირველი დიაკონთა (შიომღვიმე), კანდილაფტუხუცესი (შიომღვიმე), მნათე-კანდელაკი,-აქვე აღვნიშნავთ, რომ პეტრიწონში მნათე დეკანოზს ემორჩილებოდა, მას ებარა საკმეველი, ზეთი და სანთელი, აგრეთვე საბარძიძე ღვინო და ფქვილი, რომლისგანაც სეფისკვერს აცხოვდნენ³-მგალობელი, მემკრე, მეფსალმუნე, კანანახი, მემკრე-კლერიკოსი, მედავითნე-მგალობელი (შიომღვიმე)... ეს საღვთისმსახურო-ლიტურგიკულ იგანხრით.

მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, ყოფითი საკითხებიც - კვება, ჩაცმა, სტუმარ-მომლოცველთა მიღება, წესრიგის დაცვა, მღვდელ-დიაკონთა აღზრდა, სწეულთა მოვლა, მეურნეობის გაძლოლა, „ფრიად მოხარკე იყვნეს ძმანი მამინ შრომასა“⁴.

დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მონასტრის მეკარეს. მთაწმიდელთა ტიპიკონით მეკარედ „ყოლადვე ფრთხილსა და სულიერსა კაცსა დაადგინებ“⁵. მას ევალეობდა მოხეტიალე („მრონიე“) მონაზონთა გასტუმრება დანაყრების შემდეგ, ასევე უცხოებისაც.

პეტრიწონის ქართულ-ბერძნულ, შიომღვიმისა და ვაჰანის ქვაბთა ტიპიკონებში მეკარის მოვალეობა განმარტებული არ არის.

ათონის ივერიელთა მონასტერში 200 ბერი ცხოვრობდა, ყველას თავისი საქმე და მოვალეობა ჰქონდა და ასრულებდა. „და ესრეთ ყოველივე საქმე განწესებულად იყო და უშფოთველად იყვნეს ყოველნი“⁶. როგორც აღვნიშნეთ, სამეურნეო საქმეებს იკონომოსი და პარიკონომოსი, მისი მოადგილე, განაგებდნენ. კვების პროდუქტები და საკელრო (საკუჭნაო) კელარს, მეკუჭნავეს ებარა, აპოთიკი, ბოსტანი, წისქვილები, ხილი, ზეთი და სხვა საკვები პროდუქტი მის ხელთ იყო. იგი აძლევდა მზარეულოსა და მევაჟინეს, რაც სჭირდებოდათ საჭმლის მოსამზადებლად. იყო, აგრეთვე, მეტრაპეზეც, რომელიც, სავარაუდოდ, ხელმძღვანელობდა სამზარეულოს და ჭამის დროს წესრიგის დაცვაც ევალეობდა. მის დამხმარეებად მოვიაზრებთ ხელოსნებს, რომელთაც, გარდა ამისა, წინამძღვრის დაგვლებით, ყურადღება უნდა მიექციათ და არაფერი მოეკლოთ ზარმაცთა და ახალმოსულთათვის, რომელთაც თვითონ მამად ხშირად არიგებდა, ასწავლიდა, ამხილებდა და ანუგეშებდა⁷. იგივე ხელოსნები ზრუნავდნენ დასჯილ დამნაშავეებზეც, მამის გან-

¹იქვე, გვ. 83, 36.

²იქვე, გვ. 81, 28.

³გეორგიკა, გრიგოლ ბაკურიანის-მის ტიპიკონი (პეტრიწონის წესდება). გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963: გვ. 57, 10.

⁴ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჭიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანიკიძემ და ც. ვლამიაძემ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1967: გვ. 74, 13.

⁵იქვე, გვ. 82-83, 34.

⁶იქვე, გვ. 85, 40.

⁷იქვე, გვ. 72, 9.

კარგულებით¹. მიუხედავად იმისა, რომ მამა ეფთჳმე კვირაში სამი დღე მხოლოდ პურსა და წყალს იხმევდა მზის ჩასვლის შემდეგ, ღვინოს კი მხოლოდ წირვისას მიიღებდა, თავად სინჯავდა ძმათათვის განკუთვნილ საჭმელ-სასმელს, ზრუნავდა, რომ საკვები ხარისხიანი ყოფილიყო, რადგან ძმები მარტო საერთო ტრაპეზზე იკვებებოდნენ და არაფერი უნდა დაჰკლებოდათ². ივირონში მევაჟინეს ევალეობდა, ტრაპეზზე კარგი ღვინო გამოეტანა. მამაეფთჳმე თავად ამოწმებდა, რომ სასმელი აძმარებული ან მეტად წყალგარეული არ ყოფილიყო.

პეტრიწონის ტიპიკონი ხელოსნებს არ იცნობს, აქ დასახელებულნი არიან ერთი მემარნე-ვაჟინარი, ერთი მეტრაპეზე, ერთი მეპურე, ერთი მზარეული³. ჰყავდათ ერთი მესტუმრეც. ასევეა ბერძნულ ტექსტშიც იმ განსხვავებით, რომ ვაჟინარის ნაცვლად ღვინის მწდეს ასახელებს⁴. რაც შეეხება კელარს, ქართული ტექსტი გვაცნობს კელრის მოვალეობას: „...ერთი იყოს კელრად, რომელ არს ოსტიგანი, წესისაებრ მონასტრისა, უზაკუველი და ერთგული, რომელსა ჰქონდის კელსა თვისსა პური და უხდური და საწუნედა ზეთი, თაფლი და სხუად ყოველივე საზრდელი და თუთ წარაგებდეს შიშითა ღმრთისადათა“⁵. ბერძნული ტექსტი განსხვავებულ იკითხვისს გვაძლევს: „...სხვა კიდევ იყოს კელრად, რომელსაცი ბერნი ტანუტერს⁶ ეძახიან“⁷.

შიომღვიმის ტიპიკონში მხოლოდ კელარი მოიხსენიება სამჯერ (ტიპიკონი... 2017: 16, 16, 193).

ვაჰანის ქვაბთა განგებაში მეტრაპეზე მხოლოდ წესრიგის დამცველად მოიხსენიება. ყველანი მყუდროებით უნდა იღებდნენ საზრდელს, უკუეთუ არა, დამრღვევი “მეტრაპეზისა მიერ... განყვანებულ იქნეს ტრაპეზით”⁸. სხვა მოვალეობა-საჭმლის მომზადება, ტრაპეზის დაგება-აღნიშნული არ არის.

ყველა მონასტერში განსაკუთრებული იყო დამოკიდებულება უძღურთა და სნეულთა მიმართ. მთაწმიდელთა ტიპიკონში მათ შესახებ ნათქვამია, რომ მამა ექვთიმე, რომელიც ბერებისგან მოითხოვდა, ეკლესიაში წესიერად მდგარიყვნენ და მხურვალედ ელოცათ, თვითონ კი „თნიერ კუერთხისა და კედელსა მიყრდნობისადაგან... ეკლესიას ყოვლითა მოსწრაფებითა და კრძალულებითა“⁹ და სიბერეშიც კი არგნით ტაძარში არ შედიოდა, უძღურებს ნებას რთავდა, ეკლესიის შტოში კვერთხზე დაყრდნობილნი მდგარიყვნენ, დაუძღურებულნი სკამზედაც დამსხდარიყვნენ¹⁰ და სამზარეულოშიც განსხვავებული საჭმელი მოემზადებინათ¹¹.

შელავათებს უწესებს სნეულებს შიომღვიმის ტიპიკონიც. მარხვის პირველი შვიდეულის სამ დღეს ყველანი უზმოდ ატარებდნენ, ავადმყოფების გარდა (ტიპიკონი, 2005: 195), რომელთაც ორშაბათ-ოთხშაბათ-პარასკევს მარხვისასაც ეძლეოდათ ღვინო, მათთვის წინამძღვრისაგან

¹იქვე, გვ. 72-73, 12.

²იქვე, გვ. 74-75.

³ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია. თბილისი, 1986: გვ. 76-77.

⁴გეორგიკა, გრიგოლ ბაკურიანის-ძის ტიპიკონი (პეტრიწონის წესდება). გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963: გვ. 75-78.

⁵ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია. თბილისი, 1986: გვ. 76.

⁶ა. შანიძემ დაადგინა, რომ “ტანუტერი” საერო თანამდებობა იყო და ეს სიტყვა ტექსტში გვიანდელი ჩანართია (იქვე გვ. 23-29).

⁷გეორგიკა, გრიგოლ ბაკურიანის-ძის ტიპიკონი (პეტრიწონის წესდება). გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963: გვ. 57.

⁸თ. ჟორდანი, ისტორიულისაბუთები შიომღვიმის მონასტრისა და “მეგლი” ვაჰანის ქვაბთა, ტფ. 1896: გვ. 33.

⁹ძეგლები, 1967: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჟიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაია ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1967. გვ. 69.

¹⁰იქვე, გვ. 76.

¹¹იქვე, გვ. 79.

იყო „წესი განჩინებული, არამედ თითოეულისა ნებისაებრ თანაკურნებად მათი და ნუგეშინის-ცე-
მაი“ (ტიპიკონი, 2005: 196).

სპეციალურად მათთვის გამოყოფილი ორი მონაზონი იყო „მეუძღურედ-მოხუცებულთა და
სნეულთა ზედამხედველად და მფუფუნებლად“ პეტრიწონში¹; ბერძნულ ტექსტში ეს მუხლი ასე-
თია: „სხვა კიდევ იყოს მოხუცებულთა და სნეულთა მოძველად, რომელიც ამათზე ზრუნვას
კარგად და გონივრულად შეასრულებს“².

მხარგრძელს, ვაჰანის ქვაბთა მონასტრის ქტიტორსაც, არ გამოორჩენია მხედველობიდან ეს
საკითხი და დიდ მზრუნველობას იჩენს ავადმყოფთა მიმართ: „...ყოვლადგან კრძალული ერთი და
ღვთისა მოშიში მონაზონი მესნეულედცა განჩინებოდის და უძღურ მყოფთა ძმათა ჰმსახურებ-
დეს ყოველსავე საკმარსა მათსა: ღლითი დღე სამეზის მოჰკლიდეს და მოიხილვიდეს, და საწე-
სოსა მართუმიდეს ძმასა ტრაპეზით: და სხუად, რადცა უკმდეს სნეულთა და უძღურად მყოფთა
ძმათა, უშურველად მიეცემოდის ტრაპეზით: და ნუმცა რად მოაკლდების საჭიროდ საკმართაგანი,
რომელიცა იყოს და იპობოდეს“³.

მონასტრებში ჰყავდათ მესტუმრენიც-მათი მოვალეობები ზოგ ტიპიკონში გაწერილიცაა.
ათონის ივერთა მონასტერში ადგილის „მრონინე“ მონაზონთა მიღება-გასტუმრება მონასტრის
მეკარეს, „ფრთხილსა და სულიერ“ კაცს ევალებოდა (მას შემდეგ, რაც დააპურებდნენ); ერისკა-
ცები კელრის საზრუნავი იყვნენ და მის კართან ხალხი არ ილევოდა, -შენიშნავს წმიდა გიორგი
მთაწმიდელი⁴.

პეტრიწონის ტიპიკონით დადგენილია, რომ მონასტერს უნდა ჰყავდეს ერთი მესტუმრე⁵.
დაწვრილებითაა განხილული ყველა შესაძლებელი შემთხვევა, -როგორ უნდა მიიღონ სტუმარი,
რომ არავინ არ უნდა გაუშვან მშვიერი, როდის და როგორ უნდა გაუმასპინძლდნენ... მერვე თავ-
ში - „ტრაპეზისა შემზადებისათჳს და მსახურთა ღუმილით და სიმშკლით მსახურებისათჳს⁶-
ისიც კი გაწერილია, რომ ავადმყოფი სტუმარი მოარჩინონ და მერე გაუშვან, გარდაცვალების
შემთხვევაში კი პატივით დაკრძალონ. გარდა ამისა, გრიგოლ ბაკურიანის ძემ სამ ადგილას აა-
შენა სასტუმრო („ქსენადოში“) მწირთა და მოგზაურთათვის, მზრუნველები დაუნიშნა და ყველა
აუცილებლად საჭირო სახმარითა და საზრდელით უზრუნველყო.

„მრავალ მრონინეთა და მიწყითთა მთხოველთა“ ვაჰანის მონასტერშიც მეკარე „განისტუმ-
რებდა“. ძმასთან კერძო საქმეზე მომსვლელს თვით დამხვდური უმასპინძლებდა; მოსალოცად
შორიდან მოსულები მესამე დღეს უკვე უნდა წასულიყვნენ, საპატიო სტუმრებს ტრაპეზით მას-
პინძლობდნენ; ამ შემთხვევაში მოძღვრის ბრძანებით, „სტუმართმოყუარეობისა მიზეზითა იქმნას
მომატება საჭმელთა რადთამე“, - რადგან ეს საჭიროა და ძველი მცნებაა, აღნიშნავს ავტორი⁷.

¹ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი.
ტიპიკონის ქართული რედაქცია. თბილისი, 1986: გვ. 76, 16.

²გეორგიკა, გრიგოლ ბაკურიანის-ძის ტიპიკონი (პეტრიწონის წესდება). გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა. საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963: გვ. 59, 15.

³თ. ჟორდანი, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰანის ქვაბთა, ტფ. 1896: გვ. 34.

⁴ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ.
ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჭიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის
ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1967: გვ. 82-83, 34.

⁵ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი.
ტიპიკონის ქართული რედაქცია. თბილისი, 1986: გვ. 76, 15. გეორგიკა, გრიგოლ ბაკურიანის-ძის ტიპიკონი
(პეტრიწონის წესდება). გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა,
თბილისი, 1963: გვ. 59, 14.

⁶გეორგიკა, გრიგოლ ბაკურიანის-ძის ტიპიკონი (პეტრიწონი სწესდება). გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა.
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963: გვ. 63-69. ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ
ტომად. ტ. IX. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია. თბილისი,
1986: გვ. 78-80.

⁷თ. ჟორდანი, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰანის ქვაბთა. ტფ. 1896: გვ. 33-34.

ფრიად საპასუხისმგებლო საქმეს ასრულებდა ეკლესიაში მეჭურჭლე-განმეულობის მცველი, მწე. „იოანესა და ეფთოკემს ცხოვრებაში” ის აღნიშნული არ არის. სავარაუდოდ, ამ მოვალეობას მნათე ასრულებდა. პეტრიწონის წესდებაში მას ცალკე მუხლი ეთმობა: „ცოდნით, გამოცდილებით, ღვთისმომოშობით და სიყვარულით შემკული ადამიანი”¹ უნდა დაეწესებინათ „მეჭურჭლედ და დომიარად ეკლესიისა, სამკაულთა და სიწმიდეთა და საკმართა და განძისა მცველად”, იქვეა აღნიშნული მისი კიდევ ერთი ვალდებულება, - “საიდადთცა შემოვიდოდის, წერითა იღებდეს და წერით გასცემდეს”².

შიომღვიმის ტიპიკონში მეჭურჭლე, განძთა მწე არ იძებნება. მხოლოდ ერთხელ, თვენში, 14 სექტემბრის, ჯვართამაღლების მსახურებაში აღნიშნულია, „გამოვიდეს მღვდელი საჭურჭლით” (ტიპიკონი, 2005: 34), ხოლო საჭურჭლე განმარტებულია, როგორც „სადიაკონე, რომელშიც ინახება სიწმიდის სამსახურებელი ჭურჭელი” (ტიპიკონი, 2005: 212). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ჭურჭელი სწორედ დიაკონს ებარა.

ვაჰანის ქვაბთა მონასტერში მეჭურჭლე ძმობის პირველი დასის წევრია, საჩოხედ სამი დუკატი, პური ორი გრივი წმიდა, ერთი ქრთილი და ერთი საპალნე ღვინო ეძლევა³. მისიმოვალეობები განსაზღვრული არ არის.

გარდა ამისა, ყველა მონასტერში არიან კიდევ ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა, პრაქტიკულ საქმეს ასრულებენ: ხურო, მჭედელი, მეჯორე, მეწაღე... „იოანესა და ეფთოკემს ცხოვრებაში” გიორგი მთაწმიდელი ჩამოთვლის სახელოსნოებს: „საწანგროდ და საჯორედ და სამჭედლოდ და ხურონი და კალაფატნი და მანდრინნი და ვენახნი და მენაგენი”⁴.

შიომღვიმის მონასტერში ბერები იყვნენ, აგრეთვე, მჭედელი, მეჯორე, ნავისმოქმედი, ხურო, მევენახე, საპურის მსახური, მემტილე, მებოსტნე, აგრეთვე მალვიძებელი, რომელსაც დიდმარხვის პერიოდში წინამძღვარი ნიშნავდა. მას ევალეობდა, ღვთისმსახურებისას ეკლესია შემოევლო და თუ ვინმეს ჩაძინებულს ნახავდა, ფრთხილად გაეღვიძებინა: „ესევეითარი ესე მალვიძებელი ყოველსა წელიწადსა მოლუაწე არს ძმათა ეკლესიად შემოკრებისათჳს“ (ტიპიკონი, 2005: 25).

აუცილებლად ცალკე უნდა აღნიშნოთ ერთი სამსახური: თუ შეიძლება ითქვას, ჳელოსანი-მთაწმიდისტიპიკონში; მსახურნი და შემწენი შიომღვიმისა და „მსახურნი,... რომელნი ყოველსავე ტრაპეზისა და სამზარეულოსა და სახაბაზოდსა სამსახურსა აღასრულებდნენ” ვაჰანში⁵. კონტექსტიდან გამომდინარე, ესენი უნდა ყოფილიყვნენ სასულიერო პირები, რომლებსაც საჭმლის მომზადება, ტრაპეზის დაგება და მომსახურება ევალეობდათ. შეიძლება ეს მათი მორჩილება ყოფილიყო. შდრ.: პეტრიწონის ტიპიკონი: „ყველაფერი სრულიად ნათლად დავდეთ და ვთქვიით მომსახურებულთა და მომსახურებელთა მიხედვით-როგორც იმათ შესახებ, რომლებიც პურის ჳამად სხედან, ისე იმათ შესახებ, რომელნიც მათ თავზე დგომით ემსახურებიან, აგრეთვე ზედადამეღმელთა და მსახურთა კეთილწესიერებისა და სიმტკიცის შესახებ”; იგივეა ქართულ ტექსტშიც⁷.

¹ გეორგიკა, გრიგოლ ბაკურიანის-ძის ტიპიკონი (პეტრიწონის წესდება). გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963: გვ. 57, 9.

² შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია. თბილისი, 1986: გვ. 76, 10.

³ თ. ჟორდანი, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და “ძეგლი” ვაჰანის ქვაბთა, ტფ. 1896: გვ. 35-36.

⁴ ძეგლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჭიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჳანკიევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1967. გვ. 84, 37.

⁵ თ. ჟორდანი, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და “ძეგლი” ვაჰანის ქვაბთა, ტფ. 1896: გვ. 32.

⁶ გეორგიკა, გრიგოლ ბაკურიანის-ძის ტიპიკონი (პეტრიწონის წესდება). გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963: გვ. 8, 65.

⁷ ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია. თბილისი, 1986: გვ. 78, 8, 1.

ჩვენ შეძლებისდაგვარად მიმოვიხილეთ ძირითადი საქმიანობა, რასაც მონასტრის ბერები ეწოდნენ, მათი უფლება-მოვალეობანი და ტერმინები, რომლითაც ეს მოვალეობები იყო განსაზღვრულ-განაწილებული და მონასტრის ტიპიკონშია ასახული. მათში კარგად ჩანს, რომ მოუკლებელი ლოცვა, ღვთისმსახურება და სათნოებათა კიბეზე ზედსვლა თითოეული ბერის უმთავრესი მოვალეობა იყო და მონასტრის ხელისუფალნი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ეს სვლა არ შეფერხებულიყო. გარდა ამისა, საყურადღებოა ტიპიკონში მოთხრობილი მონასტრული ყოფა-ცხოვრების, ადამიანური სისუსტის გამოვლენის დეტალები, მონასტრების აშენების ამბავი, ქართველ საერო და სასულიერო პირთა ბიოგრაფიისა და ისტორიისათვის მნიშვნელოვანი მრავალი სხვა საკითხი.

Salome Zviadadze
Samtskhe-Javakheti State University
THE TERMS IN THE TYPICONS
RESUME

Christian churches and monasteries played a very important role in the life of Georgia - they were not only religious but also great cultural and economic centers. Many people that lived under one roof required some organization, it was necessary to take care of their spiritual and material life; For this purpose, a certain text was created, which in Georgian is called a rule, and in Greek, is called Typicon (τυπικόν) - a mandatory rule for everyone to worship, the charter. In addition, these texts contain many noteworthy and important information about how the nuns lived, how they spent their free time from the liturgy; How they worked to earn a living, how they ate, what they wore, how they interacted with one another and with the outside world; Often, far from their native country, how tirelessly they worked for Georgia and so on.

Typicons contain very interesting information on the nature of the economy, terminology, materials of jurisprudence - what was the hierarchy in the monasteries, the names of official positions; List for ecclesiastical, liturgical items (“tools”), precious stones, unites of size and weight, historical events, etc.

One incomplete version of typicon reached us due to Grigol Khantsteli (IX c.). Another incomplete version is in the Ivarta Monastery of Athos, written by Ekvtime Mtatsmindeli (1005-06). Additionally, there are three fully preserved versions. One of them is in Petritsoni (Bulgaria). This version was written by the son of Grigol Bakuriani (the son of Grigol Bakuriani lived in Georgian and Greek, 1084); The second complete version is in the “monument” of Shiomghvime (which was written not later than 1125); and the third version is in Vahan Boiler Monastery (1212-1227- T. Jordania; 1125-30 - I. Talakhadze). The typicons contain very important and interesting information.

ყანჩეთის (კაბენის) მონასტრის ერთი ხელნაწერის თავგადასავალი

სოფელ ყანჩეთთან (ისტორიულ შიდა ქართლში), კაბენის გეტსიმანიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი მდებარეობს. იგი აგებულია IX საუკუნეში, ქსნის ხეობის ქვედა წელზე, ახალგორიდან 7 კმ-ზე. მონასტრის ეკლესიაში ბოლო დრომდე შენარჩუნებული იყო აშოტ კურაპალატის დის და ქართლის გამგებელ ადარნასეს ასულის - ლატავრის ფრესკული წარწერა¹. ვახუშტი ბატონიშვილი, ამ მონასტრის შესახებ წერს: „წირქვალს ზეით, ჩრდილოთ, არს მონასტერი კაბენი, გუმბათიანი, ყანჩეთს, კეთილად ნაშენი, შვენიერს ადგილს და აწ ხუცის სამარ“².

X და XIII სს-ში ტაძარი მნიშვნელოვნად გადაკეთდა და უფრო შთამბეჭდავი გახდა. XIV ს-ში, მონასტერი განაახლა ქსნის ერისთავმა იოანემ ქსნის ერისთავთა მატთანე - „ძეგლი ერისთავთა“ ამის შესახებ შემდეგს გვამცნობს: „(ერისთავი იოანე და მისი კარი)“ „ყანჩეთს მეორედ აღმასშენებელ იქნეს, ტაძარსა დედისა ღმრთისასა“³

მონასტერში არაერთი ხელნაწერი შეიქმნა ან გადაიწერა. დღემდე მოაღწია იქ გადაწერილმა სახარებამ (H1453) და ჟამნ-გულანმა (H1452).

XIX ს. 40-იან წლებში, მარი ბროსეს საქართველოში მოგზაურობისას, (1847-1848), მას ყანჩეთის მონასტერში უნახავს კარადა თუ სკივრი, რომელიც სავსე იყო ხელნაწერი პერგამენტების ნარჩენებით, რომლებიც დაზიანებული იყო სინესტით და შეჭმული იყო ჭიებისაგან⁴. ექვთიმე თაყაიშვილი XX ს. დასაწყისში ეწვია მონასტერს და აღნიშნა, რომ მის დროს, ბროსეს მიერ ნანახი ხელნაწერებით სავსე სკივრი, სრულიად ცარიელი იყო.⁵

თავის მხრივ, გიორგი ბოჭორიძემ, სოფელი ყანჩეთი და კაბენის მონასტერი 1923-1924 წწ. მოინახულა. იგი აღნიშნავს, რომ მონასტერში ხელნაწერები საერთოდ აღარ იყო „გარდა ორი ძლიერ დაზიანებული დაგლეჯილ - დაზიანებული და თავგებისაგან შეჭმული პატარა ტანის საეკლესიო ხელნაწერისა (წირქოლისა და ყანჩეთის ეკლესიებიდან)“. მცირედ შემორჩენილი სხვა საეკლესიო ნივთები, მან აღწერა, მაგრამ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ცაკმა მათი წაღების უფლება არ მისცა⁶.

1898 წელს, ქართლში მოგზაურობისას, მონასტერს ეწვია ცნობილი საეკლესიო მკვლევარი და განმანათლებელი მიხეილ (გობრონ) საბინინი. მას კაბენის (ყანჩეთის) მონასტერში უნახავს მოზრდილი საეკლესიო ხელნაწერი - სვინაქსარი, რომელიც მიხეილმა ს. პეტერბურგში

¹ P. Меписашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида Картли, Тбилиси 1975, с. 25-27

² ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1941, გვ. 68

³ „ძეგლი ერისთავთა“, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. II, თბ. 1965, გვ. 112.

⁴ Brosset M.F. Rapports sur un Voyage Archéologique dans la Georgie et l'Arménie, 3-e livraison (VI rapport) S/Pbg, 1851, p. 72-73

⁵ Е. Такаишвили, Археологические путешествия, розыскания и заметки, Сборник Материалов для описания местностей и племен Кавказа, т. 44, Тифлис 1915, отдел III, с. 114

⁶ გ. ბოჭორიძე, ქართლის ეკლესია - მონასტრები და სიძველეები, გამოსაცემად მოამზადეს ზ. სხირტლაძემ და ნ. ჩიტიშვილმა, ი. გოგობერიშვილის მონაწილეობით, თბ. 2011, გვ. 352

წაიღო და საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკას გადასცა. საბჭოთა დროს, ამ ბიბლიოთეკას „სალტიკოვ - შჩედრინის“ სახელი ეწოდა. დღეს კი - „რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა“ ეწოდება. აღნიშნული სვინაქსარი, დღესაც იქ ინახება.

სვინაქსარი მე პირველად დავათვალიერე 1973 წ., როდესაც სტუდენტობის დროს, პეტერბურგში (ლენინგრადში) გავლით ვიმყოფებოდი. შემდეგ წლებში, ხელნაწერი საფუძვლიანად შევისწავლე, რისთვისაც ბიბლიოთეკას რამდენჯერმე ვეწვიე. ბოლო და უკანასკნელი ჩემი ვიზიტი 2007 წ-ს შედგა.

ის რომ ეს ხელნაწერი მიხეილ საბინინმა წაიღო მონასტრიდან და პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკას გადასცა, დასტურდება სვინაქსარის ბოლოს მოთავსებული, მიხეილის მიერ შესრულებული მინაწერიდან: „ეს წმიდა სვინაქსარი მოვიპოვე ქართლს ყან(ჩ)აველს (ხაზი ჩვე-ნია. ვ.კ.) ჩყუწ (1898 ვ.კ.) წელსა“¹

სვინაქსარი ნაწერია დიდი ზომის (32×23) პერგამენტზე. თავი და ბოლო აკლია. ბევრგან დაზიანებულია. მას არ ახლავს რაიმე მინიატურა. მხოლოდ ზოგიერთი საზედაო ასო, მოკრძალებულად არის გაფორმებული. სამწუხაროდ, 2007 წელს ხელნაწერი ჩასვეს ხელოვნურ (არა ტყავის) ყდაში, რამაც სვინაქსარის ფურცლებზე უარყოფითად იმოქმედა და მნიშვნელოვნად დააზიანა მინაწერები, რომლებიც მანამდეც ძნელად იკითხებოდა. დღეისთვის, სვინაქსარი 181 ფურცლისაგან შესდგება. ის გადაუწერია ვინმე ბერ ბასილის. ამას ვიგებთ, თითქმის ყოველი თავის დასასრულს, ტექსტშივე მოთავსებული ჩანაწერიდან: „მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღვთისმობლისა და ყოველთა წმიდათა შენთადათა, უფალო ღმერთო, ბერსა ბასილის შეუნდვენ, ამინ“ (ქარაგმების გახსნა ჩვენია; აღნიშნული ხელნაწერი, ფურცელი: 15, 27 და ა.შ.).

ხელნაწერი, კატალოგის მიხედვით, XIII-XIV სს-შია გადაწერილი. ეს დათარიღება მართებულად მიგვაჩნია. ამას მეტყველებს, როგორც ზოგადად გადაწერის ხელი, ასევე ერთი დათარიღებული ალაპი (1422). ეს თარიღი, მოწმობს, რომ სვინაქსარი XV ს. დასაწყისამდეა გადაწერილი. თარიღი მიწერილია ფურცელ 27-ზე არსებულ ალაპის (სულის მოსახსენიებელი ჩანაწერის), ზემოთ, მარჯვნივ („ქკნი იყო -რი“ (110). ამგვარად, 532 წლიანი ქორონიკონის ამ ეპოქის საბაზისო 1312 წელს, ვუმატებთ 110-ს და ვიღებთ - 1422 წელს. აღსანიშნავია, რომ ეს ალაპი და თარიღი ჩვენ გამოვაქვეყნეთ 1982 წელს, აღნიშნული ხელნაწერის მიმოხილვისას (იხ. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, თბ. 1982). როგორც მოგვიანებით (1986 წ.) აღმოჩნდა, ეს თარიღი ამოკითხული ჰქონია ცნობილ მეცნიერს - ქრისტინე შარაშიძეს, თუმცა მისი მოკლე შენიშვნები ამ ხელნაწერის შესახებ, გამოქვეყნებული არ იყო და მის პირად არქივში ინახებოდა. ქრ. შარაშიძის მიერ 1422 წლის, ამოკითხვა - ზუსტად ემთხვევა ჩვენს წაკითხვას. იგი წერდა: „ამ ტექსტის (ერისთავ ქვენიფნეველის სულის მოსახსენიებელი ალაპის, ვ.კ.) მარჯვენა ნაპირზე აწერია: ქკნი იყო რი; თუ ჩვენი წაკითხვა სწორია: 110+1312=1422“-ს.“²

განვიხილოთ ეს ალაპი და შევაფასოთ მისი მნიშვნელობა:

„[თთუესა ნოენბერსა 8] ამას დღესა, ალაპი არის ერისთავისა ქვენიფნეველისა, ორისა მღვდელმონაზონი[სა და] სამისა მღუდლისა წირვითა და პანაშვიდთა და ვინ(ცა) ყანჩაეთს მყოფ-მან დააკლოს, მისთამცა ცოდვათათჳს განიკითხიან წინაშე ღმრთისა, დღესა მას სასუ-ფევ[ლისასა.] დიდი ...ა ამოუკუწთა და ღმოილო ქრთამად [ო]რმოცდა[ათი] [ათასი?].“³

მოტანილი ალაპის მიხედვით, იმის გარკვევა ხერხდება, რომ XV ს. დასაწყისში, ქსნის ერისთავ ქვენიფნეველს (აქ „ქვენიფნეველი“ სახელია და არა გვაროვნების აღმნიშვნელი), კაბენის (ყანჩაეთის) მონასტრისათვის რაღაც მძიმე გადასახადი ამოუკვეთია (ხარაჯა?, რადგან

¹ რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა (პეტერბურგი), ხელნაწერთა განყოფილება, ფონდი Ррy3. НОВ.22, ფ. 95 უკანა მხარე (verso).

² ქრ. შარაშიძის არქივიდან, მოსკოვ - ლენინგრადის მივლინების ანგარიში (1955), კრებული, „მრავალთავი“ (ფილოლოგიურ - ისტორიული ძიებანი), XIII, თბ. 1986, გვ. 122-127

³ რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა (პეტერბურგი), ფონდი Ррy3. НОВ. 22, ფურცელი 27, ალაპი ჩაწერილია მკრთალი ყავისფერი მელნით. აღდგენა ფრჩხილებში ჩვენია.

აღაპში, ამ ადგილას, მხოლოდ სიტყვის ბოლოს, გრაფემა „ა“ განირჩევა) და მონასტრისთვის შეუწირავს „ქრთამად“ (ძღვნად) 50 (ათასი?) თეთრი თუ სხვა ფულადი ერთეული. (აქვე განვ-მარტავთ, რომ იმ პერიოდში, „ქრთამს“ არა ჰქონდა უარყოფითი მნიშვნელობა და ის ძღვენის პარალელურად იხმარებოდა).

ამ დათარიღებულ ალაპში მოხსენიებული „ქვენიფნეველი“ XV საუკუნის დასაწყისის მოღვაწეა და ამგვარად ის არის, ერისთავ ვირშელ III-ის ძე „ძეგლი ერისთავთა“, მის შესახებ მხოლოდ შემდეგ ცნობას გვაწვდის: „მეცა მას (ე.ი. ერისთავ ვირშელს, ვ.კ.) ყრმაჲ წული და განიხარეს (ვირშელმა და მისმა მეუღლემ ვ.კ.) სიხარულითა დიდითა, რამე თუ შემდგომად ესოდენტა ბოროტთა, ესრეთ წყალობით მოხედვა-ყო ღმერთმან; და ნათელ-სცა მას (ყრმას, ვ.კ.) წმიდამან ღვდელმთავარმან ქართლისამან (ანუ ქართლის კათალიკოსმან, ვ.კ.) და უწოდეს (ყრმას, ვ.კ.) „ქუენიფნეველი“¹. როგორც მკვლევარები: შოთა მესხია და საურმაგ კაკაბაძე აღნიშნავენ: ვირშელ მესამე, თემურ ლენგის ქსნის ხეობაში ლაშქრობის მომსწრე იყო. (ამას უნდა ნიშნავდეს „ქრონიკის“ სიტყვები: „შემდგომად ესოდენტა ბოროტთა,“ - ვ.კ.): „მაგრამ, თუ რამდენ ხანს გაგრძელდა ამის შემდეგ კიდევ მისი (ვირშელის, ვ.კ.) ერისთავობა, ჩვენს განკარგულებაში მყოფი მასალებით, უცნობია“². ეს თარიღი, მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ მკვლევართა დასკვნით, ვირშელ III-ის ერისთავობის ბოლო პერიოდში (ავგაროზ, უფრო კი გრიგოლ ბანდაისძის მიერ შეიქმნა ქსნის ერისთავთა ქრონიკა „ძეგლი ერისთავთა“.) ორივე მკვლევარი ცდილობს რაიმე გზით დაადგინოს ვირშელის და მისი ძის ქვენიფნეველის ერისთავობის ხანგრძლივობა. ორივეს მოსაზრება, აშკარად ჰიპოთეტური და არასაფუძვლიანია. მაგალითად, შ. მესხია წერს: „თუ ვივარაუდებთ, რომ ქვენიფნეველიც (ვირშელ III-ის ძე ვ.კ.) დაახლოებით იმდენ ხანს იყო ერისთავად, რამდენსაც მისი ძე შალვა (1446 წ.-დაახლოებით 1470-მდე ვ.კ.) ქვენიფნეველის ერისთავობა XV ს. 20-იანი წლებიდან-1446 წ-მდე მოვიდოდა“³. როგორც ვხედავთ, მკვლევარის გამოთვლა ძალიან პირობითია, თუმცა სინამდვილისგან შორს არ არის: ასევე, სრულიად არადაძაჯერებელია, ამ საკითხზე საურმაგ კაკაბაძის მსჯელობა. საურმაგ კაკაბაძე წერს: „ვირშელის დაბადების თარიღი, - „ძეგლი ერისთავთას“ ერთი მინაწერის მიხედვით, 1376 წელია“. ამასთანავე, ს. კაკაბაძე წერს, რომ „ძეგლი ერისთავთას“ (ერთ ხელნაწერს) ერთვის ერისთავ ვირშელის პორტრეტი. საურმაგ კაკაბაძის აზრით, ამ პორტრეტზე ვირშელი გამოსახულია 30 ან 35 წლისა. რადგან „ძეგლი ერისთავთა“ ვირშელის ერისთავობისას არის შედგენილი, 1376 წ. (მისი დაბადების წელს) უნდა მივუმატოთ 30-35 წელი და მივიღებთ 1405-1411 წელს ე.ი. „ძეგლი ერისთავთა“ ამ წლებში შექმნილად უნდა მივიჩნიოთ, ასკვნის ს. კაკაბაძე.⁴ როგორც ვხედავთ, ეს მსჯელობაც ჰიპოთეტურია. ჩვენს მიერ განხილული ალაპი, დოკუმენტურ საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ 1422 წელს ვირშელ III აღარ არის ცოცხალი და ის შვილმა, ქუენიფნეველმა შეცვალა.

სვინაქსარში არის კიდევ ერთი, წვრილი ნუსხურით შესრულებული ალაპი, რომელშიც ასევე „ერისთავი ქუენიფნეველი“ იხსენიება; მაგრამ ეს შავი მელნით და წვრილი ნუსხურით ჩაწერილი ალაპი, XVI – XVII სს. უნდა განეკუთვნებოდეს. ამ შემთხვევაში, აქ უნდა იგულისხმებოდეს ერისთავი ქუენიფნეველი IV. (ცოცხალია 1607 წელსაც. მას ჰყავდა ძმა ლარგველი და ძენი: ერასტი და ლარგველი).⁵

აი, ეს ალაპი: „ერისთავმან ქუენიფნეველმან დავითი შემოსწირა. ყოვლად წმიდაო ღუთის-მშობელო! მფარველ ექმენ ორთავე შინა ცხოვრებათა: ამას და საუკუნესა, ქუენიფნეველსა,

¹ „ძეგლი ერისთავთა“, ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II თბ. 1965, გვ. 116.

² „ძეგლი ერისთავთა“, შ. მესხიას გამოცემა, კრებული: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ. 1954, გვ. 318-321.

³ „ძეგლი ერისთავთა“, დასახელებული გამოცემა (1954), გვ. 315.

⁴ «Памятник Эриставов», перевод, исследование и примечания С.С. Какабадзе, ТБ. 1979 с.12-13.

⁵ თ. ჟორდანი, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ქრონოლოგიურად დაწყობილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტომი 2, ტფილისი 1892, გვ. 26-28 (გენეალოგიური ტაბულა).

ძეთა და ძმათა მისთა“.¹ როგორც აღაპიდან ჩანს, ერისთავ ქვენიფნეველს მონასტრისათვის „და-
ვითი“ ანუ „დავითნი“ იგივე ფსალმუნთა წიგნი, (რომელიც ძველი აღთქმის ლეგენდარულმა
მეფე დავითმა შეადგინა) შეუწირავს.

კიდევ ერთი აღაპი, სვინაქსარის ფურცელ 17-ის მარცხენა აშიაზეა განთავსებული. იგი
გიორგი ცისკარიძეს ეკუთვნის, მაგრამ ისეა ფერგადასული, რომ რაიმეს ამოკითხვა შეუძლე-
ბელია. აქვე მოთავსებულია ვინმე ბერი ანდრია სამთავნელის შესანდობარი მინაწერი (ალბათ
XVII საუკუნისა).

სვინაქსარი შეიცავს ექვთიმე ათონელის სვინაქსარულ ვერსიას (ფ. 162-166). ამის
შესახებ, ჩვენ აღვნიშნავდით 1982 წლის პუბლიკაციაში. ეს ფაქტი, აღუნიშნავს თავის ჩანაწე-
რებში ქრისტინე შარაშიძესაც.² ქრ. შარაშიძე, სხვათაშორის აღნიშნავს, რომ მან ამ სვინაქ-
სარში ორი დათარიღებული აღაპი დააფიქსირა, მაგრამ ზევით აღწერილი აღაპის გარდა (1422
წ.), ჩვენ არ გვინახავს სხვა თარიღიანი არცერთი მინაწერი.

განსახილველი დაგვრჩა მხოლოდ ერთი, 12 სტრიქონიანი მხედრულად მინაწერი საბუთი.
მის შესახებ, ქრ. შარაშიძე მოკლედ აღნიშნავს, რომ ეს საბუთი არის XV-ს, ჩინებული
მხედრულით შესრულებული და რომ ის ეკუთვნის სეფედავლე რატიშვილს, შემდეგ, ქრ. შარა-
შიძე, მხოლოდ ორიოდ წინადადებით გადმოსცემს მის შინაარსს.³

ეს საბუთი ჩვენც მოვიხსენიეთ 1982 წლის პუბლიკაციაში, თუმცა ის XVI–XVII ს-
ნისად მივიჩნიეთ. ვფიქრობთ, უფრო მისაღებია ქ-ნ ქრისტინეს დათარიღება. ჩვენც ვიზიარებთ
მას. სრულად მოგვაქვს ეს მხედრულად ნაწერი საბუთი, რომლის (ძირითადი) სტრიქონები,
შავი მელნით არის გადაშლილი (ალბათ, მონასტრის კრებულმა საგანგებოდ გადაშალა ისინი,
რადგან საბუთში აღნიშნული პირობის შესრულება ვერ შეძლო) .აღსანიშნავია, რომ შავი
მელნის ქვეშ ტექსტის ამოკითხვა მეტ-ნაკლები სისრულით მაინც შესაძლებელია. პირველად,
მთლიანად მოგვაქვს მხედრულად ნაწერი საბუთი: [ფ. 110].

1. ვიყიდე მე, სეფედავლე, ვენახი, კასბურისა ძამრისაგან, ჩემითა ალალითა
2. საქონლითა, მოუსარჩლელი ყოვლისა კაცისაგან; მოგეც თქუენ
3. ვაშბას ძეთა და კასბურთა კრებულთა, საერთოდ ასრე და ამა პირსა ზედა, რომე
4. [ა]ლაპსა გარდაიხდიდეთ, ორმოცობასა დღესა, რატიშვილისა სეფედავლეს
5. [ა]სულისა; რაცა მღვდელნი ვიყუნეთ, წირვასა არა დავაკლებდეთ და თუ მღვდელი
6. [აქა] (?) არა დაუხუდეს, მას დღესა, მისად სანაცვლოდ სხუა დღე წიროს.
- [ფ.111] 7. და მას წილი ნუ დააკლდების; ვინცა თქუენ კრებულთა არა გერჩივნოს,
8. ნურავინ დაგვიხუდების, ნურცა ბატონი, ნურცა ყმა, ვინცა შეგიცვა-
9. ლოს ჩემგან სეფედავლესაგან, თქუენ კრებულთათუის მოცემული ვენახი
10. რაცა ამა წმიდასა სვინაქსარშიგან წმიდანი სწერიან რისხვავსამცა და თუ
11. ჩუენ კრებულთა წირვა და აღაპი დავაკლოთ, კრებულ- თამცა რისხავს
12. ამასშიგან აღწერილნი წმინდანი; ამისი მოწმენი არიან: მღვდელი სალუყაძენი
13. და ... ვიშნია, კასბური, ნაობ და ვაშბას ძე შიო“.

ამგვარად, საქმე გვაქვს აღაპის განწესებასთან დაკავშირებულ გარიგებასთან. სეფედავლე
რატიშვილი თავის ნაყიდ, მოუდავებელ ვენახს „ვაშბას ძეთა“ და „კასბურთა“ გადასცემს (ეს
გვარები, ჩანს ადგილობრივ სახლობდნენ. ერთ-ერთ შემორჩენილ საბუთში XV ს.) რომელშიც,
ასევე კაბენის მონასტრისათვის მიცემულ ვენახზეა საუბარი, იხსენიება „კ(ა)სბურ(ა)სძე

¹ რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა, ფონდი РР3. НОВ. 22, ფ. 65 (ვერსო) აგრეთვე ვ. კიკნაძე, ყანჩაეთის
სვინაქსარი და მისი მნიშვნელობა „ძველი ერისთავთა“-ს დათარიღებისათვის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდი-
ები, თბ. 1982. გვ. 53.

² ქრ. შარაშიძე, დასახელებული პუბლიკაცია, გვ. 125.

³ ქრ. შარაშიძე, დასახელებული პუბლიკაცია (1986), გვ. 126.

ნონათამ“.)¹ იმ პირობით, რომ ისინი, მონასტრის კრებულთან შეთანხმებით, უზრუნველყოფდნენ სეფედავლეს გარდაცვლილი ქალიშვილის ალაპის მუდმივ აღსრულებას.

ასეთია, ამ ძვირფასი სვინაქსარის თავგადასავალი, რომელიც ძირძველ ქართულ მიწაზე, ისტორიულ ყანჩაეთის მონასტერში შეიქმნა. დღეს, ეს მონასტერი და სოფელი რუსული ოკუპაციის ზონაშია და რა ხდება მიტოვებული და გაპარტახებულ კაბენის მონასტერში, არავინ იცის...

Vazha Kiknadze

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnology

**THE “ADVENTURE” OF ONE MANUSCRIPT FROM KABENI MONASTERY
(VILLAGE KANCHAETI)
RESUME**

The Monastery of Kabeni is situated near village Kanchaeti in historical region of Shida (Inner) Kartli (Nowadays S.C. South Ossetia, occupied by Russian Federation).

The Monastery was established in the 9th Century by Eristav (governor) of Kartli. It had been renovated in 10th, 13th and 14th centuries.

Kabeni was the center where the ecclesiastical manuscripts had been rewritten or created during the centuries.

Today only two manuscripts are remaining from this monastery.

The monastery has been visited by multiple travelers and scientists. Among them: Marie F. Brosset, Ekvtime Takaishvili, Giorgi Bochoridze and others.

In 1898 year the neglected monastery was visited by enlightener and historian Mikhail (Gobron) Sabinin (1845-1900). He took one manuscript (Synaxsaron) from Kabeni Monastery and donated it to Imperial Library in St. Petersburg, (currently National Library of Russia.)

In the article, we analyzed the manuscript, dated it and we concluded that the additional inscriptions on the manuscripts pages (Now synaxsaron consists from 181 pages) contains the valuable information about the history of this region and Georgia.

¹ პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI – XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, ტ. II, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძემ. თბ. 1993, გვ. 485.

ევროპელი ავტორები სამეგრელოს შესახებ (ბარონი დე ბაი) – III

ცნობილი ფრანგი მეცნიერი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე ამურ ოგიუსტ ლუი ჟოზეფ ბერტელო, ბარონი დე ბაი XIX ს-ის 90-იანი წლებიდან დაინტერესებული იყო რუსეთის იმპერიის სხვადასხვა მხარის ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული შესწავლით. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობდა კავკასიას, კერძოდ, საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესწავლას. საქართველოში სამეცნიერო მივლინების ანგარიშები დე ბაის მიერ მოხსენების სახით იკითხებოდა პარიზის გეოგრაფიულ საზოგადოებაში, ხოლო შემდეგ ამ მივლინების შედეგები გამოიცემოდა ცალკე წიგნებად.

საქართველოში ბარონ დე ბაის მოგზაურობით და მის მიერ გამოცემული ნაშრომებით პირველად ცნობილი მწერალი, მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია დაინტერესდა, რომელმაც შემოკლებული სახით თარგმნა და 1902 წელს გამოსცა კიდევ მისი ერთ-ერთი ნაშრომი „იმერეთში“¹.

დე ბაის მეცნიერულ შესწავლას თვალსაჩინო ამაგი დასდო ლეილა მალრაძემ². 2011 წელს გამოცემილი „არტანუჯმა“ ცალკე წიგნად გამოსცა ლეილა მალრაძის მიერ ფრანგულიდან ქართულ ენაზე თარგმნილი ბარონ დე ბაის „საქართველოში“, შესავლითა და კომენტარებით.

საფრანგეთის სახალხო განათლების სამინისტროს მიერ კავკასიაში ისტორიულ-არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების მიზნით წარმოგზავნილი დე ბაი, ლ. მალრაძის თქმით, საქართველოში პირველად 1897 წლის ოქტომბერში ჩამოვიდა. მკვლევარი იმოწმებს გაზეთ „ივერიის“ 1901 წლის N166-ს, რომელიც დე ბაის საქართველოში მოგზაურობას ასე გამოეხმაურა: „იმთავითვე ფრანგებსა ზედათ წილად ჩვენი ქვეყანა და ჩვენი წარსული გაეცნოთ ევროპისათვის და დღესაც უმეტეს წილად იგივე ფრანგები მოდიან საქართველოს შესასწავლად და გამოსაკვლევად. უკანასკნელი ხანის მოგზაურთა შორის საპატიო ადგილი ღირსეულად უჭირავს ბარონ დე ბაის, რომელსაც მინდობილი აქვს საერთოდ კავკასიის და კერძოდ, საქართველოს ძველის თუ ახლის ხელოვნების ნიმუშების შეკრება და შესწავლა“³.

საქართველოში სამეცნიერო მისიით ჩამოსული დე ბაი სწვევია დარიალის ხეობას, მცხეთას, თბილისს, კახეთს, იმერეთს, გურიასა და ბათუმს. უნახავს და შეუსწავლია ისტორიული ძეგლები, შეუგროვებია დიდძალი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა, გადაუღია ფოტოსურათებიც, რომელთაგან ზოგიერთი ფოტოდოკუმენტური მასალა იმდენად უნიკალურია, რომ მნიშვნელობას ინარჩუნებს.⁴

1902 წელს გამოიცა ჟოზეფ დე ბაის წიგნი „იმერეთში“. წიგნის გამოქვეყნებამდე, 18 აპრილს, ქ. რეიმსის ნაციონალური აკადემიის დარბაზში მას წაუკითხავს მოხსენება იმერეთის ისტორიისა და კულტურის შესახებ, რასაც მსმენელი საზოგადოების დიდი ინტერესი გამოუწვევია⁵. „დე ბაის ნაშრომი „იმერეთში“ მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში მოტანილია ენათმეცნიერული, ეთნოგრაფიული, ის-

¹ იხ. სახოკია თ., იმერეთი ბარონ დე ბაის მოგზაურობიდან. ტფ., 1902.

² იხ. მალრაძე ლ., ფრანგულ-ქართული კულტურული ურთიერთობა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში (სადისერტაციო ნაშრომი), 1980; მისივე, ფრანგულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან; ბარონ დე ბაის პირველი მოგზაურობა საქართველოში. კრ. „მეგობრობა“, თბ., 1981, 154-175; მისივე, ფრანგი მეცნიერ-არქეოლოგი თბილისის შესახებ. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, ტ. VI, თბ., 1984, 57-75; მისივე, ბარონ დე ბაის ნაშრომი „იმერეთში“. რეპრინტი. თბ., 1990.

³ იხ. მალრაძე ლ., შესავალი წიგნისა: ბარონი დე ბაი, საქართველოში, თბ., 2011, 11-12.

⁴ იქვე, 12.

⁵ იქვე, 16.

ტორიულ-გეოგრაფიული, ფოლკლორული და სხვა ფაქტობრივი ხასიათის მასალა, გაკეთებულია მისი მეცნიერული გაანალიზების საინტერესო ცდა, თან ერთვის ფოტოილუსტრაციები... ევროპელ მკითხველს იმერეთს აცნობს, შეიძლება ითქვას, აკაკის პოეზიის თანხლებით და, ამდენად, აძლიერებს საქართველოს ისტორიისა და მისი მატერიალური კულტურის ძეგლების აღქმას”.¹

ქართველების უაღრესად კეთილმოსურნე ფრანგი მეცნიერის ნაშრომები საქართველოს ცალკეულ მხარეებსა და ქალაქებზე მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს წარმოადგენს. დე ბაის სურვილი იყო, რომ საქართველოს ისტორიასა და კულტურას, ქართველი ხალხის ტრადიციულ ყოფას, ადათ-წესებს და სხვადასხვა სახის თვისებებს გაცნობოდნენ ევროპელები და დაინტერესებულყვნენ კავკასიის ამ ულამაზესი ქვეყნის წარსულითა და აწმყოთი. მართალია, მის წიგნებში მოტანილი ზოგიერთი ფაქტობრივი ხასიათის მასალა, ცალკეული მოსაზრებები უზუსტობებს შეიცავს და დაუსაბუთებელია, მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს ლეილა მალრადე, აღნიშნული გარემოება მეცნიერების განვითარების მაშინდელი დონით და საისტორიო მეცნიერების გარშემო ფრანგულ ენაზე ლიტერატურის ნაკლოვანებით უნდა აიხსნას.²

ამჯერად ჩვენი დაინტერესება გამოიწვია ბარონ ჟოზეფ დე ბაის ცნობებმა სამეგრელოს შესახებ, რაც მოცემულია ფრანგი მეცნიერის იმერეთში მივლინების ანგარიშში. ამ ეთნოგრაფიულ მივლინებაზე მას მოხსენება წაუკითხავს ალპურ კლუბში, 1902 წლის 21 აპრილს. მივლინების მფარველები ყოფილან შინაგან საქმეთა მინისტრი საპიაგინი და კავშირგაბმულობის მინისტრი, თავადი ხალკოვი.

იმერეთზე მსჯელობას დე ბაი დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერით იწყებს და შენიშნავს, რომ ქუთაისის გუბერნია მოიცავს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას. ლიხის მთებით ორად გაყოფილი საქართველოს დასავლეთ მხარეს ქმნის სვანეთის, იმერეთის, ჭანეთის, რაჭის, აჭარის, გურიის, ლეჩხუმისა და სამეგრელოს/ეგრისის პროვინციები. მოგზაურის თქმით, „მეგრელი ქართულად ეგრისის მცხოვრებს ნიშნავს”.³ იქვე დასძენს, რომ მის მიერ ჩამოთვლილ საქართველოს მხარეებში სალაპარაკო ენას ქართული წარმოადგენს. დასავლეთ საქართველოს მხარეებში - სვანეთში, სამეგრელოსა (რომელსაც ოდიშსაც უწოდებენ) და ჭანეთში ქართულ ენას დიალექტის ხასიათი მიუღია.

სამეგრელოსა და ჭანეთში მცხოვრებნი ჭანურ ან ლაზურ ეთნოგრაფიულ ერთეულს შეადგენენ და იყენებენ ერთი და იმავე ლაზურ დიალექტს. საინტერესოა დე ბაის დაკვირვება ერთ ენაზე მოლაპარაკე ორი მხარის მცხოვრებთა - მეგრელებისა და ლაზების სარწმუნოებრივ განსხვავებულობაზე. ლაზები გამაჰმადიანდნენ, ხოლო მეგრელები ბერძნული ეკლესიის ქრისტიანული რწმენის მიმდევრები არიან.

რა შეიძლება ითქვას ბარონ დე ბაის ლინგვისტურ მსჯელობაზე სვანურისა და ჭანურ/ლაზურ-მეგრეულის შესახებ? ენობრივ-ეთნიკური თვალსაზრისით ლაზ-მეგრელები ერთ ეთნოგრაფიულ ჯგუფს შეადგენენ. ლაზები სამხრეთკავკასიურ, შესაბამისად, ქართველურ ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ყველაზე პრობლემურნი არიან, იმ გაგებით, რომ სადემარკაციო ხაზი მათსა და ქართველებს შორის საუკუნეების წინ ღრმად იყო გავლებული. მეგრელები, მართალია, საუბრობენ მეგრულად, ამასთანავე, ისინი მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან და მათზე აშკარად იგრძნობა ქართული ენის მძლავრი გავლენა. მეგრელებისგან განსხვავებით ლაზებში ორივე ელემენტი მკვეთრად გამოიხსნება: არ საუბრობენ ქართულ ენაზე და არიან მაჰმადიანები. ამასთანავე, ისტორიულმა ბელუკულმართობამ განაპირობა მათი ქართველებისგან იზოლირებულად ცხოვრება საქართველოს საზღვრებს გარეთ, თურქეთის ტერიტორიაზე (სსრკ-თურქეთის სასაზღვრო ხელშეკრულების თანახმად ამ ორ ქვეყანას შორის საზღვარი გადიოდა ისე, რომ ლაზისტანი/ლაზეთი ერთადერთი სოფლის - სარფის აღმოსავლეთი ნაწილის გარდა, მთლიანად თურქეთის შემადგენლობაში რჩებოდა). ამდენად, ლაზების უდიდესი ნაწილი, სხვა ქართველური ჯგუფებისგან განსხვავებით, საქართველოში აღარ ცხოვრობდა.⁴

¹ იქვე, 17.

² იქვე, 14.

³ იქვე, 84.

⁴ მსჯელობისათვის იხ. კეკელია ი., პაატა ცხადაია - ქართველური ონომასტიკის მოჭირნახული, ქუთ., 2017, 178.

საქართველო, ე. ი. ქართველთა სამფლობელო, დე ბაის თქმით, სხვადასხვა პროვინციების (იმერეთი, გურია, სამეგრელო, ქართლი, კახეთი...) გამაერთიანებელი სახელწოდებაა და გამომდინარეობს ქართლიდან, რომლის მცხოვრებნი ქართველები არიან.¹ დე ბაის ნაშრომების გაცნობა ცხადყოფს, რომ მათი ავტორი მიზნად ისახავდა რა კავკასიისა და საქართველოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლას, ხშირად იყენებდა მის წინამორბედ, უცხოელ და ქართველ მოგზაურთა და მეცნიერთა გამოკვლევებს საქართველოს შესახებ. ამ გამოკვლევების ღრმა ცოდნა კარგად ჩანს ბარონ დე ბაის საანალიზო ნაშრომიდანაც იმერეთზე. მისთვის ცნობილია, რომ ანტიკურ ხანაში დასავლეთი საქართველო კოლხეთის, ხოლო აღმოსავლეთი საქართველო - იბერიის სახელწოდებით იყო ცნობილი. იგი სანდობას უცხადებს XVIII საუკუნის დიდი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის - ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას, რომელიც დასაბუთებულად აჯგუფებს და გარკვეული თანმიმდევრობით განალაგებს დასავლეთ საქართველოს სამ ისტორიულ სახელწოდებას.²

ვახუშტის „აღწერის“ იმ თავს, სადაც დასავლეთ საქართველოზე მსჯელობაა მოცემული, შემდეგი დასათაურება აქვს: „აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“. სათაური სხვადასხვა ეპოქის ამსახველ სამ ქორონიმს აერთიანებს. ამას გარდა, ვახუშტი ნაშრომში კიდევ აღნიშნავს: „ქუეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამნი: პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი“.³ და მართლაც, ისტორიულად არსებული და წერილობითი წყაროებით დადასტურებული სამი პოლიტიკური ერთეული - ეგრისის, აფხაზეთისა და იმერეთის სამეფოები სახელოვანი მეცნიერის ისტორიულ-გეოგრაფიული ნაშრომის საფუძველს წარმოადგენს.

ეგრისის სამეფო აერთიანებდა არგვეთს, იმერეთს, თაკვერს, გურიას, კლარჯეთს (ძირითადად დღევანდელ ლაზეთს), სვანეთს, დღევანდელ სამეგრელოს და აფხაზეთის ზემო ნაწილს, ანაკოფიის მთამდე.

ეგრის-აფხაზეთის ბიზანტიის ბატონობიდან გათავისუფლება და აფხაზთა სამეფოს შექმნა დაკავშირებულია ლეონ II-ის სახელთან. აღნიშნულ პოლიტიკურ ერთეულს აფხაზთა სამეფო ეწოდა აფხაზეთის სამთავროს წამყვანი როლის გამო. თვით ლეონმა მიიღო აფხაზეთის მეფის ტიტული. ეს აქტი განხორციელდა VIII ს-ის დასასრულს. აფხაზეთის სამეფო მოქცეული იყო ნიკოფსიასა და ჭოროხს შორის და აღმოსავლეთით ლიხის ქედამდე ვრცელდებოდა. მის დედაქალაქს ქუთაისი წარმოადგენდა. აფხაზეთის მეფენი ზოგჯერ ეგრისის მეფეებად იწოდებოდნენ.⁴

იმერეთის სამეფოს წარმოქმნა ერთიანი საქართველოს დაშლის შედეგი იყო. „აღწერის“ ავტორი დასავლეთ საქართველოს რეგიონებს უძღვნის რამდენიმე ქვეთავს: ლეჩხუმისათვის, რაჭისათვის, ოდიშისათვის, აფხაზეთისათვის, სვანეთისათვის, გურიისათვის და სხვ. მრ.

თუკი **ეგრისი** ადრე (მსგავსად აფხაზეთისა, იმერეთისა) გაიგივებული იყო მთლიანად დასავლეთ საქართველოსთან, XIII-XV საუკუნეებში უკვე ვიწრო მნიშვნელობით აღნიშნავდა მეგრელთა ეთნოგრაფიული ჯგუფით დასახლებულ მხარეს, რაც ანაკოფიისწყალსა (ახლანდ. მდ. ფსირცხა) და ცხენისწყალს შორის იყო მოქცეული. თანამედროვე სამეგრელოს ძირითადი ნაწილი შუა საუკუნეებში **ოდიშის** სახელწოდებით იყო ცნობილი. ზოგიერთი მკვლევრის აზრით კი ოდიში სამეგრელოს სამთავროს პარალელური სახელწოდებაა.⁵

უშუალოდ სამეგრელოში ბარონ დე ბაის მოგზაურობაზე მსჯელობა მოცემულია ნაშრომის სულ რაღაც ერთ გვერდზე. იმერეთიდან წამოსული მეცნიერი პირველად ნოვო-სენაკს (ახალ სენაკს) სწვევია: „ახალსენაკში წავედი სამეგრელოს გასაცნობად კი არა, ვინაიდან ამის დრო აღარ მყოფინდა, მეგ-

¹ იქვე, 84.

² იქვე, 84.

³ **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, 742.

⁴ მსჯელობისათვის იხ. **კეკელია ი.**, სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია. ისტორიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, ქუთ., 2014, 26-27.

⁵ **კეკელია ი.**, დასახლებული ნაშრომი, 27-28.

რელების სანახავად”, - წერს იგი¹. ახალსენაკში დე ბაი ასახელებს 3000 მცხოვრებს და ყველა მეგრელს. ბაზრობის დღეს მას მიეცა შესაძლებლობა, „ნიშანდობლივი და საინტერესო სახეებისათვის” ფოტოსურათები გადაეღო. „ამ თავყრილობებში ქალები ნაკლებად ჩანან, - წერს დე ბაი, - სამაგიეროდ მამაკაცთა რა ლამაზი სახეებია; უძრავლესობა შემოსილია ყაბალახით, რომელიც თანდაყოლილი ხელოვნებითა და გემოვნებით ისე აქვთ თავზე დახურული, რომ მათ ნაკეთებს მოუხდეს. ღარიბ გლეხებს რაღაც ბლუზისმაგვარი აცვიათ; შეძლებული გლეხები და თავადაზნაურობა ჩონჩხს ატარებს”².

მეცნიერის ყურადღება მიუქცევია ხით ნაშენ და გადახურულ მეგრულ საცხოვრებელ სახლებს, რომლებიც ტენიანი ნიადაგიდან რამდენიმე მეტრითაა აწეული და ხიმინჯებზეა შემდგარი. სახლების ხიმინჯებზე შედგომას მიმართავენ იმისთვის, რომ ჰაერმა შეძლოს იატაკის ქვეშ მოძრაობა.³ უეჭველია, აქ დე ბაი გულისხმობს ოდა-სახლებს. ახალსენაკში ადგილობრივი გლეხის კუთვნილი მსგავსი სახლის ფოტოსურათი, გადაღებული მოგზაურის მიერ, თან ერთვის საანალიზო ნაშრომს. საინტერესოა აგრეთვე ისლით გადახურული „კუნა” სახლის ფოტო. სახლის წინ მეგრული ქალ-ვაჟი დგას. სახლი ისლითაა გადახურული.

ჟოზეფ დე ბაი ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ სამეგრელოში საცხოვრებელი სახლისათვის საძირკვლის გათხრისთანავე წყალი დგება. საცხოვრებელი სახლების ფორმას შემდეგი სახით გადმოგვცემს: „ერთსართულიანი სახლები უფრო ფასადის მხარეზეა გაგრძელებული, ვიდრე სიღმეში. ფასადის გასწვრივ გადახურული აივანია. თითოეულ ოჯახს გააჩნია ერთი ან ორი სახლი საკმაოდ დიდ ნაკვეთზე, სადაც განთავსებულია აგრეთვე შენობები პირუტყვის დასაბინავებლად და მოსავლის შესანახად”⁴.

ახალსენაკის შემოგარენს, დე ბაის თქმით, თავადი მხეიძეები ფლობენ. მათ შორის დასახელებულია თავად-აზნაურობის წინამძღოლი ფარნაოზ მხეიძე. „ყველამ თავაზიანად შემომთავაზა მასპინძლობა ქართული წესისამებრ, რაც გულისხმობს სუფრისა და კონცერტების მონაცვლეობას. მართლაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, თითოეულ სადღეგრძელოს მოსდევს სიმღერა; სადღეგრძელოები და სიმღერები დაუსრულებლად გრძელდება”, - აღნიშნავს მეცნიერი.⁵

ბარონ დე ბაის სამოგზაურო ჩანაწერებით მნიშვნელოვნად ივსება ჩვენი წარმოდგენა და საინტერესო წყაროს წარმოადგენს სამეგრელოს შესახებ.

Igor Kekelia

Akaki Tsereteli State University

EUROPEAN AUTHORS ABOUT MEGRELIA

(BARON DE BAYE) - III

RESUME

Baron de Baye, who was a famous French scientist, archeologist and public figure had been interested in studying different parts of the Russian empire since the nineties of the XIX century. He used to study those parts historically, archeologically and ethnographically. He paid special attention to studying the history and culture of Georgia. In the article the analyses the recordings made by Joseph de Baye about Megrelia. These recordings are given in Joseph's analysis of his business trip in Imereti region.

¹ იქვე, 98.

² ბარონი დე ბაი, საქართველოში, 98.

³ იქვე, 98; მეგრული საცხოვრებელი სახლების შესახებ მსჯელობისათვის იხ. ელიავა გ., მხარეთმცოდნის თვალთ, თბ., 1978; მისივე, ეთნოგრაფიული სამეგრელო (ალბომი), ქუთ., 1989.

⁴ იქვე, 98.

⁵ იქვე, 98-99.

**განმარტებისათვის ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრის დაწერილის [1071-1081] ფრაზისა:
„სტავრაჲ ლომიანი ბერძ[ული]. დაუკიდავს“**

„დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა“ თედო ჟორდანიას უპოვია ნიკორწმინდის მონასტერში. მისივე აღწერილობის თანახმად, დოკუმენტი დაკარგული დედნის პირია. წარმოადგენს ეტრატის გრძელ გრაგნილს, რომელიც დაზიანებულია: მოგლეჯილი აქვს თავი და ბოლო, გვერდები კი – შემოცვეთილი. დაწერილია XI საუკუნის ნუსხურით. თ. ჟორდანიამ გრაგნილი XI საუკუნით დაათარიღა და თავადვე გამოაქვეყნა 1897 წელს.¹ მოგვიანებით იგივე დოკუმენტი გამოაქვეყნეს მამისა ბერძნიშვილმა² და ისილორე დოლიძემ.³ გამოქვეყნდა აგრეთვე ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში.⁴

მ. ბერძნიშვილმა „დაწერილის“ მისეულ გამოცემას წარუძღვარა საგანგებო გამოკვლევა, რომლის თანახმადაც, დოკუმენტი შედგენილი უნდა იყოს 1071-1081 წლებს შორის,⁵ რაც სხვა მკვლევრებმაც გაიზიარეს.

„დაწერილში“, ტრადიციისამებრ, ჩამოთვლილია როგორც მონასტრისთვის შეწირული, ასევე მონასტრის მიერ შეძენილი ქონება (ნივთები, მიწები, პირუტყვი და ა.შ.). დოკუმენტის დასაწყისშივე (ამჟამინდელი მდგომარეობით მეორე მუხლში) ყურადღებას იპყრობს ფრაზა: „*ი(ოვან)ე ლიპარიტის [ძემან შემოსწირა] სტავრაჲ ლომიანი ბერძ[ული], დაუკიდავს*“.⁶

გარკვეულია, რომ „დაწერილში“ მოხსენიებული იოვანე ლიპარიტის ძე ბალვაშთა ცნობილი საგვარეულოს წევრია. იგი ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის თანამედროვე იყო. ქართულ საისტორიო წყაროებში ჩნდება 1058 წლიდან, როდესაც ბაგრატ IV-მ, სულა კალმახელისა და სხვათა შემწევობით, შეიპყრო ლიპარიტი და ძე მისი ივანე. ლიპარიტი იძულებით ბერად შეაყენა და ბიზანტიაში წარგზავნა, ივანეს კი, მამის თხოვნით, არგვეთის მამული დაუტოვა.⁷ მემატიანის თანახმად, „*შემდგომად მცირედისა ჟამისა გაიპარა და წარვიდა ივანე საბერძნეთს და დაყვნა მუნ წელნი რაოდენნიმე*“.⁸ მოგვიანებით, ისევ ლიპარიტის თხოვნით, ბაგრატ IV-მ ივანე შეიწყნარა, საქართველოში დააბრუნა და „*უბოძა მამული არგვეთისა და ქართლისა*“. ეს მოხდა 1059 წელს. ივანე ლიპარიტის ძე ერთხანს მეფეს ერთგულად ემსახურა, შემდეგ ისევ დაუპირის-

¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წ. II, ტფ. 1897, 43-50.

² მ. ბერძნიშვილი, ნიკორწმინდის „დაწერილი“, მსკი, ნაკვ. 34, 1962, 25-42.

³ ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ. 1970, 27-34.

⁴ ქართული ისტორიული საბუთები (IX-XIII სს.), შეადგინეს და გამოსაკვლევად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, 39-44 (გამოცემა ეყრდნობა მ. ბერძნიშვილის გამოცემას. ჩვენც ამ გამოცემით ვსარგებლობთ).

⁵ მ. ბერძნიშვილი, ნიკორწმინდის „დაწერილი“, მსკი, ნაკვ. 34, გვ. 27.

⁶ დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა [1071/1080], ქართული ისტორიული საბუთები (IX-XIII სს.), გვ. 39.

⁷ „*გამოიღო თავისი ზუასტავი და ჩაიციუნა ჩოკანი.. შევედრა ძე თუისი მეფესა ივანე, დარჩა არგვეთისა მამული ივანეს*“, მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა) თბ., 1955, 305-306.

⁸ მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, 305.

პირდა,¹ მაგრამ, ვიდრე მელიქ-შაჰი ოჯახიანად დაატყვევებდა (1080 წ.), საქართველოში იმყოფებოდა.

მ. ბერძნიშვილის თანახმად, ნიკორწმინდის მონასტრისადმი ივანეს შეწირულობა მისი არგვეთში მეორედ დაძვევებისას (1060 წლის ახლო ხანებში) უნდა იყოს დაკავშირებული, მაგრამ არა უგვიანეს 1080 წლისა, რადგან საბუთი 1080 წლამდეა შედგენილი. გარდა ამისა, თვით ივანე ლიპარიტის ძეც ამ წლის შემდეგ ისტორიაში აღარ ჩანს.²

ახლა კი საკვლევ საკითხს დავუბრუნდეთ და ვნახოთ, რისი გარკვევა შეიძლება ფრაზით: „*ი(ოვან)ე ლიპარიტის [ძემან შემოსწირა] სტავრაჲ ლომოანი ბერძული]. დაუკიდავს*“.

სულხან-საბას განმარტებით, სტავრა არის სირმის ნაქსოვი.³ ი. აბულაძის ლექსიკონის მიხედვით, – ძვირფასი ქსოვილი, ფარჩა.⁴

ნიკორწმინდის წინმძღვრის „დაწერილში“ „სტავრა“ კიდევ ორჯერ მოიხსენიება: 1. „*და ვიყიდე სამთა ჯუართა იმერთი ყანა ეფრემის ძისაგან და მივეც ლაფარაჲ სტავრისა და მელის ტყავი შივან ამოკერებული*“; 2. „*ვიყიდე ცხილათს გლეხი აბულახტარისაგან ა, და მივეც ცხენი ზუადი ორი, სტავრაჲ კაბაჲ ა, დრაჰკანი კოსტანტინატი ბ, და ავშარაჲ რკინისაჲ ა*“.⁵

მოხმობილი მაგალითებიდან ჩანს, რომ XI საუკუნეში სტავრა ჰქვებია არა მხოლოდ ძვირფას ქსოვილს, არამედ მოსასხამს ან კაბას.

ვინაიდან ეს მოსასხამი ან კაბა „*ბერძული*“; ანუ ბიზანტიური იყო. ამიტომ ორიოდ სიტყვით ბიზანტიური ქსოვილების სახეობებს შევხებით.

ბიზანტიელები ძვირფასი აბრეშუმისა და ოქრომკედით ნაქარვ ქსოვილებს იყენებდნენ იმპერატორთა, დედოფალთა, კარისკაცთა და სეფექალთა სამოსად. ასევე, სასახლეებისა და ეკლესიების მოსართავად. ქსოვილებზე გამოსახული იყო გეომეტრიული ფიგურები, მცენარეული ორნამენტები, ჩიტები, ცხოველები, მათ შორის, ლომები.⁶ ფართოდ გამოიყენებოდა აგრეთვე ტილოსა და შალის ქსოვილები, რომლებიც ეგვიპტიდან შეჰქონდათ.⁷ ამიტომ განსახილველ ფრაზაში მოხსენიებული „*სტავრაჲ ლომოანი ბერძული*“ შეიძლება გაგვეგო როგორც მოსასხამი ან კაბა, რომლის ქსოვილზეც გამოსახული იყო ლომი. მაგრამ, თუ ფრაზას უფრო მეტად ჩავუკვირდებით და, იმავდროულად, ბიზანტიის იმდროინდელ ვითარებასა და გამოწვევებს გავითვალისწინებთ, შეიძლება სულ სხვაგვარი ახსნა მოეძებნოს:

ინტენსიურმა ომებმა სპარსელებთან, არაბებთან, სომხებთან, თურქებთან და ბულგარელებთან, ბიზანტიის იმპერატორები აიძულეს განსაკუთრებული ყურადღებით მოჰკიდებოდნენ აღმო-

¹ ალფ-არსლანის შემოსევების დროს ივანე ლიპარიტის ძე მეფის სამოციქულო მისიას მეთაურობდა. 1069 წელს დაამარცხა განძის ამირა ფადლონი. 1073 წელს კი ისევ მეფის მოწინააღმდეგეთა რიგებში აღმოჩნდა. აუჯანყდა გიორგი II-ს და, კახელების დახმარებით, ქსნისპირა ადგილები დაიჭირა. გიორგი II იძულებული გახდა დაეთმო: ივანე ლიპარიტის ძეს უბოძა სამშვილდე, მის შვილს ლიპარიტს კი – ლოწობანი. 1074 წელს ივანე მეფეს ისევ განუდგა, მაგრამ მაშინ კახელები გიორგი II-ს მიემხრნენ და ივანე იძულებული გახდა, მეფეს დაზავებოდა. ამის შემდეგ ივანემ მეფის მეციხოვნეებს გამოსტაცა ქალაქი გაგი და განძის ამირას, ფადლონს, მიჰყიდა. 1074 წელს ეახლა თურქ-სელჩუკების სულთან მელიქ-შაჰს, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა და ივანე გამოპარულა. 1080 წელს მელიქ-შაჰის ჯარი საქართველოს შემოესია და ივანე ოჯახიანად ტყვედ ჩაიგდო. ამის შემდეგ მისი კვალი აღარ ჩანს, ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, 329-332; ვ. კობალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969, 224, 233, 252, 268-273.

² მ. ბერძნიშვილი, ნიკორწმინდის „დაწერილი“, მსკი, ნაკვ. 34, გვ. 27.

³ სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1993, 110.

⁴ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, 402.

⁵ ქართული ისტორიული საბუთები (IX-XIII სს.), გვ. 42, 12; 43, 40.

⁶ კონსტანტინე პორფიროგენეტის თანახმად, სამეფო კარზე ქსოვილისა და ორნამენტის სახეობა დადგენილი იყო რანგისა და ტიტულის მიხედვით. სტრატორებს (მცველებს) თეთრი ლომის ორნამენტით შემკული სკარამანგები ეცვათ, Κωνσταντίνου Πορφυρογέννητου, De Cerimoniis Aulae Byzantinae, vol. 112, p. 1073 - 1077).

⁷ Charles Devlove, Βυζαντινή τέχνη, Αθήνα, 1994, (468-472).

სავლეთის საზღვრების გამაგრებას. ამ მიზნით, აღმოსავლეთის სასაზღვრო თემებში დაასახლეს პრივილეგირებული მეომრები, რომლებსაც პარტიზანული ბრძოლის გამოცდილება ჰქონდათ. ისინი ფლობდნენ მიწის მნიშვნელოვან ნაკვეთებს, განთავისუფლებული იყვნენ სახელმწიფო გადასახადებისგან და ეძლეოდათ ფულადი ჯილდო სახელმწიფო ხაზინიდან. ამიტომ მათთვის საზღვრის დაცვა საკუთარი მამულის დაცვასაც გულისხმობდა. ვინაიდან ბიზანტიელები სახელმწიფო საზღვრებს უწოდებდნენ *ἄκραι* (აკრე), საზღვრების დამცველთ შერევათ „აკრიტები“. საგულისხმოა ისიც, რომ ხსენებული უფლებები და პრივილეგიები შთამომავლობით გადადიოდა, რამაც დროთა განმავლობაში ხელი შეუწყო აკრიტების ფეოდალური დინასტიის ჩამოყალიბებას.¹

პრივილეგიების მიუხედავად, აკრიტების ცხოვრება საკმაოდ მძიმე და სახიფათო იყო. ისინი ებრძოდნენ არა მხოლოდ გარეშე მტრებს, არამედ აპელატებსაც, რომლებიც მცირე აზიასა და კაპადოკიაში დათარეშობდნენ.

ადრეულ ბიზანტიურ წყაროებში აპელატები მოიხსენიებიან ბანდიტებად და საქონლის ქურდებად, კონსტანტინე პორფიროგენეტთან – შეიარაღებული ბანდის წევრებად. პოემიდან „დიგენის აკრიტასი“ (XI ს.) ჩანს, რომ აპელატები, ცხოველების გარდა, იტაცებდნენ სხვის პატარძლებს, საცოლეებს და ცოლებსაც კი. როგორც ადრეული, ასევე XI საუკუნის ბიზანტიური წყაროების მიხედვით, აპელატები მამაცი და მოუხელთებელი მეომრები იყვნენ. ისინი ზოგჯერ აკრიტებს უპირისპირდებოდნენ და ებრძოდნენ, ზოგჯერ კი, გარეშე მტრების შემოსევების დროს, მათთან ერთად მონაწილეობდნენ იმპერიის საზღვრებისა და სტრატეგიული პუნქტების დაცვაში.

აპელატების საბრძოლო იარაღი იყო კეტი, წმიდა მამას გამოსახულებით². ვინაიდან წმიდა მამა, ტრადიციისამებრ, ლომზე ამხედრებული გამოისახება, ვფიქრობთ, „დაწერილში“ ნახსენები სიტყვა „ლომონი“, ნიშნავს „ლომოსანს“, ხოლო „ლომონი ბერძ[ული]“ – აპელატების საბრძოლო იარაღს, რომელზედაც გამოსახული იყო ლომზე ამხედრებული წმ. მამა.

„დაწერილის“ გამოცემებში განსახილველი ფრაზა წარმოდგენილია ასე: „*ი(ოვან)ე ლიპარიტის [ძემან შემოსწირა] სტავრაჲ ლომონი ბერძ[ული], დაუკიდავს*“. სიტყვა „ბერძ[ული]“-ს შემდეგ დასმული წერტილი ფრაზას ბუნდოვანს ხდის, რადგან გაუგებარია, რას ეხება სიტყვა „დაუკიდავს“.

ჩვენი აზრით, წერტილი უნდა დაისვას სიტყვა „სტავრაჲ“-ს შემდეგ: „*ი(ოვან)ე ლიპარიტის [ძემან შემოსწირა] სტავრაჲ*“. ამას კი მოჰყვება შემდეგი წინადადება: „*ლომონი ბერძ[ული] დაუკიდავს*“.

ასეთი უმნიშვნელო ჩასწორების შემდეგ, ტექსტი შეიძლება გავიგოთ ასე: **იოვანე ლიპარიტის ძემ ნიკორწმინდის მონასტერს შესწირა სტავრა (კაბა ან მოსასხამი). იქვე „დაუკიდავს“ საბრძოლო კეტი, ლომოსანის (ლომზე ამხედრებული წმ. მამას) გამოსახულებით.**

გამოთქმული თვალსაზრისი რომ უფრო დამაჯერებელი გახდეს, ისტორიულ წყაროებს მივუბრუნდეთ და ვნახოთ, არსებობს თუ არა საფუძველი იმისა, რომ „დაწერილში“ მოხსენი-

¹ აკრიტებმა, ფაქტობრივად, ჩაანაცვლეს ის სასაზღვრო ჯარი (*milites limitaneos*), რომელიც რომაელთა ბატონობის პერიოდში იმპერიას ბარბაროსთა მოულოდნელი თავდასხმებისგან იცავდა. კონსტანტინე დიდმა მათი რიცხვი შეამცირა და მრავალი მათგანი ქალაქებში დასახლა. იუსტინიანეს მეფობის დროს (527-565) აკრიტების ჯარი თითქმის დაიშალა, მაგრამ ჰერაკლე კეისრის (610-641) დროს, არაბთა შემოსევების გამო, ისევ გაძლიერდა და სატემბრძოლობამდე იარსება. მოგვიანებით, მიხეილ პალეოლოგოსმა (1261-1282) აკრიტებს გადასახადი დაუწესა, რამაც ეს ინსტიტუტი დაშალა. შედეგი კატასტროფული აღმოჩნდა, რადგან აკრიტელთა ერთი ნაწილი იძულებული გახდა, გადასულიყო თურქ-სელჯუკებთან, რომლებიც იმ დროს მცირე აზიის ქვეყნებში საკმაოდ მოძლიერებულნი იყვნენ. სხვებმა კი, პირადი დაინტერესების არქონის გამო, საზღვრების დაცვაზე უარი განაცხადეს, რის გამოც ის ადგილები უბრძოლველად გადავიდა თურქების ხელში.

² ცნობა ამის შესახებ დაცულია იმ ეპოქის ბერძნულ ხალხურ პოეზიაში.

ებული „ლომონი ბერძული“ გავიგოთ როგორც „ლომოსანი ბერძული“. ანუ, როგორც აპელატების საბრძოლო იარაღი (ხელკეტი).

ხელკეტს ბიზანტიელი მეომრების საბრძოლო იარაღებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. უმეტესწილად გამოიყენებოდა რკინის ხელკეტები. ბიზანტიური წყაროებიდან ჩანს, რომ ხელკეტები იყო სხვადასხვაგვარი ფორმის (გლუვი ან წახნაგოვანი სფეროსებური თავებით) და დანიშნულების, რასაც მოწმობს მრავალფეროვნება მათი სახელწოდებებისა: ἀπειατικιον (აპელატიკიონ), βιαδίνικιον (ვარდუკიონ), ματζίνικιον (მაძუკიონ), σιδιροράβδιον (სიდირორავდიონ), ῥόπιλον (როპალონ), κορνύη (კორინი) და სხვ.

ბიზანტიური წყაროების მიხედვით, აპელატების საბრძოლო კეტს ერქვა ἀπειατικιον (აპელატიკიონ). მისი სინონიმია ῥόπιλον (როპალონ), რომელიც თანამედროვე ბერძნულშიც აქტიურად გამოიყენება. დასავლეთ საქართველოში (გურულსა და აჭარულ დიალექტებში) დასტურდება სიტყვა „გაროფა“. ასე მაგ: თუ ვინმემ ვინმე ხელჯოხით (სარით, ხის ნაფოტით და ა.შ.) ძალიან მაგრად გალახა, გურული იტყვის: „ისე გაროფა, ძვალი რბილად მოუქცია“. თუ ვინმემ ვინმეს თავი გაუტენა, იტყვის: „თავი გოუროფა“. ვფიქრობთ, დიალექტებში დამკვიდრებული სიტყვა „გაროფა“ ბერძნული „როპალო“-დან მომდინარეობს (როპალო>როფალო>გაროფა), რაც იმის დასტურია, რომ დასავლეთ საქართველოში აპელატებსაც იცნობდნენ და მათ საბრძოლო იარაღსაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას შემდეგ, რაც ლიპარიტ IV ბიზანტიაში გადაიხვეწა (1058), ცოტა ხანში ივანე ლიპარიტის ძეც ბიზანტიაში გაიპარა. ვიდრე ივანე კონსტანტინეპოლში ჩააღწევდა, უნდა გადაეველო მთელი მცირე აზია, სადაც, როგორც უკვე ვთქვით, აპელატები დათარეშობდნენ. კონსტანტინეპოლში მიმავალი ივანე აპელატებს გზას ვერ აუვლიდა. აპელატები, ჩვეულებისამებრ, გზად შეყრილ უცნობს ჯერ ბრძოლაში გამოცდიდნენ. თუ მის სიმამაცეში დარწმუნდებოდნენ, მეგობრობას სთავაზობდნენ. სიმამაცისა და ბრძოლისუნარიანობის გამო, ივანე აპელატებს უსათუოდ მოეწონებოდათ და თავიანთი რაზმის წევრობას შესთავაზებდნენ. ივანეს კი აპელატებისადმი ნდობას გაუღვივებდა ის გარემოება, რომ მათ საბრძოლო იარაღზე გამოსახული იყო წმ. მამა, რომელსაც საქართველოში ადრექრისტიანული პერიოდიდან განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ.¹ ამიტომ ივანეს რომ აპელატების იარაღი (ხელკეტი) ჰქონოდა, წარმოუდგენელი სულაც არ არის.

ამასთან, კონსტანტინეპოლში ჩასვლა ივანე ლიპარიტის ძისთვის საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. იმპერატორმა ისააკიოს I-მა (1057-1059) ივანე პაშტიანკის მხარეში მისცა დიდი დაბა ერიზა და მისი მიდამოები, მოსახლეობით². იმდროინდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, **იმპერატორმა ივანე პაშტიანკის მხარეში აკრიტად დაადგინა**. მიუხედავად ამისა, ივანე კეთილისმყოფელ იმპერატორს განუდგა. ცნობას ამის შესახებ გვაწვდის სომეხი ისტორიკოსი არისტარკეს ლასტივერტეცი, რომელიც წერს: ივანემ „*შეიტყო რა სამეფოს ორად გაყოფის შესახებ, წავიდა და მოტყუებით აიღო ელანც ბერდის ციხე-სიმაგრე. მან თავის ხელქვეით დაიმორჩილა იგი და დაბრუნდა აღორის ვავარში, ჰავაჭიჩის ციხე-სიმაგრეში. ქალაქი კეთილი განწყობით შეხვდა მას. აღმოსავლეთ მხარეების გამგებელი მამინ იქ აღმოჩნდა და იხილა რა იგი [ივანემ], ბრძანა მისი დაუყოვნებლივ შეპყრობა. წაართვა მას დიდძალი განძი, ცხენები, ჯორები და აღმოსავლეთში მოხვეჭილი მთელი ქონება, ჩამწყვდია ელნუტის ციხეში, თვითონ კი იჩქარა და წავიდა გამავრებული კარნუ ქალაქისაკენ. თავდაპირველად იგი შეეცადა მოტყუებით ქალაქის აღებას და თან ამბობდა, რომ „მეფისგან ბრძანება მაქვს, ეს ქალაქი ჩემია,*

¹ ამის დასტურია წმ. მამასადმი მიძღვნილი არაერთი ეკლესია და ტოპონიმი საქართველოში. ასევე, XI საუკუნის გელათური ტონლო წმ. მამას გამოსახულებით, რომელიც ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში და ა. შ. იხ.: თ. მესხი, მამას კულტი I-VI სს. ადრექრისტიანულ საქართველოში, ქუთაისური საუბრები, XII, სიმპოზიუმის სამუშაო პროგრამა და მასალები, 2009, 45-49.

² არისტარკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1974, 104.

კარები გააღეთ, რომ შიგ შევიდეთ“. როდესაც [ასეთი გზით] ვერ შეძლო [ქალაქის] დამორჩილება, შემდეგ ბრძოლა გამართა, რადგანაც მით სურდა ქალაქზე გაბატონება. ხოლო [კარნუ] ქალაქის მთავარმა [ეს ამბავი] დაუყოვნებლივ აცნობა ქალაქ ანისში მჯდომ მთავარს, რომელიც მაგისტროსის ტიტულს ატარებდა. [ამ უკანასკნელმა], როგორც კი შეიტყო [საქმის ვითარება], მთავართან ერთ-ერთი ჯარით გააგზავნა [ივანეს დასამორჩილებლად]. ხოლო [ივანემ] გაიგო რა ეს, მარბიელი მოჰყვინა ქვეყანას, თვითონ კი თავის ადგილას დაბრუნდა და სპარსეთში გაგზავნა [მოციქული] დასახმარებლად, ჯარების გამოსავსავლად...“¹. იმავე წყაროს თანახმად, ურჯულოებიც სასწრაფოდ შეიკრიბნენ და ივანესთან გაჩნდნენ. „ხოლო როდესაც [ივანემ] იხილა ჯართა სიმრავლე, შიშმა შეიპყრო იგი, რადგანაც არავინ იყო [ამ ჯარისათვის] წინააღმდეგობის გამწვევი; მთავარმა, რომლის მიზეზითაც [სპარსნი] მოვიდნენ, როგორც კი შეიტყო მათი მოსვლით [გამოწვეული] ხმაური, შევიდა ერთ დიდ ციხეში და იქ გამაგრდა. მაშინ მოვიდნენ ჯარები და უთხრეს [ივანეს]: „გვიჩვენე გზა ძარცვა-გლეჯისათვის, ხელცარიელნი უკან არ დავბრუნდებით“-ო. ხოლო სასოწარკვეთილმა [ივანემ] მისცა მათ წინამძღოლი თავის კაცთაგან“. სპარსელებმა მოარბიეს ქვეყანა ჭანეთის ტყემდე, რომელსაც ხართი ეწოდებოდა. უკან დაბრუნდნენ დიდი ნადავლით, „ბოროტების მოთავეს“ ძღვენი მიართვეს და მადლობა მოახსენეს. ამის შემდეგ სპარსელები თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ, მაგრამ „ვინაიდან ბოროტების მსახურებმა იხილეს ქვეყანა უპატრონოდ და უზედამხედველოდ, სწრაფად მობრუნდნენ...“ და ქვეყანა ისეთ განსაცდელში ჩააგდეს, „რომელიც გმინვასა და გოდებას ჰკვირდა ქვესა და უსულო საგნებსაც კი“.²

ამრიგად, ივანემ ჯერ აიღო ელანც ბერდის (ელანთა) ციხე-სიმაგრე, შემდეგ კი კარნუ ქალაქის დაუფლებას შეეცადა. ეს რომ ანისის მთავარმა შეიტყო, ივანეს დასამორჩილებლად ჯარი გაუგზავნა. ივანემ კი „მარბიელი მოჰყვინა ქვეყანას“, თვითონ კი თურქ-სელჩუკებს მოუხმო მისაშველებლად.

ჩვენი აზრით, „მარბიელში“ მოთარეშე რაზმები, ანუ აპელატები იგულისხმებიან, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აპელატები ზოგჯერ უპირისპირდებოდნენ და ებრძოდნენ აკრიტებს, ზოგჯერ კი მათთან ერთად მონაწილეობდნენ ბრძოლებში. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ისიც, რომ აკრიტები, იყენებდნენ იმავე საბრძოლო იარაღს – ხელკეტს,³ რომელსაც აპელატები, რაც კიდევ უფრო გვარწმუნებს, რომ „დაწერილში“ ხსენებულ „ლომთან“-ში იგულისხმება ხელკეტი ლომოსანის (ლომზე ამხედრებული წმ. მამას) გამოსახულებით.

ივანე ლიპარიტის ძემ რომ პაშტიანკის მხარეში ის საშინელი ამბები დაატრიალა, მისი კეთილმყოფელი იმპერატორი, ისააკ კომნენოსი, ჯერ კიდევ სამეფო ტახტზე იჯდა.⁴ ივანეს გაორგულების მიზეზის ახსნას შეეცადა ვასილ კოპალიანი. მისი ვარაუდით, არისტარკეს ლასტივერტეცის ცნობა: „როცა გაიგო ბერძენთა შორის ბრძოლა“ ივანე ლიპარიტის ძემ, იგი რომაელებს განუდგაო, იმაზე მიგვითითებს, რომ ივანე რაღაც მომენტის გამოყენებას შეეცადა, მაგრამ რატომ უღალატა მან ისააკ კომნენოსს, რომელმაც იგი, საქართველოდან გააპარული, დიდი მამულებით, თანამდებობით და პროედროსის წოდებითაც დააჯილდოვა⁵, როგორც თავად აღნიშნავს, მისთვის გაუგებარი დარჩა¹.

¹ არისტარკეს ლასტივერტეცი, ისტორია,... გვ. 104-105.

² არისტარკეს ლასტივერტეცი, ისტორია,... გვ. 105.

³ „ჩემი კეტის მოქნევაზე ვარბოდნენ, როგორც მგლის დანახვით დამფრთხალი ცხენები, მაგრამ კვლავ ბრუნდებოდნენ, როგორც ცოფიანი ძაღლები“, – ასე აღგვიწერს დიგენის აკრიტასი აპელატებთან შერკინებას, იხ.: დიგენის აკრიტასი, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები ელისო ელიზბარაშვილისა, თბ., 2017, 218.

⁴ ისააკ კომნენოსი ხელისუფლების სათავეში 1059 წლის 25 დეკემბრამდე იმყოფებოდა. შემდეგ გადადგა და სტუდიის მონასტერში ბერად აღიკვეცა. მისი ადგილი დაიკავა კონსტანტინე X დუკამ (1059-1067).

⁵ ცნობას ამის შესახებ გვაწვდის კაცხის მონასტრიდან წაღებული სახარების ანდერძი: „ესე ანდერძი მე ივანე პროედროსმან, ძემან ლიპარიტის ერისთავთა ერისთავისამან პროედროსისა და პროტარხონისამან, დაეწერე მას ჟამსა ოდეს... ძლიერმან აფხაზთა და ქართველთა მეფემან და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსმან

ივანეს გაორგულებაზე ზუსტი და ერთგვაროვანი პასუხის გაცემა ძნელია. შესაძლოა, ივანე კეისრს იმის გამო გაუნაწყენდა, რომ მისგან მოელოდა თანამდებობას კონსტანტინეპოლში და არა შორეულ პროვინციაში განწესებას. უფრო მეტად კი იმის გეწამს, რომ ივანე რაღაც მომენტის სათავესოდ გამოყენებას შეეცადა, როგორც ამას ვ. კოპალიანი მიუთითებს.

საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც მაკედონელთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი, დედოფალი თეოდორა, გარდაიცვალა, ბიზანტიაში დაიწყო კრიზისი, რომელმაც ოცდახუთწელიწადს გასტანა (1056-1081). გარდა იმისა, რომ იმ პერიოდში გააქტიურდნენ გარეშე მტრები (დასავლეთიდან ნორმანები უტევდნენ, ჩრდილოეთიდან – პაჭანიკები, აღმოსავლეთიდან – თურქ-სელჩუკები), ცენტრალურ ხელისუფლებას დაუპირისპირდნენ მცირეაზიელი მსხვილი მიწათმფლობელები და სამხედრო არისტოკრატის წარმომადგენლები. 1057 წლის 8 ივნისს სამხედრო პარტიამ იმპერატორის კანდიდატად წამოაყენა ისააკ კომნენოსი, რომელიც მცირეაზიელი მსხვილი მიწათმფლობელი და სამხედრო არისტოკრატის წარმომადგენელი იყო. იმავე წლის 31 აგვისტოს დედოფალ თეოდორას მიერ შერჩეული მეძვირე, მიხეილ სტრატოტიკოსი, რომელმაც სულ ერთი წელი იმეფა (1056-1057), გადადგა. 1057 წლის 1 სექტემბერს კონსტანტინეპოლის პატრიარქმა მიხეილ კერულარიოსმა ისააკ კომნენოსი კონსტანტინეპოლში შეიყვანა და იმპერატორად აკურთხა.

ისააკ კომნენოსმა თავისი მეფობის იმ მცირე დროში, რომელმაც სულ ორ წელიწადსა და ოთხ თვეს გასტანა (1057 წლის 1 სექტემბრიდან 1059 წლის 25 დეკემბრამდე), საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, გარკვეულ წარმატებებს მიაღწია: დიპლომატიისა და სამხედრო ძალის გაერთიანების მეშვეობით, თავიდან აიცილა თავდასხმები, გაამაგრა სახელმწიფო საზღვრები, შეამცირა ტერიტორიების მიტაცების მცდელობები, მოახერხა მეზობელ სახელმწიფოებთან მეკავშირეობა, საჭიროების შემთხვევაში კი, მოახერხა მათი ჩართულობა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაში. ოღონდ, იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში ვერ აღკვეთა შემოსევები თურქ-სელჩუკებისა, რომლებიც თავს ესხმოდნენ სომხეთის ეპარქიებს და მცირე აზიისაკენ მიიწევდნენ. ასევე, ისააკიოსმა, თავისი ხასიათის გამო, იჩქარა ეკონომიკური რეფორმების ჩატარება, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია არა მხოლოდ მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში, არამედ სამხედროებშიც. განსაკუთრებით დაეძაბა ურთიერთობა ეკლესიასთან, რადგან მისი გარკვეული შემოსავალი სახაზინო გახდა. დაუპირისპირდა პატრიარქს, მიხეილ კერულარიოსს, რომელმაც გადადგომაზე უარი განაცხადა. 1058 წლის ნოემბერში პატრიარქი დააპატიმრა. მაშინ, როდესაც მიხეილ კერულარიოსი მადიტოში მოწვეულ საგანგებო სინოდს უნდა გაესამართლებინა, გზაში გარდაიცვალა. კონსტანტინეპოლელი პატრიარქის მიმართ კეთილად იყვნენ განწყობილნი და პატივს სცემდნენ. ამიტომ მისი ნეშტი დედაქალაქში გადმოსვენეს და იქ დაკრძალეს. ამ შემთხვევამ ვითარება კიდევ უფრო დაძაბა და ისააკ კომნენოსს ბევრი მტერიც შესძინა. ეკლესია და პოლიტიკური პარტია გაერთიანებული ძალებით იბრძოდნენ მის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, ისააკ კომნენოსის გადადგომის მიზეზი ნაწილობრივ ესეც იყო. მკვლევართა დაკვირვებით, გადადგომის მიზეზი ბოლომდე ნათელი არ არის.²

ქართული საისტორიო წყაროებიდან ზუსტად არ ჩანს, თუ რომელ წელს „გაიპარა“ ივანე ლიპარიტის ძე კონსტანტინეპოლში. მკვლევართა უმეტესობას მიაჩნია, რომ ეს მოხდა 1058 წელს. ბოლოდროინდელი გამოკვლევის მიხედვით, – 1056 წელს³. ორივე შემთხვევაში ბიზანტი-

კონსტანტინეპოლით მომიყვანეს და მოვედ მამულოს ჩუენსა“, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. III, თბ., 1968, 214.

¹ ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969, 273.

² J. M. Hussey, *Οι τελευταῖι οἱ Μακεδόνες, οἱ Κομνηνοὶ καὶ οἱ Ἄγγελοι, Ἡ Ἱστορία τῆς Βυζαντινῆς καὶ τοκρατορίας, μέρος πρῶτο, «Μέλισσα», 1979, 165-203.*

³ ჯ. სამუშია, ბაგრატ IV და ლიპარიტ ბაღვაში – პოლიტიკური კრიზისის ანატომია, ბაღვაშები (სამეცნიერო კრებული), თბ., 2021, 207.

აში მყოფი ივანე საკუთარი თვალთ ნახავდა და საკუთარი ყურით მოისმენდა, იმ ანომალური მოვლენების შესახებ, რაც იმ კრიზისულ წლებში ბიზანტიაში მოხდა: მიხეილ სტრატეოტიკოსის გადადგომა, ისააკ კომნენოსის გამეფება, მისი მმართველობით გამოწვეული უკმაყოფილება, ცენტრალურ ხელისუფლებასა და ბიზანტიის ეპარქიებს შორის უთანხმოება და ა.შ. როგორც ჩანს, როდესაც ისააკ კომნენოსსა და პატრიარქს შორის დაპირისპირებამ პიკს მიაღწია (1058 წლის ნოემბრიდან), ივანემ სიტუაციის სათავესოდ გამოყენება მოინდომა, რათა ეპარქიაში საკუთარი ძალაუფლება და გავლენის სფერო გაეზარდა.

მისდა სამწუხაროდ, მოვლენები ისე არ წარიმართა, როგორც მოელოდა. ამიტომ 1059 წლის 11 აპრილს¹, მამის შუამდგომლობით, საქართველოში დაბრუნდა. ვინაიდან პაშტიანკში დატრიალებული უბედურების შემდეგ, კონსტანტინეპოლში დასაბრუნებელი გზა მოჭრილი ჰქონდა, ბიზანტიური მოსახლეობა და საბრძოლო იარაღი (ხელკეტი) ნიკორწმინდის მონასტერს შესწირა. იმის დაშვებაც შეიძლება, რომ ამ ფესტით შეცდომის და ჩადენილი დანაშაულის მონაწილას შეეცადა.

ამრიგად, ნიკორწმინდის წინამძღვრის „დაწერილში“ დაცული ცნობა ივანე ლიპარიტის ძის ბიოგრაფიას საინტერესო შტრიხებით ავსებს.

Tamar Meskhi

Ilia State University

G. Tsereteli Institute of Oriental Studies

**TUWARD THE INTERPRETACION OF ONE OBSCURE OF THE DOCUMENT
("DATSERILI" [1071-1080]) FROM NIKORTSMINDA MONASTERY
RESUME**

“Datserili” (11th century) is the copy of original document. It is a long parchment scroll with the beginning and end torn away and worn out sides.

The document is provides list of the properties donated to the Monastery and those purchased by it (things, lands, cattle etc.). In the second paragraph of the document the following phrase attracts attention: „*ი(ოვან)ე ლიპარიტის [ძემან შემოსწირა] სტავრაჲ ლომოანი ბერძ[ული]. დაუკიდავს*“ (“*I(ovan)e [son of] Liparit [has donated]the Greek samite with lion. He has hanged*”).

It is established that Iovane Son of Liparit is the representative of famous Baghvashi family. “Samite” is a fabric, gold-cloth. From the same document it can be seen that “samite” was not only the valuable fabric but also the mantle, garment. Therefore, “*Greek samite with lion*” can be interpreted as Byzantine mantle or garment with the lion image on it but it is unclear, what does “he has hanged” mean.

In our opinion, term “with lion” means “riding the lion” (i.e. lion rider, like “horse rider”). If, in the phrase under consideration, the point is after the word “samite”, then the text can be understood as follows: Iovane, Son of Liparit has donated to Nikortsminda Monastery the mantle or garment of high value. And he has hanged there “*lomosani berZnuli*” - the mase with the image of

¹ ცნობა ივანეს საქართველოში დაბრუნების შესახებ დაცულია კაცხის მონასტრიდან წაღებული სახარების მინაწერში: „*ქ. აღიდენ ღმერთმან ძრიელსა და უძღვეელსა ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფემან და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსმან გამოიყუანა კონსტანტინეპლით ივანე პროედროსი, ძე ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავისა ... და მოვიდეს კაცხს, ეკლესიასა მათსა, თუესა ია (II), დღესა ახალკურიაკესა*“ როდესაც „*ესე წყალობად მოაწია ღმერთისა მიერ ჩუენ მონათა მათთა ზედა ... ქრონიკონი იყო სოთ (1059)*“; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. III, თბ., 1968, 214.

the “lion rider”, i.e. the weapon (mase) of the Apelates (the armed gangs in Asia Minor and Cappadocia) with the image of St. Mama riding the lion.

The basis for this is provided by the following: after Liparit IV has left for Byzantium, Iovane, son of Liparit has escaped to Byzantium as well and spent some time there. Before Iovane reached Constantinople, on his way, he would inevitably meet the Apelates, with whom, supposedly, he made friends and learned how to use their weapons.

Even if this has not happened, Emperor Isaac I (1057-1059) has appointed Iovane as the ruler of Arsharunik, the region of Armenia, in the terms used then, as the Akrites. Iovane was not loyal to the Emperor and when the confrontation commenced at the court, he made attempt to take over the Qars Fortress. To achieve his goal, he accepted support from Seljuk Turks but still, the situation has not turned to his favor. Therefore, he returned to Georgia, as he could not return to Constantinople and donated his Byzantine mantle and weapons (the Akrites used the mases similar to those used by the Apelates) to Nikortsminda Monastery.

სირმა აბაზის შემცველი ორი შერეული განძი კოჯრიდან და ყარაბაღიდან¹

ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოს (1744-1801 წწ.) ქართველი ერისა და სახელმწიფოებრიობის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უკავია. იმდროინდელ ქართულ სამეფოსამთავროებს შორის თავისი რეგიონული მნიშვნელობით, ასევე პოლიტიკურ-სამხედრო, ეკონომიკური თუ კულტურული პოტენციალით სწორედ ქართლ-კახეთის სამეფო გამოირჩეოდა. საკმარისი იქნებოდა იმის აღნიშვნაც, რომ ქართლ-კახეთის სამეფო წარმოადგენდა იმ ერთადერთ ქართულ სახელმწიფოს, რომელსაც თეორიული შესაძლებლობა მაინც მიეცა, ქართული პოლიტიკური ერთეულები ხელახლა გაერთიანებინა. თუმცა, 1801 წელს რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიამ საქართველოს გაერთიანებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესი საუკუნეზე მეტი ხნით შეაფერხა.

არ არის გასაკვირი, რომ ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოს განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ქართველოლოგიურ ისტორიოგრაფიაშიც (რასაც, საფიქრებელია, ხელი შეუწყო პირველწყაროების შედარებითმა სიუხვემაც, ყოველ შემთხვევაში, შუასაუკუნოვან პერიოდთან შედარებით). ამასთანავე, ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიის ყველა ასპექტი თანაბრად შესწავლილად, ალბათ, მაინც, ვერ ჩაითვლება. კერძოდ, ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს ისტორიის მნიშვნელობის მიუხედავად, დღემდე არ არის მონოგრაფიულად შესწავლილი ამ ქართული სახელმწიფოს ნუმიზმატიკური ისტორია. კომპლექსური მიდგომის მცდელობად უნდა ჩაითვალოს ნიკოლოზ ქოიავას შესანიშნავი წიგნი *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში* (თბილისი, 1963);² თუმცა, ავტორი ეკონომისტი, და მისი ნაშრომიც უპირატესად ზოგადი (ისტორიულ-)ეკონომიკური საკითხების კვლევაზეა ორიენტირებული, ნუმიზმატიკური ფაქტები კი ერთგვარ ჩრდილშია მოქცეული; ფაქტობრივადაც და მეთოდოლოგიურადაც (უპირველეს ყოვლისა, თუმცა, არა ექსკლუზიურად, ნუმიზმატიკურ ფაქტებსა და ნუმიზმატიკური კვლევის მეთოდოლოგიას ვგულისხმობთ), ნაშრომი უკვე, აშკარად, მოძველებულია. ქართლ-კახეთის სამეფოს ნუმიზმატიკური ისტორია, იმდენად, რამდენადაც ეს შემორჩენილი მონეტების ტიპოლოგიას შეეხება, საფუძვლიანად არის შესწავლილი ჯერ კიდევ ევგენი პახომოვისა და დავით კაპანაძის მიერ.³ ბოლო პერიოდში მოხერხდა სამეფოს ნუმიზმატიკური მემკვიდრეობის მხოლოდ ერთი ახალი სამონეტო ტიპით – *ოქროს შაურით* შევსება⁴

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი YS-21-2879. ქართლ-კახეთის სამეფოს (1744-1801) ფულადი პოლიტიკა და ისტორია).

² ნ. ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, თბ., 1963. აღნიშვნის ღირსია ასევე პაატა გუგუშვილისა და ნიკოლოზ ქოიავას ადრეული ნაშრომებიც: ნ. ქოიავა, საქართველოს ფულადი მიმოქცევა XVIII საუკუნეში, ი. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXVIII, თბ., 1946, გვ. 75-98; ნ. ქოიავა, თბილისის სამონეტო ბაზარი XVIII საუკუნეში, კრებ. "თბილისი – 1500", რედ. ს. ჟრენტი, თბ., 1958, გვ. 179-89; პ. გუგუშვილი, ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ა.კავკასიაში მე-19 საუკუნეში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, თბ., 1938, გვ. 16-72; პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. მონოგრაფიები, ტ. II, თბ., 1956, გვ. 3-113.

³ Е. Пахомов, Монеты Грузии, Тб., 1970, с. 233-250, 256-269; დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 151-160.

⁴ ი. ფალავა, ი. ბიჭიკაშვილი, რ. ჩაგუნავა, ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია), კრებ. "საისტორიო კრებული", 4, 2014, გვ. 200-272.

(თუ არ ჩავთვლით ერეკლე II-ის დამლის მატარებელი არა-ქართული მონეტების ახალ ეგზემპლარებს¹). განსაკუთრებული ყურადღების ღირსია – და დღემდე ინარჩუნებს მნიშვნელობას რევან ქებულადის² სტატიების სერია, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოს ნუმიზმატიკური ისტორიისა და ნუმიზმატიკური მემკვიდრეობის ცალკეულ საკითხებს ეძღვნება;³ ასევე, დავით კაპანაძის სტატია სირმა ვერცხლის სინჯადობაზე;⁴ ნიკო ჯავახიშვილის პუბლიკაცია მიძღვნილი ერეკლე II-ის პირად ნივთებს შორის აღმოჩენილი მონეტებისადმი.⁵ გარკვეული მნიშვნელობა აქვს ასევე ირაკლი ფალავას მიერ (ნაწილობრივ, თანაავტორობაში) გამოქვეყნებული შრომების სერიასაც.⁶

¹ I. Paghava, G. Lobzhanidze, S. Turkia, Countermarking of Copper Coins in Late 18th Century Georgia, in: Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Newsletter of Oriental Numismatic Society, 197, 2008, p. 38-46.

² მის შესახებ, იხ. ი. ფალავა, რევან ქებულადე და მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა (ქართული ნუმიზმატიკური აზროვნების ისტორიიდან), კრებ. "საისტორიო კრებული", 4, 2014, გვ. 398-406.

³ რ. ქებულადე, სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 53, 1969, გვ. 757-760; P. Кебуладзе, Из истории русско-грузинских взаимоотношений по нумизматическим данным, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 4, 1969, с. 91-104; რ. ქებულადე, ფხოველის განძი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXI-B, 1975, გვ. 104-122.

⁴ დ. კაპანაძე, ქართული ფულის სინჯადობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, IV, №6, 1943, გვ. 573-576.

⁵ ნ. ჯავახიშვილი, პირველი ქართველი ჰერალდიკოსი და ნუმიზმატი მეფე, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, 2011, გვ. 299-306; Н. Джавахишвили, Первый грузинский монарх – геральдик и нумизмат, Международная научная конференция Археология, этнология, фольклористика Кавказа, Сборник кратких содержания докладов, Тбилиси, 25-27 июня 2009 года, ред. Г. Гамбашидзе, Тб., 2010, с. 416-419.

⁶ უკვე ნახსენების გარდა: ი. ფალავა, ავშარიანთა დინასტიის საფასე კავკასიის ფულად მიმოქცევაში, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2(8), 2010, გვ. 391-407; ი. ფალავა, თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(7), 2010, გვ. 515-532; ი. ფალავა, სპილენძის ღირებულება ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII საუკუნის მიწურულს ისტორიული საბუთების მიხედვით (თანადროული სპილენძის საფასის თვითღირებულების საკითხისთვის), კრებ. "საისტორიო კრებული", 2, 2012, გვ. 220-241; ი. ფალავა, ჰერალდიკური იკონოგრაფია XVII-XIX სს-ის თბილისის სპილენძის მონეტებზე, ჰეროლდი, 6, 2017, გვ. 90-97; ი. ფალავა, ნუმიზმატიკური და სფრაგისტიკული ცნობები პლატონ იოსელიანის ნაშრომში "ცხოვრება გიორგი მეათცამეტისა" (იესე ოსეს შვილის ბეჭდების განხილვითურთ), კრებ. "ქართული ნუმიზმატიკური საზოგადოების მოამბე" №1, 2020, გვ. 73-98; ი. ფალავა, სირმა მონეტების განძი ბოლნისის მიდამოებიდან / A Hoard of Sirma Coins from the Vicinities of Bolnisi, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. Iliia State University. G. Tsereteli Institute of Oriental Studies. საერთაშორისო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთი და კავკასია: ისტორია, კულტურა, პოლიტიკა. International Conference *The Middle East and Caucasus: History, Culture, Politics*. თეზისები. Abstracts. თბილისი / Tbilisi. 16-18/12/2021. [თბ., 2021], გვ. 63-65; ი. ფალავა, ირაკლი II-ის 1765/6-1768/9 (პიჯრის 1179-1182) წლების სამონეტო რეფორმა, კრებ. "ენრიკო გაბიაშვილი 90", თბ., 2021, გვ. 343-370; I. Paghava, The Minting of Gold Shauris in Eighteenth Century Georgia, Journal of Oriental Numismatic Society, #204, 2010, p. 15-17; I. Paghava, Vl. Novák, Georgian Coins in the Collection of the National Museum-Náprstek Museum in Prague, Annals of the Náprstek Museum, 34 / 2, 2013, p. 41-82; I. Paghava, A Series of Peculiar Minor Denomination Sirma Coins: Modern Fakes or Contemporary Imitations?, in: Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Newsletter of Oriental Numismatic Society, 197, 2008, p. 20-27; I. Paghava, Variation in the Composition and Arrangement of Dates on Sirma Coins: Approach to Die Analysis, in: Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Newsletter of Oriental Numismatic Society, 197, 2008, p. 13-16; I. Paghava, The Yellow Metal Coins Ascribed to Erekle II and the Fate of Georgian Dies of the 17th-18th Century, in: Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Newsletter of Oriental Numismatic Society, 197, 2008, p. 33-37; I. Paghava, G. Bebia, A Group of Unusual Sirma Abazis: Die Analysis, in: Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Newsletter of Oriental Numismatic Society, 197, 2008, p. 6-12; I. Paghava, S. Turkia, The Cross Motive on Tiflis, Ganja, Nakhjawan and Tabriz Coins Minted in AH 1181-1190, in: Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801.

2021 წელს განვაახლეთ ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი პოლიტიკისა და ისტორიის კვლევა; შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეწევნით, კვებავთ ამ თემის შედეგების-და გვარად კომპლექსურ შესწავლას. თუმცა, ბუნებრივია, ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი პოლიტიკისა და ისტორიის ერთიანობაში გამოკვლევის აუცილებელი წინაპირობაა ცალკეული საკითხების ანალიზი. კერძოდ, ქართლ-კახეთის ფულადი ისტორიის შემადგენელი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ამ ქართული სახელმწიფოში და ამ ქართული სახელმწიფოს ფულის მიმოქცევის ისტორია; ამ უკანასკნელის შესწავლა კი შეუძლებელია ქართლ-კახეთის სამეფოს საფასის ცალ-ცალკე თუ მსხვილი სამონეტო კომპლექსების, განძების ფარგლებში აღმოჩენის ყველა ფაქტის გათვალისწინებისა და შესწავლის გარეშე.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი სწორედ ამგვარი კერძო ამოცანის შესრულებაა: წარმოვადგინოთ XVIII-XIX სს. ორი საყურადღებო სამონეტო განძის კვლევის შედეგები; ორივე განძი შეიცავდა ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს (1744-1801) ვერცხლის საფასეს, ე.წ. სირმა აბაზს, რაც განაპირობებს კიდევაც ამ სამონეტო კომპლექსების მნიშვნელობას საქართველოს, კერძოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს (ფულადი) ისტორიის შესწავლის კუთხით.

მოვიყვანოთ ორივე განძის აღწერილობას.

*

პირველი განძი დაუზუსტებელ ადგილას და გარემოებებში მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე, 2015 წელს აღმოაჩინეს. განძის შემადგენლობა, სომხეთიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შემდეგნაირი იყო: სულ, 400-ზე მეტი მონეტა, ძირითადად განჯისა და შირვანის სახანოების ვერცხლის საფასე; ამას ადასტურებს სომხეთიდან გადმოგზავნილი სურათი, რომელზედაც განძის მონეტები ერთად არის გამოსახული. საყურადღებოა, რომ, გადმოცემით, განძის დაახლ. 25%-ს წარმოადგენდა ქართლ-კახეთის სირმა-ვერცხლი (ანუ, განძში შედიოდა დაახლოებით 100 ცალი სირმა მონეტა). მნიშვნელოვანია, რომ XIX საუკუნის მონეტები განძში, ჩანს, საერთოდ არ იყო. არადა, XIX საუკუნეში ადგილობრივ განძებში ჩნდება, თანაც, დიდი რაოდენობით, XIX საუკუნის რუსული პოლიტიკური ეგიდის ქვეშ მოჭრილი ფულიც: უშუალოდ რუსეთის იმპერიის, ე.წ. პოლონურ-რუსული ემისიები, ასევე, თბილისის ზარაფხანაში 1804-1834 წლებში მოჭრილი ე.წ. ქართულ-რუსული მონეტებიც.¹ შემადგენლობაში მათი არარსე-

Supplement to Newsletter of Oriental Numismatic Society, 197, 2008, p. 17-19; S. Turkia, I. Paghava, The Start of Sirma Coinage: The Sirma Abazi of AH "1166" and its Dating, in: Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Newsletter of Oriental Numismatic Society, 197, 2008, p. 28-32; I. Paghava, Prince Teimuraz and His Essays on Georgian Sphragistics and Numismatic History (At the Dawn of National Georgian Numismatic Scholarship), 4th Assemani Symposium on Islamic Coins, Trieste, 26-27 September 2014, Proceedings. Eds. Bruno Callegher and Arianna D'Ottone Rambach, Trieste, 2015, p. 199-214; I. Paghava, New Data on the Copper Coinage of the Ganja Khanate (Lion Left Type of AH 1187; Restriking Georgian Copper Coins), Journal of Oriental Numismatic Society, 228, 2016, p. 27-28; I. Paghava, The Profitability of Minting Civic Copper Coins and the Identification of Emerging Nationalism as Seen Through Coin Imagery. A Case Study of the East-Georgian Kingdom Kartl-Kakheti, in: Iranian Numismatic Studies. A Volume in Honor of Stephen Album. Editor: Mostafa Fahfoury, 2017, p. 243-255; I. Paghava, Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K'akheti (1744-1801) and Its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis), Катедра Universum: Електронний Збірник науково-популярних праць з історії, археології, інформаційної, архівної та музейної справи. Випуск 3, 2021, с. 13-15; И. Пагава, Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия), Эпиграфика Востока, XXX (2013), с. 201-242; И. Пагава, Судьба золотых шаури грузинских царей Иракли II и Гиорги XII (опыт историко-антропологического исследования), Расмір: Східна нумізматики, III Міжнародна наукова конференція, 1-3 серпня 2013, ред. О. Казаров, В. Безпалько, Київ, 2016, с. 142-147, 171, 192.

¹ რ. ქებულაძე, ფხოველის განძი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXI-ბ, 1975, გვ. 104-122.

ბობიდან გამომდინარე, განძი შეიძლება დათარიღდეს XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედით, ან, ყოველ შემთხვევაში, პერიოდით სახანოების რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიამდე.

სირმა ვერცხლის ემისია ქართლ-კახეთის სამეფოში ერეკლე II-ის მიერ 1765/6-1768/9 (ჰ. 1179-1182) წლებში ჩატარებული რეფორმის¹ შედეგ დაიწყო, და, პრაქტიკულად, ამ ქართული სახელმწიფოს არსებობის ბოლომდე გრძელდებოდა.²

ჩვენს განკარგულებაშია 14 სირმა-აბაზის გამოსახულება (სამწუხაროდ, მეტროლოგიური მონაცემები უცნობია; თუმცა კი, მონეტების დიზაინი და ერთობლივი ფოტოთი დადასტურებული ზომები ეჭვს არ ტოვებს, რომ ყველა მათგანი სწორედ აბაზის ნომინალისაა). მოგვყავს მონეტების გამოსახულებებიც (სურ. 1-14). მონეტები შემდეგ წლებშია მოჭრილი: ჰ. 1183 წ. (1769/70) (სურ. 1), 1184 (1770/1) – 2 ც. (სურ. 2-3), 1190 (1776/7) – 3 ც. (სურ. 4-6), 1193 (1779/80) – 2 ც. (სურ. 7-8), 1194 (1780) – 4 ც. (სურ. 9-12), 1195 (1780/1) – 2 ც. (სურ. 13-14). ყურადღებას იპყრობს მონეტების საკმაოდ კარგი შენახულობა (თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ გადასაღებად ისინი სწორედ ამის გამო ამოარჩიეს, და მათი მდგომარეობა არ ასახავს განძის ყველა სირმა მონეტის შენახულობას).



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



¹ ი. ფალავა, ირაკლი II-ის 1765/6-1768/9 (ჰიჯრის 1179-1182) წლების სამონეტო რეფორმა, კრებ. “ენრიკო გაბიაშვილი 90”, თბ., 2021, გვ. 343-370.

² Е. Пахомов, Монеты Грузии, Тб., 1970, с. 249-250.



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12



სურ. 13



სურ. 14



ჩვენს მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის მიხედვით, ეს სამონეტო კომპლექსი მიეკუთვნება სირმა მონეტების განძების II ჯგუფს - ასახავს სირმა ვერცხლის მიმოქცევას კავკასიაში საქართველოს ფარგლებს გარეთ 1801 წლამდე; ანალოგიური განძებია: დარალაგიოზის (1934), სოვეტაშენის (1938), ჩაიქენდის (1953).¹

*

მეორე სამონეტო კომპლექსი, როგორც ჩანს, ქისის შიგთავსია. გადმოცემით, ის შემთხვევით არის ნაპოვნი 2019 წლის დეკემბერში, დაბა კოჯრის სიახლოვეს. გადმოცემითვე, ქსოვილის ნარჩენები არ შეინიშნებოდა. განძი შედგებოდა მხოლოდ 12 მონეტისგან: სირმა ვერცხლი

¹ I. Paghava, Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K'akheti (1744-1801) and Its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis), Катедра Universum: Електронний Збірник науково-популярних праць з історії, археології, інформаційної, архівної та музейної справи. Випуск 3, 2021, с. 13-15.

(ერთადერთი მონეტა) - ჰ. 1202 წ. (1787/8) აბაზიანი (3.02 გ) (სურ. 15); ე.წ. ქართულ-რუსული საფასე: 1805 წ. აბაზი (შევსებული (?) ნახვრეტით, წონა უცნობია) (სურ. 16), 1816 წ. ორაბაზიანი (6.16 გ) (სურ. 17); რუსეთის იმპერიის ბილონის თეთრი ფული: 1826 წ. 20-კაპიკიანი (С.П.Б./НГ, 4.03 გ), 1834 წლის 2 ც. 20-კაპიკიანი (С.П.Б./НГ, 4.03 გ ორივე); რუსეთის იმპერიის სპილენძის ფული: 1810-1830 წწ. ტიპის (თარიღი არ იკითხება) 2-კაპიკიანი (9.78 გ), 1830-1839 წწ. ტიპის (თარიღი არ იკითხება) 5- (E.M., 20.0 გ) და 10-კაპიკიანი (43.24 გ), 1840 წ. 1-კაპიკიანი “ვერცხლით” (E.M., 9.21 გ), 1841 წ. 2 ც. 3-კაპიკიანი “ვერცხლით” (E.M., 24.50, 24.48 გ). უადრესი მონეტა 1787/8 წ. სირმა-აბაზი, უგვიანესი – 1841 წ. 3-კაპიკიანები. საერთო ნომინალური ღირებულებაა 1 მან. 64 კაპ., სირმა აბაზის წილზე აქედან მოდის 12.2% (საერთო ღირებულებისა). განძი შეიძლება დათარიღდეს 1840-იანი წლებით ან 1840-იანი წლების პირველი ნახევრით.



სურ. 15



სურ. 16



სურ. 17

უკვე აღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით, სამონეტო კომპლექსი მიეკუთვნება სირმა მონეტების განძების III ჯგუფს - ასახავს სირმა ვერცხლის მიმოქცევას საქართველოში 1801 წლის შემდგომ; ანალოგიური განძებია: სოხუმის (1899), ფხოველის (1955), ფასანაურის (1970-იანები).¹

განძის შემადგენლობა ადასტურებს, რომ ეს არის, ფაქტიურად, არცთუ დიდი შეძლების ადამიანის საფულის შიგთავსი, არ არის გამორიცხული, შემთხვევით დაკარგული; ძალიან მცირე ღირებულების მქონე სპილენძის ნომინალების არსებობა გვაფიქრებს, რომ ეს სამონეტო კომპლექსი წარმოადგენს თანადროული სამონეტო მიმოქცევის წამიერ ანაბეჭდს, ასე ვთქვათ, ულტრა-ხანმოკლე დაგროვების კომპლექსს, და არა განძს, თუნდაც მოკლე დაგროვების, რომლის დანიშნულებაც საფასის დეპონირება იქნებოდა.

*

მოკლედ დავახსიანოთ კოჯრისა და ყარაბაღის განძების ისტორიულ მნიშვნელობასაც.

კოჯრის განძი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანექსიის გზით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ინკორპორირებული საქართველოს აღმოსავლეთი რეგიონის სამონეტო მიმოქცევის წამიერი ანაბეჭდია. ის თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა ფულით სარგებლობდა მოსახლეობა

¹ იქვე.

ყოველდღიურ, მცირე მასშტაბის ტრანსაქციებში. ეს განდი ადასტურებს სირმა ვერცხლის მონაწილეობას სამონეტო მიმოქცევაში, ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიიდან 40 წლის შემდეგაც (1840-იან წლებში), და, ამგვარად, სავესებით ადასტურებს რევაზ ქებულაძის მიერ პოსტულირებულ თეზისს სამონეტო ბაზარზე ქართლ-კახეთის სამეფოს ვერცხლის მონეტების პერსისტირების თაობაზე.¹

ყარაბაღის განძი კი ძალიან მნიშვნელოვანია, ერთის მხრივ, ნადირ-შაჰის ზეობის ბოლო წლებსა და მისი გარდაცვალების შემდგომ პერიოდში წარმოშობილი კავკასიური სახანოების სამონეტო მიმოქცევის შესასწავლად, მეორეს მხრივ კი, ადასტურებს ქართლ-კახეთის სამეფოს ვერცხლის საფასის ექსპორტს მეზობელ სახელმწიფოებში. ეს განძი წარმოადგენს დამატებით არგუმენტს სამტკიცებლად, რომ ქართული სირმა ვერცხლის საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქართული ემიტენტი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთაც, კავკასიის სამონეტო ბაზარზე.

ამრიგად, ნაშრომში განხილული კოჯორისა და ყარაბაღის განძები გვეხმარება XVIII საუკუნის II ნახევარში – XIX საუკუნის I ნახევარში საქართველოსა და რეგიონის სამონეტო მიმოქცევის შესწავლაში; ასევე, იძლევა შესაძლებლობას, დავაზუსტოთ ქართლ-კახეთის სამეფოს (ირაკლი II-ის რეფორმის შემდგომი) ვერცხლის საფასის ეკონომიკური როლი და მნიშვნელობა, არა მარტო აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოსთვის, არამედ კავკასიის მთელი რეგიონისთვის. ორივე განძი გასათვალისწინებელია საქართველოს ნუმიზმატიკური ისტორიის, კერძოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი პოლიტიკისა და მემკვიდრეობის კვლევისას.

Irakli Paghava

G. Tsereteli Institute of Oriental Studies, Ilia State University

**TWO MIXED HOARDS COMPRISING SIRMA ABAZIS FROM KOJORI AND QARABAGH
RESUME**

By means of this article we publish two hoards, deposited in the time period of the last quarter of the 18th century – the 1840s, and comprising sirma abazi coins minted in Tiflis, the capital of the Kingdom of Kartl-Kakheti, after the reform by Irakli II of AH 1179-1182 (1765/6-1768/9).

The first hoard was discovered somewhere on the territory of the mountainous Qarabagh in 2015. It comprised at least 400 silver coins: ‘Abbasis of the Ganja and Shirwan Khanates, as well as approximately 100 sirma coin of Kartl-Kakheti (app. 25%), but no coins appearing in the local hoards after the annexation of Georgian Kingdom and the Muslim Khanates in the 1st quarter of the 19th century. Therefore, we date this hoard to the last quarter of the 18th century. The second minor hoard, actually, a purse, was discovered in the vicinity of Tbilisi (Tiflis), in the Kojori area, in 2019. It comprised only 14 coins: 1 sirma abazi dated AH 1202 (1787/8), 2 Georgian-Russian silver coins dated 1805 and 1816, 3 20-copeck billon coins of the Russian Empire (dated 1826 and 1834), 6 copper coins of the Russian Empire (1 of the 1810-1830 type, 2 of the 1830-1839 type, 3 of the later type dated 1840 and 1841). Two 3-copeck coppers dated 1841 constitute the youngest coins of the hoard and date it to 1840s.

The Qarabagh hoard reflects the monetary circulation of the Muslim Khanates, prior to the advent of the Russian Empire, and attests to the economic significance and role of the sirma silver coinage of Kartl-Kakheti not only within the boundaries of this Georgian state, but also beyond

¹ რ. ქებულაძე, სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 53, 1969, გვ. 757-760.

them. The Kojori hoard provides additional insight into the monetary circulation of the east-Georgian provinces, annexed by the Russian Empire in 1801; this hoard helps us to understand what type of coins were employed by locals in petty trade; and attests to the persistence of the sirma coinage of Georgian kings of Kartl-Kakheti well after 1801, even throughout the 1840s. Both hoards provide additional data for analysing the numismatic and even, generally, economic history of the Kingdom of Kartl-Kakheti.

სოფელ ალევის ისტორიიდან

ალევი მდებარეობს ახალგორის მუნიციპალიტეტში, მდინარე ქსნის მარცხენა შენაკად ალეურას ქვემო წელზე, სოფლების - ქვემო და შუა ალევის ტერიტორიაზე; დ. ბაქრაძის 1875 წელს შედგენილი ლექსიკონის მიხედვით, ძველი ალევი ქვემო და შუა უბნებად იყოფოდა, რომლებიც XIX საუკუნეში ქვემო და შუა ალევის სოფლებად იქცნენ.¹

ალევი უძველესი ქართული სოფელია, რაც აქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება; 1981-1989 წლებში ალევის სამაროვანს სწავლობდა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ალევის არქეოლოგიური ექსპედიცია, ნოე აფხაზავას ხელმძღვანელობით. მკვლევართა დაკვირვების არეალში მოექცა ქვემო ალევში, სოფლის აღმოსავლეთით მდებარე ადგილი, რომელიც „გრძელების“ სახელწოდებითაა ცნობილი. სამაროვანზე გათხრილ ერთ-ერთ ორმო სამარხში, რომელიც ძვ. წ. X-VII სს-ით თარიღდება, აღმოჩნდა ადამიანის ნეშტი, შავპრიალა თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს შუბისპირი და რკინის მახვილი. მიცვალებული დაკრძალული იყო კიდურებმოხრილ მდგომარეობაში, მარცხენა გვერდზე. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხთან ერთად შესწავლილი იქნა შუა საუკუნეების 138 სამარხი, სადაც მიცვალებულთა ნეშტებთან ერთად მიაკვლიეს არაერთ მნიშვნელოვან ნივთს, მათ შორის ბრინჯაოს, ვერცხლის, რკინის ბეჭდებს, სამაჯურებს, აბზინდებს, ბალთებს, საყურებს, მშვილდსაკინძებს, ქარვის მძივით შემკულ, ბრინჯაოსღეროიან საკინძეებს, მინის მძივებს... პეროზის, კავადის, ვალარშარის, ხოსრო პირველის მონეტებს, ჰერაკლე კეისრის ვერცხლის ჰექსაგრამას და სხვა.² ნივთები ინახება სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში.

დიდებულია ალევის სამება - „ოქროსკარიანი“, ქსნის ხეობელების უმთავრესი საღვთო ტაძარი ლომისის სალოცავთან ერთად. სამების დღესასწაული 15 აგვისტოს აღინიშნებოდა და მას ქსნის ხეობელებთან ერთად არაგველებიც ზეიმობდნენ. იგი მდებარეობს ზემო ალევიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ლორწომის (ალევის) კლდის სახელით ცნობილ უნაგირა მთის ერთ-ერთ მწვერვალზე, ზღვის დონიდან 2000 მეტრზე. ვახუშტი წერს: „ალევის მთის თხემსა არს ეკლესია უგუმბათო, მჭურეტი ქართლ-კახეთისა. ამასა შინა არს სიმრავლე ხატთა და ჯუართა ოქროისა და ვერცხლისათა, და სამსახურებელნი ეკლესიისანი მრავალნი. კარნი აქუს ოქროსი, რომელი უქმნეს სპარსთა, რაჟამს წარიღეს ხატი მისი, მუნ სასწაულის მხილველთა, უქმნეს კარნი ოქროისანი და დასდგეს ურემსა ხარბმულსა, და მოიღო მუნ“.³ ჯ. გვასალია მთავარ ეკლესიას VIII-IX საუკუნეებით თარიღებს, მცირეს - X საუკუნით. მისი აღწერით: „ალევის სამებას გარს უვლის ფლეთილი ქვით ნაგები ოვალური ფორმის გალავანი, რომელსაც შიგნითა მხრიდან რამოდენიმე ნაგებობა აქვს მიშენებული. სამხრეთის მხარეს მიშენებულია გრძელი ვიწრო შენობა. იგი ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. ქვედა სართული მიწაშია, ზედა სართულის კარი კი მიწის ზედაპირის დონეზე. შენობას კედლებზე ეტყობა სართულებს შორის გადახურვის ძეგლების ფოსოების კვალი. ქვედა სართულს ჰქონია მიწისქვეშა შესასვლელი, რომელიც მწყობსების თქმით ეკლესიაში შედიოდა. შენობა, შესაძლოა, სატრაპეზოს წარმოადგენდა. გალავანს გარეთ ირგვლივ ორმოცამდე წვრილი სათავსოს ნაშთებია. ალევის სამების კომპლექსი მონას-

¹ Бакрадзе Дмитрий, „Кавказ в древних памятниках христианства», 1875, გვ.24.

² ვრცლად იხილეთ, აფხაზავა ნ., ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში, თბ., 1988.

³ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ.353-354.

ტრის შთაბეჭდილებას სტოვებს.“¹ რ. მეფისაშვილი და ვ. ცინცაძე ალევის სამების კომპლექსის მთავარ ეკლესიას მოიხსენიებენ როგორც ღვთისმშობლის მიძინების სახელობის სამეკლესიან ბაზილიკას, რომელსაც ახლდა მრავალრიცხოვანი ეკვდერ-მინაშენები.²

მეცხრამეტე საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ალევი მოუნახულებია ნიკოლოზ ბერძენიშვილს. მისი დაკვირვებით, საეკლესიო განძეულობიდან ბევრი რამ დაკარგული უნდა ყოფილიყო, მას უნახავს ახალი დროის ტილოზე ნახატი ხატები, თუმცა ქართველ მეფეთა და დიდგვაროვანთა შეწირული რამდენიმე ნივთი ეკლესიაში ჯერ კიდევ ყოფილა... ცნობილი ეთნოგრაფი და ისტორიკოსი მოგვითხრობს ეკლესიის სამეუფეო კარებზეც...³ მთავრად პერიოდში ალევის საეკლესიო კომპლექსი პ. იოსელიანმა მოინახულა. იგი, ხალხურ გადმოცემაზე დაყრდნობით, სამების აშენებას დავით აღმაშენებელს (1089-1125) მიაწერდა და მიგვითითებდა, რომ ეკლესია იხსენიება წმიდა სამებისა და ღვთისმშობლის სახელითო. ასევე ყურადღებას ამახვილებს სამების შესახებ არსებულ ლეგენდაზე და რამდენიმე ძვირფას ნივთზე, მათ შორის: გამოსატან ჯვარზე, ფეშხუმ ბარძიშზე, ვერცხლის ჭაღზე, ცხვრის ვერცხლის ქანდაკებაზე სამანდლეებით, რაც თავის მხრივ მიგვანიშნებს ამ მხარეში ცხვრის კულტისადმი თაყვანისცემაზე. ცნობილია, რომ ქსნის ხეობაში, როგორც სამაროვან და ყორღანულ სამარხებში, ისე უძველეს სამოსახლოებზე ნაპოვნი ქვის ვერძისა და ხარის არაერთი ქანდაკება.⁴ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მოოქროვილი ვერცხლის ჭედური, წარწერიანი ხატები, ჯვრები და ვერცხლის თასები:

1. მთავარანგელოზ გაბრიელის XIV ს-ის ხატი ბერძნული წარწერით - „ერისთავთ ერისთავი ივანე აბესალომის ძე“, ხატი 1772 წელს აღუდგენია დავით ერისთავს, რაზეც კიდევ ერთი წარწერით ყოფილა მინიშნება: „მეორედ შევაკეთე ერისთავმან დავით ...“

2. მთავარანგელოზ მიქაელის ხატი 1619 წლის ხუცური წარწერით.

3. მთავარანგელოზ გაბრიელის ხატი ხუცური წარწერით, ვერცხლის 6 თასი სხვადასხვა მინაწერებით, ერთ-ერთ მათგანს შემოუნახავს ოქრომჭედელ მენურის სახელი...

მთავარანგელოზთა სახელობის ძვირფასი ხატები სამეუფეო კარებზე ყოფილა განთავსებული.⁵

მოგვიანებით, ალევის განძის ნაწილი მძარცველებისაგან დაცვის მიზნით კორინთის ეკლესიაში გადმოუტანიათ. ისინი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს. როგორც იგი აღნიშნავს, ალევის განძი 40 ძვირფასი ნივთისაგან შედგებოდა და მოიცავდა მეთვრამეტე საუკუნიდან შეწირულ საგანძურს. უფრო ძველი, მათ შორის, პ. იოსელიანის აღწერილი ხატები ალევის გადარჩენილ კოლექციაში აღარ გვხვდება.⁶ სამების ეკლესიის ძარცვა რამდენჯერმე განხორციელებულია, მათ შორის მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსაც, რაზეც დანახებით მიგვანიშნებს ე. თაყაიშვილი, ხატებისა და ჯვრების დიდი ნაწილი ამ თვრამეტიოდე წლის წინ ძარცვის გამო დაიკარგათ. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეკლესიიდან ძვირფასი ნივთების დაკარგვაზე საუბრობდნენ ბერძენიშვილი და იოსელიანი. მათ, როგორც ჩანს, ნანახი არ უნდა ჰქონოდათ კორინთში გადმოტანილი ალევის განძი, რომლის დიდი ნაწილი დღეს ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში ინახება.⁷

¹ გვასალია ვ., ქსნის ხეობის ძეგლები „ძეგლის მეგობარი“, კრებული 21, თბ., 1970, 11-17.

² Merisashvili P. S., Sincaidze V. G., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии - Шида-Картли, Тб., 1975, გვ.96

³ Бердзенов Николай, Поездка в монастырь Св. Троицына Алевской горе, «Кавказ», №84. Тифлис, 1850

⁴ ახლოური დ., სოფელი ახლოურთი, სერიიდან „ქსნის ხეობის ისტორია“, ტ., 1, 2019, გვ.77-78

⁵ ვრცლად იხ., იოსელიანი პ., Алевская Святыня, «Кавказ», №12, Тифлис, 1871; იოსელიანი პ., Алевская Святыня, Тифлис, 1875

⁶ Такашвили Е., Археологические экскурсии, Разыскания и заметки, Вып. V. Тифлис, 1915, 65-77

⁷ გვასალია ვ., ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. III. თბ., 1967, გვ.42; მაკალათია ს., ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1968, გვ. 94

თვითონ ლეგენდა ოქროსკარებთან დაკავშირებით, რომელზეც მოგვითხრობენ ვახუშტი, ნიკოლოზ ბერძენიშვილი, პლატონ იოსელიანი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვები, შაჰ-აბას პირველს უკავშირდებოდა, თითქოს მან სამებისა და წაილანის ძვირფასი ხატები, წაიყვანა ტყვეები, მაგრამ ირანში თავსდატყენილი მძიმე ეპიდემიით შეშფოთებულმა ტყვეებიც დააბრუნა, ხატებიც და ცოდვების მიტვევებისთვის ეკლესიას ოქროს კარები შესწირა...

2008 წლის ივნისში, ახალგორის მუნიციპალიტეტის ოკუპაციამდე მცირე ხნით ადრე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპედიციამ პროფ. ნ. ბახტაძის ხელმძღვანელობით, ალევის მონასტერში ჩაატარა არქეოლოგიური კვლევა-ძიება, რომლის შედეგებიც გამოქვეყნებულია ნაშრომში: „არქეოლოგიური მონაპოვარი ალევის ყოვლადწმინდა სამების მონასტრიდან“.¹ როგორც ირკვევა, ალევის სამების კომპლექსი სამონასტრო მიზნით VIII-IX საუკუნეებში დაუარსებიათ და ეს ფუნქცია მეტ-ნაკლები ქრონოლოგიური წყვეტილობებით XVIII ს-მდე შეუნარჩუნებია. სავანის დაარსებიდან მალევე აუგიათ დიდი სამეკლესიანი ბაზილიკა, რომლის ირგვლივაც საუკუნეების განმავლობაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა ნაგებობები: სატრაპეზო, ბერების სენაკები, სამეურნეო და თავდაცვითი სისტემები... არქეოლოგიური მუშაობის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევიათ მთავარი ეკლესიის სამხრეთით მდებარე ორსართულიანი სატრაპეზოს ნაშთისთვის, სადაც აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი: ჯამები, მწვანედ მოჭიქული ღოჭები, სამარილეები, ნიჟარისებრი ჭრაქები, რომელიც ანალოგია XII-XIV საუკუნეების ქართული არქეოლოგიური მასალებისა. სატრაპეზოს იატაკის ჰორიზონტზე აღმოჩნდა ასევე 3 მონეტა, რომელთაგან 2 კარგად ყოფილა შემონახული და განიჩნევა, რომ ერთი დემეტრე თავდადებულის დროინდელია (1270-1289), მეორე ე.წ. „კირმანული თეთრი“ საქართველოშია მოჭრილი და უახლოვდება XIII საუკუნის ტრაპეზონულ „ასპრებს“... კიდევ უფრო საყურადღებოა პირველი სართულის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ბნელი სათავის იატაკქვეშ აღმოჩენილი ნივთები, ესენია ოქროს, მოოქროვილი ვერცხლისა და ვერცხლის ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ნივთები და მათი ფრაგმენტები, სულ 102 ერთეული, რომელიც ალევის განძის ხელყოფისას, სიჩქარისა და სიბნელის წყალობით შემთხვევით გადარჩენილი ნაშთია: საეკლესიო დროშის ბუნიკი, ოქროს ბეჭედი... და, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, სამეუფეო კარის შემადგენელი ნივთები: ოქროს წნული მავთულისაგან დამზადებული საკეტი და საკიდი, შემკულობის ოქროს დეტალები, მოოქროვილი ვერცხლის ფირფიტისა და ფურცლის ფრაგმენტები, მოოქროვილი ვერცხლის ფირფიტებისაგან გაძარცვული კარის რკინის საფუძვლის ფრაგმენტები, რაც ნათელს ჰფენს, თუ რატომ უწოდებდნენ ალევის სამებას ოქროსკარიანს. სრულიად მართებული აღმოჩნდა ექვთიმეს მინიშნება, სამების კარები ოქროს ფურცლებით უნდა ყოფილიყო შემოსილი და მის გამო მიიღებდა ამ სახელსო.² ასევე დამაჯერებელია პროფესორ ნ. ბახტაძის დასკვნა, რომელიც ეხმიანება ხალხურ გადმოცემას, იმის თაობაზე, რომ ალევის სამების ტაძარი დავით აღმაშენებლის აგებულია. მკვლევრის აზრით, „სავსებით დასაშვებია, რომ ეს თქმულებაც დროთა განმავლობაში ოდნავ ტრანსფორმირებული რეალური მოვლენის გამოძახილი იყოს - გაერთიანებული საქართველოს მეფე დავით IV (აღმაშენებელი) ხომ გამუდმებით ზრუნავდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ახალი ეკლესია მონასტრების მშენებლობაზე და არსებული ტაძრების შემკობა-განახლებაზე; შესაბამისად, საკმაოდ დიდია ალბათობა იმისა, რომ ეს წმინდა გვირგვინოსანი შიდა ქართლის ამ უკვე სახელგანთქმულ სალოცავსაც გულუხვად შეწვეწვროდა - მონასტერი ახალი ნაგებობებით გაემდიდრებინა, ხოლო მისი ტაძარი განეახლებინა და ძვირფასი ხატებით, თუნდაც ოქროთი შეჭედვით სამეუფეო კარებით შეემკო. დიდი მონარქის მიერ მონასტრისადმი გამოჩენილი ასეთი არაორდინალური წყალობის გამო, შესაძლოა მოსახლეობის ისტორიულმა მეხსიერებამ ამ ტაძრის აგების პრიორიტეტი სწორედ მას მიაწერა“.³

¹ ბახტაძე ნ., არქეოლოგიური მონაპოვარი ალევის ყოვლადწმინდა სამების მონასტრიდან, „კადმოსი“ №3, 2011, გვ.130-176

² Такайшвили Е., Археологические экскурсии, Разыскания и заметки, Вып. V, 65

³ ბახტაძე ნ., არქეოლოგიური მონაპოვარი ალევის ყოვლადწმინდა სამების მონასტრიდან, გვ. 150

სამების ეკლესიისკენ ორი გზა მიემართებოდა, ერთი ქსნის ხეობის სოფელ კორინთიდან, მეორე - არაგვის ხეობის ანანურ-ბაზალეთიდან. როგორც ლომისის წმინდა გიორგის, მასაც ორივე საერისთავოს მმართველები მფარველად მიიჩნევდნენ და განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ; მაგალითად, ნიკოლოზ ბერძენიშვილს ალექსის სამების მონახულებისას ეკლესიის სამეუფეო კარზე შეუნიშნავს მისი განმაახლებლის, არაგვის ერისთავის წარწერა, რაც კიდევ ერთი დადასტურებაა იმის, თუ როგორ ზრუნავდნენ არაგველი ხელისუფალნი ეკლესიის ძვირფასეულობაზე. ძლიერნი ამა ქვეყნისანი ძლევა მოსილ სალოცავს, განძთან ერთად, ოდითგან ყმებსა და მამულებსაც სწირავდნენ. ამ მხრივ საყურადღებოა 1465 წლის ალექსის ტაძრის სიგელი, იგი გახლავთ შეწირულობა შალვა ერისთავის, მისი ძის რამაზისა და შვილიშვილის ქვენიფნეველისა სოფელ ოდისში:

„ქ. შენ, შემწესა და შესავდრებელსა ყოველთა დაბადებულთა შენტასა, მე, მინდობილმან ცვა-ფარვათა თქუენტამან, ერისთავმან შალვამ, ჩუენმან ძმამან რამაზ, და ძემან ჩუენმან ქუენიფნეველმან, გკადრეთ და მოგახსენეთ კნინი ესე შესაწირავი წმიდის სამების ალექსისათუის, მამასა, ძესა და წმიდასა სულსა. თქუენტა და თქუენსა ტაძარსა მოსამსახურეთა ალექველთა ჩუენგან, ვისაცა ოდისს ვენახი აქუს ოდისს უკანით, ულაცი არა ეთხოვბოდეს, და პირველსა საწნახელსა ზედა შენტუის საზედაშეთა აიღებოდეს, სხვაი - სამართლიანის დალექვის მეტი ჩუენგან არა გეთხოვბოდეს-რა, რაცა ერდგულად კარკაცობის მეტი არა გეთხოვბოდეს-რა.

თქუენისა ხატის დღეობასა და თქუენსა დღეობასა ზედა ერსა ზედა ჩუენი გამარჯვება ითქმოდეს და ჩუენისა ძმისა ლარგუელისათუის ერთი ხუცესი იწირვებოდეს. ამის გათავებასა შიგან ჩუენგან ასე გაუთავდეს.

ამისი მოწამენი არიან ჩუენისა კარისა აზნაურისშვილნი ფალენდისშვილი გიორგი, ხმალაძე ლომი, მეჯინბეთუხუცესი გოსთმა, მოურავი გუნდღიერი მამისა.

მე, ზურიელიშვილს გიორგის დამიწერია და მოწამეცა ვარ.

დაიწერა ქორონიკონს რნგ, ოკლომბერს, წელსა 1465.

შალვა

რამაზ.“¹ ამიტომაც იყო, რომ სამების ეკლესიას რამდენიმე სოფელში ჰყავდა ყმები, მდიდარი იყო სახნავ-საძოვრებით...

1844 წლის 15 აგვისტოს ალექსის მთაზე სამებობის დღესასწაულზე იმყოფებოდა ცნობილი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომლის და ეკატერინე ქსნის ერისთავთა შთამომავალს რევაზ ერისთავს ჰყავდა ცოლად. ტატიომ ქსნის ხეობელებთან ერთად მოილოცა სამების სალოცავი: „მე და მამა ალევობას... ვეწვივენით კატოს. მანანა (ორბელიანი - და) და ელენეც გარდმოვიდნენ სალოცავად. საუცხოვო ჯვარობა იყო. ახალგორითგან თორმეტი ვერსტია, მაღალს მთაზედ.“ - წერდა პოეტი ბიძას ზაქარია ორბელიანს.² როგორც დიდი პოეტის ამ წერილიდანაც ჩანს, სამების დღესასწაულს ალევობის სახელით აღნიშნავდნენ ქსნის ხეობელები. ალევობა განსაკუთრებული დღესასწაული იყო ზოგადად, ქართლის მთიანეთში.

თვითონ სოფელი ალევი ყველა დროში, ყველა ეპოქაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და ქართველ მეფეთა თვალსაწიერშიც ხშირად ექცეოდა. გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ სწორედ აქ შეჩერებულა 1724 წელს რუსეთისაკენ მიმავალი ვახტანგ VI.³

ალექსის წარსულზე, იქ მცხოვრებ მოსახლეობასა და მათ გადასახადებზე საუბრისას, მინდა ყურადღება გავამახვილო XVII საუკუნით დათარიღებულ ერთ მნიშვნელოვან წყაროზე, რომე-

¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი II, 1897, 287; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტომი III (XV საუკუნის მეორე ნახევარი), თბ., გვ.2014

² ბარათაშვილი ნ., პოეზია, წერილები, ტ., I, თბ., 2012, გვ.125

³ იხ., დონდუა ვ., საისტორიო ძიებანი (ფეოდალური საქართველო), ტ., I, 1967, გვ. 146

ლიც მიგვანიშნებს, რომ ეს სოფელი წილკნის საეპისკოპოსოს დაქვემდებარებაში იყო და გარკვეული სარგო ჰქონდა დაკისრებული:

„წილკნელის სარგო ქსნის საერისთავოში:

ქ. ა ლ ე ვ ს: ღვდელს ერთ ღლეს კარგი მასპინძლობა. სახუცო ხარი ორი, ცხვარი ორი. კომლზედ დრამა შულო ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე, საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრეთვე იმათი მეუღლისა, ერთი საწირავი მიაართონ. საკანონო, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით. ამას ზევით წილკნელს ხელი არ(ა) აქვს. მ ი რ ზ ა - შ ვ ი ლ (ს) ქსანზე საქმე არა აქვს, არც ანანურს ზევით მ თ ა შ ი.¹

ბოლო წინადადება სხვა ხელით ყოფილა მიწერილი. როგორც ჩანს, მირზაშვილი უსამართლოდ იღებდა სარგოს ქსნისა და არაგვის ხეობის მცხოვრებთა გარკვეული ნაწილისგან და მიანიშნებს, რომ ქსანზე და ანანურს ზევით მთაში არაფერი ესაქმებოდა. იგი არაგვის საერისთავოში მამამთავარის სტატუსითაა მოხსენიებული: „რა ჟამს არა(ა)გვის ერისთვის მამულში სარჯულაგზედ წილკნელი შებრძანდეს, იხმოს მამამთავარი მირზაშვილი (ხაზგასმა ჩვენია - დ.ა.), ჯვარის მტვირთველ(ი) და საყდრის კრებულნი ორმოცნი ცხენოსანი მსახურნი, მიბრძანდეს არაგვის ერისთავთან დუშეთს“... აზნაურ მირზაშვილების საცხოვრებელი კი იმ დროისთვის ფრეხეთი ყოფილა.² ზაქარია ჭიჭინაძის მიხედვით, მირზაშვილები წარმოშობით ქიზიყიდან არიან (შავშელი, 1906). თვითონ სოფელი მირზაანი, როგორც ვიცით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარეობს. აქედან გახლდათ დიდი ქართველი მხატვარი ნიკო ფიროსმანი. ამ გვარის წარმომადგენლების აზნაურობას მიგვანიშნებს 1770 წლით დათარიღებული კიდევ ერთი სიგელი, რომელიც გახლავთ განჩინება დავით და ნიკოლოზ მირზაშვილების სასიხლო საქმეზე. ნიკოლოზ მირზაშვილი, რომელიც მღვდელი იყო, გვარით შუა აზნაურშია აღირიცხაო - ვკითხულობთ წყაროში.³ როგორც წილკნელის სარგოდან ჩანს, სხვადასხვა სახის გადასახადები იყო სასულიერო პირთათვის, სოფლის მოხელეთათვის და რიგითი მოსახლეობისთვის. არაა გასაკვირი, რომ იმ პერიოდისთვის, მღვდელი და მითუმეტეს, ალევის სამების ტაძარში მოღვაწე, სოციალური მდგომარეობით მნიშვნელოვნად აღემატებოდა რიგით მეთემეებს.

1774 წლის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობის მიხედვით, ალევში 26 კომლია, 24 კომლი მკვიდრი მოსახლეობა, 1 კომლი ბოგანო - სამეგურელი გამიხარდის შვილი ბერი და გოგია, 1 კომლი ხიზანი - რევან ამილახვრის ყმა ჭალელი მეღამურის შვილი ივანე. 2 ოჯახი მემკვიდრის ობლების რიგშია აღნუსხული და ცალკე კომლებად არ იწერებიან. მთლიანობაში სოფელში ფიქსირებულია 28 ოჯახი და 43 მამრობითი სქესის წარმომადგენელი:

„ალევს ქსნის ერისთავის ყმა

ქ: ნათაძე ჯამრის შვილი კომლი. ა. თავი გ. მოურავი სამხარაული ელისბარ და ივანე

აქავ დათუნის შვილი კომლი ა თავი ა მახარა

აქავ ნათაძე გიორგის შვილი კომლი ა თავი ბ შიო და გოგია

აქავ ნათაძე იმედას შვილი კომლი ა თავი ა იმედა

აქავ ხუციანიძე ყოჩის შვილი კომლი ა თავი ა თადილა

აქავ ხუციანიძე გიორგის შვილი კომლი ა თავი ა პატარკაც

აქავ ჯორელიძე ბერის შვილი კომლი ბ მამუკა და შიო

აქავ ნათაძე ბასილის შვილი კომლი ა თავი ა თათარა

აქავ ქიტაური ბასილას შვილი კომლი ა თავი გ დარჩია ოთარა და კურდღელა

აქავ ზანდუკელი ნიკოლას შვილი კომლი ა თავი ა ბერი

აქავ ზანდუკელი თანდილას შვილი კომლი ა თავი ბ ნადირი და კაცია

აქავ ზანდუკელი თანდილას შვილი კომლი ა თავი ბ გიორგი და მახარა

¹ ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი II, თბ., 1974: 37; ქსმ, ტ., III, 1970, გვ. 562-563

² ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი II, 30-31

³ ქსმ, ტ., IV, 1972, გვ.601

აქავ ზანდუკელი ფოცხვერას შვილი კომლი ა თავი ა გარსევან
 აქავ სისოური წითურის შვილი კომლი ა თავი ა ღავითა
 აქავ სისოური თანდილას შვილი კომლი ა თავი ა ზურაბა
 აქავ ნათაძე პაპუას შვილი კომლი ა თავი ბ გიორგი და ელისბარ
 აქავ ნათაძე ბერის შვილი კომლი ა თავი ა მღვდელი ივანე
 აქავ ნათაძე გოდერძის შვილი კომლი ა თავი ბ როსტეკან და გამიხარდი
 აქავ გაბრიელანთ ნადირის შვილი კომლი ა თავი ა გიორგი
 აქავ მილაძე ზაზას შვილი კომლი ა თავი ბ პატარკაცი და შიო
 აქავ მილაძე ბერის შვილი კომლი ა თავი ბ თამაზა და გიორგი
 აქავ ლუნანთ შემაზას შვილი კომლი ა თავი ბ კურდღელა და თადილა
 აქავ ლუნანთ იმედას შვილი კომლი ა თავი ა გიორგი
 აქავ ლუნანთ ნიკოლას შვილი კომლი ა თავი ბ ივანე და გიორგი
 აქავ ხელვარაძე გიორგის შვილის ქორხორას ობოლი თავი ა მაისა
 აქავ ლუნანთ მამუკას შვილის თამაზას ობოლი თავი ა მამუკა
 აქავ ბოგანო საძეგურელი გამიხარდის შვილი კომლი ა თავი ბ ბერი და გოგია
 აქავ ხიზანი ამილახვრის რევაზის ყმა ჭალელი მელამურის შვილი კომლი ა თავი ა ივანე
 იქნა მემკვიდრის ჯამი კომლი. კდ. თავი ლჰ
 იქნა მემკვიდრის ობლის ჯამი თავი ბ
 იქნა ბოგანოს ჯამი კომლი ა თავი ბ
 იქნა ხიზნის ჯამი კომლი ა თავი ა".¹

აღწერით ჩანს, რომ მკვიდრი მოსახლენი არიან: ნათაძეები, დათუნიშვილები, ხუციანიძეები, ჯორელიძეები, ქიტაურები, ზანდუკელები, სისოურები, გაბრიელაშვილები, მილაძეები, ლუნაშვილები, ხელვარაძეები. ყველაზე მეტი ნათაძეები არიან - 7 კომლი. პირველ კომლად აღწერილია „ქ. ნათაძე ჯამრის შვილი კომლი ა. თავი გ. მოურავი სამხარაული ელისბარ და ივანე“. გარდა იმისა, რომ ამ ოჯახში ნახსენებია მოურავი სამხარაული, ეს კომლი იმითაცაა საყურადღებო, რომ ნათაძისგან მომდინარე ჩანს გვარი - ჯამრისშვილი. ვიდრე მომდევნო აღწერას გავაანალიზებთ, მინდა ყურადღება გავამახვილო ნათაძეების კიდევ ერთ კომლზე, სადაც მოხსენიებულია „მღვდელი ივანე“... როგორც წილკნელის სარგოზე საუბრისას აღვნიშნე, მღვდელი სოფლის სხვა მაცხოვრებლებისგან სტატუსით აღმატებული უნდა ყოფილიყო. ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობები არ იძლევა იმის საშუალებას, განვსაზღვროთ, რა გადასახადს იხდიდა მოსახლეობა, იყო თუ არა, სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე კომლებს შორის განსხვავებული გადასახადები, მაგრამ, მღვდლის ოჯახი XVIII საუკუნის მეორე ნახევარშიც დაწინაურებული უნდა ყოფილიყო.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ვ. ითონიშვილმა: „ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ ხსენებული პირები (საუბარია მღვდლებზე - დ.ა.) თავისი სოციალური მდგომარეობით რამდენადმე აღმატებოდნენ რიგით მეთემებს, ვინაიდან „ნეტარხსენებული მეფის ვახტანგის განწესებულის სამართლის წიგნისა ძალით გლეხის კაცის შვილი მღვდელი რომ იყოს, ცალმოგვის აზნაურის სისხლი გაუჩნდება“... მაგრამ ასეთი პრივილეგირებული მდგომარეობის მიხედვით, 1774 წლის აღწერაში დასახელებული მთიული და გუდამაყრელი მღვდლები (არაგვის საერისთავო - დ.ა.) მაღალ სოციალურ წოდებას არ შეიძლება მივაკუთვნოთ. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია საკუთრივ აღწერის მონაცემები, რომელთა გაცნობა ცხადყოფს, რომ მღვდლის მოვალეობის შესრულების კვალობაზე, ამა თუ იმ „გლეხის კაცის შვილის“ მიერ გარკვეული იურიდიული უპირატესობის მოპოვება მისი სოციალური სტატუსის შეცვლის უცილობო პირობას არ წარმოადგენდა. საყურადღებოა, რომ 1774 წლის აღწე-

¹ თაყაიშვილი ე., ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა (ქსსა), სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, თბ., 1951, გვ.49-50

რაში ზემოხსენებული სასულიერო პირები (მღვდლები), სხვა „გლეხის კაცთა“ მსგავსად, სწორედ გლეხთა კატეგორიაში არიან აღრიცხულნი, რაც თავისთავად მათი დაბალი სოციალური კუთვნილების უტყუარ საბუთად შეიძლება მივიჩნიოთ.¹ მართალია ეს მსჯელობა კონკრეტულად არაგვის მთიულეთს და გუდამაყარს ეხება, მაგრამ სრულიად მისასადაგებელია თანადროული ქსნის საერისთავოსთვისაც, სადაც მღვდლები ასევე გლეხთა კატეგორიას მიეკუთვნებიან. მართალია მღვდლის სტატუსი ყველა მათგანს ერთ სოციალურ საფეხურზე აყენებდა და თანაბარ უფლებებს ანიჭებდა, მაგრამ, საფიქრებელია, საზოგადოების დამოკიდებულება მღვდლებს შორის გარკვეული განსხვავებას ქმნიდა იმის მიხედვით, თუ ვინ რომელ ეკლესიას ემსახურებოდა. სავარაუდოდ, ალევის მცხოვრებთა შორის მოხსენიებული ივანე მღვდელი სწორედ სამების ეკლესიის მსახური უნდა ყოფილიყო, ასეთი პირი კი ყოველთვის, ყოველ დროში გამორჩეული და დაფასებული იქნებოდა, იმის მიუხედავად, რომელ სოციალურ ფენაში მოიხსენიებდნენ...

1783 წლის აღწერით მკვიდრ მოსახლეთა ჯამი უკვე 38-ია. მხოლოდ ერთი კომლია ხიზანი - ბასილას შვილი აღდგომელა, სულ 51 მამრობითი სქესის წარმომადგენლით...

რაც შეეხება გვარებს, კვლავინდებურად ვხვდებით ნათაძეებს, გაბრიელაშვილებს, ლუნაშვილებს, ყოჩიშვილებს, დათუნიშვილებს, მილაძეებს, ჯო(რ)ელიძეებს, ასევე: ხერხელაძეებს (შემდგომში ხერკელაძე), წითურიძეებს, ფოცხვერიშვილებს, ნიკოლოზიშვილებს, ბასილაშვილებს, ქერუაშვილებს, თადილაშვილებს, ზანგურებს, ბუნტურებს, ბეჟუაშვილებს, კირკიტიშვილებს, ბუთხუხებს... მღვდელი ივანე კი ახალ აღწერაში იოანეაა მითითებული, მასთან ერთად კომლში კიდევ ორ მამრობითი სქესის წარმომადგენელია - გოგია და შოშია.² ქსნის საერისთავოს მესამე აღწერაში ალევი ორ სოფლადაა წარმოდგენილი, კომლები გაყოფილია, პირველ სიაში, რომელსაც თავში მითითებული აქვს, რომ წარმოადგენს სამხარაულის ჯამრის შვილის მახარებლის სახელოს, ანუ სამოურავოს - 29 კომლია, მეორეში - 11. ხერხელაძეები უკვე ხერკელაძეებად იწერებიან. მეორე აღწერისგან განსხვავებით ალევის მოსახლეთა ჯამი 40-ია, დამატებულია ორი კომლი: „ქ. ნათაძე მახარებლის შვილი „ თავი ა, გიორგი“ და „ქ. ყოჩის შვილი „ თავი ბ, პატარკაცი, ბერი“.³

თუ 1774 და 1783 წლების აღწერებს დავაკვირდებით, ნათელი გახდება, რომ ხერკელაძის ძირი გვარი ხელვარაძეა, წითურიძეები (შემდგომში მწითურები) სისოურებისგან მოდიან, ფოცხვერაშვილები და ნიკოლოზიშვილები - ზანდუკელებისგან, ყოჩიშვილები - ხუციანიძეებისგან... მთელ რიგ შემთხვევებში საქმე გვაქვს გვარების მნიშვნელოვან ცვლილებებთან. მამიშვილობა ახალი გვარის წარმოქმნის საფუძველი ხდება.

ქართლ-კახეთის 1794-1799 წლების აღწერაში ალევი მეფის ძის იოანეს სააზნაურო სოფლების სიაშია.⁴

1803 წლის იოანე ბატონიშვილის საუფლისწულო აღწერის შეჯამებით ცნობებში ალევის მოსახლეობის შესახებ ცნობებს ვერ ვხვდებით.⁵ პირველი რუსული კამერალური აღწერის მიხედვით კი ალევში 33 ოჯახს უცხოვრია, ისინი სამების ეკლესიის ყმები არიან და ყველა მათგანი ქართველია:

1) მღვდელი შიო ნათაძე, 9 მამაკაცი, 5 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, 33 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 25 თივა, 1 ბალი, 194 თუნგი ღვინო, გადახდილი არაფერი არ აქვს.

¹ ითონიშვილი ვახტ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XIV-XVIII საუკუნეებში (მთიულეთი და გუდამაყარი), თბ., 2001, გვ.117-118

² თაყაიშვილი ე., ქსნა, გვ. 21-22

³ ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი 1, დემოგრაფიული ძეგლები, თბ., 1967, 239

⁴ ბაგრატიონი იოანე, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ.36

⁵ იხ., Акты, собранные Кавказской археографической комиссией: Том VII. Тифлис, 1878

- 2) მღვდელი ივან ნათაძე, 10 მამაკაცი, 12 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 30 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 15 თივა, 1 ბალი, 240 თუნგი ღვინო, გადახდა 2 კოდი ხორბალი, 1 ცხვარი, 12 თუნგი ღვინო, სულ: 3 მანეთი და 80 კაპიკი.
- 3) ნინია ნათაძე შვილი, 7 მამაკაცი, 8 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, 15 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 20 თივა, 1 ბალი, 240 თუნგი ღვინო. გადახდილი აქვს ასევე 3 მანეთი და 80 კაპიკი.
- 4) მელია ნათაძე შვილი, 9 მამაკაცი, 7 ქალი, 7 დღის სახნავი მიწა, 10 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 20 თივა. გადახდილი აქვს ასევე 3 მანეთი და 80 კაპიკი.
- 5) ხლახა (გლახა - დ.ა.) მეკოგაშვილი, 6 მამაკაცი, 2 ქალი, 6 დღის სახნავი მიწა, 10 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 10 თივა, 1 ბალი, 194 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 3 მანეთი და 80 კაპიკი.
- 6) ბერი მეკოგაშვილი, 9 მამაკაცი, 9 ქალი, გადახდილი აქვს ასევე 3 მანეთი და 80 კაპიკი.
- 7) პატარკაცი თანდილა შვილი, 10 მამაკაცი, 5 ქალი, 12 დღის სახნავი მიწა, 15 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 3 თივა, 1 ბალი, 148 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 3 მანეთი და 80 კაპიკი.
- 8) გიორგი ბასილაშვილი, 6 მამაკაცი, 20 ქალი, 10 დღის სახნავი მიწა, 10 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 16 თივა, 1 წისქვილი, მოჰყავს 18 კოდი პური, 3 ბალი, 255 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 3 მანეთი და 80 კაპიკი.
- 9) ბერი ნიკოლა შვილი (ნიკოლიშვილი - დ.ა.), 8 მამაკაცი, 8 ქალი, 12 დღის სახნავი მიწა, 20 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 12 თივა, 1 წისქვილი, მოჰყავს 15 კოდი პური, 1 ბალი, 84 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 2 კოდი ხორბალი, 1 ცხვარი, 12 თუნგი ღვინო, სულ: 3 მანეთი და 80 კაპიკი.
- 10) მახარა კეროა შვილი (ქერუა(ს)შვილი - დ.ა.), 1 მამაკაცი, 1 ქალი, 5 დღის სახნავი მიწა, 7 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 8 თივა. გადახდილი აქვს ასევე 3 მანეთი და 80 კაპიკი.
- 11) დავით ციტუნაშვილი (მწითური? - დ.ა.), 14 მამაკაცი, 14 ქალი, 9 დღის სახნავი მიწა, 15 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 5 თივა, 2 ბალი, 120 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 4 კოდი ხორბალი, 2 ცხვარი, 24 თუნგი ღვინო, სულ: 7 მანეთი და 60 კაპიკი.
- 12) ელიზბარ ჯიორელიძე (ჯორელიძე-დ.ა.), 5 მამაკაცი, 2 ქალი, 5 დღის სახნავი მიწა, 10 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 10 თივა, გადახდილი აქვს 2 კოდი ხორბალი, 1 ცხვარი, 12 თუნგი ღვინო. სულ: 3 მანეთი და 80 კაპიკი.
- 13) პეტრე ნათაძე შვილი, 12 მამაკაცი, 8 ქალი, 11 დღის სახნავი მიწა, 10 თივა. გადახდილი აქვს ასევე 3 მანეთი და 80 კაპიკი.
- 14) გიორგი გაბრიელა შვილი, 10 მამაკაცი, 13 ქალი, 1 ბალი, ღვინო 240 თუნგი, გადახდილი აქვს ასევე 3 მანეთი და 80 კაპიკი.
- 15) გრიგოლ მილაძე შვილი, 23 მამაკაცი, 21 ქალი, 20 დღის სახნავი მიწა, 8 თივა, 3 ბალი, 480 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 3 მანეთი და 80 კაპიკი.
- 16) ჰეპა კირკიჩაშვილი (პაპა კირკიტი(ს)შვილი?-დ.ა.) 5 მამაკაცი, 5 ქალი, 23 დღის სახნავი მიწა, 8 თივა. გადახდილი აქვს ასევე 3 მანეთი და 80 კაპიკი.
- 17) ნინია ბუთხუზიშვილი, 2 მამაკაცი, 2 ქალი, 10 დღის სახნავი მიწა, 6 თივა. გადახდილი აქვს 2 მანეთი.
- 18) გიორგი ზანგურიშვილი, 4 მამაკაცი, 5 ქალი, 12 დღის სახნავი მიწა, 8 თივა. გადახდილი აქვს 2 მანეთი.
- 19) ვასილი ბუთხუზიშვილი, 4 მამაკაცი, 5 ქალი, 22 დღის სახნავი მიწა, 8 თივა, 1 წისქვილი, მოჰყავს 12 კოდი პური. გადახდილი აქვს ასევე 2 მანეთი.

20) ნინია ბუთხუზიშვილი, 5 მამაკაცი, 6 ქალი, 40 დღის სახნავი მიწა, 8 თივა, 1 წისქვილი, მოჰყავს 12 კოდი პური. გადახდილი აქვს 2 მანეთი.

21) ოსიპ (ოსია დ.ა.) ზანგურაშვილი, 3 მამაკაცი, 5 ქალი, 30 დღის სახნავი მიწა, 8 თივა, 1 წისქვილი, მოჰყავს 10 კოდი პური. გადახდილი აქვს 2 მანეთი.

22) მახარაბელი ქენქაძე შვილი, 5 მამაკაცი, 4 ქალი, 20 დღის სახნავი მიწა, გადახდილი აქვს 2 მანეთი.

23) შიო გენა შვილი (ლუნაშვილი - დ.ა.) 36 მამაკაცი, 27 ქალი, 28 დღის სახნავი მიწა, 6 თივის ზვინი, 1 წისქვილი საკუთარი პურის დასაფქვავად, 1 ბალი, 480 თუნგი ღვინო. გადახდილი აქვს 6 კოდი ხორბალი, 3 ცხვარი, 36 თუნგი ღვინო, სულ: 11 მანეთი და 40 კაპიკი.

24) იმედა ნათაძე შვილი, 16 მამაკაცი, 7 ქალი, 30 დღის სახნავი მიწა, 20 თივა, 1 წისქვილი საკუთარი პურის დასაფქვავად, 1 ბალი, 240 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 3 კოდი ხორბალი, 1 ცხვარი, 12 თუნგი ღვინო, სულ: 4 მანეთი და 60 კაპიკი.

25) დავით ჯიგურაშვილი (ჯიქურაშვილი - დ.ა.), 17 მამაკაცი, 10 ქალი, 30 დღის სახნავი მიწა, 20 თივის ზვინი, 1 წისქვილი საკუთარი პურის დასაფქვავად, 4 მანეთი და 80 კაპიკი.

26) გოგია ღირასვაშვილი, 6 მამაკაცი, 5 ქალი, 25 დღის სახნავი მიწა, 20 თივა, 1 წისქვილი, მოჰყავს 10 კოდი პური. გადახდილი აქვს 5 მანეთი და 80 კაპიკი.

27) პიცინა ჩოგო შვილი, 3 მამაკაცი, 3 ქალი, 10 დღის სახნავი მიწა, 10 თივა, 1 წისქვილი, მოჰყავს 10 კოდი პური. გადახდილი აქვს 5 მანეთი და 80 კაპიკი.

28) ოსიპ (ოსია) კერიგლაშვილი, 4 მამაკაცი, 3 ქალი, 7 დღის სახნავი მიწა, 10 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 30 თივა, გადაიხდა 9 თუნგი ღვინო, 1/2 კოდი ხორბალი, 1 ბატკანი, სულ: 2 მანეთი და 10 კაპიკი.

29) ხაცი ხინჩაგაშვილი, 8 კაცი, 12 ქალი, 20 დღის სახნავი მიწა, 20 თივა, 1 წისქვილი. გადახდილი აქვს 4 მანეთი და 80 კაპიკი.

30) შიო ყაბანაშვილი, 6 მამაკაცი, 4 ქალი, 15 დღის სახნავი მიწა, 10 თივა, 1 წისქვილი, მოჰყავს 9 კოდი პური. გადახდილი აქვს 1 მანეთი და 60 კაპიკი.

31) ნინია დათუნაშვილი, 1 მამაკაცი, 2 ქალი, 20 დღის სახნავი მიწა, 10 თივა, გადაიხდა 1 კოდი ხორბალი, 6 თუნგი ღვინო და 1 ბატკანი, სულ: 2 მანეთი და 20 კაპიკი.

32) გოგი ყაბანაშვილი, 2 მამაკაცი, 2 ქალი. მიწა არა აქვს და არაფერი გადაუხდია. გამოუმავებაზუა.

33) ივან გოგოლაური შვილი, 4 მამაკაცი, 2 ქალი. მიწა არა აქვს და არაფერი გადაუხდია. ასევე გამოუმავებაზუა.

სულ ალევში უცხოვრია 270 მამაკაცს, 244 ქალს, მათ მფლობელობაშია 461 დღის სახნავი მიწა, 205 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 13 წისქვილი, 372 თივის ზვინი, 18 ბალი, აწარმოებენ 3109 თუნგ ღვინოს, ეკლესიისთვის გადახდილი აქვთ 112 მანეთი და 10 კაპიკი.¹

XIX საუკუნის დასაწყისში, XVIII საუკუნის 70-80-იან წლებთან შედარებით სულთა რაოდენობა გაზრდილია, კომლთა რაოდენობა კი შემცირებული. საქმე იმაშია, რომ ალევში ოჯახები საკმაოდ მრავალრიცხოვანია, მაგალითად, შიო ლუნაშვილის ოჯახში 63 ადამიანი ცხოვრობდა... რუსულ აღწერაში რამდენიმე უცხო გვარს ვხვდებით: მეკოგაშვილი, ჯიგურაშვილი, ღირასვაშვილი, კერიგლაშვილი... ზოგი უზუსტობა ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერილობებთან შედარებით დავაზუსტეთ. მეთვრამეტე საუკუნეში ალევის მკვიდრთა შორის ვხვდებით ყოჩიშვილებს, ხერკელაძეებს, თითო კომლს - ბეჟუაშვილებს, ბუნტურებს, ფოცხვერიშვილებს... 1804 წლის აღწერაში ეს გვარები არ ჩანს, სავარაუდოდ, შეცდომითაა მითითებული.

აღწერაში რამდენიმე სოფლის მაცხოვრებლები ალევის მცხოვრებთა შორის მოიხსენიებიან, სხვა სოფლები ცალკე არაა აღწერილი. აქ ნახსენები ლუნაშვილები, გაბრიელაშვილები და მი-

¹ გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გიემ), ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ., შემოსული 1956 წელს, №7486; გვ. 31-36

ლაძეები, ძირითადად, ქვემო ალევში ცხოვრობდნენ, შემდეგ დაემატათ ხერკელაძეები სოფელ ხერკელაანთან, საბიაშვილები - ჭორჭოხიდან, დანარჩენი გვარები ცხოვრობდნენ შუა ალევში, გუდაწვერში, ყოჩიანში... მდინარე ალევას (რომელსაც ადგილობრივები „ბუათს“ ეძახდნენ) ხეობაში იყო სოფლები გრუვი, გლუ, ციხისოფელი...

სხვადასხვა დროს ალევსა და მის სიახლოვეს მდებარე სოფლების მკვიდრი იყვნენ: ნიკოლიშვილები, თათარაშვილები, ჯამრიშვილები, ბასილაშვილები, თანდილაშვილები, მწითურები, ნათაძეები, ოდიშვილები, ყოჩიშვილები, წიპტაურები, ჩიტიშვილები, ცხომელიძეები, პაპაშვილები, ზანგურაშვილები, ბუთხუხები და სხვები. მათი გარკვეული ნაწილი სოფელ კორინთაში ჩასახლდა.

რ. თოფჩიშვილის მიხედვით, ალევში მცხოვრები ლუნაშვილები ჭართლიდან უნდა იყვნენ გადმოსულები: „გეოგრაფიულადაც ჭართალი და ალევას ხეობა ერთმანეთს ეკვრის. ლუნაშვილების ძირი-გვარი ლალიაშვილია. ჭართლიდან ამ გვარის გადმოსახლების მიზეზი ბატონის მკვლელობა ყოფილა“.¹ ქსნის საერისთავოს 1774 წლის სტატისტიკურ აღწერილობაზე დაკვირვებით, მკვლევარი მათ მიგრაციას XVII საუკუნით ათარიღებს. 1804 წლის ანანურის მაზრის აღწერილობაში ს. ჭალის სოფელი ლალიანთ-კარის სახელითაა მითითებული, 1816 წლის აღწერით კი - პაპიანის სახელით.²

რ. თოფჩიშვილი მთიულეთიდან გადმოსულებად მიიჩნევს ქსნის ხეობაში დამკვიდრებულ ნათაძეებსაც: „მათი დედაგვარი ნაზლაძე ყოფილა... თავის მხრივ ნათაძეებს სხვა გვარიც გამოყოფიათ. შიდა ქართლის სოფელ ქვემო ჭალაში (ლესურას ხეობა) საჩალელები ცხოვრობენ, რომელთა აღრინდელი გვარი ნათაძე ყოფილა. ეთნოგრაფიული მასალა: „საჩალელი თავისი წარმოშობით ნამდვილი გვარი არ არის. ჩვენ გვარად ნათაძე ვყოფილვართ. ჩვენი უფროსი საჩალედან გადმოსულა. ამის შემდეგ ჩვენი გვარი საჩალელი გახდა“.³

შესამჩნევია, რომ აღწერაში უკვე ორი ოჯახია ისეთი, სადაც სასულიერო პირები ცხოვრობენ: მღვდელი შიო ნათაძე, რომლის ოჯახშიც 9 მამაკაცი და 5 ქალია და მღვდელი ივანე ნათაძე, მის ოჯახში 10 მამაკაცი და 12 ქალია მითითებული. შიოს გადასახადი არ გადაუხდია, ივანე კი იმავე რაოდენობის გადასახადს იხდის, რა რაოდენობასაც ზოგიერთი სხვა მეკომური იხდიდა. სოციალური განსხვავება სასულიერო პირებსა და სხვა მეთემეებს შორის არ იკვეთება. არიან ოჯახები: გოგი ყაბანაშვილის და ივანე გოგოლაურის, რომლებსაც მიწა არა აქვთ და არც გადასახადს იხდიან. როგორც ჩანს, ისინი სოფელში ახალდამკვიდრებულები არიან. ალევი ასევე გამორჩეულია სახნავად გამოსაყენებელი მიწების რაოდენობით, 461 დღის სახნავი მიწა აქვთ, მიწების ნაწილს სათიბად იყენებდნენ, სოფელში, აღწერის მიხედვით, 372 თივა ითიბებოდა. ჰქონდათ ვენახები და აწარმოებდნენ 3109 თუნგ ღვინოს, გადასახადს იხდიან როგორც ფულის სახით, ისე ნატურით: პურით, ხორბლით, ღვინით, ცხვრითა და ბატკნით... მიწათმოქმედების განვითარებაზე მიგვანიშნებს ისიც, რომ შეიმჩნევა წისქვილების დიდი რაოდენობა, ერთი სოფლისთვის 13 წისქვილი ცოტა არაა. მთლიანობაში ეკლესიისთვის გაღებული თანხაც, იმ დროის კვალობაზე სოლიდურია - 112 მანეთი და 10 კაპიკი, რაც დაახლოებით 112 ცხვარს უდრიდა...

1804 წლისგან განსხვავებით, როცა ალევის მოსახლეობა სამების ყმები იყვნენ, სამი წლის შემდეგ მდგომარეობა შეცვლილა. ქსნის ერისთავები იბრუნებენ რა საერისთავოს მამულებს, შესაბამისად, დროთა განმავლობაში ყმა-გლეხებსაც ინაწილებენ. 1807 წლის 1 ივნისის

¹ თოფჩიშვილი რ., ქსნის ხეობის მოსახლეობის ზოგიერთი ეთნოისტორიული საკითხი (XVIII-XX სს.), „მაცნე“, ისტორიის სერია, №4, თბ., 1987, გვ. 37; თოფჩიშვილი რ., საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის (შიდა ქართლის მთის მოსახლეობის მიგრაციის ეთნოისტორიული საკითხები), თბ., 2002, გვ.17

² ითონიშვილი ვახტ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1992, გვ.54-55; საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 254, ან., 1, საბუთი, №77; საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 254, ან., 1, საბუთი №436, ფურცელი 72

³ თოფჩიშვილი რ., საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის, გვ.18

მიხეილ და შანშე ერისთავების გაყრის წიგნის მიხედვით, სადაც საუბარია აზნაურების, გლეხებისა და მამულების გაყოფაზე, ქვემო ალევი თავისი მამულითა და მოსახლე კაცით, რამდენიმე სხვა სოფელთან ერთად, „საუფროსოდ“ მიხეილს და მის ძმებს სვდათ წილადა. ¹

ცნობილი ეთნოგრაფი ს. მაკალათია, რომელიც ქსნის ხეობაში მოგზაურობისას სოფლების დემოგრაფიულ ვითარებაზეც ამახვილებს ყურადღებას, ალევის მოსახლეთა შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ მიგვანიშნებს სამების ძლევაძოსილი ეკლესიის იმ საყოველთაო პოპულარობაზე, რომლითაც იგი მთელ ქართლში სარგებლობდა და უტოლდებოდა ლომისის წმინდა გიორგის სალოცავს. ლეგენდას ოქროს კარიანობაზე კი უკავშირებს ეკლესიის განძს და არა უშუალოდ კარებს... მის ღროს (საუბარია გასული საუკუნის 60-იან წლებზე), როგორც ჩანს, ქსნისა და არაგვის ხეობელთა ერთ-ერთ უპირველეს სალოცავს სათანადო ყურადღება აღარ ექცეოდა: „ალევის სამების ეკლესია რაიმე ღირშესანიშნოებას არ წარმოადგენს არც ნაგებობითა და არც გაფორმებით, იგი ახლა დანგრევის პირასაა მისული“. ² კომუნისტების მართველობის პერიოდში უჩვეულო არ იყო სალოცავებისადმი უყურადღებობა და უპატივცემულობა.

კიდევ უფრო სამწუხაროა ალევის მდიდარი ხეობის დღევანდელი რეალობა; 2002 წლის აღწერის მონაცემებით, კორინთის თემის სოფელ ქვემო ალევში 81 ადამიანი ცხოვრობდა, 40 მამაკაცი, 41 ქალი, შუა ალევში - 53 (26 მამაკაცი, 27 ქალი), ყოჩიანში - 11 (5 მამაკაცი, 6 ქალი), გუდაწვერში - 13 (7 მამაკაცი, 6 ქალი), გლუს თემის სოფელ გლუში - 5 (3 მამაკაცი, 2 ქალი), ზემო ღრუში - 8 (4 მამაკაცი, 4 ქალი), ქვემო ღრუში - 6 (4 მამაკაცი, 2 ქალი), ციხისოფელში და ხერკელაანში მოსახლეობა აღარ ცხოვრობდა.³ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ალევის ხეობაში ბევრი სოფელი ნასოფლარადაა ქცეული. ვითარება ყოველდღიურად უფროდაუფრო სავალალო ხდება...

თუმცა, ჩვენდა სანუგეშოდ ისიც უნდა ითქვას, რომ 2006 წელს ალევის ტაძარსა და გალავანს მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მოხდა ძეგლის რეაბილიტაცია, აღდგენილი იქნა დაზიანებული ნაგებობები, ძველი იერსახის შესანარჩუნებლად ეკლესია გადაიხურა მწვანე კრამიტით...

მართალია, XV საუკუნის დასაწყისში, საქართველოს რვაგზის ამოხრებლის თემურ-ლენგის ქსნის ხეობაში შემოსვლის შემდეგ ⁴ ალევის მონასტერში ბერ-მონაზვნული ცხოვრება შეწყდა, თუმცა მოგვიანებით, ისევ აღორძინდა... კომუნისტური მართველობის ჟამს ტაძარი დაზიანდა და ძველი დიდებაც თითქოს სადღაც გაქრა, მაგრამ მესამე ათასწლეულის დასაწყისში, 2007 წელს, ღვთის კაცთა მონდომებითა და ძალისხმევით ალევის სამების კომპლექსის ტერიტორიაზე სასულიერო ცხოვრება განახლდა. ამჯერად იქ მამათა მონასტერი ფუნქციონირებს მამა იოანეს ხელმძღვანელობით.

¹ გსიემ, 1956, გვ.გ433-434

² მაკალათია ს., ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, ვ.94

³ საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა), ტ. II, თბ., 2003, გვ.118

⁴ შედეგები იხ., ახლოური დ., თემურ-ლენგის ლაშქრობა ცხრაზმის საერისთავოში, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, № 3, თბ., 2012, გვ.26-31

Davit Akhlouri
Gori State University
FROM THE HISTORY OF VILLAGE ALEVI
RESUME

Alevi is the village of Akhagori municipality. It is situated on the left tributary of the river Ksani, on the lower reaches of Aleura. According to archaeological achievement it is one of the oldest Georgian villages where together with the Late-Bronze-Early Iron age grave, 138 middle age graves were found with precious subjects and unique numismatic materials.

Alevis is also famous with wonderful church-Sameba Okroskariani (having golden gate which had its slaves in feudal era in different villages of Ksani. The article deals with the historical past of the village, Sameba complex, its estates, donations, slaves, legendary and real facts, results of archeological investigations on monastic complex carried out on the initiative of Georgian national museum expedition before occupation of Akhagory municipality in July 2008. A great deal of attention is paid on XVII century Tsilkneli salary and statistical census data of Ksani principality of the second part of the XVIII century as well as first Russian cameral census on the bases of which analysis there is vast discussion on Alevi's demographic, social, economic situation and ecclesiastics.

Following old historical facts the past of the village during communist regime and contemporary situation is shown. We mean those heavy results that were followed to Akhagory occupation after 2008 August war.

გეგუთის ციხე-დარბაზის ისტორიიდან

გეგუთის ციხე-დარბაზს, რომელმაც ჩვენამდე მხოლოდ ნანგრევების სახით მოაღწია ფეოდალური საქართველოს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ის ჯერ გაერთიანებული საქართველოს, ხოლო ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, იმერეთის მეფეთა სასახლე იყო.

გეგუთის ციხე-დარბაზი მდებარეობს ქ. ქუთაისის სამხრეთით, მდ. რიონის მარჯვენა მხარეს, ქალაქიდან 4-5 კილომეტრის დაშორებით. ვახუშტი ბაგრატიონი გეგუთის ციხე-დარბაზს და მის მიდამოებს ასე აღგვიწერს: „სად ერთვის რიონს ყვირილა, მის ჩრდილოთ და რიონის დასავლით არს გეგუთი, სადგური ზამთარს მეფეთა. აქა არს მზგავსი შენებული მეჩეტისა, მრავალ-პალატოვანი, დიდნი და მცირენი, თლილი ქვისა: უწოდებენ ციხე-დარბაზს“¹.

ტოპონიმი “გეგუთი” ჩვენი ვარაუდით მეგრულ-ჭანური წარმომავლობის უნდა იყოს და იგი VI-VII საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს. ერთ დროს ამ ადგილებში ჭანურ-მეგრულ ენოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა. მეგრულენოვანი მოსახლეობის ქუთაისის ახლო მიდამოებში ყოფნის დამადასტურებელია ისეთი ტოპონიმები, როგორცაა: ჯიმასტარო, ოკრიბა, წყალტუბო, ტყაჩირი, ოფურჩხეთი, ჯიხაიში და სხვები.² გეგუთის სიტყვის ძირი „გეგ“ წმინდა გიორგის მეგრული სახელიდან “გეგე”-დან უნდა მომდინარეობდეს. ს. მაკალათიას მითითებით “ჯეგე, ჯერგე, გეგე” ნიშნავს წმინდა გიორგის³, ე.ი. წმინდა გიორგის მეგრულად ჰქვია გეგე, ჯერგე, ჯერგე.

აკად. ა. შანიძე წერს: “გეგე წმინდა გიორგის სახელად დოკუმენტობრივ დამოწმებულია გეგეჭკორში, რომელიც დღეს გვარია, მაგრამ ძველად სახელი უნდა ყოფილიყო, მისი ძველი ფორმა უთუოდ გეგეჭკორი იყო, რომელიც სიტყვა-სიტყვით “გეგეს ყმას” ნიშნავს“⁴. აქედან დასკვნა, ტოპონიმ “გეგუთში” სიტყვის ძირი „გეგ“ ნიშნავს წმინდა გიორგის, ხოლო „უთ“ სუფიქსია. „უთ“ სუფიქსი ქართული ტოპონიმებისათვის დამახასიათებელი მაწარმოებელია, მაგ., “უხ-უთი”, “მუხ-უთი”, “გუდა-უთა” და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ გეგუთის ციხე-დარბაზი ხანგრძლივი დროის მანძილზე იპყრობდა და დღესაც იპყრობს მკვლევართა ყურადღებას, მის შესახებ არსებული წყაროები მეტად მცირეა.

წყაროებში გეგუთი პირველად ჯუანშერის თხზულების იმ ნუსხაშია მოხსენიებული, რომელიც “ქართლის ცხოვრების” ე.წ. ანასულ ხელნაწერშია დაცული. აფხაზეთს თავშეფარებული ერისმთავარი არჩილი აფხაზეთის ერისთავს ლეონს ეუბნება: „... კურთხეულ იყავნ შენ უფლისა მიერ რამეთუ კეთილად იღუაწე, სტუმრობა ჩვენი და დამიცვენ ჩუენ ადგილთა შენთა მშვიდობით... წარვალ და დავეშვები ციხესა გეგუთს და ქუთათისს.“⁵

¹ ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 159

² ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, 1951, გვ. 421

³ მაკალათია ს., ჯეგე მისიონერის კულტი ძველ საქართველოში, 1938, გვ. 19

⁴ შანიძე ა., სვანური კულტის ტერმინი ჯგერაგ. ჟურ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, II, თბ., 1973, გვ. 111

⁵ ჯუანშერი, ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ანასული ნუსხა, თბ., 1942, გვ. 154

ციხე-დარბაზის სახელით გეგუთი პირველად იხსენიება ტიმოთე გაბაშვილის იმერეთის სამხედრო-ისტორიულ რუკაზე: “ციხე-დარბაზ გეგუთის ტახტი მეფეთა”, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი სახელი მოცემულ ძეგლს ადრიდანვე უნდა შერქმეოდა.

ივ. ჯავახიშვილს გამოკვეული აქვს, რომ დარბაზი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს არა სასახლეს, როგორც ქართულშია, არამედ კარს, ქართულში მას სასახლის მნიშვნელობა “მინიჭებული უნდა ქონდეს იმის გამო, რომ თავდაპირველად ეს დარბაზი კარის აღმნიშვნელად იხმარებოდა ქართული გამოთქმის – სამეფო კარის – სინონიმად. რადგან კარი სპარსულად დარბაზი იყო, სამეფო კარს დაერქვა სამეფო დარბაზი, შემდეგ “სამეფო” ჩამოცილდა და დარჩა დარბაზი, რომელმაც სასახლის მნიშვნელობა მიიღო”. ამასთან, სასახლის აღსანიშნავად ქართულში სხვა ტერმინებიც არსებობდა. მათგან განსხვავებით “დარბაზი საერთოდ გუმბათიანი სასახლის აღსანიშნავად იხმარებოდა”¹. გეგუთის სასახლეს სწორედ მისი ნახევარფეროიანი გუმბათის გამო ეწოდა ციხე-დარბაზი. რაც შეეხება ამ ტერმინის პირველ ნაწილს (ციხე), იგი აღნიშნავდა ნაგებობის სასიმაგრე მასებს – კოშკებს და ზღუდე – ბურჯებს, რომელთა ნაშთები გეგუთის სასახლეს ახლაც შემორჩენილი აქვს. ასე, რომ გეგუთის სასახლე იწოდებოდა ციხე-დარბაზი სახელით იმიტომ, რომ გუმბათიან ნაგებობას წარმოადგენდა და თანაც თავდაცვისათვის იყო მომარჯვებული.

როდის ან ვის მიერ იქნა აგებული გეგუთის სასახლე?

იმის მიუხედავად, რომ ისტორიამ არ შემოგვინახა ზუსტი ცნობები გეგუთის სასახლის აგების თარიღის შესახებ, წყაროების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნა.

წყაროებით დასტურდება, რომ გეგუთის ციხე-დარბაზი, გარდა დასავლეთ მინაშენისა, აგებული უნდა იყოს თამარის გამეფებამდე. ჩვენთვის ცნობილია, რომ თამარის პაპა დავით აღმაშენებელი აქ თვეობით იმყოფებოდა და აქედან განაგებდა სამეფო საქმეებს. მაგრამ სამეფო სასახლე რომ დავითის მიერ აგებულიყო, ამას უთუოდ შემოგვინახავდა მისივე ისტორიკოსი, რომელსაც აღნუსხვა-აღწერის გარეშე არ დაუტოვებია დავითის მოღვაწეობის შედარებით მცირე მომენტებიც კი. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ დავით აღმაშენებლის მეფობის დაწყების დროს (1089 წ.) გეგუთში არსებობდა ის შენობა, რომლის ბაზაზეც შეიქმნა ციხე-დარბაზი, ხოლო ამ უკანასკნელს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, სამხარეულო განყოფილება ძველი შენობიდან დაუნგრევლად დატოვებული ბუხრიანი ოთახი გახდა.

მთავარი წყარო, რომელსაც უნდა დავყვარდნოთ ციხე-დარბაზის მთავარი ნაგებობის, თვით დარბაზისა და იმავედროულად აგებული სხვა ოთახების დროის დადგენა-განსაზღვრის საქმეში, არის ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა. ამ ცნობაზე დაყრდნობით მკვლევარნი ასკვნიან, რომ ციხე-დარბაზი აგებულია თამარის მამის, გიორგი მესამის მეფობის დასაწყისში. ვახუშტი წერს: ციხე დარბაზი აგებულია „ნზ(57) მეფის გიორგის ჟამსაო”².

ამრიგად, გეგუთის ციხე-დარბაზის ამგებად ვახუშტი ასახელებს მეფე გიორგი მესამეს.

გეგუთის ციხე-დარბაზის ისტორიის შესწავლისას ყურადღებას იქცევს ერთი საკითხი, კრძოლ, რატომ უწოდებს ხალხი მას თამარის სახელს. ამ საკითხის შესწავლით დაინტერესდა შვეიცარიელი მკვლევარი დიუბუა დე მონპერეც. დიუბუა ასკვნის: “ყველაფერს იქითკენ მივყავართ, დავიჯეროთ, რომ ნაგებობა თამარ მეფეზე უძველესია და რომ იგი ლაზების მეფეების ერთ-ერთი უძველესი სასახლეაგანია”³. აგრეთვე მიუთითებს: “საკმარისია ნივთი ძველი იყოს, რომ თამარს მიეწეროს”, რადგანაც “ქართველებმა თამარ მეფის სახელისაგან შექმნეს ის, რაც ჩვენებმა (ფრანგებმა) იულიუს კეისრისაგან”⁴.

¹ ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, 1951, გვ. 425

² ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 15

³ დიუბუა დე მონპერე, მოგზაურობა კავკასიაში, ტ. II, პარიზი, 1939, გვ. 205; წილოსანი ვ., გეგუთი, ციხე-დარბაზი, კრებულში :შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 458

⁴ იქვე

ასეთი დასკვნის გამოტანისათვის დიუბუას მართლაც ჰქონდა გარკვეული საფუძველი, რადგანაც როგორც აღვნიშნეთ, გეგუთის სასახლე ძირითადად აგებული არის თამარის მეფობის წინა ხანაში, მაგრამ, არ არის გამორიცხული, თამარ მეფესაც მიუძღოდეს ერთგვარი ღვაწლი გეგუთის სასახლის გაფართოება-სრულყოფის საქმეში. ჩვენთვის დადასტურებულად ითვლება, რომ თამარის მამის, გიორგი მესამის მიერ აგებული ციხე-დარბაზი შემდგომ იქნა გაფართოებული ორსართულიანი შენობის მიდგმით მისივე დასავლეთ მხარეზე. თუმცა დღემდე არ არის ცნობილი, ზუსტად როდის და ვის მიერ იქნა განხორციელებული ეს ღონისძიება. ვიცით მხოლოდ, რომ გიორგი მესამის შემდეგ ნამდვილად იქნა გაფართოებული გეგუთის ციხე-დარბაზი. ამავე დროს, ისიც ცნობილია, რომ გიორგის შემდეგ მეფე იყო თამარი, რომლის დროსაც სრულადაც არ შემცირებულა სამეფო კარისათვის გეგუთის სასახლის მნიშვნელობა. თამარის გარდაცვალებიდან მომდევნო ახლო ხანაში საქართველოს ორივე ნაწილში გართულდა საშინაო და საგარეო მდგომარეობა. მონღოლთა და ხვარაზმელთა შემოსევებისაგან ქვეყანა სისხლისაგან იცლებოდა. ამდენად, მეტად მცირე საფუძველი მოგვეპოვება ვივარაუდოთ, რომ ასეთ პირობებში ქვეყნის მმართველნი სასახლეების მშენებლობა – გაფართოების სამუშაოების განხორციელებას შეუძლებოდნენ.

აქედან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ გეგუთის ციხე-დარბაზი გიორგი მესამემ ააშენა მისი მეფობის პირველ ხანებში, ხოლო ციხე-დარბაზის შემდგომი გაფართოება თამარის ეპოქაში უნდა მომხდარიყო. “ციხე-დარბაზი მეფე გიორგი მესამემ ააშენა XII საუკუნეში 1156 წლიდან მოყოლებული მისი მეფობის პირველ ხანებში. სასახლე აშენებული იყო იმ დროს არსებულ ხშირ მუხის ტყეში – მდ. რიონის ახლოს. და მართლ მეფეთა რეზიდენცია კი არ იყო, არამედ როგორც მეფეების სანადირო სადგომი... ის ადგილი XII საუკუნემდეც ძველთაგანვე განთქმული სანადირო იყო. ასე, რომ XII საუკუნეში მეფე გიორგი III მიერ აშენებული სასახლის ადგილას X – XI საუკუნეების სხვა შენობა იდგა, რომელიც შესაძლებელია მტრის შემოსევების დროს იყო დაქცეული”¹. მართლაც, გეგუთი და ქუთაისთან ახლოს მდებარე სხვა ადგილები, არც ისე დიდი ხნის წინათ, XIX საუკუნის დასაწყისშიც კი, დაფარული იყო მუხნარის ტყით. მასში დიდი რაოდენობით ბინადრობდნენ სხვადასხვა ჯიშის გარკვეული ცხოველები. ამის გამო გეგუთი, აჯამეთთან ერთად, საუკუნეების მანძილზე ითვლებოდა განთქმულ სანადირო ადგილად.²

სწორედ ასეთმა ხელსაყრელმა პირობებმა და ქვეყნის ყოველმხრივმა დაწინაურებამ განაპირობა ქუთაისში მყოფი სამეფო კარის მიერ გეგუთში ჯერ “სანადირო სახლის” (ასე უწოდებს მას ზოგიერთი მკვლევარი), ხოლო შემდეგ საქართველოს მეფეთა სასახლის – ციხე-დარბაზის” გაშენების შესაძლებლობა.³

ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ გეგუთის ციხე-დარბაზი XII საუკუნეში განივრცო და ქართველ მეფეთა ერთ-ერთ ძირითად სასახლედ გადაიქცა, ფესვები კი უფრო წინა ეპოქაშია საძიებელი. ამ საკითხთან დაკავშირებით მოგვყავს ბატონ პეტრე ვაჭრიძის მოსაზრება: ... ანგარიშგასაწევია შემდეგი გარემოება – ჰომეროსის პოემებსა და ბერძნულ მითებში დასახელებული გეოგრაფიული პუნქტების უმრავლესობა ნაპოვნია და არქეოლოგიურად შესწავლილი. ერთ-ერთ გამონაკლისს წარმოადგენს როდოსელის “არგონავტიკაში დასახელებული და აღწერილი აიეტის რეზიდენცია აია-კუტაია, რომლის ადგილმდებარეობა დღემდე უცნობია და ეს იმიტომ, რომ იგი გემაზომიერად და დაბეჯითებით, შლიმანისებურად, არავის უძებნია, ხოლო შლიმანმა ვერ მოასწრო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე (დასავლეთ საქართველოში) არქეოლოგიური გათხრები ჩაეტარებია, რის ნებართვასაც იგი რუსეთის მთავრობისაგან ითხოვდა.

სპეციალისტთა ერთი ნაწილის აზრით, აია-კუტაია-აიეტის სასახლითურთ, უნდა ვეძებოთ თანამედროვე ქუთაისის (მდინარე რიონის მარჯვენაპირეთის) დაბლობსა და მის მომიჯნავე გე-

¹ წილოსანი ვ., გეგუთი, ციხე-დარბაზი, კრებულში: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 458

² ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, 1948

³ ჩაკვეტაძე ვ., გეგუთი – ციხე-დარბაზი, თბ., 1958, გვ. 6

გუთი – პატრიკეთის (მდ. გუბისწყლის შესართავამდე) ტერიტორიაზე”¹ ბატონი პეტრე ვაჭრიძე ძალზე მოკრძალებით ავითარებს ასეთ მოსაზრებას: „ნომ არ არის გეგუთი აია–კუტაიას ერთი ნაწილი, ხოლო ციხე–დარბაზი აიეტის სასახლის შორეული მემკვიდრე”²

გეგუთის ციხე–დარბაზი ძირითადად ქართველ მეფეთა საზამთრო რეზიდენციას წარმოადგენდა. “ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას – ჩვენს წინაპრებს გონივრულად, ბრძნულად ჰქონდათ გადაწყვეტილი ცენტრისა და რეგიონების ურთიერთობის პრობლემა. მეფე პერიოდულად თბილისის გარეთ – ქუთაის–გეგუთში, ცხუმში, ვარძიაში, მუხრანში, ნაჭარმაგევში იმყოფებოდა სამეფო კართან (ხელმწიფის კართან) ერთად და ქვეყანას აქედან განაგებდა”³.

დავითის ისტორიკოსის თხზულებაში გეგუთი პირველად XII საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულიდან (1120 წ.) იხსენიება. ისტორიკოსი წერს: “ხოლო აქუნდის ჩვეულებად ესე მეფესა, რამეთუ განზრახვით გარდავიდის აფხაზეთით და ჩამოიტყუენნის თურქმანნი საზამთროთა ადგილთა მტკურის პირისათა”... გარდავიდა მეფე გეგუთს... და ამით გულპყრობილ ყვნა იგინი” (თურქმანები). ამ დროს “ქორონიკონი იყო სამასორმოცი” (1120)⁴.

შემდეგ, 1123 წელს, როდესაც დავით აღმაშენებელმა აღიღო გულისტანი, სახლი თავადი შარვანისა, სიცხეთა მათ საშინელთა... წარმოვიდა ქართლად, ხოლო სთუელთა (შემოდგომაზე) გადავიდა გეგუთს, ინადირა განისუენა, განაგო მანდაური ყოველი და მარტსა გარდამოვიდა ქართლად და აღიღო ქალაქი დმანისი”⁵.

გეგუთის შესახებ ასევე საყურადღებოა თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობა.

თამარის მიერ სამეფოდან გაძევებული მისი პირველი ქმარი გიორგი ანდრიას ძე ბოგოლიუბსკი, თამარის წინააღმდეგ ამხედრებულა, როდესაც კონსტანტინეპოლიდან სამცხეს მოვიდა, მას “მეიგება ბოცო და ვინც მისი მიმდგომი იყო და მივიდეს გეგუთს”, სადაც “დასვეს ტახტსა ზედა სამეფოსა გიორგი”⁶.

ამრიგად, თამარის მოწინააღმდეგეებმა მსახურთუხუცეს ვარდან დადიანის მეთაურობით, გიორგი რუსი მეფედ დასვეს სამეფო ტახტზე გეგუთში. ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა 1191 წელს. იგივე ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ თამარი და სამეფო კარის მოხელენი „ჟამ გარდვიდიან აფხაზეთს (დასავლეთ საქართველოში), განაგიან საქმენი მანდაური და მოინადირიან კეთილი იგი სანადირო–გეგუთი და აჯამეთი, მერმე გარდმოვიდიან ქართლს”⁷.

ის ფაქტი, რომ განდგომილმა დიდებულებმა გიორგი ბოგოლიუბსკი გეგუთში დასვეს სამეფო ტახტზე და, რომ თამარი სამეფო კარის მოხელეების თანხლებით სახელმწიფო საქმეების მოგვარებისა და დასვენებისათვის დროგამოშვებით გეგუთში გადმოდიოდა, სამეფო კარისათვის გეგუთის დიდი მნიშვნელობის დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენს. გეგუთში შექმნილი იყო მეფის და სამეფო კარის მოხელე–დიდებულების მცველი მრავალრიცხოვანი ამაღლის (მასში შედიოდა 700 შუბოსანი და სხვა – ე.თ.) მოსათავსებლად საჭირო პირობები.

1360 წელს გეგუთის სასახლეში გარდაიცვალა გიორგი ბრწყინვალეს ვაჟი დავით IX, ხოლო 1451 წელს, როდესაც სულთან მურადის ჯარებმა ცხუმში მოაოხრეს მეფე გიორგი VIII სასწრაფოდ გაეშურა მტრების წინააღმდეგ, მაგრამ მათ გაასწრეს და მეფე უკანვე დაბრუნდა გეგუთს.

ერთიანი სახელმწიფოს სამეფო–სამთავროებად დაშლის შემდეგ გეგუთის ციხე–დარბაზი იმერეთის მეფეების ხელში გადავიდა. ერთიანი სახელმწიფოს დაშლას შედეგად მოჰყვა ქვეყნის

¹ ვაჭრიძე პ., გეგუთის ციხე–დარბაზი, ჟურნ. „ომეგა”, 2003, 3, გვ. 41

² იქვე

³ იქვე

⁴ ცხოვრება მეფეთა მეფისა დავითისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ჰაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1953, გვ. 338

⁵ ცხოვრება მეფეთა მეფისა დავითისა, დასახ. ნაშრ. გვ. 338

⁶ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, აკად. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით. თბ., 1941, გვ. 65

⁷ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, დას. ნაშ. გვ. 129

ეკონომიური დაქვეითება და სამეფო ხელისუფლების დასუსტება. ასეთ პირობებში გეგუთის ციხე-დარბაზს სათანადო ყურადღება მოაკლდა. ასეთი გრანდიოზული ნაგებობის მოვლა-პატრონობა დიდ სახსრებს მოითხოვდა, რაც იმერეთის მეფეებს არ გააჩნდათ. ამას მოჰყვა შიდაფეოდალური ომები და ოსმალთა აგრესიის გაძლიერება. ამიტომ იყო, რომ XVI-XVII საუკუნეებში გეგუთს ეპატრონებიან მეფის მოწინააღმდეგე ფეოდალები და თურქ დამპყრობთა ლაშქარი.

1671 წელს სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა დაამარცხა იმერეთის მეფე ბაგრატ V. ბაგრატმა შემოიკრიბა რაჭა-ლეჩხუმის ჯარი და “რაოდენიმე იმერნი”. ბრძოლა მოხდა გეგუთში 1671 წელს. ამ ბრძოლაში დადიანი დაამარცხდა და ტყვედ ჩაიგდეს ხელში.¹ 1728 წელს გეგუთში ზურაბ აბაშიძემ იმერეთის მეფე ალექსანდრე V –სა და ახალციხის ფაშას ისაყის დახმარებით მოკლა სამეგრელოს მთავარი ბეჟან დადიანი. „1728 წელს ბეჟან დადიანი მიიპატიჟეს გეგუთის სასახლეში და ღალატით მოკლეს ოსმალებმა. მისმა შვილმა ოტიამ კი გაქცევით უშველა თავს.“² ასევე გეგუთში 1743 წელს მოკლეს რაჭის ერისთავი გრიგოლი, ხოლო ოტია დადიანი უკუგდებულ იქნა გეგუთიდან.³

მოყვანილი მაგალითები საკმარისად ადასტურებენ, რომ გეგუთის ციხე-დარბაზისადმი ცხოველ ინტერესს იჩენდნენ და მას ეტანებოდნენ ჯერ ერთიანი საქართველოს მეფეები, ხოლო ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ – მეფენი იმერეთისა. აგრეთვე გეგუთის ხელში ჩაგდებათ დაინტერესებული იყვნენ მეფის მოწინააღმდეგენი: ტახტის მაძიებელნი, ერისთავები და მთავრები, შინაური თუ გარეშე მტრები. ეს ფაქტი კი იმაზე მიუთითებს, თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა გეგუთის ციხე-დარბაზს ქვეყნისა და სამეფო კარის ცხოვრებაში. “გეგუთი ყურადღებას იქცევდა არამარტო როგორც დასასვენებელი და სანადირო ადგილი, არამედ როგორც ქუთაისის სამხრეთ მისადგომებთან მდებარე სიმაგრეც, რომელსაც დიდი როლის შესრულება შეეძლო ქუთაისის დაცვის საქმეში.“⁴

1650-1652 წლებში რუსეთის ელჩებმა ტოლოჩანოვმა და იველიევმა იმოგზაურეს იმერეთში. გეგუთის ციხე-დარბაზის მთლიანმა კომპლექსმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთის ელჩებზე, რომ ის მათ მიერ შედგენილ იმერეთის აღწერილობაში “ქალაქ გეგუთის” სახელწოდებით იხსენიება.⁵

ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ გეგუთი ძირითადად იაშვილების სათავადოს რეზიდენცია იყო. “იმერეთის სამეფოს არსებობის მთელ მანძილზე და მისი გაუქმების შემდეგაც დიდხანს ეს სამოურავო ამ საგვარეულოს წარმომადგენლებს ეჭირათ. იაშვილები დიდად ერთგულებდნენ სოლომონ I–ს. მისი გარდაცვალების შემდეგ იაშვილები თავადთა იმ ჯგუფში იყვნენ, რომელიც დავით არჩილის ძის გამეფებისათვის იბრძოდა. სოლომონ II–ის მეფობისას გეგუთის მოურავობა როსტომ იაშვილს ჰქონდა. 1797 წელს მას უკვე გეგუთის მოურავად ვხვდავთ. ამ თანამდებობაზე უკანასკნელად იხსენიება იგი 1803 წელს, მაგრამ ეს სახელი მას სიკვდილამდე უნდა ჰქონოდა. როსტომი გარდაიცვალა 1808 წელს.

იმერეთის მეფე სოლომონ I–მა გეგუთში დასაჯა რაჭის ურჩი ერისთავი როსტომი და მისი შვიდი ვაჟიშვილი. იაშვილების სახლში მოტყუებით მოყვანილი როსტომი და მისი შვილები მალე დაიმორჩილეს, მაგრამ გიორგი გაუძალიანდათ, ორი კაცი ხელით დასცა, ერთი მათგანი ჯიმშელა ორჯონიკიძე ხანჯლით შუაზე გააპო, შემდეგ ჯარისკაცებმა თოფის კონდახები დასცხეს თავში და ასე სძლიეს. მიწაზე დავარდნილი გიორგის ჯიმშელას ძმამ, თეიმურაზა ორჯონიკიძემ ხანჯლით დათხარა თვალები. ასევე მოექცნენ როსტომსა და მის დანარჩენ შვილებსაც.⁶

¹ რეხვიაშვილი გ., რეხვიაშვილი ნ., საქართველოს ისტორია, ქუთ., 2000, გვ. 603-604

² რეხვიაშვილი გ., ... დასახ. ნაშრ., გვ. 631

³ კაკაბაძე ს., საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, თბ., 1922, გვ. 200

⁴ ჩაკვეტაძე ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 12

⁵ ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა 1650-1652 წწ. იასე ცინცადის რედაქციით, თბ., 1970

⁶ ს. კანდელაკი, მეფე სოლომონ იმერეთის დიდ სოლომონად წოდებული, გაზ. „კვალი“, 1895, 27, გვ. 12

გეგუთის ციხე-დარბაზის ნგრევა, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, XVIII საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო¹. პირველად ჩამოინგრა სასახლის მთავარი თალი, მაშინვე მისი შეკეთება რა თქმა უნდა ადვილი იყო, მაგრამ იმერეთის მეფეებს ამის მატერიალური შესაძლებლობა არ ჰქონდათ. ციხე-დარბაზი თითქმის მთლიანად განადგურდა XIX საუკუნის პირველ მესამედში. იმერეთში ღრობითი მმართველობის დროს (1810-1840) იგი ნამდვილ ქვის სატეხ კარიერად იქცა. “მთავრობის ნებართვით გეგუთიდან სისტემატურად ეზიდებოდნენ ქვასა და აგურს ქუთაისში რუსული მმართველობისათვის შენობების ასაგებად”²

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან გეგუთის ციხე-დარბაზი ერთ-ერთი უპირველესია, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება და მოვლა-პატრონობა სჭირდება. მართალია დღეისათვის მიმდინარეობს გეგუთის ციხე-დარბაზის არქეოლოგიური შესწავლა, მაგრამ არა იმ მასშტაბით და სიღრმით, როგორც ეს აუცილებლობით არის განპირობებული. თუმცა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოკლე ხანში ქვეყნის მთავრობა უფრო მეტ ყურადღებას გამოიჩენს ამ საკითხისადმი და ეს უნიკალური ძეგლი არქეოლოგთა მიერ საბოლოოდ იქნება შესწავლილი.

Eldar Tavberidze
Akaki Tsereteli State University
FROM THE HISTORY OF GEGUTI CASTLE HALL
RESUME

Geguti Castle-Hall, which has reached us only in the form of ruins, Feudal Georgia has one of the most important places of Georgian architectural monuments. Firstly it was the palace of United Georgia and after the disintegration of the country into kingdoms it was the Imereti kings' palace .

The toponym Geguti to our suggestion must be from Megrelian – Janur and it must belong to the VI-VII centuries. Once, Megrelian-Janur population inhabited this territory.

Although Geguti Castle Hall has been occupied for a long time and still attracts the attention of researchers, the available sources about it are very humble. As the Fortress Hall Geguti was firstly mentioned in Timote Gabashvili's historical map of Imereti. “The Fortress Hall Geguti Throne of Kings”. But it seems that such a name might have been given to the monument from the very beginning.

As the sources indicate the Geguti Fortress Hall was built at the beginning of the reign of King George III. And the next expansion of the castle hall was to take place during the reign of King Tamar. “The palace was built in the dense oak forest of that time, near the river Rioni and it was not only the residence of kings, but also as a hunting place for kings”. Geguti and other places near Kutaisi, not so long ago, even in the early 19th century, were covered with oak forests. It was such favorable conditions and the advancement of the country in every way that made it possible for the royal court in Kutaisi to cultivate a hunting place in Geguti and then a castle of the Georgian kings.

We believe that Geguti Castle Hall expanded in the 12th century and became one of the main palaces of Georgian kings. The roots are even more traceable in an earlier era.

Geguti Castle Hall was mainly the winter residence of Georgian kings. In this regard it must be said that, our ancestors wisely solved the problem of the relationship between the center and the regions. The king periodically visited Vardzia, Kutaisi, Tskhumi, Muna, Natcharmagevi with the royal court and ruled the country from there.

¹ პ. ვაჭრიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 45

² პ. ვაჭრიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 45

After the disintegration of kingdom domain, Geguti Castle Hall passed into the hands of the kings of Imereti. The disintegration of the kingdom domain, the result was that the economic of the country had been declined and the government was weakened. In such conditions, Geguti Fortess Hall was not given proper attention. The maintenance of such a grand building required large sums of money. Which the kings of Imereti couldn't afford. This was followed by inner-feudal wars and the intensification of Ottoman aggression. That was why Geguti was ruled by feudal lords opposing the king and an army of Turkish invaders.

დარ-ავდრის გამგებელი ძალებისადმი მიძღვნილი რიტუალები შიდა ქართლში

ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში ძველთაგანვე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მემინდვრობასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებს. უხვი და ბარაქიანი მოსავლის მოყვანის მიზნით, ქართველი მეურნე რაციონალურ საშუალებებთან ერთად ირაციონალურ ქმედებებსაც მიმართავდა. ამასთან ერთად, მოსავლიანობის მფარველ ღვთაებებს იგი, ტრადიციულად გამოუმუშავებული რიტუალის მიხედვით, საქმეში ხელის მომართვას შესთხოვდა. ხალხის რწმენით, ეს ღვთაებები, ერთის მხრივ, უზრუნველყოფდნენ ჭირნახულისათვის სასურველ ამინდს, ხოლო მეორეს მხრივ, მის სიუხვე-ბარაქიანობას მფარველობდნენ.

„ჩვენამდე მოღწეული მონაცემებით ძნელდება მხოლოდ აგრარული ფუნქციის მქონე ღვთაებების გამოვლენა. თითქმის არ გვხვდება ღვთაება, რომელიც მხოლოდ პურეულის სიუხვე-ბარაქიანობას განაგებდეს, თესლის აღმოცენებას, ზრდასა და მწიფობას უწყობდეს ხელს. ჩვეულებრივ, ეს ფუნქცია შერწყმულია როგორც საერთოდ ნაყოფიერების, ისე დარ-ავდრის ღვთაებათა სხვა ფუნქციებთან. ძირითადად ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ღვთაებანი, რომელთაც ხშირ შემთხვევაში ადამიანისათვის ნაყოფიერების მინიჭების ძალაც მიეწერებათ. წარმართული და ქრისტიანული რელიგიების სინკრეტიზმის საფუძველზე, არაიშვიათია ქრისტიანული წმინდანისა თუ ღვთაებისათვის ნაყოფიერების მფარველის ფუნქციის მიკუთვნება“¹.

მიწათმოქმედებასთან მჭიდრო კავშირში არიან დარ-ავდრის ღვთაებანი, რომელთაც მორწმუნენი თავიანთი ნათესების დაცვის მიზნით სასურველ ამინდს ევედრებოდნენ. „თესვის დაწყებიდან მოსავლის აღებამდე ტაროსის გამგებელი ღვთაების სახელზე უქმობდნენ გარკვეულ სამუშაო დღეებში, არახელსაყრელი ამინდის შემთხვევაში ღვთაების სამლოცველოში ან სხვა დათქმულ ადგილზე საღვთოს იხდიდნენ და სათანადო საკულტო წესებს ასრულებდნენ“²

შიდა ქართლში აგრარული ხასიათის წეს-ჩვეულებებიდან მნიშვნელოვანია წყლის კულტთან დაკავშირებული რიტუალები, რომლებიც თავს იჩენს როგორც კალენდარულ დღესასწაულებში (ახალი წელი, წყალკურთხევა, ბერიკაობა-ყენობა, დიდი ხუთშაბათი), ასევე არაკალენდარულ საწესრვეულებო ქმედებებში. უკანასკნელთ განეკუთვნება წვიმის გამოწვევისა და გვალვის თავიდან აცილების საწესო ქმედებანი (გუთნით წყლის მოხვნა, ლაზარობა, მიცვალებულის საფლავიდან აღებული ქვის წყალში ჩაგდება, ქვადედაკაცა, მოზვერა ქვის ან საწვიმარა ქვის ადგილიდან დაძვრა-გადაბრუნება და სხვ.). საერთოდ, „ამინდის გამგებელი ძალებისადმი მიძღვნილი რიტუალური მოქმედებებით ცდილობდნენ ადამიანები რაიმე ზეგავლენა მოეხდინათ ბუნებაზე და მიეღოთ სასურველი შედეგი. ბუნებრივია რიტუალები რეალურად ვერავითარ დახმარებას ვერ უწევდა მიწისმოქმედს. იგი მხოლოდ ცდილობდა რამენაირად ემოქმედა სტიქიაზე, რომელიც დაუძლეველია დღესაც-ტექნიკური პროგრესის პირობებში.“

გვალვისა და დაღვთების, ასევე ქარისა და სეტყვის საწინააღმდეგო ხალხური წესებიდან არქაულ წესს შეადგენს მაგიური მოქმედებები, რომელთა მიზანია სასურველი ამინდის პროვოცირება. ამასთანავე, ეს მოქმედებები განსაკუთრებული სიმარტივით გამოირჩევიან. ისინი ჩვეუ-

¹ თინათინ ოჩიაური, მოსავლიანობის მფარველი ღვთაებები/საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი: მასალები, თბ. 1980, გვ.167

² იქვე, გვ. 172

ლებრივ ანალოგიის პრინციპს ემყარებიან და ამიტომ შემსრულებელი ხელოვნურად ქმნის სურათს, რომლის მსგავსი სიტუაციის შექმნით რეალურად არის დაინტერესებული“¹.

ქართლში გვალვის დროს სცოდნიათ ლაზარობა, რომელსაც სოფლის ქალები ასრულებდნენ და მიმართული იყო წვიმის მოსაყვანად. რიტუალი სრულდებოდა საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებული წესების მსგავსად. ვ. ბარდაველიძის დაკვირვებით: „ლაზარობა/-გონჯაობა მრავალფეროვანი წეს-ჩვეულებაა, რომელშიც ერთი მხრივ, შემონახულია იდეოლოგიური განვითარებისა და სათანადო პრაქტიკის ისეთი ზოგადი ფაქტები, რომლებსაც უამრავი პარალელი მოეპოვება სულ სხვადასხვა ხალხებში, და მეორე მხრივ, იგი შეიცავს სპეციფიკურ თავისებურებებს, რომლებიც მას მკვეთრად გამოჰყოფენ სხვა ხალხების ანალოგიური წეს-ჩვეულებებისაგან“².

ლაზარობის რიტუალი ივ. ჯავახიშვილმა ღრუბელთ ბატონის (რომლის მოადგილე ელია უნდა იყოს) თაყვანისცემისა და მსახურების ნაშთად მიიჩნია. მისი დაკვირვებით, მასალის ანალიზი გვამძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ: „ეს ჩვეულება, ძველ, წარმართობისდროინდელ ღრუბელთ ბატონის ღვთაებისადმი ადამიანის მსხვერპლად შეწირვის სიმბოლური მოქმედება“³.

შიდა ქართლში ლაზარობის რიტუალს ვ. ბარდაველიძე სამი სოფლის მასალის განხილვით წარმოგვიდგენს. მასალა ჩაწერილია 1925წ. კასპში, ერთაწმინდასა და ხოვლეში.

ამ უძველესი რიტუალის შესასრულებლად, მასალის ჩაწერის დროს, ერთაწმინდაში 60 ქალი შეგროვილა, გაუკეთებიათ „გონჯა“ და მისი წინამძღოლობით შემოუვლიათ სოფელი. აქ ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ გონჯა მდებრობითი სქესის ფიგურაა: „ორი ჯოხი ერთმანეთზე ჯვრის სახით იყო მიკრული-ჰორიზონტალური ჯოხი მის ტანს განასახიერებს, ამ უკანასკნელის წელზე ნაჭრები დაუხვევიათ, თავის მაგიერ ქალის ძველი პერანგი ჩაუცმევიათ და თავზე დაუხვევიათ“⁴.

გვალვის დროს ქალები აკეთებდნენ თიხის კაცს ან „გვალვის პატარძალს“ რომელსაც დაასვენებდნენ ფიცარზე ან ჩასდებდნენ წყლიან ჯამში და ატარებდნენ კარდაკარ სიმღერით. ვ. ბარდაველიძეს მიერ დამოწმებული მასალის მიხედვით: „ლაზარეს ხელში ბარათი უჭირავს! ლეგენდის მიხედვით, ამ ბარათით ლაზარე ელიასთან იგზავნება „ელიამ წვიმა მოიყვანოსო“⁵.

კასპსა და ხოვლეში თოჯას (როგორც მას ვ. ბარდაველიძე უწოდებს) ალიზისაგან აკეთებენ და მამრობითი სქესისაა. სწორედ ამიტომ, მეცნიერი ერთაწმინდულ ვარიანტს გონჯაობას უწოდებს, ხოლო კასპისა და ხოვლეს ვარიანტს-ლაზარობას. მნიშვნელოვანია ის მოვლენა, რომ თოჯას უბიწო (გასათხოვარი) ქალი აკეთებდა. ზოგადად, ჩვენ მიერ ლაზარობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების შესწავლისა გამოიკვეთა შემდეგი სურათი: წვიმის გამომწვევი რიტუალების შესრულებაში მთავარი როლი ეკისრებათ გასათხოვარ ან ქვრივ ქალებს. როგორც ჩანს, სქესობრივი ცხოვრების არარსებობა მათ განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებდა. საინტერესოა ქვრივ ქალებთან დაკავშირებული სხვა რწმენებიც: „ქვრივი ქალი და მისი ობლები უფრო ეცოდება უფალს და წვიმას გამოუგზავნის. წვიმის გამოწვევის მიზნით აგრეთვე იცოდნენ ქვრივი ქალის ცოცხის მოპარვა და დაწვა(ცოცხი სიმბოლურად კუდიანის საკუთრებად ითვლებოდა: კუდიანის ცოცხზე გადაჯდომა იწვევდა დიდი ქარის ამოვარდნას და საწვიმარი ღრუბლების გაფანტვა-გადაყრას)“⁶.

ლაზარეზე მსვლელობის დროს ქალები გალობდნენ სპეციალურ საგალობელს და ჩერდებოდნენ თითოეულ სახლთან. ყველა ოჯახიდან ქალებისთვის უნდა გადაესხათ წყალი-კარგად დაესველებინათ, რომ წვიმა მოსულიყო. ამ დღისთვის აგროვებდნენ შესაწირავს, შემდეგ ყიდუ-

¹ ირაკლი სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ. 2003, გვ. 219

² ვერა ბარდაველიძე, გონჯაობა/ლაზარობა. ძველი ქართული წეს-ჩვეულება, თბ.2013, გვ.9

³ ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ I, თბ. 1960, გვ.77-78.

⁴ ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.10

⁵ იქვე, გვ. 14

⁶ მზია მაკალათია, წყლის კულტის გადმონაშთები შიდა ქართლში, კრებული “შიდა ქართლი”, თბ. 1987, გვ 91

ლობდნენ ცხვარს და იხდიდნენ საღმრთოს. აქაც მხოლოდ ქალები იღებდნენ მონაწილეობას. კაცები ცალკე დადიოდნენ ლაზარეზე და საღმრთოსაც ცალკე იხდიდნენ. საერთოდ, ბუნებრივი მოვლენების გამოწვევისადმი მიძღვნილ რიტუალებში განსაკუთრებული ადგილი და მნიშვნელობა ენიჭებოდა შემსრულებლებს. აქ ცენტრალური ფიგურაა ან ქვრივი ქალი, ან სიყრმის შვილი. პროცესიის მონაწილეთა უმრავლესობასაც გასათხოვარი ქალიშვილები შეადგენდნენ.

ზემოთ მოყვანილ ცნობაში ლაზარესთვის შესაწირავ ცხოველად ფიგურირებს ცხვარი, თუმცა ქართული ენოგრაფიული სინამდვილე ლაზარესა და ელიასათვის შესაწირად თხას იცნობს. თხასვე სწირავენ ელიას შიდა ქართლში მცხოვრები ოსები.

ლაზარესათვის შესაწირად თხასათან ერთად ცხვარს ადასტურებს 74 წლის ილიკო ტერაშვილისაგან მონათხრობი, რომელიც ჯუღიეტა რუხაძეს ჩაუწერია ქართლის 1947 წლის ექსპედიციის დროს ლიახვის ხეობაში. მთხრობელი თვითონაც მონაწილეობდა ამ რიტუალში: „მიუხედავად ახალი წყობილების აკრძალვისა, ხალხი გვალვის დროს მაინც ასრულებდა მამა-პაპეულ რიტუალს. დაივილიდნენ ლაზარეზე გვალვითვინ ავდრის გულისთვინ, ჭირნახულებზე გააკეთებდნენ თიხის ლაზარეს ფიცარზე და დაჰქონდათ 10-12-სა. მოძღვრლები დაჰყავდათ ხოლმე. ერთსა ეჭირა მოხუცებულ ქალსა ლაზარე. ფეხშიშველები მიდიოდნენ. ვისთანაც მივიდიოდნენ, წყალს დაასხამდნენ ლაზარესა.

ლაზარ მოდგა კარსა,
აბრიალებს კარსა,
მიდგა, მოდგა მხარესა,
დეემზგავსა მთვარესაო.
ახ ელია, ელიაო,
რაზედ მოგიწყენია.
თეთრი ფური, ფურბეწი
შენთვის მოგვირთმეცია.

მერე ჭირნახულ გაუტანდნენ. სიმინდი, პური, ფქვილი, კვერცხ გაუტანდნენ (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ დიდებაზე მოსიარულე ქალებისათვის კვერცხის მიცემას ერიდებოდნენ-ემინოდან ამით სეტყვა არ გამოეწვიათ), კაკალ. გაყიდამდენ და ციკან იყიდდნენ და ცხვარსა. ოჯახები და ფულსაც შეკრეფამდენ და სხვა სოფელში, ერთი ოთხ სოფელში მაინც დაივილიდნენ. შარშან წინა, ფეხები დამივლიჯეს თრევითა. აქედან წავიდიოდნენ აწრის ხევი, ზონკარი, ერტული, სნეკვი, ვანათი, ხოშური. თავ-ფეხი ელიასათვის უნდა მიერთმიათ, ნიშია აქ¹. ამ მონათხრობის მიხედვით, „დიდებაზე“ მოსიარულედ გვევლინება მამაკაცი, რაც საკმაოდ დიდი იშვიათობას წარმოადგენდა. ლაზარეში მამაკაცის წამყვანი როლი ჩანს ფრონეს ხეობაში, სოფელ არადეთშიც, „როცა გვალავა იყო, ქალები რვა უღელს გააკეთებდნენ და გუთანში შეებმებოდნენ. ჰყავდათ გუთნისდედაც; „გუთანს წყალში გავიტანდით და დავასველებდით. გუთნის დედათ კაცს ვირჩვდით, იმასაც ვასველებდით. მეორე დღეს დავკლამდით ცხვარსა, ეკლესიაში წავიდიოდით, შემოუვლიდით გარშემო მღვდლითა. მერე ღვდელი აკურთხებდა სუფრასა და ვისადილებდით“².

ღარ-ავდრის ღვთაებებიდან თითქმის მთელ საქართველოში გავრცელებულია ელიას კულტი, რომლის სახელობის დღესასწაული მდგრადი იყო და მუდამ დაკანონებულ დროს მოდიოდა. შიდა ქართლის ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული გადმოცემებით, ელია ბრმა არის (ლეგენდის მიხედვით ის ქალმა შეაცდინა და ამის გამო მან თვალები დაითხარა). თვალდათხრილს ეშმაკი დაატარებს და ხშირად შეცდომაში შეჰყავს და სეტყვას სოფელსა და მის სავარგულებს უშენს. ეს რომ არ მოხდეს, სეტყვის ღრუბლების გამოჩენისას სოფელში იწყება გაუსაძლისი ხმაური: რკინის ნივთების ერთმანეთზე ცემა, ზარების რეკვა, თოფების სროლა, ყიჟინა,

¹ ჯუღიეტა რუხაძე, ქართლი I, პურის კულტი ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში, თბ.2010, გვ 48.

² გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი(გიემ) საქმე №4628, ფრონეს ხეობაში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები, გვ.5

რათა ელია მიახვედრონ, რომ ქვევით სოფელია და მანაც არ დაუშვას სეტყვის მოსვლა. არიან ღვთაებები, რომელთაც მაშინ შესთხოვდნენ დახმარებას, როცა ამის საჭიროება დადგებოდა. ლაზარეს დღესასწაულის შესახებ საუბრობს რაფიელ ერისთავი და აღნიშნავს, რომ რიტუალი მიძღვნილია მითოლოგიურ ღვთაება ელიასადმი¹.

ლაზარობის შიდა ქართლში დადასტურებული ტრადიცია არსებითად არ განსხვავდება საერთოქართული სურათისაგან.

ატენის ხეობაშიც გვალვის დროს სცოდნიათ გუთნის წყალში გატარება. ქალები შეებმეოდნენ გუთანში, შევიდოდნენ წყალში და ხნავდნენ, ერთმანეთს წყლით წუწავდნენ და იძახიდნენ წვიმა მოვიდესო. გ. ჩიტაიას მიხედვით, ეს მოვლენა თავისი შინაარსით განაყოფიერების იდეას უკავშირდება.

გუთნით წყლის მოხვნის დროს გუთანში ქვრივი ქალების შებმა იყო სასურველი. ისინი წყალში ერთმანეთს ებლლარძუნებოდნენ, ეჭიდავებოდნენ, წყლით წუწავდნენ, სარცხვინელში ასხამდნენ წყალს და სხვა.² ქალები ბილწსიტყვაობდნენ, რათა ბუნებრივი მოვლენების მფარველი ღვთაებები გაებრაზებინათ და გამოეწვიათ წვიმა.

სასურველი ამინდის გამოსაწვევად ქალები მიდიოდნენ ქალ-ქვებთანაც, რაც ასე უხვად არის შიდა ქართლში.

ნ. აბაკელიას დაკვირვებით, „დიდების“ საერთო სახელწოდებაში (რომელიც ქრისტიანულია) ერთიანდებიან რიტუალები, რომლებშიც ხან ელია, ხან ბარბარე, ხან ლაზარე და ხან გონჯა ფიგურირებს. ამის დსტურად მას მოჰყავს „დიდების“ ორი სიმღერის შედარება:

„ეხ, ლაზარე, ლაზარე!
ლაზარ მოდგა კარსა,
იფრიალა მთასა,
მიდგა-მოდგა თაროსა,
დაემზგავსა მთვარესა!
ღმერთო, მოგვეც ტალახი,
ალარ გვინდა გორახი,
შენ მოგვიყვან წვიმასა,
ჩვენ დაგიკლავთ ციკანსა!
ორლობეში ტალახი,
მინდვრის ბოლოს ბალახი,
თეთრი ფური ფურბერწი,
შენთვის მოგვირთმეგია,
თეთრი თხა და ციკანი,
თქვენთვის მოგვირთმეგია.
ახ, ელია, ელია,
რასა მოგიწყენია
ან კიდევ:
„აჰ, ბარბარე, ბარბარე,
ცხრა ღრუბელი შეჰყარე,
გამოუძეხ წინა,
ჩამოუშვი წვიმა

¹ რაფიელ ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები/გამოსაცემად მომზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თ. ჯადოგნიშვილმა, თბ. 1986, გვ46-48

² გიორგი ჩიტაია, პიტარეთისა და გუდარეთის საფლავის ქვები, თბ. 1927

მეცნიერის აზრით, ამგვარი შემოვლითი რიტუალები, მნიშვნელოვანია სწორედ იმ თვალსაზრისით, რომ მათ ქალები ასრულებდნენ. ხოლო თოჯინისა თუ ადამიანის გაწეწვა მსხვერპლშეწირვის რიტუალს უკავშირდება¹

„დიდება“ ასევე ერქვა რიტუალს, „როდესაც ბავშვს ავადმყოფობა გაუგრძელდებოდა, დედას ბავშვი დაჰყავდა დიდებაზე. შემოვიღიდნენ რამდენიმე სოფელს და თხოულობდნენ სანთელს და ნიგოზს. თუ ბავშვი წითელაგამოვლილი იყო. თუ სხვა ავადმყოფობა გამოვლილი იყო ბავშვი, დედა თხოულობდა ხორბალს და ფქვილს. თუ ბავშვს სიარული არ შეეძლო, მხოლოდ დედა მიდიოდა. შენაგროვს გაჰყიდდნენ, იყიდდნენ საქონელს და ზვარად დაუყენებდნენ იმ ხატს, რომლის მიზეზითაც მათი რწმენით ავად იყო ბავშვი. ზვარას ხორცს სახლში სრულებით არ გამოიყენებდნენ, ურიგებდნენ მეზობლებს.²

ლაზარეზე დავლის რიტუალში, როგორც უკვე აღვნიშნეთ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქალთა პროცესიის „ქალ ქვებთან მისვლას“.

„ქვაქალების“ შესახებ შიდა ქართლის სხვადასხვა სოფელში სხვადასხვანაირი თქმულებებია დადასტურებული. სოფელ არადეთის მცხოვრები მამო ტიტვინიძის გადმოცემით, „ლეკიანობის დროს და-ძმანი მოეტაცათ. მერე ერთმანეთი შეერთოთ. ეკლესიიდან რომ გამოდიოდნენ, ქვათ იქცნენ. გვირგვინები ადგიათ. ეხლაც დგას ეს ქვა ძელიცხოვლის ხეითის ეკლესიაში. რუისშიც არის „ქვაქალა“. ამ ქვას გვალვის დროს გადავებრუნებთ ხოლმე და წყალს გადავასხამთ“³ რამდენად მასშტაბური უნდა ყოფილიყო ლაზარეზე სიარული, რომ არადეთიდან ქალები ხეითში ან რუისში მიდიოდნენ.

რუისის ქვადედაკაცა წმინდა ელიას ხატთან, ჩიტა კაკაშვილის ყოფილ სახნავ მიწაში ყოფილა. ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, რუისელ ფენხიძემ ქალს ქმრისთვის მინდორში სამხარი მიჰქონებია. გზაზე მას თავიდან ფეხებამდის იარაღში ჩამსხდარი ლეკები შემოჰყრიან. მათ ქალის დამორჩილება მოუწადინებიათ, მაგრამ ქალი გასძალიანებია. ბოლოს ძალიანობაში დაღლილ ქალს ღმერთისათვის უთხოვია- „ცა და ღრუბლის უფროსო“ გვედრები ნეტა ამათ ხელში ნუ ჩამაგდებ და ქვათ მაქციეო. მართლაც, უცებ ქალი ქვად ქცეულა. ლეკები ამაზე უფრო გაბრაზებულან და ქვადედაკაცა ხანჯლებით დაუსერიათ⁴.

არსებობს თქმულების მეორე ვარიანტიც, რომლის მიხედვითაც ქალი ორსული ყოფილა როცა გაქვავდა და ქვაც აკვანს გამოხატავსო.

ზოგიერთი „ქვაქალას“ წარმომოხება უკავშირდება მკის აკრძალვის დარღვევას, ზოგი მტრის ხელში არჩავარდნის თხოვნას და სხვ. მთავარი კი მაინც ის არის, რომ გვალვის დროს ხდებოდა ამ ქვების წყალში ჩაგდება ან დასველება, რათა წვიმა გამოეწვიათ.

შიდა ქართლის ქალქვებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია დმენისის მოზვერა ქვა. გვალვის დროს ლიახვის ხეობის სოფლების მცხოვრებ ქალთა პროცესია აქ უცნაურ რიტუალს ასრულებდა: ქალები კეტებით და სანთლებით მიდიოდნენ, მიყავდათ ქალიშვილებიც, რომლებიც ხანშიშესულებს ქვის გადაბრუნებაში ეხმარებოდნენ. ამის შემდეგ ქალიშვილები ქვას შარდით ასველებდნენ, სანთელს ანთებდნენ და წვიმის მოყვანას სთხოვდნენ. ამ ქმედებებში კარგად იკვეთება წინაქრისტიანული საწესო ქმედებისა და ქრისტიანული ჩვეულების შერწყმა. ორივე მათგანი კი მიმართული იყო სასურველი ამინდის გამოსაწვევად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „დმენისის მოზვერა ქვა „ავ ფუძედ, ფინთფუძედ ითვლებოდა. გზაში მიმავალი მამაკაცები როცა ქვას ჩაუვლიდნენ, ცხენიდან ჩამოხტებოდნენ, ქვასთან მივიდოდნენ და ზედ მოშარდავდნენ“⁵

¹ ნუნუ აბაკელია, ნინო ლამბაშიძე, ქეთევან ალავერდაშვილი, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ. 1991, გვ. 40-41

² გიემ 5179/4, მასალები ატენის ხეობის შესახებ, გვ. 20

³ გიემ 4628, გვ. 17.

⁴ მთხრობელი ლალი სულაშვილი, სოფ. რუისი.

⁵ მზია მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 95

მიუხედავად იმისა, რომ ეს ქეები სხადასხვა სახელის მატარებელი არიან (კახეთში ამ ქეებს „მამიდა ქეების“ ან „ამყე მამიდას“ სახელით იცნობენ), ფორმით ისინი არსებითად თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მსგავსია ის რიტუალური ქმედებებიც, რომლებიც ამ ქეებთან სრულდებოდა.

ლიახვის ხეობაში გვალვის დროს ასევე სცოდნიათ „ღვთის ბედობის კალმასი“, რომლის მოსაკრებლად ფეხშიშველი ქალები სოფლებში დაივლიდნენ და კალმას მოითხოვდნენ. მათ აძლევდნენ პურს, ყველს, ფულს და სხვ. შემდეგ ფულით ცხვარს ყიდულობდნენ, სადმე ბაღში ღვთის ბედობაზე სუფრას გაშლიდნენ და იქაც ავდარზე დაილოცებოდნენ.

გვალვის პერიოდში სოფელ მეჯვრისხევში „უბან-უბან ვიცოდით სამხვთო ღვინისთვისა და საკლავისთვისა ფულის შეგროვება. საჭმელი კი სახლიდან მიგვქონდა, ცოლ-ქმარზე გამოიღებდნენ ფულსა. ორ კაცს ამოვირჩევდით, ისინი კიდეც მოაგროვებდნენ ფულსა, კიდეც იყიდებდნენ საკლავსა და სასმელსა. მერე კი სხვას ავირჩევდით ვისაც შეეძლო გატყავება, კერძის გაკეთება და ისინი გააკეთებდნენ საჭმელსა. მკათათვეში ველოდით ხუთშაბათ დღესა. დიდი ჯიხვები გვქონდა, თითოში ყანწი ჩავიდოდა, ღვინოს იმითი ვსვამდით. ეს ხვთისთვის იყო, რომ ნამი გვქონოდა, მოსავლისთვისა. როცა ნამი არ იყო და დედამიწა იწვოდა აუცილებლად უნდა სამხვთო გადაგვხადა.¹

როცა გვალვა იყო, „რვა უღელს გავაკეთებდით და გუთანს შევებმოდით. გუთნის დედაც გვყავდა. წყალში გავიტანდით და დავასველებდით. გუთნის დედათ კაცს ვირჩევდით, იმასაც ვასველებდით. მერე დღეს დავკლამდით ცხვარსა, ეკლესიაში წავიდოდით, შემოუვლიდით გარშემო მღვდლითა. მერე ღვდელი აკურთხებდა სუფრასა და ეკლესიაში წავიდოდით, შემოუვლიდით გარშემო მღვდლითა.²

შიდა ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კუთხის- ლიახვის ხეობის დღესასწაულებსა და რიტუალებზე ამომწურავ ცნობებს გვაწვდის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმის ფონდში დაცული ს. მაკალათიას სტატია „ცრუმორწმუნოების გადმონაშთები შიდა ქართლში“. ეთნოგრაფიულ ნარკვევში ხალხური დღეობები კალენდარულად არ არის დალაგებული. ამის მიუხედავად, მაინც გვიქმნის ხალხური განაწესის ნათელ სურათს.

ს. მაკალათიას გადმოცემით, ლიახვის ხეობაში, მაისში, როდესაც ხვნა-თესვას მორჩებოდნენ, სცოდნიათ „ღვთისვედრება“. ამ დღეს იხდიდნენ სამღვთოს. როგორც ჩანს დღე წინასწარ არ იყო განსაზღვრული. რიტუალისთვის სოფელში ირჩევდნენ ქალებსა და კაცებს, რომელთაც ევალებოდათ შესაწირავის შეგროვება. ქალები და კაცები ცალ-ცალკე დაივლიდნენ სოფელს და იტყოდნენ „ღვთისვედრებაზე დავდივართ და ჭირნახული მოგვეცითო. ოჯახის პატრონი აძლევდა პურს, სუფრებს ქალები და კაცები ცალკე გაშლიდნენ და საღმრთოს შეექცეოდნენ. მსგავსი რიტუალი ს. მაკალათიას სხვა ხეობების აღწერისას არსად არ აქვს დადასტურებული.

ნაშრომის ბოლოს ავტორი ერთ მეტად საინტერესო მოვლენაზე საუბრობს. სოფ. დისევის თავში მდგარა „ბედნიერის მუხა“. ბედნიერი საქონლის ავადმყოფობაა, რომელიც საქონელს ყელს უსიებს და ხშირად კლავს. „ბედნიერი“ ადამიანზეც გადადისო და მის წინააღმდეგ იცოდნენ შელოცვა, აგრეთვე ევედრებოდნენ ბედნიერის მუხას. „ბედნიერის“ შელოცვის ტექსტი ფრონეს ხეობაში ჩაუწერია გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპედიციის წევრს მარეხ ხუციშვილს 1944წელს. ტექსტი ასეთია:

„ბელო,ბელო ბედნიერო,
სახელტურფა მშვენიერო,
მოდლიდი ვერცხლივითა,
ანათებდი ცეცხლივითა,
მოჭყვიროდი გოჭვივითა

¹ ვერა ბარდაველიძე, ქართლის 1949 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, თსუ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ხელნაწერი საქმე №829-830.

² გიემ 4628, გვ. 7.

მოკაკანობდი ქათამივითა,
რა არი ამი წამალი,
წითელი მიწა, ლილა,
ზეითუნი ზეთი, მურდასანგი,
გოგრის ყვავილი, ქათმის შვილი“¹

ამავე მუხასთან 3 ივლისს მკის საღმრთოს იხდიდნენ. ამ მიზნით პირველგაღვიწილი კალოდან აიღებდნენ თითო ჩანახ ჭირნახულს და საღმრთოსთვის შეინახავდნენ. შემდეგი წლის ივლისში ამ ჭირნახულისაგან ლუდს მოხარშავდნენ და საგვარეულოს დაიწვევდნენ. გვარის უფროსი მივიდოდა ბედნიერის მუხასთან და იქ თავისი საგვარეულოს დაამწყალობებდა. ამის შემდეგ კი სამკალში გასვლა ყველასათვის ნებადართული იყო².

ამრიგად, შიდა ქართლის ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულია დარ-ავდრის მფარველი ღვთაებებისადმი მიმართული სხვადასხვა რიტუალი და საწესო ქმედება. თითოეულ მათგანში ჩაღებულია ქართველი მეურნის მზრიდან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვასა და უხვმოსავლიანობაზე ზრუნვა, რაც თავის მხრივ, ოჯახის და ქვეყნის კეთილდღეობის საწინდარი იყო.

Tamila Koshoridze
Sergi Makalatia Gori Historical and Ethnographical Museum
RITUALS DEDICATED TO THE GOVERNING FORCES BAD WEATHER
IN SHIDA KARTLI
RESUME

From ancient times, beliefs and customs connected with fieldwork held an important role for the agricultural life of the Georgian people. For the purpose of an abundant and fulfilling yield, the Georgian harvester used rational, as well as irrational ways of action. With this, following traditionally developed rituals, he asked for help to the patron deities of crops. It is believed by the people that these deities, on one hand, ensured the preferred weather for a great harvest and on the other, they protected the bountifulness of the crops.

¹ გიემ 4628. გვ. 6

² გიემ 5942. გვ. 19.

სიძველეები ქსნის ხეობიდან - სოფელი დადიანეთი

სოფელი დადიანეთი მდებარეობს ქსნის ხეობაში ლომის-ალევის ქედის დასავლეთ კალთაზე. დაყოფილია უბნებად, რომელთა სახელებია: წინდადიანეთი, რევაზიანთი, შალიაანთკარი, ხადილანთი, ხარიანთკარი.

სოფლის ისტორიის შესახებ არსებობს როგორც ზეპირგადმოცემები, ისე დოკუმენტური მასალები, რომელთა ნაწილსაც სტატიამი წარმოვადგენთ.

ხეობა, ხევი, რომელიც ქსნის მარცხენა შენაკადია, იწოდება როგორც ცხრაზმა, ისე ცხრაძმა. ვახუშტი ბაგრატიონის შრომას დართული სოფლების სიაში ქსნისხევზე დასახელებულია “ცხრაზმაზე სოფელი 7”¹. მის მიერვე შედგენილ რუკაზე ცხრაზმის ხეობაში აღნიშნული საში ჯვარი, რომელიც ქართული დასახლებების აღმნიშვნელია².

XVIII საუკუნის სამოცდაათიან წლებში საქართველოში იმოგზაურა გერმანელმა მკვლევარმა ანტონ გიულდენშტედტმა, რომელმაც ასევე აღწერა ქსნის ხეობა. ის ასახელებს სოფლებს ხეობაში, მათ შორის დადიანეთს, ცხრაზმას³.

ცნობილი მკვლევარი იოანე ბაგრატიონი თავის ნაშრომში XVIII საუკუნის ბოლოს აღნიშნავს: “ცხრაძმა ხეობა არის სოფელი 7, მოსახლენი”⁴.

„ქსნის 1774,81 წლების ხალხის აღწერაში“ დასახელებულია “დადიანეთი და ცხრაზმას დადიანეთიდან”, როგორც ბერიანიძეთა სამკვიდრო სოფლები⁵.

ისტორიკოსი დ. გერიტიშვილი თავის მონოგრაფიაში სათაურით “ლესურის, მეჯუდის, ისროლის ხეობები” სამ ადგილას მოხსენებული აქვს “ბერიანები”,⁶ როგორც ბერიანიძეთა საცხოვრებელი ადგილები. აღნიშნული ადგილები მდებარეობს ზემოხსენებული ხეობების სათავეების სიახლოვეს და ეხლაც არის ნასახლარები, რომელთა ეთნიკური ვითარება გასარკვევია.

როგორც მეჯუდის, ისე ლესურის ხეობის ზემო სოფლების (აწ. ნასოფლარი) მცხოვრებნი გვიამბობენ, აქ მუდამ ქართველობა ესახლა და ჩვენ უფროს თაობას ახსოვდა, რომ ისინი ქსნის ხეობიდან უნდა ყოფილიყვნენო. სალოცავიც არის ქოლოთიდან ქსნის ხეობისკენ, კერძოდ არმაზამდე ტყეში, რომელიც ბერის სახელთან არის დაკავშირებული.

წინდადიანეთი, რევაზიანი, შალიაანთკარი, ხადილანთი, ხარიანთკარი, არის გადმოცემები:

სოფლის დარსების შესახებ რამდენიმე გადმოცემა-თქმულება დარჩენილია მოსახლეობაში. ერთი გადმოცემით ეს ადგილები როგორც ბუნებით უხვად შემკული მოსწონებიათ ძმებს შალვა, რევაზ და დანიელ დადაძეებს, რომლებსაც მტრისგან აოხრებული ბარიდან მთებისთვის მიუძარტათ. ძმებს ისრები უსვრიათ სხვადასხვა მიმართულებით და შალვას ისარი დაცემულა დღევანდელ შალიაანთკარში, რევაზის ისარი – დღევანდელ რევაზიანთში, რის გამოც შერქმევია რევაზიანი, დანიელის ისარი ყველაზე შორს დაცემულა და დაუძახიათ წინ დანიელიაო, ადგილისათვის უწოდებიათ წინდანიელი, რომელსაც შემდგომ ენობრივი ცვლილების გამო ეწოდა წინდადიანეთი.

¹ ბაგრატიონი ვ., საქართველოს გეოგრაფია, 1997, გვ. 205.

² ვახუშტი, რუკები, 1745.

³ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 1962, გვ. 273.

⁴ ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, 1986, გვ. 36-37.

⁵ ჯავახიშვილი ი., საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, 1967, გვ. 192, 211.

⁶ გერიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 81.

მეორე გადმოცემით, ქსნის ერისთავს სტუმრად სწვევია სამეგრელოს მთავარი დადიანი და უთამაშოთ ჭადრაკი, დამარცხებულს გამარჯვებულისთვის თვისი სამფლობელოს რომელიმე დასახლება უნდა დაეთმო. წაუგია ერისთავს და გამარჯვებულისთვის დღევანდელი დადიანეთი შეუთავაზებია, რაზეც დადიანს უარი უთქვამს, სამაგიეროდ ერისთავს მის საპატივსაცემოდ ამ ადგილისთვის დადიანეთი უწოდებია.

თქმულება ხარანაულზე

სოფლის აღმოსავლეთით, დაახლოებით ერთი კილომეტრის დაცილებით შემორჩენილია სასახლის ნანგრევები, გალავანი და მცირედ ეკლესია, რომელსაც ადგილობრივები ხარიანთკარს უწოდებენ. გადმოცემით აქ უცხოვრია ხეობაში განთქმულ კაცს ხარანაულს, რომელიც დიდი სიმდიდრის მფლობელი ყოფილა. ერთ დროს ქსნის ერისთავს ოჩხარის დროს გულუხვობით განთქმული ხარანაულისათვის ყურადღება მიუქცევია და დამეგობრებულან. ყოველივე ამაზე შემორჩენილია ხალხური პოეზიის ნიმუშები, მოვიყვანთ ნაწყვეტს, რაც ისევე ოჩხარს უკავშირდება:

ათასი სული ცხვარი მყავს,
იმისი მშრალი სხვა არი,
ოცი უღელი ხარი მყავს
ხარი და ცხენი სხვა არი.
ძმა და ძმისწული ცხვარში მყავს
მოჯამაგირე სხვა არი
მე ასი შემიწვევია
ერთი და ორი რა არი? და სხვა

ისევე გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ლომისის ეკლესიის აგებისას დავა წამოჭრილა თუ ტაძრისათვის კარი საით უნდა შეებათ. ისევე მისი (ხარანაულის) ჩარევით კარი ქსნის ხეობისკენ შეუბამთ, ხოლო დეკანოზი არაგვის ხეობიდან ბურღული დაუნიშნავთ და ყოველივე ეს დღესაც ასეა მოუშლელად. ხარანაული შემდგომ, როგორც მოგვითხრობენ ძალადობის მსხვეპრლი გამხდარა. ეს არის სევდიანი ისტორია ჩვენ მთაში მომხდარი, რაც შემორჩენილია.

დადიანეთის წინუბნის სამების ეკლესია

აგებულია სოფლის თავში მრგვალად აზიდულ გორაზე, ნაგებია ქვაკირით, მთის კლდის ფლეთილი ლოჩებით. ადრე ერთნავიანი ყოფილა, მერე კი სამხრეთიდან სხვა ვიწრო შენობა მიუშენებიათ, მათ ამ ორ ნაგებობას დიდი პერიოდი არ უნდა ყოფდეთ, ისინი ცალ-ცალკე არიან აშენებული და გადახურვაც ცალ-ცალკეა, გადახურულია სიპებით, რაც ადგილობრივ მთაში არის მოპოვებული.

სათავსოს სამხრეთ კედელზე ყოფილა თალიანი კარები, რომელიც შემდეგ ამოულიათ, მაგრამ თალი ისევე მყარად არის კარის თავზე.

ამ ნავში მიყუდებულია ერთი დიდი ხის ჯვარი, რომელზეც გამოსახულია წმინდანთა სახეები, რომელიც მოჭედილია ვერცხლის ან თუთიის ფირფიტებით.

ერთი ყუთი საგსეა სანთლებით, საეკლესიო ნივთებით, შანდლებით, ქართული ტიპის პატარა და დიდი ზარებით, არის რუსული ზარებიც, სამსანთლიანი ზარები. წმინდა გიორგის გამოსახულებით, ასევე სხვა წმინდანთა გამოსახულებებით, აქვე იყო სხვადასხვა სახის მონეტები, ვერცხლი.

ტრაპეზის ორივე მხარეს ამოღებულია ორი ნიში, მარჯვენაში შეწყობილია 15 შამფური, უჟანგავი ფოლადისაგან დამზადებული, მარცხენაში კი – დაზიანებული წიგნის ფურცლები, ნაწილი ძირსაა ჩამოყრილი ვაიდანთვალეირებლების მიერ.

აფსიდი ნავიდან საფეხურით არის გამოყოფილი, აქ პატარა სარკმელია დატანებული, ჩანს სინათლისათვის და მართლაც იქაურობა კარგად არის განათებული.

საკურთხეველზე ელაგა სპილენძის ჩამჩა, საწვნი, ორი ქაფქირი დიდი და პატარა, აქვე დაყუდებული (ზომით 20X25) წმინდა გიორგის ხატი – ცხენზე მჯდარი ჩარჩოში ჩასმული, რომელიც უჟანგავი მასალისგან არის დამზადებული. აქვეა პატარა ხატი ქრისტეს გამოსახულებით სახარებით ხელში. ასევე პატარა ხატი ღვთისმშობლის გამოსახულებით, ძირს ასევე ყრია ხურდა ფულები. დაბლა რამდენიმე პატარა ზარია, ასევე ძირიანი ბარძიმი, შანღლები, სასმისები ქუსლიანი და უქუსლო, სპილენძის თუნგი, ორი დიდი სასანთლე.

საკურთხეველზე დევს ლითონის ჯვარი, რომელსაც ოთხივე მხარეს წმინდანთა გამოსახულება ამშვენებს. ცენტრში კი ჯვარცმული ქრისტე.

ეკლესიას გარშემოვლებული ჰქონია დულაბით ნაშენი გალავანი, რომელიც ამჟამად ნაწილობრივ დაშლილია, ასევე ჩანს სათავსოები, რომლებიც დაშლილია. გალავნის შესასვლელი კარი სამხრეთიდან აქვს, აქვეა აკლდამები, რომლებიც გათლილი დიდი ზომის ტუფის ქვებით არის ამოშენებული.

ეკლესიის ეზოში მაღალ ხეებზე ჩამოკიდებულია ორი დიდი ზარი, ერთს აქვს ამოკაწრული წარწერა: „1899 წ.“ ზარის კალთაზე ორი სტრიქონია: “შევწირე წმინდა გიორგისა“; მეორე წარწერა: “შევწირე სადღეგრძელოდ ბერიანიძემა შალვა გაბრიელის ძე“.

წმინდა გიორგის მონასტერი

შალიკაანთ უბნის დასავლეთით, მაღალი მთის წვერზე, დიდრონი მუხების ქვეშ, ალპური ზონის დასაწყისში არის სამონასტრო კომპლექსი, რომელსაც შემოვლებული აქვს თლილი ქვის გალავანი. ძეგლს შესასვლელი კარი აქვს სამხრეთიდან და მეორე დასავლეთის მხარეს. მთავარ ნავს აღმოსავლეთის მხარეს მიშენებული აქვს აფსიდიანი სათავსი, რომლის სახურავიც თაღოვანია, რაც ჯერ კიდევ არის შემორჩენილი.

მთავარ ნავს შესასვლელი აქვს ჩრდილოეთიდან, მისი ყველა მხარე მოხატული ყოფილა ძვირფასი ფერებით, იქაურთა გადმოცემით, როგორც ამ სოფლის, ისე სხვა ეკლესიები მოხატული ყოფილა ლარგვისელი მხატვრების მიერ, რაც ფრესკულ წარწერებშიც ჩანდა, მაგრამ დრომ და უპატრონობამ გააპარტახა აქაურობა.

ზურგის კედელზე ახლაც კარგად ჩანს ცხენზე მჯდომი წმინდა გიორგის გამოსახულება. გვერდით მეორე მხატვრობა არის შესრულებული მეომრის გამოსახულებით, მას ხმალზე აქვს ერთი ხელი წაკიდებული, მეორეში კი ხმალი უკავია. მაღლა სარკმელის გვერდით ღმრთისმშობელია გამოსახული.

ნავის თაღს ერთმანეთის გვერდით მისდევენ წმინდანთა გამოსახულებები. ტრაპეზზე ერთი დიდი გათლილი ქვაა დადებული, რომელიც მთის ქანი ტრავერტინი უნდა იყოს. საერთოდ, უფრო ხელოვნების ნიმუშია. გალავნის ჩრდილოეთით არის დიდი სათავსი, რომელსაც რამდენიმე თახჩა აქვს დატანებული. გალავნის სამხრეთ შესასვლელთან კუთხეში აღმართულია დიდი სამრეკლო, რომელიც ძირიდან მასიურია, ხოლო შემდეგ სიმაღლეში ოთხ სვეტად იყოფა, რომელთა სიმაღლე ათი მეტრია. მთავარი ნავის ტრაპეზის წინ ეწყობო ორი დიდი სპილენძის ქვაბი ლუდისა და ხორცის მოსახარშად, ალუმინის მრგვალი ტაშტები, ორი მოზრდილი ქვევრი, ორი ყუთი, სადაც სხვადასხვა შეწირული ნივთები ეწყობო, მათ შორის ბარიდან ატანილი სოფლის ძველი მაცხოვრებლების მიერ.

მეორე კუთხეში, სადაც მაგიდა არის გამართული, ასევე თახჩაა, სადაც ძველი ნიმუშის მიხედვით ზარებია, ხურდა ფული, სანთლები, სანთლის სადგამები. ცხავატური ჭურჭელი, რაც ასე იშვიათია დღესაც, სანთლის სადგამები, ჯამები, დოქები, კეცები. აქვე იყო დიდი ზომის ზარი მხედრული წარწერებით, რომელიც მერე დაიკარგა. ეს ყველაფერი ბრალდებოდა ჩრდილოეთიდან შემოსულ ვანდალებს.

მარჯვნივ, კედლის თახჩაში ეწყობო ოცი ჯამი, ერთი თუნუქის ყუთი მონეტებით, ასევე მონეტები პატარა ნიშებში.

შალიანთკარის ღვთისმშობელი

მღებარეობს შალიანთკარის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სამი ხევის შესაყარზე და ამ ხეების შიგნით გადის. ძველი მთლიანად ასწლოვანი მუხებისა და იფნის ხეებით არის გარემოცული. ეკლესია შედგება მთავარი ნავისგან, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ არის წარმოზრდილი. ძველი აგებულია ფლეთილი ქვითა და ღვლებით ცენტრში ჩანს მაღალი სარკმელი, რომელიც მთავრდება ნაღისებური აფსიდით. ზურგის კედელს ორი სარკმელი აქვს, რომელთაგან ქვემო დიდი ზომისაა, ზემო – პატარა. მთავარი ნავის სიმაღლე ორი მეტრია. ჩრდილო-აღმოსავლეთით კედელს ორი კარი აქვს დატანებული. ეკლესიას ასევე აქვს მინაშენი ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან. ძველი შიგნით მთლიანად ყოფილა გალესილი, მთავარი შესასვლელი სამხრეთიდან აქვს და კარის თაღი გათლილი ტუფის ქვით არის გადაყვანილი, რომელსაც ოდნავ ეტყობა მხედრული დაწერილობის კვალი.

დადიანეთის მეორე ღვთისმშობლის ეკლესია

დადიანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მთის წვერზე (ბილუნეთის მთად წოდებული, რომელიც ზღვის დონიდან 2400 მეტრის სიმაღლეზე მღებარეობს), აგებულია უზარმაზარი ლოდებით გვიანტური ნაგებობა, რომელსაც გალავანი ეხლაც აქვს. იქაურთა გადმოცემით, გალავნის შესასვლელის კარზე, ტუფის ქვაზე, ვრცელი წარწერა ჰქონია, რომელიც ქვების გროვაში ძეგლისას ვერ ვნახეთ. ქვების ზომა ორი და ორნახევარი მეტრის სიგრძისაა და მეტრნახევარი სიგანის და მათი დამგრა ეხლაც კი გაძნელებულია. ჩანს, რომ დროთა განმავლობაში მიწაზე გდებისგან როგორც წარწერები ისე ჩუქურთმები მწყობრიდან გამოვიდა.

შიგნით მოხატული ყოფილა წმინდანთა ფრესკებით, რომლებიც მსახვრალმა ხელმა ნაწილობრივ გაანადგურა. ასევე ბუნების მოვლენებმა, მაგრამ დახვეწილი ოსტატობა მაინც თვალში საცემია. ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ხისა და რკინის ნაკეთობები, რომელიც ხეობის სოფლების მრევლისგან იყო მოტანილი, შენახული. უკეთურმა ხალხმა დაიტაცა ეს ნივთები. ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ქვაბები, ზედადგრები, ხისა და რკინის ჯამები, მჭრელი იარაღი – ცულები, წალღები და სხვა.

დადიანეთის წინუბანი და კოშკი

მდინარე დადიანურას მარჯვენა ნაპირზე კოშკი აგებულია კლდის ქვით, ღვლებით. შესასვლელი კარი დატანილი აქვს მიწიდან სამი მეტრის სიმაღლეზე, დატანებული აქვს სათოფურები ყველა მხარეს. პირველ სართულზე გამოჭრილია ბუნარი, ორი თახჩა დიდი და პატარა ერთიმეორის თავზე მოთავსებული. აქედან კარგად ჩანს ახლო მღებარე სოფლები, გადასასვლელები, გზები. ჩაქცეულია ორი-მესუთე და მეოთხე სართულები, დანარჩენი ჯერ კიდევ შემორჩენილია. მესამე სართული არის სადა, მაგრამ აქვს თახჩები, სამზირები აქვს ყველა მხარეს. მოხუცების თქმით, აღნიშნული კოშკი რამდენჯერმე გადაკეთებული და სულ ბოლოს ლეკების შემოსევის დროს არის დამწვარი.

ადგილი ხადილანში შემორჩენილია კოშკის კედლები, აღმოსავლეთით ეტყობა ზურგის მომრგვალება. როგორც ჩანს, ერთ-ერთი ძველი ნაგებობაა, ეტყობა სხვადასხვა მშენებლობის კვალი, კოშკის სართულები ჩაქცეულია და ნაშალით არის ამოვსებული.

Nikoloz Otinashvili

Gori State University

**ANTIQUITIES FROM KSANI GORGE - VILLAGE DADIANETI
RESUME**

The article deals with the history of the village Dadianeti and its cultural heritage. The village is located in the left tributary of the river Ksani in Tskhradzmla gorge, it is named in several historical monuments, including the "Monument of the Eristavi". Earlier it is mentioned at the turn of the X and XIV-XV centuries, where it is named as Dadaneti. Today the village consists of four districts, but is almost empty.

Tsinubani Trinity Church is built at the top of the village with mud and rock stone. It used to be a single nave and then another building was added. A number of items are placed here, there is one large wooden cross made of silver and zinc plates. St. George's Monastery is located in the west of Shalikaant district, built of cut stone, which also builds a fence. It has entrance doors from the north and west. The walls were painted in precious colors, including frescoes of St. George and the Virgin, has a surviving bell tower.

The Church of Virgin Mary is located to the south-east of the village, which extends from east to west. The arches are made of red smoothed stone. Tsinubani tower is built on the right bank of the river Dadiankra, the fortress is five-storied and has arches around it, and the entrance door is three meters above the ground. The fourth and fifth floors are demolished, while the others stand firmly. The tower has arches that were used for agricultural purposes. There are several remains of the building around the monument, the discovery of which is a work for the future. Several cult niches have also been identified that should be related to the localization of the old settlement.

გამყრელიძეთა საგვარეულოს წარმომავლობა და მისი განსახლება რაჭაში

ძირძველ ქართულ ისტორიულ საგვარეულოთა შორის საპატიო ადგილი უკავია გამყრელიძეთა გვარს. ეს საგვარეულო სათავეს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონიდან – რაჭიდან იღებს.

ქართულ საისტორიო წყაროებში გამყრელიძენი XV საუკუნიდან იხსენიებიან.¹

ბაგრატიონანმა ხელმწიფემ გიორგი VIII-მ, რომელიც მეფობდა 1446-1466 წლებში ერთიან საქართველოში, ხოლო 1466-1476 წლებში – კახეთში, 1458 წლის 27 აგვისტოს თავის ერთგულ ქვეშევრდომს – შალვა გამყრელიძეს წყალობის სიგელი უბოძა.²

ამ დოკუმენტში ვკითხულობთ: “ქ. ჩუენ, ღვთივ-გვირგვინოსნის, მეფეთ მეფის გიორგი-სგან. იესიან-დავითიან-სოლომონიანობით აღმკულმან... დიდებულმან, ნებითა და შეწვენითა ღვთისათა და [წინამძღურობითა] პატიოსნისა ჯვარისა ძელისა ცხოვრებისათა, აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შაჰან-შაჰე და შარვან-შაჰე და ყოვლისა ჩრდილოეთისა, აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდის თვით-ხელმწიფედ ფლობით მპყრობელთასა.

მოვიდეს წინაშე ჩვენსა ჩვენნი დიდად ერთგულნი და თავდადებით ნამსახურნი და ჩვენისა მორჭუმისა და ამოდ ყოფისათვის დიდად მომჭირნენი, გამყრელისძე შალვა და შვილი მათი ინდუა და მამისა, გვიაჯნეს და მოგვახსენეს ჩუენ და თანამეცხედრესა ჩუენსა, პატრონსა დედოფალთ დედოფალსა ნესტანდარეჯანს და ძესა ჩუენსა ალექსანდრეს, რათამცა მრავალთა ერთგულობა-ნამსახურთა მათთასა სიგლითა ამით შეგვეწყაღნეს და ამათთვის სისხლი გაგვეჩინა. დაგუაჯერა [დმერთმან] და ვისმინეთ ჰაჯა და მოხსენება მათი და გაუჩინეთ სისხლად ორასოცი ათასი ძველი ცხუმური მისითა საგერშოთა და სანახშიროთა.

მოკითხული ვქენით და ძველადცა თქვენისა სახლისა ასრე გაჩენილი ყოფილიყო და ძველი სიგელი კიდე დაგწვოდა. და აწ ჩვენცა შეგიწყალეთ და სისხლის სიგელი გაგიჩინეთ და გაგიახლეთ. და თქვენდა სისხლად გაგაჩინეთ ორასოცი ათასი ძველი ცხუმური თეთრი მისითა საგერშოთა და სანახშიროთა.

ვინცა თქვენგანი და თქვენის სახლისა გვარისა უბრალოდ მოკლას და გილალატოს, ესე ჩვენგან თქვენთვის სისხლად გაჩენილი ორას[ოცი] ათასი ძველი ცხუმური თეთრი გაგიჩინეთ. ვინცა-ვინ დარბას[ს] უსამართლოდ შეგასმინოს, ანუ დაკოდითა დაგახიჩოს, ანუ საჩენსა და ანუ უჩენსა ალაგსა დაგკოდოს, ანუ ცოლი ვინმე წაგგუაროს, ანუ საფლავი გაგიტეხოს, ანუ სასახლესა ზედა ვინმე დაგესხას, ანუ ცეცხლი შემოგაყაროს, ანუ მუქარა გთხოვოს, ანუ ცოლობით გაგინონ, ანუ ჯოგი წაგისხას, ანუ მეკობრობით ვინმე რამე მოგპაროს და, რაცა კაცისაგან კაცსა სავნებელი და საუბატიო საქმე წაეკიდების, იგი წაგეკიდოს, ამა ორასოცი ათასისა ჩვენგან თქვენთვის გაჩენილსა სისხლისაგან მის ჟამისა ბრჭეთა, როგორიცა სამართლად, აგრე გაგიჩინონ. და არას ჟამშიგან ესე არაოდეს დაგაკლდებოდეს.

ბ(რძანე)ბა ესე ნიშნად გვიბობებია.

დაიწერა მტკიცე სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ო)ნსა რმვ, ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა იბ, აგვისტოს კზ, ხელითა წირქვალელისძისა რაჭისათა”.¹

¹ პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. I. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა. თბ. 1991, გვ. 597.

² კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ხელნაწერი Hd-10149.

მართალია, ამ დოკუმენტში არ არის მითითებული შალვა გამყრელიძის წოდება და საცხოვრისი, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი უნდა ყოფილიყო რაჭის მკვიდრი აზნაური, რადგანაც საქართველოს მეფემ მას სისხლის ფასად 220 ათასი „ძველი ცხუმური თეთრი“ (სოხუმური ვერცხლის მონეტა) ანუ დიდი ოდენობის თანხა გაუსაზღვრა.

აქვე დავსძენთ, რომ არსებობს ვარაუდები გამყრელიძეთა სვანური წარმომავლობისა და შალვა გამყრელიძის უწერაში, ანუ ზემო რაჭაში მკვიდრობის თაობაზე.²

ამ ვარაუდებს გააჩნია საფუძველი, თუ გავითვალისწინებთ აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რაჭის ერისთავი თავდაპირველად “უფრო მცირე ერთეულის გამგე იყო: ზემო რაჭა (თუ სხვაც არა) მის ხელთ არ იყო. ის ნახევრად სვანური იყო და არც „რაჭაში“ შემოდინდა. ასევე არ შემოდინდა რაჭაში თავკერი. ასე რომ რაჭაში შედიოდა მხოლოდ „ქვემო რაჭა“. ისე როგორც ქვეყანა თავკერს, თავისი სახელი ციხე თავკერისაგან ჰქონდა მიღებული, სადაც ამ მხარის ადმინისტრაციული ცენტრი შეიქმნა (ან უკეთ, საიდანაც რომელიღაც სახლმა თავისი უფლებები გარშემო მიდამოზე გაავრცელა და ამით თავისი ადგილსამყოფელი ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ცენტრად აქცია); ასევე საფიქრებელია, რაჭა ეწოდებოდა იმ ცენტრს, საიდანაც ასეთივე ხელისუფლება გარშემო ქვეყანაზე ვრცელდებოდა (მეტად დამახასიათებელია, რომ XVII საუკუნეში რუს ელჩებს შემოუნახავთ ცნობა, რომ მათ დროს რაჭა ეწოდებოდა სრულიად გარკვეულ პუნქტს რაჭაში). ასევე შეიძლება ვიფიქროთ ქართლის ერისთავზედაც. „ქართლიც“ ზომ სრულიად გარკვეული გეოგრაფიული პუნქტია”.³

არსებობს ცნობა გამყრელიძეთა ბიბლიური წარმომავლობის შესახებაც, რომელიც დაცულია ქართული სამართლის უნიკალურ საკოდიფიკაციო ძეგლში – XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილ ნაშრომში „სამართალი ბატონისშვილის დავითისა“. მისი ავტორი, ზემოხსენებული უფლისწული დავით გიორგის ძე ბაგრატიონი (1767-1819) ამ ნაშრომის ერთ-ერთ ქვეთავში, რომელსაც ეწოდება „აზნაურთა-თვის“, წერს: “იბრემისა შთამომავლობანი და მამანი, ვინადგან არიან გამყრელიძეები, იგინი არიან ადრედგანნი აზნაურნი”.⁴

აქ მოხსენიებულ “იბრემში” ავტორი ბიბლიურ აბრაამს გულისხმობდა.

რაჭაში მცხოვრები გამყრელიძენი ამ მხარის ერისთავთა აზნაურნი იყვნენ.⁵

ერისთავის თანამდებობა რაჭაში სხვადასხვა ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლებს ეკავათ. 1488 წლიდან რაჭის საერისთავოს სათავეში ჩხეიძეთა (ჩხეტისძეთა) გვარი მოექცა. იმერეთის სამეფოს ტერიტორიაზე არსებული ოთხი სადროშოდან უპირველესს წარმოადგენდა „საჩხეიძეო“, რომელსაც წარსულში „არგვეთი“ ეწოდებოდა.

ერისთავად დაწინაურებული ჩხეიძენი იყვნენ მძლავრი ფეოდალები, რომლებიც ხშირად ეურჩებოდნენ იმერეთის მეფეებს და რაჭის დამოუკიდებლად მართვა-გამგებლობას ცდილობდნენ. ამის გამო მათ შორის დროდადრო სისხლისმღვრელი ბრძოლაც მიმდინარეობდა. პომპეზურად ჟრერდა რაჭის ერისთავთა ტიტულატურა XVIII საუკუნეში – “ლიხთ იმერისა და ამერის მთავარი, მსაჯულად დადგინებული, მპრობელი რაჭისა”.⁶

1578 წლით დათარიღებულ ქუთაისის საყდრის გამოსავლის ბეგარის დავთარში აღნიშნულია, რომ ქუთათელმა მიტროპოლიტმა დოსითეოსმა ყმა-გლეხი ბუიძეები აზნაურ გამყრელიძის

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. III ტომი. XV საუკუნის მეორე ნახევარი. შეადგინეს: თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ. გამოსაცემად მოამზადა ამ ტომის რედაქტორმა მ. სურგულაძემ. თბ. 2014, გვ. 93-94.

² გ. საღუნეშვილი. ქართული გვარსახელები. თბ. 2005, გვ. 143.

³ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის. მეორე გამოცემა. დ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1990, გვ. 115.

⁴ სამართალი ბატონისშვილის დავითისა. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ. თბ. 1964, გვ. 152.

⁵ ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). ტ. I. თბ. 1973, გვ. 80.

⁶ რ. მეტრეველი. რაჭა. შტრიხები წარსულიდან. თბ. 2013, გვ. 94-99.

შვილებისაგან დაიხსნა. დოკუმენტში ვკითხულობთ: “მე, ქუთათელ მიტროპოლიტმან დოსითეოს დავიხსენ ბეჟუკი გამყრელიძის შვილებისაგან ბუიძენი – დავითელა, ვარსიმელა, სვიმონიკა, მათი ცოლ-შვილით და ღმრთისმშობელს შევსწირე”.¹

1732 წელს კათოლიკოს-პატრიარქ გრიგოლის (ლორთქიფანიძის) მიერ ბიჭვინთისადმი შეწირულების წიგნში აღნიშნულია: “ამბროლაურს გამყრელიძისეული პარტახი შოშიტა ერისთავმა გვიბოძა, იმაზედ კაცი დავასახლეთ და ისიც ხატს შევსწირეთ”.²

რაჭის ერისთავ როსტომის მიერ გლახუჩ გლოველისადმი 1750 წელს ბოძებულ წყალობის სიგელში მოწმედ და გამრიგედ – ლომკაც გამყრელიძე იხსენიება.³

როსტომ რაჭის ერისთავის მიერ ქუთათელი მიტროპოლიტის მაქსიმე აბაშიძისა და ქუთაისის ღვთისმშობლის ტაძრისადმი ბოძებულ შეწირულების წიგნში რაჭის სხვა წარჩინებულთა შორის გამყრელიძენიც იხსენიებიან.⁴ აქვე განვმარტავთ, რომ მაქსიმე ქუთათელს ეს თანამდებობა ეკავა 1759 წლიდან, ხოლო 1776-1795 წლებში დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად მაქსიმე II-ის სახელით მოღვაწეობდა.⁵

1769 წელს იმერეთის სახელოვანმა ხელმწიფემ სოლომონ I დიდმა (მეფობდა 1752-1784 წლებში) შეიპყრო რაჭის დაუმორჩილებელი ერისთავი როსტომი, რომელსაც თავის ვაჟებთან ერთად თვალები დასთხარეს. ამის შემდეგ მეფემ გააუქმა რაჭის საერისთავო, ერისთავთა ყმა-მამულის მნიშვნელოვანი ნაწილი სამეფო საკუთრებად გამოაცხადა, ციხეებში თავისი გარნიზონები ჩააყენა, ხოლო სოფლების ნაწილი თავის ძმას, კათოლიკოს იოსებს გადასცა. ამით მეფეს და ერისთავებს შორის ხანგრძლივად მიმდინარე ბრძოლა სოლომონ დიდის ძლევამოსილი გამარჯვებით დაგვირგვინდა.

სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ იმერეთში გამეფებულმა დავით II-მ (მეფობდა 1784-1789 წლებში) აღადგინა რაჭის საერისთავო, რომელიც ჩააბარა ჯერ თავის დისწულს, კერძოდ, ელენეს ვაჟს და როსტომის შვილიშვილს – ანტონ გიორგის ძეს, ხოლო 1785 წლიდან – მის ძმას და თავის სიძეს, ოსმალეთიდან დაბრუნებულ გიორგი როსტომის ძეს, რომელიც სულთნის კარზე ქიორ-ბეის (ანუ ბრმა ბეგის) სახელით მსახურობდა. 1787 წელს, სოფელ გლოლაში, ოსებთან მომხდარ შეტაკებაში გიორგის დაღუპვის შემდეგ, ერისთავობა კვლავ მისმა ვაჟმა – ანტონმა გადაიბარა.⁶

1789 წელს იმერეთში გამეფდა ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრე უფლისწული დავით არჩილის ძე (მეფობდა 1810 წლამდე), რომელიც თავისი სახელოვანი ბიძის (მამის ძმის) სოლომონ I-ის პატივსაცემად – „სოლომონ II-დ“ იწოდა. პოზიციების განმტკიცების შემდეგ, მან საბოლოოდ გააუქმა რაჭის საერისთავო, რომელიც იმერეთის სამეფოს ხელისუფლების ფეოდალური ოპოზიციის ერთ-ერთი სახიფათო ბუდე გახლდათ.

XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ყმა-გლეხთა წინააღმდეგობა ფეოდალებისადმი საქართველოში შესამჩნევი გახდა. იმხანად, ქართველ თავადებს და აზნაურებს ყმები ხშირად გაურბოდნენ. ამ მხრივ გამონაკლისი არც აზნაურ გამყრელიძეთა ყმანი იყვნენ.⁷

1802 წლის დოკუმენტში იხსენიებიან აზნაური ძმები: გიორგი, სიმონ და ბეჟან გამყრელიძეები, რომლებიც ზემო რაჭის სოფელ ქორთაში ყმა-მამულს ფლობდნენ. საბუთიდან ირკვევა, რომ ქორთელმა გლეხებმა: მახარობელ და მამუკა გოგლიძეებმა და გოგია თათარაძემ შემდეგ

¹ ქართული სამართლის ძეგლები. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 343.

² იქვე, გვ. 716.

³ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.). I. ტექსტი გამოსცა და საძიებელი დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბ. 1958, გვ. 103.

⁴ Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского (под редакцией А. Берже). Т. I. Тифлис. 1866, с. 29.

⁵ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, კოლექტიური ნაშრომი რ. მეტრეველის რედაქციით, თბ. 2000, გვ. 168.

⁶ მ. რეხვიაშვილი. იმერეთი XVIII საუკუნეში (ნარკვევები). თბ. 1982, გვ. 93-96.

⁷ დ. გვრიტიშვილი. მასალები ქართველი გლეხობის ისტორიისათვის (XVIII საუკუნე). თბ. 1979, გვ. 306.

თავდებობის წიგნი უბოძეს თავიანთ ნათესავ კაცია გოგლიძეს: „შენმა ბატონმა გამყრელიძემ გიორგიმ, სიმონ და ბეჟან – დაგიჭირეს და დაგატუსაღეს. მოხველ შენ და ჩვენ შემოგვეხვეწე და თავდებობა დაგეპატიჟე. რადგან ჩვენ შენი სისხლი და ხორცი ვიყავით, თავდებად დაგიდექით, რომ შენს ბატონს აღარსაით გაჰქცეოდი, მაგრამ მაინც არ დაიშალე და ქართლში გადახვედი შენის ცოლშვილით. მერე შენმა ბატონმა ჩვენ დავა და ლაპარაკი დაგვიწყო. რადგან თავდებნი ვიყავით, ჩვენ იმასთან რაღა სიტყვა გვექონდა, გადმოვედით ქართლს და სამართალში გელაპარაკენით. ქართულის სამართალითაც ჩვენი მოვალე შეიქენ. ჩვენ რადგან სამოციის მარჩილის თავდებნი ვიყავით, რომ შენის ბატონისათვის უნდა მიგეცა. ეს სამოცი მარჩილი შენგან ჩვენ მოგვბარდა, რომ შენის თავდებობისაგან ამოსულნი ვართ და ჩვენ შენთან სიტყვა და საქმე აღარა გვაქვს რა ძმობისა და კაის კაცობის მეტი და შენმა ბატონმა გამყრელიძემ: ბეჟანმა, სვიმონ და გიორგი – თავდახსნილობის წიგნი დაგიწერეს და ჩვენის ხელით გამოვიგზავნეს, რომელიც დღეს შენ ხელთ გიჭირავს, რადგან შენი ფასი მიჰბარდა, გამყრელიძეებმაც გული გვაჯერეს ჩვენ, რომ დღეის იქით იმათა და იმის ჩამომავლობას შენთან და შენს ჩამომავლობასთან საბატონყმით სიტყვა და საქმე არა ჰქონდესთ“.¹

1808 წელს მეფე სოლომონ II-მ აზნაურ გამყრელიძეებს წყალობის სიგელი უბოძა. სოფელ კომანდელში მცხოვრებ ვალიკო ივანეს ძე გამყრელიძესთან დაცული ეს დოკუმენტი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადასცა ეთნოგრაფმა გიორგი თადეოზის ძე ბოჭორიძემ (1884-1939), რომელმაც სიძველეთა შესწავლას დიდი ამაგი დასდო.²

ფეოდალური ეპოქის რაჭაში გავრცელებული იყო გამოთქმა: „ჯარი – ჯაფარიძისა, ხმალი – გამყრელიძისა“.³ ამ გამოთქმაში ხაზგასმული იყო ის ღირსებანი, რითაც ამ რეგიონში მცხოვრები აღნიშნული ორი წარჩინებული საგვარეულო გამოირჩეოდა.

გვიანფეოდალურ ხანაში რაჭაში მოქმედებდა მართვა-გამგებლობის მძლავრი აპარატი, რომელშიც შედიოდნენ: მოურავები, მამასახლისები, კარისკაცები.

რუსეთის მიერ იმერეთის სამეფოს დაპყრობის (1810 წ.) პერიოდში რაჭაში მოურავად მსახურობდა აზნაური ფრიდონ გამყრელიძე, რომელიც ამ თანამდებობაზე 1812 წელსაც, ანუ ე.წ. „რაჭის ოკრუგის“ შექმნის შემდეგაც იხსენიება.⁴

1819 წლის ზაფხულში, როდესაც იმერეთში ანტიიმპერიულმა სახალხო აჯანყებამ იფეთქა, წინააღმდეგობის ერთ-ერთ მძლავ კერად იქცა რაჭა, სადაც ოკუპანტებთან შეუპოვარი ბრძოლა მომდევნო წლის ზაფხულამდე გრძელდებოდა.⁵

ამბოხებულებზე მრავალარიცხოვანმა და უკეთესად შეიარაღებულმა რუსთა ჯარმა ეს აჯანყება სისხლში ჩაახშო. ამბოხებაში მონაწილეობის გამო „დამნაშავედ“ მიჩნეული მამულიშვილნი, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში, რაჭაშიც დასაჯეს, მოსახლეობას იარაღი აჰყარეს და მძიმე გადასახადები შეაწერეს, სოფლები გადაწვეს, ხოლო ციხესიმაგრეები ნანგრევებად აქციეს.⁶

1821 წლის 10 მაისს მღვდელმა მაქსიმე გვერდწითელმა საქართველოს ეგზარქოსს თეოფილაქტე რუსანოვს (1765-1821) წარუდგინა მოხსენება ოსურ დაბა ალაგირში მოგზაურობის შესახებ, სადაც ზემო რაჭის მაღალმთიანი სოფლის – გლოლას გავლით ჩავიდა. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ გლოლადან მათ თან გაჰყვათ აზნაური გიორგი გამყრელიძე და ორი მეფესალმუნე, რომლებიც იმავე სოფლის მკვიდრნი ყოფილან.⁷

¹ ო. სოსელია. მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის. თბ. 1960, გვ. 32-33.

² გ. ბოჭორიძე. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები. შეადგინა ლ. ფრუიძემ. თბ. 1994, გვ. 355.

³ ვალერიან გამყრელიძე (1904-1995), გვ. 18.

⁴ რ. მეტრეველი. რაჭა. შტრიხები წარსულიდან. გვ. 108-109.

⁵ იქვე, გვ. 110-111.

⁶ მ. ხომერიკი. იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები. თბ. 2012, გვ. 287-288.

⁷ Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского (под редакцией А. Берже). Т. VI. Часть первая. Тифлис. 1874, с. 415.

გამყრელიძენი ოდითგან ცხოვრობდნენ ზემო რაჭის სოფლებში: უწერაში, სომიწოსა და კომანდელში, ¹ რომლებიც ამჟამად ონის მუნიციპალიტეტში შედის.

1840-1843 წლების მონაცემებით, რაჭაში ცხოვრობდა აზნაურ გამყრელიძეთა 18 კომლი, ² რომლებიც სახლობდნენ შემდეგ სოფლებში (ჩამოთვლილია ანბანურად): ამბროლაური, ბოყვა, გომი, კომანდელი, ლიხეთი, ონი, პატარა ონი, სომიწო, სხიერი, უწერა, ფარავნე, ხირხონისი, ჯინჭვისი. ³

გამყრელიძეთა ის ნაწილი, რომელიც ცხოვრობდა ქვემო რაჭის სოფელ ნიკორწმინდაში – გლენთა წოდებას განეკუთვნებოდა. ⁴

1873 წლის მონაცემებით, აზნაურ გამყრელიძეთა 12 კომლი მკვიდრობდა რაჭის სოფლებში: წესში, დიდ შავრასა და ქორთაში. ⁵

უფლისწულ ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1757) მიერ შექმნილ საქართველოს ატლასთან ერთ-ერთზე, რომელზედაც წარმოდგენილია რაჭა, დატანილია გამყრელიძეთა ციხე-დარბაზი, რომლის ნანგრევებიც სოფელ კომანდელში დღემდე შემორჩა. ⁶

გამყრელიძეთა ციხე-დარბაზის ნაშთები სოფელ ჯინჭვისშიც შემორჩა. ⁷

უწერა და იქაური ტაძარი უცხოელთა ყურადღების ცენტრში XVII საუკუნიდან მოექცა. საქართველოში დიპლომატიური მისიით მყოფმა რუსმა ელჩებმა – სტოლნიკმა ნიკიფორე მათეს ძე ტოლოჩანოვმა და დიაკმა ალექსი ივანეს ძე იველიევმა 1651 წლის 18 ოქტომბერს ინახულეს უწერა და ის თავის ჩანაწერებში გამყრელიძეთა სოფლად მოიხსენიეს. მათ აღნიშნეს, რომ უწერის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ქვით ნაგებ ტაძარში ინახებოდა დინარა დედოფლის თმები, ⁸ რომელიც ადგილობრივთა გადმოცემით, ავადმყოფობას კურნავდა, ხოლო ცოდვილებს კი ცოდვებს მიუტევებდა.

ამასთან დაკავშირებით მკვლევარმა თამაზ ბერაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ზემოხსენებულ “დინარა დედოფალში” რუსი ელჩები გულისხმობდნენ სახელოვან ბაგრატოვან ხელმწიფეს – თამარს, ⁹ რომლის მეფობის პერიოდიც (1184-1213 წლები) მიჩნეულია „საქართველოს ისტორიის ოქროს ხანად”.

აღნიშნული ვარაუდის საფუძვლიანობას ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში “აღწერა სამეფოსა საქართველოსა” მოყვანილი შემდეგი ცნობაც: “არს დაბა უწერა, რიონის ორსავ კიდესა ზედა. აქა, რიონის ჩრდილოთ, არს ეკლესია სიონი, დიდი. ამ ეკლესიის კამარასა შინა მკიდარებს თმა ერთი ნაწნავი, და იტყვიან თამარ მეფისას. აქავ არს მიწა, რომელსა უწოდებენ სასუნებლად”. ¹⁰

უწერაში მოსახლე გამყრელიძეთა მამულში მომდინარე მინერალურ წყაროთაგან ერთ-ერთს, რომელიც წყლულოვან დაავადებათა სამკურნალოდ ოდითგან გამოიყენებოდა, – „გამყრელიძეთა წყარო”, ანდა „გვერითას წყარო” ეწოდებოდა. ეს უნიკალური წყარო 1917 წლამდე ამ საგვარეულოს საკუთრებას წარმოადგენდა. ¹¹

¹ ვალერიან გამყრელიძე (1904-1995), გვ. 16.

² მ. კეზევაძე. გვარსახელები XIX საუკუნის რაჭაში. ქუთაისი. 2018, გვ. 75.

³ იქვე, გვ. 57.

⁴ იქვე, გვ. 23.

⁵ რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, გვ. 76.

⁶ თ. ბერაძე. რაჭა. თბ. 2004, გვ. 23.

⁷ იქვე, გვ. 144.

⁸ სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იველიევის ელჩობა იმერეთში (1630-1652). საბუთები გამოსცა და შესავალი დაურთო მ. პოლიევქტოვმა. ტფ. 1926, გვ. 105.

⁹ თ. ბერაძე. რაჭა, გვ. 123-124.

¹⁰ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წიგნში: “ქართლის ცხოვრება”. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 768.

¹¹ ვალერიან გამყრელიძე (1904-1995), გვ. 16-17.

რიგაში დაბადებულ-აღზრდილი გერმანელმა მეცნიერმა, დოქტორმა იოჰან ანტონ გიულდენ-შტედტმა (1745-1781) უწერის წყაროები თავის ფუნდამენტურ თხზულებაში მოიხსენია. იგი შედიოდა იმ საექსპედიციო ჯგუფის შემადგენლობაში, რომელიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ 1771-1772 წლებში საქართველოს შესასწავლად მოავლინა. ამ ნაშრომში ვკითხულობთ: “დავინახეთ რიონში მარცხნიდან ჩამავალი მდინარე, რომლის შესართავთან მდებარეობს უწერა და უფრო მაღლა მასზე – გომი და ჯინჭვისი... გზაზე შეგვხვდა ტუფის წარმომქმნელი წყარო, პატარა, სწრაფი მდინარე... უწერის მიდამოებში არის აგრეთვე სხვადასხვა მინერალური წყაროები, ნაწილობრივ ტუტიანი, ნაწილობრივ მარტიალური, მთლად ისეთი, როგორც თერგზეა – სიონთან და კობთან. ტუტიანი და მისგან სულ ახლოს მომდინარე მარტიალური წყაროები უმთავრესად არის ეკლესიის ბოლოს. ორივე შეიცავს ბევრ ეთერს. საკვირველია, რომ ეს სამკურნალო წყაროები ერთმანეთისაგან ასე ახლოს არიან: ქრონიკულ დაავადებათათვის ორივეს არსებითი მნიშვნელობა აქვს და მარტიალურის ხმარება უნდა მისდევდეს ტუტიანისას. ტუტიან წყალს მოსახლეობა ხმარობს სასმელად. ისინი ამით ამჟავებენ პურის ცომს, რომელიც მისგან მაღლა იწვეს და უმარილოდაც მშვენიერი გემო აქვს. ამ წყაროებთან, როგორც ონთან, იგრძნობა იის სუნი და ახალ ორმოებში უფრო მეტად. აქაც მიწაში ჩარჭობილი ლერწმის მიღების საშუალებით ამოსწოვენ ხოლმე ნიკრისიანი ავადმყოფები ორთქლს”.¹

1833 წლის შემოდგომაზე რაჭა მონახულა შვეიცარიელმა მეცნიერმა და მხატვარმა, პროფესორმა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ (1798-1850). მან თავის სამოგზაურო ჩანაწერებში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო არქიტექტურული ძეგლების აღწერას და თანდართულ ნახატების ალბომში შემოგვინახა უწერის მოურავის, აზნაურ გოგია გამყრელიძის კარმიდამოს ჩანახატი,² რის შესახებაც თამაზ ბერაძეც მიუთითებდა.³

1887 წელს, უწერელი აზნაურის ევლოკიძე გამყრელიძის ვაჟებმა – ანთიმოზმა (1851-1894) და ივანემ (1856-1939) თბილისიდან მიიწვიეს სამედიცინო კომისია თავიანთ მამულში მომდინარე ზემოხსენებული მინერალური წყაროს სამკურნალო ღირსებების დასადგენად. ამის დადასტურებისთანავე ძმებმა წყაროსთან დადგეს ხის კოტეჯები კუჭის წყლულით დაავადებულთა მისაღებად და გამოსაჯანმრთელებლად. ასე ჩაეყარა საფუძველი უწერის გამაჯანსაღებელ და დასასვენებელ კურორტს.

1913-1914 წლებში ევროპელი კაპიტალისტები დაინტერესდნენ უწერის მინერალური წყაროებით და მათი კონცესიით ალებაც სცადეს. მათი დასკვნით, „გვერითა“ – სახელგანთქმული “ვიშის” ტიპის უმაღლესი კატეგორიის წყაროს წარმოადგენდა.⁴

ვალერიან გამყრელიძე იგონებდა, რომ მისმა ნათესავმა საზოგადო მოღვაწემ და პედაგოგმა ივანე გამყრელიძემ “თბილისში ელექტროტრამვაისა და ფუნქციონირის გამკეთებელი ბელგიური კომპანიის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებისას, როგორც ამას შემდეგში თვითონაც აღიარებდა, შეცდომა დაუშვა უწერის წყლის საკონცესიოდ მიცემაზე. თურმე ბელგიური კომპანიის პრეზიდენტი, რომელიც წყლულოვანი სნეულებით იყო შეპყრობილი, უწერის წყლის მიღების შედეგად ერთბაშად კარგად გამხდარიყო და მან მონიღომა უწერაში დიდი კურორტის მოწყობა”.⁵

¹ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. ტ. I. თბ. 1962, გვ. 123-124.

² Voyage autour du Caucase, chez les Tscherkesses et les Abkhases en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée, par Frederic DuBois de Montperreux. 6 vol. Librairie de Gide. Paris. 1839-1849 avec un atlas; Voyage autour du Caucase, les Tcherkesses et de l'Abkhazie, après Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée, par Frederic DuBois de Montperreux. 3 volumes. Leske. Darmstadt. 1842-1846.

³ თ. ბერაძე. რაჭა. თბ. 2004, გვ. 27.

⁴ გ. საღუნისვილი. ქართული გვარსახელები, გვ. 146-147.

⁵ ვალერიან გამყრელიძე (1904-1995), გვ. 17.

ამასთან დაკავშირებით, მოგვიანებით, ივანე გამყრელიძე სინანულით აღნიშნავდა, რომ იმ-ხანად ის ვერც წარმოიდგენდა, თუ რუსეთის იმპერია დაემხოდა და “ტრამპაისა და ფუნიკულიორის მსგავსად, უწერის აშენებული კურორტიც ჩვენ დაგვრჩებოდა”.¹

გამყრელიძეთა გვარის ზოგიერთი წარმომადგენელი სასულიერო მოღვაწეობას თავის მშობლიურ კუთხეში – რაჭაში ეწეოდა. XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესიაში მსახურობდა არქიმანდრიტი არსენოზ გამყრელიძე, რომელმაც ეს ტაძარი განაახლა. ამ ეკლესიაში XX საუკუნის ოციან წლებამდე დაცულ საეკლესიო ნივთებს შორის იყო 1806 წლით დათარიღებული ვერცხლის ბარძიმი და ფეშხუმი, რომლებსაც ამშვენებდა წარწერები: 1) “ქ. განმახლებელი ტაძრისა ამის და ბარძიმისა – არქიმანდრიტი მრავალძალისა გამყრელიძე არსენოზ. ქრისტეს აქეთ ჩყ-ვ”; 2) “ქ. განმახლებელი ფეშხუმისა ამის და ტაძრისა – არქიმანდრიტი მრავალძალისა გამყრელიძე არსენოზ. ქრისტეს აქეთ ჩყ-ვ”. ეს ნივთებიც გიორგი ბოჭორიძემ აღწერა.²

ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890) მიუთითებდა, რომ არსენ გამყრელიძე იყო უპირველესი მემკვიდრეთაგანი იოსებ ტუსკიასი, რომელიც გურიის უდაბნოს წმ. იოანე ნათლისმცემლის მამათა მონასტრის წინამძღვარი გახლდათ.³

დიმიტრი ბაქრაძე წერს: “უდაბნო მდებარეობს ამაღლების მთის ერთ-ერთ ციცაბო კალთაზე, სოფელ ამაღლების ზემოთ და ორპირიდან ოზურგეთს მიმავალი საფოსტო გზის მახლობლად... იქიდან მშვენიერი სანახაობა იშლება: აქ თქვენ წინ გადამლილია მთელი სამხრეთი გურია. უდაბნოში ორი ეკლესიაა: ძველი მცირე, კლდეში ნახევრად გამოკვეთილი და ახალი, ლამაზი, საკმაოდ ვრცელი, თლილი ქვისა, უგუმბათო, როგორც წარწერა გვაჩვენებს, 1858 წელს აგებული იოანე ნათლისმცემლის სახელობაზე. უდაბნოს წინამძღვართაგან განსაკუთრებით ცნობილია მხოლოდ ერთი იოსები, გვარად ტუსკია. მის მემკვიდრეებად ითვლებიან: არსენ გამყრელიძე, გაბრიელ ტუსკია, ახლა გურიის ეპისკოპოსი და, ბოლოს, ახლანდელი წინამძღვარი პორფილე ქოჩაკიძე”.⁴

მღვდელი იოსებ ბეჟანის ძე გამყრელიძე სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა: ურავის მთავარანგელოზ გაბრიელის ეკლესიაში (1843-1847 წლებში), ლიხეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში (1847-1866 წლებში), ჭიბრევის მთავარანგელოზ გაბრიელის ეკლესიაში (1871-1878 წლებში) და გომის წმ. გიორგის ეკლესიაში (1878-1889 წლებში).⁵

ქუთაისის გუბერნიაში შემავალი რაჭის მაზრის მომრიგებელი მოსამართლის კანცელარიის მდივნად მსახურობდა პარმენ დავითის ძე გამყრელიძე, რომელიც ამ თანამდებობაზე XIX საუკუნის მიწურულიდან⁶ – 1903 წლის ჩათვლით იხსენიება.⁷

1912 წლის ივლის-აგვისტოში დიდმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ აკაკი წერეთელმა (1840-1915) რაჭა-ლეჩხუმში იმოგზაურა. მის მასპინძელთა შორის იყო ადგილობ-

¹ იქვე, გვ. 17-18.

² გ. ბოჭორიძე. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, გვ. 208-209.

³ Д. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре (с атласом). СПб. 1878, с. 240.

⁴ დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ). თარგმნა არჩილ ტოტოჩავამ. ხარიტონ ახვლედიანის რედაქციით. ბათუმი. 1987, გვ. 201.

⁵ მ. კეზევაძე. ვზარქოსობისდროინდელი რაჭის ეკლესიები და მღვდლები. მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა. ქუთაისი. 2014, გვ. 16-37.

⁶ Кавказский календарь на 1900 год. Издан по распоряжению Главноначальствующего гражданской частию на Кавказе, при Закавказском статистическом комитете. Под редакцией члена того-же комитета Статского советника Е. Кондратенко. X г. Тифлис. 1899, с. 282.

⁷ Кавказский календарь на 1903 год. Издан по распоряжению главнокомандующего гражданской части на Кавказе. Под редакцией старшего редактора статистического отдела при Закавказском статистическом комитете Статского советника Е. Кондратенко. VIII год. Тифлис. 1902, с. 309.

რივი აზნაური ამბროსი გამყრელიძე, რომელიც საპატიო სტუმრის პატივსაცემად ონში შექმნილი კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდა.¹

28 ივლისს, ონში გამართულ 300-კაციან ნადიმზე ამბროსი გამყრელიძემ მგოსანს ასეთი სიტყვით მიმართა: „ბატონო აკაკი! დღეს, ჩვენ, რაჭველები დიდ სიხარულს და აღტაცებას ვგრძნობთ შენის აქ მოსვლით... შენის ნახვით ხალხი სულიერად მხნეველება, გონივრულად იღვიძებს და ერთი-ორად უღორძინდება მას სიყვარული იმ მამულისა და სამშობლოსი, რომლისთვისაც შენ გაქვს შეწირული საუკეთესო ხანა შენი ცხოვრებისა... აი, სწორედ ამიტომაც, დღეს, ჩვენ, რაჭველები ვგრძნობთ ჩვენ თავს ამაყად, ამაღლებულად, რომ ჩვენთან ერთად გხედავთ ერთ სუფრასთან, რადგან შენი მტკიცე, კარგი სახელი და ღრმა, მხურვალე სიყვარული ბავშვობიდანვე დედის ძუძუსთან ერთად გვაქვს ჩანერგილი, როდესაც ჩვენ გასაჩუქებლად დაგვმღეროდნენ შენს ტკბილ „ნანინას“. ეს დღეები, რომელიც გაატარე აქ, რაჭაში, ჩაითვლება ერთ საუკეთეს ჯილდოდ, რომელიც ჩვენ მიგვიღია როდისმე ცხოვრებაში და მასთან იქნება სასიამოვნო მოსაგონად...“

ლოცვით ვერ დაგლოცავ, რადგან თვით ღვთისაგან ხარ დალოცვილი და ნაკურთხი. გისურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენდა საიმედოდ და სასიქადულოდ”.²

1913 წლის მონაცემებით, ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრები გამყრელიძეთა გვარის წარმომადგენლები მსახურობდნენ შემდეგ თანამდებობებზე: *კონსტანტინე ფარნაოზის ძე* – ამბროლაურის მომრიგებელი მოსამართლის მდივნის თანამემწე, ³ *კონსტანტინე იოსების ძე* – ფოთის საქალაქო მმართველობის მთავარ ბუღალტრად, ⁴ *ფარნაოზ დავითის ძე* – ბათუმის საქალაქო ლომბარდის მმართველად, ⁵ *მარიამ კონსტანტინეს ასული* – ლეჩხუმის მაზრის სოფელ ლაილაშის საავადმყოფოს ბებია-ქალად.⁶

1916 წლის მონაცემებით, *კონსტანტინე იოსების ძე* მუშაობას განაგრძობდა ზემოხსენებულ თანამდებობაზე,⁷ ხოლო *კონსტანტინე ფარნაოზის ძე* – დაუწინაურებიათ და სამუშაოდ ქუთაისის საოლქო სასამართლოს მდივნად გადაუყვანიათ.⁸

ვინაიდან რაჭა მცირემიწიანი იყო, გამყრელიძეთა ძირითადი ნაწილი თავისი მშობლიური კუთხიდან თანდათან გადასახლდა საქართველოს სხვა რეგიონებში, როგორც მეზობელ სვანეთსა და იმერეთში, ასევე ქართლში, კახეთში, სამეგრელოსა და აფხაზეთში. აღნიშნული მიგრაციის უმთავრესი მიზეზი სამეურნეო-ეკონომიკური გახლდათ.

1940 წლის მონაცემებით, გამყრელიძეთა 5 კომლი ზემო სვანეთის (მესტიის მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე მდებარე კალას თემის სოფელ ლალხორში სახლობდა.⁹

ზურაბ ზაალის ძე გამყრელიძის მიერ ლალხორელ გამყრელიძეთაგან ჩაწერილი საგვარეულო გადმოცემის თანახმად, მათი წინაპარი ზემო რაჭის სოფელ უწერის მკვიდრი ყოფილა და ამ სოფელში XVII საუკუნის მეორე ნახევარში გადასახლებულა.

გასული საუკუნის შუა ხანებში, კერძოდ, 1949 წელს დაიმეწერა სოფელი სომიწო, საიდანაც გამყრელიძეთა რამდენიმე ოჯახი აფხაზეთის სოფელ ლიძავაში ჩაასახლეს, ნაწილი კი ონსა და თბილისში დამკვიდრდა. 1992-1993 წლებში აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედე-

¹ გ. შარაძე. აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში (1912 წ.). თბ. 2006, გვ. 116-123.

² იქვე, გვ. 128-129.

³ Кавказский календарь на 1914 год. Издан по распоряжению заместника Е. И. В. на Кавказе канцелярией заместника. Под редакцией А. А. Эльзенгера и Н. П. Стельмашука. IX г. Тифлис. 1913, с. 505.

⁴ იქვე, გვ. 197.

⁵ იქვე, გვ. 128.

⁶ იქვე, გვ. 192.

⁷ Кавказский календарь на 1917 год. Издан по распоряжению заместника Е. И. В. на Кавказе канцелярией заместника. Под редакцией Н. П. Стельмашука. XII г. Тифлис. 1916, с. 221.

⁸ იქვე, გვ. 534.

⁹ რ. თოფჩიშვილი. სვანეთი და სვანეთის მკვიდრნი. გვარები და ეთნოისტორიული ნარკვევი. თბ. 2015, გვ. 63.

ბების გამო, გამყრელიძენი იძულებულნი გახდნენ, რომ დაეტოვებინათ ლიძავა და საქართველოს სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში გადასულიყვნენ.

საქართველოს ზემოხსენებულ რეგიონებში (აფხაზეთის გარდა) დღემდე ცხოვრობს გამყრელიძეთა ერთი ნაწილი, ხოლო მეორე ნაწილი – ქალაქებში გადასახლდა.

* * *

ამრიგად, გამყრელიძენი, რომლებიც ფეოდალურ ეპოქაში აზნაურები იყვნენ, თავდაპირველად მშობლიურ კუთხეში – რაჭაში ცხოვრობდნენ. საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, გამყრელიძეთა უმრავლესობა თანდათან გადასახლდა ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონებში.

გამყრელიძეებმა და მათ საგვარეულო განშტოებათა წარმომადგენლებმა სახელი გაითქვეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამეცნიერო და ლიტერატურულ-სახელოვნებო სარბიელზე, როგორც სამშობლოში, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. ამ თვალსაზრისით გამყრელიძენი ქართულ ისტორიულ საგვარეულოთა მოწინავე რიგში დგანან.

Niko Javakhishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**THE ORIGIN OF THE GAMKRELIDZE FAMILY AND THEIR SETTLEMENT IN
RACHA
RESUME**

Among the native Georgian feudal families, the Gamkrelidzes used to hold an honorable place as one of the noble (in georgian – *aznauri*) families of the Kingdom of Georgia.

The Gamkrelidze family, which is now widespread throughout Georgia, originates from Racha region (east part of north-west Georgia). As of February 1, 1995, there were 1643 Gamkrelidzes living in Georgia, of which 757 lived in Tbilisi and the rest 886 – in the regions of Georgia: Svaneti (central part of north-west Georgia), Imereti (east part of west Georgia), Kartli (central part of Georgia), Kakheti (east part of Georgia) and Samegrelo (west part of west Georgia).

The present study is the first attempt to study the past of this family.

ქუთაისის ბულვარი

ლიტერატურული წყაროები და საარქივო მასალები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქუთაისში ასახელებენ საზოგადო დანიშნულების სამ ბაღს, ესენია: საქალაქო ბაღი, ბულვარი და ფერმის ბაღი. ეს უკანასკნელი 1969 წლიდან ბოტანიკურ ბაღად იწოდება.

ამჯერად გვინდა ვისაუბროთ ბულვარზე, რადგან ხშირად იგი ერევათ საქალაქო ბაღისა თუ ფერმის ბაღში, ზოგჯერ ერთმანეთში აიგივებენ.

ქუთაისის საქალაქო ბაღი საბაღო-საპარკო ხელოვნების ძალზე მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლია. იგი პირველი საზოგადოებრივი ბაღია რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ არა მარტო ქუთაისში, არამედ მთელ საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ქუთაისის საქალაქო ბაღი დააარსა იმერეთის მმართველმა გორჩაკოვმა 1821 წელს და არსებობის პირველ ხანებში მის საკუთრებაში იმყოფებოდა.

სად, რომელ ადგილზე იყო გაშენებული ეს ბაღი?

ფინანსთა მინისტრ კანკინის წერილიდან გენერალ ერმოლოვისადმი (საქართველოს იმდროინდელი მთავარმმართველი – ვ.წ.), რომელიც 1826 წლის 20 მარტით არის დათარიღებული, ჩანს, რომ გორჩაკოვს იმერეთის დროებითი მმართველობის სახლისათვის, რომელიც ახლანდელი საკონსტრუქტორო შენობის ადგილზე იდგა (დღევანდელი საოლქო სასამართლო შენობა – ვ.წ.) შეუერთებია მეზობლად მდებარე თავისუფალი მიწის ნაკვეთები და მასზე საკუთარი გრაფიკით ბაღი გაუშენებია¹.

ამავე დოკუმენტებიდან ჩანს, რომ აღნიშნული თავისუფალი მიწის ნაკვეთები ადრე დარეჯან დედოფლის (სოლომონ I-ის ასული – ვ.წ.) ყოფილა და აქ მას საცხოვრებლად ხის სახლი, აგრეთვე სათავსო ედგა და ხეხილის ბაღიც ჰქონდა გაშენებული, რაც დედოფლის იმერეთიდან გასახლების შემდეგ საზინის განკარგულებაში გადასულა².

დოკუმენტების თანახმად: – გორჩაკოვს აღნიშნული მიწები შეუკრებია და აქ თავის მხრივ დეკორატიული მცენარეები გაუშენებია. ასე, რომ გორჩაკოვისეული ბაღი შერეული ტიპისა იყო. იგი შეიცავდა, როგორც დეკორატიულ მცენარეებს, ასევე ხეხილს, ვენახსა და ბოსტანსაც.

ბაღს ეკავა საკმაოდ დიდი ფართობი, ერთი ცნობით იგი შეადგენდა 2450 კვადრატულ საჟენს, მეორე ცნობით – 2249 კვადრატულ საჟენს (დაახლოებით 4498 კვ. მეტრს). ეს უკანასკნელი უფრო ზუსტი უნდა იყოს. ქალაქ ქუთაისის მაშინდელ პირობებში ეს მიწის საკმაოდ დიდ ფართობია, რომელიც იწყებოდა საკონსტრუქტორო ბიუროს (დღ. საოლქო სასამართლოს შენობა – ვ.წ.) ახლანდელი შენობიდან, მოიცავდა მაიაკოვსკის (დღ. ნიუპორტის ქუჩა – ვ.წ.), ცენტრალურ მოედანს, ყოფილ წმ. ნინოს სასწავლებლის (დღ. მე-3-ე საჯარო სკოლა – ვ.წ.) ეზოს და ქვემოთ მის სამხრეთით მდინარე რიონამდე ვრცელდებოდა³.

გორჩაკოვის ეს ბაღი თავიდანვე, 20-იანი წლების დასაწყისიდანვე გამოყენებული იყო ქალაქის საჭიროებისათვის, თუმცა იგი იმერეთის მმართველ გორჩაკოვის საკუთრებად ითვლებოდა. ფრანგი ნეგოციანტი, მოგზაური და კონსული ფრ. გამბა, რომელმაც მაშინდელი ქუთაისის მოკლე აღწერილობა დაგვიტოვა, იხსენებს ამ ბაღს, მისი სიტყვით “ქალაქში თავადმა გორჩა-

¹ ბალანჩივაძე ნ., რა განძი დაგვიკარგავს, გაზ. „ქუთაისი“, 1988, 10 მარტი, გვ. 3

² იქვე

³ იქვე

კოემა საუცხოო ბაღი გააშენა, რომლითაც ხალხი სარგებლობს, კვირაობით და სადღესასწაულო დღეებში გარნიზონის მუსიკოსები აქ ხალხურ და ლეკურ საცეკვაო მუსიკას უკრავენ”¹.

გორჩაკოვი ქუთაისიდან წავიდა 1825 წელს. წასვლის წინ მან აღნიშნული ბაღი გადასცა იმერეთის დროებით მმართველს იმ პირობით, რომ მოქალაქეებისათვის აქ სეირნობის უფლება არ დაეშალათ და არ გადაეცათ ბაღი კერძო პირისათვის. ბაღი ერთი სიტყვით უნდა გამოყენებულიყო ქალაქის საჭიროებისათვის. ამით ბაღმა ფორმალურად მიიღო საზოგადოებრივი ხასიათი, რის გამოც იგი საქალაქო ბაღი სახელით გამოიყენებოდა.

გორჩაკოვის შემდეგ ბაღს განაგებდა იმერეთის მმართველობა. ყოველ წელიწადს აღებული მოსავლიდან ხილს საჩუქრის სახით ქალაქის თვალსაჩინო მოხელეებს ურიგებდნენ.

იმდენად მცირე იყო ბაღის შემოსავალი, რომ მმართველობა თანახმა იყო და ცდილობდა იგი იჯარით გაეცა, მაგრამ ვერ ახერხებდა, რადგან მსურველი არ ჩანდა. თუმცა ბაღს მაინც ინახავდნენ იმიტომ, რომ ბაღის დეკორატიულ ნაწილს, ისე როგორც გორჩაკოვის დროს მოქალაქეთა და სამხედრო ჰოსპიტლის ავადმყოფთა დასასვენებლად და გასართობად ადგილად იყენებდნენ.

ქუთაისის იმდროინდელი მმართველობა ერთგვარად ზრუნავდა ბაღის დაცვისა და კეთილ მოწყობისათვის, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. იმერეთის მმართველ ესპანოს დროს ბაღისათვის ახალი ღობე გაუკეთებიათ – აღმოსავლეთის და დასავლეთის მხრივ ქვით საშენი კედლით, ხოლო ჩრდილოეთიდან ქუჩის გასწვრივ ქვით ნაგებ ზეპირკველზე აღმართული ფიცრული ღობით შემოურავავათ.

ბაღის დაგეგმვის, მისი კეთილმოწყობის და ზოგადი სახის შესახებ მე-19 საუკუნის 50-იანი წლების დასასრულისათვის, როცა ჯერ კიდევ არ დაეწყოთ მისი უგზური, სრულიად გაუმართლებელი, ბარბაროსული განადგურება, მიახლოებით წარმოდგენას გვაძლევს სხვა მასალებთან ერთად, საარქივო საქმე, რომელიც მიაკვლია შალვა ისაკაძემ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდებში და რომელიც ასეა დასათაურებული “ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლის მშენებლობისათვის ქალაქის ბაღის გადაცემის შესახებ”².

ეს ბაღი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მოქალაქეთა სასეირნოდ და დასვენება-გართობის მიზნით გაშენდა. სახელიც შესაფერი ეწოდა – ბულვარი, რაც ფრანგულია და ნიშნავს ხეებით დაჩრდილულ ფართო ქუჩას. მაგრამ მისი მნიშვნელობა, მით არ შემოფარგლულა, სულ მალე თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ქუთაისის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მისი ფორუმი გახდა. ამიტომ იყო, რომ აკაკიმ “ქუთაისის პარლამენტი” უწოდა.

ქუთაისის ბულვარი გაშენდა მაშინ, როცა გორჩაკოვისეული ბაღი ჯერ კიდევ არ იყო განადგურებული. ბულვარის საფუძველი გახდა ჭადრის ხეები, რაც დაირგო ქალაქის დიდ მოედანზე ბებუთოვის მმართველობის დროს (1825-1827 წწ.) გაშენდა კი ერთი ცნობით (პ. გვილესაროვის) 1848 წელს, ხოლო კ. ბოროზდინის გადმოცემით – 1850 წელს. უნდა დავეჯეროთ ალბათ პ. გვილესაროვს, რადგან იგი აღნიშნულ პერიოდში ქუთაისის ვიცე-გუბერნატორად მუშაობდა. ასე, რომ, ჩვენს მშობლიურ საქალაქო ბაღს-ბულვარს 2018 წელს 170 წელი შეუსრულდა.

ვინ იყო ბულვარის სპეციალისტი-მშენებელი, ვის მიერ დამუშავებული გეგმით და უშუალოდ ვისი მონაწილეობით გაშენდა იგი არ ჩანს. შეიძლება მხოლოდ ვიფიქროთ, რომ ის ფრანგი მებაღე იყო, რადგან ბაღი ჯერ ერთი თავიდანვე ფრანგულ სახელს ატარებდა, მეორეც, მისი გეგმა საბაღო-საპარკო ხელოვნების ფრანგული სტილის ნიშნების მატარებელია³.

როგორი სახე უნდა ჰქონოდა ქუთაისის ბულვარს XIX საუკუნის 50-იანი წლებისათვის? გაზეთ “კავკაზის” ერთი კორესპოდენტის ცნობით, ბულვარი გამოიყურებოდა შემდეგნაირად: ბა-

¹ გამბა ფ., მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1987

² ისაკაძე შ., საქართველოს „პირველი საქალაქო ბაღი“, გაზ. „ქუთაისი“, 18 სექტ.1986, გვ. 3.

³ ბალანჩივაძე ნ., ჩვენი ბულვარი, გაზ. „ქუთაისი“, 1987, 27 იანვარი, გვ. 3.

ლი აგონებს მას ფართო კვადრატს, ოთხივე მხრივ შემორაგული იყო წითლად შეღებული ფიცრული ღობით. ბალის შიგნით ღობეს პარალელურად მიუყვებოდა ხეივანი. იყო კიდევ ორი ხეივანი, რომელიც ბალის მთელ ტერიტორიას ჯვრის სახით ჰკვეთდა. ამ ხეივანთა გადაკვეთის ადგილზე მოწყობილი იყო მოედანი მუსიკისა და ცეკვებისათვის.

ხეივანის ორივე მხარეს გასდევდა ყვავილნარი და ტანაყრილი ხეები, რომელთა ხშირფოთლოვანი ტოტები საუცხოო საჩრდილობელს ქმნიდა. აქვე იდგა ხისა და ქვის მოგრძო სკამები. ბულვარის დანარჩენი ფართობი დაფარული იყო მწვანე კონდრიით. აქ ყოველ კვირას უკრავდა მუსიკა. მწვანე მინდორზე მსხდარნი, ნაირფერი ტანსაცმლით მორთული ქართველები ბუნების წიაღში ტკბებოდნენ მუსიკისა და ზურნის მელოდიური ხმებით. სხვა დღეებში ხალხი აქ თავს იშვიათად იყრიდა¹.

შემდეგი ცნობა ქუთაისის ბალის შესახებ ეკუთვნის გასული საუკუნის 70-იან წლებს. ამ დროს ბალისათვის სიახლეს წარმოადგენდა იქ შეყვანილი წყალი და ფარდული, სადაც უალკოჰოლო სასმელი იყიდებოდა.

ბალის კეთილმოწყობისათვის, რა თქმა უნდა შემდგომშიც ზრუნავდნენ, განსაკუთრებით – ქალაქის თვითმმართველობის შემოღების დროიდან, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ უფრო მეტს ლაპარაკობდნენ, ვიდრე აკეთებდნენ.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ქალაქის თვითმმართველობამ ჩაატარა ბალის ნაწილობრივი რეკონსტრუქცია. დაუმატებიათ ბილიკები, ხეივნები, შემოურავავთ მსხვილი მავთულით, ბალის დასავლეთ მხარეზე დაურგავთ ეკლიანი ბუჩქები და სხვა განზრახული ქონიათ ბალი გაემდიდრებიათ ახალი დეკორატიული მცენარეებით, გაეზარდათ ფანრებისა და სკამების რაოდენობა.

ქუთაისის თვითმმართველობის წევრისა და საზოგადო მოღვაწის ივანე პურადაშვილის ცნობით, პრინცმა ოლდენბურგმა (აგრაფინა ჯაფარიძის მეუღლემ – ვ.წ.) ბალახვანში შამპანურის ქარხნის შესყიდვისას, ქალაქის თავთან ლუკა ასათიანთან შეთანხმებით, საბაჟო გადასახადის სანაცვლოდ დააფინანსა ქალაქის ცენტრალური ბულვარის ქვის შემოღობვა ლითონის კონსტრუქციებით².

ბალის ნაგებობათაგან აღსანიშნავია ხის პავილიონი, რომელიც აშენდა 1888 წელს იმპერატორ ალექსანდრე III-ის შესახვედრად, როცა ეს უკანასკნელი კავკასიაში მოგზაურობის დროს ქუთაისს ეწვია. “იმპერატორის და მისი ამალის მისაღებად ქალაქის ბაღში, რომელსაც საზოგადოდ “ბულვარს” ეძახდნენ, თავად-აზნაურობამ და ქალაქის თვითმმართველობამ ააშენა ხის პავილიონი. აქ ხელმწიფეს და მის ოჯახს, გელათის მონასტრის დათვალიერებისა და დაბრუნების შემდეგ, დახვდნენ თავადაზნაურობის, ქალაქის წარმომადგენლები და გაუმასპინძლდნენ მას ჩაითა და საუზმით. ეს პავილიონი საკმაოდ ლამაზი და ორ იარუსიანი შემდეგ გადაკეთებული იქნა თეატრად და კოტე მესხის დასმა აქ გადმოიტანა თავისი წარმოდგენები³, მაგრამ თეატრს აქ დიდხანს არ უარსებებია. 1894 წელს ხის პავილიონს ხანძარი გაუჩნდა და დაიწვა. თეატრი დარჩა შენობის გარეშე. თეატრი დროებით გადავიდა ხარაზოვის ბაღში და იქ გააგრძელა მუშაობა.

ბულვარს მეტი სიცოცხლე დაეტყო XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, როცა ქუთაისს მიეცა თვითმმართველობის უფლება და ქალაქში გაიხსნა სათავადაზნაურო ბანკი. ამ დაწესებულებათა მმართველი ორგანოების არჩევნების დღეებში ბულვარი მართლაც პარლამენტად იყო გადაქცეული. არჩევდნენ კანდიდატთა ავ-კარგვიანობას, დავობდნენ, ქმნიდნენ მიმართულებებს და ა. შ.

შალვა დადიანის სიტყვით, აქ თავს იყრიდნენ ქუთაისი მაშინდელი ინტელიგენცია, რომელსაც მსჯელობა ჰქონდა პოლიტიკურ საკითხებზე და ადგილობრივ საჭიროებო საგნებზე –

¹ ბალანჩივაძე ნ., ჩვენი ბულვარი, გაზ. „შ.“, 2010, 28 იანვარი, გვ. 3.

² ისააკ და ივანე პურადაშვილები, მოგონებები, კომენტარები, საძიებლები დაურთო გ. ვაჭრიძემ, ქუთ., 2009, გვ. 90.

³ პურადაშვილი ი., მოგონებები, II, კომენტარები, საძიებლები დაურთო ვლ. წვერაყამ, ქუთ., 2010, გვ. 20.

ქალაქის თვითმმართველობის საქმეებზე, საადგილმამულო ბანკის ვითარებაზე, ქუთაისში გაზეთის გამოცემაზე. აქვე მოისმენდით ჩვენს მწერლობაში თავის დროზე კარგად ცნობილი ერთი-ერთი თერგდალეულთაგანის კირილე ლორთქიფანიძის ჭკვიანურსა და შეუვალი ლოგიკით სავსე საუბარს, ცნობილი ადვოკატის მოსე ქიქოძის (გაბრიელ ეპისკოპოსის ძმა – ვ.წ.) “გამყინავ კამათს”, კოტე მესხის სხარტულ გამოთქმებს და სხვ.¹

განა ქუთაისის ბულვარზე წერა მართო იმისათვის არა ღირს, რომ გავიხსენოთ ის დიდი სახელები, რომლებიც ასე ამშვენებდნენ ქართულ ლიტერატურას, მეცნიერებისა და კულტურის ისტორიას.

ქუთაისის ბულვარი იყო საინტერესო დისკუსიებისა და სხვადასხვა საკითხზე სჯა-ბაასის ადგილი, აქვე ჩვეულებრივ თავს იყრიდნენ სხვადასხვა ასაკის მდგომარეობის, პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და განათლების ადამიანები, რომლებსაც ცხოვრებისა და პოლიტიკის სხვადასხვა გაგებით ჰქონდათ. ყველა ერთმანეთს იცნობდა. ურთიერთს ენდობოდა და ღრმა პატივისცემით ეკიდებოდა. იმართებოდა გაუთავებელი დავა-დისპუტი ხანდაზმულებსა და ახალგაზრდა გიმნაზიელებს შორის, რომელიც ხშირად გვიან ღამით მთავრდებოდა.

სულმნათი აკაკის გამოჩენა დიდი დღესასწაული იყო. მთელი ქუთაისის ინტელიგენცია პოეტის გარშემო იყრიდა თავს. ტკბილი და საინტერესო საუბარი იმართებოდა საქართველოს ეროვნული საკითხებზე, პოეზიაზე, ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე. აკაკის მუდამ თან ახლდა ცნობილი მწერალი. პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ვლადიმერ მიქელაძე, რომელმაც შემდეგ დიდ პოეტზე, საინტერესო მოგონებაზე დაწერა².

ქუთათურებს მართლაც ვერ წარმოედგინათ ერთი დღეც კი ბულვარის გარეშე. ამიტომაც იყო, რომ მწერალი გიორგი წერეთელის თქმით, ადგილობრივი მცხოვრებლები ბულვარს ქუთაისის “პარლამენტს” ეძახდნენ³.

ქუთაისის ბულვართან დაკავშირებულია ქუთაისის რევოლუციური სისხლიანი წლები. 1905 წლის 14 თებერვლის, ქუთაისის ბულვარის მახლობლად დიდი დემონსტრაცია მოეწყო არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. პოლიციასთან შეხლა-შემოხლის შედეგად მოკლული იქნა ერთი და დაიჭრა რამდენიმე დემონსტრანტი. 1905 წლის 17 ოქტომბერს ქუთაისის ბულვარში მოეწყო გრანდიოზული მიტინგი, სადაც მოხდა შეტაკება აჯანყებულებსა და პოლიციას შორის. სამწუხაროდ, დაიღვარა სისხლი.

საბჭოურ წლებში ქუთაისის ბულვარს ქალაქის ხელმძღვანელებისაგან ყურადღება არ აკლდა. 1948 წელს არქიტექტორ შალვა ლომთაძის პროექტით, ბაღის შესასვლელთან კოლონადა აღიმართა.

ბულვარმა ასევე აქტიური როლი ითამაშა ქუთაისის სპორტულ ცხოვრებაში და ხშირად სპორტულ არენადაც გადაქცეულა. 1920 წელს ბულვარში მოეწყო ქუთაისში პირველი ქართული სპორტული საზოგადოების “შევარდენის” მასიური გამოსვლა, რაც მანამდე უცხო ხილი იყო ქუთათურებისათვის⁴.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, ბულვარში ყოველწლიურად იმართებოდა სახალხო დღესასწაულისადმი თეატრალიზებული წარმოდგენები და ფიზკულტურული შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

ქუთაისის ბულვარი მოწმეა მრავალი ისტორიული მოვლენისა. აქ, ამ ბაღში, შორეულ ლანდებად მოსჩანს ჩვენი სახელოვანი მამულიშვილების მთელი გალერეა, “საქართველოს ბულბული” დიდი აკაკი, გალაქტიონი, ტიცვიანი, პაოლო, კოლაუ, ლადო ... სტუმრად ყოფილან

¹ ბალანჩივაძე ნ., ჩვენი ბულვარი, გაზ. „ქუთაისი“, 1987, 27 იანვარი, გვ. 3.

² სიგუა ალ., „ქუთაისის ბულვარი“, გაზ. „სახალხო განათლება“, 1989, 29 ნოემბერი.

³ ჯავახიძე ზ., ქუთაისი, ჩემო დედავ, ქუთ., 2012, გვ. 64.

⁴ იქვე, გვ. 65.

ბრძენი ილია, უკვდავი ვაჟა... აქ ისვენებდა დიდი ზაქარია ფალაშვილი, ქართული სცენის დიდი ოსტატები¹.

ამ ბაღში დასაქონდა ძველი ქუთაისის მაღალი საზოგადოების ბრწყინვალე ელიტა, მისი ბომონი...

ქუთაისის ბულვარი, როგორც ითქვა, ისტორიული ძეგლი, საბალო-საპარკო ხელოვნების საუცხოო ნიმუშია და მას გაფრთხილება და სათანადო მოვლა სჭირდება. ჩვენი აზრით, იგი უნდა დავიცვათ იმ სახით, როგორც წინა თაობათგან მიგვიღია. თუ არ მოითხოვს აუცილებელი საჭიროება და ისიც მხოლოდ მისი ძველი ელემენტების რესტავრაციისათვის, თორემ მასში რაიმე ცვლილებების შეტანა “გაუმჯობესების” მიზნით, არავის არ უნდა დავანებოთ. იგი ისეთივე უნდა დარჩეს, როგორც გუშინ იყო.

ქუთაისის ბულვარი იმის მაგალითია, თუ როგორ არ უნდა ვეკიდებოდეთ ჩვენს მაცოცხლებელ ბუნებას, მის სილამაზესა და მშვენიერებას. მისი ბედი თუ უბედობა, ალბათ დიდხანს გვეყოფა გაკვეთილად.

Vladimer Tsverava
Akaki Tsereteli State University
KUTAISI BOULEVARD
RESUME

Literary sources and archival materials in Kutaisi, in the first half of the 19th century named three main public parks, they are: City Garden, Boulevard and Farm Garden, this last is also known as the

Botanical Garden since 1969.

This time we want to talk about the Boulevard, because it often interferes with the city garden or farm garden, sometimes they identical.

Kutaisi City Garden is the first public garden after the establishment of Russian governance not only in Kutaisi, in whole Georgia and South Caucasus too, it's more pity that it doesn't exist today. Kutaisi city Garden was founded by the ruler of Imereti Gorchakov in 1821, but after he left Kutaisi, it was given to treasury. This garden was existed until the end of the fifties of the nineteenth century and was sacrificed to the buildings of st. Nino School, and then the unheard plant of the city.

Kutaisi Boulevard was made when Gorchakovi's garden was not destroyed yet. As P. Gnilosarov said the Boulevard was planted in 1848. But by K. Borozdin in 1850. We should believe Gnilosarov, because he worked as a Vice governor in this period. So, the Boulevard will become 170 years old next year.

Kutaisi self-government and the foundation of the bank gave more lives to the boulevard, as at the time of the election adversity and joy of the candidates was discussed in the boulevard.

Kutaisi Boulevard was the place of gathering of intellectuals and public figures of Kutaisi. It knows many historical events.

Kutaisi Boulevard is said to be a historical monument. It is the excellent work of art and it needs a warning and proper care.

¹ ჩხატარაშვილი დ., ჩვენი ბაღი, გაზეთ „იმერეთის მოამბე“, 1995, 12 სექტემბერი, გვ. 3.

ჯელაძეთა საგვარეულოს გენეალოგია

შესავალი

წინამდებარე კვლევის მიზანია ჯელაძეთა გვარის ეტიმოლოგიის, საგვარეულოს კავშირების, მიგრაციული პროცესების და განსახლების არეალის დადგენა.

ნაშრომი ეფუძნება საქართველოს ეროვნულ არქივსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ XVIII საუკუნის და XIX საუკუნის ისტორიულ საბუთებს, კერძოდ, კამერალურ აღწერებს, საოჯახო და აღსარების მთქმელთა სიებს, საეკლესიო მეტრიკულ წიგნებს, გვარში არსებულ ზეპირ გადმოცემებს და პირად ინფორმაციებს.

გენეალოგიაში გვარში არსებული ზეპირი გადმოცემა არა ერთადერთ, თუმცა ერთ-ერთ სარწმუნო ისტორიულ წყაროდ მიიჩნევა. წინამდებარე კვლევის ერთ-ერთი მიზანი სწორედ გვარში არსებული ზეპირი გადმოცემის გადამოწმება გახლავთ. საგულისხმოა, რომ ცნობილი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი ზეპირსიტყვიერ გადმოცემას ისტორიულ წყაროდ მიიჩნევს.¹

გვარებში არსებულ ზეპირი გადმოცემების სარწმუნოობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ არაერთ გვარში არსებული გადმოცემა გენეტიკური კვლევების (დნმ-ის) საფუძველზე დადასტურდა.

ნაშრომში შესწავლილია ჯელაძის გვარის ეტიმოლოგია, წარმომავლობა, საგვარეულოს კავშირები, განსახლების არეალი, გვარის მიგრაციული პროცესები, სოციალური და გენეტიკური წარმომავლობა.

დღეისათვის ჯელაძის გვარის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ რაჭაში- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღარსა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ურავში, ასევე, დაახლოებით XVIII საუკუნის ბოლოდან შიდა ქართლსა და კახეთში. კვლევის შედეგად დგინდება რომ ჯელაძის გვარი არის ერთფუძიანი და დასტურდება გვარში არსებული გადმოცემა ჯელაძეების რაჭიდან, კერძოდ, ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღარიდან წარმომავლობის შესახებ.

ნაშრომში დნმ-ის გენეტიკური კვლევის მეშვეობით, რომელიც წარმომავლობით ღარელ ჯელაძეთა წარმომადგენლის ტესტირების შედეგად დადგინდა, რომ ის მიეკუთვნება დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთ დომინანტურ ლაზურ-ჭანურ ჰაპლოჯგუფს, რაც ძირითადად გავრცელებულია სვანებში. იგივე ჰაპლოჯგუფი მრავლად გვხვდება რაჭაში.

კვლევის საჭიროებიდან გამომდინარე ნაშრომში განხილულია კახეთში, სოფელ წინანდალში XIX საუკუნის დასაწყისში მცხოვრები ზოგიერთი გვარის რაჭიდან წარმომავლობის და მიგრაციის საკითხები.

ნაშრომში გამოყენებულია აღწერთი, ისტორიულ-შედარებითი, მიზეზ-შედეგობრივი და სისტემური ანალიზის მეთოდები.

ჯელაძის გვარის განსახლების არეალი

ჯელაძის გვარის წარმომადგენლები დღეისათვის კომპაქტურად ცხოვრობენ რაჭაში- ონის მუნიციპალიტეტში სოფელ ღარსა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტში- სოფელ ურავში, შიდა ქართლში - ხაშურსა და ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევეში, კახეთში - ყვარლის მუნიციპალიტეტში სოფელ ახალსოფელში. ჯელაძეები ასევე ცხოვრობენ თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და საქართველოს სხვა კუთხეებში.

¹ ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ისტორიული გეოგრაფია, ტ. I. თბ., 1964, გვ. 240.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია, სადაც დეტალურად მითითებულია ჯელაძეების გვარის წარმომადგენელთა რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით, კერძოდ: ონი (100), ამბროლაური (67), ხაშური (82), ყვარელი (23), თბილისი (174), რუსთავი (99), ქუთაისი (13), ბორჯომი (8), თელავი (8), ლაგოდეხი (8), ოზურგეთი (1), გურჯაანი (2), დედოფლისწყარო (2), ღუმეთი (1), ზესტაფონი (11), ლანჩხუთი (3), მცხეთა (4), სიღნაღი (1), ქარელი (3), ჩხოროწყუ (1), წყალტუბო (20), ხარაგაული (1). ამავე ვებგვერდზე მითითებულია ინფორმაცია იძულებით გადაადგილებულთა შესახებ. აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი ჯელაძეები რეგისტრირებულნი არიან, ასევე დღეს უკვე ოკუპირებულ ტერიტორიებზე, კერძოდ, გაგრამი (8), გალში (2), გულაუთამი (37), გულრიფში (7), ოჩამჩირეში (1), სოხუმში (99), ტყიბულში (2), ცხინვალში (1).¹

პირველი ცნობები ჯელაძის გვარის შესახებ

ჯელაძის გვარი ისტორიულ წყაროებში პირველად მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება, კერძოდ, შოშიტა მეტრეველის შვილების შეყრილობის წიგნში, სადაც მოწმედ მოხსენებულია ბუჭია ჯელაძეც. მასთან ერთად ასევე სხვა გვარებთან ერთად მოხსენებულია გვარები ჯამიაშვილი, ორდინიძე (საბუთში ონდინიძე) და არჩვაძე.² მეტრეველი და მოწმედ ჩამოთვლილი ზემოაღნიშნული გვარები იყვნენ და არიან ღარში გავრცელებული ძირძველი გვარები,³ შესაბამისად ბუჭია ჯელაძე სოფელ ღარის მცხოვრები უნდა ყოფილიყო. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჯამიაშვილები და ისიც ერთი კომლი, XIX საუკუნის ორმოციანი წლების რაჭაში მხოლოდ სოფელ ღარში ცხოვრობენ.⁴

XVIII საუკუნის მეორე ისტორიული წყარო, სადაც ჯელაძის გვარია მოხსენებული, გახლავთ განჩინება იაკობ და ბერი ქარუმიძეების ყმების ჯილაძეების საქმეზე. განჩინება შედგენილია 1798 წლის 14 ივნისს. აღნიშნულ საბუთში, მართალია, ჯელაძის ნაცვლად ჯილაძეა მითითებული, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ იქ მოხსენებული ძმები სვიმონიკა და დათიკა, ჯელაძეები იყვნენ. განჩინებაში მოთხრობილია, რომ ისინი თორზიტას ლეჩხუმიდან გადმოსულიყვნენ. მოგესხენებათ ლეჩხუმი რაჭის მოსაზღვრე კუთხეა და რაჭიდან ლეჩხუმში ან პირიქით, მიგრაცია არც, თუ იშვიათი იყო. შესაბამისად სიმონიკა და დათიკა, სავარაუდოდ, რაჭიდან უნდა იყვნენ. აღნიშნული დასტურდება იმით, რომ XIX საუკუნის ორმოციანი წლებშიც კი ჯილაძეები ლეჩხუმში საერთოდ არ ცხოვრობენ.⁵ მიამჩნია, რომ მათი ლეჩხუმიდან გადმოსვლის ფაქტი ამყარებს ჩემს პოზიციას. გარდა აღნიშნულისა, განჩინებაში, როგორც უკვე აღვნიშნე, მოთხრობილია სომონიკა და დათიკას თორზიტაში ლეჩხუმიდან გადმოსვლის შესახებ, რაც ვთვლი, რომ არ მითითებს მათ წარმომავლობაზე. განჩინებაში არსად არის ნახსენები, რომ ისინი ლეჩხუმელები არიან. მიამჩნია, რომ საბუთში მითითებაა მხოლოდ მასზე, რომ ისინი თორზიტას გადმოვიდნენ ლეჩხუმიდან, სადაც შესაძლოა, ასევე დროებით იყვნენ საშოვარზე ჩასულები რაჭიდან. გარდა ამისა, ჩემს მოსაზრებას სიმონიკა და დათიკას ჯელაძეობის თაობაზე მნიშვნელოვანად ამყარებს, ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოში ცხოვრობს მხოლოდ 8 ჯილაძე, აქედან ლეჩხუმის ტერიტორიაზე არც ერთი წარმომადგენელი არ ცხოვრობს. ჯილაძეებიდან დღეს 2 ადამიანი ცხოვრობს ზუგდიდში, 2 მცხეთაში, ხოლო 4 ხობში.⁶

¹ საინტერესო სტატისტიკა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ვებგვერდი. <https://intpass.sda.gov.ge/NameStatistics.aspx>

² დოლიძე ი. ქართულის სამართლის ძეგლები, VIII. 1985, თბ., გვ. 935.

³ იხ.ვ. გობეჯიშვილი. ჩემი თვალთ დანახული რაჭა. თბ., 2017 წ. გვ. 519; კეზევაძე მ. გვარები XIX საუკუნის რაჭაში. 2018, თბ., გვ. 40.

⁴ კეზევაძე მ. გვარსახელები XIX საუკუნის რაჭაში. 2018, თბ., გვ.40,80.

⁵ კეზევაძე მ. გვარსახელები XIX საუკუნის ლეჩხუმში. 2018, თბ., გვ. 36.

⁶ საინტერესო სტატისტიკა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ვებგვერდი. <https://intpass.sda.gov.ge/NameStatistics.aspx>

ჯელადის გვარის ეტიმოლოგია

ჯელაძეების გვარში არსებული გადმოცემის თანახმად მათი გვარის წარმომადგენლები ჯელად ანუ ახალგაზრდულად გამოიყურებოდნენ და სწორედ აქედან მოდის მათი გვარიც. სავარაუდოდ, გვარი წინაპრის საკუთარ სახელად ქცეული მეტსახელი „ჯელა“ - დან ან/და „ჯეელი“ - დან უნდა იღებდეს სათავეს. შესაძლოა, მართლაც ერთ-ერთ წინაპარს მეტსახელი ჯეელი შეარქვეს, იმისთვის, რომ ის ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. საინტერესოა, რომ ჯელადის გვარში XX საუკუნეში დასტურდება მეტსახელი „ჯელიკა“, რომელიც სავარაუდოდ მეტსახელი ჯელადან უნდა მომდინარეობდეს და მის თიკუნს, ანუ კნინობით სახელს წარმოადგენს.

ჯელადის გვარის გენეტიკური წარმომავლობა

„მეოცე საუკუნის ბოლოდან კაცობრიობას თავისი წარმომავლობის შესწავლის ახალი, უტყუარი ინსტრუმენტი გაუჩნდა. ეს არის გენეტიკური გენეოლოგია. დნმ – ის შესწავლა გვაძლევს საშუალებას გავარკვიოთ ადამიანების წარმომავლობა, მიგრაციების გზები და ეთნიკური ჯგუფების ურთიერთკავშირები“.¹

2020 წელს ჯელადის გვარის კვლევის პერიოდში წარმომავლობით ღარელმა ომარ არჩილის ძე ჯელაძემ ჩაიტარა დნმ - ის კვლევა (12 მარკერზე) გენეტიკური ტესტირების უმსხვილეს კომპანია Family Tree-ში,² რომელიც ახორციელებს კვლევით პროექტს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ტესტირების შედეგად დადგინდა, რომ მისი დნმ-ი მიეკუთვნება ჰაპლოჯგუფს, რომელიც უმეტესად დომინანტია დასავლეთ საქართველოში და მას მიაკუთვნებენ ლაზურ-ჭანურს. აღნიშნული ჰაპლოჯგუფი ძირითადად გავრცელებული გახლავთ სვანებში. იგივე ჰაპლოჯგუფი მრავლად გვხვდება რაჭაში.

ჯელადის გვარის წარმომავლობა და უძველესი საცხოვრისი

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე ჯელაძეთა გვარის შესახებ პირველი ცნობები სოფელ ღარს უკავშირდება.

ღარის, ურავის, ხაშურის და კახეთში მცხოვრები ჯელაძეებში არსებული ზეპირი გადმოცემის თანახმად მათი გვარის წარმომავლობის ადგილად რაჭა მიიჩნევა, რაც წინამდებარე კვლევითაც დასტურდება. მეტიც, ისინი მათი გვარის უძველეს საცხოვრისად სოფელ ღარს თვლიან. ამ გადმოცემას, გარდა კვლევაში ქვემოთ მოყვანილი ფაქტების ერთობლიობისა, ასევე ადასტურებს, ის, რომ ურაველი და ხაშურელი ჯელაძეები ოდითგანვე დადიოდნენ საჯვარეობაზე - სოფელ ღართან, ღარულას ხეობის ზემო წელში მდებარე ცნობილ სალოცავ საჯვარეში, რომელიც იმართება ყოველწლიურად ზაფხულში.

აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი აღწერდა რა ფეოდალურ საქართველოში ქართველი გლეხის ყოფას, წერდა - „დადის ქართველი გლეხი და ეძებს გასაძლის ქვეყანას: მიწას, მშვიდობას და თავისუფლებას, დადის საუკუნეთა მანძილზე, მრავალ ადგილს იცვლის, მაგრამ „ძირი-ხატი“, ძირი -სალოცავი არ ავიწყდება.“³ იგი ასევე მოსახლეობის ადგილმონაცვლების ძებნის ყველაზე საიმედო საშუალებად სწორედაც „ძირი ხატის“ ძიებას მიიჩნევდა და მოუწოდებდა ამ საშუალების მაქსიმალურად გამოყენებას „სანამ გვიანი არ არის.“⁴

სტატისტიკის თანახმად XIX საუკუნის ორმოციანი წლების მთელს რაჭაში ცხოვრობს ჯელაძეების მხოლოდ 4 ოჯახი, აქედან 3 ღარში და 1 ურავში.⁵

უნდა აღინიშნოს, რომ გვარის უკიდურესად მცირერიცხოვნობა შეიძლება მიუთითებდეს ორ სრულიად საპირისპირო გარემოებაზე, კერძოდ, გვარი არის გაქრობის პირას, ან გვარი არის

¹ ქართული დნმ პროექტის ვებგვერდი. <http://geodna.ge/info/>

²Georgian DNA Project - Y-DNA Classic Chart. დნმ-ის შედეგები. <https://www.familytreedna.com/public/georgia/default.aspx?section=yresults>

³ ბერძენიშვილი, ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ისტორიული გეოგრაფია, ტ. I. თბ., 1964, გვ. 235.

⁴ იქვე გვ. 235.

⁵ კეზევაძე მ. გვარსახელები XIX საუკუნის რაჭაში. 2018, თბ., გვ.34,40,80.

არც თუ დიდი ხნის. ის ვერსია, რომ ჯელადის გვარი გაქრობის პირას იყო, გამორიცხულია, ვინაიდან წყაროებით უდავოდ დასტურდება ჯელადის გვარის მნიშვნელოვანი ზრდა, კერძოდ, სოფელ ღარში სამივე ოჯახი 1943 წლისთვის შედგება 27, ხოლო ურავში მცხოვრები ერთადერთი ოჯახი 8 სულისაგან.¹ უკვე 1873 წლის კამერალური აღწერების თანახმად სოფელ ღარში ცხოვრობს ჯელადეების 6 ოჯახი, რომელიც შედგება 72 სულისაგან. ამავე აღწერით სოფელ ურავში ცხოვრობს ჯელადეების ერთი 23 სულიანი ოჯახი.² დღეს არსებული მონაცემებით ჯელადის გვარი უკვე 798 კაცს ითვლის.³

ღარში, ურავში, ხაშურსა და კახეთში მცხოვრები ჯელადეებში არსებული გადმოცემის თანახმად მათი გვარის წარმომავლობის ადგილად რაჭა მიიჩნევა, რაც წინამდებარე კვლევითაც დასტურდება. მეტიც, ისინი მათი გვარის უძველეს საცხოვრისად სოფელ ღარს თვლიან. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ნაშრომში მეტყველებს ის საგულისხმო ფაქტი, რომ ურაველი და ხაშურელი ჯელადეები ოდითგანვე დადიოდნენ საჯვარეობაზე - ღარულას ხეობის ზემო წელში მდებარე ცნობილ სალოცავ საჯვარეში. საჯვარეობა იმართება ყოველი წლის ზაფხულში.

ჯელადის გვარის წარმომავლობის განსხვავებული და საინტერესო ვერსია მიაბზო თბილისში მცხოვრებმა და აფხაზეთიდან დევნილმა, წარმომავლობით ურაველმა, ლევან ვალერიანის ძე ჯელადემ. მან გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში თურქეთში მოგზაურობისას, საქართველოს ისტორიულ მხარე შავშეთში შემთხვევით გაიცნო თურქეთში მცხოვრები ლაზი, რომელმაც გამოცნაურების შემდეგ მას აცნობა, რომ მისი წინაპრების გვარი იყო ჯელადე. უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთში მცხოვრები ლაზები ოფიციალურად თურქულ გვარებს ატარებენ და მათ საკუთარი გვარები მხოლოდ წინაპრების გადმოცემით იციან. საინტერესოა, რომ აჭარასა და შავშეთში ცხოვრობენ გვარჯელადეები და ბაჯელადეები. შესაძლოა, რომ ამ გვარების ფუძე სწორედაც გვარი-ჯელადე იყოს. გვარ-ჯელადე შეიძლება ნიშნავდეს გვარით ჯელადეს. მსგავსი დამატება გვარებზე უცხო არაა ქართული გვარებისათვის, მაგალითად, გვარები - გოგისვანიძე, ბარსვანიძე, თექთურმანიძე, გოგობერიძე, თავბერიძე და სხვა. აქედან გამომდინარე, არც თუ უსაფუძვლოდ შეიძლება მივიჩნიოთ ჯელადეების ლაზეთიდან წარმომავლობა ერთ-ერთ ვერსიად.

საინტერესოა, ასევე, რომ აფხაზეთიდან დევნილი და წარმომავლობით ურაველი დების-მზევინარ და ჯალალა ჯელადეების ინფორმაციით, მათმა აწ გარდაცვლილმა ნათესავმა მარტვილელმა ანზორ ევგენის ძე ჯელიამ უამბო, რომ ჯელიები წარმოშობით რაჭველი ჯელადეები არიან.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, დადასტურებულად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ჯელადეების გვარი არც თუ დიდი ხნის ისტორიას ითვლის ან შესაძლოა სხვა ჩვენთვის უცნობი გვარის განაყარია. ამის დამადასტურებლად უნდა ჩაითვალოს ასევე ის ფაქტი, რომ ჯელადეების გვარი ისტორიულ წყაროებში მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება.

ჯელადის გვარის სოციალური წარმომავლობა

რაც შეეხება ჯელადის გვარის წარმომადგენელთა სოციალურ წარმომავლობას, ჯელადეები რაჭაში საბატონო გლეხები გახლდნენ. სოფელ ღარში ისინი თავად ჯაფარიძეთა ყმები იყვნენ, სოფელ ურავში კი აზნაურ გოცირიძეთა ყმები. 1873 წლის კამერალური აღწერაში ჯელადის ოჯახი დროებით ვალდებულ გლეხების კატეგორიაშია მოხსენებული. რაც შეეხება ხაშურსა და კახეთს, აქ ჯელადეები სახაზინო გლეხებად გვევლინებოდნენ და ხიზნებად იწერებოდნენ.

¹ ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 21, ანაწერი 1 საქმე №4252, გვ. 42.

² ქცა, ფ. 8, ან. 1, საქ. №818.

³საინტერესო სტატისტიკა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ვებგვერდი. <https://intpass.sda.gov.ge/NameStatistics.aspx>

ჯელაძეები სოფელ ურავიდან

სოფელი ურავი მდებარეობს რაჭაში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. ლუხუნის მარჯვენა მხარეს ზღვის დონიდან 1040 მეტრზე, ამბროლაურიდან 25 კილომეტრში. ურავის ისტორია საუკუნეთა სიმრავლით არ გამოირჩევა.

“დღევანდელი ურავის ისტორია საუკუნეთა სიმრავლით არ გამოირჩევა. სულ რამდენიმე ასწლეულია გასული მას შემდეგ, რაც რაჭის სხვადასხვა სოფლებიდან ჩასახლებულებმა შეაგეს ადრე მოსახლეობისაგან დაცლილი ლუხუნის ხეობის ზემო წელი.”¹

სოფელ ურავში მცხოვრებმა ჯელაძეებმა გადმოცემით იციან, რომ ისინი წარმომავლობით დღევანდელი ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღარიდან არიან. მნიშვნელოვანია, რომ ურაველი ჯელაძეები ოდითგანვე დადიოდნენ საეკლესიო დღესასწაულ საჯვარეობაზე სოფელ ღართან.

ოფიციალურ დოკუმენტებში სოფელ ურავში მცხოვრები ჯელაძეების გვარი მხოლოდ 1832 წლის მეტრიკული ჩანაწერიდან ჩნდება.²

ურავში 1841 წლისათვის ცხოვრობს ჯელაძეების მხოლოდ ერთი ოჯახი [ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 21, აღწერა 1, საქმე №1880.]. ასევე მხოლოდ ერთი ოჯახია აღრიცხული ურავის 1873 წლის კამერალური აღწერის ამონაწერში.

ურაველი დების მზევინარ და ჯაჯალა ჯელაძეების ინფორმაციით ურავში აღდგომის მეორე დღეს ტრადიციულად იმართებოდა დღესასწაული გორგონთობა. მათ ახსოვთ, რომ ახალგაზრდობაშიც და შემდეგაც ურავში გორგონთობა დღეს აღინიშნებოდა ჯელაძეობა. ამ დღეს ურაველი ჯელაძეები იკრიბებოდნენ სალოცავად და სწირავდნენ მოზვერს.

1949 წელს სოხუმის რაიონის ოდიშის სასოფლო საბჭოს სოფელ პავლოვსკაიდან ლავრენტი ბერიას დავალებით ყაზახეთში გადასახლეს ბერძენი ეროვნების მოსახლეობა. იმავე წელს სოფელ ურავიდან იძულებით სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი გადასახლეს სოფელ პავლოვსკაიაში,³ მათ შორის ჯელაძეებიც. შემდგომში სოფელ პავლოვსკაიას ხალხი ურავად მოიხსენიებდა.

გადასახლებიდან დაახლოებით 5-6 წლის შემდეგ რამდენიმე ოჯახი დაბრუნებულა საცხოვრებლად სოფელ ურავში. სამწუხაროდ, ურაველ ჯელაძეებს 1990 -იანი წლების დასაწყისში აფხაზეთში ომის გამო მოუწიათ აფხაზეთიდან დევნილობაში ყოფნა. მათი ნაწილი კვლავ აფხაზეთიდან საცხოვრებლად ურავში დაბრუნდა.⁴

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ურაველი ჯელაძეები არ არიან ურავის მკვიდრი მაცხოვრებლები და ისინი წარმომავლობით არიან სოფელ ღარიდან.

ჯელაძეები ხაშურიდან

სულ ცოტა ორ საუკუნეზე მეტია, რაც დღევანდელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრობენ ჯელაძეები.

1818 წლის გორის მაზრის სოფელ დუმაცხოს სახაზინო გლეხების აღწერის თანახმად, სოფელში ცხოვრობს ნინია ჯელაძის ხუთსულიანი ოჯახი.⁵ ნინიას ოჯახი იმავე სოფელშია მითითებული 1831 წლის⁶ და 1842 წლის⁷ კამერალურ აღწერებში. მართალია, მისი ოჯახი კამერალურ აღწერებში ირიცხება სოფელ დუმაცხოში, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ცხოვრობდა სოფელ წაბლუანაში. სოფელი ალის ეკლესიის მეტრიკული წიგნებიდან ირკვევა, რომ სოფელ დუ-

¹ გობეჯიშვილი ვ. ჩემი თვალთ დანახული რაჭა. თბ., 2017 წ. გვ. 489.

² საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, ან. 6, საქ. №171.

³ იხ. ვ. გობეჯიშვილი. ჩემი თვალთ დანახული რაჭა. თბ., 2017 წ. გვ. 490.

⁴ იქვე. 490.

⁵ საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე №541.

⁶ სცა, ფონდი 254, ანაწერი 1, საქ. 1244.

⁷ სცა, ფ. 254, ან. 1, საქ. 1936. გვ. 291.

მაცხოვრებელს და წაბლუნას მაცხოვრებლები მიწერილები იყვნენ სოფელ ალის ეკლესიაზე და მათი დაბადება, ქორწინება და გარდაცვალება აღირიცხებოდა ალის ეკლესიაში.¹

1842 წლის აღწერაში აღნიშნულია, რომ გარდაიცვალა ნინია, იგივე ივანე ჯელაძე.² დაახლოებით მე - 19 საუკუნის 50 - იან წლებში მისი შვილი გიორგი ჯელაძე საცხოვრებლად გადავიდა სოფელ ზემო ფლევეში 1859 წლის და 1873 წლის სახაზინო გლეხების კამერალური აღწერის თანახმად გიორგი ჯელაძის ოჯახი ცხოვრობს სოფელ ზემო ფლევეში.³ 1859 წლის კამერალურ აღწერაში ოჯახზე მინაწერია, რომ 1842 წლის სოფ. დუმაცხოს კამერალურ აღწერაში გიორგი ივანეს ძე ჯელაძის ოჯახის ნომერია 9.

გიორგი ჯელაძის შთამომავლობა დღესაც ცხოვრობს ზემო ფლევეში (დღევანდელი დიდ ფლევეში). ისინი ასევე ცხოვრობენ ქალაქ ხაშურშიც.

ჯელაძეების ერთი ოჯახი დაახლოებით XVIII – XIX საუკუნეების მიჯნიდან ცხოვრობდა ასევე გორის მაზრის სოფელ ტბეთში, რომელიც მდებარეობს დღევანდელი ხაშურის მუნიციპალიტეტში. სოფელი ტბეთის 1831 წლის სახაზინო გლეხების ძველ კამერალურ აღწერაში შეყვანილია დათუა ოტას ძე ჯელაძის ხუთსულიანი ოჯახი. იმავე აღწერით ირკვევა, რომ დათუას ოჯახი გადმოსახლებულია იმერეთიდან 1804 წლამდე.⁴ სოფელი ტბეთის 1831 წლის კამერალური აღწერის თანახმად დათუა ჯელაძეს ჰყავს ერთი ვაჟი და ორი ქალიშვილი. დათუას ოჯახი ამ აღწერაში ხიზნად არის ჩაწერილი. აღსანიშნავია, რომ მისი ოჯახი ტბეთის წინა 1818 წლის კამერალურ აღწერაში შეყვანილი არ არის.

დათუა ჯელაძე ასევე მოხსენიებულია სოფელი ტბეთის ყმა-მამულების სიაში [ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ., 5047, ნუსხა ყმა-მამულებისა XIX ს.],⁵ რომელიც შედგენილია დაახლოებით XIX საუკუნის პირველ ნახევარში. 1842 წლის სოფელი ტბეთის სახაზინოს გლეხების კამერალური აღწერით ირკვევა, რომ მისი ოჯახიდან დარჩენილია მხოლოდ მისი ვაჟი სიმონ ჯელაძე. ამ აღწერაში არ არიან შეყვანილი მდებარეობით სქესის წარმომადგენლები. 1842 წლის აღწერაში სიმონ ჯელაძის ოჯახზე მინაწერია, რომ გადავიდა საცხოვრებლად კახეთში.⁶ ამის შემდეგ, სამწუხაროდ, სიმონ ჯელაძის ოჯახის კვალი ქრება. შესაბამისად, ის სოფელი ტბეთის არც ერთ შემდგომ აღწერაში აღარ ირიცხება.

დღეს სოფელ დიდ ფლევეში მცხოვრებმა ჯელაძეებმა მათი წინაპრების ზეპირი გადმოცემით იციან, რომ ისინი წარმომავლობით არიან რაჭიდან, კერძოდ, სოფელ ღარიდან. ხაშურში მცხოვრებმა ვენგო (გიორგი) ჯელაძემ (დაბ. 1947 წ.), რომელიც წარმომავლობით გახლავთ სოფელ დიდი ფლევიდან, გვიამბო, რომ ის თავად და მისი მამა, ბაბუა და წინაპრები ოდითგანვე დადიოდნენ სოფელ ღართან მდებარე სალოცავში საჯვარეობის დღესასწაულზე. მნიშვნელოვანია, რომ სოფელი ტბეთის 1831 წლის კამერალური აღწერით დგინდება, რომ დათუა ჯელაძის ოჯახი გადმოსახლებულია იმერეთიდან 1804 წლამდე. რაჭა იმ დროისათვის იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.⁷

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

ხაშურის მუნიციპალიტეტში ჯელაძეები დაახლოებით XVIII საუკუნის მიწურულს გადმოსახლდნენ რაჭიდან, სოფელ ღარიდან.

ასევე სოფელ ღარიდან შიდა ქართლში, კერძოდ, სოფელ წაბლუნაში, დაახლოებით XIX საუკუნის დასაწყისში გადმოსახლდა ნინია ჯელაძე (ან მისი მამა), რომელმაც საფუძველი დაუდო ხაშურელი ჯელაძეების შტოს.

¹ სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. 376ა. 1840 წლის საეკლესიო მეტრიკული წიგნი.

² სცა, ფ. 254, ან. 1, საქ. 1936. გვ. 291.

³ სცა, ფ. 254, ან. 3, საქ. №143; ფ. 254, ან. 2, საქმე №2331.

⁴ სცა, ფ. 254, ან 1, საქ. 1244.

⁵ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD 5047, ნუსხა ყმა-მამულებისა XIX ს.

⁶ სცა, ფ. 254, ან. 1, საქ. №1936.

⁷ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია <http://imereti.gov.ge/geo/static/97/regions/HISTORY>

ნინია ჯელაძის შვილი გიორგი ჯელაძე დაახლოებით XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში საცხოვრებლად გადავიდა სოფელ ზემო ფლევეში (დღევანდელი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ფლევეში), სადაც დღემდე ცხოვრობენ მისი შთამომავლები.

იმავე პერიოდში ასევე ღარიდან შიდა ქართლში, სოფელ ტბეთში საცხოვრებლად გადმოსახლდა დათუა ოტიას ძე ჯელაძე, რომელიც დაახლოებით 1842 წლისათვის გადასახლდა საცხოვრებლად კახეთში ჩვენთვის უცნობ ადგილზე.

სავარაუდოდ ტბეთსა და წაბლუანში მცხოვრები ჯელაძეები რაჭიდან ერთდროულად უნდა იყვნენ ჩამოსახლებულნი და ისინი უახლოესი ნათესავები უნდა ყოფილიყვნენ.

ჯელაძეები ყვარლის სოფელ ახალსოფლიდან

ყვარლის მუნიციპალიტეტში მდებარეობს სოფელი ახალსოფელი, რომელსაც ადრე ძველი გავაზი ერქვა. ძველი გავაზი ისტორიული სოფელი გახლდათ და ის მდებარეობდა „მდინარე ალაზნის მარცხენა შენაკადის ავანისხევის (გავაზისწყლის) ორივე ნაპირზე.“¹ „მაჰ-აბასის მიერ კახეთის აოხრების შემდეგ გავაზის მნიშვნელობა დაკნინდა. ლეკიანობამ იგი გააპარტახა. XVIII საუკუნეში გავაზის მოსახლეობა გადასახლდა ალაზნის ველზე, სადაც ამავე სახელწოდების სოფელი გაშენდა.“² სოფელი ხელმეორედ დასახლდა 1852 წლიდან და მას ახალსოფელი უწოდეს.³ ძველ გავაზში ჯელაძეების ჩასახლება სოფლის დაარსებას ემთხვევა. ახალსოფელში ჯელაძეები დღემდე ცხოვრობენ. გადმოცემით მათ იცოდნენ, რომ დაახლოებით XIX საუკუნის შუა პერიოდში მათი წინაპარი აბრამ ჯელაძე რაჭიდან გადმოსახლდა საცხოვრებლად ახალსოფელში. მათ მეხსიერებაში აბრამის იქით არ იყო შემონახული წინაპართა სახელები. საარქივო დოკუმენტების ჩემ მიერ მოძიების შედეგად დადასტურდა, რომ კონკრეტულად ძველ გავაზში ჯელაძეების გვარს საფუძველი მართლაც აბრამმა დაუდო, თუმცა, როგორც გაირკვა, აბრამთან ერთად ძველ გავაზში საცხოვრებლად ჩამოვიდა მისი ძმა იოსებ ჯელაძე.

როგორც ახალსოფლის მცხოვრებმა გოდერძი გიორგის ძე ჯელაძემ მიაგმო, ის ბავშვობაში დაახლოებით 1974 წელს მამამისთან ერთად ნამყოფია ონის რაიონის სოფელ ღარში -- სოფლის საეკლესიო დღესასწაულზე, საჯვარეობაზე. მან ასევე მიაგმო, რომ დღესასწაულზე ღარის ჯელაძეებთან საუბარში მამამ წინაპრების სახელების ხსენებისას გამონახა საერთო ახლობლები, თუმცა ის ვეღარ იხსენებს მათ სახელებს. როგორც ახსოვს, ღარელმა ჯელაძეებმა მათ აჩვენეს ხის სახლი და უთხრეს, რომ მისი წინაპრები სწორედ ამ სახლში ცხოვრობდნენ.

საინტერესოა, რომ ახალსოფელში, ისევე როგორც ღარში, ჯელაძეების ოჯახებს ახლო წინაპრების სახელების მიხედვით ყოფენ, აბრამიანთი, ჭრელაანთი, ქრისტოსიანთი და სხვა.

თელავის მაზრის ყვარლის უბნის 1861 წლის სახაზინო გლეხების კამერალური აღწერის მიხედვით ძველ გავაზში ცხოვრობენ აბრამ ჯელაძის და მისი ძმის, იოსებ, იგივე სოსიკო ჯელაძის ოჯახები.⁴

იმავე აღწერით ირკვევა, რომ მათი ოჯახები ძველ გავაზში გადმოსახლდნენ თელავის მაზრის სოფელ კონდოლიდან წინა აღწერის შემდეგ და ისინი წინა აღწერაში სწორედ სოფელ კონდოლში ირიცხებიან. წინა აღწერაში იგულისხმება 1842 წლის კამერალური აღწერა. მართლაც გადამოწმებულ იქნა მითითებული ინფორმაცია და აღმოჩნდა, რომ 1842 წლის თელავის მაზრის, თელავის უბნის კამერალური აღწერით, სოფელ კონდოლში ცხოვრობდა ჯელაძეების ერთი ოჯახი. ირკვევა, რომ ოჯახის უფროსი იყო სიმონ ჯელაძე, რომლის შვილებიც არიან ზემოთ ხსენებული აბრამ და იოსებ ჯელაძეები, ანუ აღწერიდან ვიგებთ აბრამის და იოსების მამის სახელსაც. აღმოჩნდა, რომ აბრამს და იოსებს ჰყავდათ კიდევ ერთი ძმა, 1 წლის ნიკოლო-

¹ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2. თბ., 1977, გვ. 623.

² იქვე. 623.

³ იქვე. 623.

⁴ სცა, 254, ან. 2, საქ. №277.

ზი. აღწერის მიხედვით სიმონ ჯელაძის ოჯახი ზიზანია და ის ცხოვრობს საეკლესიო მიწებზე.¹ მიუხედავად იმისა, რომ მოძიებულ იქნა წინა წლების როგორც სახაზინო, ისე საეკლესიო და მემამულეთა კამერალური და საოჯახო აღწერები, ჯელაძეების ოჯახი ვერც სოფელ კონდოლსა და ვერც ახლომდებარე სოფლებში ვერ იქნა აღმოჩენილი, თუმცა როგორც კვლევის შედეგად გაირკვა, სიმონ ჯელაძის ოჯახი სოფელ კონდოლში გადმოსახლებამდე ცხოვრობდა სოფელ წინანდალში. მოძიებულ იქნა თავად აბრამ ჯელაძის დაბადების ჩანაწერი. 1826 წლის საეკლესიო წიგნის ჩანაწერის თანახმად, სოფელ წინანდალში მცხოვრებ სიმონ ჯელაძეს 1826 წლის 10 აგვისტოს დაებადა ვაჟი და უწოდა სახელი აბრამ. აბრამის ნათლია გახლდათ სოფელ წინანდალში მცხოვრები როსტომ იაკობის ძე აჩუაშვილი.²

საგულისხმოა, რომ 1827 წლის სოფელი წინანდლის იოანე ნათლისმცემლის საეკლესიო მეტრიკული წიგნის ჩანაწერით 28 მაისს გარდაიცვალა დავით ჯელაძე, 60 წლის, ჭლექისგან.³ დავით ჯელაძე, როგორც გაირკვა, იყო სვიმონ ჯელაძის მამა. 1829 წლის 3 დეკემბერს წინანდალში მცხოვრებმა დავით ჯელაძის შვილმა- მართამ იქორწინა იმავე სოფლის მცხოვრებ იოსებ მეგრელიშვილთან. იმავე წლის 12 სექტემბერს სვიმონ ჯელაძეს შეეძინა ქალიშვილი ნინო. ნათლია იყო როსტომ აჩუაშვილი.⁴

სოფელ კონდოლში წინანდლიდან საცხოვრებლად გადავიდა სვიმონ დავითის ძე ჯელაძე ოჯახით.

1834 წლის 6 მარტს სოფელ კონდოლის თომა მოციქულის ეკლესიის მეტრიკული წიგნის ჩანაწერით სოფელ კონდოლში მცხოვრებ სახაზინო ყმას- სვიმონ დავითის ძე ჯელაძეს და მის ცოლს მართა სვიმონის ასულს- შეეძინა ქალი და სახელად უწოდეს სოფიო.⁵ აღნიშნულით ირკვევა, რომ სვიმონ დავითის ძე ჯელაძის ოჯახი კონდოლში საცხოვრებლად გადავიდა დაახლოებით 1830 წლის შემდეგ. ამ ჩანაწერით ირკვევა, რომ სვიმონი არის დავითის ძე. როგორც ჩანს, სვიმონის მამას, დავითს, ჰქონდა ასევე მეორე სახელი პაპუნა. იმ პერიოდისათვის არაერთი დოკუმენტი ადასტურებს, რომ ოფიციალურ ჩანაწერებში ხშირად იწერებოდა პირის კნინობითი სახელიც. 1839 წლის 14 მაისს სვიმონს და მის ცოლს მართა სვიმონის ასულს შეეძინათ ქალიშვილი კეკელა.⁶ ამ ჩანაწერში სვიმონის მამის სახელად ჩაწერილია პაპუნა. ეჭვგარეშეა, ეს ის სვიმონია, ვინაიდან ჯერ ერთი, სხვა სვიმონ ჯელაძე სოფელ კონდოლში არ ცხოვრობს, მეორეც, მისი ცოლის სახელი და მამის სახელიც ემთხვევა სხვა ჩანაწერებს. საგულისხმოა, რომ სვიმონ ჯელაძის შვილების: სოფიოს, ნინო და კეკელას ნათლიაც არის სოფელ წინანდალში მცხოვრები როსტომ იაკობის ძე აჩუაშვილი. პაპუნა ჯელაძე ფიქსირდება ასევე ჯერ კიდევ სოფელ წინანდალში, კერძოდ, 1820 წლის 6 აგვისტოს ცხელებით გარდაიცვალა პაპუნა ჯელაძის შვილი თამარი.⁷

საინტერესოა, რომ სოფელ წინანდალში 1820 წლისთვის საეკლესიო ჩანაწერებში, გარდა დავით ჯელაძის ოჯახისა, მოხსენიებულია თამაზ ჯელაძე და თადეოს ჯელაძე, თუმცა, სავარაუდოდ, თამაზი და თადეოზი ერთი და იგივე პიროვნება იყო. იმავე სოფელში 1820 წლის 5 აგვისტოს თამაზა ჯელაძეს შეეძინა ქალი ეკატერინე. ნათლია იყო თამაზა ჭიორელი.⁸ 1825 წლის 10 დეკემბერს თადეოზ ჯელაძეს შეეძინა ვაჟი ანდრია.⁹ საგულისხმოა, რომ შემდეგ წლებში არც წინანდალსა და არც ახლომდებარე სოფლებში, არც საეკლესიო ჩანაწერებსა და არც კამე-

¹ სცა, ფ. 254, ან. 1, საქ. №1943. გვ. 237. ფურცელზე ასევე მითითებულია გვ. 104.

² სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. №34.

³ სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. №48.

⁴ სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. №92.

⁵ სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. №225.

⁶ სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. №357.

⁷ სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. №9.

⁸ სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. №9.

⁹ სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. №30.

რალურ თუ საოჯახო აღწერებში თადეოზი და თამაზ ჯელაძეები არ ჩანან და შესაძლოა რაჭაში დაბრუნდნენ ან სხვაგან გადასახლდნენ.

როგორც კახეთის რიგი სოფლების 1818 - 1830 წლების საეკლესიო მეტრიკული წიგნებიდან ჩანს, ადგილი ჰქონდა რაჭის მოსახლეობის მიგრაციას კახეთში, განსაკუთრებით კი სოფელ წინანდალში. თუმცა ეს პროცესი XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან აქტიურად მიმდინარეობდა. ჩვენთვის უცნობია აღნიშნულის ზუსტი მიზეზები, თუმცა მათი მიგრაციის უმთავრესი საფუძველი სავარაუდოდ ფეოდალურ საქართველოში არსებული კლასობრივი ბრძოლა იყო, ასევე თავისუფლების სურვილი, უკეთესი საცხოვრებელი პირობების ძიება, ომები¹ და იმ დროისათვის გავრცელებული ეპიდემიები.²

მოცემულ პერიოდში წინანდალში მრავლად ცხოვრობდნენ რაჭიდან გადმოსახლებული ოჯახები, კერძოდ, გავაშელიშვილები, ქაფიანიძეები, მეტრეველები, მაისურაძეები, მარკოიშვილები, მესხიშვილები³ და სხვები. ისინი, როგორც ჩანს, არც თუ დიდი ხნის წინ ჩამოსახლებულან წინანდალში. მათ ნათლიებად და თავმძღებად (მეჯვარეებად) გვევლინებიან ასევე რაჭველები, უფრო მეტად კი - დღევანდელი ონის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები. არც თუ იშვიათია ქორწინებები რაჭულ გვარებს შორის. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს, რომ ისინი რაჭიდან დიდი ხნის გადმოსახლებულები არ უნდა იყვნენ. როგორც ირკვევა, ეს კავშირები შემდეგშიც დიდხანს გრძელდებოდა. მაგალითად, სოფელ წინანდალში 1851 წელს საბატონო ყმა ლაზარე გაბრიელის ძე მესხიშვილის მიმრქმელი იყვნენ ონის მაზრის სოფელ ღარის მცხოვრები საბატონო ყმები- გიორგი მამუკას ძე ჯელაძე და ქრისტესია გიორგის ძე მეტრეველი.⁴ იმავე სოფელში 1841 წლის 21 თებერვალს დაბადებული საბატონო ყმა თევდორე საბას ძე მესხიშვილის მიმრქმელი გახლდათ სოფელ ღარს მცხოვრები საბატონო ყმა სვიმონ ივანეს ძე მარკოზისშვილი.⁵ 1869 წლის 20 იანვარს იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის ჩანაწერებით სოფელ ძველ გავაზში იოსებ გიორგის ძე ჯელაძეს შეეძინა ვაჟი მიხეილი, რომლის მიმრქმელიც იყო შარდომეთში მცხოვრები აზნაური რაჭის უეზიდან ალექსი დავითის ძე ჯაფარიძე.⁶ როგორც ნაშრომის დასაწისში აღვნიშნე, სოფელ ღარში ჯელაძეები ჯაფარიძეების ყმებად იწერებიან და მათი ურთიერთობა წინანდალში გადმოსახლების შემდეგაც გრძელდებოდა.

საგულისხმოა, რომ სოფელი ძველი გავაზის 1861 წლის კამერალური აღწერის გრაფაში, სადაც მიეთითება, თუ რომელი ტომის წარმომადგენლები არიან, აღნიშნულია - “Имеретинского”- ანუ „იმერული.“⁷ იმერელში, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, იგულისხმებოდა ზოგადად იმერეთის სამეფოს მაცხოვრებელი და რაჭაც თავის დროზე იმერეთის სამეფოს და შემდგომში ქუთაისის გუბერნიის ნაწილი გახლდათ. მსგავსი ჩანაწერი გვხვდება არაერთი რაჭიდან გადმოსახლებული ოჯახის კამერალურ აღწერაში. საეკლესიო ჩანაწერებში ხშირია რაჭიდან გადმოსახლებულების იმერლებად მოხსენიება. მაისურაძეების რამდენიმე ოჯახი იმერელიშვილებადაც კი მოიხსენიებიან, რაც შემდეგ მათ გვარადაც იქცა. 1840 წლის სახაზინო გლეხების დამატებით აღწერაში სოფელ ყვარელში 23-ე ნომრად ჩაწერილია მაისურაძე ნინია, რომელსაც მიწერილი აქვს, რომ გადმოსულია იმერეთიდან.⁸ თელავის მაზრის და სიღნაღის მაზრის 1837 წლის კამერალურ აღწერაში სოფელ ახურას მცხოვრები დავით გარეჯის მონასტრის ყმა კაცია კირვალიძე იმერელად არის მოხსენიებული. სოფელ კონდოლის საეკლესიო მეტრიკული წიგნში

¹ ბერძენიშვილი, ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ისტორიული გეოგრაფია, ტ. I. თბ., 1964, გვ. 236,237,238,240.

² ჯღენტი ე. დისერტაცია. საქართველოსა და მიმდებარე რეგიონებში გავრცელებული ერსინია პესტის შტამების მოლეკულური დახასიათება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2019, გვ. 10.

³ კეზევაძე მ. გვარსახელები XIX საუკუნის რაჭაში. 2018, თბ., გვ.7,10,11,22,23,29,40,45,48.

⁴ სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. №889.

⁵ სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. №419. გვარის სწორი ფორმაა მარკოიშვილი.

⁶ სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. №2074.

⁷ სცა, ფ. 254, ან. 2, საქ. №277.

⁸ სცა, ფ. 254, ან. 1, საქ. №1770.

1834 წლის 2 თებერვალს დაბადებული სოფიო იოსების ასული წაწიკაშვილის დაბადების სააქტო ჩანაწერში მიმრქმელად (ნათლიად) იმერეთის ხოტევის უეზდის სოფელ ამბროლაურს მცხოვრები ზიზანი ყმა – ნიკოლოზ იოანეს ძე დათემიძეა ჩაწერილი.¹ ხოტევი და ამბროლაური, მოგვსენებათ, რაჭის სოფლებია, ამიტომ აქედან ჩანს, რომ ოფიციალურ დოკუმენტებშიც რაჭას იმერეთად მოიხსენიებდნენ. აკადემიკოსი როლანდ თოფჩიშვილიც განმარტავს, რომ „გურიაში, რაჭაში, ლეჩხუმში მცხოვრები ქართველები აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთათვის იმერლები იყვნენ.“²

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ რუსულ ენაზე შედგენილ კამერალურ აღწერაში შეცდომით რუსული ინტერპრეტაციის მიზეზით ჯელაძის გვარი შეტანილია შეცდომით, როგორც გელაძე, მაგალითად, სოფელ კონდოლის 1842 წლის რუსულ ენაზე შედგენილ კამერალურ აღწერაში სიმონ ჯელაძე წერია როგორც Геладзе.³ სწორედ მსგავსი შეცდომების გამო არაერთი ქართული გვარი ოფიციალურად ჩამოყალიბდა განსხვავებულ გვარად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საგულისხმოა, რომ ჯელაძის გვარი რამდენიმე დოკუმენტში მოიხსენებოდა ადგილობრივი ინტერპრეტაციის შესაბამისად. მაგალითად, აბრამ სიმონის ძე ჯელაძე ზოგიერთ დოკუმენტში მოხსენებულია ჯელაშვილად, კერძოდ, ძველი გავაზის 1855 წლის საეკლესიო მეტრიკულ წიგნში ჩაწერილია, რომ ივანე ჯელაშვილის ასული ეკატერინე 3 ნოემბერს დაქორწინდა სახაზინო გლეხ გიორგი დიმიტრის ძე გოგილაშვილზე. იმავე წლის ჩანაწერიდან ირკვევა, რომ 24 სექტემბერს გარდაიცვალა ძველი გავაზის სახაზინო გლეხის აბრამ ჯელაშვილის ცოლი ანა 30 წლის, მშობიარობისაგან.⁴ ჯელაძის მსგავსად ხშირი იყო დასავლეთ საქართველოდან გადმოსახლებული ძეზე დაბოლოებული და ასევე მეგრული გვარების გაფორმება ადგილობრივი ინტერპრეტაციის შესაბამისად. მაგალითად, ძველი გავაზის 1867 წლის საეკლესიო წიგნიდან ირკვევა, რომ 20 ივნისს მარკოზ იოანეს ძე ლეჟავაშვილს შეეძინა ვაჟი ისაკი.⁵ იგივე მარკოზ იოანეს ძე უკვე ლეჟავას გვარით შეყვანილია სოფელ ძველი გავაზის 1873 წლის კამერალურ აღწერაში №43-ე სოსია ივანეს ძე ჯაფარიძის ოჯახში, როგორც მისი სიძე. ამევე აღწერით იკვევა, რომ მარკოზი გადმოსახლებულია სოფელ ხარაგაულიდან 1862 წელს. სოფელ წინანდალში მცხოვრებნი ზურაბ და იოანე მაისურაძეები საეკლესიო მეტრიკულ წიგნში შეყვანილი არიან მაისურაძისშვილებად. 1831 წლის სოფელ წინანდლის საეკლესიო წიგნის თანახმად 5 აპრილს გარდაიცვალა ამავე სოფლის საბატონო ყმის იოანე მაისურაძისშვილის მეუღლე ელისაბედი, ხოლო 4 ოქტომბერს კი გარდაიცვალა ზურაბ მაისურაძისშვილის მეუღლე თამარი.⁶ სოფელ კონდოლში მცხოვრები მეტრეველი ამავე საეკლესიო მეტრიკულ წიგნში მოიხსენიება მეტრეველისშვილად. კონდოლის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მეტრიკული წიგნის თანახმად 1838 წლის 9 ივლისს დაიბადა გიორგი ზეთისავარის ძე მეტრეველისშვილი.⁷

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

ახალსოფლელი ჯელაძეები არ არიან კახეთის მკვიდრი მაცხოვრებლები, რასაც ადასტურებს როგორც ახალსოფლელ ჯელაძეებში არსებული წინაპრების გადმოცემა, ისე სოფელ ძველი გავაზის 1861 წლის კამერალური აღწერა (სადაც ძმების, ძმები აბრამ და სოსიკო ჯელაძეები მოხსენებულნი არიან წარმომავლობით იმერლებად) და ასევე ნაშრომში ზემოთ მითითებულ გარემოებათა ერთობლიობა;

¹ სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. №225.

² თოფჩიშვილი, რ. XIX საუკუნის აღწერის დავთრები საქართველოს ეთნოისტორიული პრობლემების შესახებ. თბ., 2021, გვ. 39.

³ სცა, ფ. 254, ან. 1, საქ. №1943. გვ. 237. ფურცელზე ასევე მითითებულია გვ. 104.

⁴ სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. №1106.

⁵ სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. №1903.

⁶ სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. №142.

⁷ სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. №312.

ახალსოფლელი ჯელაძეების წინაპართაგან რაჭიდან, კერძოდ, სოფელ ღარიდან კახეთში, სოფელ წინანდალში საცხოვრებლად გადავიდა დათუა, იგივე პაპუნა ჯელაძე (ან მისი მამა) და-ახლოებით XVIII- XIX საუკუნეების მიჯნაზე;

დაახლოებით 1830 წლის შემდეგ დათუა ჯელაძის შვილი სიმონ ჯელაძე ოჯახთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად სოფელ კონდოლში;

დაახლოებით 1850 -იანი წლების დასაწყისში სოფელ ძველ გავაზში გადასახლდა სიმონ დავითის ძე ჯელაძის ორი ვაჟი - აბრამ და სოსიკო ჯელაძეები;

ახალსოფლელი (ყოფილი ძველი გავაზის) ჯელაძეების საერთო წინაპარი გახლდათ აბრამ ჯელაძე, ხოლო რაც შეეხება სოსიკო, იგივე იოსებ ჯელაძეს შვილს, ილიას, ის 1886 წლის შემდგომ გადასახლდა ჩვენთვის დაუდგენელ ადგილას.

ჯელაძეები სოფელ ღარიდან

„სოფელი ღარი განლაგებული ერთ-ერთი უძველესი საცხოვრებელი ადგილი რაჭაში. სოფლის ტერიტორიაზე ნაპოვნი კოლხურ-ყოხანური ტიპის ცულები, რომლებიც ძვ. წ. მე-2 ათასწლეულის დასასრულს მიეკუთვნება. აქვე ნაპოვნი ძვ. წ. IV-V საუკუნეების მეტად საინტერესო ვერცხლის ნივთი (ე.წ. ყანჩა) კოსმეტიკური დანიშნულებისთვის. სოფელი ისტორიულ წყაროებში მოხსენებულია XVII საუკუნიდან“¹

ღარი მდებარეობს ზღვის დონიდან 940 მეტრზე და მოიცავს მდინარე ღარულას აუზს. ამჟამად სოფელში ცხოვრობს 348 (კაცი), სულ 118 (კომლი).² სოფელი ღარი შედის ონის მუნიციპალიტეტში.

ღარის ჯელაძეები გაირჩვიან მათი წინაპრის სახელებით, კერძოდ, გუგუტაანი, ანდრიაანი, მაიაანი და სხვა. სოფელ ღარში ადგილი, სადაც ცხოვრობენ ჯელაძეები, ჯელაძეების უბნის სახელით განლაგებულია.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 1841-43 წლების აღსარების მოქმელთა სიის მიხედვით, სოფელ ღარში ჯელაძის სულ სამი ოჯახი ცხოვრობს. სამივე ოჯახი განლაგებულია ერთი ოჯახის განაყარი.

ღარელი ჯელაძეების ერთი შტო ცხოვრობს თელავის რაიონის სოფელ წინანდალსა და ქალაქ თელავში. წინანდალში მცხოვრები გოჩა თენგიზის ძე ჯელაძის ინფორმაციით თელავის შტოს სათავე მისმა პაპამ- ვიქტორ სიმონის ძე ჯელაძემ და ვიქტორის ძმამ- პარმენ სიმონის ძე ჯელაძემ დაუდეს. ისინი საცხოვრებლად ღარიდან გადმოვიდნენ დაახლოებით 1937 წელს.

ღარიდან გადმოსახლებული ჯელაძის ერთი ოჯახი ცხოვრობს ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანშიც, სადაც ის 1955 წლიდან დამკვიდრდა. ღარელი ჯელაძეების ცხოვრობენ შთამომავლები ცხოვრობენ ასევე ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენში და ლელიანში. აფენში ჩასახლება მოხდა 1900 წელს, ხოლო ლელიანში მოგვიანებით, საბჭოთა პერიოდში.

დასასრულს ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

ჯელაძის გვარი ისტორიულ წყაროებში პირველად მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილ დოკუმენტში გვხვდება და მასში მოხსენებული პირი ბუჭია ჯელაძე სოფელ ღარის მაცხოვრებელი იყო;

მიუხედავად ჯელაძეების განსახლების ფართო არეალისა, დადასტურებულად უნდა მივიჩნიოთ, რომ ჯელაძის გვარი არის ერთფუძიანი და მისი უძველესი საცხოვრისი განლაგება რაჭა, კერძოდ კი, ონის მუნიციპალიტეტის სოფელი ღარი, რითაც ფაქტობრივად დასტურდება გვარში გავრცელებული გადმოცემა მათი სოფელ ღარიდან წარმომავლობის შესახებ;

ჯელაძეების გვარი არც თუ დიდი ხნის ისტორიას ითვლის ან შესაძლოა სხვა ჩვენთვის უცნობი გვარის განაყარია.

¹ გობეჯიშვილი ვ. ჩემი თვალით დანახული რაჭა. თბ., 2017 წ. გვ. 517,518.

² ონის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი. https://oni.gov.ge/?page_id=3276

Zurab Chkonia
Teaching University Millenium
EXTENDED FAMILY OF DJELADZE GENEALOGY
RESUME

Although last name Djeladze is not amongst the noble surnames known in Georgia, I believe that exploring each name and last name is worth of special attention, as this is an important process for studying the nation's history in details. Exactly this process is one of the keys to the study of Georgian history.

The paper examines etymology of last name Djeladze, as well as its origin, family ties, settlement area, family migration processes, social and genetic ancestry.

Nowadays, representatives of extended family of Djeladze live compactly in the village of Ghari in Oni Municipality in Racha and in the village of Uravi in Ambrolauri Municipality, as well as in Shida Kartli and Kakheti following around the end of the 18th century. Although there is a legend within the Djeladzes about their Rachian origin, no reliable source has been found except for the oral lore.

As a result of this research, it is ascertained that last name Djeladze is single-rooted and the legend existing within the extended family about the common origin of the Djeladzes from Racha is confirmed.

Through genetic research of DNA, as the result of testing a representative of the Djeladzes from Ghari, the paper ascertains that it belongs to one of the dominant Laz-Chan haplogroups from western Georgia, which is mainly distributed among the Svans. The same haplogroup is found in great number in Racha.

Due to its importance for research, the paper discusses the Rachian origin of several families living in the village Tsinandali in Kakheti at the beginning of the XIX century and their migration.